



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

წლიური ანგარიში



თბილისი
2025

ყოველი წლის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომლის მიზანია „მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისათვის გაცნობა და აგრარეოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდება, თავი II , მუხლი 1, პუნქტი - ე)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის მოღვაწეობის ანგარიშში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, პრეზიდიუმთან არსებული: აგრარული ინოვაციების კომისიის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს; აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების, მისი წევრების, წევრ-კორესპონდენტების და აკადემიის სტიპენდიატების სამეცნიერო, სამეცნიერო - ორგანიზაციული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობა, აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა და საანგარიშო წელს ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ასევე აკადემიის აჭარის ა/რ სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა.

აკადემიის 2025 წლის ანგარიში მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა (დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი) აკადემიის პრეზიდიუმის, პრეზიდიუმთან არსებული: აგრარული ინოვაციების კომისიის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს, აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების, მისი წევრების, ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და აკადემიის დარგობრივი მიმართულებების კოორდინატორების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

რედაქტორი: აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

რედაქტორის მოადგილე: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“

ტირაჟი - 70.

ISBN 978-9941-8-8589-1

შ ი ნ ა ა რ ს ი

	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - 68 (1957–2025 წ.წ. მოკლე ისტორია)	5
	საქართველოს კანონში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე	8
	ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან	9
	აკადემიის სტრუქტურა	10
	შესავალი	11
	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებები	13
თავი 1.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), წევრ-კორესპონდენტების და სტიპენდიატების შემადგენლობა 2025 წლის 31 დეკემბრისათვის	20
თავი 2.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი	41
2.1.	აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა	41
2.2.	აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 2025 წელს განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა	43
თავი 3.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებები	59
3.1.	აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება	59
3.1.1.	აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები	62
3.2.	მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება	77
3.2.1.	მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	80
3.3.	აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება	91
3.3.1.	აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2025 წლის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ანგარიში	93
3.4.	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება	109
3.4.1.	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	112
3.5.	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება	124
3.5.1.	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	127
3.6.	ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება	153
3.6.1.	ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	156
თავი 4.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის 2025 წლის მუშაობის ანგარიში	172

თავი 5.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2025 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	182
თავი 6.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების დარგობრივი კოორდინატორების მიერ 2025 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	187
თავი 7.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2025 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	253
თავი 8.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები	255
თავი 9.	მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საზეიმო შეხვედრები	256
თავი 10.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2025 წელს გამოცხადებულ აგრარულ სფეროში გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მისანიჭებლად ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის შედეგები	295
თავი 11.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიში	297
	სიახლეები, ვიზიტები, საქმიანი შეხვედრები	399
	მილოცვები	426
	იუბილარები	428
	ღვაწლმოსილი მეცნიერების ხსოვნა	444

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - 68 (1957–2025 წ.წ. მოკლე ისტორია)

2025 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაარსებიდან 68 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფოს დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1957 წლის 12 დეკემბერს.

აკადემიის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარეა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაშია აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) - 30, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი - 6, აკადემიის სტიპენდიატი - 4.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მონაწილეობით საქართველოში შექმნილია სასოფლო – სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის ახალი ჯიშები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ათეულობით ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია; ჩაის მოვლა – მოყვანის, კრეფის და გადამამუშავების სამანქანო ტექნოლოგიები, შექმნილია 50-მდე ახალი მანქანა და ტექნიკური საშუალება, მებარემუშეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტექნიკური საშუალებები (მანქანები, მოწყობილობები, დანადგარები).

2013 წლიდან აკადემიის მიერ მომზადებულია და დაბეჭდილია 202 რეკომენდაცია (პრაქტიკული რჩევები ფერემერებსა და დარგის სპეციალისტებისათვის) სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით: ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის საკითხებზე, მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში, მებარემუშეობაში, აგროინჟინერიაში, სატყეო საქმეში, სურსათის უვნებლობასა და სასურსათო ტექნოლოგიებში და სხვა.

აკადემია წლების განმავლობაში წარმატებით ურთიერთთანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ კვლევით ორგანიზაციებთან როგორებიცაა: CGIAR სასოფლო – სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (აშშ); ICARDA - მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (მოროკო); CIMMYT ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (მექსიკა); ICRISAT - ნახევრად არიდული ტროპიკული კულტურების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); BIOVERSITY INTERNATIONAL - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (იტალია); ACIRO – მსოფლიო მებოსტნეობის ცენტრი (ტაივანი); CACAARI - ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); IFPRI - სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ); CIP - კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (პერუ); ჩინეთისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; ბელორუსის და ლატვიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიები; ვავილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი).

აკადემია ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციას “CACAARI”, რომელშიც ამ რეგიონის 8 ქვეყანაა გაერთიანებული; აკადემია ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმთან „CGIAR“, რომლის შემადგენლობაშიც შედის მსოფლიოს 16 საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ექვსთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ერთობლივ კვლევებზე. 1998 წლიდან აკადემია არის სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალური ფორუმის „GFAR“ აქტიური წევრი.

ნაყოფიერია აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა: უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; უკრაინის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტთან (უკრაინა); ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან (უკრაინა); ვინიცის, პოდოლსკის, ოდესის და ბელაიაცერკოვის სახელმწიფო ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტებთან (უკრაინა); ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის მეცნიერებათა აკადემიასთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკულ ინსტიტუტთან ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან; ჟურნალ "ახალ აგრარულ საქართველოსთან"; ტელევიზია "საფერავი ტვ"-თან.

აკადემიაში ფუნქციონირებს ექვსი მეცნიერებათა განყოფილება და ორი დეპარტამენტი, აგრეთვე ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი, გამომცემლობა "აგრო", გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკი, საინფორმაციო ცენტრი, აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი, დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი.

მეცნიერებათა განყოფილებები:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი);
2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი);
3. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე);
4. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი);
5. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე);
6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი).

დეპარტამენტები:

1. აკადემიური (დეპარტამენტის უფროსი აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი);
 2. ადმინისტრაციული (დეპარტამენტის უფროსი აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე).
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას თავისი არსებობის მანძილზე სულ გამოქვეყნებული აქვს 9000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 288 მონოგრაფია და 196 სახელმძღვანელო, 415 გამოგონება და პატენტი; აკადემიის მეცნიერების მიერ გამოყვანილია მემცენარეობასა და მეცხოველეობაში 35 ახალი ჯიში, მიღებული აქვთ 155 სერტიფიკატი რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

2013 წლიდან აკადემიაში ჩატარდა 10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. აღნიშნულ კონფერენციებზე ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, შვედეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვას, რუსეთის, ყაზახეთის,

უზბეკეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის და ლატვიის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მეცნიერები.

მათგან აღსანიშნავია, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირთან (UEAA) ერთად 2017, 2019, 2022 და 2023 წლებში ჩატარებული ოთხი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა ვაზის და ხორბლის არსებულ მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში და განვითარების პერსპექტივებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ტექნოლოგიების პრობლემებს ევროპაში და პერსპექტივებს, სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნებას, კონსერვაციასა და გამოყენების პერსპექტივებს.

აღნიშნულის გარდა, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული იქნა მნუშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის:

1. საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - მოდერნიზაცია - 2030 წლამდე პერიოდისათვის, სახელმწიფო პროგრამის შემუშავების კონცეპტუალური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური საკითხები;
2. მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები (სახელმწიფო-მეცნიერების პარტნიორობა ქვეყნის მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი).
3. საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები).

2014 წლიდან აკადემია არის ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEAA) წევრი. 2020 წლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე UEAA-ს პრეზიდენტი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. დღეს ეს კავშირი აერთიანებს ევროპის 30 ქვეყანას. კავშირის მუშაობას მართავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან: საქართველოს, საფრანგეთის, იტალიის, შვედეთის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიეტუვას და უკრაინის აკადემიების წარმომადგენლები. დამკვირვებლების სახით: ესპანეთი და პორტუგალია.

საქართველოს კანონში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის ჩართულობით, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ მოხდა ინიცირება „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

მუხლი 1. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 26.12.2007, მუხ. 402) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკადემიის ნამდვილ წევრს (აკადემიკოსს) ენიშნება ანაზღაურება მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვეში არანაკლებ 2 000 ლარის ოდენობით.

2. აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ენიშნება ანაზღაურება მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვეში არანაკლებ 1 250 ლარის ოდენობით.

3. აკადემიის სტიპენდიატს ენიშნება სტიპენდია თვეში არანაკლებ 1 250 ლარის ოდენობით.“.

2. 16¹ მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრსა და წევრ-კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენიშნებათ ანაზღაურება მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვეში შესაბამისად არანაკლებ 2 000 და 1 250 ლარის ოდენობით.“;

გ) 84 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„84. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატს ენიშნება სტიპენდია თვეში არანაკლებ 1 250 ლარის ოდენობით.“;

დ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) საერთო რაოდენობა 30-ს არ უნდა აღემატებოდეს.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
თბილისი,
13 მაისი 2025 წ.
N547-IIმს-XIმპ

მიხეილ ყაველაშვილი

ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში აკადემია) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში. იგი შედგება მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და აკადემიის სტიპენდიატებისაგან, აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისა და უცხოელი წევრებისაგან.

2. აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ მუხლი 16¹-ით, საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლის აქტებით და აკადემიის წესდებით.

3. აკადემიის დანიშნულება და ამოცანები, მისი უფლებები, მართვა, სტრუქტურა და წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის წესდებით, რომელსაც იღებს და ამტკიცებს აკადემია.

4. აკადემია დამოუკიდებლად წყვეტს სამეცნიერო-ორგანიზაციულ, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს.

5. აკადემია იხილავს და აფასებს აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს დამატებითი საჭირო ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, ხოლო სათანადო რეკომენდაციები - დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს.

6. აკადემიის სრული სახელწოდება ქართულ ენაზე – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აბრევიატურა ქართულ ენაზე - სსმმა.


7. აკადემიის სრული სახელწოდება ინგლისურ ენაზე – LEPL Georgian Academy of Agricultural Sciences. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აბრევიატურა ინგლისურ ენაზე - GAAS.

8. აკადემიის ადგილმდებარეობაა საქართველო, ქალაქი თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51;

9. აკადემიის არსებობის ვადა შეუზღუდავია.



**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის სტრუქტურა**



შესავალი

საქართველოს კანონის “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) მე-16¹ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ ... „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულების განმსაზღვრელი, სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების II თავის 1- ლი მუხლის მიხედვით საქართველოს კანონში მითითებული ვალდებულებების შესასრულებლად აკადემიის მიზნებია:

ა) საქართველოში აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;

ბ) აგრარულ დარგში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების კოორდინაცია;

გ) აგრარულ ტერმინოლოგიის სრულყოფაზე ზრუნვა, ლექსიკონების, ცნობარებისა და საენციკლოპედიო მასალების დამუშავება;

დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, სამინისტროებთან, უწყებებთან და უნივერსიტეტებთან მჭიდრო კონტაქტში ქვეყანაში აგრარული მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და რეკომენდაციების წარდგენა;

ე) მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და აგრარულ მეცნიერებათა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;

ვ) ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევების შეფასება.

აკადემიის წესდების II თავის მე-2 მუხლის მიხედვით თავისი მიზნების განსახორციელებლად აკადემია:

ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საკონსულტაციო ხასიათის საქმიანობას. შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში, აყალიბებს და ხელმძღვანელობს დროებით შემოქმედებით ჯგუფებს, სამეცნიერო-კვლევით კოლექტივებს;

ბ) ატარებს სამეცნიერო საქმიანობის და ნაშრომების შეფასებას. აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს;

გ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას;

დ) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; ატარებს საჯარო ლექციებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და უწყებებში;

ე) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; ამყარებს კავშირებს მსოფლიოს სამეცნიერო აკადემიებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და კვლევით ორგანიზაციებთან, წამყვან მეცნიერებთან;

ვ) პრეზიდენტის გადაწყვეტილებებით და პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით აკადემიის მიერ დაწესებული “ოქროს მედლით” აჯილდოვებს საქართველოს მოქალაქეებს, აგრარული დარგის გამოჩენილ მეცნიერებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აგრარული მეცნიერების განვითარებაში და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში;

ზ) ანიჭებს აგრარულ სფეროში თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომიათვის (ნაშრომთა ციკლისათვის) გამოჩენილ აგრარკოს მეცნიერთა სახელობით აკადემიურ პრემიებს და გასცემს ჯილდოებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებულ, მათ შორის დამხმარე, ეკონომიკურ საქმიანობას.

ი) აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

საანგარიშო წელს ზემოთ აღნიშნული კანონის უზენაესობის დაცვა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მუხლების შესრულება დაევალოს იმ თვალსაჩინო აგრარკოს-მეცნიერებს, რომლებიც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ - აკადემიის 30 ნამდვილ წევრს, 6 წევრ-კორესპონდენტსა და 4 სტიპენდიატს, სულ 40 მეცნიერს და აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს - აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს და ექვს დარგობრივ მეცნიერებათა განყოფილებებს, როგორებიცაა აგრონომიულ; მეცხოველეობის და ვეტერინარიის; აგროინჟინერიის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებები.

აკადემიის მეცნიერების წლიური ინფორმაციების, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტისა და დარგობრივ მეცნიერებათა განყოფილებების გამოცდილებებისა და მეცნიერული ღირებულებების გათვალისწინებით შესრულდა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც შესავალისა და 11 თავისაგან შედგება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებები

2025 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის 3 საერთო კრება.

პირველი კრება ჩატარდა 4 აპრილს

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: ჯაფარიძე გივი, ალექსიძე გურამი, ასათიანი რევაზი, ბალათურია ნუგზარი, გიორგაძე ანატოლი, გუგუშვილი ჯემალი, დიდებულაძე ალექსანდრე, დოლიძე ლაშა, კაციტაძე ჯემალი, კვალაიაშვილი ვაჟა, კვეციტაძე ედიშერი, კოპაიანი როლანდი, მარგველაშვილი გოგოლა, მახარობლიძე რევაზი, პაპუნაძე გურამი, რევიშვილი თემური, უჯმაჯურიძე ლევანი, ფუტყარაძე ზაური, ყურაშვილი თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ცქიტიშვილი ზურაბი, ჭითანავა ნოდარი; აკადემიის სტიპენდიატები: ბენაშვილი მამუკა, ტიგინაშვილი ზვიადი, ჯაბნიძე ნატო; მოწვეული სტუმრები: აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ბარვენაშვილი მარინე, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთო საკითხებში (საერთაშორისო ურთიერთობები, პროგრამები და საგრანტო პროექტების მიმართულებები), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბაციკაძე თამაზი; საქართველოს პარამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, დოქტორი ახალბედაშვილი ივერი აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი; თარჯიმანი დოქტორი ბახტაძე ირინე, აკადემიური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტები: ჩიკვა ლარისა, თარხნიშვილი დალი, მოსაშვილი მარიამი, აკადემიის კადრების ინსპექტორი მიგრიაული ეკატერინე, აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თეგეტაშვილი ცილა, აგრონომიუკ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, დოქტორი ღამბაშიძე გიორგი.



აკადემიის საერთო კრებას თავმჯდომარეობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, კრების მდივანი იყო პრეზიდენტი მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. კრების თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მისალმების შემდეგ გააცნო დღის

წესრიგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: 1. ინფორმაცია აკადემიის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. ინფორმაცია აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების აკადემიკოს-მდივანი. 3. ინფორმაცია აკადემიის პრეზიდენტიან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი:** აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე. 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; ცენტრის სწავლული მდივანი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი. 7. მიმდინარე საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანის, აკადემიის პრეზიდენტიან სხვა წევრების, აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების აკადემიკოს-მდივანების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო ცენტრის დებულების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლის დებულების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის მთავარი აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი, ანატოლი გიორგაძე. 5. გამოჩენილ აგრარულ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიებისა და მათი მინიჭების დებულების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 6. უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების დებულების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.

დამტკიცდა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეთა სია, დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი.

კრებაზე მოსმენილი იქნა მოხსენება „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის ამოცანების შესახებ (**მომხსენებლები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი).

აკადემიის საერთო კრებაზე კრების მონაწილეთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით დოკუმენტურად წარმოდგენილი იქნა აკადემიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ამსახველი საინფორმაციო მასალები (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო-სამეცნიერო, რეფერირებადი ჟურნალი „მოამბე“; ყოველკვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი „აკადემიის მაცნე“; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ 2024 წელს გამოცემული რეკომენდაციები (10 რეკომენდაცია; ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულები (2 შრომათა კრებული); აკადემიის წევრების მიერ გამოცემული მონოგრაფიები, წიგნები და სახელმძღვანელოები (სულ 5); ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო „ჯიტასთან“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიკორმთან.

აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად და წარმატებულად.

განხილული იქნა აკადემიის საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი.

დასასრულს კრების თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა აკადემიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას აკადემიის საერთო კრების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მეორე კრება ჩატარდა 29 ივლისს



კრებას ესწრებოდა აკადემიის 22 ნამდვილი წევრი, (აკადემიკოსი): ჯაფარიძე გივი, ალექსიძე გურამი, ასათიანი რევაზი, ბალათურია ნუგზარი, გიორგაძე ანატოლი, გუგუშვილი ჯემალი, დიდებულიძე ალექსანდრე, დოლიძე ლაშა, კაციტაძე ჯემალი, კვალიაშვილი ვაჟა, კვეციტაძე ედიშერი, კოპალიანი როლანდი, მარგველაშვილი გოგოლა, პაპუნძე გურამი, რევიშვილი თემური, ტყემალაძე გურამი, უჯმაჯურიძე ლევანი, ფუტყარაძე

ზაური, ყურაშვილი თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ცქიტიშვილი ზურაბი, ჭითანავა ნოდარი. აკადემიის საერთო კრებას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ აკადემიის სტიპენდიატები: ბენაშვილი მამუკა, დულაშვილი დარეჯანი, ტიგინაშვილი ზვიადი, ჯაბნიძე ნატო.

აკადემიის საერთო კრებას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, აკადემიის პრეზიდენტის წევრი, ტექნიკის დოქტორი კაჭარავა ომარი, აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების სწავლული

მდივნები, დოქტორები: ღამბაშიძე გიორგი, მაკარაძე ზურაბი, აკადემიის კადრების ინსპექტორი მიგრაუი ეკატერინე და წამყვანი სპეციალისტი მოსაშვილი მარიამი.

აკადემიის საერთო კრებას ასევე ესწრებოდნენ: აკადემიის ნამდვილი წევრების ვაკანტური ადგილის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატები: ეკონომიკის დოქტორი ახალბედაშვილი ივერი და სოფლის მეურნეობის დოქტორი ბარვენაშვილი მარინე.

კრება გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო კრების დღის წესრიგი: 1. ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის მეცნიერებათა

განყოფილებების გართიანებული კრებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის ნამდვილი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდებული კანდიდატების შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი; აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი



თენგიზ ყურაშვილი. 3. ინფორმაცია აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების გართიანებული კრებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის ნამდვილი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდებული კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. **მომხსენებლები:** ეკონომიკის დოქტორი ივერი ახალბედაშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 4. აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ფარული კენჭისყრის პროცედურა. 5. კონკურსის შედეგების გამოცხადება. 6. აკადემიის უცხოელ წევრად პროფესორ დონ ვან ატას არჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი; აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე. 7. მიმდინარე საკითხები.

კრება წარიმართა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

პირველი საკითხის ირგვლივ ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად



ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ გააკეთა საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ. მან კრების მონაწილეებს გააცნო შემოსულ კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები და აღნიშნა რომ მათ მიერ წარმოდგენილი

საბუთები სრულ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. შემდეგ დღის წესრიგის თანახმად მოსმენილი იქნა კონკურსანტთა მოხსენებები. აკადემიკოსთა მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზედაც კონკურსანტებმა კვალიფიციური პასუხები გასცეს.

აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ფარული კენჭისყრის პროცედურის დამთავრების შემდეგ, კრების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ გამოაცხადა კენჭისყრის შედეგები, რომლის თანახმად აკადემიის ნამდვილი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატები: ეკონომიკის დოქტორმა ივერი ახალბედაშვილი და სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი კრების მიერ ერთხმად იქნენ არჩეული აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად).

აკადემიის ახლად არჩეულმა ნამდვილმა წევრებმა: ბატონმა ივერი ახალბედაშვილმა და ქალბატონმა მარინე ბარვენაშვილმა მადლობა გადაუხადეს კრებაში მონაწილე აკადემიკოსებს მათდამი გამოხატული მხარდაჭერისა და ნდობისათვის.

რაც შეეხება აკადემიის უცხოელ წევრად პროფესორ დონ ვან ატტას არჩევას, აქაც აკადემიის ნამდვილი წევრებმა ერთხლოვნება გამოიჩინეს და იგი ერთხმად იქნა არჩეული აკადემიის უცხოელ წევრად.

მესამე კრება ჩატარდა 17 ოქტომბერს

კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის 24 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი): ჯაფარიძე გივი, ალექსიძე გურამ, ასათიანი რევაზი, ახალბედაშვილი ივერი, ბარვენაშვილი მარინე, ბალათურია ნუგზარი, გიორგაძე ანატოლი, გუგუშვილი ჯემალი, დიდებულიძე ალექსანდრე, დოლიძე ლაშა, კაციტაძე ჯემალი, კვალიაშვილი ვაჟა, კვეციტაძე ედიშერი, კოპალიანი როლანდი, მარგველაშვილი გოგოლა, პაპუნძე გურამი, რევიშვილი თემური, ტყემალაძე გურამი, უჯმაჯურიძე ლევანი, ფუტყარაძე ზაური, ყურაშვილი თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ცქიტიშვილი ზურაბი, ჭითანავა ნოდარი.



აკადემიის საერთო კრების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდნენ: აკადემიის სტიპენდიატები: ბენაშვილი მამუკა, დუღაშვილი დარეჯანი, ტიგინაშვილი ზვიადი.

აკადემიის საერთო კრებას მოწვეულული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, აკადემიის პრეზიდენტის წევრი, ტექნიკის

დოქტორი კაჭარავა ომარი, აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების სწავლული მდივნები, დოქტორები: ღამბაშიძე გიორგი და მაკარაძე ზურაბი; აკადემიის კადრების ინსპექტორი მიგრიაული ეკატერინე, აკადემიური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტები: ჩაიკა ლარისა, თარხნიშვილი დალი, მოსაშვილი მარიამი.

აკადემიის საერთო კრების თავმჯდომარემ, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ მოკლე მისალმების შემდეგ კრების მუშაობაში მონაწილე აკადემიკოსებს გააცნო დღის წესრიგი: 1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალ-

ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების, საბუთების შესაბამისობისა და აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდებული და დაშვებული კანდიდატების შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. **მომხსენებლები:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიზო გოგიჩაიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი დავით მალრაძე. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მათა კერესელიძე. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ თედორაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გელა ჯავახიშვილი; სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ტექნიკის დოქტორი მალხაზ დოლიძე, ტექნიკის დოქტორი ეკატერინა კაციტაძე, ბიოლოგიის დოქტორი ქეთევან ლაფერაშვილი. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე; ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი: ეკონომიკის დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე. 3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კანდიდატებისათვის ხმის მიცემა (ფარული კენჭისყრა). 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება. 5. მიმდინარე საკითხები.

კრება წარიმართა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ფარული კენჭისყრის პროცედურის დამთავრების შემდეგ, კრების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ გამოაცხადა კენჭისყრის შედეგები აგრონომიულ, მეცხოველეობის და ვეტერინარიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში, რომლის თანახმად აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიზო გოგიჩაიშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე და ეკონომიკის დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე არჩეული იქნენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად.



რაც შეეხება აკადემიის დანარჩენ ორ: აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებებში წევრ-კორესპონდენტების არჩევას, საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება. ფარული კენჭისყრის პროცედურის თანახმად, რომლის

შედეგებიც ასევე კრების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ გამოაცხადა გამოვლინდა, შემდეგი: აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩეული იქნა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ თედორაძე, ხოლო სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში ტექნიკის დოქტორი მალხაზ დოლიძე.

აკადემიის ახლად არჩეულმა წევრ-კორესპონდენტებმა: ბატონებმა: გიზო გოგიჩაიშვილმა, დავით გოდერძიშვილმა, ომარ თედორაძემ, მალხაზ დოლიძემ, გიორგი ქავთარაძემ და ქალბატონმა ეკატერინე ზვიადაძემ მადლობა გადაუხადეს კრებაში მონაწილე აკადემიკოსებს მათდამი გამოხატული მხარდაჭერისა და ნდობისათვის.

თავი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების), წევრ-კორესპონდენტების და სტიპენდიატების შემადგენლობა 2025 წლის 31 დეკემბრისათვის

1. აკადემიის ნამდვილი წევრები

1.1. აკადემიკოსი ჯაფარიძე გივი გალაქტიონის-ძე



დაბადების თარიღი – 06.01.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; სამართალმცოდნე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 18.02.2002;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 257, მათ შორის 2 სახელმძღვანელო, 2 მონოგრაფია, 3 პროექტი, 27 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები (1974 წ.); „შრომითი წარჩინებისათვის“ მედალი (1976 წ.); „საპატიო ნიშნის“ ორდენი (1982 წ.); „ღირსების“ ორდენი (1999 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, სატყეო კანონმდებლობა.

1.2. აკადემიკოსი ალექსიძე გურამ ნიკოლოზის-ძე



დაბადების თარიღი – 30.07.1939;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი მცენარეთა დაცვის განხრით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ექსპრეზიდენტი; ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CACCARI)-ს თავმჯდომარე;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი (14.07.1992); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (26.12.2018);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 255, მათ შორის 15 წიგნი, 7 მონოგრაფია, 11 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონილაზატორული წინადადებების რაოდენობა - 4.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომის წარჩინებული“ მედალი (1982 წ.); „ღირსების“ ორდენი (1999 წ.); ორი „ვერცხლის დიდი მედალი“ (2005, 2008 წწ.)

დაჯილდოებულია საერთაშორისო ორგანიზაციების „CGIAR“ და „ICARDA“ მიერ; ნ. ვავილოვის სახელობის საიუბილეო მედალი (2013 წ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015). აკადემიკოს ლევან ყანჩაველის სახელობის პრემია წიგნისთვის (მცენარეთა დაცვა) 2025 წ. მოღვაწეობის მიმართულება – მცენარეთა დაცვა.

1.3. აკადემიკოსი ასათიანი რევაზ ნოდარის-ძე



დაბადების თარიღი – 29.10.1951;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ ეკონომისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
დაკავებული თანამდებობა – შპს „საქართველოს მელიორაცია“, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; სსმმ აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 16.07.2004;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 91, მათ შორის 8 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ღირსების" ორდენი (1999 წ.); ივ.ჯაშის სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის „ინდუსტრიული სოფელი-მომავლის გლობალური გამოწვევა“, 2024 წ.
მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.4. აკადემიკოსი ახალბედაშვილი ივერი ლავრენტის-ძე



დაბადების თარიღი – 28. 08.1955 წ.;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის აპარატის უფროსი;
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის დოქტორი;
სამეცნიერო წოდება – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი (29.07.2025);
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 18, მათ შორის 5 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

საპატიო სიგელი აგრარული მეცნიერებისა და დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის (2017 წ.); საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საპატიო სიგელი-მაღალი პროფესიონალიზმისთვის (2022 წ.); საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის მაძლობის სიგელი – UNESCO-ს კაცობრიობის არამეტრიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში „ქართული ხორბლის კულტურა: რიტუალები და ტრადიციები“ შეტანილ საქმეში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, განსაკუთრებული ძალისხმევით და მიზნისადმი ერთგულებისთვის 2025წ., 26 დეკემბერი;
მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.5. აკადემიკოსი ბარვენაშვილი მარინე ვასილის-ასული



დაბადების თარიღი 06.02.1963 წ.;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ზოოტექნია, ზოოინჟინერი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი (29.07.2025); სტუ-ს მოწვეული პროფესორი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა -75, მათ შორის 3 წიგნი, 3 რეკომენდაცია;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. -

ექსპერტის წოდება მეცხოველეობის (მეფრინველეობის) დარგში ბრ. 01/16 (2016);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი (2017წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ცხოველთა გენეტიკა-სელექცია.

1.6. აკადემიკოსი ბაღათურია ნუგზარ შოთას-ძე



დაბადების თარიღი –22.08.1945;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – საკონსერვო მრეწველობის ინჟინერ - ტექნოლოგი, საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 432, მათ შორის 36 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 1 სტრატეგია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების

რაოდენობა - 36 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი პრემია (1982 წ.); სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1985 წ.); “ღირსების” ორი ორდენი (1999, 2013წწ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015 წ.); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედალი (2022 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების და შენახვის ტექნოლოგია.

1.7. აკადემიკოსი გაგოშიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე



დაბადების თარიღი - 18.10.1957;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 01.05. 2019.
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 149, მათ შორის 2 სახელმძღვანელო; 6 მეთოდური მითითება, 2 მონოგრაფია;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ღირსების მედალი (1999 წელი), პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი სატყეო ჯილდო – „საპატიო მედალი“ და პოლონეთის მეტყევის დაშნა – „კორდელასი“; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსმმ აკადემიის საპატიო სიგელები (2016, 2017, 2018 წლები); საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია –საუკეთესო სახელმძღვანელოსათვის (2017 წელი); სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2010 წელი); **მოღვაწეობის მიმართულება** – სატყეო მეურნეობა – ტყეთმცოდნეობა, მეტყევეობა

1.8. აკადემიკოსი გიორგაძე ანატოლი ანზორის-ძე



დაბადების თარიღი – 14.07.1969;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგი-ზოოინჟინერი, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ - სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 10.11. 2021, სტუ-ის მოწვეული პროფესორი, კამიანეც-პოდოლსკის (უკრაინა) აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, ადმინისტრაციული

დეპარტამენტის უფროსი;

სამეცნიერო შრომების რაოდენობა – 103, მათ შორის 5 წიგნი, 1 მონოგრაფია, 11 ბროშურა-რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სსმმ აკადემიის პრემია საუკეთესო ნაშრომისათვის (2017 წელი), ექსპერტის წოდება (2017 წელი, ბრ.№01/16), სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი (2018 წელი);

მოღვაწეობის მიმართულება: მეცხოველეობა (მეფრინველეობა), სამონადირეო მეურნეობები და ფაუნა, ორგანული სოფლის მეურნეობა.

1.9. აკადემიკოსი გუგუშვილი ჯემალ სერგოს-ძე



დაბადების თარიღი – 14.04.1945;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული ზოოტექნიკოსი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - აკადემიური დეპარტამენტის კონსულტანტი (აგრარული პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფერმერებთან აკადემიის ურთიერთკავშირის საკითხებში);

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.2013;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 230, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 26 რეკომენდაცია, 1 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება, 1 პატენტი, 1 ჯიშის გამოყვანის ავტორი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (2000 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – მეცხოველეობა (მებოცვრეობა).

1.10. აკადემიკოსი დიდებულება ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე



დაბადების თარიღი – 30.09.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 271, მათ შორის 20

მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 44 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (1999წ.);

საუ-ის „უმაღლესი ჯილდო“ (2013 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია.

1.11. აკადემიკოსი დოლიძე ლაშა თამაზის-ძე



დაბადების თარიღი - 17. 09. 1965;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; სსმმ აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 10.11. 2021.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 102, მათ შორის 4 მონოგრაფია, 6 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა. შ. -

სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი -(2016; 2025);

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების სამუშაო თემატიკების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დღეისათვის შემოსულია მხოლოდ ათი წევრის სამუშაო თემატიკა. აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის გადატანა მომდევნო პრეზიდენტის სხდომაზე და ასევე დაავალა აკადემიურ დეპარტამენტს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების განმეორებით ინფორმირება.

დაადგინეს: საკითხი „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების სამუშაო თემატიკების შესახებ“ გადატანილი იქნას მომდევნო პრეზიდენტის სხდომაზე.

მოისმინეს: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის ინფორმაცია „სვალბარდის მარცვლეულის გლობალური საცავის მე-17 წლის იუბილისა და საცავში (Svalbard Global Seed Vault) ქართული მარცვლეული კულტურების უნიკალური ნიმუშების განთავსების შესახებ“.

დაადგინეს: 1. მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია სვალბარდის მარცვლეულის გლობალური საცავის მე-17 წლის იუბილისა და საცავში (Svalbard Global Seed Vault) ქართული მარცვლეული კულტურების უნიკალური ნიმუშების განთავსების შესახებ. 2. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 4 (25 აპრილი).

მოისმინეს: გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერის ნოდარ კერესელიძის მოხსენება „სოფლის განვითარების პოლიტიკის თანამედროვე მიდგომები ევროკავშირის მაგალითზე და მისი გავლენა საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორზე“.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერის ნოდარ კერესელიძის მოხსენება „სოფლის განვითარების პოლიტიკის თანამედროვე მიდგომები ევროკავშირის მაგალითზე და მისი გავლენა საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სექტორზე“.

2. შეიქმნას კომისია სოფლისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესწავლის მიზნით აკად. ნ. ჭითანავას, აკად. რ. ასათიანის, აკად. ა. დიდებულის, აკად. ლ. უჯმაჯურიძის და ნ. კერესელიძის შემადგენლობით, რომელიც იმუშავებს ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მრჩევლის, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების სამუშაო თემატიკების შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დამტკიცდეს აკადემიის პრეზიდენტის მრჩევლის, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მიერ წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების სამუშაო თემატიკები წარმოდგენილი სახით. 2. მომზადდეს და ბეჭდურად ბროშურის სახით გამოიცეს აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების სამუშაო თემატიკები (დასახელება, მოკლე ანოტაცია თემატიკის შესახებ). 3. ბროშურის ელ. ვერსია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია აკადემიის უცხოელ წევრად პროფესორ დონ ვან ატტას არჩევის შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების თანახმად პროფესორ დონ ვან ატტას კანდიდატურა წარდგენილი იქნას აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის უცხოელ წევრად ასარჩევად.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების თანახმად აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტურ ადგილებზე საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი, რისთვისაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის წევრ-კორესპონდენტების, აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების დროებითი დებულების თანახმად განცხადება უნდა განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge და გამოქვეყნდეს პრესაში (გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა) (განცხადების ტექსტი ოქმს თან ერთვის). მიზანშეწონილია განცხადება გამოქვეყნდეს ა.წ. 28 აპრილს და კონკურსი გამოცხადდეს შემდეგი სპეციალობების მიხედვით: მეცხოველეობა - 1 ადგილი; ეკონომიკა - 1 ადგილი.

დაადგინეს: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტურ ადგილებზე კონკურსი გამოცხადდეს 28 აპრილს შემდეგი სპეციალობების მიხედვით: მეცხოველეობა - 1 ადგილი; ეკონომიკა - 1 ადგილი. 2. განცხადება კონკურსის შესახებ განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge და გამოქვეყნდეს პრესაში (გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა).

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 5 (16 მაისი).

მოისმინეს: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2024 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2024 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 6 (30 მაისი)

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორის მამუკა ბენაშვილის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: ტექნიკის დოქტორის მამუკა ბენაშვილის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდეს და მიღებული იქნეს ცნობად.

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ქიმიის დოქტორის დარეჯან დულაშვილის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს აკადემიის სტიპენდიატის, ქიმიის დოქტორის დარეჯან დულაშვილის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა.

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, სოფლის მეურნეობის დოქტორის ზვიად ტიგინაშვილის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს აკადემიის სტიპენდიატის, სოფლის მეურნეობის დოქტორის ზვიად ტიგინაშვილის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა.

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ეკონომიკის დოქტორის ნატო ჯაბნიძის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს აკადემიის სტიპენდიატის, ეკონომიკის დოქტორის ნატო ჯაბნიძის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი-აკადემიკოს მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის მიერ ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების შეფასების მდგომარეობის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს აკადემიის მიერ აგრარული მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების შეფასება წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე სპეციალობა „ეკონომიკა“ – 1 ადგილი; მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე სპეციალობა „მეცხოველეობა“ – 1 ადგილი ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია წინადადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე სპეციალობა „ეკონომიკა“ – 1 ადგილი; მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე სპეციალობა „მეცხოველეობა“ – 1 ადგილი ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 5 წევრით, შემდეგი შემადგენლობით: აკადემიკოსები: ნოდარ ჭითანავა, ვაჟა კვალიაშვილი, ზაურ ჩანქსელიანი, ჯემალ გუგუშვილი, ლაშა დოლიძე (გაიმართა კენჭისყრა).

დაადგინეს: (კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე სპეციალობა „ეკონომიკა“ – 1 ადგილი; მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე სპეციალობა „მეცხოველეობა“ – 1 ადგილი ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის შემადგენლობა დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის „მეცხოველეობაში“ კანდიდატურების შესარჩევად მეცხოველეობის და ვეტერინარიის, აგრონომიულ და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების დროებითი (ერთჯერადი) გაერთიანების შესახებ და ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის „ეკონომიკაში“ კანდიდატურების შესარჩევად ეკონომიკური, აგროინჟინერიის და გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებების დროებითი (ერთჯერადი) გაერთიანების შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული და მხარდაჭერილი იქნეს აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის წინადადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის „მეცხოველეობაში“ კანდიდატურების შესარჩევად მეცხოველეობის და ვეტერინარიის, აგრონომიულ და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების დროებითი (ერთჯერადი) გაერთიანების შესახებ და ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის „ეკონომიკაში“ კანდიდატურების შესარჩევად ეკონომიკური, აგროინჟინერიის და გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებების დროებითი (ერთჯერადი) გაერთიანების შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 7 (27 ივნისი).

მოისმინეს: აკადემიკოს თემურ რევიშვილის მოხსენება „ქართული ჩაის ფენოლოური ნაერთებისა და ტექნოლოგიურ პროცესში მათი ცვლილების შესახებ“.

დაადგინეს: 1. მიღებული იქნას ცნობად აკადემიკოს თემურ რევიშვილის მოხსენება „ქართული ჩაის ფენოლოური ნაერთებისა და ტექნოლოგიურ პროცესში მათი ცვლილების შესახებ“.

2. მოხსენება „ქართული ჩაის ფენოლოური ნაერთებისა და ტექნოლოგიურ პროცესში მათი ცვლილების შესახებ“ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

დაადგინეს: რეკომენდაცია გაეწიოთ ეკონომიკის დოქტორს ივერი ახალბედაშვილს და სოფლის მეურნეობის დოქტორს მარინე ბარვენაშვილს აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ასარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მოწვევის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის საერთო კრება ჩატარების თარიღად გამოცხადდეს ა.წ. 29 ივლისი.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

დაადგინეს: განცხადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა ასარჩევად აგრონომიულ, მეცხოველეობის და ვეტერინარიის, აგროინჟინერიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე ა.წ. 14 ივლისს.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული დარგობრივი მიმართულებების კოორდინატორების სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის განახლების შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დამტკიცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული დარგობრივი მიმართულებების კოორდინატორების სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა განახლებული სახით.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და ფიზიკური პირების 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების შეფასების შედეგების შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და ფიზიკური პირების 2024 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების შეფასების შედეგების შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება „სურსათის უვნებლობის სტრატეგიის, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის და კონტროლის ეროვნული სისტემის შეფასების დოკუმენტებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივების შეფასებისა და ინსტიტუციური ასახვის შესახებ.“

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება „სურსათის უვნებლობის სტრატეგიის, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის და კონტროლის ეროვნული სისტემის შეფასების დოკუმენტებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივების შეფასებისა და ინსტიტუციური ასახვის შესახებ.“

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 8 (29 ივლისი).

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების წევრ-კორესპონდენტების ვაკანტურ ადგილებზე ასარჩევად საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. **დაადგინეს:** 1. საექსპერტო-საკონკურსო კომისიის წევრებად დამტკიცდნენ: აკადემიკოსები: ნოდარ ჭითანავა, ედიშერ კვესიტაძე, ვაჟა კვალიაშვილი, თენგიზ ყურაშვილი, ზაურ ფუტყარაძე. 2. აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე მომზადდეს აკადემიის პრეზიდენტის ბრძანება საექსპერტო-საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც თავის პირველ სხდომაზე აირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში კანდიდატურების შესარჩევად აგრონომიულ და მეცხოველეობის და ვეტრინარიის; აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების დროებითი (ერთჯერადი) გაერთიანების შესახებ.

დაადგინეს: 1. აკადემიის წევრ-კორესპონდენტების კანდიდატურების შესარჩევად დროებით (ერთჯერადად) გაერთიანდეს აკადემიის აგრონომიულ და მეცხოველეობის და ვეტრინარიის; აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებები.

2. აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე მომზადდეს აკადემიის პრეზიდენტის ბრძანება ზემოაღნიშნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების დროებით (ერთჯერადად) გაერთიანების შესახებ.

3. - აკადემიის წევრ-კორესპონდენტების კანდიდატურების შესარჩევად დროებით (ერთჯერადად) გაერთიანებული აგრონომიულ და მეცხოველეობის და ვეტრინარიის მეცნიერებათა განყოფილებების საერთო კრება ჩატარდეს 10 სექტემბერს.

- აკადემიის წევრ-კორესპონდენტების კანდიდატურების შესარჩევად დროებით (ერთჯერადად) გაერთიანებული აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების საერთო კრება ჩატარდეს 12 სექტემბერს.

- აკადემიის წევრ-კორესპონდენტების კანდიდატურების შესარჩევად დროებით (ერთჯერადად) გაერთიანებული გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების საერთო კრება ჩატარდეს 16 სექტემბერს.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულისათვის აკადემიის საქართველოს პარლამენტთან და სამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიის საკანონმდებლო საქმიანობის კოორდინატორის ფუქციების შეთავსების შესახებ.

დაადგინეს: 1. ა. წ. 29 ივლისიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულს შეუთავსდეს აკადემიის საქართველოს პარლამენტთან და სამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიის საკანონმდებლო საქმიანობის კოორდინატორის ფუქციები.

2. მომზადდეს აკადემიის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება აკადემიის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 9 (გამოკითხვის წესით, 16 სექტემბერი).

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, აკადემიკოს მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია აკადემიის საერთო კრების 17 ოქტობერს, 13 საათზე მოწვევის შესახებ შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა;

2. ინფორმაცია აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდებული და დაშვებული კანდიდატების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების წევრი, აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე; აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. 3. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

მომხსენებლები: აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიზო გოგიჩაიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი დავით მადრაძე; მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მაია კერესელიძე; აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ თედორაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მხარობლიძე, ტექნიკის მეცნიერებათა

დოქტორი გელა ჯავახიშვილი; სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ტექნიკის დოქტორი მალხაზ დოლიძე, ტექნიკის დოქტორი ეკატერინა კაციტაძე, ბიოლოგიის დოქტორი ქეთევან ლაფერაშვილი; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე; ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი, ეკონომიკის დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე. 4. აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატებისათვის ხმის მიცემა (ფარული კენჭისყრა). 5. კონკურსის შედეგების გამოცხადება. 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი. 7. მიმდინარე საკითხები.

დაადგინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება ჩატარდეს მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს წარმოდგენილი დღის წესრიგით.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 10 (31 ოქტომბერი).

მოისმინეს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რევაზ გაჩეჩილაძის მოხსენება „მსოფლიო გეოპოლიტიკური გამოწვევები და საქართველო“.

დაადგინეს: მიღებული იქნას ინფორმაციად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის გაჩეჩილაძის მოხსენება „მსოფლიო გეოპოლიტიკური გამოწვევები და საქართველო“.

მოისმინეს: საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების არჩევნების შედეგების შესახებ.

დაადგინეს: 1. მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების არჩევნების შედეგების შესახებ.

2. საკონკურსო-საექსპერტო კომისიას და მის თავმჯდომარეს, აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას გამოეცხადოს მადლობა არჩევნების პროცესში გაწეული საქმიანობისათვის.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების დებულებების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების დებულებები წარმოდგენილი სახით და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, აკადემიკოს მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოსული ნაშრომების განსახილველად მეცნიერებათა განყოფილებებში შექმნილი საექსპერტო კომისიების დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოსული ნაშრომების საექსპერტო კომისიები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების შემადგენლობები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა ყოველთვიური შრომითი ანაზღაურების ოპტიმიზაციის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ მოამზადოს შესაბამისი მოხსენებითი ბარათი და ბრძანების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აკადემიის შესაბამისი თანამშრომლებისათვის ყოველთვიური ანაზღაურების მატება.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 11 (21 ნომბერი).

მოისმინეს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოხსენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ინფორმაციად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოხსენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელის შესახებ.

მოისმინეს: აკადემიკოს ივერი ახალბედაშვილის ინფორმაცია ქართული ხორბლის კულტურის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის პროექტის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად აკადემიკოს ივერი ახალბედაშვილის ინფორმაცია ქართული ხორბლის კულტურის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის პროექტის შესახებ.

მოისმინეს: აკადემიკოს როლანდ კოპალიანის მოხსენება „გლობალური კლიმატური დათბობისა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ“.

დაადგინეს: მიღებული იქნას ინფორმაციად აკადემიკოს როლანდ კოპალიანის მოხსენება „გლობალური კლიმატური დათბობისა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ“.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, აკადემიკოს მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების დადგენილებები გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის ლაურეატების შესახებ. 2. თითოეულ გამარჯვებულ ნაშრომზე გაცემული იქნას ფულადი პრემია 2000 ლარის ოდენობით. 3. აკადემიის ბუღალტერიამ (მთ. ბუღალტერი ეთერი ყურაშვილი) უზრუნველყოს გამარჯვებულებზე ფულადი პრემიების გაცემა.

მოისმინეს: ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ქავთარაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს შემადგენლობის განახლების შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 12 (24 დეკემბერი).

მოისმინეს: გაერთიანება „ქართული ხორბლის“ ხელმძღვანელის ლალი მესხის ინფორმაცია UNESCO-ს მიერ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის შესახებ.

დაადგინეს: 1. მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია UNESCO-ს მიერ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის შესახებ.

2. გაერთიანება „ქართული ხორბლის“ ხელმძღვანელი ლალი მესხი დაჯილდოვდეს აკადემიის მაღლობის სიგელით.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2025 წლის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2025 წლის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობა.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით და 2026 წლის დასაწყისში წარმოდგენილი იქნეს მისი საბოლოო ვარიანტი.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2026 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2026 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის უფროსის ირმა ჭყოძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

თავი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებები

3.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 9 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 1 წევრ-კორესპონდენტი.

აკადემიკოსები: გურამ ალექსიძე, ნუგზარ ბაღათურია, ვაჟა კვალიაშვილი, როლანდ კოპალიანი, გოგოლა მარგველაშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ჩანქსელიანი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ვალერიან ცანავა, რეზო ჯაბნიძე (გარდაიცვალა 2025 წლის 2 ივლისს).

წევრ-კორესპონდენტი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიზო გოგიჩაიშვილი (არჩეული იქნა 2025 წლის 17 ოქტომბერს)

განყოფილებაში 2025 წელს ჩატარდა 8 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 20 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი 2. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

მეორე სხდომა ჩატარდა 13 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი. 2. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვალერიან ცანავა. 3. გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად ჩასატარებელი კონკურსისათვის კანდიდატურის შერჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

მესამე სხდომა ჩატარდა 24 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი. 2. საქართველოში ხეხილოვანი კულტურების ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა-გამოცდა და მიღებული შედეგების შესაბამისობა ქვეყანაში ჯიშთა გაადგილების დღეს არსებულ მდგომარეობასთან. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი. 3. აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი. 4. ტარიბანას და ნატბეურის სტეპის ნიადაგების დეგრადაციის ხარისხისა და მათი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესახებ. **მომხსენებელი:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, დოქტორი გიორგი ღამბაშიძე

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის შავმიწა ნიადაგების ნაყოფიერების მართვის საკითხების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი

მეხუთე სხდომა ჩატარდა 21 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე. 2. ქართული ვაზის ჯიშების საბაზისო

მასალების წარმოების საკითხების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე. 3. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 29 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ლევან ყანჩაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების საექსპერტო კომისიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ქართულ მიწას მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება. **მომხსენებელი:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. 2. გლობალური კლიმატური დათბობისა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი. აკადემიკოს ლევან ყანჩაველის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. 4. რეცენზენტების დასკვნები აკადემიკოს ლევან ყანჩაველის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებლები:** რეცენზენტები: აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი, აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი. 5. ფარული კენჭისყრა.

მერვე სხდომა ჩატარდა 5 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა განყოფილების ჩართულობით ჩატარდა აკადემიის სხვა მეცნიერებათა განყოფილებებთან გაერთიანებული 2 საერთო კრება, კერძოდ:

1) 11 ივნისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში კანდიდატურების შესარჩევად მეცხოველეობის და ვეტერინარიის, აგრონომიულ და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრება და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია კონკურსში დაშვებული კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. კანდიდატისათვის აკადემიის საერთო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

2) 10 სექტემბერს, აგრონომიული და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის აგრონომიული და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. **მომხსენებლები:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე

კანდიდატები: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზურაბ ბუკია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიზო გოგიჩაიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი დავით მადრაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ცოტნე სამადაშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ღამბაშიძე; მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მათა კერესელიძე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან მაკარაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი კახა ნადირაძე. 3. აკადემიის აგრონომიული და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატებისათვის რეკომენდაციის ან დაშვების მიცემა (ფარული კენჭისყრა). 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება.

აღსანიშნავია, რომ აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი აქტივობა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- 24 მარტს ჩატარებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს შალვა ჭანიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. საზეიმო სხდომაზე ვრცელი მოხსენებით აკადემიკოს შ. ჭანიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ აუდიტორიის წინაშე წარსდგა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი. აღინიშნა, რომ ბატონი შალვა გახლდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მის მიერ ჩატარებულ არაერთ მნიშვნელოვან კვლევას შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა სანაწევრლო კულტურების თესვა-მოყვანის მეცნიერული საფუძვლები, თესლბრუნვის და ნიადაგის დამუშავების საკითხები, ასევე ნაშრომები: ზოგადი მიწათმოქმედება ნიადაგმცოდნეობით; სიმინდის თესვა-მოყვანის აგროკომპლექსი და სხვ.

- 17 ივნისს გაუდაზნოებასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა თემაზე: „**ნიადაგის როლი გვალვასთან ადაპტაციაში**“. მრგვალ მაგიდაზე განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა აუდიტორიას შეახსენა გაუდაზნოებასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღის დაარსების ისტორია, მისი მნიშვნელობა. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დღეს მიწების დეგრადაციასთან ბრძოლა გასცდა ერთი ქვეყნის პრობლემას და იგი გლობალური მასშტაბით უნდა იქნეს განხილული. ქალბატონი გოგოლა ასევე შეეხო საქართველოს ნიადაგების მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, წარმოადგინა მათი გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები. მრგვალ მაგიდაზე მოხსენებით: „**ნიადაგის როლი გვალვასთან ადაპტაციაში**“ მსმენელთა წინაშე წარსდგა დოქტორი გიორგი ღამბაშიძე. მან ხაზი გაუსვა ნიადაგის ორ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებზეც დიდაა დამოკიდებული ნიადაგში ტენის შენარჩუნების ხარისხი. ესენია: ნიადაგის გრანულომეტრული შედგენილობა და ნიადაგის ორგანული ნივთიერებები. აღინიშნა, რომ ყველაზე მეტად ტენი ნარჩუნდება თიხნარ და ქვიშიან-თიხნარ თიხნარებში. აქ წყლის რაოდენობა ნიადაგის ზედა 30 სმ-იან ფენაში ვარიირებს 43.75 - 62.5 ტ/ჰა-მდე. ყველაზე ნაკლებად ტენს ინარჩუნებს მსხვილ ქვიშიანი ნიადაგი - 10 - 18.75 ტ/ჰა.

- 5 დეკემბერს ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის სლოგანი გახლდათ: „**ჯანსაღი ნიადაგები-ჯანსაღი ქალაქებისთვის**“. კონფერენციაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები: 1. „**ქართულ მიწას მიწას მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება**“. მომხსენებელი: აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; 2. „**საქართველოს ნიადაგებში ნიადაგწარმოქმნის პროდუქტიულობა**“. მომხსენებელი: წევრ-კორესპონდენტი გიზო გოგიჩაიშვილი; 3. „**მიწათსარგებლობის გავლენა ნიადაგში ორგანული ნახშირბადის დაგროვებაზე შირაქის ველის შავი ნიადაგების მაგალითზე**“. მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ღამბაშიძე.

პირველ მოხსენებასთან დაკავშირებით აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ „ნიადაგის გამოფიტვა, მისი დეგრადაცია - ეს უდიდესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და, პირიქით, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლება, ესაა ძირითადი, რაზეც დგას ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოება“. შემდეგ მიმოიხილა ის ქვეყნები, სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებას, მათ შორის შეეხო ნიდერლანდებსაც, როგორც მცირემწიან ქვეყანას, სადაც განსაკუთრებით ზრუნავენ ნიადაგზე. ქალბატონმა გოგოლამ ასევე განიხილა საქართველოში ნიადაგების არსებულ მდგომარეობაც. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბოლო 35 წელია ნიადაგი სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა; არ ჩატარებულა ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი და არ გატარებულა სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია: აღდგეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში ადრე არსებული „აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სახელმწიფო სამსახური“, ჩატარეს ნიადაგების პასპორტიზაცია და სხვ.

წევრ-კორესპონდენტმა გ. გოგიჩაიშვილმა თავის მოხსენებაში ისაუბრა კოსმოგენურ იზოტოპებზე, მათი წარმოქმნის მექანიზმზე. აღნიშნა, რომ კოსმოგენური ნუკლიდების გაზომვა გვიჩვენებს თუ როდის შექმნეს ვულკანურმა აქტივობებმა რელიეფი, როდის გამოიწვია კლიმატის ცვლილებამ მყინვარების ზრდა ან კლება, რამდენად სწრაფად იშლება მთები მდინარეების ეროზიული მოქმედებით და სხვ. საქართველოს ნიადაგებში ნიადაგწარმოქმნის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით, ბატონმა გიზომ მსმენელებს წარმოუდგინა საქართველოს ტერიტორიისთვის ნიადაგწარმოქმნის წლიური ინტენსივობის გამოსათვლელი ფორმულა, რომელშიც ნაჩვენებია იყო საშუალო წლიური ტემპერატურის ($^{\circ}\text{C}$), საშუალო წლიური ნალექის (მმ) კავშირი ქანების დაწვევის სიჩქარესთან.

დოქტორი გ. ღამბაშიძე მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა: ნიადაგში არსებული ნახშირბადი და მისი დანიშნულება. ისაუბრა შირაქის ველის ძირითად მიწათსარგებლობის ფორმებზე-სახნავზე, სამოვრებსა და ქარსაფრებზე და მათში ჰუმუსის სახით არსებულ ორგანულ ნახშირბადზე. ყურადღება გაამახვილა ნიადაგში ორგანული ნახშირბადის ხანგრძლივი დროით დაგროვების ხელშემწყობი ფაქტორებზე, კერძოდ: ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოქიმიურ სტაბილიზაციაზე.

3.1.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

„აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება“ (2023-2027). ხელმძღვანელი. (საკითხი მუშავდება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).

ისწავლება აჭარაში ლურჯ მოცვზე გავრცელებული ძირითადი მავნებლები და დაავადებები. მათი ბიოეკოლოგიის თავისებურებები და მუშავდება ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები, სადაც გამორიცხული იქნება მაღალტოქსიკური ქიმიური პესტიციდების გამოყენება.

მიმდინარე წელს გამოვლენილია ლურჯ მოცვზე გავრცელებული მავნებლები და მათი ბუნებრივი მტრები. დადგენილია მეტი უარყოფითი მნიშვნელობის მავნებლები და დაავადებები. გამოცდილია მათ წინააღმდეგ მცენარეული პესტიციდების ნაზავი: ნიმი+დარიჩინი. მიღებულია მაღალი ბიოლოგიური და ეკოლოგიური ეფექტი. გამოიცადა აგრეთვე ბაქტერიული პრეპარატები ღიად მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ. დაავადებების

წინააღმდეგ კი ახალი ფუნგიციდები დადგენლი იქნა მათგან საუკეთესო მოქმედების, რომლებიც ჩაირთვება ბრძოლის ინტეგრირებულ სისტემებში. ცდები და დაკვირვებები გრძელდება.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში (საგანი, რომელსაც ასწავლით უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამების პირველ და მეორე კურსზე ისწავლებოდა საგანი: „ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები“ (ინგლისური ჯგუფები). რასაც ვკითხულობდი როგორც მოწვეული პროფესორი.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები (მიუთითეთ სტატიის სახელწოდება, ჟურნალის, კრებულის დასახელება, წელი, ნომერი).

3.1. მწერები - სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებების გამავრცელებლები - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, #2(54), გვ. 40-45. 2025. ISSN 1512-2743

3.2. ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული კვირტის ტკიპას (*Acalitus vaccinii*) წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიებების შემუშავება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში (თანაავტორობით) - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, #2(54), გვ. 47-50. 2025. ISSN 1512-2743

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

4.1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვა საქართველოში (ბროშურა, რეკომენდაცია). 2025. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, 53 გ. ISBN 978 - 9941 - 8 - 7672 - 1

მცენარეთა დაცვის თანამედროვე სტრატეგია ითვალისწინებს ბრძოლის ინტეგრირებული სისტემის განხორციელებას, რომელიც მიმართულია მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის შეკავებასთან, მავნებლების ზღვრის ქვევით, აგროცენოზების წონასწორობისა და გარემოს უსაფრთხოების ფონზე. ინტეგრირებული სისტემები ითვალისწინებს ბრძოლის ქიმიურ ღონისძიებების შეზღუდვას სხვა არაქიმიური, განსაკუთრებით კი ბიოლოგიური ღონისძიებების ფართო გამოყენებით. ასეთი სისტემის შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ მავნე და სასარგებლო ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულება: მათზე გარემო ფაქტორების მოქმედება; მათი განვითარების დინამიკა და პროგნოზირება; პესტიციდების გავლენა მავნე და სასარგებლო ორგანიზმებზე; მავნეობის ეკონომიკური ზღვრები; პესტიციდების გავლენა გარემოზე და სხვა. ეს უკანასკნელი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ხშირდ საკვებ პროდუქტებშიც კი აღინიშნება პესტიციდის ნაშთები. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხება ჩვენს მიერ გამოქვეყნებული ბროშურა.

4.2. **Wetlands: Biodiversity, Livelihood and Conservation. Wetlands of Georgia** (თანაავტორობით). გამომცემლობა „Willey“, აშშ. 2025.

წიგნის მთავარი რედაქტორია ცნობილი ინდოელი პროფესორი პულაია თამინენი (მემცენარე), რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ უკვე 5 წელია. მანამდე გამოვეცით 2 მონოგრაფია ბიომრავალფეროვნებასა და ინვაზიურ სახეობებზე, რომლებიც ასევე აშშ-ში გამოქვეყნდა.

წიგნის ძირითადი მიმართულება სათაურშივე ჩანს: ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია. ჩვენს მიერ თანაავტორობითან ერთად შეგროვებული იქნა მასალა კოლხეთის დაბლობთან დაკავშირებით (მცენარეული საფარი, სასარგებლო წიაღისეული, ცხოველების დონე და სხვ.), რაც განთავსებულია 27 გვერდზე სურათებთან ერთად.

5. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

დამუშავდა რეკომენდაციები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომელიც განხილული იქნება მიმდინარე წელს.

6. მიუთითეთ სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

- ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (აკადემიკოსი);
- ცენტრალური აზიისა და კავკასიის სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის - კაკაარის პრეზიდენტი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“-ს სამეცნიერო კოლეგიის წევრი;
- საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის ხელმძღვანელი.
- საქართველოს ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

7. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურების წოდებები და ა.შ. (მხოლოდ მიმდინარე წლის) აკადემიკოს ლევან ყანჩაველის სახელობის პრემია წიგნისთვის („მცენარეთა დაცვა“).

აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია

1. სახელმწიფო პროგრამით (ბიუჯეტით) დაფინანსებული პროექტები

1.1. ღვინის მრეწველობის ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებების გამოკვლევა, მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამალღებისა და ნედლეულის კომპლექსური და უნარჩენო გადამამუშავების მიზნით (2024-2028)

შესრულების ეტაპი (დასრულებული).

1. ორგანული მჟავების შემცველობის ცვლილებების შედარებითი გამოკვლევა ღვინის სპირტების ყურძნის დურდოსა და მუხის ტკეჩზე დავარგებისას;
2. თეთრი ყურძნის კომპლექსური გადამამუშავების ტექნოლოგიის გამოკვლევა;
3. ჭურჭლის ტიპისა და მასალის გავლენის გამოკვლევა თეთრი ღვინის ხარისხზე (ღვინის დადუღების კინეტიკის შესწავლა).

1.2. ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით (2024-2028)

შესრულების ეტაპი (დასრულებული).

1. ღვინის დისტილატების ცხიმგაცლილ წიპწაზე დავარგების პროცესის გამოკვლევა;
2. ღვინის დისტილატების გამომწვარ მუხის ტკეჩზე დავარგების პროცესის გამოკვლევა;
3. ქვევრის თეთრი ღვინისა და ჭაჭის არყის წარმოების კომპლექსური ტექნოლოგიის გამოკვლევა.

1.3. ეთერზეთოვანი მცენარეების სახედილეულო ბაზის გამოკვლევა და მათი გადამამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება, დარგის აღორძინების მიზნით საქართველოში (2024-2028).

შესრულების ეტაპი (დასრულებული).

1. ევკალიპტების სახედილეულო ბაზის გამოკვლევა და მათი გადამამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში (საგანი, რომელსაც ასწავლით უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება).

2.1. სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ვასწავლი 2 საგანს: 1) ბრენდის ტექნოლოგია (ბაკალავრიატი); 2) ეთეროვანი ზეთების წარმოების ტექნოლოგია (დოქტორანტურა);

2.2. აკრედიტაციისათვის მოვამზადე და გადავეცი განსახილველად 3 საგანმანათლებლო პროგრამა: 1) ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ინჟინერია, ტექნოლოგიები და ექსპერტიზა (ბაკალავრიატი); 2) სასმელების მეცნიერება და ტექნოლოგიები (მაგისტრატურა); 3) ღვინის მეცნიერება და ინოვაციური ტექნოლოგიები (დოქტორანტურა).

3. თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

- 3.1. სადილის პირველი კერძების კონცენტრატები - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2025, #1 (53), გვ. 47- 49. (ნ. ბაღათურია, ნ. ალხანაშვილი).
- 3.2. სადილის პირველი კერძების კონცენტრატების წარმოების შესახებ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2025, #1 (53), გვ. 50-52. (ნ. ბაღათურია, ნ. ალხანაშვილი).
- 3.3. ნაკლებად გავრცელებული თეთრი ჯიშის ვაზის ყურძნის დისტილატების გამოკვლევა - ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2025, №2(748), გვ. 46-56. (ნ. ბაღათურია, მ. ლოლაძე, გ. ბაღათურია, ლ. უჯმაჯურიძე, დ. ჩიჩუა).
- 3.4. ცოლიკოურისა და რქაწითელის ჯიშის ყურძნებისაგან მიღებული ღვინის დისტილატების გამოკვლევა - ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2025, №2(748), გვ. 56-60. (მ. ლოლაძე, ნ. ბაღათურია, გ. ბაღათურია, დ. კალატოზიშვილი).
- 3.5. ქვევრის თეთრი ღვინისა და ჭაჭის არყის წარმოების კომპლექსური ტექნოლოგიები - გვ. 43-51
- 3.6. აქროლადი და არააქროლადი ნივთიერებების შემცველობა ქართულ ღვინოებსა და ღვინის დისტილატებში - გვ. 51-57 (მ. ლოლაძე, ნ. ბაღათურია, გ. ბაღათურია, ე. კალატოზიშვილი)

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია (სახელმძღვანელო):

4.1. ნ. ბაღათურია - ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია (სახელმძღვანელო), გამომცემლობა შპს „ბენე“, 2025, 256 გვ.

ანოტაცია: განხილულია ხილისა და ბოსტნეულის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები.

4.2. ნ. ბაღათურია, ლ. ქაჯაია - საქართველოს ფლორის ეთერზეთოვანი მცენარეები და ეთეროვანი ზეთები (მონოგრაფია), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025, 212 გვ.

ანოტაცია: განხილულია ეთერზეთოვანი მცენარეების ქიმია, ტექნოლოგია, და ექსპერტიზა.

4.3. ნ. ბაღათურია, ე. უთურაშვილი - ხილისა და ბოსტნეულის შენახვა (მონოგრაფია), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025.

ანოტაცია: . განხილულია ხილისა და ბოსტნეულის შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიები.

5. ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა ჩვენს მიერ წარდგენილი გრანტი: „ყურძნის კომპლექსური და უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიური ხაზის - დანადგარ-მოწყობილობების - შერჩევა“

6. სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ - რედკოლეგიის წევრი

7. გამოგონება, პატენტი (მხოლოდ მიმდინარე წლის).

გაკეთდა 4 განაცხადი პატენტზე:

1. ხორბლისა და ყურძნის ალკოჰოლიანი სასმელის მიღების ხერხი (საქმის ნომერი 16723/1);
2. თეთრი ვისკის მიღების ხერხი (საქმის ნომერი 16712/1);
3. დიაბეტური უალკოჰოლო სასმელების მიღების ხერხი (საქმის ნომერი 16722/1);
4. ანტიოქსიდანტური პურის მიღების ხერხი (საქმის ნომერი 16723/1).

აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი

ხეხილის სელექცია

თემა 1. სხვადასხვა სიმწიფის პერიოდის, მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი, ამადლებული გამძლეობის და სასაქონლო ღირებულების, კონკურენტუნარიანი სასუფრე, საკონსერვო და უნივერსალური მიმართულების ატმის ჯიშების გამოყვანა.

სამუშაო სრულდება 1950 წლიდან გორის მუნიციპალიტეტში:- ქ. გორში (სახლის ეზოში) და ს. წედისში: - საკუთარ ბაღში და 2018 წლიდან (დამატებით) - დ. წიქარიძის ფ./მეურნეობაში

(ს. ატენში) აგრონომ მ. წიქარიძის მონაწილეობით. მისი დახმარებით ფ/მეურნეობაში გამოიჩინა მაღალხარისხოვანი საკონსერვო ატმის 3 ფორმა, რომლებიც გაზაფხულზე გამრავლდება.

მუშაობაში გამოყენებულია: ატმის (და ნექტარინის) ქართული (აბორიგენული, ჰიბრიდული) და ინტროდუცირებული სასუფრე და სამრეწველო ჯიშები. კვლევა ტარდება ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდით.

ატმის 80 ჰ/თესლნერგი, რომლებიც გორშია აღმოცენებული, გაზაფხულზე დაირგება ს. წედისის ბაღში და გაგრძელდება კვლევა.

თემა 2. ვაშლის ჯიშის „ივერიის“ ნაყოფის მორფოლოგიური ნიშან-თვისებების გაუმჯობესება და ვაშლის ახალი ჯიშების გამოყვანა ჰიბრიდიზაციის და კლონური სელექციის მეთოდების გამოყენებით

საანგარიშო პერიოდში ყურადღება გამახვილდა ვაშლის მსხმოიარე (წედისში) ჰ/თესლნერგების და ახალი ნათესარების (გორში) ზრდა-განვითარებასა და მოვლაზე.

ჰ/ვაშლის რამდენიმე მცენარე მეტად უხვი და გემრიელი ნაყოფებით ხასიათდება.

ვაშლის ჯიშების: ივერია X აიდარედის ნაჯვარი ჰიბრიდის ნაყოფი ორივე მშობელის დადებით ნიშან-თვისებებს მოიცავს. შესწავლა-გამოცდა გრძელდება.

ვაზის სელექცია

1. თბილისის საგარეუბნო და საკურორტო ზონისათვის პერსპექტიული სასუფრე და საღვინე ყურძნის ახალი ჯიშების გამოყვანა

ძირითადი სამუშაო მეთოდი: 1. ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაცია

სამუშაო ობიექტები: ადგილობრივი (აბორიგენული, ჰიბრიდული) და ინტროდუცირებული სასუფრე და საღვინე ყურძნის ჯიშები.

ა/. ჰიბრიდიზაციაში მონაწილე ვაზის ჯიშების: - ანანასურის, სუფრის გორულას, ასურეთული შავის, სეივ-ვილარის¹²⁻³⁷⁵, მოლდოვას და თავკვერის - ბოტანიკური ნიშან-თვისებების შვილეულ ჰ/თაობაში მემკვიდრულობის ხასიათის გასარკვევად, საწყისი ჯიშების და ჰიბრიდული თესლნერგების (ასურეთული შავი X მოლდოვა, თავკვერი X მოლდოვა, ასურეთული შავი X სეივ-ვილარი¹²⁻³⁷⁵, ანანასური X სუფრის გორულა) შერჩეულ ფორმებზე გაგრძელდა ბოტანიკური ნიშან-თვისებების აღწერა და დაკვირვება

გაზაფხულზე ჰიბრიდული ვაზის 35 ძირი გაშენდა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე კასპის რაიონის ს. ოკამში, პროფ. დ. მალრაძის ხელმძღვანელობით.

საანგარიშო პერიოდში მეხილე კოორდინატორებს გამოქვეყნებული გვაქვს 4 შრომა:

1. ბობოქაშვილი ზვიადი, მაღლაკელიძე ელენე, კვალიაშვილი ვაჟა, კაკაშვილი ვანო, ციგრიაშვილი ლაშა, ვახტანგაშვილი მარიკა - საქართველოს ვაშლის (*Malus domestica* Borkh.) ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების სორტიმენტი - განვითარების ისტორიული ეტაპები და მიმდინარე გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22-24 მაისი, 2025წ. თბილისი, საქართველო

2. ბობოქაშვილი ზვიადი, მაღლაკელიძე ელენე, კვალიაშვილი ვაჟა, კაკაშვილი ვანო, ციგრიაშვილი ლაშა, ვახტანგაშვილი მარიკა - ვაშლის (*Malus domestica* Borch) ინტროდუცირებული ჯიშის „ჩელენჯერი“ დახასიათება, ქართული მეცნიერები, ტომი N2. 2025
1.Global Climate Challenges - Elements of Mitigation Measures for Sustainable Production of Georgian Fruits - Bobokashvili Zviadi, Maghlakelidze Elene, Kvaliashvili Vazha -Journal of science. Lyon №55 2025
2.Characterization of introduced Varietiy “Weiki” (*Actinidia argunta* Planch) in Georgia - Bobokashvili Z, Maghlakelidze E, KvaliaSvili V.- International Scientific o Conference “ genetics, Physiology and Plant briding (VII –th Edition),pp: 491-495. 2025

აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი

1. სამეცნიერო თემის დასახელება:

1.1. „სელექციური მეთოდების გამოყენებითა და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებული მართვით გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე ციტრუსოვანთა ახალი ფორმების მიღება და გამორჩევა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის“. (აწსუ აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი);

1.2. იტალიიდან ინტროდუცირებული თხილის ჯიში „ტონდა ჯიფონის“ ბიომორფოლოგიური და აგროტექნიკური თავისებურებების შესწავლა აჭარის რეგიონში“. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

1.3. „ფიზალისის (*physalis peruviana*) მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლა შიდა ქართლის პირობებში“. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიჰყავს ლექციების კურსი შემდეგ საგნებში:

2.1. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა

2.2. აგროეკოლოგიის აქტუალური პრობლემები

2.3. მეჩაიეობა;

2.4. ტექნიკური კულტურები;

2.5. სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგია.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. კოპალიანი რ. ყიფიანი ნ. კაპანაძე შ. - ციტრუსოვან მცენარეთა ჰიბრიდულ თესლნერგებში ნიადაგის ზედაპირის მართვის ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლის შედეგები - მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო - მეთოდური კონფერენცია „გეოპოლიტიკა, ბუნებისმეტყველება, ჯამრთელობა და სპორტი“. შრომათა კრებული, საქართველო, თბილისი. 2025 წ.

3.2. კინწურაშვილი ქ., ფრუიძე მ., ჩაკვეტაძე შ., კოპალიანი რ., სესიკაშვილი თ. - შრობის ხვადასხვა მეთოდით მიღებული ქართული შავი ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები.“ შრომათა კრებული, ქუთაისი. 2025 წ. გვ: 235-240.

3.3. სესიკაშვილი თ., კინწურაშვილი ქ., ფრუიძე მ., ჩაკვეტაძე შ., კოპალიანი რ. - ქართულ შავ ჩაიში არმატული ნივთიერებების ცვლილების კვლევა ინფრაწითელი სხივებით შრობის დროს - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები.“ შრომათა კრებული, ქუთაისი. 2025 წ. გვ: 260-266.

3.4. Roland Kopaliani*, Nino Kipiani*, Shorenna Kapanadze*, Julieta Sanikidze – „Some Aspects of Growth and Development of Hybrid Citrus Seedlings Obtained through Distant Hybridization“- სმე აკადემიის ჟურნალი „მომბე“ ISSN - 0132 – 1447. ტომი 19, N 2. 2025 წ. გვ: 136-141

3.5. გ. დათუნაიშვილი, რ. კოპალიანი - აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი ადგილობრივი და ინტროდუცირებული თხილის ჯიშების მორფო-ბიოლოგიური თავისებურებანი. სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მომავლის მეცნიერები“. აწსუ. ქუთაისი, 2025 წ. გვ. 40-47

3.6. Dumbadze, G., Mikeladze, L., Kopaliani R., ChaChkhiani-Anasashvili, N., & Nelson, W. - Sustainable cabbage production in Kenya using Obliga Bonacraft-biofertilizer. Proceedings of the 24th International Multidisciplinary Scientific GeoConference SGEM 2025, 24(6.2), 103–112

3.7. Roland Kopaliani, Shorenna Kapanadze, Vakhtang Kobalia, Nino Kipiani - Correlation of genetically determined traits and properties of noble laurel (*Laurus nobilis* L.) with its productivity in the conditions of Western Georgia. - International Conference“Scientific research of the SCO countries: synergy and integration”Part 1August 14, 2025. Beijing, PRC

4. სადოქტორო დისერტაციების და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

4.1. მზევინარ შალამბერიძე - ალუვიური ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების გზები თხილის პლანტაციაში სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი

4.2. ირმა ღორჯომელაძე - მანდარინის ინტროდუცირებული ზოგიერთი საადრეო ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა აჭარის რეგიონის პირობებში - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.3. ნინო დეკანოიძე - ნუშის (*Prunus amygdalus*) ინტროდუცირებული ჯიშების გავრცელების პერსპექტივების გამოკვლევა აგროეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოში - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.4. დავით კილაძე - თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსის გამწვანება-განაშენიანების აგროტექნოლოგიური საფუძვლების შემუშავება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.5. ნატალია ჯინჭარაძე - მიტოვებული ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია და შემდგომი აგროტექნოლოგია იმერეთის რეგიონის მაგალითზე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.6. კაპანაძე შორენა - კეთილშობილი დაფნის - (*Laurus nobilis L.*) აგროტექნოლოგია და გენეტიკურად დეტერმინირებული ნიშან-თვისებების კორელაცია მის პროდუქტიულობასთან - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.7. ოჩხიკიძე იზა - იაპონური კამელიას ზრდა-განვითარების თავისებურებანი და მწვანე კალმებით გამრავლების საკითხები იმერეთის პირობებში - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო - მეთოდური კონფერენცია „გეოპოლიტიკა, ბუნებისმეტყველება, ჯამრთელობა და სპორტი“ - ციტრუსოვან მცენარეთა ჰიბრიდულ თესლნერგებში ნიადაგის ზედაპირის მართვის ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლის შედეგები. 2025 წ, საქართველო.

5.2. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ - შრობის ხვადასხვა მეთოდით მიღებული ქართული შავი ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი. 2025 წ, საქართველო.

5.3. სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მომავლის მეცნიერები“ - აჭარაში გავრცელებული ზოგიერთი ადგილობრივი და ინტროდუცირებული თხილის ჯიშების მორფო-ბიოლოგიური თავისებურებანი. 2025 წ, საქართველო.

5.4. Proceedings of the 24th International Multidisciplinary Scientific GeoConference- Sustainable cabbage production in Kenya using Obliga Bonacraft.- biofertilizer. SGEM 2025

5.5. International Conference“Scientific research of the SCO countries: synergy and integration”- Correlation of genetically determined traits and properties of noble laurel (*Laurus nobilis L.*) with its productivity in the conditions of Western Georgia. 2025. Beijing, PRC

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1. გრანტი FR-24-652 „ახალი ტექნოლოგიური პარამეტრებით მიღებული სარეალიზაციო ქართული შავი ჩაის არომატული ნივთიერებების ოპტიმიზაცია“. - მკვლევარი.

6.2. USAID/REAP - პროექტი „გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის“ - ტრენერი

7. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

7.1. მოხსენება - „გლობალური კლიმატური დათბობა და მისი უარყოფითი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე საქართველოში“. 21.11.2025 წ.

8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

8.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

8.2. ხუთი სახელმძღვანელოს რეცენზენტი;

8.3. რვა საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი;

8.4. საზოგადოება „ქუთაისელი“- ის წევრი

8.5. ქუთაისის საპატიო მოქალაქე

9. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

9.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი.

9.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

9.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი;

10. საკითხები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე

10.1. მეჩაიეობა და მეციტრუსეობა- სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები.

10.2. საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა, რისკები და გამოწვევები.

10.3. სელექციური მეთოდების გამოყენებითა და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებული მართვით გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე ციტრუსოვანთა ახლი ფორმების მიღება და გამორჩევა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.

აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

ვარ აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. ჩემი ხელმძღვანელობით 2025 წელს განყოფილებაში ჩატარდა 8 სხდომა. პირველ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 20 იანვარს განყოფილების წევრებს მივაწოდე ინფორმაცია: 1. განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ და 2. პირადად, ჩემს მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პირადად ჩემი ხელმძღვანელობით და ორგანიზებით აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი აქტივობა, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიება:

- 24 მარტს ჩატარებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს შალვა ჭანიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი. საზეიმო სხდომაზე აუდიტორიის წინაშე გამოვედი ვრცელი მოხსენებით - „აკადემიკოს შ. ჭანიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ“. აღინიშნა, რომ ბატონი შალვა გახლდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მის მიერ ჩატარებულ არაერთ მნიშვნელოვან კვლევას შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სანაწევრალი კულტურების თესვა-მოყვანის მეცნიერული საფუძვლები, თესლბრუნვის და ნიადაგის დამუშავების საკითხები, ასევე ნაშრომები: ზოგადი მიწათმოქმედება ნიადაგმცოდნეობით; სიმინდის თესვა-მოყვანის აგროკომპლექსი და სხვ.

საანგარიშო წლის 17 ივნისს ვუხელმძღვანელებ მრგვალი მაგიდის ჩატარებას, რომელიც მივუძღვენით „გვალვასთან და გაუდაზნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნას, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დააწესა 1994 წელს. სწორედ ამ დღეს მიიღო გაერომ კონვენცია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციამ და მასში შემავალმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან გარემო ამ ნეგატიური მოვლენისაგან და დააფინანსონ საჭირო პრევენციული პროგრამები.

ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის ხმელეთის ტერიტორიის მეოთხედი უდაბნოდ გადაქცევის საფრთხის ქვეშ დგას.

მრგვალი მაგიდის სხდომაზე გამოვედი მოხსენებით თემაზე: „**ნიადაგის როლი გვალვასთან ადაპტაციაში**“. ყურადღება გავამახვილე იმის შესახებ, რომ აგრონომიული განყოფილების ინიციატივით აკადემიაში უკვე მრავალი წელია აღინიშნება გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. აუდიტორიას შევახსენე გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღის დაარსების ისტორია, მისი მნიშვნელობა. ხაზი გავუსვი იმ ფაქტს, რომ დღეისათვის მიწების დეგრადაციასთან ბრძოლა გასცდა ერთი ქვეყნის პრობლემას და იგი გლობალური მასშტაბით უნდა იქნეს განხილული. ჩემი მოხსენების ფარგლებში ასევე შევეხე საქართველოს ნიადაგების მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და გამოწვევებს. წარმოვადგინე წინადადებები მათი გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

- ორგანიზაცია გაუკეთე 5 დეკემბერს ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციას, რომლის სლოგანი გახლდათ: „**ჯანსაღი ნიადაგები-ჯანსაღი ქალაქებისთვის**“. კონფერენციაზე გამოვედი მოხსენებით: „**ქართულ მიწას მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება**“.

მოხსენებაში ხაზგასმით აღვნიშნე იმის შესახებ, რომ „ნიადაგის გამოფიტვა, მისი დეგრადაცია - ეს უდიდესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და, პირიქით, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლება, ესაა ძირითადი, რაზეც დგას ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოება“.

შემდეგ მიმოვიხილე იმ ქვეყნების მდგომარეობა სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებას, მათ შორის შევეხე ნიდერლანდებსაც, როგორც მცირემიწიან ქვეყანას, სადაც განსაკუთრებით ზრუნავენ ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებაზე. ასევე, განვიხილე საქართველოში ნიადაგების არსებული მდგომარეობაც. ხაზი გაუსვი იმ ფაქტს, რომ ბოლო 35 წელია ნიადაგი სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა; არ ჩატარებულა ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი და არ გატარებულა სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია: აღდგეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში ადრე არსებული „აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სახელმწიფო სამსახური“, ჩატარდეს ნიადაგების პასპორტიზაცია და სხვ.

გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

1. გ. მარგველაშვილი - ქართულ მიწას მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის: „**ჯანსაღი ნიადაგი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის**“, შრომათა კრებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2025 წ., გვ. 36-40

რეცენზია გავაკეთე: სრულ ანგარიშებზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის:

- მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის.
- ბიოაგროწარმოების სამსახურის და
- ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის 2024 წლის სრულ ანგარიშებზე.

ვთანამშრომლობ:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტთან. ხშირად ვარ სადისერტაციო ნაშრომების შემფასებელი - რეცენზენტი. საანგარიშო წელს ვიყავი დისერტანტი - მზევიანარ შალამბერიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი.

ვარ: ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი და ვმონაწილეობ მის საქმიანობაში.

ბ) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

გ) ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „მოამბე“ და სამეცნიერო საინფორმაციო ჟურნალის - „აგრარული საქართველო“ რედკოლეგიის წევრი და ვინაწილეობ მათ მუშაობაში.

დ) ს/მ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ეროვნული კოორდინატორი და ექსპერტი აგროქიმია - ნიადაგმცოდნეობის დარგში.

კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და აღმავლობას:

1. ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დაუმუშავებელი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ნიადაგების ნაწილი ზოგი დამლაშებულია, ზოგი ეროზირებული, დაჭაობებული, ძლიერ მჟავე, ზოგი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული და ა.შ.; ასეთი ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე მიწაზე მფლობელობის მიუხედავად სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

2. მიწის ფონდის მოწესრიგების მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება მომზადდეს და წარმატებით განხორციელდეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „მარცვალი“, რომელიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სამირკველია.

3. აღდგენილ იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადრე არსებული „აგროქიმიის და ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სამსახური“ თავისი სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიებით, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პერიოდულად - ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ჩაატარებენ ნიადაგურ - აგროქიმიურ გამოკვლევებს; განსაზღვრავენ ნიადაგის ნაყოფიერების დონეს და ყოველი კონკრეტული სავარგულისთვის შეადგენენ რეკომენდაციებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის.

4. ზემოთ აღნიშნული ამ ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემის წარმატებით გადაჭრა მეცნიერების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია აღდგენილ იქნეს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მ.საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მეცნიერთა ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში.

ასეთი - ერთმანეთთან ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებული 2 სტრუქტურა არსებობს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის როგორც მაღალგანვითარებულ, ისე, განვითარებად ქვეყნებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში დღემდე შენარჩუნებულია ორივე ეს სტრუქტურა. ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში სადაც გაუქმდა იგი საქართველოა.

5. ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალი-ფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყანას ყავდეს ნიადაგმცოდნეები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე მზადდებოდნენ სპეციალისტები ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმიის მიმართულებით.

საქართველოში ყოველ მუნიციპალიტეტს უნდა ჰყავდეს 3 - 4 ნიადაგმცოდნე-აგროქიმიკოსი, რომლებიც უხელმძღვანელებენ სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიის მიერ გადაცემული რეკომენდაციების პრაქტიკულ განხორციელებას მუნიციპალიტეტის ყოველ კონკრეტულ სავარგულზე.

6. უდიდესი საქმე გაკეთდა 2014 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან სსიპ „სოფლის მეურნეობის ცენტრის“ შექმნით. ცენტრში ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია „ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახური“, რომელიც დაკომპლექტებულია

მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ლაბორატორიაც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. მაგრამ, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე იგი ვერ შეასრულებს დარგობრივი ინსტიტუტის ფუნქციებს.

აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე

1. სამეცნიერო-კვლევითი თემა

1.1. ქართული ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოლეკულურ გენეტიკური მეთოდებით კვლევა - **ხელმძღვანელი**

1.2. ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა. ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა, გამოყენების პოტენციალი - **ხელმძღვანელი**

1.3. მზის მაღალი რადიაციის ნეგატიური მოქმედება ვაზის ფოტოსინთეზურ აპარატზე და კაოლინი, როგორც დამცავი საშუალება - **ხელმძღვანელი**

1.4. ქართული კულტურული ვაზის ჯიშების საბაზისო სამყნობი მასალების წარმოება ეკრანული(სკრინჰაუსი)სათბურის პირობებში - **ხელმძღვანელი**

1.5. საქართველოში გავრცელებული ევროპული გარეული ღორის კავკასიური პოპულაციის (*Sus scrofa attila L.*) გენეტიკური მრავალფეროვნების კვლევა - **თანახელმძღვანელი**

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; მევენახეობა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) პროფესორი

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

2.1. L. Ujmajuridze, at. Phytoplasmas associated with grapevine yellows in Georgia, South Caucasus; Phytopathogenic Mollicutes An International Journal on Phytoplasma, Spiroplasma and other Phloem-limited Plant Pathogens; Volume 15 • Number 2 • December 2025; Print ISSN : 2249-4669 ; Online ISSN : 2249-4677

2.2. ლ. უჯმაჯურიძე და სხვ. - ბიოხორბლის წარმოება და მისი უპირატესობები; ჟურნალი „აგრარული საქართველო“ #3 (150) მარტი, 2025; ISSN1987-8729

2.3. ლ. უჯმაჯურიძე - ვაზის ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგია, თბილისი, REC, 2025

4. სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - სადოქტორო თემა მევენახეობაში - ხელმძღვანელი, მიმდინარე;

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: 2 სამაგისტრო ნაშრომი მევენახეობაში, დასრულებული.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. მსოფლიოს თესლის გლობალურ საცავში ქართული მცენარეთა კულტურების თესლის ნიმუშების განთავსება, ნორვეგია, შპიცბერგენი;

5.2. „ქართული ხორბლის ახალი რეალობა“ - სამეცნიერო კონფერენცია, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ ჯიდაურა;

მსოფლიოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (FAO):

5.3. მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ხელშეკრულების მმართველი კომიტეტის სხდომა-პერუ, ლიმა

5.4. რეგიონალურ შეხვედრა, უნგრეთი, ბუდაპეშტი

5.5. პანელური დისკუსია, იტალია, რომი

მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოპერირებული პროგრამა (ECPGR):

5.6. რეგიონალური შეხვედრა, თურქეთი, ანკარა

თემები: - საქართველოში მცენარეთა გენეტიკური რესურსების მდგომარეობა და არსებული გამოწვევები;

- საქართველოს გამოცდილების გაზიარება მცენარეთა გენეტიკური რესურსების გაცვლის კუთხით.

5.7. გაერთიანებული ერების განათლების მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) სახელმწიფოთაშორის სამთავრობო კომიტეტის მე-20 სესია:

თემა „ქართული ხორბლის კულტურა: რიტუალები და ტრადიციები“- აღიარებული და შეტანილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში.

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. (ხელმძღვანელობა ან მონაწილეობა)

6.1. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას FAO-ს გრანტი: „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და in-situ/on farm and ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“ (პროექტის ხელმძღვანელი)

6.2. თხილის ბაქტერიული (*Xanthomonas arboricola*, *Pseudomonas avellanae*) და ვირუსული (APMV, PNRSV) ინფექციების კვლევა სეროლოგიური (ELISA), მოლეკულური (PCR, LAMP) მეთოდებით, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და ფერმერთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა (STEM-22-834 პროექტის ხელმძღვანელი) დასრულდა 2025 წ.

7. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

- მონაწილეობა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში;

- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო მკვლევითი ცენტრის წლიური ანგარიშის წარდგენა;

- პრეზიდენტზე გამოტანილი საკითხების ირგვლივ დისკუსიებში მონაწილეობა.

8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

8.1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო მკვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე;

8.2. საერთაშორისო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე;

8.3. ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, სარედაქციო კოლეგიის წევრი.

9. გამოგონება, პატენტი

2 გამოგონება, გაცემულია მოწმობები

10. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

10.1. საქართველოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ხელშეკრულების საკონტაქტო პირი (FAO).

10.2. გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტის „აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში“- ექსპერტი.

10.3. კონფერენციების, სადემონსტრაციო დღეების, ლექცია-სემინარების, სწავლებების ორგანიზება და პრაქტიკული რეალიზება ადგილზე და რეგიონებში

11. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდენტის სხდომებზე და სხვ.

11.1. მცენარეთა თესლის შესანახი ეროვნული გენეტიკური ბანკის დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხები;

11.2. მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოპერირებული პროგრამის (ECPGR) სამეთვალყურეო კომიტეტის სხდომის საქართველოში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, ჩატარების საკითხები;

11.3. ზოგიერთი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის მიკროზონებთან დაკავშირებული დასაზუსტებელი საკითხები - „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“ .

აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი

1. **სამეცნიერო-კვლევითი თემა:** „საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია) (ხელმძღვანელი)

თემის მიზანი:

* საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა, შეფასება და შესაბამისი გეომონაცემთა ბაზის შექმნა ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის საერთაშორისო თანამშრომლობის სამდივნოს (GSP) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

* ნიადაგის შესახებ საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების (NCDI) პროექტის და ნიადაგის მსოფლიო საინფორმაციო სისტემის GLOSIS მოთხოვნების შესაბამისად.

* ნიადაგის ციფრული კარტოგრაფირება.

2025 წელს შესრულებული სამუშაოები:

* ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში გამოკვლეულია ნიადაგი 30 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების ფართობზე.

ტერიტორიაზე საიდანაც აღებული და ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილია ნიადაგის ნიმუში.

* შედგენილია 1 : 200 000 მასშტაბის ნიადაგის თემატური რუკები გამოკვლეული 30 ათასი ჰა ფართობისათვის.

* გამოკვლეული ფართობებისთვის შედგენილია ნიადაგის ძირითადი მახასიათებლების ამსახველი 5 ციფრული რუკა და შემუშავდა 200-ზე მეტი რეკომენდაცია საშემოდგომო მარცვლოვნების და ვაზის კულტურის ქვეშ ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების შესახებ;

* შესწავლილია ნიადაგის ნაყოფიერების მდგომარეობა და დეგრადაციის ხარისხი შერჩეულ ფართობებზე ბოლნისის, დედოფლისწყაროს, მარტვილის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ოზურგეთის, ქობულეთის, ახალალაქის ნინოწმინდას და ასპინძის მუნიციპალიტეტებში;

* საველე და ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე განახლდა ნიადაგის ელექტრონული მონაცემთა ბაზა.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

2.1. ღამბაშიძე გ., გონაშვილი ლ., ჯოლოხავა თ., კენჭიაშვილი ნ., თარხნიშვილი მ., მესხი თ., ცეცხლაძე თ, ჩანქსელიანი ზ. - მიწათსარგებლობისა და ნიადაგის თვისებების გავლენა ნახშირბადის დაგროვებასა და სტაბილიზაციაზე მშრალ აგროეკოსისტემებში, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის: „ჯანსაღი ნიადაგი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“, შრომათა კრებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2025 წ., გვ.63-67

3. აკადემიის საქმიანობაში მონაწილეობა

3.1. აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მოამბე“-ს სარედაქციო- სამეცნიერო საბჭოს წევრი.

3.2. კოორდინატორი ფერმერთა საკონსულტაციო საკითხებში „აგროეკოლოგიაში“.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

2025 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობას ვაგრძელებდი მევენახეობა-მელვინეობის როგორც სამეცნიერო, ასევე საწარმოო მიმართულებით კონსულტანტის თანამდებობაზე. ვარ საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, კოორდინატორი - მევენახეობა - მელვინეობის მიმართულებით.

თანამშრომლობას ვაგრძელებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მოქმედ სამეცნიერო საბჭოსთან.

განხორციელებული სამუშაოების პარალელურად, ვმუშაობ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორცაა ქვეყანაში ვენახების გაშენების, სარგავი მასალით უზრუნველყოფის პრობლემები და სხვ.

ვაზის მოვლა-მოშენების საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციას ვუწევ „შპს“ „ჩაილურის“ მეწარმეს, ზურაბ მჭედლიშვილს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს.

კონსულტანტის სტატუსით ვთანამშრომლობ მევენახეობის სფეროში „შპს“ ხარებასთან“. დღეის მონაცემებით, კომპანიის ვენახის ფართობმა 1500 ჰა-ს გადააჭარბა, წარმოებული პროდუქცია 6-7 ათას ტონას აღემატება; ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ კომპანია, მეღვინეობის მიმართულებით იყენებს თანამედროვე გადამამუშავებელ სხვადასხვა ტექნოლოგიური ხაზს.

მისასალმებელია ისიც, რომ ღვინის კომპანია „ხარება“, აქტიურად თანამშრომლობს მეცნიერებასთან; ერთობლივად ჩატარებული სამუშაოების შედეგად, კახეთსა და იმერეთში გაშენდა ვაზის საკოლექციო ნაკვეთები, სადაც წარმოდგენილია 300-300 ძირი ვაზის ჯიშები. იგი მზად არის მეცნიერული კვლევებისათვის და ტურიზმისათვისაც.

საანგარიშო 2025 წელი გამორჩეულია ახალგაზრდა კადრებისა და დაინტერესებულ პირთა, მათ შორის სტუდენტების ჩართულობით.

თანამშრომლობას ვაგრძელებ თელავის მუნიციპალიტეტში, მევენახეობა-მეღვინეობის თელავის საცდელი სადგურის აპრატთან.

სამეცნიერო-კვლევით სფეროში კონსულტაციებს ვუწევდი ადგილწარმოშობის დასახელების პერსპექტიული მიკროზონების კომპლექსურ გამოკვლევას. ყურადღება იყო გამახვილებული რაჭა-ლეჩხუმის მიკროზონებზე. წარმატებული მუშაობის შედეგად რეგისტრირებული იქნა ოთხი დასახელების მიკროზონა; მ.შ. საყურადღებო იყო ტვიშის ტერიტორიის გაფართოება; რეგისტრირებულია უსახელოურის და ორბელური-ოჯალემის მიკროზონები.

აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

1. თემის დასახელება: “**სუბტროპიკული კულტურების წარმოების ინტენსიფიკაცია, განოყიერების სისტემის სრულყოფა**” - თემის ხელმძღვანელი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია მცენარეების საკვები ელემენტებით უზრუნველყოფასთან, რასაც არეგულირებს განოყიერების სისტემა. არასწორი, არადროული ან ჭარბი რაოდენობა სასუქებისა, ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას, არღვევს საკვები ელემენტების ბუნებრივ ბალანს, ცალკეული ელემენტების გლობალურ ციკლს. ყოველივე ამან იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ აუცილებელი ხდება ნიადაგდამცავი, რესურსდამზოგავი სისტემების დამუშავება. ჩვენს პირობებში აქტუალური ამოცანაა ნიადაგების (პირველ რიგში ჩაით დაკავებული) დაცვა შემდგომი დამჟავებისაგან.

საანგარიშო წელს კომპლექსური, რთული სასუქები იცდებოდა კივისა და მოცვის ბაღებში. ცდაში გამოყენებული იყო თხევადი კომპლექსური სასუქები, ერთჯერადი დოზა კივის შემთხვევაში N 50 კგ/ჰა შეადგენდა, ხოლო მოცვის შემთხვევაში 70 კგ/ჰა. გამოყენებული იყო „ევროქიმის“ მიერ წარმოებული თხევადი რთული სასუქები, თორმეტჯერადი შესხურება სეზონის განმავლობაში იცვლებოდა დეკადების მიხედვით სასუქებში შეფარდება ელემენტების, ძირითადად შეფარდება (N:P:K) აქტინიდა (კივი) შემთხვევაში იყო 20:20:20, ხოლო მოცვის შემთხვევაში ძირითადი შეფარდება იყო 18:18:18 გაზაფხულის გამოკვებებში თხევად რთულ სასუქს ემატებოდა მიკროელემენტები.

თხევადი რთულ სასუქებთან მუშაობისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის რომ ეს სასუქები მჟავე ნიადაგებზე (წითელმიწები) კარგად შეითვისება თუ ის მიიღება ორთოფოსფორმჟავისგან. ნიადაგში ფოსფორის დაბალი საწყისი კონცენტრაციით სასუქი სადაც შეფარდება N:P:K არის 1:1:1 სასუქი მოქმედებს სუსტად. ის უფრო ეფექტურია თუ შეფარდება N:P არის 1:4,5 ან 1:3.

2025 წლის მონაცემებით მოცვის მოსავალი საკონტროლო ვარიანტზე არსებული განოციერების სისტემა შეადგენდა ჰექტარზე გადაანგარიშებით 14965 კგ/ჰა, 2. თხევადი კომპლექსური სასუქები N:P:K 20:20:20 ძირითადი, გამოკვებისას 13:40:13, 6:14:35 (ორ-ორი გამოკვება) მოსავალი შეადგენს 19684 კგ/ჰა, 3. კომპლექსური სასუქები 18:18:18 ძირითადი და 6:14:35, 17902.2 კგ/ჰა.

აქტინიდია (კივი) საკონტროლო ვარიანტი - ერთ მცენარეზე გაანგარიშებით: 17,1 კგ მე-2 ვარიანტი ძირითადი 18:18:18, ორ-ორი გამოკვება 13:40:13 და 6:14:35 - 22,8 კგ/ხეზე; 3. ძირითადი ორ-ორი გამოკვება 13:40:13- 20.2 კგ.

3. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

3.1. საერთაშორისო კომპანია **Euro Chem** - ის მიერ დაფინანსებული პროექტი - “სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ (კივი (აქტინიდია), ლურჯი მოცვი) ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა და მიღებულ შედეგებზე სწავლება-სემინარების ჩატარება“ (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი);

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა - აკადემიკოსი ვალერიან ცანავა არის ჟურნალ „კვალის“ რედკოლეგიის წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიზო გოგიჩაიშვილი

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

1.1. საქართველოს კლიმატური რუკის შექმნა საერთაშორისოდ მიღებული მეთოდის შესაბამისად.

თემის მიზანი: შეიქმნას საქართველოს კლიმატური რუკა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თემის აქტუალურობა: საქართველოში სხვადასხვა პერიოდში გამოშვებულია სხვადასხვა მასშტაბის რუკები. მიზანშეწონილია საერთაშორისოდ მიღებული კლიმატის კლასიფიკაციის შემოღება საქართველოში.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები (მიუთითეთ სტატიის სახელწოდება, ჟურნალის, კრებულის დასახელება, წელი, ნომერი).

2.1. გ. გოგიჩაიშვილი, გ. ჯაფარიძე - ევაპოტრანსპირაცია საქართველოს ტყეებიდან - ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის: „ჯანსაღი ნიადაგი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“ შრომათა კრებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2025 წ., გვ. 7-24

3. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო (მიუთითეთ მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს დასახელება, გამომცემლობა, წელი). წარმოადგინეთ მოკლე ანოტაცია (5-6 პუნქტი).

3.1. Land Use. Chapter 6 in the book: “The Soils of Georgia”.*Springer Publishing, Inc. New-York, 2019, Frankfurt; p.p. 125-134. ISBN 978-3-030-18508-4; L. Machavariani (Edit.)

Soil Erosion. Chapter 7 in the book: “The Soils of Georgia”. *Springer Publishing, Inc. New-York, 2019, Frankfurt; p.p. 135-151. ISBN 978-3-030-18508-4; L. Machavariani (Edit.)

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს ნიადაგების გენეზისი და კლასიფიკაცია. ასევე განხილულია მიწის გამოყენების სტრუქტურა 1927 წლიდან 1985 წლამდე. მოცემულია

დამუშავებულ მიწებზე ნიადაგის ეროზიის გამოვლინების საპროგნოზო საშუალო წლიური დანაკარგი.

ნაშრომი წარდგენილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაჯილდოებული იქნა აკადემიის პრემიით გარემოს დაცვის მიმართულებით.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა. მიუთითეთ ქვეყანა, დრო და ა.შ. ძირითადი თემა, თქვენი მოხსენების დასახელება.

4.1. 2025 წლის 5 დეკემბერს მონაწილეობა მივიღე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ნიადაგის საერთაშორისო დღესთან გამართულ კონფერენციაში, წარმოვადგინე მოხსენება - „საქართველოს ნიადაგებში ნიადაგწარმოქმნის პროდუქტიულობა“.

5. მიუთითეთ სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, აკადემიის პრეზიდენტის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

5.1. ვარ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახ. უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს გეოგრაფია“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

3.2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 1 წევრ-კორესპონდენტი.

აკადემიკოსები: ანატოლი გიორგაძე, მარინე ბარვენაშვილი (არჩეულია 2025 წლის 29 ივლისს), ჯემალ გუგუშვილი, გურამ ტყემალაძე. თენგიზ ყურაშვილი.

წევრ-კორესპონდენტი: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი (არჩეული იქნა 2025 წლის 17 ოქტომბერს).

განყოფილებაში 2025 წელს ჩატარდა 10 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 24 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. 2. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. **მეორე სხდომა** ჩატარდა 18 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები:

1. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი. 2. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე. 3. გამოჩენილ აგრარკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად ჩასატარებელი კონკურსისათვის კანდიდატურის შერჩევის შესახებ. **მომხსენებელი:**

მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

მესამე სხდომა ჩატარდა 14 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 29 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. ვეტერინარიის მიმართულების კოორდინატორთა ჯგუფის 2024 წლის ანგარიში. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. 2. ქვემო ქართლის რეგიონში გადარეკვის პერიოდში მომთაბარე მეცხოველეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, ვეტერინარიის დოქტორი ზურაბ მაკარაძე.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 20 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაციის საკითხების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. 2. ინფორმაცია მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორთა ჯგუფის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია ფეიქრიშვილი.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 16 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ცხოველთა იმპორტის დროს საკარანტინო ღონისძიებების შესახებ. **მომხსენებელი:** სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დემნა ხელაია. 2. მცენარეული ინგრედიენტების დამატებით ფუნქციური დანიშნულების სურსათის წარმოების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 17 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ბოცვრის კვების თავისებურებების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი. 2. ცხოველთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის შესახებ. **მომხსენებელი:** ცხოველთა რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის სამმართველოს უფროსი გიორგი ჯალაღონია.

მერვე სხდომა ჩატარდა 27 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში ვეტერინარიაში ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ. **მომხსენებელი:** ვეტერინარიის დოქტორი ლევან ციციშვილი. 2. სურსათის უნარჩენო ტექნოლოგიების დამუშავებისა და განვითარების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე. 3. ვარლამ შამათავას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების საექსპერტო კომისიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი

მეცხრე სხდომა ჩატარდა 11 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვარლამ შამათავას სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე; ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან მაკარაძე. 2. რეცენზენტების დასკვნები ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვარლამ შამათავას სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებლები:** რეცენზენტები: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით გოდერძიშვილი. 3. ფარული კენჭისყრა.

მეათე სხდომა ჩატარდა 16 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ჩართულობით აკადემიის სხვა მეცნიერებათა განყოფილებებთან ერთად ჩატარდა გაერთიანებული კრებები, კერძოდ:

11 ივნისს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში

მონაწილეობისათვის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში კანდიდატურების შესარჩევად მეცხოველეობის და ვეტერინარიის, აგრონომიულ და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია კონკურსში დაშვებული კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. კანდიდატისათვის აკადემიის საერთო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

10 სექტემბერს - აგრონომიული და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ.

მომხსენებელი: საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის აგრონომიული და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

მომხსენებლები: აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზურაბ ბუკია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიზო გოგიჩაიშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი დავით მაღრაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ცოტნე სამადაშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ლამბაშიძე; მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მაია კერესელიძე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან მაკარაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი კახა ნადირაძე. 3. აკადემიის აგრონომიული და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატებისათვის რეკომენდაციის ან დაშვების მიცემა (ფარული კენჭისყრა). 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება.

ასევე მნიშვნელოვანია მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ ორგანიზებული ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია და ფუტკრების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა.

ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 29 აპრილს თემაზე: „თანამედროვე ვეტერინარიის განვითარების ტენდენციები: ახალი მიდგომები და აქტუალური კვლევები“ გახსნა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა. მან მოკლედ მიმოიხილა ვეტერინარი ექიმის მსოფლიო დღის დაარსების ისტორია, ისაუბრა ვეტერინარი ექიმის პროფესიის მნიშვნელობაზე, უკანასკნელ პერიოდში ცხოველებში ახალი დაავადებების გაჩენის შესახებ, ცხოველთა ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილებების ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებზე, ვეტერინარიაში არსებულ გამოწვევებზე და სხვ. კონფერენცია იყო მეტად წარმომადგენლობითი, მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც სსიპ სურსათის ეროვნული

სააგენტოს, ასევე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, კერძო კომპანიების, უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა და აკადემიის აპარატის თანამშრომლებმა. მოსმენილი იქნა მოხსენებები თემებზე: „ვეტერინარული სამეთვალყურეო საბჭო - VSB“, „პირველი ქართული ვეტერინარული სასწავლო სიმულატორი“, „მინაური ბინადარი ხორცისმჭამელი (ძალლი და კატა) ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში და მისი ეპიდემიური შეფასება“, „თერმულად დამუშავებულ ქათმის ხორცში ვარდისფერი ფერის დეფექტური პრობლემები, ფაქტორები და პროგნოზირებადობის მეთოდები“ და სხვ.

რაც შეეხება ფუტკრების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდას, იგი ჩატარდა 20 მაისს. საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ისტორიაზე, აღნიშნული დარგის ადგილზე და მნიშვნელობაზე ქართველი კაცის ყოფაში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ფუტკრისა და ფუტკრის პროდუქტების სიკეთეზე ისაუბრა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა. მრგვალ მაგიდაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა მაია ფეიქრიშვილმა. მან ხაზი გაუსვა ქვეყანაში გავრცელებული ქართული ფუტკრის პოპულაციების მნიშვნელობას. იმას რომ აუცილებელია მათი დაცვა სხვა ჯიშის ფუტკრებთან აღრევისაგან, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით. შემდეგ მრგვალი მაგიდა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. მოსმენილი იყო მოხსენებები თემებზე: „ტროპიკულაფსოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რამდენიმე მეთოდი“, „საქართველოში მეფუტკრეთა კავშირის როლი ქვეყანაში მეფუტკრეობის დარგის აღორძინების მიმართულებით“, „საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება და შემუშავება (სტრატეგიული ხედვა, კვლევა, დაგეგმვა)“.

თითოეული საკითხის ირგვლივ დაისვა არაერთი შეკითხვა, მომხსენებლებსა და მსმენელებს შორის წარმოდგენილი თემების ირგვლივ ადგილი ჰქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

3.2.1. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი

ვაგრძელებ მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსად.

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებითი)

1.1. სანაშენე საქმე და მისი მნიშვნელობა მეცხოველეობის განვითარებაში.

თემის მიზანია: ხაზი გაესვას სანაშენე საქმის მნიშვნელობას ქვეყანაში არსებულ ცხოველთა ჯიშების გაუმჯობესების მიმართულებით, ახალი მაღალპროდუქტიული ცხოველთა ჯიშების შექმნის აუცილებლობას, არსებული გენოფონდის შენარჩუნებას. ეს არის ღონისძიებათა სისტემა გენეტიკური ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროდუქტიულობის გაზრდისა და სანაშენე სულადობის წარმოებისთვის.

მოდებული იქნება ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი მასალები, დაიბეჭდება რეკომენდაციები ამ მიმართულებით ცხოველთა სხვადასხვა სახეობისათვის.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი. ბაკალავრიატის II კურსზე მიმყავს სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის კურსი საგანში ცხოველთა გენეტიკის საფუძვლები.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. მ. ბარვენაშვილი, ა. გიორგაძე, მ. ფეიქრიშვილი - ფუტკრის კვებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი თავიდან აცილების გზები, ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის: „თანამედროვე ვეტერინარიის განვითარების ტენდენციები: ახალი მიდგომები და აქტუალური კვლევები“, შრომათა კრებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2025 წელი, გვ. 3-6.

3.2. ა. გიორგაძე, მ. ბარვენაშვილი - ორგანული მეფრინველეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №2 (54) თბილისი, 2025 წელი, გვ.

3.3. მ. ბარვენაშვილი, ა. გიორგაძე - ჯანსაღი ნიადაგი-სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის საწინდარი, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის: „ჯანსაღი ნიადაგი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“, შრომათა კრებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 2025 წელი, გვ.

4. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

4.1. ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ვეტერინარიის განვითარების ტენდენციები: ახალი მიდგომები და აქტუალური კვლევები“, საქართველო, თბილისი, სსმმა, 29 აპრილი, 2025 წელი.

4.2. ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ჯანსაღი ნიადაგი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის“, საქართველო, თბილისი, სსმმა, 5 დეკემბერი, 2025 წელი.

5. მონაწილეობა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში.

მომხსენებელი:

5.1. ინფორმაცია აკადემიის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

5.2. ინფორმაცია გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

5.3. ინფორმაცია მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარებული ღონისძიების შესახებ.

5.4. ინფორმაცია აკადემიის მიერ 2024 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

5.5. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებისა და სტიპენდიატების სამუშაო თემატიკების შესახებ.

5.6. ინფორმაცია აკადემიის საერთო კრების 17 ოქტობერს, 13 საათზე მოწვევის შესახებ

5.7. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში შემოსული ნაშრომების განსახილველად მეცნიერებათა განყოფილებაში შექმნილი საექსპერტო კომისიების დამტკიცების შესახებ.

5.8. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ.

3. გამოქვეყნებული წიგნები:

მონოგრაფია „მცირე მექანიზაციის (ხელის) მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“ - გამომცემლობა „ლამბერტი“, გერმანია, ინგლისურ ენაზე (თანაავტორი ზ. ფუტკარაძე), 2020 წელი.

ნაშრომში მოცემულია მცირე მექანიზაციის ხელის მანქანებში დინამიკური პროცესების თეორიის საფუძვლები. განსახილველი მანქანები კლასიფიცირებულია დინამიკური ნიშნის მიხედვით. განისაზღვრება მოძრაობის პარამეტრები და დინამიკური დატვირთვები ამძრავის დაყვანილი ინერციის მომენტის, მუშა ორგანოზე მოქმედი დატვირთვების, ძრავის მექანიკური მახასიათებლის და ექსპლუატაციის ტიპური რეჟიმების გათვალისწინებით.

წიგნი გათვალისწინებულია სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

4.1. ლონდონში გამართული კონფერენცია ნიადაგის დამუშავების საკითხებზე, 2022 წლის დეკემბერში.

4.2. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ 04-06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო (მოხსენების დასახელება მოცემულია ანგარიში მე-3 პუნქტში)

5. მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში, როგორც მისი წევრი.

6. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:

7.1. არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „მექანიკის პრობლემების“ რედკოლეგიის წევრი.

8. ჯილდოები:

8.1. აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოვებულია ფულადი პრემიით გერმანიაში, გამომცემლობა „ლამბერტის,, მიერ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „მცირე მექანიზაციის ხელის მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“.

9. მომზადებული აქვს გამოსაცემად სახელმძღვანელო (ლექციების კურსი) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ავტომატიზაციის საფუძვლები“.

10. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების თემატიკა, რომელთა გამართვაც გასურთ აკადემიაში.

ქვეყნის მასშტაბით საინოვაციო პოლიტიკის გატარებისათვის ყველაზე დიდ გართულებას იწვევს მექანიზაციის მიმართულებით მომუშავე სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების გაუქმება.

ვეროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მდიდარი გამოცდილება, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შედის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრები, რომელთა რეკომენდაციებით ხვდება სოფლის მეურნეობის მართვა.

ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში ინოვაციისადმი სისტემური ზემოქმედებისათვის, კერძოდ, სამეცნიერო - ტექნიკური ფუნქციების შესასრულებლად აუცილებლად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს აგროსაინჟინრო სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი (რამდენიმე საინჟინრო სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ორგანიზაციების გაერთიანება), რომელიც შეასრულებს სამეცნიერო კვლევების, მანქანების დაპროექტების, დამზადების, გამოცდის და სამუშაოების ნორმირების ფუნქციებს. ცენტრის რეკომენდაციით მოხდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებების გადაიარაღება მაღალი ტექნოლოგიების თანდათანობით ათვისებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი ტექნოლოგიით ოპერაციულ) კომპლექსურ მექანიზაციის დონეზეც რომ გადავიარაღდეთ, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ იქნება კონკურენტუნარიანი საკუთარ ბაზარზეც კი და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი დაფინანსება ეფექტს არ მოგვცემს.

ცენტრის საპროექტო ქვედანაყოფის ფუნქცია იქნება საქართველოსათვის სპეციფიკური კულტურების (ჩაი, ციტრუსები და ა. შ.) და სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, რომელთა დამზადება მოხდება ცენტრის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანაში. სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფი დაამუშავებს აღნიშნული მანქანების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდებს, პერიოდულად მოამზადებს მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიას და მანქანათა სისტემას გამოსაცემად სამამულო და მსოფლიო მეცნიერების

მიღწევების დონეზე. მოახდენს სამეცნიერო ტექნიკურ პროგნოზირებას. ცენტრის საგამოცდო ქვედანაყოფი ჩაატარებს ადგილზე შექმნილი და საზღვარგარეთიდან შემოსატანი მანქანების წინასწარ გამოცდას და რეგიონების მიხედვით მაღალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის საჭირო სამუშაოებს, ასევე მექანიზებული სამუშაოების ნორმირებას მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების სახეობებს, კულტურების და რეგიონების მიხედვით.

ცენტრის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანაში შესაძლებელია კოოპერაციის საწყისებზე ვაწარმოთ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და განვახორციელოთ ტექნიკის რემონტი.

სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შექმნა მიზანშეწონილია მოვახდინოთ ყოფილი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის შენობის ბაზაზე, სადაც ჯერ კიდევ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნის შენობა საწარმოო საქმიანობისათვის.

ქვემოთ მოცემულია მექანიზაციის სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის სფერო:

- კონკურენტუნარიანი ტექნიკის, მექანიზაციის და მასალების ნიმუშების, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და სხვა სახის მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნა;

- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში;

- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრინციპულად ახალი გზების გამოვლენა-გამოყენებადი კვლევების ჩატარება სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებით. ახალი თაობის მექანიზაციის ენერგეტიკულ და ტექნიკური საშუალებების დამუშავება;

- ცენტრის პროფილის მიხედვით მეცნიერების მსოფლიო მიღწევების შესწავლა განზოგადოება და მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის ხელშეწყობა;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური ნომენკლატურისა და რაოდენობის მეცნიერული დასაბუთება კულტურების მოვლა-მოყვანის მაღალი ტექნოლოგიების ათვისების გათვალისწინებით;

- საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით და რეკომენდაციების მიცემა;

- სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისათვის სამუშაოების ნორმირება მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების სახეობების, კულტურების და რეგიონების მიხედვით.

- მექანიზაციის სპეციფიკური დარგებისათვის (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, სამთო მიწათმოქმედება) ახალი თაობის ენერგო-ტექნიკური საშუალებების დამუშავება და სერიული წარმოება.

- კოოპერაციის პრინციპებზე ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება და უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების ტექნიკური მოვლისა და რემონტის ჩატარება.

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ასევე სახელმწიფო მართვის სხვა ორგანოების დავალებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო პროგრამები, საინოვაციო პროექტების, ასევე ნორმატიული სამართლებრივი სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება ცენტრის პროფილის მიხედვით.

- მაღალი კვალიფიკაციის კადრების, მაგისტრების და დოქტორების მომზადებაში მონაწილეობა;

- სამეცნიერო კადრების და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში.

აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე

1. სამეცნიერო კვლევითი თემა:

1.1 „მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“;

კვლევის პერიოდში გაგრძელდა მუშაობა თემაზე: „მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

- სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის შესწავლა;

- „აჭარაში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის და ტექნიკური საშუალებების აგრეთვე მცირე მექანიზაციის საშუალებების შეფასება.“

კვლევის პერიოდში შესწავლილი იქნება ციკაბო სავარგულები და იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენების დასაბუთება, რომლის გამოყენებაც უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების მიხედვით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:

სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამებით, რომელიც გულისხმობს თანადაფინანსებას, ხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ტექნიკითა და ტექნიკური საშუალებებით. კვლევით დასაბუთებული იქნება თუ სახნავ სათესი ფართობების რა ნაწილი დამუშავება იქნება შესაძლებელი კულტურების მიხედვით.

აჭარის მაღალმთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ძირითადად გამოიყენება როგორც მობილური, ასევე მცირე მექანიზაციის საშუალებები. საანგარიშო პერიოდში და მანამდე ადგილობრივი ბიზნესისა და სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამებით, რომელიც გულისხმობს თანადაფინანსებას, ხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ტექნიკითა და ტექნიკური საშუალებებით.

გამოიკვეთა საჭიროება ჩატარდეს მეცნიერული კვლევა არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის და ტექნიკური საშუალებების შესწავლა - შეფასება ენერგეტიკული თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად მოხდა პრობლემის მეცნიერული გააზრება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფისა და მათი შეფასება ენერგეტიკული თვალსაზრისით.

1.2. აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ჩართულობით 2020 წლიდან რეგიონში ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი პროექტი „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამა „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“.

სამეცნიერო კვლევებში ჩართული არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და ადგილობრივი წამყვანი მეცნიერები. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და ხორციელდება შემდეგი სამეცნიერო თემები:

ა) აკადემიკოსი გ. ალექსიძე, ასოცირებული პროფესორი, გ. ჩხუბაძე;

„აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ - დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“

ბ) აკადემიკოსი რ. ჯაბნიძე, პროფესორი შ. ლამპარაძე, ასოც. პროფესორი ნ. ბერიძე

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-საწარგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიშში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.“

გ) აკადემიკოსი ლ. დოლიძე, პროფესორი მ. მამულაძე და დოქტორი ა. ძირკვაძე

„ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი

სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“.

დ) **გ. თხილაიშვილი**, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ. **ჯაბნიძე**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, ასისტენტ- პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“

ქვეთავი: „აჭარაში მოყვანილი ეკომეგობრული კარტოფილის კულტურის მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე“

ე) **აკადემიკოსი გ. პაპუნიძე, დოქტორი მ. არძენაძე**

„აჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევა, მათი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა სტაბილური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღების მიზნით.“

ვ) **აკადემიკოსი რ. მახარობლიძე**

„მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება, სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავება.“

ზ) **აკადემიკოსი ჯ. კაციტაძე, დოქტორი რ. მარგალიტაძე**

„ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის დამუშავება, თეორიული კვლევა და რეკომენდაციები“

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

2.1 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორი;

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები:

3.1. „Restoration of working bodies and parts of agricultural machinery by submerged arc welding using a modified installation using local raw materials”, Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Giorgi Kutelia

3.2 „Research and optimization of adhesion strength of metal coatings obtained by electric spark alloying using multifactorial experimental design“, Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Giorgi Kutelia

მეორე სტატია ამავე ჟურნალში: International Scientific Journal Mechanization in Agriculture, Conserving of the Resources, year lxxi, issn print : 2603-3704, issn web 2603-3712; issue 2, 2025

3.3. J. Katsitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia, International Scientific Journal “Mechanization in Agriculture”, Varna, Bulgaria, 2024 „Theoretical Basis for Calculating Reliability Indicators of Agricultural Machines”.

წარდგენილია დასაბეჭდად სტატია: „Combined Methods of Soil Cultivation, Using Technical Means“

M. Mamuladze; Z. Phutkaradze; R. Vasadze; 2025;

მეცხოველეობის საკვების ბაზის მომზადების მექანიზებული ტექნოლოგიების ეკონომიკური შეფასება ზ. ფუტკარაძე; მ. მამულაძე; ი. აბულაძე

Economic evaluation of mechanized technologies for the preparation of livestock feed base

1. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

მომზადებულია დასაბეჭდად სახელმძღვანელო: „მანქანათა ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები“

მიმდინარეობს მუშაობა: **რუსულ-ინგლისურ-ქართული ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე**

5. კონგრესში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა:

5.1 საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი: XIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS “AGRIMACHINERY”, სამეცნიერო თემა: „Research and restoration of rural areas of active and passive

working bodies using Georgian raw material (gumboil)“, VARNA, BULGARIA, 2024; გადაეცა დიპლომი; 25.06 – 28.06 2025.

6. სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1 ვაგრძელებ მუშაობას საგრანტო პროექტში-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ფუნდამენტური კვლევები.

„თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გავრცელების ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“ - პროექტის კოორდინატორი.

პროექტის ძირითადი მიმართულება: ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია;

6.2 წარდგენილი მაქვს საგრანტო პროექტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში, ფუნდამენტური კვლევები.

„ანტიეროზიული რესურსდამზოგი სასოფლო სამეურნეო აგრეგატის დამუშავება და მისი პარამეტრების ოპტიმიზაცია“ - პროექტის ხელმძღვანელი.

7. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

7.1 2025 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო განყოფილების, პრეზიდენტის სხდომაზე და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარვადგინე მოხსენება:

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორის ზაურ ფუტყარაძის ანგარიში დარგობრივი ჯგუფის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

7.2 აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

7.3 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტის გიორგი ქუთელიას მიერ 2019-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

7.4 2025 წლის 1-2 კვარტლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი;
- აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
- სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველო“- სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- Член научного совета Международной ассоциации академии наук, Национальной академии наук Беларусь, г. Минск, пр. Независимости 66, Беларусь;
- აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმართველობის კომიტეტის საბჭოს წევრი;
- ჩემს მიერ მომზადდა რეცენზია: - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, გელა ჯავახიშვილის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ალექსანდრე დიდებულის ნაშრომზე: „უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრომაგნიტური ვიბროამპრაჟი სოფლის მეურნეობაში“ - რედაქტორი 22.01.2025
- წარვადგინე კოორდინატორის 2024 წლის ანგარიში, იანვარი 2025 წ.
- მონაწილეობა მივიღე პრეზიდენტზე განხილვაში და წარვადგინე ცენტრის წინადადებები 31.01.2025
- წარვადგინე წლიური ანგარიში 12.02.2025
- წარვადგინე 2025 წლის ჩემი სამეცნიერო თემატიკა
- წარვადგინე კოორდინატორის 2025 წლის სამუშაო გეგმა
- მოვამზადე რეცენზია სოფლის მეურნეოსამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო სამსახურის კვლევებზე
- მოვამზადე რეცენზია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშზე 14.04.2025
- მოვამზადე რეცენზია: ა) ზ. მახარობლის სამეცნიერო შრომებზე 2019-2025 წწ და ბ) ო. თედორაძის ნაშრომზე „მარცვლეული ბალახეული კულტურების ამღები მანქანების გაანგარიშების და კონსტრუირების საფუძვლები“, 05.11.2025

გ) აკადემიის სტიპენდიანტის გიორგი ქუთელიას მიერ 2019-2024 წლებში გაწეულ სამეცნიერო საქმიანობაზე

არჩეული ვარ აკადემიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორად და დარგობრივი ჯგუფის ხელმძღვანელად.

9. გამოგონება, პატენტი

მივიღე პატენტი გამოგონებაზე: თხილის ამკრეფ-გამრჩევი მოწყობილობა. P20257768B; 14.05.2025 წელი;

დარეგისტრირდა საქპატენტში გამოგონება 27.12.2024 წ. საქმის ნომერი 16667/1 გუთანი ფერდობზე ეროზიის საწინააღმდეგო დამუშავებისათვის, გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, 61002006680, GE; ივანე კაპანაძე, 54001011875, GE; ჯემალ კაციტაძე, 01019008907, GE; რომან მარგალიტაძე, 33001004112, GE; გიორგი ქუთელია, 1019048343, GE;

საქპატენტში ასევე დარეგისტრირებულია გამოგონებები:

- 07.04.2025, გამომგონებლები: ალიოშა ბაკურიძე, 01018000505, GE; ზაურ ფუტკარაძე, 61002006680, GE; გიორგი ბიწაძე, 61001001559, GE; საქმის ნომერი: 16732/2; განცხადების ნომერი: AU 2025 16732 დასახელება: „**Bacillus clausii-ის და ხილ-კენკროვანთა კომპოზიციის შემცველი პასტილების მიღების ხერხი**“

„Method for preparing pastilles containing Bacillus clausii and a fruit-berries composition“

- „ავტომატიზებული მაკოპირებელი მოწყობილობა გუთნების სახნისების მდნობის ქვეშ ავტომატური დადუღებისათვის“, გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, ჯემალ კაციტაძე, გიორგი ქუთელია;

- „თხილის ამკრეფ - გამრჩევი მოწყობილობა“ გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, ჯემალ კაციტაძე, გიორგი ქუთელია;

- „გუთანი ფერდობზე ეროზიის საწინააღმდეგო დამუშავებისათვის“ გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, ივანე კაპანაძე, ჯემალ კაციტაძე, რომან მარგალიტაძე, გიორგი ქუთელია

10. აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე წარმოვადგენ ანგარიშს აჭარის სამეცნიერო-საკორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ომარ თედორაძე

1. სამეცნიერო-კვლევითი თემა

1.1. „მარცვლეული კულტურების მექანიზირებულად მოსავლის აღების დროს არსებული დანაკარგების გამომწვევი ფაქტორები და მათი შემცირების გზები“ (თემა გარდამავალია).

კვლევის მიზანი - მარცვლეული კულტურების მექანიზირებული აღების დროს არსებული დანაკარგების გამომწვევი მიზეზების და დგენა და მისი ღმოფხვრისათვის სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული რეკომენდაციების შემუშავება.

თემის აქტუალობა - ისეთი მცირე მიწიანი ქვეყნისათვის როგორც საქართველოა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მარცვლეული კულტურების წარმოება და მის საშუალო საექტარო მოსავლიანობის გაზრდა, სწორედ საჰექტარო მოსავლიანობის შემცირებას იწვევს მოსავლის მექანიზირებული აღების დროს არსებული დანაკარგები ამიტომ, ამ დანაკარგების გამომწვევი მიზეზების დადგენა და მისი შემცირებისათვის საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული რეკომენდაციების დადგენა. საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შევამციროთ დანაკარგები და როგორც კვლევამ აჩვენა შემუშავებული რეკომენდაციების გამოყენებით მარცვლეული კულტურების საექტარო მოსავლიანობა იზრდება 10 -15%.

ამოცანები - ქვეყანაში მარცვლეული კულტურების მექანიზირებული აღებისათვის გამოყენებული სხვადასხვა მარკისა და მოდელის კომბინების მუშაობის შესწავლაა თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით დანაკარგების თვალსაზრისით, კვლევის შედეგების და რეკომენდაციების მიწოდება, მარცვლეულის მწარმოებელ ფერმერებისათვის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია:

კვლევის შედეგები გამოქვეყნებული იქნა საერთაშორის რეიტინგის მქონე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულში N4(538) 2025წ.

1.2. „მარცვლეული (თავთავიანი) კულტურების მოსავლის აღების რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს მაგალითზე“ (თემა გარდამავალია)

კვლევის მიზანი - მარცვლეული კულტურების მექანიზირებული აღების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიების გამოყენებას, კვლევის მიზანია რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით მარცვლეულის აღება და მისი ტექნიკურ ეკონომიური ეფექტიანობის დადგენა.

თემის აქტუალობა - ამჟამად ტრადიციული ტექნოლოგიებით საქართველოში მარცვლეულის მოსავლის აღების დროს დანაკარგები შეადგენს 5-6% ჰექტარზე, ეს კი მთლიანობაში არის 20 000 ტონა მარცვალს წლიურად, ეს რაოდენობა საკმაოდ დიდია ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის როგორც საქართველოა.

ოპტიმალურ აგრონომიულ ვადებში მცირე დანაკარგებით მოსავლის აღება პირველ რიგში მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მარცვლის მწარმოებლებს ჰყავთ მარცვლეულის მოსავლის აღების საკმარისი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის კომბაინების რაოდენობა.

გამომდინარე აქედან გამოსავალი ერთია მოსავლის აღება უნდა მოხდეს თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიებით და მოდერნიზებული კომბაინებით.

ამოცანები - ამ კვლევის ძირითადი ამოცანა მოსავლის აღების დროს გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიების და კომბაინების ტექნიკური - საექსპლუატაციო და ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება, ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია შემდეგი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა:

- საქართველოს პირობებში მოდერნიზებული მარცვლეულის ამღები კომბაინებით და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული შედეგების შედარება და განზოგადოება, სტანდარტული კომბაინით მოსავლის აღების არსებულ მეთოდით მიღებულ შედეგებთან.
- რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტურობის დადგენა.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია:

1. კვლევის შედეგები გამოქვეყნებული იქნა საზღვარგარეთ ინგლისურ ენაზე მაღალი საერთაშორის რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალში our Manuscript (IJSRA-2025-3147) has been published in Volume 17 - Issue 2 (November 2025) of International Journal of Science and Research archive (IJSRA).

Efficiency of using resource-saving technologies for harvesting grain (head) crops on the example of Georgia

O. Tedoradze ^{1*}, M. Dolidze ², N. Sarjveladze ³ and T. Darsavelidze ⁴

¹ *Georgian Technical University, Doctor of Technical Sciences.*

² *LLC "Saga", Rehabilitation Manager, Doctor of Technical Sciences,*

International Journal of Science and Research Archive, 2025



1.3. „საქართველოს მეცხოველეობის ფერმებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის არსებული მდგომარეობის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების და კონკრეტული ღონისძიებების მომზადება“.

კვლევის მიზანი - როგორც საქართველოში არსებული ფერმების და კომპლექსების 90 % - ვერ პასუხობს მასზე წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს - ტექნიკური აღჭურვის , მექანიზაციის და ავტომატიზაციის მხრივ, შესაბამისად მათი პროდუქცია ვერ პასუხობს ევროსტანდარტების მოთხოვნებს და არაკონკურენტუნარია, გამომდინარე აღნიშნულიდან კვლევის მიზანია.

ინტელექტუალური ციფრული ტექნოლოგიების საფუძველზე ახალი თაობის მეცხოველეობის ფერმების შესაქმნელად კონცეპტუალური ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავება.

თემის აქტუალობა - თუ გადავხედავთ მსოფლოს იმ ქვეყნებს სადაც წარმატებულად არის განვითარებული მეცხოველეობა, იქ ყველა ფერმა სრულად არის დაკომპლექტებული თანამედროვე ავტომატიზებული მოწყობილობებით და რობოტებით. შესაბამისად ასეთი ფერმა საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებს.

საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების დონის გაზრდა შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. კერძოდ, აუცილებელია არსებული მეურნეობების, რომელთა პარამეტრები განსხვავდება მიკროკლიმატისა და ფერმებში ცხოველთა (სახეობის და ჯიშების) მდგომარეობიდან გამომდინარე, განვითარება ავტომატური კონტროლის სისტემებით, ფერმების კომპლექსების მართვის ასეთი სისტემების გამოყენება უზრუნველყოფს ცხოველთა პროდუქტიულობის სტაბილური ზრდას, რძის ხარისხის ამაღლებას „ექსტრა“ კლასამდე.

ამოცანები - ციფრული ტექნოლოგიების შექმნის ძირითადი ამოცანაა, ფერმის/კომპლექსის მართვის ისეთი სისტემის შექმნა რომელიც უზრუნველყოფს მეცხოველეობის ფერმის/კომპლექსის დამოუკიდებლობასა და კონკურენტუნარიანობას.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია:

1. კვლევის შედეგების მიხედვით მომზადებული იქნა რეკომენდაცია მეცხოველე ფერმერებისათვის ბროშურის სახით, რომელის სტამბურად გამოცემა და ფერმერთათვის დარიგება დაგეგმილია 2026წ.

1.4. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგორი პარკის მოკვლევა და ანალიზი“ (თემა გარდამავალია)

კვლევის მიზანი - შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას 2025 წლის მდგომარეობით ქვეყნის სტრატეგორი პარკის არსებული მდგომარეობა იმ თვალსაზრისით თუ რამდენად უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადაში შესრულებას.

თემის აქტუალობა - როგორც მოწინავე აგრარული მიმართულების ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის გადამწყვეტი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თანამედროვე ენერგოდამზოგი და მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა სწორედ ეს კვლევაც ამ მიზანს ემსახურება

ჩვენს მიერ ჩატარებული წინასწარი კვლევა გვიჩვენებს ქვეყანაში ჯერჯერობით საგრძნობლად შეიმჩნევა სას. სამ. ტექნიკის დეფიციტი, ეს განსაკუთრებით ჩანს სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა პიკურ პერიოდში მაგ. მოსავლის აღების პერიოდი (კომბაინების დეფიციტი) და საგაზაფხულო და საშემოდგომო ნიადაგის მომზადების სამუშაოები (სახნავი ტრაქტორების) დეფიციტი.

ტექნიკის ხელმისაწვდომობის დეფიციტის ძირითადი მიზეზებია: ტექნიკის სიმცირე; ტექნიკის სიძვირე.

მომსახურეობის სერვისცენტრების არარსებობა; დილერების მიერ ძვირი და არაპროპორციული მომსახურეობა. ტექნიკის მოცდენის და არაეფექტური მომსახურების გამო (მიმდინარე და კაპიტალური რემონტი), მათი მწყობრიდან ნაადრევი გამოსვლა და სიძვირე. ტრაქტორის ოპერატორების მომზადების დაბალი დონე, რაც იწვევს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ტრაქტორების, მათი არ ცოდნის გამო მათ მწყობრიდან ადრეულ გამოსვლას.

ამოცანები - ძირითადად ამოცანას შეადგენს დადგინდეს - რამდენად უზრუნველყოფს არსებული ტექნიკა აგროტექნიკურ ვადებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხიან დამუშავებას, მოსავლის უდანაკარგოდ აღებას და მის ტრანსპორტირება სასაწყობო მეურნეობაში.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე:

მომზადდება, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი შემდგომი განხილვისათვის.

2. პედაგოგიური მუშაობა

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებების და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - სრული პროფესორი;

- ვკითხულობ საგნებს: ა) სასოფლო სამეურნეო მანქანები; ბ) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; გ) სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები, დ) სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია, ე) მეცხოველეობის მექანიზაცია.

- სპეციალობებზე: აგროინჟინერია, აგროტექნოლოდია, აგრონომია, წყლისა და ნიადაგის ინჟინერია, მევენახეობა და ენოლოგია.

- გამოცემული იქნა ერთი სახელმძღვანელო თანავტორებთან ერთად და ერთი რეკომენდაცია-ბროშურა

ა) **ო.თედორაძე ნ.სარჯველაძე, მ.ჯანიკაშვილი - „თანამედროვე სასოფლო სამეურნეო და სამელიორაციო მანქანები“, სტუ, საგამომცემლო სახლი 2025 წ. 266 გვ.**

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საგნის შესწავლის ინოვაციური მიდგომა (მეთოდი) არის ის, რომ უადვილებს სტუდენტებს და დაინტერესებულ სპეციალისტებს ღრმად და საფუძვლიანად აითვისონ წარმოდგენილი მასალა, ასევე იძლევა საშუალებას სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებთან და კურსებთან. ტრენინგის ორგანიზების და ჩატარებას ვიდეო მასალის ჩვენებით.

ბ) რეკომენდაცია - ბროშურა „როგორ ავაშენოთ და მოვაწყოთ მერძეული მიმართულების ფერმა“(რეკომენდაცია მეცხოველე ფერმერებისათვის) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“ ,71 გვ. 2025წ.

3. 2026 წლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში შესატანად განსახილველი საკითხები, ჩასატარებელი ღონისძიებები

ა) **2026 წ. სანგარიშო პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გაგრძელდება შემდეგ თემებზე:**

1. „მარცვლეული (თავთავიანი) კულტურების მოსავლის აღების რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს მაგალითზე“ (თემა გარდამავალია), **სტატუსი: ხელმძღვანელი;** აგროინჟინერიის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად.

2. საქართველოს მეცხოველეობის ფერმებში საწარმოო პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის არსებული მდგომარეობის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების და კონკრეტული ღონისძიებების მომზადება. **სტატუსი: ხელმძღვანელი.**

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სატრაქტორო პარკის მოკვლევა და ანალიზი (თემა გარდამავალია), **სტატუსი: ხელმძღვანელი.**

ბ) **მონაწილეობა საგანამანათებლო საქმიანობაში:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - არჩეული პროფესორი, საგნები და სპეციალობები იგივე რაც 2025 წელს იყო, ასევე საწავლო პროგრამების ბაკალავრიატის და დოქტორანტურის ხელმძღვანელი აგროინჟინერიის სპეციალობაში. სტუ -ს აგრარული მეცნიერებების და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოს წევრი

2. დოქტორანტის ხელმძღვანელი - დოქტორანტი - თენგიზ ცარციძე - სპეციალობა აგროინჟინერია თემა: „**ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო და ტენშემაკავებელი რესურსდამზოგი ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებების დამუშავება და გამოკვლევა**“. ვადა 2025.....2030წ

4. ჯილდო:

4.1. საუკეთესო ნაშრომისათვის კ.ამირაჯიბის სახელობის კონკურსში ტ.მ.დ. ნ.სარჯველაძესთან ერთად მომენიჭა ლაურეატის წოდება და ფასიანი ჯილდო.

5. საზოგადოებრივი და საჯარო სამსახური:

ვარ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის განვითარების სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ამჟამად ვხელმძღვანელობ მეცხოველეობის მიმართულებით მიზნობრივი პროგრამის შემუშავებას მექანიზაციის ნაწილში.

6. პრეზიდენტზე გასატანი საკითხი

6.1. წარმოდგენილი მაქვს მექანიზაციის სტრატეგის პროექტის სამუშაო ვერსია, რომელიც საბოლოო განხილვისა და შეჯერების შემდეგ წარმოდგენილი იქნება პრეზიდენტზე.

აკადემიის სტიპენდიატი მამუკა ბენაშვილი

1. თემა - სოფლის მეურნეობის დარგში უმაღლესი განათლების შეფასება (თემის ხელმძღვანელი)

თემის მიზანია: შეფასდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით უმაღლესი განათლების მდგომარეობა და განისაზღვროს მისი გაუმჯობესების გზები.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

2024 წლიდან სამეცნიერო ხელმძღვანელობას ვუწევს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტ გიორგი კაკაბაძეს, რომელიც მუშაობს თემაზე: „ოპტიკური სისტემების სურათის ხარისხზე თერმო-მექანიკური ზეგავლენების მინიმიაზაცია“. სამეცნიერო კვლევას გიორგი კაკაბაძე ასრულებს გერმანიაში, აგრარული უნივერსიტეტის პარტნიორ გერმანულ სამეცნიერო კვლევით ცენტრში - იულიხში <https://www.fz-juelich.de/en>, რომლის შემადგენლობაშიც შედის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი Institute of Technology and Engineering (ITE) - <https://www.fz-juelich.de/en/institutes/ite>. გიორგი კაკაბაძეს ხელმძღვანელობას უწევს ამავე ინსტიტუტის პროფესორი ღალეხ ნატორი.

2025 წლის განმავლობაში საქართველოს აგრარულ და თავისუფალ უნივერსიტეტში ჩატარებული იქნა სალექციო კურსები საგნებში: საკურსო პროექტი 1; საკურსო პროექტი 2; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. აღნიშნული საგნებისათვის განახლდა სილაბუსი და სასწავლო რესურსები.

2025 წელს ჩატარებული იქნა ლექციები ქალაქ დმანისში არსებულ შვეიცარიულ აგრარულ სკოლაში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე. კურსი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. 2025 წლის განმავლობაში დარგში მომზადებული იქნა 30-მდე დასაქმებული სპეციალისტი.

საანგარიშო წლის განმავლობაში შემუშავებული იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწავლების პროგრამა მეცხოველეობის მიმართულების ფერმერებისათვის და პრაქტიკოსებისათვის. 2025 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგში 80-ზე მეტმა დასაქმებულმა პრაქტიკოსმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი.

2025 წელს ტრაქტორისტი-მემანქანის პროფესიული პროგრამაზე მომზადებული იქნა 30-მდე ტრაქტორისტი მემანქანე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა საქართველოს მასშტაბით ხორციელდება მხოლოდ შვეიცარიულ კოლეჯში. სწავლების დროს გამოყენებული იქნა დარგში ერთ-ერთი მოწინავე შვეიცარიული კოლეჯის პლანტაჰოფის გამოცდილება <https://www.graubuenden.ch/en/attractions/plantahof-hofladen>. ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალოგიური პროგრამის სასწავლო რესურსები.

3. დამუშავდა სხვადასხვა სასწავლო რესურსი:

- მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის, კურსისათვის მასალათა გამძლეობა;

- მომზადებული იქნა რეკომენდაციები პარალელური მართვის სისტემების ეფექტურად გამოყენების შესახებ და მოსავლის ამღები კომბაინების მიერ დანაკარგების მინიმიაზაციის საკითხზე.

- 2024 წელს მონაწილეობა მივიღე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში. როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტმა მონაწილეობა მივიღე 18-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში. აქედან 10-მდე პროგრამაზე გახლდით საქსპერტო კომისიის თავმჯდომარე. ჩემს მიერ კომისიის ექსპერტებთან ერთად განხორციელდა პროგრამების შესაბამისობის დადგენა უმაღლესი განათლების სტანდარტებთან მიმართებაში და მომზადებული იქნა დასკვნები. დასკვნებში ასახულია პროგრამების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები და რჩევები

- 2025 წელს ჩემი ხელმძღვანელობით საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის სტუდენტებმა მოამზადეს სტუდენტური პროექტები. 2026 წლის ივნისში დაგეგმილია გერმანიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორების ვიზიტი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩემი ხელმძღვანელობით შესრულებული პროექტები. გამარჯვებული პროექტის ავტორი გაემგზავრება უილიხის კვლევით ცენტრში, სადაც გაივლის 1 თვიან მომზადების კურსს.

- კომპანია “აგროსფეროს”-თან თანამშრომლობის ფარგლებში ჩემს მიერ განხორციელებული იქნა კომპანია აგროსფეროს თანამშრომლების გადამზადება სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში.

- 2025 წელს გავიარე კვალიფიკაციის ამაღლების კურსი, რომელიც განხორციელდა შვეიცარიული აგრარული სკოლის ორგანიზებით. კურსი ეხებოდა უმაღლეს საწავლებლებში და პროფესიულ კოლეჯებში სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

- კომპანია აგროსერვისთან თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული იქნა სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია ფერმერებისათვის.

სახელმძღვანელოში მოცემულია, თუ როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება საქართველოს სოფლის მეურნეობაზე, როგორ ამცირებს მოსავლიანობას გვალვები, წყალდიდობები, ნიადაგის დეგრადაცია, მავნებლების გავრცელება. სახელმძღვანელოში მოცემულია პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზა - **ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიები**, რომლებიც ეფუძნებიან მონაცემებზე და ახორციელებენ აგრეგატებისა და ტექნიკური საშუალებების ავტომატურ მართვას. სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია GPS-ს, სენსორებსა და გეოინფორმაციულ სისტემების გამოყენების ეფექტურობის შესახებ.

ზუსტი მიწათმოქმედება განიხილულია, როგორც კლიმატონივრული და რესურსდამზოგი ტექნოლოგია, რომელიც ფერმერებს აძლევს საშუალებას ეფექტურად მართონ ნაკვეთები და უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება.

3.4. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 6 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), 1 წევრ - კორესპონდენტი და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: ლაშა დოლიძე, გიორგი გაგოშიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გივი ჯაფარიძე, გურამ ალექსიძე, ანატოლი გიორგაძე.

წევრ - კორესპონდენტი: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე (არჩეული იქნა 2025 წლის 17 ოქტომბერს).

სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი.

განყოფილებაში 2025 წელს ჩატარდა 11 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 23 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; 2. აკადემიკოს ლაშა დოლიძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

მეორე სხდომა ჩატარდა 17 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი. 2. აკადემიკოს გიორგი გაგოშიძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივნის მოადგილე, აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე. 3. გამოჩენილ აგრარკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად ჩასატარებელი კონკურსისათვის კანდიდატურის შერჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

მესამე სხდომა ჩატარდა 21 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის დარგობრივი მიმართულების კოორდინატორების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის და 2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი ლაშა დოლიძე; **თანამომხსენებლები:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი; სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 23 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. ქარსაფარი ზოლების გაშენების სქემების და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 22 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. კონვექტიური ფორმის ღრუბლების მასიდან ატმოსფერული ნალექების (წვიმა) გამოწვევის გზით ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა-გავრცელების პროცესებთან ბრძოლის შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

მექვსე სხდომა ჩატარდა 6 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. სატყეო პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ანალიზისა და შეფასების შესახებ. **მომხსენებელი:** ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი, გიორგი ქავთარაძე.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 24 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების მინერალიზებული ზოლების და თხრილების საშუალებით ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა-გავრცელების პროცესებთან ბრძოლის შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე;

მერვე სხდომა ჩატარდა 9 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია 2024 წელს ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მიერ გაწეული სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის შესახებ. **მომხსენებელი:** ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი, გიორგი ქავთარაძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 27 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების საექსპერტო კომისიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი

მეათე სხდომა ჩატარდა 11 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის ზვიად ტიგინაშვილის მიერ 2025 წელს გაწეული სამეცნიერო - კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სტიპენდიატი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი. 2. მიხეილ მურვანიშვილის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიზო გოგიჩაიშვილი. 3. რეცენზენტების დასკვნები მიხეილ მურვანიშვილის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომის

შესახებ. **მომხსენებლები:** რეცენზენტები: აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი, აკადემიის სტიპენდიატი ზვიად ტიგინაშვილი. 4. ფარული კენჭისყრა.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 19 დეკემბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე. 2. „აჭარის სუბალპურ სარტყელში გავრცელებული მერქიანი მცენარეების თანამედროვე მდგომარეობის და მათი როლის შესახებ“. **მომხსენებელი:** ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე.

გარდა ზემოაღნიშნულისა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ჩართულობით ჩატარდა აკადემიის სხვა მეცნიერებათა განყოფილებებთან გაერთიანებული ორი საერთო კრება, კერძოდ:

- **10 ივნისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში კანდიდატურების შესარჩევად ეკონომიკური, აგროინჟინერიის და გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებების დროებით (ერთჯერადად) გაერთიანებული კრება შემდეგი დღის წესრიგით:** 1. ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია კონკურსში დაშვებული კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. კანდიდატისათვის აკადემიის საერთო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

- **16 სექტემბერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:** 1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. **მომხსენებლები:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე; ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი: ეკონომიკის დოქტორი ევატერინე ზვიადაძე. 3. აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატებისათვის რეკომენდაციის ან დაშვების მიცემა (ფარული კენჭისყრა). 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება.

საანგარიშო წლის განმავლობაში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებამ არაერთი აქტივობა განახორციელა, მათ შორის აღსანიშნავია:

- 4 მარტს გამართული ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა, რომელზეც მოხსენებით თემაზე: „ქართული მუხის (*Quercus petraea aubsp. Iberica*) ბუნებრივი განახლება ცივგომბორის რეგიონში“ ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა აკადემიის სტიპენდიატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი.
- 21 მარტს - ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა, რომელზეც ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსმა, დოქტორმა რეზო ვასაძემ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „აჭარის წიფლნარ ეკოსისტემებში გავრცელებული ტყის ძირითადი ტიპები“.
- 23 აპრილს - დედამიწის საერთაშორისო დღისადმი (22 აპრილი) მიძღვნილი თემატური სხდომა: „საქართველოს დაცული ტერიტორიები და მათი როლი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში“, რომელზეც მსმენელთა წინაშე მოხსენებით წარსდგა აკადემიის სტიპენდიატი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი.
- 22 მაისს გამართული ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა, რომელზეც აუდიტორიის წინაშე მოხსენებით: „საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება“ წარსდგა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.
- 6 ივნისს გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა, რომელზეც ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორმა გიორგი ქავთარაძემ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ევროპის ახალი (2030 წ.) სატყეო სტრატეგია და გამოწვევები საქართველოს სატყეო სექტორისათვის“.
- 24 სექტემბერს ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. მრგვალ მაგიდაზე გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ტყის ეკოსისტემებში, სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებთან ბრძოლა ხელოვნურად გამოწვეული ატმოსფერული ნალექების საშუალებით“.
- 9 ოქტომბერს მეტყევის დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა, რომელზეც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, აკადემიის სტიპენდიატმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა წარმოადგინა მოხსენება: „ცივგომბორის რეგიონში „ქართული მუხის (*Quercus petraea aubsp. Iberica*) წმინდა კორომების აღნაგობის თავისებურებანი“.

3.4.1. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით):

1.1. „ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“. (თემის შემსრულებელი), თემის ხელმძღვანელი - აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; კვლევები გაგრძელდება 2026 წ.

1.2. „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ბუხის (*Buxus colchica*) კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“ - (თემის კონსულტანტი); კვლევები გაგრძელდება 2026 წ.

1.3. „სახეობათა ცვლის პროცესის დინამიკა მდინარე იორის ჭალის ტყეებში, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“ – ხელმძღვანელი; კვლევები გაგრძელდება 2026 წ.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

2.1. გაგომიძე გ., კაპანაძე ი. - ქვემო ქართლის რეგიონის ტყე-მცენარეულობა და მათი გავრცელების კანონზომიერებანი - ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“, შრომათა კრებული.

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

3.1 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“ - ქ. თელავი. 2025 წ.

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

4.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

4.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი;

4.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი;

4.4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;

4.5. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „სიცოცხლის ხე/დრევეო ჟიცია“ (საქართველო-პოლონეთი) თანადამფუძნებელი და გამგეობის ხელმძღვანელი;

4.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე;

4.7. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;

4.8. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: პროფესორი სრულ სამტატო ერთეულზე, დატვირთვა-240 სთ;

4.9. საგანმანათლებლო პროგრამის - „ტყეთმცოდნეობა-მეტყევეობა“ -ხელმძღვანელი.

5. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც ასევე სასურველი იქნება აკადემიაში.

5.1. ქ. თბილისის გარშემო ინტროდუცირებული ტყის მერქნიანი სახეობების ზრდა-განვითარების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე. (საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფარგლებში);

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

1. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა

1.1. 2025 წელს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობდა შემდეგი თემატიკის ფარგლებში: თემა: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“. (2023-2027 წ. წ.); პროექტის მიმართულება - სატყეო საქმე; (თემის ხელმძღვანელი);

ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით.

1.2. თემა: „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ბზის კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“. (თემის შემსრულებელი);

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

2.1. გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლაშა დოლიძე - საქართველოში მერქნული ნედლეულის საწვავად გამოყენების პოტენციური წყაროების შესახებ. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ.; (53); გვ. 67– 70.

2.2. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი - ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev.) ნაყოფმსხმოიარობა კახეთის რეგიონში. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ.; (53); გვ. 70 – 73.

2.3. ლაშა დოლიძე, არჩილ ძირკვაძე, მერაბ მამულაძე - ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება. (ხიხაძირის და ზეგანის სატყეო მეურნეობის მაგალითზე). ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ.; (53); გვ. 61– 67.

2.4. ლაშა დოლიძე, არჩილ ძირკვაძე, მერაბ მამულაძე - ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება. (ოლადაურისა და ჭვანის სატყეო მეურნეობის მაგალითზე). ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ.; (53); გვ. 54 – 61.

2.5. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი - ქართული მუხის (*Quercus. iberica* Stev.) ტყის ტიპები კახეთში. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ.; (53); გვ. 73 – 77.

2.6. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი, ქ. როყვა - ქართული მუხის (*Q. Iberica* Stev.) კორომების ზოგადი დახასიათება კახეთის რეგიონში. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ.; (54); გვ. 90 – 94.

2.7. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი, ქ. როყვა - ქართული მუხის (*Quercus Iberica* Stev.) ტყის ტიპები კახეთში ეკოტოპი - Subgiccum - ზომიერად მშრალი. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ.; (54); გვ. 87 – 89

2.8. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ქ. როყვა - საწვავი მერქნული ბიომასის მოპოვების ზეგავლენა გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ.; (54); გვ. 84 – 86;

2.9. ლაშა დოლიძე - ნებით - ამორჩევითი და ჯგუფურ - ამორჩევითი ჭრების ტყეკავებზე ნიადაგის ძირითადი ფიზიკური თვისებების ცვალებადობა მოზარდის ხნოვანებასთან დაკავშირებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ნიადაგების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - "ჯანსაღი ნიადაგი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის". შრომათა კრებული, თბილისი, 2025 წ.

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული სამეცნიერო სემინარი, რომელიც მიემდგვნა ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს; თბილისი, 22 მაისი. 2025 წ.. - მონაწილე;

3.2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გამართული სემინარი; ყვარელი 02 – 04 ივნისი, 2025 წ. - მონაწილე.

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი;

- 4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;
- 4.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორი სატყეო საქმის მიმართულებით;
- 4.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო დარგის ექსპერტი;
- 4.5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების შემსწავლელი კომისიის წევრი;
- 4.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე” - ს სარედაქციო - სამეცნიერო საბჭოს წევრი.

5. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

- 5.1. რეცენზია - 2025 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის მიერ;
- 5.2. რეცენზია - 2025 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ;
- 5.3. რეცენზია - 2024 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის მიერ;
- 5.4. რეცენზია - აგრარულ სფეროში საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომისათვის 2025 წლის მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის გიზო გოგიჩაიშვილის მიერ მონოგრაფიის კრებულში - “The Soils Of Georgia”, გამოცემული: Sprinter PublisHing, Inc. New – York, Frankfurt; ISBN 978 – 3 -030 – 18508 - 4; 2019. P. 179.). გამოქვეყნებული VI და VII თავებისა.

6. პრაქტიკული მონაწილეობა თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში, მოხსენება - პრეზენტაციები

- 6.1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. (მეცნ. განყოფილების სხდომა, 23.01.2024 წ. და პრეზიდიუმის სხდომა - მოხსენება - პრეზენტაცია 31.01.2025 წ.);
- 6.2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (წევრი, სხდომა 26 თებერვალი 2025 წ.) თემა: “ჰიდრომელიორაცია და ჰიდროკვანძების უსაფრთხოება”;
- 6.3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი. “მწვანე და აგროსტიპედიატების” დაჯილდოება. 28. 02. 2025 წ. - მონაწილე.
- 6.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა ველური ბუნების მსოფლიო დღეს; თბილისი, 04. მარტი. 2025. - მონაწილე;
- 6.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსს ქეთევან ქოქრაშვილთან. თბილისი, 5 მარტი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. წიგნის: “საქართველოს აგრარული სექტორი - გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები” (ავტორები: ეკონომიკის დოქტორი ივერი ახალბედაშვილი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი რევაზ ასათიანი) განხილვა. თბილისი, 11 მარტი. 2025 წ. - მონაწილე;

- 6.7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის სტუდენტებთან საჯარო ლექცია “ტყე - საქართველოს მშენება”. თბილისი, 13 მარტი, 2025 წ. - მომხსენებელი;
- 6.8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. სამუშაო შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე - აპოლონ კაკაბაძესთან და ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელობასთან. თბილისი, 17 მარტი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდვნა ტყის საერთაშორისო დღეს; თბილისი, 21 მარტი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. აკადემიკოს შალვა ჭანიშვილის დაბადებიდან 125 წლისდამი მიძღვნილი სხდომა. თბილისი, 24 მარტი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. სამუშაო შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელთან პაპუნა კაპანაძესთან. თბილისი, 2 აპრილი, 2025 წ. - მონაწილე;
- 6.12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ქალბატონ ნინო წილოსანთან თბილისი, 3 აპრილი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. საერთო კრება. თბილისი, 4 აპრილი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) 2025 წლის პირველი შეხვედრა. თბილისი, 16 აპრილი, 2025 წ. - მონაწილე;
- 6.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდვნა დედამიწის საერთაშორისო დღეს; თბილისი, 23 აპრილი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.16. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, “საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის” პროექტის (ECO. GEORGIA) ფარგლებში შემუშავებული კონცეფციის: “საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობა საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში”. სამუშაო შეხვედრა. თბილისი, 15 მაისი, 2025 წ. - მონაწილე;
- 6.17. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სამართლის დოქტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორის გაია მეფარიშვილისა და პრაქტიკოსი იურისტის, ბიზნეს სამართლის მაგისტრის ნატო ტაბუცაძის წიგნის “ვაზისა და ღვინის სამართალი” - ს პრეზენტაცია. თბილისი, 21 მაისი, 2025 წ. - მონაწილე;
- 6.18. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული სამეცნიერო სემინარი, რომელიც მიემდვნა ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს; თბილისი, 22 მაისი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.19. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გამართული სემინარი; ყვარელი 02 – 04 ივნისი, 2025 წ. - მონაწილე;
- 6.20. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდვნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს; თბილისი, 6 ივნისი. 2025 წ. - მონაწილე;
- 6.21. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა და მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებების ვაკანტურ ადგილებზე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად საექსპერტო - საკონკურსო კომისიის წევრი. (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

აკადემიის პრეზიდენტის ბრძანება N 53. , საფუძველი აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება: ოქმი N 6., 30. 05. 2025 წ.);

6.22. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატურების შესარჩევად ეკონომიკური, აგროინჟინერიის და გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებების დროებით (ერთჯერადად) გაერთიანებული სხდომა. (06.10.2025 წ.) - მონაწილე;

6.23. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ორგანიზებით გამართული ღონისძიება - "სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღე - ერთიანი ჯანმრთელობა, ერთიანი მომავალი - მეცნიერებაზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობა", თბილისი, 11 ივნისი. 2025 წ. - მონაწილე;

6.24. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (წევრი, სხდომა 18 ივლისი 2025 წ.) თემა: "მდინარე იანძის წყალშემკრებ აუზში კატასტროფული წყალდიდობების პროგნოზირება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით".

6.25. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ბუნების კონსერვაციის მსოფლიო დღეს; თბილისი, 28 ივნისი. 2025 წ. - მონაწილე;

6.26. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტთა ასარჩევად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე (16.09.2025 წ.).

6.27. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღეს; თბილისი, 24 სექტემბერი. 2025 წ. - მონაწილე;

6.28. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით გამართული მეცნიერების ფესტივალი. ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. ქუთაისი, 29 სექტემბერი. 2025 წ. - მონაწილე;

6.29. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა მეტყევის დღეს; თბილისი, 9 ოქტომბერი. 2025 წ. - მონაწილე;

6.30. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გამართული ღონისძიება - "მეტყევის დღე", თბილისი, 10 ოქტომბერი, 2025 წ. - მონაწილე;

6.31. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით გამართული სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების მსოფლიო დღეს; თბილისი, 10 ნოემბერი. 2025 წ. - მონაწილე;

6.32. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებების კოორდინატორებთან. თბილისი, 18 ნოემბერი. 2025. - მონაწილე;

6.33. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ნიადაგების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 5 დეკემბერი, 2025 წ. - მონაწილე;

6.34. კონფერენცია - „პური ჩვენი არსობისა“ - ქართული ხორბლის კულტურა, ტრადიცია და იდენტობა. საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 26 დეკემბერი, 2025 წ. - მონაწილე;

7. აკადემიკოს ლაშა დოლიძის წინადადებები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა რომელთა გამართვაც აგრეთვე მიზანშეწონილია აკადემიაში.

7.1 „საქართველოს სატყეო სექტორის მდგრადი განვითარების და მართვის მექანიზმის შემდგომი ოპტიმიზაცია“.

საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფარგლებში;

აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი

1.1. თემის დასახელება: „საქართველოს ტყის ძირითადი სახეობების დაცვითი ფუნქციების მნიშვნელობა“. (ხელმძღვანელი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს - მდივნის, აკადემიკოს ლ. დოლიძის მონაწილეობით).

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

2.1. გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლაშა დოლიძე - საქართველოში მერქნული ნედლეულის საწვავად გამოყენების პოტენციური წყაროების შესახებ. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 67– 70.

2.2. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ე. როყვა - საწვავი მერქნული ბიომასის მოპოვების ზეგავლენა გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 84 – 86.

3. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

3.1. რეცენზია - აგრარულ სფეროში საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომისათვის 2025 წლის მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის გიზო გოგიჩაიშვილის მიერ მონოგრაფიის კრებულში - “The Soils Of Georgia”, გამოცემული: Sprinter PublisHing, Inc. New – York, Frankfurt; ISBN 978 – 3 -030 – 18508 - 4; 2019. P. 179.). გამოქვეყნებული VI და VII თავებისა.

4. პრაქტიკული მონაწილეობა თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში, მოხსენება, პრეზენტაციები

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის საერთაშორისო დღეს; თბილისი, 04 მარტი. 2025 წ. – (მონაწილე ონლაინ რეჟიმში);

4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღეს; თბილისი, 24 სექტემბერი. 2024. – (მონაწილე ონლაინ რეჟიმში).

5. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდენტის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც ასევე სასურველი იქნება აკადემიაში.

5.1 „საქართველოს სატყეო დარგში, სატყეო მეურნეობების სრულყოფილად აღდგენის შესახებ“. საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფარგლებში;

5.2. „საქართველოს ტყის ძირითადი სახეობების დაცვითი ფუნქციების სტაბილურობის შენარჩუნების და ამაღლების მნიშვნელობის შესახებ“.

საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფარგლებში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ქავთარაძე

1. გეგმური საკვლევი თემები აკადემიაში:

1.1. „საქართველოს ტყის მართვის პოლიტიკის გამოწვევების ანალიზი და მისი გადაწყვეტის რეკომენდაციების დამუშავება“ (თემა გარდამავალია).

თემის აქტუალურობა: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ.) სატყეო სექტორის მთავარი გამოწვევაა ტყის მართვის არსებული პრაქტიკის ჩანაცვლება თანამედროვე მდგრადი მართვის პრაქტიკით. მთელი ამ ხნის განმავლობაში სექტორში რეფორმის არაერთი მცდელობის მიუხედავად რეალური პროგრესი ვერ იქნა მიღწეული, ვინაიდან რეფორმის ვერც ერთ ეტაპზე საბოლოოდ ვერ შედგა თანხმობა მართვის კონკრეტულ მიმართულებაზე (მოდელზე), რაც თავის მხრივ განპირობებული იყო არათანმიმდევრული პოლიტიკით, პრიორიტეტების დონეზე შეხედულებებისა და ხშირი ინსტიტუციური ცვლილებებით.

2013 წლიდან სატყეო სექტორის რეფორმის ახალი მცდელობის ეტაპზე გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები, როგორც ინსტიტუციური მოწყობის კუთხით, ასევე სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების თვალსაზრისით (მიღებულ იქნა ეროვნული სატყეო კონცეფცია; ახალი ტყის კოდექსი და კანონქვემდებარე აქტები), რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო თანამშრომლობამ და მხარდაჭერამ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების ნაწილში, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის“.

მიუხედავად ამისა, დღემდე გამოწვევად რჩება რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, ან ახალ გამოწვევად წარმოჩინდა რეფორმირების ამ ეტაპზე. ერთ-ერთი მთავარი ამ თვალსაზრისით სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის - სატყეო სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის არ არსებობაა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ერთი მხრივ სექტორის განვითარების სტრატეგიული მიზნები, მეორე მხრივ ის ამოცანები, რომელიც უნდა შესრულდეს ამ მიზნების მისაღწევად.

კვლევის მიზანი: სატყეო სექტორში მიმდინარე რეფორმის ამ ეტაპზე პოლიტიკის გამოწვევების ანალიზი და მისი გადაწყვეტის რეკომენდაციების დამუშავება. ეროვნული სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს სატყეო სექტორის თანამედროვე განვითარების საერთაშორისო და პან-ევროპულ სტრატეგიულ მიზნებთან, რომელიც მოცემულია ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებში როგორც არის: გაეროს სატყეო სტრატეგიული გეგმა 2017-2030; ევროპის სატყეო სტრატეგია 2020 და 2030 და ევროპის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030.

1.2. „საქართველოს ტყის გენეტიკური რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის პოლიტიკის გამოწვევების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებისთვის“ (თემა გარდამავალია).

თემის აქტუალურობა:

საქართველოში ტყე, მცენარეულობის გაბატონებული ტიპი და მთავარი ეკოსისტემაა „კავკასიის ცხელ წერტილში“, რომელიც გამოირჩევა გენეტიკური და ბიომრავალფეროვნებით. გავრცელებულია 150-ზე მეტი სახეობის ხე და 240-ზე მეტი სახეობის ბუჩქი. მათ შორის 61 სახეობა კავკასიის, ხოლო 43 სახეობა საქართველოს ენდემია. ტყეების უდიდესი ნაწილი (98,5%) ბუნებრივი წარმოშობისაა. შესაბამისად ტყის გენეტიკური რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების ამოცანა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ეროვნულ დონეზე. აგრეთვე, საქართველოს გააჩნია საერთაშორისო ვალდებულებები გაეროს ტყის გენეტიკური რესურსების პროგრამის ფარგლებში. საერთაშორისო დონეზე ანგარიშგების კუთხით არსებობს გარკვეული პროგრესი, მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევებისა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია შემდეგი გაუმჯობესებისთვის.

კვლევის მიზანი: საქართველოს ტყის გენეტიკური რესურსების მართვის პოლიტიკის გამოწვევების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებისთვის. რეკომენდაციების შემუშავებისას მხედველობაში იქნება

მიღებული ტყის გენეტიკური რესურსების გლობალური სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის პრიორიტეტული მიზნები და ამოცანები.

ზემოაღნიშნული თემები შერჩეულია საკითხების აქტუალობისა და აკადემიის, როგორც მთავრობის მეცნიერული მრჩეველის როლის გათვალისწინებით.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვუძღვები შემდეგ სასწავლო კურსებს: ბაკალავრიატის საფეხურზე, დაცული ტერიტორიები (ძირითადი), ტყის მონიტორინგი და ექსპერტიზა (არჩევითი); ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე, სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ძირითადი), ტყის სერტიფიცირება (ძირითადი).

ჩემი ხელმძღვანელობით, 2025 წელს, დაცულია ერთი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: საქართველოს ძირითადი ტყის შემქმნელი წიწვოვანი სახეობების (*Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Pinus hamata*) ბიომასისა და ნახშირბადის მარაგების ცვლილება (2005-2020 წ.წ.), მაგისტრანტი გიორგი ცაბაძე. ამჟამად ვარ 1 სამაგისტრო და 2 სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები

3.1. Bakhtiyorov, Z., Chen, F., Chen, Y., Wang, S., Zhang, H., Hu, M., Yue, W., Habibulloev, S., **Kavtaradze, G.**, Rahmonov, O. and Dolgova, E., 2025. Tree-ring blue-intensity reconstruction of the April–September temperature maximum in the Greater Caucasus region of Georgia since 1780 CE, *International Journal of Biometeorology*, Volume 69, pages 1753–1768, (2025), <https://doi.org/10.1007/s00484-025-02930-7>

3.2. **Kavtaradze, G.**, Lexer M. J., Hochauer, C., Chiburdanidze, K., Basilidze, L (2025). *Climate change mitigation and adaptation potential of the main forest-forming woody plant species in Eastern Georgia*. Book of Abstracts. p.7. International Scientific Conference Dedicated to the 85th Anniversary of the Founding of the National Academy of Sciences of Georgia "Study and sustainable use of natural ecosystems in the conditions of modern climate change", Institute of Hydrometeorology, GTU, Tbilisi, Georgia, December 11, 2025, <https://doi.org/10.36073/1512-0902-13>

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა

4.1. UNECE-ის ტყისა და ბიოეკონომიკის სექციის მიერ ორგანიზებული ონლაინ კონფერენცია თემაზე „ხე მცენარეები ქალაქებში“, 16 დეკემბერი, 2025, მოხსენება: თბილისის შემოგარენის ტყის ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური მნიშვნელობა (ინგლისურ ენაზე);

4.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი ეკოსისტემების შესწავლა და მდგრადი გამოყენება კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში“, მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების 85 წლისთავისადმი, 11 დეკემბერი, 2025, მოხსენება: „აღმოსავლეთ საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი მერქიან მცენარეთა სახეობების კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის პოტენციალი“ (ქავთარაძე გ., ლექსერი მ. ჯ., ჰოხაუერი კ., ჩიბურდანიძე კ., ბასილიძე ლ.), სტუ-ს ჰიდომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი;

4.3. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონფერენცია: ტყის საერთაშორისო დღე: „ტყეები და საკვები“, 20 მარტი, 2025, მოხსენება: საქართველოს ტყის არამერქნული რესურსები: პოტენციალი და სარგებლობის გამოწვევები (თანამომხსენებელი, ინგლისურ ენაზე), ციურიხი, შვეიცარია (ვმონაწილეობდი ონლაინ).

5. აკადემიის პრეზიდენტი და მეცნიერებათა განყოფილების მუშაობაში მონაწილეობა

5.1. მოხსენება: პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს შემადგენლობის განახლების შესახებ (პრეზიდენტის 2025 წლის 21 ნოემბრის სხდომა);

5.2. მოხსენება: სატყეო პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი და შეფასება (გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების 2025 წლის 6 ივნისის სხდომა);

5.3. მოხსენება: ევროპის ახალი სტრატეგია (2030) და გამოწვევები საქართველოსთვის (გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ ორგანიზებული გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა, 2025 წლის 6 ივნისი);

6. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა

2009 წლიდან ვარ ა(ა)იპ „მეტყვეთა ასოციაცია“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი; 2014 წლიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის წევრი; 2016 წლიდან მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს, გარემოს დაცვის, დაცული ტერიტორიების და ტყის მდგრადი მართვის კომისიის თავმჯდომარე; 2018 წლის თებერვლიდან FAO-ს ტყის გენეტიკური რესურსების პროგრამის ეროვნული პასუხისმგებლობის პირი (NFPs); 2018 წლის აპრილიდან საქართველოში სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ჯგუფის წევრი, ეროვნული ექსპერტი (LULUCF); 2020 წლის იანვრიდან საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (დიპლომის No1-507); 2023 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე და ამავე აკადემიის სატყეო საქმის მიმართულების კოორდინატორთა დარგობრივი ჯგუფის ხელმძღვანელი; 2025 წლის ივნისიდან საერთაშორისო კვლევითი-საკონსულტაციო კომპანია „UNIQUE forestry and land use GmbH“ მუდმივმოქმედი ექსპერტი (მეტყვეობა); 2016 წლიდან „ბუნების კვლევების ჟურნალი - აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“ (ყოფილი „აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“) და 2025 წლიდან მულტიდისციპლინური ციფრული გამომცემლობის ინსტიტუტი (MDPI) ის სამეცნიერო ჟურნალი „Forests“, რეცენზენტი.

7. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურების წოდებები

ლაურეატის დიპლომი დასტურად იმისა, რომ მონოგრაფიისთვის „ უცხო მერქნიან მცენარეთა ინვაზია საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში“, 2025 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, მომენიჭა (თანაავტორებთან ერთად) აკად. გიორგი გიგაურის სახელობითი პრემია.

8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

8.1. რეცენზია - ანგარიში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში;

8.2. 2022 წლიდან ვხელმძღვანელობ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს. ამ პერიოდში ჩატარდა 25 საბჭოს სხდომა, მათ შორის 5 გაფართოებულ ფორმატში, ხოლო ერთი აგრარული ინოვაციების კომისიასთან გაერთიანებულ ფორმატში. საბჭოს სხდომებზე მოსმენილ იქნა 28 მოხსენება დარგობრივ აქტუალურ საკითხებზე;

8.3. 2024 წლიდან კოორდინაციას ვუწევ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სატყეო საქმის მიმართულების კოორდინატორთა დარგობრივ ჯგუფს. ამ პერიოდში შედგა 8 სხდომა, მათ შორის 6 გაერთიანებულ ფორმატში გარემოს დაცვის დარგობრივ ჯგუფთან.

აკადემიის სტიპენდიატი ზვიად ტიგინაშვილი

1.1 „ცივ-გომბორის რეგიონში „ქართული მუხის (Quercus petraea aubsp. Iberica) წმინდა კორომების აღნაგობის თავისებურებანი“

თემატიკაში ჩართული პერსონალი

პროფესორი (ა) ზვიადი ტიგინაშვილი - ხელმძღვანელი,
სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე - მეტყვევ ექსპერტი,

სსმმა აკადემიკოსი გიორგი გაგომიძე - კოლსუნტანი,

1.2 „ქართული მუხის (*Quercus petraea* aubsp. *Iberica*) ბუნებრივი განახლების შესწავლაც-გომბორის აღკვეთილში“

თემატიკაში ჩართული პერსონალი

პროფესორი (ა) ზვიადი ტიგინაშვილი - ხელმძღვანელი,

სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე - მეტყევე ექსპერტი,

სსმმა აკადემიკოსი გიორგი გაგომიძე - კოლსუნტანი.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

2017 წლის ოქტომბრიდან - დღემდე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, ჯერ მოწვეული და შემდეგ აფელირებული პედაგოგი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;

ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის - „სატყეო საქმე“ ხელმძღვანელი.

2025 წელს წაკითხული ლექციები შემდეგ დისციპლინებში:

ბაკალავრიატი:

სატყეო ტაქსაცია, ტყეთმომწყობა, დენდრომეტრია, დენდროლოგია I (შიშველთესლოვანები), დენდროლოგია II (ფარულთესლოვანები), დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმი, სავლე პრაქტიკა.

მაგისტრატურა:

ტყის ფონდის აღრიცხვა შეფასება ტაქსაციის თანამედროვე მეთოდებით, საცდელი საქმის მეთოდოლოგია სატყეო საქმეში, სავლე პრაქტიკა სატყეო საქმეში.

დოქტორანტურა:


სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფიჭვნარების ბიომასა და ნახშირბადის მარაგები“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომები, გვ.36, # 137 ISSN 1512 – 0902 Doi.org/10.36073/1512-0902-137;

ციტირების ინდექსი



4. თქვენი ხელმძღვანელობით დაცული სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები.

ვარ ერთი დოქტორანტი - გიორგი ჯინჭარაძის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. დაცვა შედგება 2026 წლის ზაფხულის თვეებში.

ვარ 11 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, აქედან ხუთის დაცვა მოხდა 2020-2022 წ.წ., 2-ის 2023 წელს, 1 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მოხდა 2025 წლის საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს, ხოლო ერთის მოხდება 2026 წლის თებერვალში.

2025 წელს დაცული სამაგისტრო თემა - „ცივ-გომბორის აღკვეთილის ტყეების ბიომასისა და დეჰონირებული ნახშირბადის მარაგების შესწავლა“, მაგისტრანტი ზურაბ ტივაძე.

ყველა ნაშრომი მუშავდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა მარიამჯვრის ნაკრძალსა და ცივ-გომბორის ალკვეთილში გაიარეს სასწავლო სავსე პრაქტიკები.

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CBHE პროექტი „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (DUGEOR)“ 2023 - 2026

პროექტის მიზნებია:

- საქართველოში უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაუმჯობესება დამსაქმებელთა საჭიროებების შესაბამისად;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდა და სწავლისადმი მათი მოტივაცია;
- სტუდენტების მიერ სწავლის დაფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სხვადასხვა ინდუსტრიულ სექტორსა და ბიზნესებში წარმოდგენილი კომპანიების საჭიროებებისა და სპეციფიკური მოთხოვნების დადგენა

პროექტის პარტნიორები უცხოეთიდან:

სერბეთი - ბიზნესის აკადემია - წამყვანი უნივერსიტეტი;

ავსტრია - FH Joanneum-ის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი;

გერმანია - DHBW, ბადენ-ვიურტემბერგის კოოპერატივის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი.

8. სატყეო სფეროში არსებული პრობლემური საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია მოხდეს განყოფილების სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში გავიდეს პრეზიდიუმზე:

- **პრობლემა - ტყის დაცვის სამსახურების შექმნა რეგიონებში.**

ტყის დაცვის განყოფილება, მხოლოდ სატყეო სააგენტოშია და შეუძლებელია რამოდენიმე თანამშრომლის მიერ, ქვეყნის თითქმის ნახევარზე უზრუნველყონ ტყის დაცვის ღონისძიებების გატარება, კერძოდ: მავნებელ-დაავადებების გამოვლენა და არსებობის შემთხვევაში ტყის დაცვის ღონისძიებების გატარება. ხშირ შემთხვევაში, მაშინ ხდება გამოვლენა, როდესაც უკვე ბრძოლის ღონისძიებების გატარება უშედეგოა, რასაც სავალალო შედეგებამდე მიყავს ტყეების სანიტარული მდგომარეობა.

სასურველია რეგიონებში შეიქმნას ტყის დაცვის განყოფილებები, თავისი მიკრო ლაბორატორიებით და მოხდეს მეტყევე სპეციალისტების, თუ ტყის მცველების მუდმივი სწავლება (ტრენინგები).

- **პრობლემა - გარემოსდაცვითი განათლება, მოსახლეობასთან მუშაობა.**

საჭიროა მეტი კომუნიკაცია მოსახლეობასთან და მეტი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება.

- **პრობლემა - ტყეტმოწყობა**

ტყეტმოწყობა არ ჩატარებულა ბოლო 20-30 წლის მანძილზე (გარდა რამოდენიმე რაიონისა). შესაბამისად:

- არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია ტყის ფართობებსა და მარაგებზე;
- არ არსებობს მართვის გეგმები.

როგორც ცნობილია, ტყეტმოწყობის ჩატარება საკმაოდ დიდ ფინანსურ და ადამიანურ (სპეციალისტები) რესურსებთან არის დაკავშირებული, რაც ამ ეტაპზე სატყეო დარგისთვის დიდი გამოწვევაა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პირველ ეტაპზე ჩატარდეს ტყის ფონდის დემარკაცია - საზღვრების დადგენა, რეგისტრაცია, რაც უდიდეს დახმარებას გაუწევს, როგორც ეროვნულ

სატყეო სააგენტოს, აგრეთვე სხვა სახელწიფო უწყებებს და ფიზიკურ პირებს უამრავი პრობლემის მოგვარებაში.

აღნიშნული სადემარკაციო სამუშაოების ჩატარება, არ მოითხოვს კვალიფიციური მეტყევე სპეციალისტების ჩართულობას.

➤ **პრობლემა - ტყეთმოწყობა ტარდება შპს-ების მიერ.**

უკანასკნელ წლებში ტყეთმოწყობა ტარდება ტენდერებში გამოვლენილი შპს-ების მიერ, რა დროსაც ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს არაკომპეტენტური პირების ჩართულობას. საჭიროა შეიქმნას „ტყეთმოწყობის საწარმოს“ მგავსი სამსახური, რომელიც რეგულარულად გადაამზადებს სპეციალისტებს, დანერგავს თანამედროვე მეთოდებს და მიდგომებს; ჩაატარებს, ტყეთმოწყობას და განახორციელებს სხვა პროექტებს, რომლებიც ტყის აღრიცხვასთან არის დაკავშირებული.

➤ **პრობლემა - სატყეო რეფორმა, რომლის მიხედვით ტყის მცველს ტყე არ აზარია.**

სატყეო დარგში მიმდინარე რეფორმების მიხედვით, მეტყევე სპეციალისტები და ტყის მცველები ვალდებული არიან გააკონტოლონ ტყეკაფები და იქ მიმდინარე პროცესები. მართალია გაიზარდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა, მაგრამ მათ არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულება/პასუხისმგებლობა კოტორეტულ ტყის უბნებზე (არ ხდება მათზე ჩაბარება).

აუცილებელია ტყის რესურსების დაცვაზე პასუხისმგებელ პირს, ჩაბარდეს ტყის ის უბნები, რომელზედაც პასუხისმგებლობას აიღებენ და უნებართვო/უკანონო ქმედებებზე პასუხს აგებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზარდება მერქნის უკანონო მოპოვებისა და სხვა არაკანონიერი ქმედებების რისკი.

აკადემიის 2026 წლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში შესატანი თემები:

1. „საქართველოს ტყეების პოტენციალი და ნახშირბადით ვაჭრობის ახალი შესაძლებლობები“;
2. „ქართული მუხის ტყის ტიპოლოგიური მრავალფეროვნება შიდა ქართლის რეგიონში“.

3.5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 წევრი (აკადემიკოსი), 1 წევრ-კორესპონდენტი და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: ზურაბ ცქიტიშვილი, ედიშერ კვესიტაძე, გურამ პაპუნძე, თემურ რევიშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი.

წევრ-კორესპონდენტი: ტექნიკის დოქტორი მალხაზ დოლიძე.

სტიპენდიატები: ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი.

განყოფილებაში 2025 წელს ჩატარდა 7 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 27 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. 2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. 3. აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძის

ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ედიშერ კვეციანი.

მეორე სხდომა ჩატარდა 24 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ ანგარიში. **მოდერატორი:** სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. 2. „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ - ინიცირების საკითხები. **მომხსენებელი:** მარიამ გორდამე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის, არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსი. 3. „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასება“ - სამეცნიერო დასკვნა; **მომხსენებლები:** ლილი ლეკიაშვილი, ნათია გურეშიძე, ანი ქირია, რისკის შეფასების მეცნიერთა ჯგუფი, თსუ. 4. „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები; **მომხსენებელი:** ლეილა ტაბატაძე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მთავარი სპეციალისტი. 5. „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ და რეკომენდაციების საფუძველზე დაგეგმილი რისკის მართვის ღონისძიებები. **მომხსენებელი:** სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტი.

მესამე სხდომა ჩატარდა 4 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: 1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების კვლევის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების კვლევის სამსახურის უფროსი, დოქტორი მერაბ ჟღენტაძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 8 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში მალაქიტის მწვანის, ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების ანგარიშის განხილვა. 1.1. ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასებისათვის ინიცირების პროცედურების წარდგენა. **მომხსენებელი:** სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი ვასილ კვერნაძე; 1.2. ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების-სამეცნიერო დასკვნა. **მომხსენებელი:** რისკის შემფასებელი მეცნიერი ანა თავართქილაძე. 1.3. ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების საფუძველზე მომზადებული ცენტრის რეკომენდაციები. **მომხსენებელი:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ზურაბ ქუჩუკაშვილი. 1.4. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული რისკის მინიმუმირების ღონისძიებები. **მომხსენებლები:** სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი ვასილ კვერნაძე; სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დავით გოდერძიშვილი. 1.5. ინფორმაცია საქართველოს თევზმომწმენებელთა

ასოციაციის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს თევზმომშენებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ჩოხანიანი

2. დისკუსია. 3. დასკვნა.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 28 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი 1. ვასილ პეტრიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების საექსპერტო კომისიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი

მეექვსე სხდომა ჩატარდა 17 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია; ტექნიკის დოქტორი თამაზ კობაიძე. 2. რეცენზენტების დასკვნები პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების შესახებ. **მომხსენებლები:** რეცენზენტები: აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე, აკადემიკოსი თემურ რევიშვილი, აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მალხაზ დოლიძე. 3. ფარული კენჭისყრა.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 18 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: „სურსათის უვნებლობის, ბიოტექნოლოგიისა და ერთიანი ჯანმრთელობის (One Health) ურთიერთკავშირების სამეცნიერო ასპექტები“. 1. „სურსათის უვნებლობის, ბიოტექნოლოგიისა და ერთიანი ჯანმრთელობის (One Health) ურთიერთკავშირების სამეცნიერო ასპექტები“ **მომხსენებელი და მოდერატორი:** სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. 2. თანამომხსენება: "ბიოტექნოლოგია ჩაის წარმოებაში", **თანამომხსენებელი:** აკადემიკოსი თემურ რევიშვილი. 3. თანამომხსენება:

- „მოსავლის მოყვანის ინტენსიფიკაციური მიდგომები და გენმოდფიცირებული საქონლის შედარება“; - „დაბინძურებული გარემოს გასუფთავება ბიორიმედიაციის მიდგომებით, ასევე ეროზირებული და დამლაშებული ნიადაგების აღდგენა“; - „ანტიმიკრობული და სასტერილიზაციო ტექნოლოგიები - პათოგენების წარმოქმნა (ლუდი), ნაყოფის შენახვა და ტრანსპორტირება, თესლისა და ნაყოფის დამუშავება“; - „ლაბორატორიული დიაგნოსტიკა“. **თანამომხსენებელი:** აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე 4. თანამომხსენება: „ბიოტექნოლოგია კვების ტექნოლოგიაში“. **თანამომხსენებელი:** წევრ-კორესპონდენტი მალხაზ დოლიძე. 5. თანამომხსენება: „მცენარეული ნედლეულისა და გადამუშავების ანარჩენების ვალორიზაციის ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესუსტების მიზნით ციკლური ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით“. **თანამომხსენებელი:** პროფესორი ალექო კალანდია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 6. მონაწილეთა დისკუსია.

გარდა ზემოაღნიშნული სხდომებისა სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ჩართულობით:

- 11 ივნისს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში კანდიდატურების შესარჩევად მეცხოველეობის და ვეტერინარიის, აგრონომიულ და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია კონკურსში დაშვებული კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. კანდიდატისათვის აკადემიის საერთო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

- 12 სექტემბერს ჩატარდა აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. **მომხსენებლები:** აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ტექნიკის დოქტორი თამაზ ბიჭიაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ თედორაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ედუარდ კუხალაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გელა ჯავახიშვილი; სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატები: ტექნიკის დოქტორი მალხაზ დოლიძე, ტექნიკის დოქტორი ეკატერინა კაციტაძე, ბიოლოგიის დოქტორი ქეთევან ლაფერაშვილი. 3. აკადემიის აგროინჟინერიის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატებისათვის რეკომენდაციის ან დაშვების მიცემა (ფარული კენჭისყრა). 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება.

აღსანიშნავია, რომ სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი აკადემიაში ჩატარებულ ღონისძიებებში.

3.5.1. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით).

1.1. საზაფხულო სკოლის ორგანიზება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ერთობლივი „საზაფხულო სკოლა“-ლაბორატორიული უნარჩვევების ამალგება მიკრობიოლოგიის იმუნოლოგიისა და ბიოქიმიის მიმართულებით (ორგანიზატორი და ტრენერი).

1.2. მიკროსკოპული სოკოს ლიზატში აღმოჩენილი პროტეაზებისა და პროტეოლიზური ფერმენტების სპეციფიური ინჰიბიტორების გამოყოფა, გასუფთავება და მათი გავლენის შესწავლა ავთვისებიანი სიმსივნის ზრდაზე ექსპერიმენტში-მომლოდინე პროექტი (მკვლევარი).

1.3. მიკროსკოპული სოკოებიდან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შესწავლა, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო პოტენციური აგენტები - მომლოდინე პროექტი (მენტორი).

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში (საგანი, რომელსაც ასწავლით უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება):

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი. საგნების ჩამონათვალი:

- აგრობიოტექნოლოგია;

- მცენარეთა ბიოქიმიის გავრცობილი კურსი;
- ზოგადი ბიოქიმია;
- ბიოტექნოლოგია.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. Use of Georgian non-genetically modified plant ingredients for the production of the dog food brand “Bombora”; Vasil Ghlighvashvili, Edisher Kvesitadze, Temuri Rukhadze and Ana Korsantia; International Journal of Science and Research Archive, 2025, 16(02), 1602-1606

3.2. Katsitadze, E., Museliani, K., Kvesitadze, E., Ujmajuridze, L., Turmanidze, T., & Khobelia, T. (2025). Study of the fermentation process of juice of Georgian grape Ojaleshi for the production of probiotic functional beverages. The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science, 23(1). Retrieved from <https://journals.org.ge/index.php/aans/article/view/417>

4. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

4.1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტი **FR-24-2334** ყურმნისეული წარმოშობის ახალი სინბიოტიკური და პრობიოტიკური სასმელების მიღება, მათი ფუნქციური პოტენციალის შეფასება და ოპტიმიზაცია -2024-2027.(პროექტის ხელმძღვანელი).

5. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

5.1. ევროპის ბიოტექნოლოგიური საზოგადოების და ევროპის მიკრობიოლოგთა საზოგადოების წევრი.

5.2. ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების წევრი.

6. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურების წოდებები და ა.შ. (მხოლოდ მიმდინარე წლის)

6.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ჯილდო უნივერსიტეტში გამორჩეული, ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის.

6.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

6.3. პეტრე მელიქიშვილის სახელობითი პრემია მონოგრაფიისათვის- „დედამიწის ეკოლოგიური და სასურსათო პოტენციალი“.

აკადემიკოსი გურამ პაპუნძე

1.თემის დასახელება:

1.1.თემა: „ფეიჰოას (Acca sellowiana) ნაყოფის უნარჩენო გადამუშავებით ჰიდროკოლოიდური ბიოდანამატის (თხევადი ნაყოფი) მისაღებად ინოვაციური, ჰიდროთერმოდინამიკური, გრავიტაციული ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია“ (შემსრულებელი)

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია ფეიხოას მთლიანი ნაყოფის გადამუშავებით პექტინით მდიდარი ფეიხოას ჰიდროკოლოიდური „თხევადი ნაყოფის“ მიღება. შემუშავდა ნედლეულის ჰიდროლიზის და ექსტრაგირების ოპტიმალური პარამეტრები: ლიმონმჟავას რაოდენობა - pH-არე; ტემპერატურა; ექსტრაგირების ხანგრძლივობა. კვლევებით დადასტურებულია, რომ ფეიხოას ბიოდანამატი „თხევადი ნაყოფი“ ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებიდან შეიცავს ფენოლურ ნაერთებს, ფლავონოიდებს, ლეიკოანტოციანებს, C ვიტამინს, მინერალურ ნივთიერებებს. ხასიათდება ანტიოქსიდანტური აქტივობით.

კვლევის მიზანია უნარჩენო ტექნოლოგიით, ჰიდროლიზური ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაციით ფეიხოას ბიოდანამატში მაქსიმალურად ხსნადი პექტინის გამოყოფა და ხსნადი პექტინის მაღალი შემცველობით ჰიდროკოლოიდური თხევადი ნაყოფის მიღება.

2. ექსპერიმენტული ნაწილი.

2.1. გამოყენებული მასალები და კვლევის მეთოდები.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აჭარაში გავრცელებული ფეიხოას (Acca sellowiana (O. Berg) Burret) ნაყოფი და ნაყოფიდან მიღებული ჰიდროკოლოიდური ბიოდანამატი თხევადი ნაყოფი.

კვლევის მეთოდები: კვლევისთვის საჭირო რეაქტივები შეძენილია „Sigma“ Aldrich ctainchaim Germanu. ანალიზი ჩატარდა ოფიციალური ანალიტიკური ქიმიკოსების ასოციაციის (AOAC) მეთოდების შესაბამისად. ცილების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა - საერთო აზოტის რაოდენობით, კელდალის მეთოდით (AOAC991.22); ნაცარი გამოწვით AOAC945.46; მშრალი ნივთიერება - საშრობ კარადაში შრობის მეთოდით და რეფრაქტომეტრის გამოყენებით; აქტიური მჟავიანობის - pH- ის განსაზღვრა (AOAC Official Method); საერთო შაქრების კვლევა - ფერიცანიდის მეთოდით; პექტინის განსაზღვრა - კარბაზოლის მეთოდით AOAC 988.18 მეთოდით; ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრა - DPPH მეთოდით; ფლავონოიდების რაოდენობრივი განსაზღვრა - AlCl₃-ის რეაქტივი, კვერცეტინზე გადაანგარიშებით სპექტროფოტომეტრული მეთოდით (510 ნმ); საერთო ფენოლების რაოდენობრივი განსაზღვრა - (Folin-Ciocateu) რეაქტივით გალის მჟავაზე გადაანგარიშებით სპექტროფოტომეტრული მეთოდით (750 ნმ); მინერალური ელემენტების თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა - პლაზმური ატომურ-ემისიური სპექტრომეტრით (ICPE-9820); საკვები ბოჭკოს განსაზღვრა - AOAC (OMA) 2022.16.

3. კვლევის შედეგები

3.1. უნარჩენო ტექნოლოგიით ფეიხოსას ნაყოფიდან ჰიდროკოლოიდური ბიოდანამატის მიღების სქემა.

ფეიხოსას ნაყოფიდან ჰიდროკოლოიდური ბიოდანამატი მიიღება შედეგი ტექნოლოგიური სქემით: ნედლეულის მომზადება, ინსპექცია → ორთქლით დამუშავება, ბლანშირება → გახეხვა, დაქუცმაცება → შემკვრებში გადატანა, მჟავური ჰიდროლოზის ჩატარება → ჰომოგენიზაცია კოლოიდურ წისქვილზე კავიტაციური ეფექტით (P-0 05მმ) → ვაკუუმ აპარატში გაცხელება 100°C-ზე → ჩამოსხმა 5ლ მოცულობის ასეპტიკურ პაკეტებში.

ნედლეულის მომზადება - ნაყოფის რეცხვა სარეცხ მანქანაზე სუფთა გამდინარე წყლით, ინსპექცია დაზიანებული ნაყოფების, ფოთლების მოცილება;

ორთქლით დამუშავება, ბლანშირება - ორთქლით დამუშავება, ბლანშირება, მიმდინარეობს დიგესტერში. ბლანშირების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნაყოფზე და არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს 100° C-ის პირობებში.

გახეხვა, დაქუცმაცება - ბლანშირების შემდეგ ნაყოფი ექვემდებარება გახეხვას, გამხეხ მანქანაზე ბადის ზომით P- 0,2მმ, გახეხილი მასა გადააქვთ შემკვრებში, სადაც ემატება რეცეპტურით გათვალისწინებული ლიმონის მჟავა, რომელიც ამავე დროს ხელს უწყობს კანის ჰიდროლიზს, მაცერაციას; ფეიხოსას ნაყოფიდან პექტინის ჰიდროლიზი მოიცავს ორ სტადიას, რომელიც ითვალისწინებს: პროტოპექტინის მაკრომოლეკულების ჯაჭვებს შორის კავშირის გახლეჩას და პროტოპექტინის პოლიმერული ჯაჭვის ჰიდროლიზს, რომლის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა მოლეკულური მასის წყალში ხსნადი ჰიდროლიზის პროდუქტები. უმთავრესი პარამეტრები, რომელიც გავლენას ახდენს პექტინოვანი ნივთიერებების ჰიდროლიზსა და ექსტრაგირებაზე არის ექსტრაგენტში წყალბად იონების კონცენტრაცია, ტემპერატურა და პროცესის ხანგრძლივობა. ექსპერიმენტის მიხედვით ჩატარებული პროცესი მოცემულია ცხრილში1.

ფეიხოს ნაყოფის ჰიდროლიზის პროცესის ექსპერიმენტი

ცდების რაოდენობა	ჰიდროლიზის პირობები. კონტროლი.				პექტინის რაოდენობა %	ჰიდროლიზის პირობები				პექტინის რაოდენობა %	ჰიდროლიზის პირობები				პექტინის რაოდენობა %
	ტემპერატურა oC	pH	ჰიდროლიზის ხანგრძლივობა სთ	ლიმონის მჟავა %		ტემპერატურა oC	pH	ჰიდროლიზის ხანგრძლივობა სთ	ლიმონის მჟავა %		ტემპერატურა oC	pH	ჰიდროლიზის ხანგრძლივობა სთ	ლიმონის მჟავა %	
1	50	4,0	2	1,2	70	3,2	2	2,5	1,8	85	2,8	2	3	1,9	
2	50	3,8	2	1,2	70	3,2	2	2,5	1,8	85	2,8	2	3	1,9	
3	50	3,8	2	1,2	70	3,2	2	2,5	1,8	85	2,8	2	3	1,9	
4	50	3,8	2	1,2	70	3,2	2	2,5	1,8	85	2,8	2	3	1,9	

საკონტროლო ცდასთან შედარებით II ექსპერიმენტით მიღებული შედეგები 85° C -ის pH-2,8 და ჰიდროლიზის ხანგრძლივობა 2სთ-ის პირობებში ხსნადი პექტინის რაოდენობამ შეადგინა 1 ,9-2,0%.

ჰომოგენიზაცია - ჰიდროლიზის დასრულების შემდეგ ფეიხოს პიურე შემკრებიდან ტუმბოს საშუალებით ტარდება კავიტაციური ეფექტით კოლოიდურ წისქვილზე (P-0 05მმ); ვაკუუმ აპარატი - ჰომოგენიზირებული პიურე ვაკუუმ აპარატში, ცხელდება 100°C-ზე, მიმდინარეობს ნაწილობრივი დეაერაცია; ყოველი ცდის შემდეგ ბიოდანამატში ხდება პექტინის შემცველობის განსაზღვრა. მიღებული თხევადი ნაყოფის ჩამოსხმა ხდება ასეპტიკურად 5ლ მოცულობის ასეპტიკურ პაკეტებში.

თხევადი ნაყოფიდან ნექტარის დამზადების შემთხვევაში 100მლ სასმელში პექტინის რაოდენობა იქნება 1%. ცნობილია, რომ 1გ პექტინი ორგანიზმიდან ახდენს 151,7მგ ტყვიის შეკავშირებას და ორგანიზმიდან გამოდევნას.

3.2. მიღებული ბიოდანამატის „თხევადი ნაყოფი“ კვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შემცველობაზე.

ჩატარდა ფეიხოს ნაყოფის ფიზიკო-ქიმიური და ფიტოქიმიური ანალიზი (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ფეიხოს ნაყოფის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

ხსნადი მშრალი ნივთიერება	აქტიური მჟავიანობა, pH	მჟავა-შაქრის ინდექსი, %	საერთო მჟავიანობა, %	ტენიანობა, %
12,9	3,1	4,5	1,8	80,3

ფეიხოს ნაყოფის ქიმიური მაჩვენებლები (ნედლ მასაზე)

ცილა %	ნაცარი %	ცხიმი %	საერთო შაქარი, %	საქაროზა %	გლუკოზა %	ფრუქტოზა %	საკვები ბოჭკო, %
3,7	3,5	2,2	7,5	2,2	2,3	3,0	6,4

როგორც ცხრილში მოცემული შედეგებიდან ჩანს ფეიხოაში შაქრებიდან დომინირებს ფრუქტოზა- 3,0%, შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით საკვებ ბოჭკოს-6,4%.

საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობის განსაზღვრის მეთოდი - საერთო ფენოლური ნაერთების შემცველობა განვსაზღვრეთ სპექტროფოტომეტრზე Simadzu japan. ფენოლური ნაერთების განსაზღვრა დაფუძნებულია ფენოლური ნაერთების ცილოვან ნივთიერებებთან შეკავშირებასთან და მეტალთა მარილების სახით დალექვასთან, იჟანგება ფერადი რეაქციის წარმოქმნით. კვლევა ჩატარდა მეთოდით, რომელიც აღწერილია ნაშრომში (Cheng et al., 2013). ფენოლური ნაერთების რაოდენობრივი შემცველობის დაანგარიშება ხდებოდა საკალიბრო მრუდზე (მგ გალის მჟავა 100გ ნაყოფში, მგ GK/100გ)

საერთო ფლავონოიდების შემცველობის განსაზღვრის მეთოდი - ფლავონოიდები შემცველობა განვსაზღვრეთ (Cheng et al., 2013) მეთოდის მიხედვით, რომელიც მოდიფიცირებულია მცენარეული ნაყოფისთვის. ფლავონოიდების რაოდენობრივი შემცველობის დაანგარიშება ხდებოდა საკალიბრო მრუდზე (მგ CV/100გ).

ანტირადიკალური აქტიურობის გასაზღვრის DPPH-მეთოდით - მოცემული მეთოდი დაფუძნებულია სტაბილური სინთეზური რადიკალის DPPH (2,2-დიფენილ-1-პიკრილგიდ-რაზილი) რეაქციაზე, იხსნება ეთანოლში ანტოქსიდანტის ნიმუშთან, რომელსაც შეიცავს ხსნარი (Cheng et al., 2013). ანტოქსიდანტური აქტიურობის განსაზღვრისთვის გამოიყენება პარამეტრი *Ec 30* -ექსტრაქტის კონცენტრაცია. ჟანგვით დაშლის რეაქციის შეკავება მიმდინარეობს მით უფრო ჩქარა და ანტოქსიდანტური აქტიურობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო დაბალია *Ec 30* მაჩვენებელი (ცხრილი 3).

ცხრილი 3.

ფეიხოას ნაყოფის და თხევადი ნაყოფის ფიტოქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	ნაყოფი	თხევადი ნაყოფი
საერთო ფენოლური ნაერთები მგ GAE/100გ	473,3 ± 0,2	490, 5 ± 0,2
საერთო ფლავონოიდები მგ კვერცეტინი/100გ	163,0 ± 0,3	180,7 ± 0,3
ჰიდროლიზებადი ტანინი, მგ/%	511,8 ± 0,2	120 ± 0,2
ლეიკოანტოციანი, მგ/100გ	182,0 ± 0,1	170,4 ± 0,1
ვიტამინი C , მგ/%	35,8 ± 0,3	30,1 ± 0,3
ანტირადიკალური აქტიურობა მგ/მლ	1,7	1,8

მინერალური ელემენტების თვისობრივი და რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრის მეთოდის პრინციპი მდგომარეობს ელემენტთა ატომების მიერ გამოსხივებული სინათლის ინტენსივობის განსაზღვრაში, რომლებსაც იძლევა ინდუქციურად შეკავშირებული არგონის პლაზმით აღზნებული ატომები სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე. თვისებითი ანალიზი ტარდება ტალღის სიგრძის განსაზღვრით, რაოდენობითი კი - მოცემული სიგრძის ტალღის გამოსხივების ინტენსივობით. კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს არანაკლებ 0,99-ს.

ფეიხოას ნაყოფში, რბილობში და კანში მინერალური ელემენტების თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა განხორციელდა პლაზმური ატომურ-ემისიური სპექტრომეტრით (ICPE-9820); ხარისხობრივად და რაოდენობრივად განსაზღვრულია 28 ელემენტი, რომელთაგან 7 მაკრო: Ca, K, P, Mg, Na, Si, Fe; 21 მიკრო და ულტრამიკროელემენტია: Al, Zn, Mn, B, Cu, Ba, Se, Cr, Ni, Mo, Co, V, Cd, Pb, Be, Li, Ti, As, Hg, Sb, Tl (ცხრილი 4).

ცხრილი 4.

ფეიხოას ნაყოფის მინერალური ნივთიერებები (მგ/ლ მშრალ მასაზე)

№	ელემენტის დასახელება	ფეიხოას ნაყოფი	ფეიხოას რბილობი	ფეიხოას კანი
მაკროელემენტები მგ/ლ				
1	კალციუმი (Ca)	543	214	474
2	კალიუმი (K)	2570	1250	2780
3	ფოსფორი (P)	349	104,2	169
4	მაგნიუმი (Mg)	183	75,3	179
5	ნატრიუმი (Na)	77,6	4,2	44,4
6	სილიციუმი (Si)	38,6	15,8	23,5
7	რკინა (Fe)	18,9	0,719	10,1
მიკროელემენტები მგ/ლ				
8	ალუმინი (Al)	24,27	-16,2	23,4
9	თუთია (Zn)	5,48	2,20	3,22
10	სპილენძი (Cu)	3,064	0,78	1,37
11	მანგანუმი (Mn)	7,87	2,84	6,82
12	მოლიბდენი (Mo)	1,54	0,014	0,175
13	ბორი (B)	1,864	0,718	1,53
14	კადმიუმი (Cd)	<0,007	<0,0043	<0,044
ულტრამიკროელემენტები მკგ/ლ				
15	ბერილიუმი (Be)	2,97	0,32	1,38
16	ლითიუმი (Li)	-0,22	-5,74	-7,29
17	ტყვია (Pb)	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ
18	ტიტანი (Ti)	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ-2,14
19	ვანადიუმი (V)	-2,67	-1,96	-2,59
20	ბარიუმი (Ba)	0,009	0,003	0,003
21	დარიშხანი (As)	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ
22	ქრომი (Cr)	0,86	0,626	0,11
23	ნიკელი (Ni)	12,88	1,62	10,7
24	სელენი (Se)	-0,185	-0,152	-0,263
25	კობალტი (Co)	4,10	0,333	2,66
26	სტიბიუმი (Sb)	0,052	-0,249	0,0198
27	ვერცხლისწყალი (Hg)	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ
22	ქრომი (Cr)	0,86	0,626	0,11

კვლევებით დაფიქსირდა, რომ ფეიხოას ნაყოფი, რბილობი და კანი შეიცავს ელემენტებს, რომელიც კვებისთვის შეუცვლელი ფაქტორია, მოცემულ შედეგებს, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობის დახასიათებისთვის. მაკროელემენტებიდან საკვლევ ნიმუშები გამოირჩევა K, Ca, P მაღალი შემცველობით. მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს Mg, Na, Fe და Si. კვების პროდუქტების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაშია Al, Zn, Cu, Co, Cr, Mn, Mo, B, Ba, Be, Li, Ni, Sb შემცველობა. ტოქსიკური ელემენტების Pb, Ti, As, Cd, V, Hg შემცველობა აღმოჩენის ზღვარს ქვემოთაა.

ცდები ჩატარდა სამჯერადი განმეორებით. მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა სტიუარტის t- ტესტით $p < 0,05$.

დასკვნები

კვლევის დროს მიღებული მონაცემების შეჯამებით, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. შემუშავებული სასმელი მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულებით გამოირჩევა;
2. ხასიათდება მაღალი კომპლექსწარმომქმნელი თვისებებით სისხლნაკლულობის დროს. მოცემული თვისებებით შეესაბამება ნაყოფზე არსებულ მონაცემებს პროფილაქტიკური და კვებით ღირებულების შესახებ.

1.2. თემა: „აჭარაში გავრცელებული ტყემლის შერჩეული ჯიშებისა და ფორმების ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობის შესწავლა წვენისა და კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმების დადგენის მიზნით“

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა, როგორც სამიზნო ასევე ექსპერიმენტული კვლევითი სამუშაოები. შესწავლილი იქნა წინასწარ შერჩეული ტყემლის ჯიშობრივი ფორმების აგრობიოლოგიური, ტექნოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები; ტყემლის ნაყოფის შენახვის ტექნოლოგიური რეჟიმები და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებების ცვალებადობა; ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავდა ტყემლის წვენისა და კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმები. შედარებულია ტყემლის წვენის მიღების ორი მეთოდი, რეკომენდებულია მათ შორის წარმოების ოპტიმალური ტექნოლოგია.

2. ექსპერიმენტული ნაწილი:

2.1. გამოყენებული მასალები და კვლევის მეთოდები.

ნაყოფის ნიმუშები მოიკრიფა ტექნიკური სიმწიფის სტადიაში. შემდგომ მოხდა მისი გაყინვა - 18°C ტემპერატურაზე და შენახული იქნა ამავე ტემპერატურულ პირობებში საანალიზოდ. თითოეული ჯიშის ნაოფებში განისაზღვრა შემდეგი ფიზიკო-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლები. გამოვიყენეთ შემდეგი ანალიზის მეთოდები: წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრა განხორციელდა ბრიქსის შკალის მიხედვით ციფრული რეფრაქტომეტრის საშუალებით (Carl Zeiss, გერმანია);

საერთო ტიტრული მჟავიანობა განისაზღვრა 0,1 N NaOH-ის ხსნარით გატიტვრით ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით ავტომატურ ტიტრომეტრზე (Mettler-Toledo AScwerze-nbach, Switzerland) [8]; მშრალი ნივთიერება (DM) განისაზღვრა თერმოგრავიმეტრიული მეთოდით (AOAC Official Method); ნაცრიანობის განსაზღვრა განხორციელდა მუფელის ღუმელში გამოწვით 550°C, მუდმივ წონაზე მიყვანით, ექსტრაქტის გაზომვა განხორციელდა მეთოდით AOAC Official Method) [9].

შაქრებისა და პექტინის განსაზღვრა AOAC Official Method (2005) მიხედვით [10]. ნაყოფის წონა, ნაყოფის მოცულობა, ნაყოფი ხვედრითი წონა, სიმაღლე და დიამეტრი, კურკის წილი ნაყოფის წონასთან მიმართებაში, რბილობისა და კანის წილი ნაყოფის საერთო წონაში და შაქარ-მჟავური ინდექსი (raxio)- განსაზღვრა ხდება გაანგარიშების მეთოდით.

შენახვის დროს ტყემლის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობის დადგენის მიზნით ადრეული მომწიფების ტყემლის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფები: №1-V (ქედა, ვაიო), №2-V (ქედა, ვაიო, №3-V (ქედა, ვაიო), №4 (ბათუმი), №5X (ხელვაჩაური) კვლევისთვის აღებული იქნა ჯიშების ნიმუშები ხუთი შესაფუთი ერთეულის ოდენობით, თითოეული ჯიშის წონით 20კგ. შემდეგ შერჩეული ნიმუშებიდან ავიღეთ საშუალო 3 კგ მასის ნიმუშები და შემდეგ ჩამოყალიბდა სამი ცალკე ნიმუში 1 კგ მასით, რომლებიც შეფუთული იქნა პოლიეთილენის პაკეტებში. თითოეულ ნიმუშზე დამაგრდა ეტიკეტი, რომელზეც დატანილია ხარისხი, სუფთა წონა, გაყინვის ტემპერატურა და შენახვის დაწყების თარიღი. გაყინვის პროცესი განხორციელდა შოკური გაყინვის მეთოდით მინუს 35°C ტემპერატურაზე. გამოკვლეული იქნა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებების ცვლილებები: ასკორბინის მჟავა, ბეტა-კაროტინი, პექტინის ნივთიერებები, ფენოლური ნივთიერებები შესანახვის დაყენებამდე და საცავიდან ყოველი ამოღების შემდეგ.

3. კვლევის შედეგები

3.1. ტყემლის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობა შენახვის დროს

შენახვა ხდებოდა ჩვეულებრივ მინუს 20°C ტემპერატურაზე, შენახვის ხანგრძლივობა იყო სამი თვე. ტყემლის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შესასწავლად განისაზღვრა მათი შემცველობა სხვადასხვა ჯიშის

ტყემლის ნაყოფში შენახვამდე და შენახვის შემდეგ. მიღებული მონაცემების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ტყემლის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები შენახვამდე

ჯიშები	მშრალი ნივთიერება, %	შაქრები, %	ლორღანული მჟავები, %	ასკორბინის მჟავა, მგ/%	ანტოციანები, მგ/%	β-კაროტინი, მგ/%	პექტინი, %	
							ხსნადი	პროტო პექტინი
№1-V	13.2	7.9	2.59	9.22	339	167	0.53	0.43
№2-V	12.1	6.9	2.31	7.22	477	154	0.43	0.39
№3-V	11.7	10.0	1.09	5.29	378	133	0.44	0.26
№4-B	11.4	6.7	2.0	8.60	323	184	0.31	0.38
№5-X	13.2	8.4	1.99	6.11	784	176	0.48	0.42

მიღებული მონაცემები შენახვის შემდეგ გაყინული ტყემლის ნაყოფის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების ცვლილების შესახებ აჩვენა შემდეგი:

- შეიცვალა მშრალი ნივთიერების შემცველობა. ჯიშის მიხედვით, ამ მაჩვენებლის კლება განსხვავებული იყო. ტყემლის ჯიშებისთვის მშრალი ნივთიერების შემცველობის რაოდენობს შემცირება მერყეობს- 2,9-3,2% ფარგლებში.
- შაქრიანობა შენახვისას ასევე შემცირდა ტყემლის ყველა ჯიშში და შეადგენდა 5,5-7,5%-ის ფარგლებში.
- ტყემლის ყველა ჯიშისთვის დაფიქსირდა მჟავიანობის მთლიანი ინდექსის ზრდა 2,8-3,3%-ის ფარგლებში.
- ასკორბინის მჟავა შეუცვლელი ვიტამინია. ის აუმჯობესებს ორგანიზმის წინააღმდეგობას ინფექციური დაავადებების მიმართ, ზრდის ეფექტურობას და არის ბუნებრივი ანტიოქსიდანტი.

ცხრილი 2 გვიჩვენებს ცვლილებებს, რომლებიც ახასიათებს შენახვისას ასკორბინის მჟავის შემცველობის შემცირებას. მისი დანაკარგები ტყემლის ჯიშზე იყო დამოკიდებული და 9,8-დან 15%-მდე მერყეობდა. ასკორბინის მჟავის ყველაზე მცირე კლება დაფიქსირდა ალუბლის ქლიავის ჯიშის ნებერჯაისკაია რანაიას ნაყოფში - 9,8%, ყველაზე დიდი დანაკარგი - 15% ჯიშებში ობილნაია და პუტემესტვენნიცა.

ცხრილი 2

ტყემლის ნაყოფში ასკორბინის მჟავის, ანტოციანების, ბეტა-კაროტინის, პექტინის შემცველობის ცვლილება შენახვის დროს

	№1-V			№2-V			№3-V			№4-X			№5-B		
	1 თვე	2 თვე	3 თვე	1 თვე	2 თვე	3 თვე	1 თვე	2 თვე	3 თვე	1 თვე	2 თვე	3 თვე	1 თვე	2 თვე	3 თვე
ასკორბინის მჟავა, მგ/%	9,14	8,65	7,88	7,12	6,77	6,13	5,2	5,02	4,69	8,45	8,32	7,76	6,01	5,54	5,05
ანტოციანები მგ/100გ	325	298	272	451	422	389	364	314	304	312	288	266	746	706	651
β-კაროტინი, მგ/%	160	155	150	148	143	140	129	126	125	176	170	168	156	151	150
პექტინი, %	0,87	0,8	0,78	0,76	0,71	0,69	0,65	0,61	0,59	0,62	0,57	0,54	0,81	0,76	0,7

ანტოციანინები ბუნებრივი მღებავი ნივთიერებებია, რომლებიც ტყემლის ნაყოფს აძლევს შეფერილობას ღია წითელიდან მეწამურამდე. ანტოციანინები მოქმედებს როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პროცესებს, აუმჯობესებს ნაწლავების მუშაობას. ტყემლის ნაყოფში ანტოციანინების რაოდენობის ცვლილების შესწავლისას (ცხრილი 3) აღმოჩნდა, რომ გაყინულ მდგომარეობაში შენახვისას ანტოციანინების შემცველობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მათი დანაკარგები შენახვის ბოლოს მერყეობს 16,9%-დან 19,7%-მდე.

ბეტა-კაროტინი მიეკუთვნება კაროტინოიდების ჯგუფს, რომლებიც ბუნებრივი ანტიოქსიდანტებია. ისინი იცავენ უჯრედებს დაზიანებისგან, აფერხებენ ორგანიზმის დაბერების პროცესს. ბეტა-კაროტინი იყო ყველაზე მდგრადი დაბალი ტემპერატურის მიმართ (ცხრილი 4). მისი დანაკარგები შენახვის დროს იყო 5,6-დან 10,2%-მდე დიაპაზონში. მხოლოდ ერთი ჯიშში დანაკარგები საგრძნობლად მეტი იყო - 14,8%.

პექტინოვანი ნივთიერებები მიეკუთვნება დიეტური ბოჭკოების ჯგუფს. ადამიანის ორგანიზმს სჭირდება ბუნებრივი დეტოქსიკატორები, რადიოპროტექტორები და ანტიოქსიდანტები. ცხრილი 5 გვიჩვენებს პექტინოვან ნივთიერებების ცვლილებას ტყემლის ნაყოფში. მიღებული მონაცემები გვიჩვენებს შენახვის დროს მნიშვნელოვან დანაკარგებს, რომლებიც მერყეობს 15,75%-დან 22,2%-მდე.

3.2. ტყემლის წვენი და კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმები

3.2.1. ტყემლის წვენის მიღება დაწნეხვით

ნაყოფის დაწნეხვა ხორციელდება სხვადასხვა კონსტრუქციის პერიოდულ ან უწყვეტად მოქმედ წნეხებში. დაწნეხვით მიიღება წვენი, რომელიც ფერით, არომატით, გემოთი და ქიმიური შემადგენლობით დიდად არ განსხვავდება ნაყოფის რბილობისაგან, მაგრამ წვენი შეიცავს რბილობის ნაწილაკებს შეწონილ მდგომარეობაში, რომლებიც დაწდომის შემთვევაში ჭურჭლის ფსკერზე ილექებიან. ტყემლის ნაყოფის დასაწნეხად იხმარება კალათიანი ყურძნის წნეხი, ნაყოფი იწყობა გამძლე ქსოვილში. წვენის მიღების დროს ქმნიან კალათიანი წნეხისათვის მაქსიმალურად დასაშვებ წნევას და ამ წნევის ქვეშ აჩერებენ ნაყოფს, სანამ წნევის ნაკადის დინება არ შეწყდება.

უწყვეტი მოქმედების მახილის ტიპის წნეხი არ გამოიყენება, რადგან მასში ხდება ნაყოფის რბილობის ჩაჭყლეტა და წვენი პიურეს მაგვარი მიიღება. წვენის მიღების გასაადვილებლად საჭიროა ტყემლის წინასწარი სითბური დამუშავება. მხოლოდ ისე, რომ ექსტრაქტული ნივთიერების დანაკარგები მინიმალური იქნეს.

ექსტრაქტულ ნივთიერებათა ფაქტიური დანაკარგები ნაყოფის თბური დამუშავების სხვადასხვა მეთოდების გამოყენების დროს მოყვანილია ცხრილი 3-ში. ბლანშირების ხანგრძლივობა განისაზღვრება მომენტით. როცა ნაყოფის ზედაპირზე ჩნდება ღრმა ბზარები. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მაგარი, მკვრივი ნაყოფი მიზანშეწონილია დაყოვნდეს 80—85° ტემპერატურის მქონე წყალში.

ტყემლის ნაყოფის ექსტრაქტულ ნივთიერებათა დანაკარგები თბური დამუშავების რეჟიმის მიხედვით

№	ნაყოფის სიმწიფის ხარისხი (კონსისტენციის ხარისხი)	თბური დამუშავების მეთოდი და ხანგრძლივობა	ექსტრაქტულ ნივთიერებათა შემცველობა ნაყოფში %/ზ		ექსტრაქტულ ნივთიერებათა დანაკარგება	
			ნაყოფის	ნაყოფის	ნაყოფის	ნაყოფის
1	მკრივი ნაყოფი	წყლით 80-85° ტემპრატურაზე 2 წუთის განმავლობაში	9,1	9,1	დანაკარგები არ აქვს.	
2	ოდნავ რბილი ნაყოფი	წყლით 80-85° ტემპრატურაზე 1 წუთის განმავლობაში	10,1	9,4	0,7	6,9
3	მკრივი ნაყოფი	ორთქლით ერთი წუთის განმავლობაში	8,9	8,5	0,4	4,5
4	ოდნავ რბილი ნაყოფი	" " " "	10,1	9,6	0,5	5,0

წვენის გამოსავალი დაწნევის მეთოდის გამოყენების დროს ნაყოფის ზომის მიხედვით

№	ნაყოფის ზომა	წვენის გამოსავალი % ნაყოფის წონისადმი	ნარჩენები და დანაკარგები წნევის დროს % ნაყოფის წონისადმი	
			სულ	მათ რიცხვში კურკების ჩათვლით
1	მსხვილი	59,0	41,0	6,4
2	საშუალო	57,0	43,0	7,8
3	წვრილი	53,0	47,0	8,0
	წვენის საშუალო გამოსავალი	56,0	44,0	7,4

გადამუშავებისათვის აღებული ნაყოფის ზომები შემდეგია: მსხვილი ნაყოფი წონით 10 გ და მეტი; საშუალო ნაყოფი 6-დან 8 გრამამდე; წვრილი ნაყოფი 5 გ ნაკლები.

3.2.2. ტყემლის წვენის მიღება ექსტრაქციის მეთოდით

წნეხვით წვენის მიღების დროს ექსტრაქტულ ნივთიერებათა 40% რჩება დაწნეხილ მასაში და წარმოადგენს წარმოების დანაკარგს, რამდენადაც ნაყოფიდან უშუალოდ გამონაწენი ტყემლის წვენი მაღალი მჟავობით ხასიათდება და შემდგომ გამოსაყენებლად საჭიროა მისი კუპაჟირება შაქრის სიროფთან ან სხვა დაბალი მჟავობის წვენებთან. საინტერესოა წყლით ექსტრაქციის (დიფუზიის) მეთოდის გამოცდა. როგორც ცნობილია, ამ მეთოდით სარგებლობის დროს წვენის გამოსავალი გაცილებით დიდია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტყემლის გადამუშავების ხანგრძლივობა 1-1.5 თვეს არ აღემატება. უწყვეტი ქმედების სადიფუზიო. ბატარეების მოწყობა ტყემლოს წვენის მისაღებად ეკონომიურად გაუმართლებელია. ამ მიზნისათვის მისაღებად უნდა ჩაითვალოს 80-90 °C წყლით პერიოდული ექსტრაქცია ქარხანაში არსებული მოწყობილობის გამოყენებით.

ამასთან ერთად №5 ცხრილის მონაცემების შესაბამისად, სადაც მოცემულია ექსტრაქტულ ნივთიერებათა გამოყოფის სისრულე ექსტრაქტის რაოდენობის მიხედვით, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს წარმოების შემდეგი ვარიანტი;

1. ერთჯერადი ექსტრაქციით ღებულობენ წვენს, რომელშიც ექსტრაქტულ ნივთიერებათა გამოსავალი მათი საერთო რაოდენობის 52% შეადგენს. დარჩენილ მასას იყენებენ პავიდლოს წარმოებაში;
2. ორჯერადი ექსტრაქციის დროს შეიძლება 84% ექსტრაქტულ ნივთიერებათა მიღება. დარჩენილი მასა მიეკუთვნება ნარჩენებს;
3. ოთხჯერადი ექსტრაქცია პრაქტიკულ ინტერესს არ წარმოადგენს.

ცხრილი 5

ტყემლის წვენის მიღება ექსტრაქციით

№	ექსტრაქციათა რაოდენობა	ექსტრაქციათა ხანგრძლივობა	წვენში მშრალი ნივთიერებების% ნაყოფში მისი საერთო შემადგენლობის მიმართ
1	ერთჯერადი	30 წთ	52,0
2	ორჯერადი	20 წთ	84,0
3	ოთხჯერადი	10 წთ	86,0

ნაყოფისა და წყლის რაციონალურ თანაფარდობად ექსტრაქციის დროს ითვლება (1:1). ცხრილი 5-ის მონაცემების მიხედვით ორჯერადი ექსტრაქციის დროს ტყემლის ხარჯი ერთ ტონა წვენზე (გამოსავალი ნედლეულის ექსტრაქტიულობაზე გადაანგარიშებით) შეადგენს — 1190 კგ. წვენის ხარისხობრივი შეფასება მისი მიღების მეთოდის მიხედვით ნაჩვენებია ცხრილი 6-ში.

ცხრილი 6

ტყემლის წვენის დახასიათება

მაჩვენებლები	წვენის წარმოების მეთოდი	
	დაწნეხვით	ორჯერადი ექსტრაქცია (ნაყოფის ექსტრაქციულ გადაანგარიშებაზე)
მშრალი ნივთიერები შემცველობა რეფრაქტომეტრით %%	9,0	9,0
მშრალი ნივთიერების შემცველობა გამოშრობით %%	9,34	9,54
საერთო შაქარი	3,84	3,87
ინვერტული შაქარი	3,41	3,57
საქაროზა	0,41	0,29
მჟავობა (გადაანგარიშებული ლიმონის მჟავაზე)	3,36	3,32
პექტინი % %	0,4508	0,8612
ვიტამინი C	არ არის	არ არის
მთრიმლავი ნივთიერება %%	0,040	0,054
მღებავი ნივთიერება	0,173	0,208
PH	3,0	3,0

წვენი გარეგნული ელფერი	ღვინის ფერი, არაგამჭვირვალე, შეიცავს ნაყოფის რბილობის შეწონილ ნაწილაკებს	ღვინის ფერი, გამჭვირვალე, აქვს ოდნავი სიმღვრიე
ხვედრითი წონა	1,040	1,040
სიბლანტე (შეფარდებით)	4,5	11,0

ამ ცრილიდან ჩანს, რომ ექსტრაქტით მიღებული წვენი თავისი ქიმიური შედგენილობით ნაკლებად განსხვავდება ნაყოფის უშუალო დაწნეხვით მიღებული წვენისაგან, ამიტომ თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსტრაქციის დროს გამოსავალი გაცილებით მეტია, უპირატესობა ტყემლის წვენის წარმოებაში ამ მეთოდს უნდა მიენიჭოს.

დადგენილი იქნა ტყემლის წვენის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 7

ტყემლის წვენის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

საერთო ექსტრაქტულობის დამოკიდებულება მჟავასთან	წვენის ორგანოლექტიკური შეფასება
6-მდე	წვენი ძლიერ მჟავაა, სასმელად არ გამოდგება
6- 9- მდე	წვენი მჟავაა, გამოიყენება, როგორც სასმელი სპეციფიკური მაღალ მჟავობით.
13-დან 18-მდე საშუალო მნიშვნელობა 1,5	მომჟავო-მოტკბო, სასიამოვნო სასმელი, კარგად გამოსახული ტყემლის არომატით.
18-ს ზემოთ	ტკბილიდან ძლიერ ტკბილამდე, შეიძლება რეალიზებულ იქნეს, როგორც ტყემლის სიროფი.

3.2.3. ტყემლის კონცენტრატების წარმოება

ტყემლის კონცენტრატი, როგორც მაღალი მჟავობის მქონე პროდუქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ძვირფასი ნახევარფაბრიკატი სასაქონლო სიროფის და სხვა წარმოებაში. ამასთან ერთად ტყემლის წვენის რეალიზაცია კონცენტრატის სახით იძლევა ტარა-მასალების და სატრანსპორტო ხარჯების ეკონომიას.

ტყემლის წვენის კონცენტრაცია უნდა ხდებოდეს ვაკუუმ-აპარატში 600მმ ვერც. სვეტის გაიშვიათების ფარგლებში. ამ მიზნისათვის გამოსადეგია უჟანგავი ლითონისაგან დამზადებული ვაკუუმ-აპარატი.

ცდებმა გვიჩვენა, რომ ტყემლის წვენის კონცენტრირება შეიძლება ექსტრაქტულ ნივთიერებათა 50% შემცველობამდე, ასეთი კონცენტრაციის დროს მიიღება ალუბლისფერი სითხე, რომელიც შაქრებს შეიცავს 23% ფარგლებში. ხოლო მჟავებს - 12%-მდე. წვენის კონცენტრირებასთან ერთად მკვეთრად იზრდება მისი სიბლანტე, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან.

ქიმიური კვლილებებიდან წვენის კონცენტრირების დროს აღსანიშნავია მღებავ ნივთიერებათა დაშლა. რის შედეგადაც წვენის ფერი იცვლება მუქი ყოლოსფერიდან დამახასიათებელი ბრწყინვით ღია ყავისფერამდე. წვენის გემოზე ეს ცვლილებები არ მოქმედებენ და განსაზღვრული კონცენტრატები ექსტრაქტულობის შესაბამისობისას არ გამოირჩევიან თავდაპირველი წვენისაგან.

კონცენტრატების ფერი და დიეტური თვისებები შეიძლება გაუმჯობესებულ იქნეს ასკორბინის მჟავას დამატებით 200-300 მგ% ფარგლებში.

ნაყოფი გულდასმით ინსპექციისა და გარეცხვის შემდეგ იტვირთება ექსტრაქტორში, რომელიც წარმოადგენს უჟანგავი ლითონის დახურულ ჩანს ორმაგი ორთქლის პერანგით და წვენი გამოსაშვებით, აგრეთვე კანისა და კურკების გამოსატვირთი სპეციალური მოწყობილობით.

ექსტრაქტორში ნაყოფი და წყალი იტვირთება შეფარდებით 1:1. ექსტრაქტორის დატვირთვის შემდეგ ორმაგ პერანგში შედის ორთქლი მასის 90°C-ით გათბობამდე და ამ ტემპერატურის შესანარჩუნებლად 20 წუთის განმავლობაში შემრევი უწყვეტად მუშაობს. პირველი ექსტრაქციის წვენი გამოშვების შემდეგ ნაყოფს მთლიანად ესხმება წყალი ნაყოფის დაფარვამდე და ექსტრაქცია მეორე დეზა 20 წუთის განმავლობაში 90°-ზე.

მიღებული ექსტრაქტები იფილტრება, ფილტრაცია დასაწყისში უხეშია; ნაყოფის რბილობის მსხვილი ნაწილაკების დასაცილებლად მას მისდევს ექსტრაქცია ფილტრ-წნეხზე გატარებით წნევის ქვეშ. გამჭვირვალე ექსტრაქტი გადაიტვირთება ვაკუუმ-აპარატებში, სადაც ხდება კუპაჟირება ან კონცენტრირება 500 - 600 მმ ვერცხ. სვ. ვაკუუმის ქვეშ. კონდიციამდე დაყვანილი პროდუქტი გადის სტერილიზაციას შესაბამისი რეჟიმით და დაფსოვდება ასეპტიკურ ტომრებში.

დასკვნები

- ტყემლის შერჩეული ჯიშები და ფორმები ხასიათდებიან მაღალი კვებითი ღირებულებით (მშრალი ნივთიერება 16%-მდე), კარგი ტექნოლოგიური თვისებებით;

- სამი თვის განმავლობაში გაყინულ მდგომარეობაში შენახვისას იცვლება ტყემლის ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. მცირდება მშრალი ნივთიერების და შაქრების შემცველობა. მთლიანი მჟავების შემცველობა იზრდება (2,8-დან 3,3%-მდე დიაპაზონში).

შენახვისას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის უმნიშვნელო შემცირება მნიშვნელოვნად არ მოქმედებს ტყემლის ნაყოფის კვებით ღირებულებაზე.

- **Prunus cerasifera Ehrh.-ს** შერჩეული ჯიშის ნაყოფები ხასიათდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ფულქციონალური სურსათის წარმოებისათვის, ასევე ტრადიციული ნაციონალური პროდუქტების დასამზადებლად.

აკადემიკოსი თემურ რევიშვილი

1. თემის / პრობლემის დასახელება

პრობლემა 01. „ჩაის, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული ხეხილოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება და სრულყოფა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით“ (ხელმძღვანელი)

ქვეპრობლემა 01.01. „ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და დანადგარების კვლევა, დამუშავება და სრულყოფა“;

ეტაპი 01. 01. 03. „ჩაის და სუბტროპიკული მცენარეული ნედლეულის გადამუშავების პროცესებში ენერგორესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების და მოწყობილობების გამოყენების კვლევა, დამუშავება-სრულყოფა და რეალურ პირობებში შემოწმება“;

ეტაპი 01. 01. 04. „ჩაის მოვლა-მოყვანის და მოსავლის აღების მცირე სამექანიზაციო ინოვაციური ტექნიკური საშუალებების და ახალი თაობის ჩაის ხელის საკრეფი აპარატის კვლევა, დამუშავება-სრულყოფა და საინვესტიციო პროექტების მომზადება“.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

შემუშავებულია მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამა „ჩაის წარმოება“, რომლის მიზანია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების გადამზადება.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. **Organ-specific bioactivity and mineral profiles of *Camellia sinensis* across contrasting plantations in the Georgian Caucasus. *Industrial Crops & Products* 237 (2025) 122222. Journal homepage:**

www.elsevier.com/locate

[/indcrop.https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0926669025017698](https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0926669025017698) (თანაავტორობით).

ნაშრომი არის პირველი რეგიონული კვლევა, რომელიც იძლევა მრავალმხრივ წარმოდგენას განსხვავებულ საველე პირობებში კულტივირებული ქართული ჩაის პლანტაციების მინერალური და პოლიფენოლური შემადგენლობისა და ბიოაქტივობის შესახებ. შეფასებულია *Camellia sinensis*-ის ფოთლების, ნაყოფის ნაჭუჭისა და თესლის მინერალური შემადგენლობა, პოლიფენოლები და ანტიოქსიდანტური აქტივობა. ნაჩვენებია, რომ ჩაის თესლი გამოირჩევა აზიგენინისა და სელენის მაღალი შემცველობით. ქართული ჩაის ფოთლებში, ნაყოფის ნაჭუჭსა და თესლში კატეხინის, ფლავონოლების მაღალი კონცენტრაცია მსოფლიოს ბევრ სხვა ჩაისთან შედარებით, სავარაუდოდ, მცენარის გარემო სტრესულ პირობებთან ადაპტაციის შედეგია, როგორცაა გლობალურ ჩრდილოეთ არეალში ჩაის კულტივირების კონკრეტული ეკოლოგიური ფაქტორები (ცივი კლიმატი, თოვლი, ნიადაგის სპეციფიკურობა, ექსპოზიცია, სიმაღლე, ვეგეტაციის სეზონურობა).

3. 2. **Impact of fixation method on catechin profile and antioxidant activity of Georgian green tea. *Bioactive Compounds in Health and Disease* 2025; 8(7): 257-268.**

DOI: <https://doi.org/10.31989/bchd.8i7.1659> (თანაავტორობით).

კვლევის ძირითადი მიზანია ფიქსაციის განსხვავებული მეთოდების გამოყენებით დამზადებული ქართული მწვანე ჩაის საერთო პოლიფენოლების (PF), ინდივიდუალური კატეხინების და ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლა. მეორადი მიზანია ეფექტური შენახვის მეთოდების იდენტიფიცირება PF შემცველობასა და ანტიოქსიდანტურ შესაძლებლობებს შორის კორელაციით. მაღალი ხარისხის თხევადი ქრომატოგრაფიის (HPLC) მეთოდით ექსპერიმენტულ მწვანე ჩაის ექსტრაქტებში კატეხინების შესწავლამ აჩვენა კატეხინების რაოდენობრივი შემადგენლობის განსხვავება მწვანე ჩაის დამზადების მეთოდების მიხედვით. ელექტრომაგნიტური ინდუქციის მეთოდით ფიქსაციის შედეგად მიღებულ მწვანე ჩაი შეცავს მეტ მარტივ და რთულ კატეხინს, სადაც დომინანტურია ეპიგალოკატეხინის გალატი (EGCG).

3.3. **ხელის ჩაის საკრეფი ინოვაციური აპარატი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის "მომბე" № 1 (53), 2025, გვ. 37 – 42 (თანაავტორობით).**

კვლევის აქტუალობა გაპირობებულია ჩაის წარმოების შრომატევად საწარმოო პროცესებში დეფიციტური და ძვირადღირებული მუშახელის მნიშვნელოვნად შემცირების ამოცანით, მცირე სამექანიზაციო ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობით. შემუშავებულია ჩაის ფოთლის ხელის საკრეფი ახალი თაობის ინოვაციური აპარატი (საქართველოს პატენტი P 2022 7413 B), რომლის კონსტრუქციული შესრულება, ყლორტების გადაჭრისა და გადატეხვის სიმაღლის რეგულირების შესაძლებლობით, უზრუნველყოფს თანაბარი ზომის საერთო მასის და ნაზი დუყების შერჩევით კრეფას, პროცესის ეფექტიანობას და ნედლეულის მაღალ ხარისხს.

4. **საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა:**

4.1. Polyphenols, catechins, and antioxidant activity of Georgian green tea. 35th International Conference of FFC - 23rd International Symposium of ASFFBC: "Functional Foods and Bioactive Compounds: Innovations in Health and Disease Prevention", October 3-5, 2025, Yerevan, Armenia. 105-106.

მწვანე ჩაის სასარგებლო თვისებები ძირითადად განპირობებულია პოლიფენოლური ნაერთებით, განსაკუთრებით ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე კატეხინებით. კვლევის

შედეგები მნიშვნელოვანია მწვანე ჩაის პროდუქტების ხარისხისა და ჯანმრთელობისთვის პოტენციური სარგებლის ოპტიმიზაციის მიზნით.

4.2. Inverter Technology in Green Tea Production. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები“ 15 -17 ოქტომბერი, 2025, თბილისი, გვ. 82 (თანაავტორობით).

ნაშრომში განხილულია ექსპერიმენტული მოწყობილობების და ტექნოლოგიური პროცესის კვლევის შედეგები, რომელთა საფუძველზე შემუშავებულია ჩაის ფოთლის ფიქსაციის ენერგოდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიური მოწყობილობა და პროცესი. ახალი ტექნოლოგიის რეალურ პირობებში შემუშავებისა და ტესტირების შედეგები ადასტურებენ მწვანე ჩაის თვითღირებულების მნიშვნელოვანად შემცირების შესაძლებლობას.

4.3. TEA CULTURE IN GEORGA. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“ შრომების კრებული. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 15-16 ოქტომბერი 2025, ქუთაისი, გვ. 108 – 112 (თანაავტორობით).

ნაშრომში მოყვანილია მონაცემები საქართველოში ჩაის კულტურის ისტორიის, წარმოების სტატისტიკის, საქართველოს ადგილის გლობალურ ჩაის ინდუსტრიაში, წარმოების კომპონენტების, კვლევისა და განვითარების, ქართული ჩაის ინდუსტრიის პერსპექტივების, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ.

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

5.1. შ. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის 2025 წ. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საპილოტე კვლევების კონკურსის პროგრამის ფარგლებში წარდგენილი იქნა პროექტი „ხელის ჩაის საკრეფი აპარატი“.

6. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2025 წლის 27 ივნისის სხდომაზე წარდგენილი იქნა პრეზენტაცია „ქართული ჩაის ფენოლური ნაერთები და მათი ცვლილება ტექნოლოგიურ პროცესში“, რომელშიც განზოგადებულია სამი მიმართულებით ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები:

პირველი: კატეხინების და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ცვლილება ჩაის მცენარის კულტივირების და გავლურების პირობებში;

მეორე: ქართული და უცხოური ჩაის კატეხინები და ანტიოქსიდანტური აქტივობები;

მესამე: ფიქსაციის მეთოდების გავლენა მწვანე ჩაის პოლიფენოლებზე, კატეხინებსა და ანტიოქსიდანტურ აქტივობაზე.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა:

- აკ. წერეთლის უნივერსიტეტის სასუსართო ტექნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს წევრი;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრი;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო სამეცნიერო საბჭოს წევრი;

- International Agricultural Journal - ის სარედაქციო საბჭოს წევრი;

8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

8.1. საერთაშორისო თანამშრომლობა:

8.1.1. იან კოჩანოვსკის უნივერსიტეტი (კიელცე, პოლონეთი);

8.1.2. საერთაშორისო ასოციაცია „ჩაი გამოზრდილი ევროპაში“ (საფრანგეთის განყოფილება).

8.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების 2025 წ. 18 დეკემბრის სხდომის თემაზე - „სურსათის უვნებლობის, ბიოტექნოლოგიის და ერთიანი ჯანმრთელობის (One Health) ურთიერთკავშირების სამეცნიერო ასპექტები“, თანამოხსენება - „ბიოტექნოლოგია ჩაის წარმოებაში“.

8.3. საცდელი დანერგვა: ინდმეწარმის „თამარ ღლონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ჩაის გადადამამუშავებელ საწარმოში, განხორციელდა მაღალხარისხოვანი მწვანე და შავი ჩაის წარმოების ენერგოდამზოვი ინოვაციური სამანქანო ტექნოლოგიების დანერგვა, გამომუშავდა პროდუქციის საცდელ-საწარმოო პარტიები, ჩატარდა მათი ორგანოლეპტიკური შეფასება.

8.4. პროექტში მონაწილეობა: „სვისკონტაქტ საქართველოს“ (შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთობლივ პროექტში - „ფინანსური ინსტიტუტების მზადყოფნა, გატესტონ / დანერგონ არასაფინანსო პროდუქტები საკუთარ საოპერაციო პროცესში“ მონაწილეობა რეგიონული დიაგნოსტიკის ცენტრის ფარგლებში (ოზურგეთი, ანასეული)

8.5. სამუშაო შეხვედრა: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების საკითხზე, 2025 წ. 27 მარტს, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა მინისტრი დავით სონღულაშვილი. მონაწილეობდნენ: მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, მინისტრის მრჩეველი ომარ კაჭარავა, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თენგიზ სვანიძე და მე თემურ რევიშვილი. აღინიშნა, რომ მიუხედავად ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის „ქართული ჩაი“ და სხვა პროგრამების ფარგლებში ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოებისა, სექტორში კვლავ რჩება გარკვეული გამოწვევები. რომელთა გადაწყვეტის მიზნით, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, მომზადდა და სამინისტროს განსახილველად წარედგინა დოკუმენტი - „**მოსაზრებები საქართველოში ჩაის სექტორის განვითარების სტრატეგიის შესახებ**“.

8.6. საქმიანობის პოპულარიზაცია:

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დაარსებიდან 95 - წლისთავთან (1930 – 2025) დაკავშირებით, მკვლევართა ჯგუფმა (ისტორიის მკვლევარები: გაბრიელ ჩუბინიძე, გიორგი ჯავახიშვილი და დოკუმენტური კინოს რეჟისორ-ჟურნალისტი დავით თამაზაშვილი), მოახდინა დოკუმენტური მასალის ჩაწერა ქართული ჩაის ისტორიაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, და ამ ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის, - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როლის შესახებ.

- საქართველოს თათავისუფალი და გერმანიის ოსტვალის უნივერსიტეტების ერთობლივი კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია ონლაინ არქივის შექმნა ყოფილი საბჭოთა მეურნეობების არქიტექტურული და სოციალური კვლევების საფუძველზე, სამეგრელოსა და გურიის რეგიონების მაგალითზე. პროექტში მონაწილე სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონელმა განხორციელა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ინტერვიუების, სამუშაოების მიმდინარეობის, ინსტიტუტის კორპუსების და მიმდებარე ტერიტორიის დოკუმენტირება.

9. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილებისა და პრეზიდენტის სხდომებზე 2026 წ. განსახილველი საკითხი:

9.1. ჩაის (*Camellia sinensis*) ბიოლოგიური აქტივობა და მინერალური შემადგენლობა პლანტაციის ტიპის მიხედვით საქართველოში.

აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

პრიორიტეტული საფრთხის განსაზღვრის სისტემური მიდგომის დანერგვის ხელშეწყობა წინადადების ინიცირება - პრიორიტეტული საფრთხის განსაზღვრის სისტემური მიდგომის დანერგვის მიზნით ჩატარებულ სხდომაზე ჩემ მიერ ინიცირებულ იქნა წინადადება მულტიდისციპლინარული ჯგუფის შექმნის შესახებ.

ჯგუფის შექმნა - 2025 წლის 17 იანვრის №4-9 ბრძანებით შეიქმნა სურსათის პრიორიტეტული საფრთხის დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავებელი მულტისექტორული ჯგუფი.

მეთოდოლოგიის დამტკიცება - 2025 წლის 16 აპრილის №72-9 ბრძანდებით დამტკიცდა, მულტისექტორული ჯგუფის მიერ მომზადებული, სურსათის რისკის შეფასების ინიცირებისათვის პრიორიტეტული საფრთხის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში ცვლილებების შეტანაში მონაწილეობა

ცვლილებები შევიდა:

- სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკის მართვის წინასწარი ღონისძიებების სტანდარტული ოპერაციული პროცედურაში - „სურსათის ნიმუშების რაოდენობის მიმართ წარმოშობილი დავის შემთხვევაში შერჩევის ზომის განსაზღვრის ალბათური განაწილების პრინციპის“ გამოყენების თაობაზე.
- საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურაში - ცვლილების მიხედვით საზოგადოების ინფორმირების ფორმისა და საშუალებების შერჩევის შემდეგ საკითხი შეთანხმდება რისკის კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფთან.

2025 წელს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურისთვის სოპ-ის პროექტის შემუშავება

სოპში წარმოდგენილია რისკის შეფასების ორგანიზაციული და სამეცნიერო საქმიანობის პროცედურები.

განსაკუთრებით რელევანტურია:

რისკის შეფასებისათვის მეთოდოლოგიების მოძიებისა და დანერგვის ვალდებულებები; სამსახურის უფროსის ფუნქციური პასუხისმგებლობები.

დოკუმენტი დამტკიცებულია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

2025 წელს რისკის ანალიზის შესაძლებლობების გაძლიერებისა და სურსათის უვნებლობის სფეროში პროაქტიული სისტემური მიდგომების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მინისტრის ბრძანებით შეიქმნა რისკის ანალიზის საკოორდინაციო პლატფორმა და დამტკიცდა დებულება, რომლის შემუშავებაში მივიღე აქტიური მონაწილეობა.

სურსათის უვნებლობისა და ერთიანი ჯანმრთელობის თანამედროვე მოკლე კონცეფციის შემუშავება და წარდგენა

2025 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში და 25 დეკემბერს საკოორდინაციო პლატფორმის ფარგლებში განხილვისთვის წარვადგინე:

სურსათის უვნებლობისა და ერთიანი ჯანმრთელობის თანამედროვე მოკლე კონცეფცია.

კონცეფციაში განსაზღვრულია მრავალდისციპლინური თანამშრომლობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება, სექტორთაშორისი კოორდინაციის გაძლიერება და სასურსათო ჯაჭვის მიკვლევადობის გაფართოების შესაძლებლობა.

2025 წელს განხილული რისკის შეფასების ანგარიშები:

სურსათის უვნებლობა:

„საქართველოში მალაქიტის მწვანის, ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალის იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასება“

რისკის შეფასების მეცნიერთა ჯგუფი: ანა თავართქილაზე/ მარიამ უბილავა / თევლე მჭედლიშვილი / ჯგუფის კოორდინატორი- ზურაბ ქუჩუკაშვილი.

„2022- 2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასება“

რისკის შეფასების მეცნიერთა ჯგუფი: ანი ქირია / ნათია გურეშიძე / ლილი ლეკიაშვილი / ჯგუფის კოორდინატორი- ზურაბ ქუჩუკაშვილი

ევროპელი ექსპერტების მიერ შემუშავებულ სურსათის კონტროლის ეროვნული სისტემის შეფასების დოკუმენტში ნათქვამია:

„როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და თვითმმართველი სამეცნიერო დაწესებულება, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში

„აკადემია“) ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სურსათის უვნებლობის მიმართულებით მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციის პროცესში.“

„მიუხედავად იმისა, რომ აკადემია არ არის სახელმწიფო კონტროლის სისტემის უშუალო ნაწილი, ის ჩართულია ისეთ აქტივობებში, როგორცაა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOPs) პროექტის მომზადება ... მათ შორის რისკის შეფასების ანგარიშები.“

„რისკის ანალიზში მრავალი სუბიექტის ჩართვა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის როლი, იდენტიფიცირებულია, როგორც სფერო, რომელსაც ასევე შეუძლია ისარგებლოს პასუხისმგებლობების უფრო მკაფიო განაწილებით.“

აკადემიისთვის „პასუხისმგებლობების უფრო მკაფიო განაწილება“ წარმოადგენს მისი სამეცნიერო ავტორიტეტის ინსტიტუციური განმტკიცების წინაპირობას.

საქართველოში სურსათის უვნებლობის სტრატეგიის (2025-2028) პროექტის განხილვის საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობა

სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია:

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან მჭიდრო თანამშრომლობით და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, შემუშავებული და დანერგული იქნა „რისკის შეფასებისათვის ინიცირების პროცედურები“ და „SOP“-ების დარგობრივი ინოვაციური სისტემური ინსტრუმენტები.“

საქართველოში სურსათის უვნებლობის სტრატეგიის (2025-2028) სამოქმედო გეგმა:

ამოცანა 1. სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, კომპეტენტურ ორგანოებსა და კომპეტენტურ ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

აქტივობა:

1.2. უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა

პარტნიორი ორგანიზაცია: სსმმ აკადემია

1.3. რისკის ანალიზის საკოორდინაციო პლატფორმის შექმნა

პარტნიორი ორგანიზაცია: სსმმ აკადემია

1.4. „კოდექს ალიმენტარიუს“-ის ეროვნული კომიტეტის შექმნა

პარტნიორი ორგანიზაცია: სსმმ აკადემია

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მალხაზ დოლიძე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ვხელმძღვანელობდი აგროინჟინერიის დეპარტამენტს, ხოლო 2025 წლიდან ვარ სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სტუდენტებს ვასწავლი პურის ცხობის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგიას. გარდა ამისა ვკითხულობ ლექციებს და ვასწავლი კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ნარჩენების გადამუშავების კურსს. კვების მრეწველობის საწარმოებში ძირითადად მუშავდება სოფლის მეურნეობის ნედლეული, რომლის სრული გამოყენება არ ხდება 100 %-ით და ძალიან აქტუალურია ამ მიმართულებით სტუდენტებისათვის ცოდნის შეძენა, ასევე სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ვკითხულობ „საკვები დანამატების“ კურსს, რადგანაც დღეს საკვები დანამატების თემა ინტენსიური ტექნოლოგიების შემოსვლასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. სტუდენტებს სისტემატიურად ვუტარებ პრაქტიკულ მეცადინეობებს და გაცნობით სემინარებს პურის ცხობის საწარმოებში (იფქლი დილომი) და (იფქლი გლდანი), სადაც დამონტაჟებულია თანამედროვე მოწინავე ტექნიკა და ხორციელდება საინტერესო ტექნოლოგიური პროცესები პურის ცხობასთან დაკავშირებით. მათ გააჩნიათ საკონდიტრო განყოფილებები. ვთანამშრომლობ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების განყოფილებასთან. აკადემიის წევრები 2025-ში მყავდა ფირმა „იფქლის“ პურის საწარმოში, სადაც შედგა მეტად საინტერესო შეხვედრა მეცნიერებსა და მეწარმეებს

შორის, შეხვედრა მიემდგვნა ინოვაციურ სიახლეს საქართველოდან პურის ექსპორტს ისრაელში, გარდა ამისა ეს საკითხი განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინოვაციის კომისიაზე, სადაც წარდგენილი იქნა ნიმუშები და პურის ექსპორთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც საქართველოში პირველად ხორციელდება.

აქტივობები

2025 წელს პურპროდუქტების საჭირობოროტო საკითხებთან დაკავშირებით (ხარისხი, ფასი, დისტრიბუცია, ექსპორტი) ორჯერ ვიყავი მიწვეული ტელეარხ „პალიტრაზე,, ჟურნალისტ ემა ტუხიაშვილთან.

2025წ - საზოგადოებრივი ტელევიზია, ჟურნალისტი ჭუჭულაშვილი-- ეკონომიკური საკითხები - (დამბალანსებელი გადასახადი, პურის ფასები და ხარისხი).

2025წ - საზოგადოებრივი ტელევიზია,მარი მალაზონია-პურის ტექნოლოგია - (კლასიკური ტექნოლოგია და პურის შენახვის შესახებ)

2025წ - „ბმჯი,, - ჟურნალისტი გიორგი ისაკაძე-პურპროდუქტების დისტრიბუციის შესახებ და პურპროდუქტებში ეკონომიკური გარემოს შესახებ.

2025წ - რადიოგადაცემა „იმედი,“ - ჟურნალისტი ლ. ჭითანავა-პურის ფასები და დისტრიბუციის გავლენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე .

2025წ - ბიზნესრადიო - დისტრიბუცია პურის ხარისხი და თემა „რატომ შემცირდა პურის მოხმარება საქართველოში - „პური ეკონომიკური და სოციალური ბარომეტრი”.

სამეცნიერო და კვლევითი მუშაობა მეტად ფართო სპექტრისაა, მაგალითისათვის ვმუშაობთ ფუნქციური დანიშნულების მცენარეული ინგრედიენტებით. სასურსათო პროდუქტების დამზადება, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა საქართველოში ქართული ხორბლისა და მათი ფქვილიდან პურის ცხობის საკითხების კვლევა და გზა პროდუქციის საცდელი ცხობების შედეგების შესწავლა, საწარმოებში ინოვაციური რეკომენდაციების მიწოდება როგორც ტექნოლოგიურ პროცესებში, ასევე რეცეპტორების შემუშავებაში პირველ რიგში ეკოლოგიურად დანამატების გარეშე ფქვილოვანი ნაწარმის გამოშვება მცირემიწიან ქვეყნისათვის მარცვლეული კულტურების წარმოება და მისი საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდა. დღესაც ვიღებთ მონაწილეობას საწარმო „იფელი დილომი,, მეურნეობა-„ლომთაგორაში,, ქვის წისქვილზე ნაწარმოები ქართული ფქვილისაგან საცდელი პარტიების ცხობის საკითხები. ჩვენი მონაწილეობით განხორციელდა ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება წარმოება იფელი დილომი(ინოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ ცომის მოხარშვა ხორციელდება სათანადო ფერმენტაციით, ასეთი ტექნოლოგია საქართველოში პირველია. მეცნიერთა და მეწარმეთა ერთობლიობამ მისცა წარმოებას საშუალება პროდუქციის ექსპორტი (მზა პურის გაგზავნა ისრაელში), რაც საქართველოში ისტორიაში პირველია.

2024-25 წლებში საქართველო სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის (ამჟამად აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების) ფაკულტეტზე დოქტორანტ ტრისტან ფარჯანაძის (ხელ-ლი;მალხაზ დოლიძე) მიერ განხორციელდა დაცვა თემაზე,, უგლუტენო პური გაუმჯობესებული რეოლოგიური და საგემოვნო თვისებებით,, ამავე წლებში დოქტორანტ თეა ნინუას (ხელ-ლი; ედიშერ კვესიტაძე, თანახელმძღვანელი მალხაზ დოლიძე) მიერ მოხდა დისერტაციის დაცვა თემაზე ,, მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქტის შექმნა მათთვის ფუნქციური დანიშნულების გაუმჯობესების მიზნით,, სადაც მოხდა გლუტენის დასაშლელად ახალი ფერმენტების გამოყოფა „ნარჩენებიდან,, საკუთრივ ეს ნარჩენები წარმოადგენს ვახის კონკრეტულად „ადესის,, (იზაბელა) ფოთლებს, რომლისაგან მიღებულ ექსტრაქტში გამოყოფილი იქნა ფერმენტების გარკვეული კატეგორია, ჩატარდა ექსპერიმენტი გლუტენის დაშლის უნარიანობაზე, შეირჩა ფერმენტი, რომელიც აქტიურად შლის გლუტენს. აღნიშნულ ფერმენტს გაეწია რეკომენდაცია, რომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც უგლუტენო პურში, ასევე სხვა უგლუტენო კვების პროდუქტებშიც.

უგლუტენო პროდუქცია დღესდღეობით მეტად აქტუალურია და ამ მიმართულებით გაკეთებული დისერტაციები მეტად მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ პირველადი მოხმარების პურის უგლუტენო ქცევას დაავადების პრევენციისათვის.

2025 წელს ჩატრებული სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესახებ

თემა 1. ქართული პურის მომზადების მახასიათებლები

კვლევის მიზანი: ქართული პურის სასაქონლო და გემოვნური თვისებების აღდგენა, დაბრუნება კლასიკური მეთოდის აღდგენისა და საგემოვნო თვისებების მიღწევის მიზნით. ვიკვლევდით რა ხელისშემშლელი გარემოებაა, რომელმაც მას დააკარგვინა გემო და სურნელი, რა ტექნოლოგიური და ბიოქიმიური პარამეტრებია საჭირო, რათა მიღწეულ იქნას დადებითი შედეგი, მაღალი ნაციონალური ასორტ ხარისხი. თემის პრაქტიკულობა იმაში მდგომარეობს, რომ ქართული პურის საამქროები (თონეები) ტირაჟრდა და დღეს ქ. თბილისში თითქმის 100 ტონამდე პური მზადდება, თუმცა იმდენად ინტენსიური და შეცვლილი ტექნოლოგიებია გამოყენებული, ასეთი პურის დამზადებისას მხოლოდ კომერციული ინტერესებია გათვალისწინებული და არა ხარისხი.

კვლევის ამოცანა: მიეცეს წინადადება მეწარმეებს გაზარდონ ფერმენტაცია, გამოიყენონ მომზადების მეთოდი, რათა დაუბრუნოთ ქართულ პურს სასაქონლო სახე და გემო. კვლევის შედეგი; კვლევა გამოქვეყნდა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის ახალი რეალობა,, თეზისების კრებულში, 31.07.2025წ მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ჯიდაურაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე.

თემა 2. ხაშურის სარწყავი ზოლის ნიადაგების ჰიდროფიზიკური პარამეტრები.

კვლევის მიზანი: საქართველოში ხორბლის მოყვანის ხარისხობრივი და რაოდენობითი პრობლემის დაძლევა სათანადო ხაზის შექმნა ხორბლის ჯიშებისთვის.

კვლევა აქტუალურია, რადგანაც მოსავლიანობის ზრდა ერთ ერთი პრიორიტეტია.

კვლევის ამოცანა: ტირაჟირდეს მაღალმოსავლიანი კულტურები და გამრავლდეს.

კვლევის შედეგი: კვლევა გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ მოამბეში № 3. 2025წ.

თემა 3. უგლუტეინო ფერმენტირებული ფქვილოვანი ნახევარფაბრიკატის მომზადების ხერხები.

ხერხი ითვალისწინებს ფქვლის ნახარშის მომზადებას ფქვილისა და მცენარეული ნედლეულის ექსტრაქტის შერევით, გლუტეინური ინგრედიენტებისა და პროპინო მჟავა ბაქტერიების დამატებას, ინტენსიურ შერევას, ფერმენტაციის პერიოდულად მორევას და გაშრობას.

თემა რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ საქ პატენტში. GEU20242176Y.

კვლევის მიზანი: უგლუტეინო პროდუქციის წარმოება, ნაშრომი ჩაბარებულია 2025 წ საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში.

თემა 4. მეურნეობა „ლომთაგორას,, მიერ ქართული წითელი დოლის მსგავსი ფქვილის წარმოება. კლასიკური მეთოდით ქვის წისქვილზე 2025 წ.

მიიღება ხორბლის ფქვილი №126 მაღალი გლუტეინით ფქვილი პირველი კლასისაა. აღნიშნული ფქვილი შევიტანეთ იფქლი დილომის საცხობ ქარხანაში და პირველი შედეგები იმედისმომცემია. ვაწარმოეთ 450გრ რუხი ტიპის პურს და დაიმსახურა მოწონება.

თემა 5. ფუნქციური დანიშნულების მცენარეული ინგრედიენტებით სასურსათო პროდუქტების დამზადება

კვლევის მიზანი: ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტების შექმნა.

კვლევა აქტუალურია, მაგალითისთვის დიაბეტური, დიეტური უგლუტეინო და სხვადასხვა ქართული მცენარეული ექსტრაქტებით ციტრუსისა და ხილის ექსტრაქტებით. წარმოებული ასორტიმენტის წარმოება მრავალფეროვან პროდუქციას გააჩენს ბაზარზე.

თემა 6. ენდემური ჯიშის ლომისის ფქვილისგან მიღებული პური გამდიდრებულია ცულისპირა ფქვილის დანამატით.

კვლევის შედეგად საფუარის მომზადება მოხდა ლაბორატორიულ პირობებში, ჩატარდა მჟავიანობისა და ფორიანობის განზაღვრა, პური შემოწმდა ვადის ხანგრძლივობაზე.

დასკვნა . ხორბლის პურს ახასიათებს ნეიტრალური, ხოლო ლომის პურს მოტკბო გემო.

აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია 2025 წელს 15,16 ოქტომბერს საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციაზე-- „საკვები პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“.

თბილისში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გაიმართა პურის ფესტივალი. ჩემთან ერთად პურის ფესტივალში მონაწილეობდა იფქლი დიღომის საცხობი, ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლის კულტურის პრეზენტაცია „ლომთაგორის“ მაგალითზე. აგრეთვე გაიმართა პურის ცხობის მასტერკლასი. მალხაზ დოლიძემ მიიღო მონაწილეობა სემინარში თემაზე „ახალი ტექნოლოგიური პარამეტრები და პერსპექტივები პურის ცხობაში“. მივიღეთ მონაწილეობა გამოფენაში ქართული ხორბლის ჯიშებისა და საქართველოს ენდემური ჯიშების შესახებ. გამოფენაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის სამონისტროს სამეცნიერო ცენტრის ხელ-ლი ლევან შალამბერიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები დოლიძე, ავალიანი.

პროექტი: პირველად საქართველოს ისტორიაში ტექნოლოგიური და მეცნიერული შრომის შედეგად განხორციელდა მზა პურის ექსპორტი ისრაელში, პური დამზადებულია ინოვაციური ტექნოლოგიით. ნახევარფაბრიკატი ცომის დამზადება განხორციელდა ცომის ფერმენტაციით, სპეციალური ფერმენტი დამზადდა იფქლი დიღომის ქარხანაში. ხელ-ლი: იოსებაშვილი და დოლიძე. უცხოეთიდან ჩამოტანილი იყო მიკრობის კულტურა, რომელმაც განიცადა მომწიფება სპეციალურ „ალაოს“ ნახარშიში. რამოდენიმე საათი იხარშებოდა, განხორციელდა ფერმენტირებული ნახარშის შერევა, მოხელვის დროს რუხ ფქვილში . რის შედეგადაც დამზადდა პური, რომელსაც გააჩნია შესანიშნავი სურნელი და გემო. დამზადებული პური ჩაიტვირთა სპეციალიზირებულ კონტეინერში და გაიგზავნა ისრაელში, რომელიც დანიშნულების ადგილზე ჩავიდა 11-12 დღეში. ისრაელში გაიგზავნა უკვე მესამე პარტია. 30-35 ათასი პური, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. იგეგმება ამ პურის ექსპორტი ჩინეთში, აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის შედეგად წარმოებული პროდუქცია წარვადგინეთ სოფლის მეურნეობის აკადემიაში და პროდუქციამ დაიმსახურა მოწონება.

გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

1. მალხაზ დოლიძე - ქართული პურის დამზადების მახასიათებლები, ქართული ხორბლის ახალი რეალობა. თეზისების კრებული 31 ივლისი 2025წ;
2. მალხაზ დოლიძე, ოლღა ხარაიშვილი - ხაშურის სარწყავი ზონის ნიადაგების ჰიდროფიზიკური პარამეტრები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი მოამბე, №3, 2025.
3. მალხაზ დოლიძე, ტრიფონ ფარჯანაძე - ენდემური ჯიშის ღომის ფქვილისაგან მიღებული პური გამდიდრებული ცულისპირა ფქვილის დანამატით, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია საკვები პროდუქტების ინოვაციური ტექნოლოგიები, ქ. ქუთაისი, 15-16 ოქტომბერი, 2025
4. მალხაზ დოლიძე, ომარ თედორაძე - მარცვლეული კულტურების მექანიზირებულად მოსავლის აღების დროს არსებული დანაკარგების გამომწვევი ფაქტორები და მათი შემცირების გზები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №4(538)02 2025წ.
5. მალხაზ დოლიძე, ომარ თედორაძე - მარცვლეული (თავთავიანი) კულტურების მოსავლის აღების რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა საქართველოს მაგალითზე, ნაშრომი გამოქვეყნდა ინგლისურენოვან ინდურ რეიტინგულ ჟურნალში 2025 წლის დეკემბერში

2025წლის 25 ნოემბერს მივიღეთ მონაწილეობა კონფერენციაში, ინოვაციების და ცოდნის ნაკადების გაძლიერება საქართველოში . მივიღე მონაწილეობა პანელურ დისკუსიაში 2025 წლის 17 დეკემბერს. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა პროექტის გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში ჩაატარა მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია. მივიღეთ მონაწილეობა თემით-„პურისა და ზეთის უვნებლობის კონტროლი საქართველოში,,

ხოლო 2025 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სურსათის უვნებლობის პრევენტივებზე თემით,-- „ბიოტექნოლოგია კვების მრეწველობაში“-- თანამომხსენებელი მალხაზ დოლიძე.

მონაწილეობა გრანტში

თემა. „უგლუტენო ფერმენტირებული ფქვილოვანი ნახევარფაბრიკატების მომზადების ხერხები“.

ხერხი ითვალისწინებს ფქვილის ნახარშის მომზადება, ფქვილისა და მცენარეული ნედლეულის ექსტრაქტის შერევით აგლუტენური ინგრედიენტებისა და პროპინომჟავა ბაქტერიების დამატებას. ინტენსიურ შერევას ფერმენტაციას, პერიოდულად მორევას და გაშრობას. თემა რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქ პატენტში GEU 20242176X.

კვლევის მიზანი. საქართველოში უგლუტენო პროდუქციის წარმოება. ნაშრომი ჩაბარებულია 2025 წელს საქართველოს რუსთაველის საზოგადოებაში.

2000 წლიდან გახლავართ საქართველოს პურის პრეწველთა კავშირის თავმჯდომარე. სიახლეებთან დაკავშირებით ყოველთვის ვიღებ მონაწილეობას კონფერენციებში, ტელე და რადიო გადაცემებში, ერთ-ერთი კვლევის საგანი ქართული პურის ისტორიული კვლევაა, რომელიც დაკავშირებულია პურის წარმოებასთან საქართველოში. დაინტერესებული ვარ მოვიპოვო ფოტო და მატერიალური ნივთები. ვაკეთებ გამოფენას სტუ-ს და სოფლის მეურნეობის აკადემიის დერეფნებში. დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებლობა მაქვს ჩემი შეგროვებული მასალების ნაწილი გადავცე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევით ცენტრს.

მიმდინარე წლის ოქტომბერში მომენიჭა „თბილისის საპატიო მოქალაქის“ წოდება. თბილისისთვის გაწეული ღვაწლისა და განსაკუთრებული დამსახურებებისათვის, ხოლო 2025 წლის ნოემბერში კონკურსის შედეგად გავხდი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რაც მავალდებულებს უფრო მეტი გავაკეთო ჩემ მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

იუნესკოს მთავრობათაშორისი კომიტეტის მიერ ქართული ხორბლის კულტურის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანა გახლავთ მსოფლიო დონის აღიარება იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც ჩვენს გენეტიკაშია კოდირებული, ნამდვილად მემამყება ჩემი ქვეყნის წარმატება და დაფასება.

ბატონების გივი ჯაფარიძისა და ანატოლი გიორგაძის ორგანიზებით შედგა სამუშაო საველე ჯგუფები, შეიკრიბა არაჩვეულებრივი მასალა რეზულტატისათვის, ამ ხალხისა და ქალწილ წილოსანის დამსახურებაა, რომ ქვეყანამ აღიარება მიიღო, ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ხორბლისა და მასთან დაკავშირებული საკითხები ისტორიაში.

სტიპენდიატი დარეჯან დულაშილი

1. კვლევითი თემების (გეგმიური, დავალებით) შესრულებაში მონაწილეობა:

1.1. „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“ (მკვლევარი, ძირითადი პერსონალი):

კვლევის ძირითადი მიზანია - მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში, ახალი მიდგომების დანერგვით - ინოვაციური კომპლექსური ბიონანოსასუქების მიღების მეთოდოლოგიის შემუშავებით და მათი გამოყენებით მცენარეული წარმოშობის სურსათის მოსავლიანობის და ხარისხის ზრდისათვის, რაც უზრუნველყოფს თვით პროცესის და

მიღებული სურსათის ეფექტურიანობას, უსაფრთხოებასა და უვნებლობას როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, ასევე გარემოსათვის.

პროექტის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ინტეგრირებული სამეცნიერო მიდგომის შემუშავებაში ახალი უნივერსალური ტროფიკული დაბალდოზიანი ლითონის შემცველი ბიონანოკომპოზიტების შესაქმნელად, სასუქების მიზანმიმართული მიწოდებისა და მცენარის დაცვისთვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ჩვენს შემთხვევაში - კარტოფილის *Solanum tuberosum* L, ვეგეტაციის პერიოდში.

- ნანო ზომის კომპოზიტური მასალები სინთეზირებული იქნება ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე, რომლებიც იაფია, ფართოდ ხელმისაწვდომი და გააჩნიათ მთელი რიგი ღირებული ბიოლოგიურად აქტიური თვისებები, რაც ასევე ხაზს უსვამს მათზე დაფუძნებული ნანოსისტემების სიახლეს და პოტენციურ პერსპექტივას.
- ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით მიღებული ინფორმაციის ბიოლოგიური ექსპერიმენტებთან შეჯერება, შესაძლებელს გახდის ახალი უნივერსალური უსაფრთხო ბიონანოკომპოზიტების შემუშავებას მცენარეთა დაცვისა და მიკროელემენტების მიზნობრივი მიწოდებისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბუნებრივ ბიოლოგიურად აქტიურ პოლისაქარიდებზე დაფუძნებული მანგანუმის შემცველი მრავალფუნქციური ნანოკომპოზიტების სინთეზი და მიმდინარეობს მათი კომპლექსური მულტიდისციპლინური (ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური, მიკრობიოლოგიური) კვლევები.

- ლითონის შემცველი ნანომასალების თვისებები განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, მათ შორის, ნაწილაკების ურთიერთქმედებით გარემომცველ მატრიცასთან და მეზობელ ნაწილაკებთან.

- თავის მხრივ, ნანოსისტემების ბიოლოგიური აქტივობა მოიცავს გარემოსთან მათი ურთიერთქმედების, კერძოდ, მაგნიტური თვისებების შესწავლას, აგრეთვე ცოცხალ მატერიაზე ზემოქმედებას.

- მიღებული ნანომასალების ბიოლოგიური კვლევები გულისხმობს მცენარის ქსოვილებში იონების მიგრაციის კონტროლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას (პარამაგნიტური ნაწილაკების ურთიერთქმედება გარემოსთან, იონების სიმეტრიის და დაჟანგვის მდგომარეობის ცვლილება), მათ შორის, მცენარის ბიომასის ზრდის სტიმულირების შესწავლას, მცენარის ორგანიზმის დამცავ ფუნქციების გაუმჯობესებას კონტროლთან შედარებით.

- უმნიშვნელოვანეს ამოცანებს შორის არის კომპოზიტების ანტიბაქტერიული ეფექტის შეფასება ფიტოპათოგენური ბაქტერიის *Clavibacter sepedonicus*-ის და მისი ბაქტერიული ბიოაპკების ფორმირების მიმართ და მათი უსაფრთხოების შეფასება ნიადაგის ბუნებრივი მიკროფლორის წარმომადგენლებისთვის.

- ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია და ხორციელდება მიკროსასუქად გამოყენებული მიღებული ნანოკომპოზიტების თვისებებისა და სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა შენახვის დროის ფაქტორის გათვალისწინებით, რადგან ყველა მიღწევასთან ერთად აუცილებელია ახალი მასალების კონტროლის მაღალი სტანდარტების დაცვა.

1.2. „სოფლის მეურნეობის ნარჩენების ეკოვალორიზაცია მიკრობული გზებით მაღალი ღირებულების აზოტის პროდუქტების მისაღებად“ - მკვლევარი/კონსულტანტი;

1.3. „Eco-CaCarbon: პოლიმერული ნარჩენების თერმული დამუშავებით ახალიმრავალფუნქციური მასალის მიღება“ - თანახელმძღვანელი/მკვლევარი;

1.4. „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების კომპლექსური გასუფთავების შესწავლა ნახშირბადოვანი ნანომასალის გამოყენებით ნარჩენების მართვის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ - დამხმარე პერსონალი;

1.5. „ქვაში ნაკვეთი ქართული სული: ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პერსპექტივები კლიმატის ცვლილებისა და სოციალურ-პოლიტიკური გავლენის პირობებში“ - მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;

1.6. „ისტორიულ-არქიტექტორული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის შენარჩუნების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავება კლიმატის ცვლილების პირობებში“ - დამხმარე პერსონალი.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები/პუბლიკაციები:

2.1. სპარტაკ ს. ხუციშვილი, ნინო გაგელიძე, ასთლიკ შ. ცოკოლაკიანი, მკრტიჩ ა. ერანოსიანი, ეთერი ტყემელიაძე, ვარდან ა. სარქისიანი, დარეჯან დულაშვილი, ნათელა ძევისაშვილი, კესო არონია, არჩილ ბენზანაშვილი, დ. ტატიშვილი, პაულა ფრაგა-გარსია. ო-კარაგენანის მანგანუმის ოქსიდის ბიონანოკომპოზიტები, როგორც პერსპექტიული გამოსავალი სოფლის მეურნეობის გამოწვევებისთვის, *Polymeric Materials, A section of Materials (ISSN 1996-1944), Materials*. 2025; 18(3):495. <https://doi.org/10.3390/ma18030495>;

2.2. ნათელა ძევისაშვილი, დარეჯან დულაშვილი, პოლიმერული ნარჩენებიდან მიღებული ნახშირბადის მასალის სორბციის პოტენციალის შესწავლა (თბილისის ნაგავსაყრელის გამონაჟონის ზოგიერთი დამაბინძურებლის მაგალითზე), *Advanced Topics in Polymer Chemistry and Materials Science: Current Strategies and Future Prospects of Nanomedicine (ISBN: 9781774919385, Hardback/ebook; eBook ISBN: 9781003594871), Apple Academic Press, New York, 1st Edition, 2025. part V, Chapter 19*. <https://doi.org/10.1201/9781003594871>;

2.3. ნათელა ძევისაშვილი, ნინო თაყაიშვილი, დარეჯან დულაშვილი, სადჰან კუმარ გჰოში, თამარ დავითაია. ლამის მძიმე ლითონებისაგან სორბციული გაწმენდის ტექნოლოგია (საქართველოს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისთვის), *The Journal of Solid Waste Technology and Management*; გამომცემელი: International Society of Waste Management, Air and Water (ISWMAW); 2025, Volume 51, Number 2, გვ.184–196. <https://doi.org/10.5276/jswtm/iswmaw/512/2025.184>;

2.4. ნათელა ძევისაშვილი, დარეჯან დულაშვილი. Harnessing Purple Phototrophic Bacteria (PPB) for Circular Bioeconomy and Wastewater Valorization in Georgia (იისფერი ფოტოტროფული ბაქტერიების (PPB) გამოყენება ცირკულარული ბიოეკონომიკისა და ჩამდინარე წყლების ვალიორიზაციისთვის საქართველოში), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომები - ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2025, ტ. 136, გვ. 120-127. doi.org/10.36073/1512-0902-2025-120-127;

2.5. ნათელა ძევისაშვილი, ნუგზარი ბუაჩიძე, დარეჯან დულაშვილი, ნოდარ ფოფორაძე, ვერა მაისურაძე, ლელა ნინოშვილი. The Impact of Restoration Work and Climate Change on the State of the Barakoni Cathedral (სარესტავრაციო სამუშაოებისა და კლიმატის ცვლილების გავლენა ბარაკონის ტაძრის მდგომარეობაზე), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომები - ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2025, ტ. 136, გვ. 128-132. doi.org/10.36073/1512-0902-2025-128-132.

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა/ორგანიზება:

3.1. სემინარი/სამუშაო შეხვედრა „ეროვნული რეფერენტული ლაბორატორიებისა (NRL) და ოფიციალური კონტროლის ლაბორატორიების (OCL) სისტემა ევროკავშირში და პრაქტიკა ჩეხეთში“, ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში, თბილისი, საქართველო; 15-16 ივლისი 2025 - სემინარის/სამუშაო შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი;

- 3.2. პრაქტიკული ტრენინგი/სასწავლო ტური “პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა სხვადასხვა სურსათის/ცხოველთა საკვების მატრიცებში”, ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; პრადა, ჩეხეთის რესპუბლიკა; 30 აგვისტო - 06 სექტემბერი 2025 - ტრენინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი;
- 3.3. ინგლისური ენის გრძელვადიანი სასწავლო კურსები (2025 წლის განმავლობაში) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტის, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სსიპ შემოსავლების სამსახურის, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის, სურსათის/აგრო ლაბორატორიების (კერძო/სახელმწიფო) სპეციალისტებისათვის/პერსონალისათვის, ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; თბილისი, საქართველო, იანვარი-დეკემბერი 2025 - სასწავლო კურსების ერთ-ერთი ორგანიზატორი;
- 3.4. მე-15 საერთაშორისო კონფერენცია ნარჩენების მდგრად მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2025 -15th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum 2025, დეჰრადუნი, ინდოეთი, 29 ოქტომბერი - 01 ნოემბერი, 2025. დარეჯან დულაშვილი (მ.შ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აფილაციით), ნათელა ძეგისაშვილი. ზეპირი მოხსენება თემაზე: „პოლიტიკა და სისტემური მიდგომები სურსათის ნარჩენების შემცირების მიმართ საქართველოში“;
- 3.5. პოლიმერებისა და მოწინავე მასალების მე-9 საერთაშორისო კავკასიური სიმპოზიუმი (ICSP&AM 9) - 9th International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials (ICSP&AM 9), ქუთაისი, საქართველო, 20-23 ოქტომბერი, 2025. ნათელა ძეგისაშვილი, გრიგორ ტატიშვილი, დარეჯან დულაშვილი, ნინო თაყაიშვილი, ნონა ჭალიძე. ზეპირი მოხსენება თემაზე: „ნულოვანი პოლიმერული ნარჩენები: ნახშირბადის მასალების მიღების მეთოდის შემუშავება“;
- 3.6. მე-9 საერთაშორისო კონფერენცია „არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია (CAH)“ - The 9th international conference “Conservation of Architectural Heritage (CAH)”, ასუანი-ლუქსორი, ეგვიპტე, 08-11 ოქტომბერი, 2025. ნუგზარი ბუაჩიძე, ნათელა ძეგისაშვილი, დარეჯან დულაშვილი, ნოდარ ფოფორაძე, ვერა მაისურაძე, ლელა ნინოშვილი. ზეპირი მოხსენება თემაზე: „ზოგიერთი ისტორიული ძეგლის სამშენებლო მასალების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება საქართველოში“;
- 3.7. მე-15 საერთაშორისო კონფერენცია ნარჩენების მდგრად მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2025 -15th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum 2025, დეჰრადუნი, ინდოეთი, 29 ოქტომბერი - 01 ნოემბერი, 2025. ნათელა ძეგისაშვილი, გრიგორ ტატიშვილი, დარეჯან დულაშვილი. ზეპირი მოხსენება თემაზე: „პლასტმასის ნარჩენების თერმოქიმიური გარდაქმნა კალციუმის ოქსიდის გამოყენებით“;
- 3.8. მე-15 საერთაშორისო კონფერენცია ნარჩენების მდგრად მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2025 -15th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum 2025, დეჰრადუნი, ინდოეთი, 29 ოქტომბერი - 01 ნოემბერი, 2025. დარეჯან დულაშვილი, ნათელა ძეგისაშვილი. ზეპირი მოხსენება თემაზე: „ნარჩენების მართვა და ცირკულარული ეკონომიკა საქართველოს საშუალო სკოლებში“.

4. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა:

4.1. მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევა STEM-22-1751 „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“, მკვლევარი - ძირითადი პერსონალი;

4.2. ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტების) საგრანტო კვლევა YS-25-3208 „სოფლის მეურნეობის ნარჩენების ეკოვალორიზაცია მიკრობული გზებით მაღალი ღირებულების აზოტის პროდუქტების მისაღებად“ - კონსულტანტი-მკვლევარი;

4.3. „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ - შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის საგრანტო კვლევა BS-25-495 „Eco-CaCarbon: პოლიმერული ნარჩენების თერმული დამუშავებით ახალი მრავალფუნქციური მასალის მიღება“ - თანახელმძღვანელი/მკვლევარი;

4.4. ფუნდამენტური კვლევა FR-21-12546, „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების კომპლექსური გასუფთავების შესწავლა ნახშირბადოვანი ნანომასალის გამოყენებით ნარჩენების მართვის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“, დამხმარე პერსონალი;

4.5. ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კვლევა GSDP-25-413 „ქვაში ნაკვეთი ქართული სული: ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პერსპექტივები კლიმატის ცვლილებისა და სოციალურ-პოლიტიკური გავლენის პირობებში“ - მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;

4.6. ფუნდამენტური კვლევა FR--23-8279 „ისტორიულ-არქიტექტორული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის შენარჩუნების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავება კლიმატის ცვლილების პირობებში“, დამხმარე პერსონალი.

5. საერთაშორისო პროექტში „**საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში**“ (GCP/GEO/022/EC) მონაწილეობა - პროექტის კოორდინატორი (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხრიდან)

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CzDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მიერ. პროექტს ახორციელებენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA).

3.6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი - აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებული არიან აკადემიის 6 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), 1 წევრ-კორესპონდენტი და 1 სტიპენდიანტი.

აკადემიკოსები: რევაზ ასათიანი, გივი ჯაფარიძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ომარ ქემელაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ივერი ახალბედაშვილი (არჩეული იქნა 2025 წლის 29 ივლისს).

წევრ-კორესპონდენტი - ეკონომიკის დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე (არჩეული იქნა 2025 წლის 17 ოქტომბერს)

სტიპენდიანტი: ეკონომიკის დოქტორი ნატო ჯაბნიძე

განყოფილებაში 2025 წელს სულ ჩატარდა 8 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 28 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. 2. აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

მეორე სხდომა ჩატარდა 20 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. 3. გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად ჩასატარებელი კონკურსისათვის კანდიდატურის შერჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

მესამე სხდომა ჩატარდა 11 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ომარ ქემელაშვილის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ომარ ქემელაშვილი (ონ ლაინ). 2. აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე (ონ ლაინ).

მეოთხე სხდომა ჩატარდა 11 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სტიპენდიანტის, ეკონომიკის დოქტორის ნატო ჯაბნიძის მიერ 2024 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სტიპენდიანტი, ეკონომიკის დოქტორი ნატო ჯაბნიძე (ონ ლაინ). 2. პროფესორ დონ ვან ატტას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

მეხუთე სხდომა ჩატარდა 19 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოს ტყეების მოდერნიზაციის საკითხის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

მექვსე სხდომა ჩატარდა 29 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ივანე ჯავის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომების საექსპერტო კომისიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 12 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. მსოფლიო სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე კონცეფციების შესახებ (ნაწილი 2). (ონლაინ რეჟიმში). **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე. 2. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯაშის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. 3. რეცენზენტების დასკვნები სოფლის მეურნეობის დოქტორის ივანე ჯაშის სახელობის აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად შემოსული ნაშრომის შესახებ. **მომხსენებლები:** რეცენზენტები: აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიკოსი ივერი ახალბედაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ეკატერინე ზვიადაძე. 4. ფარული კენჭისყრა.

მერვე სხდომა ჩატარდა 23 დეკემბერს და განხილული იქნა ერთი საკითხები: 1. ინფორმაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის ფორმირების შესახებ (ნაწილი 2) **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

ზემოთ ხსენებულის გარდა ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ჩართულობით ჩატარდა აკადემიის სხვა მეცნიერებათა განყოფილებებთან გაერთიანებული 2 საერთო კრება, კერძოდ:

- 2025 წლის 10 ივნისს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში კანდიდატურების შესარჩევად ეკონომიკური, აგროინჟინერიის და გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებების დროებით (ერთჯერადად) გაერთიანებული კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. ინფორმაცია კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია კონკურსში დაშვებული კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. კანდიდატისათვის აკადემიის საერთო კრებაზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

- 2025 წლის 16 სექტემბერს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით: 1. ინფორმაცია აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პრეზიდენტის დადგენილების საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო-საექსპერტო კომისიის მიერ განხილული კონკურსში მონაწილე კანდიდატების განცხადებების და საბუთების შესაბამისობის შესახებ. **მომხსენებელი:** საკონკურსო-საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი კანდიდატების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. **მომხსენებლები:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე; ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილე კანდიდატი: ეკონომიკის დოქტორი ეკატერინე ზვიადაძე. 3. აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესარჩევი

კანდიდატებისათვის რეკომენდაციის ან დაშვების მიცემა (ფარული კენჭისყრა). 4. კონკურსის შედეგების გამოცხადება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით საანგარიშო წელს ჩატარდა 2 მრგვალი მაგიდა: 11 მარტს და 11 აპრილს.

11 მარტის მრგვალი მაგიდა მიეძღვნა მონოგრაფიის: „საქართველოს აგრარული სექტორი - გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ (ავტორები: ი. ახალბედაშვილი, რ. ასათიანი) განხილვას. ავტორების მიერ აღინიშნა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები ქვეყნის ისტორიის, მისი კულტურული ნაწილის, ერის იდენტობის განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა სამწუხაროდ საქართველოს სოფლის მეურნეობა ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ჩამორჩენილ სექტორად ითვლება. მონოგრაფიის ავტორების მიზანი გახლდათ 1989 წლიდან 2023 წლამდე აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესების, მიღებული საკანონმდებლო აქტების, მიღწეული პროგრესის და არსებული გამოწვევების ანალიზი. დოქტორმა ი. ახალბედაშვილმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა მონოგრაფიის სტრუქტურაზე, გამოყო ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ავტორთა აზრით, მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის შემდგომი განვითარებისათვის. აკადემიკოსმა რ. ასათიანმა კი მონოგრაფიასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნაშრომი კრებსითი ხასიათისაა, რომელშიც თავმოყრილია საკანონმდებლო ბაზა და მისი ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე, ის რომ მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს და სწორედ ამაშია მისი სიახლე.

რაც შეეხება 11 აპრილის მრგვალი მაგიდას, იგი აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს რევაზ ასათიანის 2000-2025 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების განხილვას მიეძღვნა.

აკადემიკოსმა რ. ასათიანმა აღნიშნა, რომ 2000-2025 წლების პერიოდში მას გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია და 2 დამხმარე სახელმძღვანელო. თითოეული ნაშრომის ირგვლივ, ავტორმა წარმოადგინა მოკლე ანოტაცია. ისაუბრა მათი შექმნის წინაპირობებზე, მიზნებსა და ამოცანებზე. კერძოდ:

2002 წელს გამოქვეყნა მონოგრაფია „საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში: მსოფლიო გამოცდილება და განვითარების ტენდენციები“, თბილისი, 19.5 ნ.თ., რომელშიც აღწერილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნის წინაპირობები და ფუნქციონირების ორგანიზაციული ფორმები

2006 წელს მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო „გარემოს დაცვის მენეჯმენტი“, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 3 ნ.თ., რომელშიც წარმოდგენილია სალექციო კურსი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებისათვის გარემოს დაცვის ეკონომიკის საკითხებზე.

2009 წელს გამოქვეყნებულ დამხმარე სახელმძღვანელოში „ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 ნ.თ., განხილული საკითხები განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

2023 წელს გამოიცა მონოგრაფია „საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები, (თანაავტორობით), თბილისი, 294 გვ. ეს ნაშრომი განკუთვნილია სოფლისა და სოფლის მეურნეობის, აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის სფეროში დასაქმებული მკითხველისათვის. მასში ასახულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული გამოწვევები, შემოთავაზებულია მათი გადაწყვეტის რეკომენდაციები და ჩატარებულია სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქტების პროგნოზული გაანგარიშებები 2030 წლამდე პერიოდისათვის სასურსათო მოხმარების ნორმების გათვალისწინებით.

2023 წელს გამოიცა მონოგრაფია „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და განვითარების ბოლო ათწლეულის ტენდენციები“. (ავტორთა კოლექტივი), თბილისი, საქართველოს პარლამენტის გამომცემლობა, თბილისი, 330 გვ., რომელშიც მოცემულია

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2012 წლამდე და 2012 წლიდან დღემდე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების რეტროსპექტიული ანალიზი.

2024 წელს გამოიცა **მონოგრაფია** „ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, (თანაავტორობით), 492 გვ. იგი წარდგენილი იქნა საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში. მონოგრაფიაში გარდამავალი პერიოდის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე კომპლექსურადაა მოცემული სახელმწიფოსა და ეკონომიკის (კერძოდ, აგრარული სექტორის) ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებანი, გარდამავალი პერიოდის განვითარების მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების ობიექტური ახსნით და შესაბამისი დასკვნებით განისაზღვრა დღევანდელი ტრადიციული სოფლის მეურნეობის – ინდუსტრიულ სოფლის მეურნეობად გარდაქმნის პროცესები და სხვა.

2025 წელს ასევე **მონოგრაფიის** სახით გამოიცა „საქართველოს აგრარული სექტორი: გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ (თანაავტორობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 564 გვ. ეს წიგნი განკუთვნილია სახელმწიფო მოხელეების, სპეციალისტების, მკვლევარებისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის. მასში გაანალიზებულია 1989-2023 წლებში აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესები, გატარებული რეფორმები და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები.

3.6.1. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2025 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

1. საკვლევი თემის/ების დასახელება.

საქართველოს მელიორაციის განვითარება - მოდერნიზაციის პროგრამის მომზადების ფარგლებში 2025 წლისთვის დასამუშავებლად ვაგრძელებდი მუშაობას შემდეგ საკვლევი თემებზე: **საკვლევი თემა 1** - საქართველოს მელიორაცია (ირიგაცია): გამოწვევები და განვითარების ძირითადი მიმართულებები, **რომლის მიზანია** საქართველოს მელიორაციაში (ირიგაციაში) არსებული გამოწვევების დადგენა და განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; **საკვლევი თემა 2** - საქართველოს ტექნოლოგიური სოფლის მეურნეობა, რომლის **მიზანია** ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად.

2. გამოქვეყნებული პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სტატიები)

2.1. ახალბედაშვილი ივერი, ასათიანი რევაზი. საქართველოს აგრარული სექტორი: გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები. მონოგრაფია, „მერიდიანი“, თბილისი, 2025 წელი, 564 გვ;

2.2. რევაზ ასათიანი, გურამ როგავა, ელიზაბედ ღამაძე. საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, 2025 წ, ტომი 107, გამოცემა 1-2, გვ 28-36;

2.3. რევაზ ასათიანი, გურამ როგავა, ელიზაბედ ღამაძე. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია - ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტი. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, 2025 წ, ტომი 107, გამოცემა 3-5, გვ 25-33;

2.4. რევაზ ასათიანი, გურამ როგავა, ელიზაბედ ღამაძე. აგროსასურსათო სექტორში პრიორიტეტებისა და რეგიონალური სპეციალიზაციის საკითხისათვის. ყოველთვიური

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, 2025 წ, ტომი 107, გამოცემა 6-7, გვ 30-38;

2.5. რევაზ ასათიანი, გურამ როგავა, ელიზაბედ ღამაძე. ეკონომიკის ინოვაციურ მოდელზე გადასვლის საკითხისათვის. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, 2025 წ, ტომი 107, გამოცემა 6-7, გვ 30-38;

2.6. Revaz Asatiani, Ekaterine Zviadadze, Elizabeth Ghadzadze. **Sectoral modernization tools**, Smart Economic Planning and Industrial Policy (SEPIP) Conference, Abstract Book, Ostim technical university (Turkiye, Ankara), 2025, p.36-38

2.7. გავაკეთე მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე ანკარის ოსტინის ტექნიკურ უნივერსიტეტში (თურქეთი) თემაზე: **Sectoral modernization tools (სექტორული მოდერნიზაციის ინდიკატორები)**.

2. აკადემიის პრეზიდენტისა და დარგობრივი განყოფილების მუშაობაში მონაწილეობა.

- სისტემატიურად ვიღებდი მონაწილეობას აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში, ასევე აკადემიის მიერ მოწოდებულ სემინარებსა და სხვა სახის შეხვედრებში, წავრმართავდი ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგობრივი განყოფილების სამიანობას.

- აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე გავაკეთე ინფორმაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, ასევე ჩემი ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

- განყოფილების სხდომაზე გავაკეთე 2 მოხსენება თემებზე: „ინდუსტრიული სოფელი“ და „აგროტექნოლოგიები ევროკავშირში“;

- მონაწილეობა მივიღე უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების/ფიზიკური პირების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების ჩატარების დებულების შემუშავებაში.

- გავაკეთე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ზოგადად და მისი წევრების სამეცნიერო საქმიანობის რეცენზირება/სამეცნიერო შეფასება;

- ვასრულებდი პრეზიდენტის სხვადასხვა გადაწყვეტილებებს

3. შპს „საქართველოს მელიორაცია“ - ში ჩემი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე მუშაობისას ძირითადი საქმიანობები იყო:

- „შპს საქართველოს მელიორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ორგანიზება და წარმართვა. ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა 24 სხდომა და განხილულ იქნა 60 - მდე სხვადასხვა სახის საკითხი;

- 2030 წლამდე პერიოდისათვის (ჩათვლით) საქართველოს მელიორაციაში (ირიგაციაში) არსებული გამოწვევებისა და განვითარების სამომავლო რეკომენდაციების შემუშავება;

- 2025-2026 წლების კაპიტალური მშენებლობის კონტრაქტების, პროექტირების და საექსპლოატაციო ღონისძიებების პროცესების მიმდინარეობის მონიტორინგი;

- მელიორაციის კომპანიის ბალანსზე არსებული სპეციალური ტექნიკის ექსპლოატაციის ვადის გახანგრძლივების მიზნით შესაძლებელი ღონისძიებების გატარების განხილვაში მონაწილეობა;

- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო) ჩამოყალიბებასთან და სემეკ-თან ურთიერთობების საკითხების განხილვაში მონაწილეობა;

- კომპანიის საკადრო პოლიტიკის, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურების საქმიანობის, პროფილური და არაპროფილური მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დინამიკის მონიტორინგი;

- მელიორაციის კომპანიის სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის საერთო მეთვალყურეობა;

- დალის მთის წყალსაცავის გამოყენების პერსპექტივიდან გამომდინარე წყალსაცავის პირველი რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა;

- ლაკებს წყალსაცავის კაშხლის ამალღებით და წყალსაცავის მექანიკური შევსების პერსპექტივით დამატებითი ფართობების მორწყვის შესაძლებლობების საკითხების განხილვა;
- ალგეთის წყალსაცავის ქვედა ბიუფში, არსებული მართვის კვანძის რეაბილიტაციის პროექტირების საკითხების განხილვაში მონაწილეობა;
- წნორის მიდამოებში, მდინარე ალაზანზე, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის დამატებითი კვების სატუმბი სადგურის მოწყობის განხილვის საკითხებში მონაწილეობა;
- სიონის წყალსაცავის სამელიორაციო წყალაღების ტრაქტის მართვის კვანძის და საექსპლოატაციო ლიფტის რეაბილიტაციის საკითხების განხილვაში მონაწილეობა;
- ნარეკვავის, ალგეთის და სიონის წყალსაცავებზე წარმოქმნილი სხვა პრობლემატური საკითხების მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა;
- ზემო სამგორის სარწყავი სისტემის, დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით (ევროპის საინვესტიციო ბანკი) განსახორციელებელი რეაბილიტაციის პროცესის განხილვაში მონაწილეობა;
- დასავლეთ საქართველოს დამშრობი სისტემების ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვაში მონაწილეობა;
- შპს „საქართველოს მელიორაცია“ - ს 2026 წლის პროექტების გეგმების ფორმირებაში მონაწილეობა.

4. სხვა აქტივობები.

- მომენიჭა ივანე ჯავის სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის - ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა. თბილისი, „მერიდიანი“, 2024 წ;
- ამირჩიეს სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნების გამოყენებითი მეცნიერების ევროპული აკადემიების კავშირის მმართველო კომიტეტის წევრად/დამკვირვებლად;
- ვიყავი 2 დისერტანტის ოპონენტი.

აკადემიკოსი ივერი ახალბედაშვილი

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ირაკლი ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსები შემსწავლელი ცენტრი. მიწის, წყლის და ტყის რესურსების განყოფილება.

პროექტი „საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და რეგიონების (მხარეების) საწარმოო ძალების მდგრადი განვითარების პრობლემების კვლევა“
თემა: „თანამედროვე პირობებში ნიადაგის დაცვის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები“ (შემსრულებელი)

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები (მიუთითეთ სტატიის სახელწოდება, ჟურნალის, კრებულის დასახელება, წელი, ნომერი)

2.1. ჯემალ კაციტაძე, ივერი ახალბედაშვილი - სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის ეკონომიკური ასპექტები და მისი გაანგარიშების თავისებურებანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №2 (54) თბილისი, 2025 წელი, გვ.

2.2. ივერი ახალბედაშვილი - საქართველოს სივრცითი დაგეგმარების სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ირაკლი ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსები შემსწავლელი ცენტრი. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი 1(5), 2025 წელი. გადაცემულია გამოსაცემად.

3. გამოქვეყნებული მონოგრაფია

ახალბედაშვილი ივერი, ასათიანი რევაზი - საქართველოს აგრარული სექტორი: გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2025 წელი, 564 გვერდი

მონოგრაფია რეკომენდებულია დასაბეჭდად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და (2024 წლის 26 დეკემბრის ოქმი #10) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2024 წლის 27 დეკემბრის ოქმი #19)

მოკლე ანოტაცია

მონოგრაფია საქართველოს სოფლის მეურნეობას ეხება, რომლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ჩვენი ისტორიის, მენტალიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს უნიკალური იდენტობის შენარჩუნებაში, თვითდამკვიდრებასა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ნაშრომში გაანალიზებულია 1989-2023 წლებში აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესები, გატარებული რეფორმები და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები.

4. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა. განხილვის დრო წინადადებების /რეკომენდაციის დასახელება.

აკადემიის პრეზიდიუმზე წარმოდგენილი იქნა ნომინაციის „ქართული ხორბლის კულტურა: რიტუალები და ტრადიციები“ იუნესკოში წარსადგენად გაწეული საქმიანობის ანგარიში.

5. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა

5.1. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“ სამეცნიერო კოლეგიის წევრი

6. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურებების წოდებები და ა.შ. (მხოლოდ მიმდინარე წელს)

6.1. საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის მადლობის სიგელი - UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის საქმეში „ქართული ხორბლის კულტურა: რიტუალები და ტრადიციები“ შეტანის საქმეში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, განსაკუთრებული ძალისხმევისა და მიზნისადმი ერთგულებისათვის. 2025 წლის 26 დეკემბერი.

7. აკადემიის რეზიდიუმზე განსახილველი საკითხები

7.1. საქართველოში ნიადაგის დაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შესახებ.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშიძე

ვაგრძელებ მუშაობას მონოგრაფიისათვის - ციკლიდან „მსოფლიოს სოფლის მეურნეობა.“ დავამუშავე საქართველოს უშუალო მეზობლის, თურქეთის რესპუბლიკის მიერ გატარებული რეფორმების ეფექტურობა - საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიისათვის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფასთან დაავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი თურქეთი 21-ე საუკუნის დასაწყისში გახდა მსოფლიო მნიშვნელობის საკურორტო-ტურისტული ქვეყანა, რომლის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ბოლო 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 11,5 პროცენტიდან 22,8 პროცენტამდე. ყოველივე ეს მიღწეული იქნა იმ მიზნობრივი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000 წლის შემდგომ პერიოდში. ჩვენს მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი იმ მიზნობრივი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000 წლის შემდგომ პერიოდში. შესწავლილი იქნა ისეთი ტურისტულ-საკურორტო ინდუსტრიის გიგანტის საქმიანობა, როგორცაა „ანტალიის ტურისტული კომპლექსის საკვები პროდუქტების მომარაგების საკითხები მას შემდეგ, რაც

ტურისტული კომპლექსის სურსათით მომარაგება შესაძლებელი გახდა საკუთარი წარმოების კომპლექსთან მიერთების შემდეგ“. სასოფლო-სამეურნეო წარმოებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ანტალიის ტურისტული კომპლექსის წმინდა მოგება.

დღეისათვის ანტალიის ტურისტული კომპლექსი ფლობს საწარმო მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს შავი ზღვის სანაპირო სივრცის თითქმის მთელ პერიმეტრზე, აქვთ სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებისათვის უახლესი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოები, ყველა ტიპის (მ.შ აგრარული პროფილიც) კვალიფიციური კადრების მომზადების შესახებ.

კომპლექსური საქმიანობის შედარებითი ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ თავდაპირველად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკუთარმა წარმოებამ, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება საწყის ეტაპზე გაზარდა 3-5 %-ით, სამაგიეროდ კურორტის წმინდა მოგება თითქმის სამჯერ გაიზარდა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა რეფორმებმა, რომლებიც დაიწყო 21-ე საუკუნის დასაწყისში და გულისხმობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკუთარ წარმოებას - გაამართლა. განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა მიწათსარგებლობის რეფორმა და მიერთებული აგრო-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურული ქვედანაყოფის რეფორმა.

ჩემი დაკვირვებით ეკონომიკურ კვლევაში იკვეთება ახალი მიმართულება - „საკურორტო-ტურისტული ეკონომიკის“ სახით. აღნიშნული პროექტების განხორციელება საქართველოშიც არის შესაძლებელი, კერძოდ - ბორჯომ-ბაკურიანის, წყალტუბოსა და შავი ზღვის აუზის კურორტებზე.

აღსანიშნავია, რომ შესაბამის კვალიფიციურ კადრებს, განსაკუთრებით აგრარულ საკითხებში დღეს ქვეყანა აღარ ამზადებს, ვინაიდან სამი აგრარული მიმართულების უნივერსიტეტის ფუნქციონირება წინა ხელისუფლებამ გააუქმა!

ჩემს მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე ირანის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხები. ირანი 21-ე საუკუნის ქვეყნად ითვლება, რომელმაც (მიუხედავად საერთაშორისო სანქციებისა) ქვეყანაში დანერგა უახლესი ტექნოლოგიები, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში. დღეისთვის ქვეყანამ შეძლო მოსახლეობის (90 მილიონი) მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკვებ პროდუქტებზე საკუთარი წარმოებით მაშინ, როდესაც მისი ტერიტორიის (ერთი მილიონი კვ.კმ) მხოლოდ 3-3,5%-ია ვარგისი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი მტკნარი წყლით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 34%-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ შეძლო და მოიძია თავის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების უზარმაზარი მარაგი, რომელმაც მთლიანად გადაწყვიტა ქვეყნის მოსახლეობის მტკნარი წყლით მომარაგება და ამასთან, შექმნა სარწყავი სისტემის ისეთი ქსელი, რომელმაც ქვეყანას საშუალება მისცა მთლიანად დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე და ხილის გარკვეული ნაწილი (ჩირის სახით) გაეტანა მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყნის სტრატეგიული პროდუქციის 52-54% იწარმოება ე.წ ტერასულ მეურნეობაში. მათ შეძლეს ამ მეთოდის ავტომატიზაცია (სარწყავი წყლის მიწოდება, პროდუქტის ტრანსპორტირება და ა.შ), რამაც ხელი შეუწყო ახალი საცხოვრებელი სივრცეების შექმნას, რაც ტერიტორიის ათვისებისთვის აუცილებელია.

აქვე, საჭიროა აღინიშნოს ის, რომ საქართველოშიც კარგად იყო განვითარებული ტერასული მეურნეობა (სამცხე-ჯავახეთის რაიონში). სულხან-საბა ორბელიანის ინფორმაციით წარმოებული პროდუქციის „უდიდესი ნაწილი“ სამცხე-ჯავახეთში მიიღებოდა ტერასებზე.

დღეს ამ მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოშია. ალბათ, საჭირო იქნება, ადგილზე თუ გავცნობით ირანის ტერასულ მეურნეობას და ინდუსტრიულ საფუძველზე ამ მეთოდს დავნერგავთ საქართველოშიც.

აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი

1. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, თეზისები):

სულ გამოქვეყნებულია 1072 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 229 წიგნი, აქედან, 53 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 136 ბროშურა, 27 მინიატურული პოპულარული წიგნი, 5 დარგობრივ-თემატური ატლასი, 33 გამოცემულია საზღვარგარეთ. გამოქვეყნებულია 275 საგაზეთო სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომი.

სულ სამეცნიერო და სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომთა რაოდენობა შეადგენს 1337 (1993 წლამდე გამოქვეყნებულია 278, 2005 წლამდე 329, 2010 წლამდე 440, 2015 წლამდე 605, 2019 წლამდე 908, 2020 წლამდე 1010, 2021 წლამდე 1040, 2022 წლამდე 1051, 2025 წლამდე 1062 სამეცნიერო ნაშრომი).

2. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა და საკითხების მომზადება:

აკადემიკოსი ო. ქეშელაშვილი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო რეფერირებული შრომათა კრებულ `მოამბის 2025 წლის 1-ლი და მე-2 ნომრების გამოცემას;

3. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა, სხვა საქმიანობა:

3.1. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიების დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი;

3.2. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულის -“მოამბე“-ს პასუხისმგებელი რედაქტორი;

3.3. აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი;

3.4. გამომცემლობა “აგროს“ ხელმძღვანელი;

3.5. აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ფონდის ხელმძღვანელი;

3.6. ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი.

4. სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:

4.1. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

5. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების სხდომამ და პრეზიდიუმმა:

5.1. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულ-“მოამბის“ გამოცემის შესახებ.

აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა

2025 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ირ.ჟორდანას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო ცენტრში დავასრულე ნაშრომი თემაზე „სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პროგრამის ფორმირების კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა (საქართველოს მაგალითზე).“

ნაშრომში განხილულია საქართველოში სასოფლო ტერიტორიების განვითარების თავისებურებები, ტენდენციები. გამოვლენილია მიზეზ-ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ სასოფლო-ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლას. როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემოთავაზებულია დასკვნები, რეკომენდაციები.

ძირითადი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებია:

- სასოფლო ტერიტორია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სივრცე-რესურსია, რომელიც ასრულებს საწარმოო-ეკონომიკურ, სოციალურ-დემოგრაფიული, კულტურული ბუნებადამცველი, რეკრეაციული და სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფუნქციებს. მის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, ქვეყნის იდენტობის, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცება.

- მდგრადი განვითარება ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვით საზოგადოების დღევანდელი მოთხოვნები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ საფრთხე არ უნდა შეექმნას მომავალ თაობებს. იგი ფორმითა და შინაარსით ინოვაციურია და პრიორიტეტს ანიჭებს სიღარიბის აღმოფხვრას.

- სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების პროცესი არის ინტეგრირებული სისტემა, რომლის კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემო). მათი განვითარება უნდა წარიმართოს ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე.

- აუცილებელია სასოფლო ტერიტორიების განვითარების მიზნობრივი პროგრამების სინქრონიზაცია, იგულისხმება სახელმწიფო, დარგობრივი, მუნიციპალური ინვესტიციური პროგრამები და სხვა.

- დღემდე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ სასოფლო ტერიტორიას უკავშირებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა განვითარებული. მომავალში პრიორიტეტი მიეცემა მრავალფუნქციურ მიდგომას, რაც ხელს შეუწყობს უფრო სრულად იქნეს ათვისებული ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურული პოტენციალი და შესაბამისად ოპტიმალური გახდეს ტერიტორიის მართვის სისტემა.

- სასოფლო ტერიტორიების სახელმწიფო პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, პირველ რიგში დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღებას და სიღარიბის აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელებას.

- სოფლის (თემს) ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა განესაზღვროს სტატუსი. გადაეცეს მუდმივ სარგებლობაში ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (სამოვარი,სათიბი, წყლის ფონდი, ტყის ფონდი და სხვა).

- სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს სივრცის დაგეგმარების გეგმისა და მიწის ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული მიწათსარგებლობის გეგმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ირ. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო ცენტრის რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში 1(5) 2025 დაიბეჭდა სტატია ნოდარ ჭითანავა „**მიწის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება - ეკონომიკის მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი**“.

სტატიაში განხილულია თანამედროვე პირობებში მიწის რესურსების პოტენციალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. წარმოდგენილია სისტემა ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებით შესძლებელია რთულ კვანძებად ჩამოყალიბებული პრობლემების გადაწყვეტა.

კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად ახლებურად არის დასმული რამდენიმე საკითხი:

- მიწის რესურსების, როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად გამოყენების მიზანშეწონილობა.

- მიწის რესურსების კვლევაში გამოყენებულია ჰოლისტიკური მიდგომა, რომელიც ეფუძნება ცნობილ პრინციპს - სამყარო ერთიანი მთელია. მის სივრცეში წარმოქმნილი ცალკეული მოვლენები და ობიექტები მთელის ნაწილებია. ასეთი მეთოდით მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსის ანალიზი იძლევა საფუძველს უფრო სრულად წარმოვადგინოთ მიწის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების პროცესები და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები უფრო ღრმად გავაცნობიეროთ.

- მიწის რესურსების გამოყენების რეალური მდომარეობის შესახებ ინფორმაცია ქვეყანაში არ მოიპოვება. მიწის ბალანსიც არ დგება. მიწის გამოყენების მონიტორინგი და მიწაზე სახელმწიფო კონტროლი ფაქტობრივად არ ხორციელდება. მდგომარეობის თვისებრივად შეცვლისათვის განმსაზღვრელია ქვეყნის მიწის ფართობის სრული ინვენტარიზაცია. მუნიციპალიტეტებში მიწის ინვენტარიზაციის შედეგები სივრცით დაგეგმარებასთან ერთად საფუძვლად დაედება მიწათსარგებლობის სქემის ჩამოყალიბებას. ეს კი მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების პროგრამას.
 - მიწის რესურსული პოტენციალის მართვის სრულყოფის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებისათვის მიზანშეწონილია ტერიტორიის მდგრად განვითარებაში განისაზღვროს წარმოების ძირითადი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება) როლი.
 - შემოთავაზებული რეკომენდაციებით გათვალისწინებულია მიწათმოწყობის ორგანიზაციული სისტემის, მიწის კონსოლიდაციის პროცესების მართვის, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირების და სტრატეგიული მართვის ფუნქციები გადაეცეს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს.
 - მიწის რესურსული პოტენციალის მართვის სრულყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტების აქტიურად ჩართვას ტერიტორიის მდგრად განვითარებაში. ამ მიზნით შემოთავაზებულია მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული სისტემის სრულყოფის რეკომენდაციები.
- ზემოთ აღნიშნული მიდგომების საფუძველზე ტერიტორიის მდგრადი განვითარების ჩამოყალიბებული პროგრამა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას.

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია 2025 წელს ჩატარებული სამეცნიერო - კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ

2025 წელს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, როგორც მკვლევარი და ხელმძღვანელი კვლავ ვაგრძელებდი მუშაობას სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, აგრეთვე საქართველოს სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარება - მოდერნიზაციის ძირითად მიმართულებებზე (2024-2030 წ. წ.).

სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარების ზემოაღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს - სატყეო სექტორის სტრატეგიული მიმართულებების სრულყოფას. კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება სატყეო სექტორის მარეგულირებელი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ტყის კოდექსის მუდმივი სრულყოფა; თვითმყოფადი ბუნებრივი და კლიმატური გარემოს, მათ შორის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება.

ჩემი ხელმძღვანელობით აკადემიის მიერ შემუშავებული და მომზადებული იქნა:

- საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება – მოდერნიზაცია 2024 - 2030 წლამდე პერიოდისათვის, სახელმწიფო პროგრამის შემუშავების კონცეპტუალური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური საკითხები;

- სატყეო სექტორის განვითარება-მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებების პროექტი (2024-2030 წ. წ.);

როგორც მეცნიერ-მკვლევარს, 2025 წელს გამოქვეყნებული მაქვს 1 მონოგრაფია და 7 სამეცნიერო სტატია:

- საქართველოს ჭარბტენიანი ტერიტორიები. (თანაავტორები: გურამ ალექსიძე, ზურაბ მანველიძე); წიგნში: ჭაობიანი ტერიტორიები: ბიომრავალფეროვნება, საცხოვრისი და კონსერვაცია. გამომცემლობა „ვილი“, აშშ, 2025 წ. 28 გვ.

- გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლაშა დოლიძე - საქართველოში მერქნული ნედლეულის საწვავად გამოყენების პოტენციური წყაროების შესახებ. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 67– 70.

- გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი - ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev.) ნაყოფმსხმოიარობა კახეთის რეგიონში. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 70 – 73.

- გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი - ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev.) ტყის ტიპები კახეთში. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 73 – 77.

- გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი, ქ. როყვა - ქართული მუხის (*Q. Iberica* Stev.) კორომების ზოგადი დახასიათება კახეთის რეგიონში. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 90 – 94.

- გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, მალხაზ სამადაშვილი, ქ. როყვა - ქართული მუხის (*Quercus Iberica* Stev.) ტყის ტიპები კახეთში ეკოტოპი - Subgiccum - ზომიერად მშრალი. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 87 – 89

- გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ქ. როყვა - საწვავი მერქნული ბიომასის მოპოვების ზეგავლენა გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 84 – 86;

- გივი ჯაფარიძე, გიზო გოგიჩაიშვილი - ევაპოტრანსპირაცია საქართველოს ტყეებიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ნიადაგების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. შრომათა კრებული, თბილისი, 2025 წ.

როგორც აკადემიის პრეზიდენტი და მკვლევარი, ორგანიზაციას ვუწევდი და პრაქტიკულად ვმონაწილეობდი აკადემიის მიერ ორგანიზებულ თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში:

- „ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი მრგვალი მაგიდა – „ქართული მუხის (*Quercus petraea* aubsp. *Iberica*) ბუნებრივი განახლება ცივკომბორის რეგიონში“. (4 მარტი, 2025 წ.);

- „ტყის საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: „აჭარის წიფლნარ ეკოსისტემებში გავრცელებული ტყის ძირითადი ტიპები“ (21 მარტი, 2025 წ.);

- „ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი მრგვალი მაგიდა:

საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება“; (22 მაისი, 2025წ.);

- „გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური მრგვალი მაგიდა. თემა: „ევროპის ახალი (2030 წ.) სატყეო სტრატეგია და გამოწვევები საქართველოს სატყეო სექტორისათვის“ (5 ივნისი 2025 წ.),

- „ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: „ტყის ეკოსისტემებში, სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებთან ბრძოლა ხელოვნურად გამოწვეული ატმოსფერული ნალექების საშუალებით“ (24 სექტემბერი, 2025 წ.);

- „მეტყევის დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: “ცივგომბორის რეგიონში „ქართული მუხის (Quercus petraea aubsp. Iberica) წმინდა კორომების აღნაგობის თავისებურებათა შესწავლა” (9 ოქტომბერი, 2025 წ.);

ვხელმძღვანელობდი კვლევებს:

- „ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე“;
- „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი ეფექტურად გამოყენების რეკომენდაციები“;

ვხელმძღვანელობ აკადემიის დეპარტამენტების და აკადემიის აპარატის მუშაობის ძირითადი მიმართულებების დაგეგმვას და კოორდინაციას, პრეზიდენტობაზე და საერთო კრებებზე განსახილველი ძირითადი საკითხების და საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციების მომზადება - ჩატარებას, აკადემიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების, ინსტრუქციების, ბროშურების და სხვა სამეცნიერო-საინფორმაციო მასალების შედგენა - გამოცემას და სხვა.

როგორც მთავარი რედაქტორი აქტიურად ვმონაწილეობ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მომხის“ მუშაობის ორგანიზაციაში, ვხელმძღვანელობ აკადემიის ყოველკვარტალურ სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის „აკადემიის მაცნეს“ საქმიანობის წარმართვას, რომლის საშუალებით სისტემატურად შუქდება აკადემიაში ჩატარებული ღონისძიებები, აკადემიის პრეზიდენტის სხდომებზე განხილული ძირითადი საკითხები, მოწინავე გამოცდილება და ტექნოლოგიები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან უცხოეთის წამყვან მეცნიერებათა აკადემიებთან თანამშრომლობის საკითხების განზოგადებას, ასევე აგრარული მიმართულებების უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმების პრაქტიკული განხორციელების საქმეს.

- ვარ ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის „აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები“ რედაქციის წევრი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში არსებული მეცნიერთა საბჭოს წევრი;
- საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრი;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით სონღულაშვილის ბრძანებით (ბრძანება N 2 – 628, 08.10.2025 წ.) მომენიჭა „საქართველოს დამსახურებული მეტყევის“ წოდება.

როგორც აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარე ვხელმძღვანელობდი პრეზიდენტის საქმიანობას.

აკადემიის შესაბამის დეპარტამენტებთან და სამეცნიერო განყოფილებებთან ერთობლივად შემუშავებული იქნა აკადემიის 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა და ძირითადი ღონისძიებები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდენტის მიერ.

2025 წელს აკადემიის პრეზიდენტის სხდომებზე სხვა ძირითად საკითხებთან ერთად მიზანშეწონილად მიმაჩნია განხილული იქნას საკითხები:

- აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და აგრარული პროფილის შესაბამის უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს ტყეების მართვისა და კონტროლის მექანიზმის ოპტიმიზაციის საქმეში სატყეო მეურნეობების აღდგენისა და მათი პოტენციალის ეფექტურად რეალიზაციის აუცილებლობის შესახებ;
- საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის შესახებ;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს მუშაობის ძირითადი მიმართულებების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ეკატერინე ზვიადაძე

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2025 წლის ოქტომბრიდან ვარ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, შესაბამისად ჩემი ანგარიში მოიცავს 2025 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდს.

2025 წლის შემოდგომის სემესტრში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგისტრანტებთან ვკითხულობ საგანს - „გამოყენებითი აგრარული ეკონომიკა“. დატვირთვა მოიცავს კვირაში სამ საათს - ლექცია და ჯგუფური მუშაობის საათები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისისა (REU) და ცენტრალური აზიის ქვე-რეგიონული ოფისის (SEC) ორგანიზებით, 2025 წლის 23 – 24 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის ქ. სტამბოლში მონაწილეობა მივიღე რეგიონულ სემინარში - „კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ქმედებების გაძლიერება ევროპისა და ცენტრალური აზიის სოფლის მეურნეობაში“. სემინარის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის, სასურსათო სისტემებისა და მთის ეკოსისტემების როლი კლიმატის ცვლილებების გამკლავებასა და ეროვნული და გლობალური კლიმატის ვალდებულებების შესრულებაში. სემინარზე ყურადღება გამახვილდა ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაზე, სასურსათო სისტემებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებით გამოწვეული დანაკარგისა და ზიანის შეფასებისა და შემცირების საკითხებზე, მათ შორის გაზომვის მეთოდოლოგიასა და ანგარიშგებაზე.

2025 წლის 1–5 დეკემბერს მონაწილეობა მივიღე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის მმართველი კომიტეტის 179-ე სესიაში. კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა 2026–27 წლების სამუშაო პროგრამა. წარმოდგენილი იქნა გლობალური სასურსათო უსაფრთხოების ტენდენციები, საბჭოს წევრების აზრით, უნდა გაძლიერდეს აგრ-სურსათო სისტემების მდგრადობა, გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე ინდიკატორებს და მონიტორინგის სისტემებს. სესიამ ასევე განიხილა მსოფლიო გეოპოლიტიკური სიტუაცია სასურსათო უსაფრთხოების ჭრილში, ჰუმანიტარული დახმარების სისტემების სწრაფი რეაგირების აუცილებლობა. საბჭომ დაადგინა, რომ უნდა განხორციელდეს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პრიორიტეტების ოპტიმიზაცია.

აკადემიკოს რევაზ ასათიანის ხელმძღვანელობით, მომზადდა ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი თემაზე - „სექტორული მოდერნიზაციის ინსტრუმენტები“, რომელიც აკადემიკოსმა რევაზ ასათიანმა 2025 წლის 14-15 ოქტომბერს წარადგინა OSTIM ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ (ანკარა, თურქეთი), ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე. კვლევის აბსტრაქტი გამოქვეყნებულია ზემოაღნიშნული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ნაშრომი მიმოიხილავს ინდუსტრიული პოლიტიკის ახალ მიდგომებს სექტორულ მოდერნიზაციაში, ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე ეკონომიკურ-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ გამოწვევებზე, ასევე გთავაზობს კონკრეტულ ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნულ და რეგიონალურ განვითარების, კონკურენტუნარიანობის და მდგრადი ინდუსტრიული ზრდის უზრუნველყოფას.

2026 წელს კვლევებს გავაგრძელებ შემდეგი ორი მიმართულებით:

➤ საქართველოს აგრ-სასურსათო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი: პერსპექტიული პროდუქტების იდენტიფიცირება და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესწავლა

➤ საქართველოში ციფრული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების ანალიზი.

ასევე, როგორც თქვენთვის ცნობილია, აკადემიის წევრების გადაწყვეტილებით, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოში ხორბლის წარმოების შესაძლებლობების კვლევასთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით დამევალა კოორდინაცია და მასალების შეგროვება.

2026 წელს აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომაზე გამოვალ მოხსენებით, რომელიც მიმოიხილავს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მხრივ არსებულ სიტუაციას, წარმოდგენილი იქნება 2025 წლის ანალიზი.

აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე

1.1. სამეცნიერო თემა: „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“.

თემის აქტუალობა: ეკომეგობრული პროდუქციის განვითარებაში, განვითარების და მდგრადობის ასპექტების ინტეგრირება ბოლო წლებია აქტუალურია და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, ჯანსაღი კვება ძირითადად ორ ელემენტს მოიცავს - სრულფასოვნება და უსაფრთხოება. საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებთანაა დაკავშირებული და განპირობებულია პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან. ასევე კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას. ევროკავშირის და მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ეს მოთხოვნები შესაბამისი კანონმდებლობით დაარეგულირა.

ბოლო პერიოდში, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით აჭარის მეურნეობებმა ქიმიური სასუქის დიდი რაოდენობით გამოყენება დაიწყეს, თუმცა მათ გვერდით ჩნდება, როგორც მცირე და საშუალო ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ბაზრისთვისაც პროდუქციის შექმნას, რომელიც შედარებით სუფთაა და აკმაყოფილებს ეკო-პროდუქტებისადმი წამოყენებულ მოთხოვნას.

კვლევის მიზანი და ამოცანა - აჭარის ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებაზე ძირითადი დარგების შესაბამისად მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი დამუშავება.

ჩვენი კვლევის ამოცანას წარმოადგენს გამოვიკვლიოთ, თუ როგორ აერთიანებენ მეურნეობები გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ ასპექტებს პროდუქტის წარმოებაში. მიღებული პირველადი შედეგების (რაოდენობრივი და თვისებრივი) ანალიზი განხორციელდება SPSS სტატისტიკურ პროგრამაში. პროექტის განმავლობაში კითხვარში მონაწილეობას ერთდროულად მიიღებს ხუთივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და კითხვარი განმეორდება ყველა მომდევნო წელს, რათა შესწავლილი იქნეს დინამიკა და პროგნოზირების მეთოდით განისაზღვროს სამომავლო ტენდენციები.

მოკლე ანოტაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი - ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენს, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას. სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით.

1.2. სამეცნიერო თემა: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური შეფასება, პერსპექტიული ამოცანებისა და პროგნოზული პრიორიტეტების განსაზღვრა“.

თემის აქტუალობა: თემის აქტუალობა განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მემცენარეობის ძირითადი დარგების შესწავლით და რეგიონში მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრით.

კვლევის მიზანი: შესწავლილი იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში ფერმერთა მიერ წამყვანი დარგების მოშენების შესახებ (ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები) არსებული მდგომარეობა.

კვლევის ამოცანა: აჭარის აგრარული პროდუქციის წარმოებაზე მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და საკონფერენციო მასალები:

2.1. ნატო ჯაბნიძე ზანდა მესხიძე - აგროსასურსათო უსაფრთხოება: შეფასება და პერსპექტივები საქართველოში, - „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_22521_1.pdf საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სისტემის კომპლექსური შეფასება 2019-2023 წლების მონაცემების საფუძველზე, თვითუზრუნველყოფის ინდიკატორების ანალიზით. გამოვლინდა ქვეყნის მაღალი იმპორტდამოკიდებულება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე, განსაკუთრებით ისეთ სტრატეგიულ კატეგორიებში, როგორცაა ხორბალი და რძის პროდუქტები. იმპორტდამოკიდებულების მაღალი დონე, გარდა იმისა, რომ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სერიოზულ რისკებს უქმნის, ასევე იწვევს ფასების მერყეობას და გარე ფაქტორების მიმართ სისტემის მგრძობელობას.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების დინამიკის დეტალური ანალიზი. ხორბლის სექტორში, მიუხედავად წარმოების ზრდისა (101 ათასი ტონიდან 148 ათას ტონამდე), თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დარჩა კრიტიკულად დაბალ, 15%-დან 23%-მდე მონაცვლეობით. ამასთან, იმპორტი შემცირდა, თუმცა კვლავ მაღალია (597 ათასი ტონიდან 537 ათას ტონამდე). სიმინდის შემთხვევაში მდგომარეობა შედარებით უკეთესია, თვითუზრუნველყოფა 62%-დან 74%-მდე მერყეობს. ბოსტნეულის სექტორში გამოვლინდა უარყოფითი ტენდენციები: თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 62%-დან 52%-მდე შემცირდა, ხოლო კარტოფილის სექტორში იმპორტი თითქმის გაორმაგდა, რაც ინდუსტრიაში არსებული სტრუქტურული პრობლემების შემოწმებას საჭიროებს.

მეცხოველეობის პროდუქტების კატეგორიაში თვითუზრუნველყოფა განსხვავებულია: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცში 74%-მდე მერყეობს, ფრინველის ხორცი კი მხოლოდ 32%-ია, რაც მაღალ იმპორტდამოკიდებულებაზე მიუთითებს. რძის პროდუქტების სექტორში ფიქსირდება თვითუზრუნველყოფის შემცირება 81%-დან 75%-მდე და იმპორტის ზრდა 143 ათასი ტონიდან 197 ათას ტონამდე. კვერცხის წარმოების მხრივ თვითუზრუნველყოფა შემცირდა და იმპორტი გაორმაგდა, რაც ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

სასურსათო ფასების დინამიკა 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით აჩვენებს ფასების ზრდას ბოსტნეულსა და ზეთსა და ცხიმში, რაც დაკავშირებულია როგორც საერთაშორისო ბაზრების ცვალებადობასთან, ასევე მაღალი იმპორტდამოკიდებულების შედეგებთან. ფასების მერყეობას აძლიერებს იმპორტის კონცენტრაცია რამდენიმე ქვეყნაზე, რაც ზრდის ეროვნული სასურსათო სისტემის მოწყვლადობას გლობალურ ბაზარზე.

იმპორტის გეოგრაფიულმა სტრუქტურამ 2023 წელს აჩვენა, რომ ხორბლის ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ რუსეთი და ყაზახეთი, რომლებიც საერთო მოცულობის 85%-ს იკავებენ, რძის პროდუქტებში კი უკრაინა და ბელარუსი არიან წამყვანები. ბოსტნეულში მთავარ

მიწოდებლებად თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი მოიხსენიებიან, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმპორტის მაღალ კონცენტრაციას და სენსიტიურობას გეოპოლიტიკურ ფაქტორებთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ხარისხის კონტროლის სფეროში: 2023 წელს სურსათის ეროვნული სააგენტომ მოიპოვა ISO 9001:2015 სერტიფიკატი სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიმართულებით. 2021-2023 წლებში სახელმწიფო კონტროლის აქტივობებმა 46.5%-ით მოიმატა, რაც ასახავს სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას. 2022 წლიდან კი დაიწყო HACCP-ის სისტემის დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასურსათო უსაფრთხოების ხარისხს და სერთიფიცირებას.

შეჯამებით, იმპორტდამოკიდებულების შემცირება, ადგილობრივი წარმოების მასშტაბების გაზრდა და ხარისხის კონტროლის სისტემების გაძლიერება. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და ინტერდისციპლინარული მიდგომა კვლავ რჩება ძირითად გამოწვევად

2.2. ნატო ჯაბნიძე **„მიწოდებიდან მოხმარებამდე: მდგრადი ოპერაციული მართვის სტრატეგიები საცალო ვაჭრობაში – ქსელური მარკეტების მაგალითზე“**, 5th USBED Conference, International Journal and Conferences on Social and Educational Sciences - სტამბოლის გელიშიმის უნივერსიტეტი

თანამედროვე საცალო ვაჭრობის სექტორი დგას მზარდი გამოწვევების წინაშე, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ოპერაციული ეფექტიანობის უზრუნველყოფასთან, ისე გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობასთან. სუპერმარკეტების ქსელები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ეკონომიკაში და ყოველდღიურად ასობით ათას მომხმარებელთან ურთიერთობენ. სწორედ ამიტომ, მათი ოპერაციული მართვის სტრატეგიების მდგრადობაზე გადართვა წარმოადგენს არა მხოლოდ ბიზნეს-პერსპექტივას, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხსაც.

მდგრადი ოპერაციული მართვა გულისხმობს რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნარჩენების მინიმიზაციას, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას და ისეთი პროცესების ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც კომპანიის გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას, ისე მომხმარებლებისა და გარემოს დაცვას. საცალო ვაჭრობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტს – პროდუქტების წარმოებიდან, ტრანსპორტირებიდან და განაწილებიდან საბოლოო მოხმარებამდე.

საქართველოს კონტექსტში, სადაც საკვები პროდუქტის ნარჩენების დონე მაღალია და გადამუშავების კულტურა ჯერ კიდევ დაბალი განვითარების ეტაპზეა, ქსელური მარკეტების პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტია. ქსელური მარკეტები უკვე მიმართავენ რიგ ინოვაციურ მიდგომებს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მდგრადი ოპერაციების სტრატეგიის საწყის ეტაპებად., ისინი ფიქრობენ განახორციელონ **ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაცია**, რაც გულისხმობს ცენტრალიზებულ საწყობებს, ტრანსპორტის ეფექტიან მარშრუტიზაციას და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას მარაგების კონტროლში. ეს პრაქტიკა ამცირებს ზედმეტი პროდუქციის დაგროვებას და შესაბამისად – ნარჩენების წარმოქმნას.

გარდა ამისა, კომპანიები ნელ-ნელა ამკვიდრებენ **ენერგოეფექტურობის სტანდარტებს**. ქსელურ მაღაზიებში თანამედროვე საყინულეებისა და ენერგოეკონომიური განათების სისტემების დანერგვა არა მხოლოდ ამცირებს ოპერაციულ ხარჯებს, არამედ ხელს უწყობს ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებას. მნიშვნელოვანი ნაბიჯია ასევე **საკვები პროდუქტების ვადების მართვა** – პროდუქციის ფასდაკლებები ვადის ამოწურვამდე, პარტნიორობა სოციალური მიმართულების ორგანიზაციებთან, სადაც ვადამდე პროდუქტი გადადის მოწყვლად ჯგუფებში.

მოცემულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ შეიძლება საქართველოს სუპერმარკეტების ქსელებმა გადაინაცვლონ **მდგრადი ოპერაციების სრულფასოვან მოდელზე**, სადაც პროცესების ყველა ეტაპი – მიწოდებიდან მოხმარებამდე – ეფუძნება ეფექტიანობას,

საქართველოში უკვე დაწყებულია გარდამავალი პროცესი, თუმცა საჭიროა სისტემური ინოვაციები: ნარჩენების გადამუშავების სრული ჯაჭვის შექმნა, ციფრული „smart retail“ ტექნოლოგიების ინტეგრაცია, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების მხარდაჭერა.

კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს არა მხოლოდ არსებული პრაქტიკები, არამედ შემოგთავაზოს რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ქსელურმა მარკეტებმა გაიაზრონ მდგრადი ოპერაციების სტრატეგიები, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყარო და არა მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი. გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, სწორედ ეს მიდგომა განაპირობებს საცალო ვაჭრობის სექტორის მომავალ წარმატებას საქართველოსა და რეგიონში.

2.3. ნატო ჯაბინძე - ჰიბრიდული სამუშაო მოდელი: გამოწვევები და შესაძლებლობები თანამედროვე ორგანიზაციებში, XXII INTERNATIONAL SCIENTIFIC AND PRACTICAL CONFERENCE "COMPETITIVENESS OF THE NATIONAL ECONOMY" - 16–17. 10. 2025 TARAS SHEVCHENKO NATIONAL UNIVERSITY OF KYIV

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული სამუშაო, დისტანციური მუშაობა, თანამშრომლების მოტივაცია, ციფრული ტრანსფორმაცია, ლიდერობა, ორგანიზაციული კულტურა, გუნდის მართვა

თანამედროვე ბიზნესგარემოს სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება, გლობალიზაციის ინტენსივობა და სოციალური სტრუქტურების ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად ცვლის ორგანიზაციულ პროცესებს და ახდენს ზეგავლენას სამუშაო სტრუქტურასა და ადამიანური რესურსების მართვაზე. აღნიშნული ცვლილებების ფონზე ჰიბრიდული სამუშაო მოდელი – რომელიც აერთიანებს ოფისში ფიზიკურ სამუშაოს და დისტანციურ რეჟიმს – გადაიქცა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიდგომად, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში. პანდემიამ დააჩქარა დისტანციური მუშაობის მასობრივი დანერგვა და წარმოაჩინა მოქნილი სამუშაო ფორმატების ფართო პოტენციალი სხვადასხვა სფეროში.

წარმოდგენილი კვლევა აკვირდება ჰიბრიდული სამუშაო მოდელს როგორც კომპლექსურ ორგანიზაციულ სისტემას, რომელიც ერთდროულად აჩენს მნიშვნელოვან შესაძლებლობებსა და მართვის გამოწვევებს. შესაძლებლობებს შორის გამოიკვეთება თანამშრომლებისთვის სამუშაო და პირადი ცხოვრების ბალანსის გაუმჯობესება, სტრესის შემცირება, კმაყოფილების და ლოიალობის ზრდა, ასევე გეოგრაფიული შეზღუდვების გაშლა და ნიჭიერი კადრების მოზიდვის გაფართოებული შესაძლებლობა. ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია ხარჯების ოპტიმიზაციის პოტენციალი, საოფისე სივრცისა და ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება.

გამოწვევების ნაწილში კვლევა მიუთითებს პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდება გუნდური კოორდინაციის უზრუნველყოფას, თანამშრომლების მოტივაციის შენარჩუნებას, ორგანიზაციული კულტურის განვითარებასა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს.

დისტანციური მუშაობა ზრდის კიბერუსაფრთხოების რისკებს და მოითხოვს მონაცემთა დაცვის გაძლიერებულ პოლიტიკებს, უსაფრთხო პლატფორმებსა და თანამშრომლების ცნობიერების მაღალ დონეს.

კვლევის მიზანია გამოავლინოს, როგორ მოქმედებს ჰიბრიდული სამუშაო მოდელი თანამედროვე ქართულ ორგანიზაციებზე, რას მოიცავს მისი წარმატებული განხორციელება და რა რისკების მართვაა აუცილებელი მის ეფექტიან ფუნქციონირებაში. ანალიზი ეფუძნება პრაქტიკულ მაგალითებს, სადაც ჰიბრიდული მუშაობა წარმატებით დაინერგა, ასევე შემთხვევებს, სადაც მოდელი ვერ აღმოჩნდა ეფექტური არასაკმარისი ჩართულობის, სუსტი კომუნიკაციის ან მენეჯერული მხარდაჭერის ნაკლებობის გამო.

დასკვნის სახით, ჰიბრიდული სამუშაო მოდელი უნდა განიხილებოდეს არა როგორც დროებითი რეაგირება, არამედ როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული მიმართულება, რომელიც აძლიერებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას, თანამშრომელთა

კეთილდღეობას და მდგრად განვითარებას. მოდელის წარმატების ძირითადი წინაპირობაა მკაფიო პოლიტიკის შემუშავება, ეფექტიანი ლიდერობა, თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემები და საიმედო ციფრული ინფრასტრუქტურა.

3. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

- აგრძელებს მუშაობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსს: კორპორაციული მენეჯმენტი; ოპერაციული მენეჯმენტი;

4. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

4.1. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები მაღალმთიან რეგიონებში, მათი დამლევის გზები (აჭარის ა/რ-ის მაგალითზე) - დამფინანსებელი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ძირითადი პერსონალი

5. მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებში, კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

5.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრი;

5.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრი: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება” - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 2025 წელი 10-11 ოქტომბერი; 5.3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოს წევრი

თავი 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის 2025 წლის მუშაობის ანგარიში

კომისია მოქმედებს აკადემიის პრეზიდიუმის 2018 წლის 28 დეკემბერს კომისიის შექმნის მიზანი იყო აგრარულ სფეროში მომუშავე მეცნიერთა, სპეციალისტთა და ფერმერთა სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზის ჩატარება და მათი კომერციალიზაციის პერსპექტივების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება. აკადემიის პრეზიდიუმის 2023 წლის 28 ივლისის # 8 სხდომის დადგენილებით მოხდა კომისიის განახლებული დებულების და საბჭოს შემადგენლობის (ცვლილება იხ. აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება, 2024 წლის 1 ივლისი) დამტკიცება. დღეს კომისიის შემადგენლობაში არიან ალექსანდრე დიდებულოძე - აკადემიის მთავარი აკადემიკოს მდივანი (კომისიის თავმჯდომარე), გოჩა ცოფურაშვილი - ეკონომიკის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ეკატერინე კაციტაძე - ტექნიკის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ნოდარ ჭითანავა - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, ცოტნე სამადაშვილი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ოთარ ქარჩავა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მინდია ოკუჯავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი, ნოდარ ხობაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მემცენარეობის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი, ლარისა ჩაიკა - აკადემიის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის სწავლული მდივანი) და ქეთევან ჭიპაშვილი - აკადემიის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

კომისია მონაწილეობისათვის ღიაა, მის წევრებად ითვლებიან აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, სტიპენდიატები, აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების დარგობრივი საკოორდინაციო ჯგუფების წევრები და კომისიის სხდომებზე დამსწრე პირები. მოხსენებების წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანა ხდება საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიის შესაბამისი მეცნიერებათა განყოფილების ან აკადემიის წევრის რეკომენდაციით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 13 სხდომა, მ.შ. 2 - მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების (აკადემიის დაარსებიდან 85 წელთან დაკავშირებით), 2 - სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების, 7 - აკადემიის საკოორდინაციო ჯგუფების წევრების, 1 - ახალგაზრდა დოქტორის, ასევე ერთი საინფორმაციო ხასიათისა. მომხსენებელთა შერჩევისას კომისიის საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებთან. კომისიის სხდომებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1.22 იანვარს შედგა კომისიის # 1(57) სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „წყალბადის ენერგეტიკა და ცივილიზაციის გლობალური პრობლემები“ წარსდგა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი რევაზ ქავთარაძე. მან ხაზი გაუსვა წყალბადის ენერგეტიკის როლს ენერგეტიკული, ეკოლოგიური და კლიმატური პრობლემების გადაჭრაში. დღეისათვის ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია ის საკითხები, თუ რატომ მაინცდამაინც წყალბადი და რა უშლის ხელს წყალბადის ტექნოლოგიების გავრცელებას, რა სტრატეგია აქვთ ევროკავშირს, აშშ-ს, ასევე ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდეს ექსპორტიორ ქვეყნებს დღევანდელ სიტუაციაში, რაში მდგომარეობს წყალბადის ენერგეტიკის განვითარების აუცილებლობა და პოტენციური საქართველოსთვის. გაანალიზებული იყო წყალბადის ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენებისას წარმოქმნილი უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი და მათი გადაჭრის გზები, ასევე წყალბადის, როგორც ენერგომატარებლის როლი პერსპექტიული, ეკოლოგიური მობილური მანქანების განვითარებაში. მოკლედ გაანალიზდა ამ მიმართულებით რაფიელ დვალის მანქანათა ინსტიტუტში ჩატარებული, წყალბადის ძრავების შექმნის პრობლემებთან

დაკავშირებული კვლევების შედეგები. მოხსენებაში მოყვანილი იყო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უახლოეს მომავალში წყალბადის ტექნოლოგიების განვითარების მოსალოდნელი სცენარი და პერსპექტივა.

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია ხელი შეეწყოს ქვეყანაში ენერგეტიკული, ეკოლოგიური და კლიმატის პრობლემების გადაწყვეტას წყალბადის ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით, აგრეთვე „მწვანე“ წყალბადის წარმოების პოტენციალური შესაძლებლობების გამოყენება, ამ მიზნით განიხილოს წახალისებისა და სპეციალური ფონდების შექმნის საკითხები.

2. 12 თებერვალს შედგა კომისიის # 2(58) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლის დოქტორ ეთერი ტყემელიაძის მოხსენება თემაზე: „პრობიოტიკური შემადგენლობის შემუშავება ვაშლის წვენი წარმოებისთვის“. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ პრობიოტიკური სასურსათო პროდუქტების უმეტესობა დაფუძნებულია რძის ნაწარმზე, თუმცა, ზოგიერთ ადამიანს, მ.შ. ბავშვებს, რძის შაქრის – ლაქტოზის აუტანლობა ახასიათებს. პრობიოტიკებით გამდიდრებული ხილის წვენები წარმოადგენს რძის პროდუქტების კარგ ალტერნატივას, ვინაიდან არის ლაქტოზისა და ქოლესტერინისგან თავისუფალი.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ვაშლის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშებიდან გამოყოფილი პრობიოტიკური რემეძავა ბაქტერიებით გამდიდრებული ვაშლის წვენის დამზადების ბიოტექნოლოგიის შემუშავება. ვაშლის ნაყოფებიდან გამოიყო რემეძავა ბაქტერიების 120 იზოლატი, მათი მორფო-ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მახასიათებლების შესწავლის შედეგად შეირჩა 4 შტამი, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა გერმანიაში MALDI-TOF მასური სპექტრომეტრით და 16S rDNA სექვენირებით. შესწავლილ იქნა ოთხივე შტამის პრობიოტიკური თვისებები. ყველა მათგანი ხასიათდებოდა pH 2.0-ზე ზრდის უნარით, ნაღვლის მარილების მიმართ ტოლერანტობით. შესწავლილი პრობიოტიკური თვისებების საფუძველზე, ვაშლის წვენების ფერმენტაციისთვის შერჩეულ იქნა სამი საუკეთესო (კომპლემენტარული) თვისებების მქონე შტამის კონსორციუმი *Lpb. plantarum* 52, *Lpb. plantarum* 74 და *Lpb. plantarum* 76. ვაშლის წვენში, ჩათესვის მომენტში, უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა შეადგენდა 7.0 ± 0.2 lg კწე/მლ-ს. თერმოსტატში 37°C-ზე 48 სთ-იანი ფერმენტაციის შემდეგ დაფიქსირდა მატება 9.3 ± 0.2 lg კწე/მლ-მდე. მაცივარში შენახვიდან მე-12 კვირას მიაღწია 8.6 ± 0.2 lg კწე/მლ-მდე, რაც განპირობებული იყო წვენის pH-ის შემცირებით. ჯამური ფენოლების შემცველობა 194.4 ± 9.7 მგ GAE/ლ-დან მე-12 კვირას გაიზარდა 304.0 ± 15.2 მგ GAE /ლ-მდე. რაც შეეხება ანტიოქსიდანტურ აქტივობას, 139.9 ± 6.9 მგ AAE /ლ-დან შემცირდა 118.5 ± 5.9 მგ AAE /ლ-მდე.

ჩატარებული ექპერიმენტის დროს, პრობიოტიკური ბაქტერიების ინოკულატი ვაშლის წვენს დაემატა პასტერიზაციის შემდეგ, 55°C-მდე გაგრილებულ კონდიციაში. წვენში რემეძავა ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობა, შედარებით მაღალი ტემპერატურის გავლენით, 9.0 ± 0.1 lg კოლონიის წარმომქმნელი ერთეული მლ-დან (კწე/მლ), შემცირდა 8.2 ± 0.2 lg კწე/მლ-მდე, ხოლო მაცივარში შენახვიდან მე-10 კვირას დაეცა 7.7 ± 0.2 lg კწე/მლ-მდე, რის შემდეგაც ჰქონდა კლებითი ტენდენცია. საწარმოო პირობებში მიღებული წვენის შენახვის ვადად განისაზღვრა 10 კვირა, რაც შეესაბამება გასტროენტეროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს.

სხდომამ მიზანშეწონილად ჩათვალა, მეწარმეთა ფართო წრისთვის კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით, აკადემიაში გამოიცეს რეკომენდაცია.

3. 26 თებერვალს ჩატარდა #3 (59) სხდომა რომელზეც მოხსენებით თემაზე: „ფსევდოპროტეინული საფარი აგროპროდუქტების პრეზერვაციისთვის“ გამოვიდნენ ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი რამაზ ქაცარავა და ქიმიის დოქტორი თამარ ჯიბლაძე. აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხანგრძლივი შენახვა, ხარისხის შენარჩუნებით და წონის უმნიშვნელო დანაკარგით, რთული ამოცანაა. შენახვისას პროდუქტებში მიმდინარე სუნთქვა და სხვა

ბიოქიმიური პროცესები მოითხოვს მკაცრ რეგულირებას, რაც განსაკუთრებული პირობების შექმნასთან არის დაკავშირებული.



შენახვის ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, ახალი, ინოვაციური მიდგომების არსი მდგომარეობს თხელი პოლიმერული აფსკით პროდუქტების დაფარვაში, რომელიც აკონტროლებს წყლისა და აირების დიფუზიას, ხელს უშლის გარემოში მყოფი მიკროორგანიზმებით პროდუქტების ზედაპირის კოლონიზაციას, არ აფერხებს სუნთქვას და პროდუქტში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს. აღნიშნულის გათვალისწინებით

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შექმნილი ბიოდეგრადირებადი, ბიოთავსებადი და ეკოლოგიურად უვნებელი სინთეზური პოლიმერის (ბიომიმეტიკის) - ფსევდოპროტეინის აფსკის გამოყენება საკვებ საფარად აგროპროდუქტების პრეზერვაციისათვის. ხაზი გაესვა გარემოებას, რომ ფსევდოპროტეინული აფსკი ჰიდროფობურია, რაც გამორიცხავს აგროპროდუქტებიდან მისი ნესტით ან ორთქლით ჩამორეცხვას. ორგანიზმში საფარი განიცდის დაშლას ფერმენტების ზემოქმედებით, საკვები ღირებულების მქონე ბუნებრივი α -ამინომჟავების გამოყოფით, რაც გამორიცხავს მოხმარების წინ პროდუქტის ზედაპირიდან საფარის წინასწარ მოშორების აუცილებლობას. ახალი საფარი უკვე გამოიცადა ზოგიერთი აგროპროდუქტის (ვაშლი, სტაფილო, ბანანი) კარგად გამოხატული დადებითი ეფექტით. ეს გვაძლევს საფუძველს მივცეთ რეკომენდაცია ახალ, უფრო ფართო და სისტემატურ კვლევებს ფსევდოპროტეინული საკვები საფარით სხვა აგროპროდუქტების დაფარვა/პრეზერვაციისთვის.



კომისიამ აღნიშნა კვლევის აქტუალობა და შემოთავაზებული მეთოდით ხილის პრეზერვაციის გამოყენების პერსპექტიულობა, რისთვისაც მიზანშეწონილად ჩაითვალა კვლევების შემდგომი გაფართოვება, ხოლო შემოთავაზებული მეთოდის გასავრცელებლად მომხსენებელ მკვლევართა ჯგუფთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნა განაცხადეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა (პროდუქტების შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის უფროსი მ.ჟღენტი) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის (დირექტორი აკადემიკოსი ნ.ბალათურია) თანამშრომლებმა.

4. 19 მარტს შედგა კომისიის # 4 (60) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა ბიოლოგიის დოქტორის მედეა ბურჯანაძის მოხსენება: „ნოზემოზი: დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა,

მკურნალობა ინოვაციური პრეპარატებით”. აღნიშნა, რომ ფუტკარი აუცილებელია მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამტვერვისთვის. ბოლო წლებში ფუტკრის პოპულაცია მსოფლიო მასშტაბით საგანგაშო ტემპით მცირდება. საქართველოში მეფუტკრეებისთვის საშუალო წლიური ოჯახების ზარალი 30%-40%-ია, ხოლო 2020 წელს ზოგიერთ რეგიონში ფუტკრის პოპულაციის 70-80% დაიღუპა. ეს დანაკარგები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ასევე თაფლის, ცვილისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების წარმოებას.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SGP) ფინანსური ხელშეწყობით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ჩატარდა კვლევები ფუტკრის პოპულაციებში NC-ს გამოსავლენად ორი მეთოდის გამოყენებით: 1. მიკროსკოპულ დიაგნოსტიკაზე დაფუძნებულით, რომლითაც ხდება პათოგენი *Nosema spp*-ის აღმოჩენა და სპორების დათვლა; 2. პჯრ (PCR)-ზე დაფუძნებულით, რომლის საშუალებითაც ხდება მხოლოდ სახეობის დადასტურება. მიკროსკოპული დიაგნოსტიკა ჩატარდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, ხოლო მოლეკულური დიაგნოსტიკა - ცხოველთა ჯამრთელობის დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში (BIOR რიგა, ლატვია).

ნოზემოზის წინააღმდეგ გამოყენებული იყო ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებები: ანტინოზემა H1 (AN H1) - გამოიყენებოდა 3 დღეში ერთხელ, ხუთჯერადად; ანტინოზემა 18 (AN 18) - გამოიყენებოდა 3 დღეში ერთხელ, ხუთჯერადად; ბიფიტო (BeePhyto) - გამოიყენება ზედიზედ ორი დღის განმავლობაში ყოველ 2 დღის ინტერვალით ოთხჯერ, აპიბიო (ApiBio) - ეძლევა ყოველ მე-5 დღეს. ამ პრეპარატების მიერ ფუტკრის სკებში ნოზემოზის ინფექციის შემცირების მაჩვენებლები მაღალია და შეადგენს: AN 18 – 72%, AN H1 – 68,75%, ApiBio – 57,9%, BeePhyto – 83,3%. მიღებული შედეგების საუბველზე გამოცემულია წიგნი „ნოზემოზი: დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა, მკურნალობა ინოვაციური პრეპარატებით“, 2024.

შემდეგ მოკლე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ლოლობერიძე, აკადემიის მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორი რამაზ თავართქილაძე, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება შპს „ეიჩ-ენდ ზეტი“-ს თავმჯდომარე წოვინარ ნაზაროვა და ექიმი - ჰომეოპათმა თეიმურაზ ყენია.

კომისიამ მოიწონა წარმოდგენილი მოხსენება და აღნიშნა, რომ ფუტკრების ზამთრის სიკვდილიანობის მდგრად და დაბალ დონეზე დაბრუნება ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის გრძელვადიან მომგებიანობას, საფუტკრეების მართვის ხარჯების კონტროლს, სკების დანაკარგების შემცირებას და სკების პროდუქტიულობის გაზრდას, რაც, თავის მხრივ გააუმჯობესებს სასოფლო სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობას და ხარისხს.

5. 2 აპრილს შედგა კომისიისა და გარემოს დაცვისა და სატყეო განყოფილების გაერთიანებული სხდომა #5 (61), რომელზეც მოხსენებით თემაზე: „ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შედეგები და მომზადებული რეკომენდაციები“ გამოვიდა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი პაპუნა კაპანაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ტერიტორიის 44.5% ტყითაა დაფარული და ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო განეკუთვნება ტყით მდიდარი ქვეყნების რიცხვს. ტყეების უმეტესობა საშუალო და მაღალი დაქანების ფერდობებზეა განლაგებული, ისინი ასრულებენ ძალზედ მნიშვნელოვან ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა სასარგებლო დაცვით ფუნქციებს. გარდა ამისა, დიდ და მცირე კავკასიონზე შემორჩენილ ტყის მასივებს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ისინი ზომიერ კლიმატურ სარტყელში შემორჩენილ, უკანასკნელ ხელუხლებელ ტყეებს წარმოადგენენ.

ტყეების უმეტეს ნაწილზე ტყის მართვის დონის აღრიცხვა არ არის ჩატარებული. შესაბამისად, საქართველოს მათ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებზე განახლებული ინფორმაციის სიმცირე კვლავ ქვეყნის სატყეო სექტორის გამოწვევად რჩება. ასეთი ინფორმაციის მიღების მიზნით 2019-2022 წლებში ჩატარდა ტყის ეროვნული აღრიცხვა,

ხოლო 2022-2024 წლებში მომზადდა სტატისტიკური ანგარიში საქართველოს ტყეების რაოდენობრივი, ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ და ანგარიშზე დაყრდნობით შემუშავდა პოლიტიკური რეკომენდაციები - ტყეები მდგრადი მართვის განვითარებისთვის. წარმოდგენილი იყო დეტალური ინფორმაცია ტყეების რაოდენობრივი, ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ და მომზადებული პოლიტიკური რეკომენდაციები. მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება.

6. 16 აპრილს შედგა კომისიის # 6 (62) სხდომა, რომელზეც მოხსენებით თემაზე: „სუბტროპიკული კულტურების გენეტიკური რესურსები საქართველოში“ გამოვიდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის ლაბორატორიის ხელმძღვანელი დოქტორი ესე ჯაყელი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავკასიის შავიზღვისპირეთის ხელსაყრელმა ნიადაგობრივ-კლიმატურმა პირობებმა შესაძლებელი გახადა კულტურაში გავრცელებულიყო მრავალი სუბტროპიკული მცენარე ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან, სადაც კლიმატური პირობების გარკვეული მაჩვენებლები მიახლოებულია ჩვენებურთან. ეს მცენარეები არამარტო იზრდებიან და მსხმოიარობენ, ამავე დროს იძლევიან უხვ ნათესარს, რაც მეტყველებს გავრცელების ახალ პირობებში სახეობების, ფორმათა და ჯიშთა შეგუების მაღალ ხარისხზე.



ინტროდუქციულმა კულტურებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში შედარებით მოკლე დროში შექმნილიყო მემცენარეობის სრულიად ახალი დარგი - სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. აქ მეორე სამშობლო იპოვა სუბტროპიკული ფლორის მრავალმა წარმომადგენელმა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან - ჩაის მცენარემ, ზამბუკმა, ზოგიერთმა სახეობამ და გვარმა Aurantiodeae-ს ქვეოჯახიდან, კამფორის და ცრუკამფორის დაფნამ, ლაქის ხემ, იაპონურმა კრიპტომერიამ, იაპონურმა მარაოსებრმა პალმამ; ხმელთაშუაზღვისპირეთიდან - ოლეანდრამ, ქვის მუხამ, კორპის მუხამ, ფიჭვმა, იტალიურმა ფიჭვმა, დაბალმა ხამეროპსმა; ავსტრალიიდან - ევკალიპტის მრავალმა სახეობამ, ვერცხლისფერმა აკაცია; სამხრეთ ამერიკიდან - ფეიხომ, პალმებმა, დიდებულმა იუბეამ; ჩრდილო ამერიკიდან - ბუციის სახეობებმა, კარიამ, მარადმწვანე სეკვოიამ, მსხვილნაყოფა კიპარისმა და პალმებმა.

ჩატარებული კვლევების პირველი ამოცანა იყო კულტურული მცენარეების ფართო ასორტიმენტის მოზიდვა სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნებიდან, მათი პრაქტიკული გამოსადეგობისა და ფასეულობების დაწვრილებით შესწავლა და შემდგომი ბიოლოგიური გამოკვლევები. მეორე ამოცანა გახდა ჯიშთა გამოცდა და შესასწავლი ინტროდუქციული

მასალიდან უფრო ფასეულის გამოყოფა სამეურნეო გამოყენებისა და სელექციური მიზნებისთვის.

7. 30 აპრილი შედგა კომისიის #7 (63) სხდომა, რომელზეც მოხსენებით თემაზე: „ინოვაციური ტექნოლოგიები პურპროდუქტების წარმოებაში“ გამოვიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ დოლიძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში პურპროდუქტები #1 კვების პროდუქტად მოიაზრება და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ პროდუქტით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2024 წელს ხორბლის მოსავალმა ბოლო წლების რეკორდი მოხსნა და 200 000 ტონას მიაღწია, თუმცა ძალიან ბევრია გასაკეთებელი ხარისხობრივი ხორბლის მოყვანის თვალსაზრისით, რადგან მნიშვნელოვანია ხორბალში პურის ცხობის მქონე მაღალი გლუტენის (წებოვნების) არსებობა. ძალიან კარგია, რომ მეურნეობას „ლომთაგორა“-ს მეცნიერები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ბევრს აკეთებენ ხორბლის ახალი ჯიშების გამოყვანისა და გამოცდის საკითხებში, თუმცა დრო არ ითმენს: საქართველოს სჭირდება წელიწადში 700-800 ათასი ტ ხორბალი, ამიტომ უახლოესი გეგმა ნახევარი მაინც ვაწარმოთ, რათა ჩვენი დამოკიდებულება ნაკლები იყოს სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ ხორბალზე. დღეისთვის შემგვაქვს რუსული და ყაზახური ხორბალი, ჩვენი გადამამუშავებელი წისქვილები ქართულ ხორბალთან შერევით აწარმოებენ ფქვილს პურის ცხობისათვის. წელს ხორბლის ფასები გაიზარდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყანაში აღსდგეს ფქვილის გადაზიდვის პროგრესული უტარო წესი. სამწუხაროდ, მძიმე შრომაა გამოყენებული რაშიც საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, რათა შეღავათიანი კრედიტებით განხორციელდეს ყველა საწარმოში პროგრესული მეთოდის დანერგვა. ტენზომეტრით აღჭურვა, რაც გაამარტივებს აღრიცხვიანობას, გაზრდის ჰიგიენურ პირობებს. ქართველი მეცნიერები მუშაობენ ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორცაა უგლუტენო პურის წარმოება. 2025 წელს პირველად საქართველოში განხორციელდა მზა პურის ოთხი ასორტიმენტის ექსპორტი, რაც მეტად მნიშვნელოვანია დარგისთვის. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პურის წარმოებაში სასარგებლო საკვები დანამატების გამოყენებას.

მნიშვნელოვანია ქ. თბილისში კვალიფიციური მუშახელის მომზადება პრობლემა პურის ფასებიც, რადგანაც თემა სოციალურ ასპექტებთანაა დაკავშირებული, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ტექნიკური პროგრესის ელემენტების გამოყენება ნაწილობრივ მოხსნის გარკვეულად მუშახელის პრობლემას, რისთვისაც დაბალპროცენტიანი სესხებია საჭირო, რათა, შეძენილ იქნეს საჭირო აღჭურვილობა (ავტომატური რობოტები-პურის ჩამწყოები) დისტრიბუციისთვის ელექტრო მანქანები. ქალაქ თბილისის მერიას ეთხოვოს მაღაზიებში აღსდგეს კვების პროდუქტების ღამის მიღების საათები, რაც ქალაქში გაამარტივებს პურის მზიდ მანქანების მოძრაობას. აღნიშნული საკითხების ცხოვრებაში გატარება ბევრად გამოადგება პურის საწარმოებს, რაც აუცილებლად აისახება ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია დაერთხმად მიღებული იქნა დადგენილების პროექტი.



8. 21 მაისს შედგა კომისიის #8 (64) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა სოფლის განვითარების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის უფროსის, სოფლის მეურნეობის დოქტორ ნიკოლოზ კიკნაველიძის მოხსენება თემაზე: „მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ინოვაციური გზები“ .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ

რეგიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი მეცხვარეობას უკავია. დარგის განვითარება დამოკიდებულია ინფრასტრუქტურული პროექტების სწორ დაგეგმვაზე, რადგან კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება გადასარეკი ტრასების მოწესრიგების საკითხი მაშინ, როდესაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არეგისტრირებს ფაქტიურ სარგებლობაში მყოფ სავარგულებს, რომელიც ხშირად იჭრება გადასარეკ ტრასად მონიშნულ ადგილებზე. გადაუჭრელ პრობლემად რჩება სამოვრების პასპორტიზაციის საკითხი, ბიოუსაფრთხოების პუნქტებისა და გადასარეკ ტრასებთან არსებული მოსასვენებელი და დასაწყურებელი ადგილების მონიშვნისა და რეგისტრაციის საკითხი.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) გვიწესებს შეზღუდვებს, ამავე დროს, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა ქვეყანაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურეობას გაეხსნას ევროკავშირის ბაზარი 500 მლნ-ზე მეტ მომხმარებელს. უნდა მოვაწესრიგოთ საქონლის ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერები: სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები. კომისიამ დაადგინა:

მოწონებული იქნეს დოქტორ ნ. კიკნაველიძის მოხსენება;

1. იმისათვის, რომ საქართველო 2030 წლისთვის გახდეს ევროკავშირის წევრი, უნდა მოვაწესრიგოთ საქონლის ვაჭრობაში არსებული ნაკლოვანი მხარეები.

2. სამოვრებისა და გადასარეკი ტრასების მოუწესრიგებლობა იქნება ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი საქართველოში წარმოებული ცხოველური პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე მიწოდებისთვის.

3. აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სივრცით-ტერიტორიალური მოწყობის პრობლემა საჭიროებს მეტ ყურადღებას.

9. 18 ივნისს შედგა კომისიის #9 (65) სხდომა, რომელზეც მოხსენებით თემაზე: „ხეხილის პერსპექტიული ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების ჰომოლოგიური და აგრონომიული შესწავლის ასპექტების შესახებ“ გამოვიდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ბობოქაშვილი. მან აღნიშნა, რომ მეხილეობა უზრუნველყოფს ქვეყნისთვის ყოველწლიურად 200 მლნ აშშ დოლარამდე მოცულობის ექსპორტს და 120 მლნ ლარამდე შიდა მოხმარებისთვის წარმოებას. სექტორისადმი გაზრდილი ინტერესი აისახება როგორც ახალი თანამედროვე ტიპის ბაღების გაშენებაში, ასევე წარმოების დივერსიფიცირებასა და აგროტექნოლოგიური დონის ამაღლებაში.

მიუხედავად ამისა, ქართველი მეხილე მეურნეები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, კერძოდ, აუცილებელია კლიმატური ცვლილებების ფონზე ეკონომიკურად შემოსავლიანი, სტაბილური და კონკურენტუნარიანი მოსავლის მოყვანა შრომითი რესურსების პოტენციური შემცირების, მზარდი საიმპორტო დაწოლის ზრდისა და ბაზარზე მიწოდება-მოხმარების ასინქრონული ციკლების პირობებში, რა დროსაც ხეხილის ბაღის გაშენების დროს ჯიშების არჩევაში მიღებული მცდარი გადაწყვეტილება, ხილის წარმოების ახალ თუ მოქმედ აგრობიზნესს გადაულახავი სირთულის წინაშე აყენებს. გამომდინარე აქედან, ძველი ცნობილი და უეჭველი აქსიომა, რომ „ჯიში წარმატების საფუძველია“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ჭეშმარიტებას. საქართველოს მეხილე-ფერმერების გამოკითხვები



ადასტურებს, რომ ახალი ჯიშების შეფასება-ტესტირება წარმოადგენს მეხილეობაში კვლევის პრიორიტეტს.

უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში შეინიშნება ხეხილის ჯიშების სახელმწიფო სელექციური პროგრამების შემცირება-გაუქმება, რაც ხდება ეკონომიკური და მარკეტინგული საკითხების გადაუწყვეტლობის მიზეზით. შედეგად, სასელექციო პროგრამებმა გადაინაცვლა კერძო საინიციატივო სასელექციო კომპანიების ხელში, რომლებიც პროდუქტის რეალიზაციის მიზნით დაინტერესებული არიან მრავალი ჯიშის ბრუნვაში გამოშვებით.

საქართველოს ხილის მწარმოებლებისთვის ხელმისაწვდომი ჯიშების სპექტრი გაზრდილია საზღვარგარეთის ხასელექციო ორგანიზაციებისა და სანერგე მეურნეობების მხრიდან. მაგრამ ასევე იზრდება მოცემული გენოტიპების საქართველოს კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია-ტოლერანტობის მიმართულებით არსებული რისკებიც. შემოთავაზებული ჯიშები შესაძლოა ავლენენ მაღალ სასაქონლო თვისებებს კონკრეტულ რეგიონში სადაც გამოყვანილია, მაგრამ მათი რეალური ქცევა საქართველოს მეხილეობის მიზნობრივ რაიონებში მრავალ კითხვის ნიშნებს აჩენდეს. ამიტომ, ახალი ჯიშების შესწავლა აუცილებელია განხორციელდეს წინსწრებით, რა ქართველი მეხილეები ფერმერები დარწმუნდებიან მოცემული ჯიშების წარმატების პრაქტიკულ რეალობაში.

საქართველოში ხეხილის ჯიშების შესწავლის კუთხით ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, სადაც ხეხილის დიდი კოლექციაა გაშენებული, რომელიც მოიცავს 14 ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურის 450-ზე მეტ ჯიშს, ფორმას და ნიმუშს. განხორციელებული ჯიშების აგრონომიული შესწავლის შედეგად, ფერმერებისთვის შერჩეულია კონკურენტუნარიანი ჯიშებიროგორც კონვენციური, ასევე ბიოხილის წარმოების მიზნით. მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება.

10. 9 ივლისს შედგა კომისიის #10(66) სხდომა, რომელზეც მოხსენებით თემაზე: „ერთწლიან მცენარეთა რიგთა შორის ნიადაგის დამამუშავებელი მოტობლოკის ფრეზი“ გამოვიდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი ვლადიმერ მირუაშვილი. მომხსენებლის მიერ ერთწლიან მცენარეთა რიგებში ნიადაგის დამამუშავებისათვის დამამუშავებელია ახალი კონსტრუქციის თარაზული ფრეზი (პატენტი # 2016 6533 B), რომელიც შესაძლებელს ხდის მცენარესთან მაქსიმალურად ახლო მივიტანოთ სამუშაო ორგანო, ისე რომ არ დაზიანდეს. მოტობლოკთან გამოსაყენებლად შეიძლება დამზადდეს ისეთი კონსტრუქციის თარაზული ფრეზი, რომელიც ნიადაგს რიგთა შორი ამუშავებს მცენარის მოთხოვნების მიხედვით (საქართველოს პატენტი # 2007 4274 B).

სასოფლო-სამეურნეო აგრეგატზე მოქმედი, არაკანონზომიერად ცვლადი ფაქტორების მოქმედების გამო, აგრეგატის მიერ სისტემატურად ირღვევა შერჩეული მიმართულებით მოძრაობა, რის გამოც უარესდება მიმდინარე პროცესის შესრულების ხარისხი და იზრდება ენერგეტიკული დანახაეჯები. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დამამუშავებელია მოწყობილობა, რომელიც დაცულია საქართველოს პატენტით # 2005 3550 B.

მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება.

11. 12 ნოემბერს შედგა კომისიის #11 (67) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბუნებრივი კატასტროფების კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის მანანა კაჭახიძის მოხსენება თემაზე: მიწისძვრის სამსაფეხუროვანი ადრეული შეტყობინების და ოპერატიული პროგნოზირების შესაძლებლობები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნა, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ძლიერი მიწისძვრების მომზადების პროცესში ფოკუსურ არეში ადგილი აქვს მეტად დაბალი სიხშირის/დაბალი სიხშირის (მდს/დს) და უკიდურესად დაბალი სიხშირის (უდს) ელექტრო-მაგნიტურ გამოსხივებას (ემგ), რომელიც დაიკვირვება როგორც დედამიწის ზედაპირზე, ასევე თანამგზავრების საშუალებით. კვლევებით დადგინდა, რომ მდს/დს რადიო სიგნალის წარმომოხა დაკავშირებულია სეისმოგენურ არეში ბზარების, ხოლო მიწისძვრის ფოკუსში-

ძირითადი რღვევის წარმოშობასთან. დღეს მსოფლიოს სეისმურად აქტიურ რეგიონებში თანამგზავრების და მიწისპირა ქსელებით დაკვირვებების საფუძველზე მიმდინარეობს მდს/დს ემგ-ის მონიტორინგი. მომხსენებლის ჯგუფის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევებით დადგინდა, რომ მიწისძვრის წინ არსებული მეტად დაბალი სიხშირის/დაბალი სიხშირის (მდს/დს) ელექტრომაგნიტური (ემ) გამოსხივების სიხშირის მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით არსებობს მიწისძვრების სამსაფეხუროვანი ადრეული შეტყობინებისა და მაღალი სიზუსტის მოკლევადიანი და ოპერატიული პროგნოზირების შესაძლებლობები.

კვლევების საფუძველზე შესაძლებელია მომავალ მიწისძვრამდე ერთდროულად განისაზღვროს მიწისძვრის სამივე პროგნოზული პარამეტრი (ეპიცენტრი, მიწისძვრის მოხდენის დრო და მაგნიტუდა); შექმნილია მდს/დს რადიოსიგნალების მობილური მიმღების საცდელი ეგზემპლარი, ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია მიწისძვრის რისკის შემცირების მეთოდი ტექტონიკური დამაბულობის შემცირების ხარჯზე. მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გვირაბებსა და მაღაროებში მოსალოდნელი კატასტროფების პროგნოზირების მიზნით. კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო დარგობრივ ჟურნალებში.

თეორიული კვლევებით და ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ მიწისძვრის მოხდენამდე შესაძლებელია ერთდროულად განისაზღვროს მიწისძვრის სამივე პროგნოზული პარამეტრი (ეპიცენტრი, მიწისძვრის მოხდენის დრო და მაგნიტუდა), შექმნილია ძლიერი და საშუალო სიძლიერის მიწისძვრების სამსაფეხუროვანი შეტყობინების და ოპერატიული (მოკლევადიანი) პროგნოზირების მეთოდი, აღმოჩენილია ელექტრომაგნიტური გამოსხივების ის სპექტრალური დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც ხდება $1 \leq M \leq 9.0$ მაგნიტუდის მიწისძვრა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულია კრიტერიუმი, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას გადაწყდეს სეისმოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, მიწისძვრის მოხდენამდე ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ფორშოკი და ძირითადი ბიძგი.

12. 2025 წლის 3 დეკემბერს შედგა კომისიის სხდომა # 12(68), რომელიც მიემდვნა „ჰორიზონტი ევროპა“-ს საქართველოს ეროვნული ოფისის საინფორმაციო დღეს. მოხსენებებით „ჰორიზონტი ევროპას“-ს საქართველოს ეროვნული ოფისის საქმიანობის და მოქმედი პროგრამების შესახებ წარსდგინდა სურსათის, ბიოეკონომიკის, ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს კლასტერების ეროვნული საკონტაქტო პირი მაკა ჟორჯოლიანი და გაფართოებისა და ევროპული კვლევითი სივრცის ეროვნული საკონტაქტო პირი ნინო როდონაია. მათ აღნიშნეს, რომ ეროვნული ოფისის პროგრამის მიზანია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ საგრანტო კონკურსებში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობისა და წარმატებულ საგრანტო პროექტებში მათი ჩართულობის გაზრდა, ევროპულ კონსორციუმებში საქართველოს მკვლევართა მონაწილეობით საქართველოში მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მხარდაჭერა. სულ 2025 წლის პროგრამის შესასრულებლად გამოყოფილი 7.3 მილიარდი ევრო: 35% განკუთვნილია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებისთვის; 8.8% ბიომრავალფეროვნებისთვის; 36% ციფრული ტრანზიციისთვის და დანარჩენი სხვა მრავალი მიმართულებისათვის.

პროგრამაში მეცნიერ-აგრარიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეექვსე კლასტერი: „სურსათი, ბიოეკონომიკა, ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობა და გარემო“. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ამ კლასტერიდან დაფინანსდა პროექტი: „ევროპული პარტნიორობა ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ“, რომელსაც ასრულებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია; ასევე სურსათის ეროვნული სააგრანტო ჩართული იყო პროექტის: „ევროპული პარტნიორობა მდგრადი სურსათის სისტემებისთვის“ შესრულებაში.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ „ჰორიზონტი ევროპა“-ს პროგრამა WIDERA-ს 2026-27 წლების სამუშაო პროგრამა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: მონაწილეობის გაფართოებას და ბრწყინვალეების გავრცელებასა და ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) გაძლიერებას

ევროპული კვლევისა და ინოვაციების სისტემის რეფორმირებისა და სრულყოფის გზით - ცოდნის ვალორიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერა და მეცნიერება ქალაქში და დაინტერესებულთა ფართო სპექტრს, რომელთაც თავიანთი როლი გააჩნიათ ევროპული კვლევითი სივრცის შექმნაში, სთავაზობს შესაძლებლობებს.

13. 2025 წლის 3 დეკემბერს შედგა კომისიის სხდომა #13(69), რომელზეც მოხსენებით: „დაფნის ახალი მაღალზეთიანი ფორმა N18-ის წარმოებაში გავრცელების პერსპექტივები“ გამოვიდა აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი შორენა კაპანაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გლობალურ ბაზარზე დაფნის პროდუქტებზე მოთხოვნები დიდია და ამასთან ის ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია დაფნის მაღალპროდუქტიული ფორმების შერჩევა და გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტად აღებული იქნა დაფნის სამრეწველო ნარგაობები, კომერციული ვარიაციების სახით, ბუნებრივი ნარგაობები და საკარმიდამო ნაკვეთებზე განთავსებული დაფნის ჯგუფური და ინდივიდუალური ნარგაოები. დადგენილი იქნა კორელაციის ხარისხი მცენარის ვეგეტატიური და გენერაციული ორგანოების მორფო-ბიოლოგიურ თავისებურებებსა და ეთეროვანი ზეთის შემცველობას შორის.

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შერჩეული იქნა და წარმოებას გადაეცა დაფნის მაღალპროდუქტიული ფორმა #18, რომელიც ნედლეულ ფოთოლში შეიცავს საშუალოდ 1,8% ეთეროვან ზეთს, რომლის წარმოებაში გამოყენებით ერთი ჰა ფართობიდან მიიღება 2-3-ჯერ მეტი ეკონომიკური ეფექტი, არსებულ კეთილშობილი დაფნის სახეობა-პოპულაციასთან შედარებით. აგრეთვე, ზეთშემცველობის განსაზღვრის მეთოდების შედარებითი შესწავლით დადგენილი იქნა, რომ რთული, ძვირადღირებული კლასიკური მეთოდების ნაცვლად, დაახლოებით იგივე ეფექტი მიიღწევა ბევრად უფრო მარტივი და დაჩქარებული მიკროსკოპული მეთოდის გამოყენებით.

სხდომაზე დამტკიცდა კომისიის 2025 წლის მუშაობის ანგარიში და 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

თავი 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2025 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

საბჭო დაფუძნდა 2022 წლის 11 ნოემბერს და ხელმძღვანელობს საბჭოს დებულებითა და საბჭოს წლიური სამუშაო გეგმით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

საანგარიშო პერიოდში შედგა 8 გეგმური სხდომა, სადაც წარდგენილ იქნა შემდეგი მოხსენებები დარგობრივ აქტუალურ საკითხებზე:

პირველი სხდომა ჩატარდა 25 თებერვალს და განხილული იქნა საკითხი: 1. კატასტროფის რისკის მართვა - ძირითადი კონცეფცია. **მომხსენებელი:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, წყალთამეურნეობის ინსტიტუტის განყოფილების უფროსი, ტექნიკის დოქტორი შორენა კუპრეიშვილი.

მეორე სხდომა ჩატარდა 26 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული დრონები და რობოტები. **მომხსენებელი:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი ხვიჩა გოჭოშვილი.

მესამე სხდომა ჩატარდა 30 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. საძოვრების მართვა საქართველოში. **მომხსენებელი:** ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, აგრარული უნივერსიტეტის მიწათმოქმედების ინსტიტუტის მკვლევარი, აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი მარიამ მერაბიშვილი.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 30 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. თესლბრუნვის უპირატესობები სოფლის მეურნეობაში. **მომხსენებელი:** ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის, რეგიონული მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი თათია ხოსიტაშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 30 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი გავლენის შედარებითი მოდელირება მთის მშრალ ტყეებზე იტალიასა და საქართველოში, **მომხსენებელი:** ბოცენ-ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტის (იტალია) დოქტორანტი ლადო ბასილიძე (მეტყვევობა).

მეექვსე სხდომა ჩატარდა 2 ოქტომბერი და განხილული იქნა საკითხი: 1. „ეროზიის საწინააღმდეგო გუთანის, ფერდობზე ნიადაგის დამუშავებისათვის“, **მომხსენებელი:** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ტექნიკის დოქტორი ივანე კაპანაძე.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 19 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა მევენახეობაზე. **მომხსენებელი:** სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა მიკროკლონური გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი თეკლე ზაკალაშვილი.

მერვე სხდომა ჩატარდა 25 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე წარსადგენი საბჭოს წლიური ანგარიშისა და სარეკომენდაციო წინადადებების განხილვა და დამტკიცება. **მომხსენებელი:** საბჭოს თავმჯდომარე, წევრ-კორესპონდენტი გიორგი ქავთარაძე. 2. საბჭოს 2026 წლის სამუშაო გეგმის განხილვა და დამტკიცება. **მომხსენებელი:** საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ბაგრატ რაზმაძე.

საბჭოს სხდომებზე, ასევე განიხილებოდა საორგანიზაციო და სხვა მიმდინარე საკითხები. დეკემბერში ჩატარებულ სხდომაზე განხილულ იქნა და დამტკიცდა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე წარსადგენი წლიური ანგარიში და სარეკომენდაციო წინადადებები, ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს 2026 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის პროექტი.

საბჭო 2024 წლის სექტემბრიდან ღონისძიებებს მართავს ჰიბრიდულ ფორმატში, რამაც შესაძლებლობა მისცა საბჭოს წევრებს რეგიონებიდან, აგრეთვე მათ ვინ ობიექტური მიზეზით ფიზიკურად ვერ ესწრება სხდომას, ონლაინ რეჟიმში მიიღონ მონაწილეობა.

საბჭოს წევრები, გარდა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობისა, ასევე ჩართული იყვნენ აკადემიის მიერ გამართულ სხვა აქტივობებშიც.

აღსანიშნავია, რომ აკადემია წარმატებულ მეცნიერებს აჯილდოებს თავისი საპატიო სიგელით. 2025 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრებიდან აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ: ირინე ჩარგეიშვილი (მეაბრეშუმეობის დარგში), ივანე კაპანაძე (აგროინჟინერიის დარგში) და ბაგრატ რაზმაძე (ეკონომიკის დარგში).

საბჭოს წევრებს ჰქონდათ აღიარებები სხვა ინსტიტუციებისგანაც, კერძოდ: ნიადაგის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააჯილდოვა საბჭოს წევრი შორენა კუპრეიშვილი აკადემიკოს თენგიზ (გიზო) ურუშაძის სახელობის საპატიო სიგელით; მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიამ, მონოგრაფიული ნაშრომისთვის დააჯილდოვა გიორგი ქავთარაძე და მას, თანაავტორებთან ერთად, მიანიჭა აკადემიკოს გიორგი გიგაურის სახელობითი პრემია; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა, შენგელი კიკილაშვილს, როგორც საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერს მიანიჭა პრემია თამარი; თამარ ნოზაძემ მიიღო სურსათის ტექნოლოგთა ინსტიტუტის (IFT) და სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ევროპის ფედერაციის (EFFoST), გლობალური ჰარმონიზაციის ინიციატივის (GHI) ელჩის სტატუსი საქართველოში; თეკლე ზაკალაშვილმა მიიღო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან ახალგაზრდა მეცნიერის გრანტი.



საბჭოს წევრები ეწევიან აქტიურ და წარმატებულ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ჩართული არიან საზოგადოებრივ და პროფესიულ აქტივობებში. მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში საბჭოს წევრების ავტორობით და/ან თანაავტორობით გამოქვეყნებულია 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

2025 წლის ნოემბერში აკადემიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოს განახლებული შემადგენლობა, რომელიც განისაზღვრა 23 წევრით. მაქსიმალურად დაცულია გენდერული ბალანსი, შემადგენლობაშია 11 ქალი და 12 კაცი. საბჭოს შემადგენლობიდან 9 წევრი მუშაობს აგრონომიის სამეცნიერო მიმართულებით, 1 მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო მიმართულებით, 3 აგროინჟინერიის სამეცნიერო მიმართულებით, 4 გარემოს დაცვის და სატყეო საქმის სამეცნიერო მიმართულებით, 3 სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო მიმართულებით და 3 ეკონომიკის სამეცნიერო მიმართულებით. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან
არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს შემადგენლობა
2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით

გვარი, სახელი	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	სამუშაო ადგილი, პოზიცია
დამბაშიძე გიორგი	აგროეკოლოგია (ნიადაგმცოდნეობა)	დოქტორი	სმსკ ცენტრის ნიადაგის კვლევის ლაბ. უფროსი; აგრარული უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
ჩარგეიშვილი ირინე	აგრონომია (მეაბრეშუმეობა)	დოქტორი	აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მკვლევარი
ზაკალაშვილი თეკლე	აგრონომია (მცენარეთა სელექცია-გენეტიკა)	დოქტორი	სმსკ ცენტრის მცენარეთა მონოკლონური (in vitro) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევითი სამსახურის უფროსი
ხოსიტაშვილი თათია	აგრონომია (მცენარეთა დაცვა)	დოქტორი	ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის, რეგიონული მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, სტუ ასისტ. პროფესორი
ნოზაძე თამარ	მეცხოველეობა, სურსათის უვნებლობა	დოქტორი	ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
გოჭოშვილი ხვიჩა	აგროინჟინერია (სმ მექანიზაცია)	დოქტორი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
კაპანაძე ივანე	აგროინჟინერია (სმ მექანიზაცია, ელექტროფიკაცია)	დოქტორი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი
კუპრეიშვილი შორენა	აგროინჟინერია (მელიორაცია)	დოქტორი	სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის განყოფილების უროსი, ასოც. პროფესორი
ქავთარაძე გიორგი	მეტყვეობა	დოქტორი	აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, პროფესორი
ძამამია ლაშა	მეტყვეობა	დოქტორანტი	GIZ -ECO.Georgia მრჩეველი სატყეო პოლიტიკისა და კანონმდებლობის საკითხებში
მეტრეველი ვასილ	მეტყვეობა	დოქტორი	ილიას უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და მკვლევარი
ტოგონიძე ნატალია	ეკოლოგია	დოქტორი	სმსკ ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის მკვლევარი; ილიას უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

თურმანიძე თამარ	სასურსათო ტექნოლოგიები	დოქტორი	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი
რაზმაძე ბაგრატ	ეკონომიკა	მაგისტრი	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარი სპეციალისტი
ჩიბურდანიძე ლაშა	ეკონომიკა (აგრარული ეკონომიკა)	დოქტორი	სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ასოც. პროფესორი
კვიციანიშვილი შენგელი	აგრარული ტექნოლოგიები (მევენახეობა)	დოქტორი	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი, მეცნიერ-თანამშრომელი
ხოსიტაშვილი თეა	სასურსათო ტექნოლოგიები (მელვინეობა)	დოქტორი	იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
თხილაიშვილი გულადი	ეკონომიკა (აგრობიზნესი)	დოქტორი	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი
თურმანიძე მამუკა	აგროეკოლოგია (მცენარეთა დაცვა)	დოქტორანტი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროსკოლის დირექტორი
მერაბიშვილი მარიამ	აგრონომია (აგროეკოლოგია)	დოქტორი	ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; აგრარული უნივერსიტეტის მიწათმოქმედების ინსტიტუტის მკვლევარი
ყიფიანი ნინო	მცენარეთა სელექცია-გენეტიკა	დოქტორი	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გურგენიძე ანა	სასურსათო ტექნოლოგია	მაგისტრი	შპს ბიუ ბიუს ხარისხის მენეჯერი
მჟავანაძე თორნიკე	სამართალმცოდნეობა	მაგისტრი	აგრომეწარმე; მარაბდა-კარწახის რკინიგზის პროექტის მთავარი იურისტი; Da Vinci Green Systems LLC დამფუძნებელი



თავი 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების დარგობრივი კოორდინატორების მიერ 2025 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

6.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

6.1.1. მევენახეობის და მეღვინეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები აკადემიკოსები ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან უჯმაჯურიძე და გურამ პაპუნძიძე)

ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ 12 წევრი (სოფლის მეურნეობის და ბიოლოგიის დოქტორები: ლევან უჯმაჯურიძე, თეიმურაზ ორთოიძე, დავით ჩიჩუა, ლონდა მამასახლისაშვილი, თეკლა ზაკალაშვილი, მათა მირველაშვილი, ზურაბ ხიდემელი, ივეტა მეგრელიშვილი, მაგისტრი თათია ჩხარტიშვილი, სპეცალისტები ჯაბა აბაიშვილი, თინათინ წენგუაშვილი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს ტექნიკური, აგრარული, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

გამოქვეყნებული შრომები:

1. Ujmajuridze L და სხვები. Phytoplasmas associated with grapevine yellows in Georgia, South Caucasus; Phytopathogenic Mollicutes An International Journal on Phytoplasma, Spiroplasma and other Phloem-limited Plant Pathogens; Volume 15 • Number 2 • December 2025; Print ISSN : 2249-4669 ; Online ISSN : 2249-4677
2. თ.წენგუაშვილი, ნ.წიკლაური, მ.ჭყონია, ხ.ტიგინაშვილი, მ.მირველაშვილი, თ.ორთოიძე. ლ. უჯმაჯურიძე. კალინის 5%-იანი წყალხსნარი, როგორც ვაზის დამცავი საშუალება მზის დამწვრობისაგან. სოფლის მეურნეობის აკადემიის „მოამბე“, 2025, 54 (N2), გვ. 57-62.
3. Natia Tsenguashvili, Tekle Zakalashvili, Teimuraz Ortoidze, Levan Ujmajuridze. The use of kaolin to protect grapevines from “Sunburn”. 2025, , 46-st World Congress of Vine and Wine, Chisinau, Moldova, p.349.
4. Tekle Zakalashvili, Natia Tsenguashvili, Teimuraz Ortoidze, Levan Ujmajuridze. Physiological adaptation of a unique grapevine variety Mgaloblishvili: evaluating to soil, climate, and water stress conditions in Georgia, with notable resistance to plasmopara viticola. 2025, , 46-st World Congress of Vine and Wine, Chisinau, Moldova, p.358
5. ლ. უჯმაჯურიძე და სხვ. ბიოხორბლის წარმოება და მისი უპირატესობები; ჟურნალი „აგრარული საქართველო“ #3 (150) მარტი, 2025; ISSN1987-8729
6. ლ. უჯმაჯურიძე-ვაზის ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგია, თბილისი, REC, 2025T.
7. Tsenguashvili, T. Zakalashvili, T. Ortoidze, L. Ujmajuridze. “Alterations in Leaf Physiological Processes Induced by Esca Disease in Grapevine (*Vitis vinifera* L.)”. Annals of Agricultural Sciences, 2025
8. Gabriele Cola, Gabriella De Lorenzis, Osvaldo Failla, Nikoloz Kvaliashvili, Shengeli Kikilashvili, Maia Kikvadze, Londa Mamasakhlishashvili, Irma Mdinardze, Ramaz Chipashvili and David Maghradze The Status of Wild Grapevine (*Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* (C.C. Gmel.) Hegi) Populations in Georgia (South Caucasus) *Plants* 2025, 14(2), 232; <https://doi.org/10.3390/plants14020232>
9. L. Mamasakhlishashvili, M. Mirvelashvili, O. Gotsiridze, N. Kenchiashvili, L. Megrelishvili, Identification and Documentation of Endemic Grapevine Varieties in Samegrelo; <https://journals.4science.ge/index.php/GS/indexed>

3. ჯგუფის წევრთა მიერ მიღებულია საქართველოს ორი პატენტი:

1. ლ.უჯმაჯურიძე ვ.მირუაშვილი. პატენტი P 2025 7798 B. მწვანე ჩაის დახარისხების ნაკადურ-ტექნოლოგიური ხაზი
2. ლ.უჯმაჯურიძე, ვ.მირუაშვილი, თ.ზაკალაშვილი პატენტი P 2025 7797 B. ქვევრის სარეცხი მოწყობილობა

4. სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ ტულუზის სიმპოზიუმზე „Wine and Water“, 2025 წარდგენილია თეკლე ზაკალაშვილის მოხსენება: „Characteristics of physiological processes of Cabernet Sauvignon and Mgaloblishvili vines in the soil-climatic conditions of Kartli region in Georgi- International wine “

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

საანგარიშო 2025 წლის პერიოდში მევენახეობის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა კომპლექსური სამუშაოები, რომელიც დაკავშირებული იყო: ვაზის ქართული და უცხოური ჯიშებით საკოლექციო ნაკვეთებში დამაგრებას და გენოფონდის გამდიდრებასთან; ვაზის ადგილობრივი ჯიშების თანამედროვე ჰარმონიზებული დესკრიპტორების გამოყენებით ამპელოგრაფიულ კვლევასთან; ესპანელ კოლეგებთან ერთად ვაზის ჯიშების მოლეკულურ გენეტიკური მარკერების გამოყენებით კვლევა-იდენტიფიცირებასთან; საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მ.შ. სამცხე -ჯავახეთში კულტურული ვაზის ჯიშების და ველური ფორმების მოძიებასთან დაკავშირებულ ექსპედიციებთან; ასევე კვლევები ეხებოდა ვაზის ქართული ჯიშის სანამყენე საბაზისო ნერგების ორანჟერიის პირობებში წარმოების საკითხებს, რომელიც უცხოეთიდან შემოტანილ სხვადასხვა ჯიშის საბაზისო საძირებზე იქნა დამყნობილი; ეკოფიზიოლოგიის მიმართულებასთან დაკავშირებული სამუშაოებს, კერძოდ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ვაზში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კომპლექსური კვლევას ფიტოტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით; ახალი ტიპის კომპოზიციური ვაზის დამცავი ბიოლოგიური საშუალების გამოყენებას; ვირუსულ და ფიტოპლაზმური დაავადებების თანამედროვე კვლევებს თანამედროვე RT PCR მეთოდების გამოყენებით; მევენახეობის ახალი მიკროზონების კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ.

საფრანგეთში, საქართველოს სახელმწიფოსათვის გადმოცემულ ლევილის მამულში , გაწმენდილია და ვაზის გასაშენებლად მომზადებულია ნიადაგი, სადაც 2026 წლის თებერვალში დაირგვება ქართული ვაზის ჯიშები, ასევე ქართული ხეილოვანი კულტურების ჯიშების ნერგებით გაშენდება ბაღი. ნიადაგების სრულყოფილი კვლევა , საფრანგეთიდან ჩამოტანილ ნიმუშებში, განხორციელდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგური კვლევის ლაბორატორიაში.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ჯგუფის წევრები არიან საქართველოს ტექნიკური, აგრარული, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების, ღვინის სკოლების, კოლეჯების პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და პედაგოგები.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ჯგუფის წევრები არიან რამდენიმე ადგილობრივი(რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის), საერთაშორისო(FAO, ENPARD, REC-კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი და სხვ.) პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, ექსპერტი, განმახორციელებელი.

7. სამეცნიერო-კვლევითი მუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ საგრანტო და სხვადასხვა კონკურსების შემფასებელი კომისიის მუშაობაში, სამეცნიერო და პრაქტიკული მიმართულების ნაშრომების რეცენზირებაში, სასოფლო სამეურნეო კულტურათა მ.შ. ვაზის სანერგეებისა და სარგავი მასალის წარმოების პროცესების ექსპერტიზაში და სხვ.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

ჯგუფის წევრები არიან საპარლამენტო საკონსულტაციო საბჭოს, სამეცნიერო და აკადემიური საბჭოების, ადგილობრივი და საერთოსოროსო პროექტების ექსპერტები, კოორდინატორები, წევრები, მრჩეველები, კონსულტანტები.

1.1. მეხილეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 წევრი (ვაჟა კვალიაშვილი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; ზვიად ბობოქაშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ელენე მაღლაკელიძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ვანო კაკაშვილი - მაგისტრი; ლაშა ციგრიაშვილი - ბაკალავრი; მარიკა ვახტანგაშვილი - მაგისტრი), რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საპატრიარქოს ნინოწმინდის კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში, ასევე მიზნობრივ გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევებში და საორგანიზაციო - პრაქტიკულ მუშაობაში.

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მეხილეობის კვლევის სამსახურის მიმართულების კოორდინატორის ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში დარგობრივი ჯგუფის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 წევრი (ვაჟა კვალიაშვილი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; ზვიად ბობოქაშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ელენე მაღლაკელიძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ვანო კაკაშვილი - მაგისტრი; ლაშა ციგრიაშვილი - ბაკალავრი; მარიკა ვახტანგაშვილი - მაგისტრი), რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საპატრიარქოს ნინოწმინდის კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში, ასევე მიზნობრივ გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევებში და საორგანიზაციო - პრაქტიკულ მუშაობაში. ასევე, ჯგუფის წევრები არიან: ნადეჟდა მიროტაძე, ნატო მიქაძე, ლევან ბოლქვაძე, ლეილა გეგენავა.

1. გამოქვეყნებული შრომები

#	დასახელება	გამომცემლობა
1	საქართველოს ვაშლის (<i>Malus domestica</i> Borkh.) ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების სორტიმენტი - განვითარების ისტორიული ეტაპები და მიმდინარე გამოწვევები (ავტორები: ბობოქაშვილი ზ., კვალიაშვილი ვ.)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22-24 მაისი, 2025 თბილისი
2	ვაშლის (<i>Malus domestica</i> Borch) ინტროდუცირებული ჯიშის „ჩელენჯერი“ დახასიათება	ქართველი მეცნიერები. ტომი , N2. 2025
3	Global Climate Challenges - Elements of Mitigation Measures for Sustainable Production of Georgian Fruits (Bobokashvili Zviadi, Maghlakelidze Elene, Kvaliashvili Vazha)	Journal of science. Lyon №55 2025
4	Characterization of introduced Varietiy "Weiki" (<i>Actinidia argunata</i> Planch) in Georgia (Bobokashvili Z, Maghlakelidze e, KvaliaSvili V.)	International Scientific Conference "Genetics, Physiology and Plant Breeding (VIIth Edition)". pp: 491-495. 2025

2. ახალი ჯიშების რეგისტრაცია

მიმდინარე კვლევების ფარგლებში გამოვლენილია ატმის 3 მაღალხარისხოვანი საკონსერვო ფორმა, რომელთა შესწავლა გრძელდება (ვ. კვალიაშვილი, მ. წიქარიძე).

3. კონფერენციაში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	საქართველოს ვაშლის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების სორტიმენტი - განვითარების ისტორიული ეტაპები და მიმდინარე გამოწვევები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები	22-24 მაისი, 2025	ბობოქაშვილი ზ., კვალიაშვილი ვ.
2	Characterization of introduced Varietiy "Weiki" (<i>Actinidia argunta</i> Planch) in Georgia	International Scientific Conference "Genetics, Physiology and Plant Breeding (VIIth Edition)"	29 -30 ოქტომბერი 2025	Bobokasvili Z, Maghlakelidze E, KvaliaSvili V.

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ვაჟა კვალიაშვილი: მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ატმის, ვაშლისა და ყურძნის სელექციის მიმართულებით. ახორციელებს ჰიბრიდული თესლნერგების მონიტორინგს, ფენოლოგიურ დაკვირვებებს, პერსპექტიული ფორმების შეფასებას. მიმდინარეობს მუშაობა ატმის (3 ფორმა) და ვაშლის ჰიბრიდებზე, ასევე ყურძნის ჰიბრიდულ კომბინაციებზე.

ზვიად ბობოქაშვილი: სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი, მონაწილეობს კვლევების დაგეგმვასა და შედეგების ანალიზში, აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახური მუშაობს ორ პროექტზე და ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით რიგ აქტივობებს.

➤ **ვაჟა კვალიაშვილი** - კორდინაციას უწევს მეხილეობის კვლევის სამსახურის სამეცნიერო პროექტებს და აქტიურად არის ჩართული კვლევითი უშაობის შეფასებაში და ნაშრომების რეცენზირებაში.

➤ **მერაბ წიქარიძე:** ფერმერულ მეურნეობაში (ს. ატენი) უზრუნველყოფს ატმის პერსპექტიული ფორმების გამოვლენასა და აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

➤ **ზვიად ბობოქაშვილი** (დეპარტამენტის უფროსი) – ხელმძღვანელობს სამსახურის ერთ პროექტს და მონაწილეობს სამეცნიერო კვლევაში. პასუხისმგებელია შესწავლილი ჯიშების შერჩევაზე, საუკეთესო ჯიშების გამოვლენასა და გავრცელებაზე, გენოფონდის მოძიებაზე და კონსერვაციაზე.

➤ **ელენე მალაკელიძე** (მთავარი სპეციალისტი) – ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებული კვლევის შესრულებაში. აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას. ადგენს პროექტის მიმდინარე და დასკვნით სამეცნიერო ანგარიშებს.

➤ **ვანო კაკაშვილი** (უფროსი სპეციალისტი) – მონაწილეობს სამსახურის პროექტებით გათვალისწინებულ სამეცნიერო კვლევაში. პასუხისმგებელია საკოლექციო ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე, გენოფონდის მოძიებაზე და კონსერვაციაზე.

➤ **ლაშა ციგრიაშვილი** (სპეციალისტი) – მონაწილეობს პროექტებით გათვალისწინებულ მეცნიერულ კვლევაში. პასუხისმგებელია საკოლექციო ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე და გამოვლენილი საუკეთესო ჯიშების დანერგვაზე.

➤ **მარკა ვახტანგაშვილი** (სპეციალისტი) – მონაწილეობს პროექტით გათვალისწინებულ მეცნიერულ კვლევაში. პასუხისმგებელია ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებაზე და კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავებაზე.

პროექტი: 1. ხეხილის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თავისებურებების კვლევა და სამრეწველო სორტიმენტის გაუმჯობესება.

პროექტის მიზნები: ინტროდუცირებული ჯიშების ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების შესწავლის საფუძველზე პერსპექტიული ჯიშების შერჩევა, ხეხილის იშვიათი და გაქრობის პირას მდგარი სახეობების და ჯიშების მოძიება და კონსერვაცია.

კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდება:

➤ საკოლექციო ბაღში ჯიშების პირველადი შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მეხილე ფერმერებს, გააკეთონ ზუსტი არჩევანი, სხვადასხვა ჯიშებს შორის, რადგან ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ბაღების გაშენება ახალი ჯიშებით, მხოლოდ უცხოურ ინფორმაციაზე, ან საზღვარგარეთელი სანერგების კონსულტანტების მოსაზრებებზე დაყრდნობით. რაც თავისთავად მნიშვნელოვნად ზრდის წარუმატებლობის ალბათობას.

➤ მიღებული შედეგები შიდა ქართლის მეხილეობის ზონისთვის არის გათვლილი. გარდა ამისა, მოცემული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა განზოგადოება გაკეთდეს ასევე ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გასაშენებლად გამიზნულ ჯიშებზეც.

➤ გასათვალისწინებელია, რომ სამომავლოდ პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (სამტრედია, ჩოხატაური, ხაშური, ადიგენი) აღნიშნულ ჯიშებზე დაკვირვებას.

პროექტი: 2. ხეხილის სხვა-ფორმირებების ინოვაციური ტექნოლოგიების სრულყოფა-შემუშავება.

პროექტის მიზანი - 2d ბრტყელი ტიპის ინოვაციური ბაღების სხვა-ფორმირების ტექნოლოგიის შემუშავება და ადაპტაცია საქართველოს პირობებისთვის.

კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდება:

➤ ექსპერიმენტული მასალის შეგროვება და გაცნობა ფერმერებისთვის სხვა-ფორმირების ახალი მეთოდების გამოყენების შესახებ.

➤ გამრავლდება და გავრცელდება ხეხილის ახალი პერსპექტიული და იშვიათი ჯიშების ვირუსებზე ტესტირებული სადედე ნერგები.

➤ შემუშავებული და ადაპტირებული იქნება ხეხილის სხვა-ფორმირების თანამედროვე მეთოდები (ხეხილის კედელი, მაღალი შპინდელი და სხვ.) და ნერგის გამრავლება.

➤ ბრტყელი ბაღის კონცეფციით გაშენებულია - ვაშლი და თხილი ფართობი: 0.20 ჰა - სოფ. ჯიდაურა.

➤ ფერმერებისა და აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვის შემუშავდება და გავრცელდება საცნობარო, სარეკომენდაციო და სამრეწველო ხასიათის სპეცილიზირებული ლიტერატურა.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ზვიად ბობოქაშვილი არის აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

10. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

➤ ფერმერულ მეურნეობაში (ს. ატენი) გამოვლენილია ატმის 3 პერსპექტიული საკონსერვო ფორმა, რომლებიც შესაძლოა გავრცელდეს ადგილობრივ წარმოებაში

➤ 80 ერთეული ატმის ჰიბრიდული თესლნერგი მომზადდა გასაშენებლად ს. წედისის ბაღში

➤ ვაშლის ჰიბრიდული ფორმების (ივერია × აიდარედი) შესწავლა გრძელდება მათი წარმოებაში დანერგვის მიზნით

➤ **საველე ღია დღეები ჯილაურას ხეილის საკოლექციო ბაღებში** - სტუდენტებისთვის, ფერმერებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის და საკონსულტაციო სამსახურების სპეციალისტებისთვის - სულ 6 დღე.

➤ **სისტემატიური განახლება ფერმერთა ვებ რესურსი** - აგროკავკასია - <https://agrokavkaz.ge/> მეხილეობის კვლევის სამსახურის სპეციალისტების მიერ მომზადებულ მეხილეობის სხვადასხვა საცნობარო მასალებს აქვს 20 000 ზე მეტი წლიური ნახვა.

1.3. ჩაისა და ციტრუსების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსები ვალერიან ცანავა და როლანდ კოპალიანი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი: პროფ. სანიკიძე ჯულიეტა, ასოც. პროფ. ყიფიანი ნინო, პროფ. კილაძე რამაზი, ასოც. პროფ. კაპანაძე შორენა, ასოც. პროფ. კელენჯერიძე ნინო.

1. გამოქვეყნებული შრომები

#	დასახელება	გამომცემლობა
1	N.Kipiani, Sh.Kapanadze. POLYEMBRYONY PHENOMENON IN BROAD-LEAVED MANDARIN UNSHIU AND GEORGIAN LEMON HYBRID OFFSPRING	INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL «IN THE WORLD OF SCIENCE AND EDUCATION» ALMATY, Almaty, 2025, pg. 91-93
2	R.Kopaliani, N.Kipiani, Sh. Kapanadze, J. Sanikidze. Some Aspects of Growth and Development of Hybrid Citrus Seedlings Obtained through Distant Hybridization	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე 2025 წ. pg. 136-141
3	რ.კილაძე, ე. ბენიძე ე. გუბელაძე, დ. სინაურიძე - ქუთაისის ახალგაზრდობის პარკი - არსებული მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივები	ჟურნალი "აგროNews", N12, 2025 წ.
4	რ.კილაძე, დ.კილაძე. ზოგადი რეკომენდაციები დაბა აბასთუმნის გამწვანების სრულყოფისათვის	ჟურნალი „ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“. ტომი XII, 2025 წ., გვ. 160-164.
5	შ.კაპანაძე. ჩინური აქტინიდიას (კივის) ფენოლოგიური ფაზების შესწავლა და ნაყოფის პირველადი შენახვის პარამეტრების დაზუსტება ბაღდათის მუნიციპალიტეტის პირობებში	ჟურნალი „აგროNEWS“ . 2025
6	რ. კოპალიანი, ნ. კელენჯერიძე, ა. ხეთერელი - ფიზალისის (Physalis peruviana) მოვლა-მოყვანის შედარებითი ანალიზი შიდა ქართლში (ვარიანი) და იმერეთში (ხარაგაული)	II საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის-„ბუნებისმეტყველება, ჯანმრთელობა და სპორტი“ მასალები
7	მ. თაბაგარი, ნ. კელენჯერიძე. მოცვის სხვადასხვა ჯიშების ზრდა-განვითარებისა თავისებურებები ბაღდათის რაიონის პირობებში.	II საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის-„ბუნებისმეტყველება, ჯანმრთელობა და სპორტი“ მასალები
8	რ. კოპალიანი, ა. ხეთერელი. შიდა ქართლის (ვარიანი) ნიადაგური პირობების შესწავლა ფიზალისის გაშენების მიზნით.	მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ახალი ინიციატივები“ მასალები. 2025 წ. გვ. 95-101.

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	კეთილშობილი დაფნის შერჩეული ფორმების გენერაციული თაობის შესწავლის შედეგები იმერეთის პირობებში	II საერთაშორისო კონფერენციის „ბუნებისმეტყველება, ჯანმრთელობა და სპორტი“ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	22-23 დეკემბერი, 2025 წ.	კოპალიანი როლანდი, კაპანაძე შორენა,
2	SELECTION OF HIGH-OIL MOTHER PLANTS OF NOBLE LAUREL (LAURUS NOBILIS L.) ACROSS GEORGIA	International Scientific Conference Theoretical Hypotheses and Empirical Results. 10th International Scientific Conference. Oslo, Norway	2025	Kapanadze Sh, Kopaliani L.
3	SELECTION OF HIGHLY PRODUCTIVE FORMS FROM THE LAURUS NOBILIS GENE POOL IN GEORGIA AND THEIR INTRODUCTION INTO PRODUCTION	VII International Scientific and Practical Conference DIVERSITY AND INCLUSION IN SCIENTIFIC AREA Warsaw, Poland	June 6-8, 2025	Kapanadze Sh, Kopaliani IIA

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

4.1 ნინო ყიფიანი, ჯულიეტა სანიკიძე. უნივერსიტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევით ცენტრში პროექტის: „სელექციური მეთოდების გამოყენებითა და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებული მართვით გაუჯობესებული სასოფლო სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე ციტრუსოვანთა ახალი ფორმების მიღება და გამორჩევა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის” 2025 წელს დათესილი იქნა შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებული ნაყოფებიდან გამოყოფილი და ჰიბრიდული თესლები, რომელთა ნაწილი აღმოცენდა. განხორციელებული იქნა ფენოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით გენეტიკური ანალიზი. თესლნერგებს შორის გამოვლენილი იქნა მორფოლოგიურად სრულიად ახალი ფორმებიც.

4.2 რამაზ კილაძე. ქ. ქუთაისში გაგრძელდა ისტორიული საბაღო-საპარკო ობიექტების მიმართულებით კვლევები და შესწავლილი იქნა მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი, მისი არსებული მდგომარეობა და დაგეგმილი პერსპექტივები. კვლევამ აჩვენა, რომ პარკში მოზარდი მცენარეებიდან 687 ძირი არის წიწვოვანი ხემცენარე, ხოლო 3 410 ძირი მარადმწვანე ხე, ბუჩქი და პალმა, რაც ჯამში 4 097 ძირი მცენარე შეადგენს, რაც აქ მოზარდი მცენარეების 80%-ს შეადგენს. ეს კი პარკში მარადმწვანეობის ეფექტს განაპირობებს. გაცემულ იქნა რეკომენდაცია ამომირკვეულ იქნას ტერიტორიაზე მოზარდი მცენარეების გარკვეული რაოდენობა, სულ 177 ძირი - ძირითადად დაკნინებული, თითქმის გამხმარი და თვითნათესარად ამოსული მცენარეები (მათ შორის 27 ძირი მზრწყინავი კვიდო, 17 ძირი მარადმწვანე კვიპაროზი, 14 ძირი შავი ვერხვი, 6 ძირი სხვადასხვაფოთლება პიტოსპორუმი, 3 ძირი აღმოსავლეთის ჭადარი, 2 ძირი ტყემალი, თითო ძირი ვაშლი, ბალი და სხვა).2025 წლის შემოდგომაზე დაიწყო პარკის რეკონსტრუქცია.

4.3 შორენა კაპანაძე, გიორგი გეწაძე, ლია კოპალიანი. დაწყებულია კვლევები პროექტის ფარგლებში: „წინასწარ შერჩეული დაფნის მაღალზეთიანი და ხშირფოთლიანი ფორმების გენერაციული და ვეგეტაციური გამრავლება, მიღებული თაობების დედა მცენარესთან იდენტურობის ხარისხის დადგენის მიზნით” 2025 წელს წელს თესლნერგების მოვლა

წარმოებდა იმ განსხვავებით, რომ აპრილსა და ივნისში შეტანილი იქნა აზოტიანი სასუქი მ.შ. პირველად – ნორმის 2/3 ნაწილი.

4.4 ნინო კელენჯერიძე. მუშავდება თემა –“ფიზალისის (*physalis peruviana*) მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლა შიდა ქართლის პირობებში”. სამუშაო გეგმის მიხედვით შესასრულებელი გვექონდა შემდეგი სამუშაო თემატიკა - ფიზალისის გავრცელების პერსპექტივები საქართველოში, სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა. მიმდინარე წელს მოხდა ფიზალისის სხვადასხვა სამრეწველო სახეობების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვებები როგორც შიდა ქართლის, ასევე ზემო იმერეთის განსხვავებულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მოწყობილ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე. ჩატარდა შედარებითი ანალიზი ფიზალისის კულტივირების შედეგების შესახებ. გამოყენებული იქნა ფიზალისის მოვლა-მოყვანის ზოგადი ტექნოლოგიები. მოსავლიანობის მაჩვენებლებმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები საცდელ ნაკვეთებს შორის. მიღებული შედეგები ხაზს უსვამს იმას, რომ ფიზალისის წარმატებული გაშენება საქართველოში მოითხოვს არა მხოლოდ ზოგადი აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებას, არამედ ნიადაგის დეტალურ აგროქიმიურ ანალიზს, ამ ანალიზზე დაფუძნებული კვების რეჟიმის შემუშავებას და მავნე ორგანიზმებისგან და სტრესისგან დაცვის სქემების შემუშავებას.

კვლევის შედეგებზე გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატია.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

5.1 ჯულიეტა სანიკიძე - ემერეტუსი პროფესორი ხელმძღვანელობს და კონსულტაციას უწევს ახალგაზრდა მეცნიერებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.

5.2 ნინო ყიფიანი ასოცირებული პროფესორი სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომიის“ ფარგლებში ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას შემდეგი სასწავლო კურსების მიხედვით: სასოფლო სამეურნეო მცენარეთა გენეტიკა, სასოფლო სამეურნეო მცენარეთა მორფოლოგია-სისტემატიკა, სასოფლო სამეურნეო მცენარეთა ფიზიოლოგია, ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია.

5.3 რამაზ კილაძე აგრარული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „ლანდშაფტური არქიტექტურა“ ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას და კითხულობს შემდეგ სასწავლო კურსებს: „ურბანული გარემოს საინჟინრო კეთილმოწყობა“, „ბალ-პარკების მშენებლობა და ექსპლუატაცია“, „გაზონთმცოდნეობა“ და „საქართველოს დაცული ტერიტორიები და ბალ-პარკები“.

5.4 გიორგი გეჭაძე - ემერეტუსი პროფესორი ხელმძღვანელობს და კონსულტაციას უწევს ახალგაზრდა მეცნიერებს, ფერმერებს და დაფნის წარმოებით დაინტერესებულ მეწარმეებს.

5.5 ასოც. პროფესორები შორენა კაპანაძე და ლია კოპალიანი - საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომიის“ ფარგლებში ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას შემდეგ სასწავლო კურსებში: „ტექნიკური კულტურები“, „მეჩაიეობა“, „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“, საწარმოო პრაქტიკა აგროტექნოლოგიაში და ა. შ. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტს კი წარმოადგენს აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სადაც სტუდენტები მიღებულ თეორიული ცოდნას ამყარებენ პრაქტიკული დავალებების შესრულებით.

5.6 ნინო კელენჯერიძე უნივერსიტეტის, აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო პროგრამის „აგრონომია“ ხელმძღვანელი. ახორციელებს 5 სასწავლო კურსს, ასევე პროფესიულ მოდულს „ნიადაგების იდენტიფიცირება“, აწესებს პროფესიული განათლების ცენტრის მოდულურ პროგრამაში - „ბალის დიზაინი“.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

6.1 პროფესორი რამაზ კილაძე

გასული წლის ანგარიშში მითითებული იყო, რომ დაბა აბასთუმანის გამწვანება-განაშენიანებისათვის სპეციალურად შემუშავებული იქნა მცენარეთა ასორტიმენტი შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით (ყინვაგამძლეობა, ფიტონციდურობა, იარუსიანობა,

ნაირფეროვნება და სხვ). შეიქმნა შესაბამისი პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა მცენარეთა ყველა ზემოთ დასახელებული თვისება. 2024-2025 წლებში მოხდა ორ ეტაპად შემოტანილ მცენარეთა დარგვები. პირველი ჩატარდა 2024 წლის გაზაფხულზე აპრილის თვეში. დაირგო 250-მდე ძირი დეკორატიული ხე და ბუჩქი, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნა ბ-ნ ზ. კიკნაძის მიერ.

მეორე ეტაპის დარგვები განხორციელდა ქობულეთის რაიონი სოფელ ხუცუბნიდან შემოტანილი სარგავი მასალით. დაირგო 380 ძირი ხე და ბუჩქი 2024 წლის შემოდგომაზე, კერძოდ, სექტემბრის ბოლოს ოქტომბერში.

დარჩენილი იყო კიდევ ერთი ეტაპის დარგვები, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2025 წლის გაზაფხულზე აპრილის თვეში, თუმცა სხვადასხვა ხელის შეშლელი მიზეზების გამო განხორციელდა ივნისის თვეში. რისთვისაც შერჩეული იქნა 15 დასახელების მცენარე. კერძოდ, წითელი ნეკერჩხალი - 15 ძირი, ყვითელი ნეკერჩხალი - 10 ძირი, ჭანჭყატი ოქროსფერი - 13 ძირი, ჭანჭყატი ბურთისებური (მწვანე) - 15 ძირი, ტუია ლითლჩემპიონი - 15 ძირი, წყავი მრგვალი - 20 ძირი, ბუჩ - 10 ძირი, ჭანჭყატი ოქროსფერი პატარა - 15 ძირი, იუნიპერისი - 30 ძირი, იუნიპერისი „უელსის პრინცი“ - 15 ძირი, გრაკლა თეთრყვავილა - 10 ძირი, გრაკლა მწვანე - ვარდისფერი - 10 ძირი, კოწახური 5 ძირი, აბელია 10 ძირი, ტუია სმარაგდის 120 ძირი.

სულ მესამე ეტაპზე დაირგო 313 ძირი ზემოთ დასახელებული ხე და ბუჩქი, რომლებიც კარგად შეეგუა ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და მოსახლეობის მოწონებაც დაიმსახურა.

6.2 ასოც. პროფესორი შორენა კაპანაძე

სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ახორციელებს პროფესიულ საქმიანობებს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტის თანამდებობაზე, აგრონომიული და ბოტანიკური საკითხების მიმართულებით.

6.3 ასოც. პროფესორი ნინო კელენჯერიძე (ექსპერტი)

ა) დასახელება: საექსტენციო პაკეტის მომზადება კივის წარმოების აგროტექნიკის შესახებ

დამფინანსებელი: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაწყება-დამთავრება: 2025წ.

შესრულებული სამუშაოს აღწერა: შემუშავებული და შედგენილი იქნა საექსტენციო პაკეტი - „კივის წარმოების აგროტექნიკა“

საექსტენციო პაკეტი შედგება 9 თავისგან და მოიცავს შემდეგ თემებს:

- წარმოების მეთოდოლოგია - საუკეთესო პრაქტიკა;
- კივის გავრცელებული და რეკომენდებული ჯიშები;
- ნიადაგის და ნაკვეთის შერჩევის წესები;
- ნიადაგის დამუშავება და ბალის გაშენება;
- მცენარის კვება;
- კივის ინტეგრირებული დაცვა;
- ზრდოლის ქიმიური მეთოდები;
- მოსავლის აღება, შენახვა;
- კივის სხვა მოვლითი სამუშაოები.

საექსტენციო პაკეტი შედგება 61 გვერდისგან, რომელიც მოიცავს 32 ფოტოს, 10 ცხრილს.

ბ) დასახელება: ექსტენციის სერვისების განვითარების მექანიზმების შეფასების, რეგიონული სერვისების განვითარების ხელშეწყობის, სტუდენტების და ფერმერების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერის მიზნით საკონსულტაციო მომსახურება

დამფინანსებელი: გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) დაფინანსებული პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობის VET სისტემის მოდერნიზაცია“

დაწყება-დამთავრება: 2025წ.

შესრულებული სამუშაოს აღწერა: შემუშავებულ იქნა საქართველოს ექსტენციის სპეციალისტის საკვალიფიკაციო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ექსტენციის სპეციალისტების პროფესიული განვითარების არსებული სისტემის გადახედვა და კარიერული განვითარების გზამკვლევი. განხორციელდა ექსტენციის სერვისების განახლებული პორტფელის პილოტირება აჭარასა და იმერეთის რეგიონებში და ტრენინგების ჩატარება ფერმერებისთვის და ექსტენციონისტებისთვის სასოფლო-სამეურნეო თემატიკაზე.

გ) დასახელება: „ოჯახური ფერმები მოკლე საკვების მიწოდების ჯაჭვებში: გამოცდილების გაზიარება ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან და პოლონეთიდან“

დამფინანსებელი: ERASMUS+Visegrad Fund. სამეცნიერო მიმართულება: სოფლის მეურნეობა.

დაწყება-დამთავრება: 2025წ.

შესრულებული სამუშაოს აღწერა: ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ ბრნოში, მენდელის ბრნოს უნივერსიტეტში ჩატარდა სამ დღიანი სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის ხელშეწყობა ოჯახური მეურნეობის სფეროში, კერძოდ:

V4 ქვეყნებში (ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი) ოჯახური მეურნეობის საერთო მახასიათებლების გადრმავება და მათი შედარება საქართველოსა და ბოსნია და ჰერცეგოვინაში არსებულ სიტუაციასთან;

ბიზნეს CANVAS მეთოდოლოგიის პრაქტიკული უნარებისა და ცოდნის შემენა; ჩეხეთის, სლოვაკეთისა და პოლონეთის წარმატებული შემთხვევების შესწავლა,

საქართველოს კონტექსტისთვის ტრანსფერული მოდელებისა და სტრატეგიების იდენტიფიცირება;

პარტნიორი ქვეყნების აკადემიურ და პრაქტიკულ ექსპერტებთან პირდაპირი თანამშრომლობისა და ქსელური ურთიერთობების ხელშეწყობა, მომავალი ერთობლივი ინიციატივების საფუძვლის ჩაყრა;

პროექტის ფარგლებში თემებზე ფოკუსირებული ერთობლივი აკადემიური პუბლიკაციების კონცეპტუალიზაციასა და შემუშავებაში წვლილის შეტანა, კვლევის შედეგების და გავრცელების გაძლიერება.

პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა კვლევითი დოკუმენტი - „მცირე ოჯახური ფერმების მდგომარეობა - სიტუაციური ანალიზი საქართველოში“.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

8.1 პროფ. რამაზ კილაძე

ქ. ქუთაისის მერიაში შეტანილია წინადადება, 1. ცენტრალურ მოედანზე ლ. მესხიშვილის თეატრის წინ გადაზრდილი ტუიას ბორდიურის შეცვლა; 2. ნიკეას ქუჩის ბოლოდან (ბოლო კლუმბა, წრე) ავტომაგისტრალამდე მოხდეს სატრანსპორტო გზის ორთავე მხარეს ჩატარდეს რამდენიმე წლის წინ ამოსული თვითნათესარი ვერხვების სხვლა-ფორმირება, რითაც შეიქმნება შესანიშნავი ხეივანი ყოველგვარი მწვანე ნარგავების დარგვის და განაშენიანების, ე. ი. თითქმის ყოველგვარი დანახარჯების (სხვლა-ფორმირებაში შეიძლება დაიხარჯოს დარგვისა და მოვლისათვის გადასახდელის 5-8%) გარეშე.

3. მოხდეს მოლაპარაკება ქ. წყალტუბოს მერთან, რომ განხორციელდეს წყალტუბოს ცენტრალური პარკიდან რამდენიმე ასეული თვითნათესარი ლიქვიდამბრის დაკონტინერება შემდგომში მათი ქ. ქუთაისის გამწვანებაში გამოყენების მიზნით.

4. მუშაობს ქ. ქუთაისის მერიაში გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების განყოფილებაში კონსულტანტად.

ქ. ქუთაისის მერიაში გაწეული სამსახურისათვის მიღებული აქვს: 1. ფულადი ჯილდო; 2. სიგელი „ქალაქის მწვანე მომავლის მცველი“; 3 მადლობის სიგელი „ქალაქისა და დახელმწიფოს წინაშე გაწეული სამსახურისათვის“.

8.2 ასოც. პროფესორი ნინო კელენჯერიძე

აწსუ-ს ასოცირებული პროფესორის ნინო კელენჯერიძის (ექსპერტი) და აწსუ-ს დოქტორანტის (ხელმძღვანელი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი), პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაცია) ხელმძღვანელის და ექსპერტის ანდრო ხეთერელის მიერ 2025 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა „ექსტენციის სერვისების განვითარების მექანიზმების შეფასების, რეგიონული სერვისების განვითარების ხელშეწყობის, სტუდენტების და ფერმერების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერის მიზნით საკონსულტაციო მომსახურება“.

პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვეიცარიის განვითარების სააგენტო (SDC) პროექტი - „საქართველოში სოფლის მეურნეობის სოფლის მეურნეობის VET სისტემის მოდერნიზაცია“ ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში შესრულდა 3 ამოცანა:

1. საქართველოს ექსტენციის სპეციალისტის საკვალიფიკაციო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ექსტენციის სპეციალისტების პროფესიული განვითარების არსებული სისტემის გადახედვა და კარიერული განვითარების გზამკვლევის შემუშავება;

2. ექსტენციის სერვისების განახლებული პორტფელის პილოტირება აჭარასა და იმერეთის რეგიონებში;

3. ტრენინგების ჩატარება ფერმერებისთვის ჰიბრიდულ რეჟიმში. 200-მდე ფერმერის გადამზადება თემებში: ინოვაციური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში, სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობის პრინციპები, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, ექსტენციის სერვისები, პროფესიული განათლება სოფლის მეურნეობაში.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

9.1 ასოც. პროფესორი ნინო ყიფიანი

ა/წ 30 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევით ცენტრს ინტეგრირებული შემეცნებითი გაკვეთილის ჩატარების მიზნით სტუმრობდნენ ქ. ქუთაისის სსიპ 24 საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები და მოსწავლეები (VII , VIII და IX კლასი). მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს უმასპინძლა: აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სელექცია-გენეტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა ასოცირებულმა პროფესორმა ნინო ყიფიანმა, აგრონომმა დალილა შენგელიამ და სპეციალისტმა ია ქანთარია. ასოც. პროფ. ნინო ყიფიანმა მოსწავლეებს გააცნო კვლევითი ცენტრის ძირითადი საქმიანობა, მიზნები, ამოცანები და ჩაუტარა საჯარო ლექცია თემაზე: „სასოფლო სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნება, ახალი ფორმებისა და ჯიშების შექმნის მეთოდები, მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში“.

9.2 პროფესორი რამაზ კილაძე

ა). გრძელდება კონსულტაციები დაბა აბასთუმანში განსახორციელებელი გამწვანების სამუშაოებთან დაკავშირებით. სადაც ზამთრის პერიოდში ტარდება წვერხმელი და იერსახედაკარგული ხეების ფორმირება, დარგვითი სამუშაოების შემდგომი აგროტექნიკური ღონისძიებები (საშემოდგომო სამუშაოები შემობარვები, სასუქების შეტანა, ჭიგოების გამაგრება, შეჭრილი ტოტების შეგროვება და გატანა);

ბ). ქ. ქუთაისში 2025 წელს დაიგეგმა ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომს გაუკეთდეს რეკონსტრუქცია ;

გ). კონსულტაციები ეძლევა ყველა მსურველს სუბტროპიკული კულტურების თუ დეკორატიული მიმართულებით, ასევე გამწვანება-განაშენიანების, ბადის დიზაინის,

აგრონომიის, ეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის და გამწვანებელი ბაღების აგროტექნიკის საკითხებზე;

დ). დაბა აბასთუმანში შეიქმნა 5 კაციანი ჯგუფი, რომელთაც დაეკისრათ ახლადდარგული მცენარეული საფარის მოვლა-პატრონობა. ისინი უზრუნველყოფილი არიან საჭირო ინვენტარით (ბარი, თოხი, ფოცხი, ცოცხი და სხვა) და ტექნიკით (სარწყავი და სათიბი აპარატები);

ე). შექმნილი ჯგუფებიდან 2 ახალგაზრდა (გიორგი ელისაბედაშვილი და დავით კუპრაძე) ჩარიცხული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ბალის დიზაინი“ პროფესიულ სწავლებაზე.

9.3 ასოც. პროფესორი შორენა კაპანაძე, ემერიტუს პროფესორი გიორგი გეწაძე ასოც. პროფ. ლია კოპალიანი

პერიოდულად ეწევიან საკონსულტაციო საქმიანობებს დაფნისა და სხვა ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანით დაკავებულ ფერმერებთან. საქართველოში გავრცელებული დაფნის პოპულაციებიდან გამორჩეული იქნა საკმაოდ დიდი რაოდენობა მაღალზეთიანი ფორმებისა, რამელთაგანაც ყველაზე პერსპექტიული მცენარეების ნერგები გადაეცა საქართველოში დაფნის კულტურის წარმოებით დაკავებულ საწარმოებს, სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად.

9.4 ასოც პროფესორი ნინო კელენჯერიძე

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების სერია თემაზე „კივის წარმოების აგროტექნიკა“ ორ რეგიონში - იმერეთი და გურია.

1. იმერეთის რეგიონში ტრენინგები ჩატარდა 27 და 28 მარტს, ქალაქ სამტრედიისში.

ტრენინგის მსმენელები იყვნენ სამტრედიის, ხონის, ვანის, აბაშის მუნიციპალიტეტის ფერმერები, ასევე საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები. მსმენელთა უმეტესობას აქვს კივის როგორც სამრეწველო პლანტაცია, ასევე ერთეული ნარგაობები. მათ მიეწოდათ ინფორმაცია კივის გასხვლის წესების, ნიადაგში მისი ფესვთა სისტემის გავრცელების, კივის კულტურისთვის მისაღები ნიადაგის მჟავიანობის, დამტვერვა-განაყოფიერების და სხვადასხვა მეთოდით გამრავლების შემთხვევაში ჯიშური თვისებების შენარჩუნების პროცენტული რაოდენობის და სხვა საკითხების შესახებ.

გურიაში ტრენინგი ჩატარდა 3 აპრილს, ოზურგეთში. ტრენინგს დაესწრო 15 მსმენელი.

მსმენელთა მხრიდან გამოითქვა ვაზის და ჩაის წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ტრენინგის ჩატარების სურვილი.

2. ჩატარდა ტრენინგები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული პროექტის - „ექსტენციის სერვისების განვითარების მექანიზმების შეფასების, რეგიონული სერვისების განვითარების ხელშეწყობის, სტუდენტების და ფერმერების შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერის მიზნით საკონსულტაციო მომსახურება“ ფარგლებში.

ტრენინგი 1. იმერეთის და აჭარის ექსტენციის სპეციალისტებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და ნარჩენების მართვა“. დატრენინგდა 35 სპეციალისტი.

ტრენინგი 2. ფერმერებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე - ინოვაციური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში, სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობის პრინციპები.

ტრენინგი 3. ფერმერებისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე: „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, ექსტენციის სერვისები, პროფესიული განათლება სოფლის მეურნეობაში“. სულ ჯამში დატრენინგდა 200 ფერმერი.

1.4. მინდვრის კულტურების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი ცოტნე სამადაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 12 წევრი (ც.სამადაშვილი, თ.კაჭარავა, თ.დარსაველიძე, კ.ლაშხი, გ.ჩხუტიაშვილი, ა.ტყეშელაშვილი, მ.სარალიძე, ქ.მჭედლიშვილი, ე.მათიაშვილი-სიჭინავა, თ.ეპიტაშვილი, ი.ირემაშვილი, ნ.ჯაფიაშვილი) რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტის, სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინსტიტუტების, ფერმერების მეურნეობების საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

1. ც. სამადაშვილი - აგრარული განათლება და მისი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. #1, 2025, გვ. 4-8
2. ც. სამადაშვილი, ლ. ქირიკაშვილი, ფ. ბეგოიძე - ჰიბრიდული სიმინდის მაღალი მოსავლის მისაღებად თანამედროვე ტექნოლოგია. აგრარული საქართველო, #2., 2025, გვ. 8-10 გვ.
3. ც. სამადაშვილი, ლ. უჯმაჯურიძე, გ. ჩხუტიაშვილი, ნ. ბენდიანიშვილი. ბიოხორბლის წარმოება და მისი უპირატესობები. აგრარული საქართველო, #3, 2025, გვ. 16-17
4. ც. სამადაშვილი, ლ. ქირიკაშვილი, ფ. ბეგოიძე და სხვ. - სიმინდის ჩრდილოეთის ჰელმინთოსპორიოზის მიმართ გამძლე ქართული ჰიბრიდი „ყაზბეგი“. აგრარული საქართველო, #3, 2025, გვ.10-11
5. Ts. SamadaShvili. Environmental Problems in Agriculture and the Ways of Their Solving . АКТУАЛЬНІ ПИТАННЯ БІОТЕХНОЛОГІЇ, ЕКОЛОГІЇ ТА ПРИРОДОКОРИСТУВАННЯ МАТЕРІАЛИ МІЖНАРОДНОЇ НАУКОВОЇ КОНФЕРЕНЦІЇ, xarkov, გვ. 167-169
6. ც. სამადაშვილი. ქართული ტრადიცია და ორგანული სასუქების დამზადების ინოვაციური მეთოდები. აგრარული საქართველო, #6, 2025, გვ. 5-7
7. ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი. ქართული ხორბლის სელექცია საქართველოში. ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია “ ქართული ხორბლის ახალი რეალობა“, თეზისების კრებული. გვ. 27-30
8. ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, - ხორბლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე(ინტენსიური) ტექნოლოგია. პრაქტიკული რეკომენდაცია. გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF). 24 გვ.
9. ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, მ. ჩოხელი, ნ. ბენდიანიშვილი - ხორბლის ხარისხიანი თესლის მიღება, ჯიშთგანახლება და სერტიფიცირება ფერმერულ წარმოებაში. პრაქტიკული რეკომენდაცია. გლობალური გარემოს დაცვის ფონდი(GEF). 24 გვ.
10. ც. სამადაშვილი და სხვ. - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების სამსახურის სელექცია-მეთესლეობის მიღწევები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. #2, 2025, გვ. 18-23
11. Z. Kikvidze, M. Mosulishvili, G. Chkhutiashvili, N. Toriashvili, I. Maisaia, N. Paniagua Zambrana, R. W. Bussmann, A. G. Power, A. McAlvay - From field to the edge of memory: the ethnobotany and conservation of indigenous wheats in Georgia, the Caucasus. Ethnobotany Research and Applications 32:51 (2025)

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	Prospects for Using of Mixed Crops in Order to Increase Yield.	IX науково-практичної конференції, Kharkov,	2025	Ts.Samadashvili, G. Chkhutiashvili
2	საქართველო ჰექსაპლოიდური ხორბლის T. macha, T. spelta, T.aestivum/compactum) უბველესი კერა	ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის ახალი რეალობა“, თბილისი	31.07 2025	მ. მოსულიშვილი, ნ. რუსიშვილი, მ. ბოკერია, ი. მასიაია, გ. ჩხუტიაშვილი, ნ. ტორიაშვილი, ზ. კიკვიძე

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ჯგუფის წევრები მუშაობენ ხორბლის, სიმინდის, ქერის და შვრიის კულტურაზე. მიმართულებებია, სელექცია, გენეტიკა და მეთესლეობა.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

1. „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და insitu/on farm და ex situ კავშირის გაძლიერება“ - პროექტი დაფინანსებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) მიერ.
2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;ს მიერ დაფინანსებული ქობულეთის მცენარეთა ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის პროექტი (შიფრი FR-23-5165) "ხორბლის ღეროს ჟანგას, ფოთლის ჟანგასა და ყვითელი ჟანგას პოპულაციის ვირულენტობის ფენოტიპური და გენეტიკური მრავალფეროვნება საქართველოში" – 2024-2026 წ.წ. დამხმარე პერსონალი - გ. ჩხუტიაშვილი;
3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;ს მიერ დაფინანსებული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროექტი (შიფრი FR-23-8060) „რბილი ხორბლის გაუმჯობესება ქართული *Aegilops tauschii*-ს გენომის ინტროგრესიის მეშვეობით“ – 2024-2026 წ.წ. დამხმარე პერსონალი - გ. ჩხუტიაშვილი;
4. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;ს მიერ დაფინანსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტი (შიფრი FR-24-18462) „საქართველოს ენდემური ხორბლების, მათი მოყვანის, მათ შორის შერეული თესლით თესვისა და გამოყენების ეთნობოტანიკური კვლევა“ – 2025-2027 წ.წ. დამხმარე პერსონალი - გ. ჩხუტიაშვილი.
5. თინათინ ეპიტაშვილი - აგრარული ეროვნული კვლევითი სისტემის ფარგლებში (NARS) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინდიკატორების (ASTI) 2023 კვლევაში მონაწილეობა (საპილოტე პროექტი). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექნიფორმი“-ს და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობის ფარგლებში, ხორციელდება კვლევა სოფლის მეურნეობაში ადამიანური რესურსების და ინვესტიციების

შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინდიკატორების (Agricultural Science and Technology Indicators ASTI) სოფლის მეურნეობის კვლევის ეროვნულ სისტემაში (National Agricultural Research System -NARS) დასაწერად. პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინდიკატორების (ASTI) შემუშავების მიზნით განხორციელდა საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების მიერ კითხვარების შევსება და მათი შემდგომი სტატისტიკური დამუშავება.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

თინათინ ეპიტაშვილი - საანგარიშო პერიოდში, როგორც მინდვრის კულტურების მიმართულების კოორდინატორის ჯგუფის წევრის, ჩემს მიერ გაკეთდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024 წლის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ანგარიშის რეცენზირება.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი მონაწილეობს მარცვლოვანი კულტურების სამთავრობო ღონისძიების შემუშავებაში

9.საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები
ფერმერთა კონსულტაციებით დაკავებულია ჯგუფის ყველა წევრი.

10.სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება
გასულ წელს მომზადდა სამი პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისათვის.

1.5. ბოსტნეული კულტურების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები პროფესორები ვალერი სუხიშვილი და ნატო კაკაბაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 (ექვსი) წევრი:ნატო კაკაბაძე (კოორდინატორი) - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ვალერი სუხიშვილი (კოორდინატორი)-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; პაშა ვაჩეიშვილი-სოფლის მეურნეობის დოქტორი; დავით ჩაჩანიძე-ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; გოდერძი გოდერძიშვილი-სოფლის მეურნეობის დოქტორი; ნანა ალავერდაშვილი-სოფლის მეურნეობის დოქტორი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, კოლეჯების, სკოლების საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	ნ.კაკაბაძე, ო.ხარაიშვილი, ნ.სუხიშვილი და სხვ.-კიტრის კულტურის მდგრადობა მავნებელ-დაავადებათა მიმართ და მოსავლიანობის გაზრდა მცნობის და რწყვის მეთოდის გამოყენებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომათა კრებული. აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებები. ნომერი N2. თბილისი. 2025 წელი
2	ნატო კაკაბაძე -ბოსტნეულ კულტურათა თესლის დასათესად მომზადება და ჩითილის წარმოება.	ქურნალი,„აგრარული საქართველო“. აპრილი. 2025 წელი.

3	ნატო კაკაბაძე, ოლღა ხარაიშვილი, ბარბარე ბოლქვაძე-კიტრის კულტურის მოსავლიანობის ზრდა მცნობის და მორწყვის მეთოდის გამოყენებით.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2025 წლის 18 ივნისი. გვ.რ-ბა: 5.
4	ნატო კაკაბაძე-კურკუმას ეფექტი, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია.	კვირის პალიტრა, დედულ-მამული. საგაზეთო სტატია. N39 (610) 29 სექტემბერი_5 ოქტომბერი, 2025 წელი.

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	მეცნიერების როლი აგრარული დარგის განვითარებაში	„ჰორიზონტ ევროპა“- ტექნიკური უნივერსიტეტი, Tbilisi.	2025წ.16 ივნისი.	ნ.კაკაბაძე - მონაწილე
2	კიტრის კულტურის მოსავლიანობის ზრდა მცნობის და მორწყვის მეთოდის გამოყენებით	სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, Tbilisi	2025 წ. 18 ივნისი.	ნ.კაკაბაძე- მომხსენებელი, ო.ხარაიშვილი, ბ.ბოლქვაძე- მონაწილე.

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ნ.კაკაბაძე მონაწილეობს ხილ-ბოსტნეულის, კარტოფილის, პარკოსანი და ბალჩეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების კვლევაში, ჯიშთა გამოცდაში, ახდენს სელექციურ მიღწევათა პოპულარიზაციას. აგრძელებს მუშაობას ფერმერებისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ტექნოლოგიური რეკომენდაციების ციკლის მომზადებაზე.

2025 წელს ნ.კაკაბაძის მიერ გამოიცა 2 სახელმძღვანელო და 1 მეთოდური მითითება.

ვ. სუხიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს რეგიონში ბოსტნეულის, ბალჩეულის, მწვანილეულის და მეკარტოფილეობის მიმართულებით განვითარებაში, ფერმერებს აწვდის ინფორმაციებს საბოსტნე მეურნეობების მოწყობის ტექნოლოგიაზე. აგრეთვე ხელს უწყობს ახალი წიგნებისა და ბროშურების გამოცემის საქმეს მებოსტნეობის მიმართულებით.

პ. ვაჩიშვილი მუშაობს საპარკე და სამარცვლე პარკოსან კულტურებზე, მათ სელექციაზე და პირველად მეთესლეობაზე, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებზე. ამ მიმართულებით გამოაქვეყნა ერთი სამეცნიერო სტატია.

დ. ჩაჩანიძე ატარებს ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდას სხვადასვა ბოსტნეულ კულტურებზე და პესტიციდების გამოყენებლად ზრდის ეკოლოგიურად უსაფრთხო ბოსტნეულის პროდუქციის წარმოებას ბიოსასუქების: ორგანიკა, ფიტოკატანა, ბიოკატანა და სხვ. გამოყენებით, ატარებს ტრენინგებს ბიომიმართულებით ფერმერთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად.

ნ. ალავერდაშვილი მუშაობს ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდგომ დამუშავებაზე შიდა ქართლის რეგიონში.

გ. გოდერძიშვილი – ჩართული იყო ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებში და კონსულტაციას უწევდა, როგორც ჯგუფის წევრებს, ისე მებოსტნე ფერმერებს, როგორც ბიოლოგიური მეთოდებით, ისე ქიმიური პრეპარატების გამოყენებით ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღებაში.

5.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ნატო კაკაბაძე-ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, წარმატებით ატარებს ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს ხუთ საგანში. არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სადისერტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობას უწყევს მაგისტრანტებს.

2.ვალერი სუხიშვილი - ატარებს ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს მეზოსტენოზა-მეხიოლეოზაში არის კოლეჯ „ამაგი“-ს ფინანსური მენეჯერი.

3.პაშა ვაჩიშვილი-სმმ დოქტორი. ატარებს ფერმერებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგებს პარკოსან კულტურებზე.

4. დ. ჩაჩანიძე ატარებს ტრენინგებს ბიომიმართულებით ფერმერთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად.

6.მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ნატო კაკაბაძე - არის მეზოსტენოზა საერთაშორისო საზოგადოების (AVRDC) წევრი და . ნაციონალური კოორდინატორი მეზოსტენოზაში და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი საქართველოში.

7.სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

ნატო კაკაბაძე - 2025 წელს რეცენზირებული იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში და გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

9.საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

ნატო კაკაბაძე - ჟურნალ „აგრარული საქართველო“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი; - რეცენზირებული, ელექტრონული სამეცნიერო საწარმოო ჟურნალი „აგროეკოინფო“-ს რედკოლეგიის წევრი, მ.გ. ლომონოსოვის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1.6.მცენარეთა დაცვის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი დოქტორი შაქრო ყანჩაველი)

ჯგუფის წევრები მუშაობდნენ 2025 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 10-საკითხს, ათივე საკითხი სრულყოფილად იქნა შესწავლილი და შესრულებული.ჩატარებული იქნა ფერმერებისათვის ტრენინგი, როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ასევე ადგილებზე მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის თანამედროვე საკითხებზე. მოძიებული იქნა ინფორმაცია ქვეყანაში შემოტანილი ახალი პესტიციდების შესახებ, რომელიც გავაცანით ფერმერებს ადგილზე, გათვალისწინებული იქნა ის შენიშვნები, რომლებიც გამოთქმული იყო ფერმერების მიერ.

ინტეგრირებული მიდგომისას, დიდად იზრდება მოთხოვნილება პესტიციდებისადმი, ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პარამეტრებს. უნდა ჰქონდეთ მოქმედების ფართო სპექტრი, ხარჯვის დაბალი ნორმებით, იძლეოდეს მაღალ ეფექტურობას და წამლობათა ჯერადობის შემცირების საშუალებას. წარმოებაში გამოსაყენებლად რეკომენდაცია მიეცათ იმ პესტიციდებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს და გარდა ამისა ისინი ხელს შეუწყობენ ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღებას. საერთოდ ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება კი თავისუფლად შესაძლებელია მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის მეთოდის გამოყენებით.

ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით პესტიციდების სახელმწიფო კატალოგიდან, 2015 წლიდან ამოღებული იქნა, რამოდენიმე ათეული პესტიციდი. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ცვლილებების შეტანა მცენარეთა დაცვის სისტემებში.

კვლევით ცენტრთან ერთად დაზუსტებულია და შემუშავებულია სას.სამ. კულტურების, კერძოდ ვაზის, ხეხილის, ციტრუსების, სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის, პამიდორის, ბადრიჯნის, კომბოსტოს, ხახვის, ზეთისხილის და გოგროვნების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ეფექტური ინტეგრირებული სისტემები, რომლებიც დაფუძნებულია თვითმარეგულირებელი მექანიზმების მაქსიმალურ გამოყენებაზე, რაც გულისხმობს მავნე მწერების ბუნებრივი მტრების მაქსიმალურ გამოყენებას და მათ საფუძველზე, აქტიურ, მტაცებლური, პარაზიტულ თუ ინფექციურ საწყისზე, ახალი ბიოპრეპარატებისა და პრეპერატული ფორმების შექმნას და გამოყენებას. აღნიშნულ სისტემებში გაზრდილია მცენარეთა ბიოლოგიური მეთოდის ხვედრითი წილი, რისთვისაც აუცილებელია აგროცენოზში ფიტოსანიტარული მდგომარეობის შეფასება, მავნეობის ეკონომიკური ზღვრების განსაზღვრა და მათ საფუძველზე ბრძოლის ღონისძიებათა გატარება. აღნიშნულ სიტემებში უპირატესობა ეძლევა მავნე ორგანიზმების ბიოლოგიური რეგულირების ეფექტურობის დადგენას და არა ქიმიურ საშუალებებს.

მცენარეთა ინტეგრირებულ დაცვაში, ამჟამად საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ მეთოდს.

შესწავლილია მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემაში გამოყენებული ბიოლოგიური საშუალებები, კერძოდ ბიოაგენტები და ბიოპრეპარატები, შესწავლილია ამ უკანასკნელთა მოქმედების სპექტრი, ხანგრძლივობა, ეკონომიკური ეფექტურობა და სხვა.

დადგენილია, რომ მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები შესაძლებელია გამოყენებული იქნას მცენარეთა ყველაწარმო მავნეობისა და დაავადებების მიმართ, იმდენად, რამდენადაც ისინი პოტენციურად არსებობენ ბუნებაში, აქედან გამომდინარე ბიოპრეპარატების წარმოება ხდება ისევე მწერის დაავადებების გამომწვევი ორგანიზმების საფუძველზე.

ინტეგრირებულ დაცვაში გამოყენებული ბიოპრეპარატების ბიოლოგიური ეფექტურობა აღწევს 70%-ს და ზოგჯერ მეტსაც.

მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული ღონისძიებების შემუშავებისას გაირკვა, რომ თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილია დამუშავდეს ღონისძიებათა ახალი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკოსისტემების თვითმარეგულირებელი მექანიზმები მაქსიმალურ გამოყენებაზე.

ასევე გაირკვა, რომ ინტეგრირებულ დაცვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგროტექნიკურ მეთოდს და სან-ჰიგიენურ მეთოდს. როგორც ცდებმა გვიჩვენა აგროტექნიკური ფონი განაპირობებს, მცენარეთა გამძლეობის გაზრდას - ბიოტური და აბიოტურ ფაქტორების მიმართ. ის იწვევს აგრეთვე მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლებას.

გამოვლენილია მავნე ორგანიზმებისადმი შედარებით გამძლე ჯიშები, შესწავლილია გამძლეობის ანატომიური, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური მაჩვენებლები.

შესწავლილია ზოგიერთი მავნე ორგანიზმების მავნეობის ეკონომიკური ზღვრები, რომლის გამოყენებითაც შეიძლება პესტიციდების ბხარჯვის ნორმა შემცირდეს 30-40%-ით.

საკვები პროდუქტების პესტიციდებით დანაგვიანების თავიდან ასაცილებლად შემოღებულია ყველა იმ საშუალების ზუსტი აღრიცხვა, რომლებიც პესტიციდებითა მიკრობიოლოგიური პრეპარატებით ტარდება, სას.სამ. კულტურების ნათესებსა და ნარგავებში.

შემუშავებულია ახალი პესტიციდების კონტროლის მეთოდები, რომელთა საშუალებით შეიძლება სას.სამ. პროდუქტებში პესტიციდების ნაშთის განსაზღვრა და მის საფუძველზე ჰიგიენური ნორმატივების შემუშავება.

შემუშავებულია და დაზუსტებულია მცენარეული პესტიციდების დამზადების ხერხები.

დამუშავებულია თეორიული საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ მცენარეთა დაცვის მცენიერულ ღონეს.

შესწავლილია მცენარეთა მავნე ორგანიზმების მიმართ იმუნიტეტის ზოგიერთი საკითხები, კერძოდ კომპლექსური იმუნიტეტი.

შ.პ.ს. „ბიოაგრო“-ს თანამშრომლებთან ერთად გამოვლენილია სოკოვანი და ბაქტერიული შტამები, რომლებზედაც შესაძლებელია დამზადდეს ბიოლოგიური პრეპარატები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით, მცენარეთა დაცვის დარგობრივი ჯგუფის წევრები ჩართული არიან სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც ატარებენ მცენარეთა ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლას საქართველოში.

გამოცდილია საქართველოში წარმოებული ახალი ბიოენერგოაქტივატორები, მათ შორის საუკეთესოებს მიეცათ რეკომენდაცია წარმოებაში გამოყენებისათვის, რომლითაც შესაძლებელია, როგორც მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა, ასევე მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებულია მცენარეთა დაცვის ზოგიერთი ღონისძიებათა სისტემა დახურული გრუნტისათვის.

მცენარეთა ბაქტერიული დაავადებების მიმართ გამოცდილია ანტიბიოტიკები, ანტაგონისტები, ფიტონციდები და ბაქტერიოფაგები.

ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებულია საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები.

მცენარეთა დაცვის დარგობრივი ჯგუფის წევრები ეწეოდნენ საპროფესორო და პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ისინი ასევე ხელს უწყობდნენ მცენარეთა დაცვაში მეცნიერული მიღწევების დანერგვას და გავრცელებას ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში.

მცენარეთა დაცვის ჯგუფის წევრების (შ.ყანჩაველი, ზ.ხიდუშელი, კ.კიკორია) მიერ მომზადებულია წიგნი „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა“, რომელიც ჩამოყალიბებულია სტამბაში და მოკლი ხანში მოხდება მისი გამოცემა.

ჯგუფის წევრების რედაქტორობით გამოცემულია 3-წიგნი, რეცენზირება ჩაუტარდა 2-წიგნს. ოპონირება ჩაუტარდა 3-სადისერტაციო ნაშრომს, 2-სამაგისტრო თემას, ხოლო რეცენზირება ჩაუტარდა 5-სამეცნიერო სტატიას.

მცენარეთა დაცვის დარგობრივი ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 3-საერთაშორისო და 4-რესპუბლიკურ კონფერენციებში, მათ მიერ გამოქვეყნებულია 21-სამეცნიერო შრომა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცემებში. გაცემულია პასუხები აკადემიაში შემოსულ ფერმერების შეკითხვებზე.

მცენარეთა დაცვის დარგობრივი ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ქ.თბილისისა და მისი შემოგარენის მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარულ გამოკვლევაში. გამოვლენილია, როგორც ფოთლოვნების ასევე წიწვოვნების ძირითადი მავნე ორგანიზმები და შემუშავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები, რომელშიც დიდი ადგილი დათმობილი აქვს მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ მეთოდს.

სისტემატურად იმართებოდა მცენარეთა დაცვის მიმართულების დარგობრივი ჯგუფის წევრთა სხდომები, რომლებზედაც მოსმენილი და განხილული იქნა სხვადასხვა საკითხები, კერძოდ მოსმენილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტების მოხსენებები ახალი პესტიციდების რეგისტრაციის და გამოცდების შესახებ. სხდომებზე მოსმენილი იქნა აგრეთვე სამეცნიერო გრანტების და ჯგუფის თვითთული წევრის ანგარიშები.

გადაცემულია რამოდენიმე რეკომენდაცია წარმოებაში გამოსაყენებლად და დასანერგად.

1.7. მიწათმოქმედების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები დოქტორები ნიკოლოზ კიკნაველიძე და გიორგი ბოლღაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	Integrated Plant Protection in Organic Agriculture მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა ორგანულ სოფლის მეურნეობაში	https://ojs.publisher.agency/index.php Poland, International scientific conferences Publication of scientific reports and articles in conference proceedings

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენება:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	Integrated Plant Protection in Organic Agriculture	Agricultural Sciences	30-31.01.2025	Tatia Khositashvili

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი ნიკოლოზ კიკნაველიძე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას. აორგანიზებს, ფერმერებთან კორდინაციულ შეხვედრებს, სემინარებსა და ტრენინგებს. აცნობს მოსახლეობას სოფლის განვითარების სააგენტოს მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციას.

სოფლის მეურნეობის დოქტორი რუსუდან ძიძიშვილი, მუშაობს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, თვითმართველობებთან ურთიერთობის სამხარეო ხელმძღვანელად. აორგანიზებს შეხვედრებს, დუშეთის, თიანეთის მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, მერებთან და საკრებულოს თავჯდომარეებთან. აცნობს თვითმართველობებს მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციას.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ბოლღაშვილი და ნიკოლოზ კიკნაველიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივანე ზედგენიძესთან შეთანხმებით, ეწევა კონსულტაციებს თავიანთ მუნიციპალიტეტში ფერმერებთან, სანაწევრალ კულტურების მოსავლიანობის გაზრდის კუთხით.

1.8. სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის მიმართულების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები ზაურ ჩანქსელიანი და მაია მელაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 7 წევრი:

1. ზაურ ჩანქსელიანი (კოორდინატორი) - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
2. მაია მელაძე (კოორდინატორი) - სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი;
3. გიორგი მელაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
4. მარიკა ტატიშვილი - ფიზ.-მათ. დოქტორი;
5. გიორგი წინჭვალაძე - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;

6. მიხეილ ფიფია - გეოგრაფიის დოქტორი;

7. ნაილი კაპანაძე - ფიზ.მათ. დოქტორი

ისინი ჩართულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	ავტორი/ავტორები, დასახელება	გამომცემლობა, ტომი/ნომერი, გვერდების რაოდენობა
1	მელაძე მ. ვაზის კულტურის ფენოლოგიური თავისებურებანი საქართველოში	კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, თსუ, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი, #12, გვ. 78-82, ISSN 1512-3022
2	Meladze M., Meladze G., Pipia M. Agroclimatic Challenges in the Mountainous and High-Mountain Areas of Georgia under Climate Change (on the example of Mtskheta-Mtianeti and Samegrelo-Zemo Svaneti).	Journal of the Georgian Geophysical Society, , v.28(1), pp. 75-86, e-ISSN:266-9973, p-ISSN:1512-1127 https://ggs.openjournals.ge/index.php/GGS
3	მელაძე მ., მელაძე გ., კობახიძე თ. კარტოფილის კულტურის გავრცელება იმერეთის რეგიონის აგროკლიმატურ პირობებში და მოსავლის პროგნოზი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰმი-ის შრომები, ტ.136, გვ. 46-53, ISSN 1512-0902 DOI: 10.36073/1512-0902-2025-136-46-53
4	Pipia M., Meladze M., Davitashvili M., N.Beglarashvili, Jamrishvili N., Pipia G. Statistical analysis of atmospheric precipitation in Racha-Lechumi and kvemo Svaneti region of Georgia in 1936-2023	Special issue, vol. 9(87) of the 7 th Evrasian conference Risk-2025, Baku, Azerbaijan, pp. 92-101. ISSN 1932-2321 DOI: https://doi.org/10.24412/1932-2321-2025-987-92-101
5	კაპანაძე ნ., ტატიშვილი მ., მელაძე მ., მკურნალიძე ი. გვალვის ტენდენციები აღმოსავლეთ საქართველოში გლობალური დათბობის ფონზე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰმი-ის შრომები, ტ.136, გვ.72-75 DOI.org/10.36073/1512-0902
6	მელაძე მ., მელაძე გ. ვაზის წყინვების პერიოდები	კახეთის რეგიონის გეოგრაფიული ატლასი. თსუ, ვ.ზაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, გვ. 66-67, ISBN 978-9941-36-316-0
7	Meladze M., Meladze G., Pipia M., Kapanadze N. Scenario of changes of the vegetation period and active temperatures in eastern Georgia under global warming	Proceedings book of 1st International Scientific Conference „Modern problems in Geophysics”, pp. 163-167, ISBN 978-9941-36-434-1, ISSN 3088-4349
8	Meladze M. Agroclimatic assessment of prospective regions for the distribution of Actinidia arguta in Georgia under climate change conditions	Proceedings book of International conference - „Biotechnological tools for a resilient horticulture by promoting non-traditional species, with Actinidia arguta as an example, in the context of climate change", pp. 105-113
9	ხარაიშვილი ო., ახალაძე თ., კუპრეიშვილი შ., ბზიავა კ., ი.ინაშვილი, მელაძე მ., როყვა ქ., გაბაშვილი ნ., მებონია ნ., ლომიშვილი მ., მაჭარაშვილი მ., ლორთქიფანიძე ფ., ბაიდაური ლ., ბერიაშვილი ქ., სიჭინავა პ. დეგრადირებულ ნიადაგებზე წყლის რესურსების გონივრული მართვა და გამოყენება (სახელმძღვანელო)	გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 2025, გვ. 647, ISBN 978-9941-521-27-0
10	L.Eprikashvili, G.Tsintskaladze, T.Kordzakhia, M.Zautashvili, N.Pirtskhalava, M.Dzagania, T.Sharashenidze Zeolite-coal nanocomposite and soil structure	Advanced Topics in Polymer Chemistry and Materials Science, Part 4, Chapter 13, Apple Academic Press, Inc. Co-published with CRC Press (Taylor & Francis), 2025, p.155-167. ISBN: 9781003594871

11	G.P.Tsintskaladze, T.N.Kordzakhia, T.V.Sharashenidze, M.G.Zautashvili, M.A.Dzagania, N.V.Pirtskhalava Influence of natural zeolite minerals on chemical processes occurring in building-restoration lime mortars	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2025, v.19, #4, p.54-59
----	--	--

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი/ მომხსენებლები
1	კარტოფილის კულტურის გავრცელება იმერეთის რეგიონის აგროკლიმატურ პირობებში	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 72-ე სამეცნიერო სესია	30 მაისი, 2025	მელაძე მ., მელაძე გ., კობახიძე თ.
2	კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და მთის მდგრადი განვითარება	საერთაშორისო ფორუმი „მთის მდგრადი განვითარების სწავლება“	30 ივნისი -1 ივლისი, 2025	მელაძე მ.
3	Scenario of changes of the vegetation period and active temperatures in eastern Georgia under global warming	International Scientific Conference „Modern problems in Geophysics“	November 6-8, 2025	Meladze M., Meladze G., Pipia M., Kapanadze N.
4	Agroclimatic assessment of prospective regions for the distribution of Actinidia arguta in Georgia under climate change conditions	International conference „Biotechnological tools for a resilient horticulture by promoting non-traditional species“ Moldova	October 29-30, 2025	Meladze M.
5	Statistical analysis of atmospheric precipitation in Racha-Lechumi and kvemo Svaneti region	The 7 th Evrasion conference Risk-2025. Baku, Azerbaijan	October 21-23	M.Pipia, M.Meladze, M.Davitashvili, N.Beglarashvili, N.Jamrshvili,, G.Pipi
6	გვალვის ტენდენციები აღმოსავლეთ საქართველოში	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 72-ე სამეცნიერო სესია	30 მაისი, 2025	კაპანაძე ნ., ტატიშვილი მ., მელაძე მ., მკურნალიძე ი.
7	Precipitation in the territory of Georgia in 2016-2022	34th International Conference, ECOLOGY & SAFETY Burgas, Bulgaria	11-14 August, 2025	ფიფია მ., მელაძე მ., ბეგლარაშვილი ნ., ჯამრიშვილი ნ., ფიფია გ.
8	Agroclimatic conditions distribution of Actinidia Arguta in Georgia under climate change	International conference -,„Study and sustainable use of natural ecosystems under modern climate change“	11December, 2025	მელაძე მ.
9	Effect of zeolite nanostructure additive on mortar hardening process.	Conference "CHEMISTRY, PHYSICS AND TECHNOLOGY OF SURFACE"	28-29 მაისი, 2025	Tsintskaladze G.

10	Цеолитовый «SMART» наноматериал анионной формы и возможность его использования в сельском хозяйстве.	Конференция «ХИМИЯ SMART МАТЕРИАЛОВ И ИХ ПЕРСПЕКТИВЫ В РАЗВИТИИ ЭКОНОМИ-КИ» Самарканд	3-4 ოქტომბერი, 2025	Tsintskaladze G.
11	Цеолитные нанопористые сорбенты и их применение в газовой хроматографии.	იქვე	3-4 ოქტომბერი, 2025	Tsintskaladze G.

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ზაურ ჩანქსელიანი - გამოკვლეულია 30 ათასი ჰა, ნინოწმინდის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, მცხეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. შესწავლილია ნიადაგის 435 ნიმუში ლაბორატორიულ პირობებში ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე; შექმნილია ნიადაგის თემატური რუკები (6 რუკა) გამოკვლეული ფართობებისთვის; მომზადდა რეკომენდაცია ვახისა და ხორბლის ქვეშ ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად 200-ზე მეტი ფერმერისთვის.

მაია მელაძე - მიმდინარე კვლევები ძირითადად ეძღვნება აგროკლიმატური რესურსების შეფასებას და მათ ეფექტურად გამოყენებას, აგროკულტურების გაადგილების ხელსაყრელ აგროკლიმატურ ზონირებას მათი გავრცელების აგროეკოლოგიური ზონების ტრანსფორმაციის გამოვლენას. გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვლილების ტენდენციების გათვალისწინებით, აგრომეტეოროლოგიური მაჩვენებლების ფლუქტუაციების შეფასება.

გიორგი მელაძე - მიმდინარე კვლევები აგროკულტურების ზარდა-განვითარებისა და მოსავლის ფორმირების საფუძველზე, აგროკლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით, ეძღვნება მათ დარაიონებას; სასოფლო-სამეურნაო კულტურების აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდების შემუშავებას თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე; გლობალური დათბობის პირობებში, შემუშავებული სცენარების საფუძველზე, აგროკულტურების მოწყვლადობის შეფასებას.

მარიკა ტატიშვილი - საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (სეტყვა, გვალვა, თავსხმა წვიმები, ძლიერი ქარი, ელჭექი, გრიგალი, ნისლი, წყალდიდობა, მეწყერი) შესწავლა კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე; დედამიწის სადამკვირვებლო მისიის თანამგზავრების ინფორმაციის გამოყენება ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების და მწვანე საფარის მონიტორინგისთვის (NDVI); ატმოსფეროს პერიოდული ოსცილაციების გავლენა ამინდზე და კლიმატზე საქართველოს პირობებისათვის.

მიხეილ ფიფია - ხელმძღვანელობს და მონაწილეობს კვლევებში, რომლებიც ეხება საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის, კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევას. პროექტის ფარგლებში მისი, როგორც ერთერთი ხელმძღვანელის შრომები მონოგრაფიის სახით პერიოდულად ქვეყნდება საქართველოს ცალკეული რეგიონებისთვის.

ნაილი კაპანაძე - მონაწილეობს კლიმატის ცვლილების პრობლემებთან დაკავშირებულ კვლევებში. მისი კვლევის ინტერესებია: ცირკულაციური პროცესები, კლიმატის ცვლილება, ადაპტაცია, აქტიური ზემოქმედება, წყლის ინტეგრირებული მართვა, სტიქიური მოვლენების რისკების შეფასება.

გიორგი წინწკალაძე - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კვლევის ლაბორატორიაში მიმდინარე ორი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1. ბუნებრივი ცეოლითების ანიონური ფორმები, მათი მიღება, თვისებების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები“.
2. „არქიტექტურისა და კულტურის ძეგლებში გამოყენებული დუღაბების, აგრეთვე მსგავსი შემადგენლობის ცეოლითურ-დანამატიანი დუღაბის მიღება და ქიმიურ-მექანიკური მახასიათებლების კვლევა“.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

მაია მელაძე - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ხელმძღვანელობდა სალექციო კურსებს: აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია; ამინდი და კლიმატი აგრონომიაში; სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია; აგროკლიმატოლოგიის ძირითადი საფუძვლები; ფიტოკლიმატოლოგია (მაგისტრატურა), აგრეთვე ბაკალავრიატის სტუდენტთათვის.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

მაია მელაძე, გიორგი მელაძე, მიხეილ ფიფია, ნაილი კაპანაძე - საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის, კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევა (ქვემო ქართლი) (2024-2025).

მაია მელაძე - ა (ა)იპ მწვანე რეგიონები პროექტის - „შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება, BSB00353 LAP BLACK მოპოვებული ევროკავშირის Interreg NEXT შავი ზღვის აუზის ქვეყნების გრანტის ფარგლებში სამეცნიერო ექსპერტიზა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ლოკალური სამოქმედო გეგმის ხელმძღვანელობისთვის“ ექსპერტი (აგრომეტეოროლოგი).

გიორგი წინწკალაძე - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის FR-22-10840 სამეცნიერო ხელმძღვანელი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის FR-24-10933 კოორდინატორი.

ზაურ ჩანქელიანი - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პროექტი „ საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია), ხელმძღვანელი.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

მაია მელაძე - რეცენზირებული იქნა ეკოფიზიოლოგიის სამსახურის მიერ 2024 წელს ჩატარებული კვლევითი სამუშაოების ანგარიში და გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

✓ **მაია მელაძე, მიხეილ ფიფია, ნაილი კაპანაძე, მარიკა ტატიშვილი** - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გეოფიზიკის თანამედროვე პრობლემების“ სამეცნიერო კომიტეტის და სარედაქციო საბჭოს წევრები;

✓ **მაია მელაძე, მიხეილ ფიფია, მარიკა ტატიშვილი, ნაილი კაპანაძე** - საქართველოს ეროვნული აკადემიის დაარსების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბუნებრივი ეკოსისტემების შესწავლა და მდგრადი გამოყენება კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში“, საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის წევრი.

✓ **გიორგი წინწკალაძე** - მიმდინარე წლის 23 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში „წლის საუკეთესო მიღწევა“- სემინარზე მოხსენება: „სამშენებლო დუღაბი, როგორც ქართული არქიტექტურული ძეგლების მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი“.

✓ **ზაურ ჩანქელიანი** - ივ. სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორიამ, როგორც FAO-ს რეფერალურმა ლაბორატორიამ, 2025 წელს მონაწილეობა მიიღო რეგულარულ ლაბორატორიათაშორის პროფესიულ ტესტირებაში, რომელიც ორგანიზებული იყოს FAO-ს მიერ, რომლის ფარგლებში ლაბორატორიამ ჩაატარა ნიადაგის 7 ნიმუშის კვლევა ტესტირების ფარგლებში მოთხოვნილ ნიადაგის ყველა ძირითად ქიმიურ მახასიათებლებზე.

✓ **ზაურ ჩანქელიანი** - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-პორტალზე გამოსაქვეყნებლად გადაეცა ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის მიერ FAO-ს მეთოდოლოგიით შექმნილი ნიადაგის 8 თემატური რუკა.

1.9. აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი რეზო ჯაბნძე)

საანგარიშო წლის 17 ივნისს, „გვალვასთან და გაუდაბნობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ჩატარდა სემინარი თემაზე: „დეგრადირებული მიწების გარდაქმნა ჯანსაღ სავარგულებად“.

აღინიშნა, რომ ადამიანებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით უდაბნოს შესახებ. რამდენი ცივილიზაციაა დაკრძალული ქვიშის ქვეშ, ან რამდენი საიდუმლოა კიდევ აღმოუჩენელი. ადამიანების ნაწილს მიაჩნია, რომ უდაბნო არაფრით საინტერესო და გამორჩეული არ არის, თუმცა ეს ასე არ არის. ჩვენი სამყარო ხომ მეტად მრავალფეროვანია და დედამიწის უდაბნოებიც არ არის ერთნაირი. ეს ქვიშის, თიხის, ქვების თუ ყინულის უზარმაზარი ტერიტორიები გამოირჩევიან თავისი უნიკალური თვისებებით და მრავალ მოგზაურსა თუ თავგადასავლის მოყვარულს იზიდავს. მოხსენებისას წარმოდგენილი იყო ვიდეომასალა მსოფლიოს საოცარი უდაბნოების შესახებ.

აღინიშნა ისიც, რომ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, როგორცაა: ელდარის დაბლობი, გარდაბნის ვაკე, შირაქ-გარეჯის ზეგანი, გვხვდება ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტი. ზონისათვის დამახასიათებელია მშრალი კონტინენტური ჰავა. აორთქლებადობა ბევრად სჭარბობს ატმოსფერული ნალექების წლიურ რაოდენობას (დაახლოებით 200-400 მმ-ს). საუბარი შეეხო ასევე ისეთ დიდ პრობლემას, რასაც გაუდაბნობა ჰქვია.

აღინიშნა, რომ გაუდაბნობა არის მიწის დეგრადაცია სუბჰუმიდურ და არიდულ ადგილებში გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის კლიმატის ცვლილებით და ადამიანის საქმიანობით. აღნიშნული პროცესის შედეგია ნიადაგი, რომელზეც არაფერი არ იზრდება. ამის მთავარი მიზეზი კი მიწის გადაჭარბებული ექსპლუატაციაა. სახნავი მიწის მდგომარეობა და პროდუქტიულობა ყოველწლიურად უარესდება. პლანეტის მუდმივად მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უკვე არსებული მიწის ნაკვეთები 2050 წლისთვის საკმარისი აღარ იქნება. მდგომარეობიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება დეგრადირებული ნიადაგების აღდგენაა, რისთვისაც შემუშავებული უნდა იქნეს სრულიად ახალი მიდგომები მიწის დეგრადაციის, გაუდაბნობისა და გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასევე აღინიშნა, რომ ნიადაგის გამოფიტვა, მისი დეგრადაცია - ეს უდიდესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და, პირიქით, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლება, ესაა ძირითადი რაზეც დგას ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოება.

ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ბოლო 35 წელია საქართველოში არ ჩატარებულა სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია: აღდგეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში ადრე არსებული „აგროქიმიისა და ნიადაგის დაცვის სახელმწიფო სამსახური“, ჩატარდეს ნიადაგების პასპორტიზაცია და სხვა.

კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და აღმავლობას:

ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დაუმუშავებელი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ნიადაგების ნაწილი ზოგი დამლაშებულია, ზოგი

ეროზირებული, დაჭაობებული, ძლიერ მჟავე, ზოგი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული და ა.შ.; ასეთი ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე მიწაზე მფლობელობის ფორმის მიუხედავად სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

1.10. მიწათსარგებლობის მიმართულების კოორდინატორის პროფესორი ანზორ მესხიშვილი)

გაზეთ “რეზონანს“-ში ქვეყნდება პროფ. ა.მესხიშვილის ინტერვიუები მიწათსარგებლობის საკითხებზე. სხვადასხვა პერიოდში იბეჭდებოდა სტატიები:საქართველოს პარლამენტმა გამოსცა წიგნი „საქართველოს სოფლის მეურნეობა: „ტრანსფორმაცია და ბოლო ათწლეულის განვითარების ტენდეციები“. წიგნში მოცემულია ჩემი ზოგიერთი მონაცემები.

ასევე სტატიები მიწათსარგებლობის საკითხებზე ქვეყნდებოდა გაზეთებში „ბორჯომის“და „ლიტერატურულ მესხეთში“. როგორც გასულ წლებში, ვთანამშრომლობ გამომცემლობასთან „ივერიონი“ მიწათსარგებლობის საკითხებზე. გავაკეთე რეცენზია ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გივი ემხუარის წიგნზე: „სინგაპური“ რამდენჯერმე გამოვედი ტელევიზიის არხებზე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აქტუალურ საკითხებზე. ასევე გადავეცი განმარტებები მიწათსარგებლობის საკითხებზე საქართველოს ენციკლოპედიას. 2025 წლის ივლის-აგვისტოში რესპუბლიკურ მნიშვნელობის დაბა კურორტ წაღვერში ყოფნის დროს მქონდა შეხვედრები ბორჯომის მუნიციპალიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი საბჭოსთან მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხებთან დაკავშირებით. განვიხილეთ ბორჯომის ხეობაში გატარებული მიწის რეფორმის საკითხები. ანალოგიური შეხვედრები მქონდა წაღვერის მოსახლეობასთან. სადაც მოსახლეობას გავაცანი საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები. ასევე მოსახლეობას გავაცანი პრობლემები მერამდენედ და როდემდე ვარეგისტრირით ერთი და იგივე მიწა. განმეორებით მინდა ავლნიშნო, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია 2026 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცეს წიგნი საქართველოს აგრარული დარგის განვითარების საკითხებზე, სადაც ვრცლად იქნება განხილული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკითხები. სასურველია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყოს შეხვედრები მიწათსარგებლობის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს: „საქართველოს მიწის სამართლებრივი რეგულირების საკითხები“, ხშირად ვარ სადოქტორო დისერტანტების ოპონენტი და დოქტორანტების ხელმძღვანელი. ვარ ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“-ს რედკოლეგიის წევრი. ჟურნალ „აგრარულ-ეკონომიური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ რედკოლეგიის წევრი, შ.პ.ს. „პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი“-ს მთავარი კონსულტანტი. მიწათსარგებლობის საკითხებში. მონიჭებული მაქვს გაეროს ეკონომიური კომისიის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელი სერთიფიცირებული ექსპერტის წოდება უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში.

6.2. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

2.1. მეტყვევების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე და დოქტორი გიორგი ქავთარაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 9 წევრი (კოორდინატორი): გიორგი გაგოშიძე, სმ მეცნიერებათა დოქტორი (მეტყვევება), სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; გიორგი ქავთარაძე, სატყეო საქმის დოქტორი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; მედეა ბურჯანაძე, ბიოლოგიის დოქტორი; ზურაბ მანველიძე, სმ

მეცნიერებათა დოქტორი (მეტყველობა); **ნანი გოგინაშვილი**, ბიოლოგიის დოქტორი; **ნატო კობახიძე**, ბიოლოგიის დოქტორი (მეტყველობა); **რეზო ვასაძე**, სმ დოქტორი (მეტყველობა); **ვასილ მეტრეველი**, ეკოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (მეტყველობა); **ლამა ძაძამია**, სატყეო საქმის მაგისტრი, დოქტორანტი.

საანგარიშო პერიოდში, შედგა დარგობრივი ჯგუფის ოთხი სხდომა, მათ შორის სამი გაერთიანებულ ფორმატში გარემოს დაცვის დარგობრივ ჯგუფთან.

პირველ გაერთიანებულ სხდომაზე (28 თებერვალი), სატყეო საქმის დარგობრივი ჯგუფიდან მოხსენება წარადგინა მედეა ბურჯანაძემ, სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა თემაზე: „საქართველოს ფოთლოვან ტყეებში ეკონომიკური მნიშვნელობის მავნე ქერცლფრთიანები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“.

მეორე გაერთიანებულ სხდომაზე (23 ივლისი), სატყეო საქმის დარგობრივი ჯგუფიდან გაკეთდა ორი მოხსენება: 1. "წაბლის მეგალია (*Dryocosmus kuriphilus*): გავრცელება, ბიოეკოლოგია და ბრძოლის მეთოდები", მომხსენებელი: მედეა ბურჯანაძე, სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი; 2. „წაბლის მეგალიის (*Dryocosmus kuriphilus*) საფრთხე საქართველოს წაბლნარებისთვის: დაკვირვების პირველადი მონაცემები აჭარის მაგალითზე და საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები", მომხსენებელი: რეზო ვასაძე, სმ დოქტორი, აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი.

მესამე გაერთიანებულ სხდომაზე (18 ნოემბერი), სატყეო საქმის დარგობრივი ჯგუფიდან გაკეთდა ერთი მოხსენება: „გარემო პირობების გავლენა წაბლის კიბოზე (*Cryphonectria parasitica*) საქართველოში“, მომხსენებელი: ვასილ მეტრეველი, ეკოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (მეტყველობა), დარგობრივი ჯგუფის წევრი, სმმ აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრი, ილიას უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

მეოთხე სხდომაზე განხილულ იქნა დარგობრივი ჯგუფის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შედეგები და 2026 წლის პერსპექტიული გეგმა.

დასახელება	გამომცემლობა
Bakhtiyorov, Z., Chen, F., Chen, Y., Wang, S., Zhang, H., Hu, M., Yue, W., Habibulloev, S., Kavtaradze, G. , Rahmonov, O. and Dolgova, E., 2025. Tree-ring blue-intensity reconstruction of the April–September temperature maximum in the Greater Caucasus region of Georgia since 1780 CE.	International Journal of Biometeorology, Volume 69, pages 1753–1768, (2025), https://doi.org/10.1007/s00484-025-02930-7
Kavtaradze, G. , Lexer M. J., Hochauer, C., Chiburdanidze, K., Basilidze, L (2025). <i>Climate change mitigation and adaptation potential of the main forest-forming woody plant species in Eastern Georgia.</i>	Book of Abstracts. International Scientific Conference Dedicated to the 85th Anniversary of the Founding of the National Academy of Sciences of Georgia "Study and sustainable use of natural ecosystems in the conditions of modern climate change", Institute of Hydrometeorology, GTU, December 11, 2025
Irakli Mikeladze, David Tsiskaridze, Zurab Manvelidze , Gogita Shainidze (2025). Distribution and invasiveness of some invasive alien species (IAS) of plants in ecosystems of Colchis lowland	Scientific Annals of the Danube Delta Institute –ISSN 1842-614X(print), ISSN 2247-9902 (online), ISSN-L: 1842 - 614X https://saddi.pensoft.net/article/165717/
Manvelidze, N., Burjanadze, M. , & Jgenti, L. (2025). The main bark beetles and their natural enemies in the pine forests of Adjara region	Georgian Scientists, 7(1), 1–8. 2025 https://doi.org/10.52340/gS.2025.07.01.01 https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/3361
Burjanadze M. , Kharabadze N. (2025). Bover-Ge – Mycopenicide for the control of agricultural and forest pest insects.	Euro-Mediterranean Journal for Environmental Integration. (in press, accepted by editorial board) https://www.editorialmanager.com/emje/default.aspx

Burjanadze M., Gorgadze O., Tarasco E., Kharabadze N., Manvelidze N. (2025). Entomopathogenic fungi and nematodes isolated from soil of blueberry orchards in Georgia	Microbial and Nematode Control of Invertebrate Pests IOBC-WPRS Bulletin Vol. 176, 2025 pp. 128-132
Metskhvarishvili M., Pagava S., Gorgadze K., Burjanadze M., Vachadze N., Kalandadze I., Beriashvili N. A brief overview of the causes of lung cancer and measurements of radon concentrations	Journal of Radiobiology and Radiation Safety, vol.5, №6, 48-54. 2025 https://www.researchgate.net/publication/391267048 ,
Muradashvili E., Burjanadze M., Tkebuchava Z., Usmani Sh. Potential of Pheromone and Yellow Stick Traps for Management of <i>Tuta absoluta</i> in Field and Greenhouses.	Georgian Scientists, Vol. 7 No. 2, 530-538 (2025). https://doi.org/10.52340/gS.2025.07.02.48
Muradashvili E., Burjanadze M., Tkebuchava Z. (Efficacy of some chemical pesticides against the South American tomato leaf miner <i>Tuta absoluta</i>).	Georgian Scientists, Vol. 7 No. 2, 530-538, 2025 https://doi.org/10.52340/gS.2025.07.02.48
Muradashvili E., Burjanadze M., Tkebuchava Z. (2025). Potential develop generation of the tomato leaf miner- <i>Tuta absoluta</i> (Meyrick) in Shida Kartly and Samtskhe-Javaxeti region of Georgia.	Georgian Scientists, Vol. 7 No. 1 . 330-343. https://doi.org/10.52340/gS.2025.07.01.29
Manvelidze N., Burjanadze M., Jgenti L.. (2025). Entomofauna associated with Oriental spruce (<i>Picea orientalis</i> L.) in the around subalpine forests of Goderdzi Pass Georgian Scientists".	Georgian Scientists, Vol. 7 No. 1, 1-8. DOI : 10.52340/gS.2025.07.01.01 E-ISSN: 2667-9760 https://journals.4science.ge/index.php/GS/article/view/3380
Manvelidze N., Burjanadze M., Jgenti L. (2025). The main bark beetles and their natural enemies in the pine forests of Adjara	Georgian Scientists, Vol. 7 No. 1, 119-128.

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის წევრების მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
თბილისის შემოგარენის ტყის ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური მნიშვნელობა (ინგლისურ ენაზე)	UNECE-ის ტყისა და ბიოეკონომიკის სექციის მიერ ორგანიზებული ონლაინ კონფერენცია თემაზე „ხე მცენარეები ქალაქებში“,	16 დეკემბერი, 2025	გიორგი ქავთარაძე, ლადო ბასილიძე
აღმოსავლეთ საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიან მცენარეთა სახეობების კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის პოტენციალი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი ეკოსისტემების შესწავლა და მდგრადი გამოყენება კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში“, თბილისი	11 დეკემბერი, 2025,	ქავთარაძე გ., (მომხსენებელი) ლექსერი მ. ჯ., ჰობაუერი კ., ჩიბურდანიძე კ., ბასილიძე ლ.)

საქართველოს ტყის არამერქული რესურსები: პოტენციური და სარგებლობის გამოწვევები (ინგლისურ ენაზე)	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონფერენცია: ტყის საერთაშორისო დღე: „ტყეები და საკვები“, ციურიხი, შვეიცარია (ვმონაწილეობდით ონლაინ).	20 მარტი, 2025	ლადო ბასილიძე, გიორგი ქავთარაძე,
პროექტის-„ტყის მართვის გაუმჯობესება აჭარაში“ მოკლე მიმოხილვა	სემინარი: ხე-ტყის თვალთვალის სისტემები და ევროკავშირის ტყეების გაჩეხვის რეგულაციების შესაბამისობა: ტყის მმართველობის გაძლიერება	2025 წლის 22-25 ოქტომბერი	ზურაბ მანველიძე /დისკუსიების ფორმატი/

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

გიორგი ქავთარაძე - სამეცნიერო საქმიანობას ეწევა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე.

მედეა ზურჯანაძე - 2025 წელს, შრესფ პროექტი FR 22-697 „ ლურჯი მოცვის ბაღების მონიტორინგი და მართვა საქართველოში“ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად, გამოვლინდა 3 ახალი მავნე მწერი, რომელიც არ იყო აღნიშნული საქართველოს პირობებში. ჩატარდა ამ მწერების მორფოლოგიური და მოლეკულური იდენტიფიცირება და მზადდება სამეცნიერო შრომა. 2025 წელს დაიწყო შრეს ფონდის პროექტი FR-24-11420 “ფიტოსანიტარული რისკები და მათი აღმოფხვრა თხილის მდგრადი წარმოებისთვის“ სადაც მიმდინარეობს თხილის მავნებელ-დაავადებებზე კვლევები, და პროექტში ჩართულია თურქი მკვლევარები. ასევე მიმდინარეობს კვლევები გოდერძის უღელტეხილის წიწვოვან ბაღებში მავნე მწერების მონიტორინგი და კვლევა.

ზურაბ მანველიძე - მოღვაწეობს მთავარი მეცნიერ თანამშრომლისა და განყოფილების გამგის პოზიციაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (შემდგომში სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი). ამჟამად ახორციელებს კვლევებს რაოდენიმე მიმართულებით:

- აჭარის მაღალი კონსერვაციული ღირებულებების მქონე ობიექტების (High Conservation Value-HCV) იდენტიფიცირება, მათი ინტერპრეტაცია აჭარის ტყეებისათვის და მართვის ზოგადი რეკომენდაციების მომზადება;

- აჭარაში ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობას დაქვემდებარებულ საპროექტო არეალებში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი

- საველე კონსულტაციები "კავკასიის ხე-მცენარეთა თესლის ბანკის განახლება" საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში.

- საველე კონსულტაციები ეთნობოტანიკურ კვლევებში "საქართველოს მცენარეთა ტრადიციული ცოდნა" საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში.

- „შავი ზღვის დელტის დაცულ ტერიტორიებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა და კონტექსტუალური ეკოსისტემური სერვისების შეფასება და ინვაზიური უცხო სახეობების მონიტორინგი

- კონვენციით- გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (Convention on International Trade in Endangered Species of Wild Fauna and Flora- CITES) დაცული თეთრყვავილას ბოლქვების (Galanthus woronowii) რესურსების შეფასება

- სამეცნიერო ექსპერტიზა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ლოკალური სამოქმედო გეგმის ხელმძღვანელობისთვის „შავი ზღვის რეგიონში კლიმატის ცვლილებისთვის ადგილობრივი ინტერვენციის შესაძლებლობების გაძლიერება“

ნანი გოგინაშვილი - იკავებს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსის პოზიციას. ხელმძღვანელობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტს „საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა“.

ნატო კობახიძე - სამეცნიერო საქმიანობას ეწევა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე. ამჟამად მონაწილეობს სმ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროექტის „საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა“ შესრულებაში (ხელმძღვანელი ნანი გოგინაშვილი).

რეზო ვასაძე - სწავლობს აჭარის სუბალპური ტყეების ბიოეკოლოგიურ მდგრადობას და მუქიწვიანი ტყეების ფიტოსანიტარულ საკითხებს.

ვასილ მეტრეველი - სამეცნიერო საქმიანობას ეწევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის გეობოტანიკის განყოფილებაში უფროსი მკვლევრის პოზიციაზე. 2025 წლის ბოლოს დაასრულა კვლევა და დაიცვა სადოქტორო საიდისერტაციო ნაშრომი თემაზე: „წაბლის ეკოლოგია კავკასიაში.“

ლაშა ძამამია - არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე. ამჟამად მუშაობს სადოქტორო საიდისერტაციო თემაზე, რომელიც შეეხება ტყეზე კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირებას.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

დარგობრივი ჯგუფის წევრებიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან შემდეგი წევრები:

გიორგი გაგოშიძე - 2025 წლის შემოდგომამდე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ხელმძღვანელობდა საგანმანათლებლო პროგრამას - „ტყეთმცოდნეობა-მეტყევეობა“.

გიორგი ქავთარაძე - პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედია ბურჯანაძე - პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორის პოზიციაზე.

ნანი გოგინაშვილი - პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

ნატო კობახიძე - პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ამავდროულად არის სატყეო საქმის საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების მენეჯერი და სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი. სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე

რეზო ვასაძე - პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. აგრეთვე არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და ამავე უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელი.

ვასილ მეტრეველი - პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და მედიცინის ფაკულტეტზე.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ზურაბ მანველიძე

- **პროექტი:** „საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა“. ვადა 2023 – 2026 წწ. დონორი: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ძირითადი შემსრულებელი.

პროექტი: „ტყის მდგრადი მართვა აჭარაში“/GE0074. დონორი KfW, განამახორციელებელი WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისი. ეროვნული კონსულტანტი. მოქმედების ვადა: 2022 წლის 01 ნოემბერი - 2027 წლის 31 ოქტომბერი.

- **პროექტი:** #3053, "კავკასიის ხე-მცენარეთა თესლის ბანკის განახლება", საგრანტო ხელშეკრულება გაფორმებულია ქიუს სამეფო ბოტანიკურ ბაღსა (დიდი ბრიტანეთი) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტს შორის. საველე კონსულტანტი. მოქმედების ვადა: 01 ივნისი, 2025- 31 დეკემბერი, 2025

- **პროექტი:** #3247, "საქართველოს მცენარეთა ტრადიციული ცოდნა", საგრანტო ხელშეკრულება გაფორმებულია ბიოლოგიური რესურსების ეროვნულ ინსტიტუტსა (სამხრეთ კორეის რესპუბლიკა) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. საველე კონსულტანტი. მოქმედების ვადა: 01 ივნისი, 2025- 31 დეკემბერი, 2025

პროექტი: „შავი ზღვის დელტის დაცულ ტერიტორიებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა და კონტექსტუალური ეკოსისტემური სერვისების შეფასების ქსელის განვითარება ინვაზიური უცხო სახეობების ობსერვატორია და ქსელის განვითარება - IASON+“ # BSB00174. კონსულტანტი. ვადა: 01 მაისი, 2025 -30 სექტემბერი, 2025.

ნანი გოგინაშვილი

- **პროექტი:** „საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა“. ვადა 2023 – 2026 წ. წ. დონორი: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. როლი პროექტში: სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მედეა ბურჯანაძე

პროექტი: „სოფლის მეურნეობის ზრდის აღდგენა კონფლიქტის შემდგომ უკრაინასა და გარდამავალ საქართველოში (ReGrow)“ – პროექტი # 101179755, დაფინანსება: ევროკავშირის (EU) Erasmus+ პროგრამის მიერ. ვადა: 2024-2027.

პროექტი: „ლურჯი მოცვის ბაღების მონიტორინგი და მართვა საქართველოში (FR 22-697). დაფინანსება: შრსესფ. ვადა: 2023 -2026.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

გიორგი ქავთარაძე - 2016 წლიდან „ბუნების კვლევების ჟურნალი - აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“ (ყოფილი „აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“) და 2025 წლიდან მულტიდისციპლინური ციფრული გამომცემლობის ინსტიტუტი (MDPI) ის სამეცნიერო ჟურნალი „Forests“, რეცენზენტი.

მედეა ბურჯანაძე - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტების (SPF-2025) შეფასების კომისიის წევრი. სლოვენის კვლევებისა და ინოვაციების სააგენტოს (ARIS) პროექტის შემფასებელი. საერთაშორისო ჟურნალთა ქსელის „Springer“, ჟურნალ „Euro-Mediterranean Journal for Environmental Integration“ რეცენზენტი (რეცენზირებული ნაშრომები: The Roots Polyphenols Bio accessibility, Bioavailability and Bioactive Potential", EMJE-D-25-00574R1; Enhancing Organic Waste Management in Morocco: Evaluating Composting Suitability through Physicochemical Assessment, Process Dynamics, and Microbial Enumeration via two different systems. EMJE-D-24-00208R1). საქართველოში დასარეგისტრირებელი 2 ინდური წარმოების ბიოლოგიური პესტიციდის გამოცდა და შეფასება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ.

ზურაბ მანველიძე - ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“ სარედაქციო საბჭოს წევრი, <https://geographyge.tsu.ge/ka/menu/37/2>

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

გიორგი ქავთარაძე - 2014 წლიდან არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის წევრი; 2016 წლიდან მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს, გარემოს დაცვის, დაცული ტერიტორიების და ტყის მდგრადი მართვის კომისიის თავმჯდომარე; 2018 წლის თებერვლიდან FAO-ს ტყის გენეტიკური რესურსების პროგრამის ეროვნული პასუხისმგებლობის პირი (NFPs).

რეზო ვასაძე - არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი და უშუალოდ ჩართულია რეგიონის დონეზე ტყის მართვის პროცესში.

ნანი გოგინაშვილი - არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის წევრი; წითელი ნუსხის განახლების სამუშაო კომისიის წევრი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქარსაფრების პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრი.

ზურაბ მანველიძე - არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის წევრი; 2025 წელს კომენტარები მოამზადა ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP-2026-2030 წწ.) პროექტზე.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

გიორგი გაგოშიძე - არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს და სარედაქციო საბჭოს წევრი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის წევრი; საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „სიცოცხლის ხე/დრევეო ჟიცია“ (საქართველო-პოლონეთი) თანადამფუძნებელი და გამგეობის ხელმძღვანელი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე; საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

გიორგი ქავთარაძე - არის ა(ა)იპ „მეტყევეთა ასოციაცია“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი; საქართველოში სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ჯგუფის წევრი, ეროვნული ექსპერტი (LULUCF); 2025 წლის ივნისიდან საერთაშორისო კვლევითი-საკონსულტაციო კომპანია „UNIQUE forestry and land use GmbH“ მუდმივმოქმედი ექსპერტი (მეტყევეობა).

10. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

რეზო ვასაძე - 2025 წელს მის მიერ მოამზადა და ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციების ტყის დაცვის მუშაკებს გადაეცა მეთოდური რეკომენდაცია „ნამკნარ-სოჭნარი კორომების ზოგიერთი მავნე მწერების ბიოლოგიური თავისებურებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“.

2.2. გარემოს დაცვის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი და აკადემიის სტიპენდიატი ზვიად ტიგინაშვილი)

გარემოს დაცვის დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 7 წევრი: სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, ს/მ დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი - აკადემიის სტიპენდიატი, ბიოლოგიის დოქტორი ხათუნა წიკლაური - სსიპ

გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსი; ავთანდილ მიქაბერიძე - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის, ტყისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; არსენ ჩინჩალაძე - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე; შალვა ნოზაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ნოდარი ბერიძე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის, ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	საქართველოში მერქნული ნედლეულის საწვავად გამოყენების პოტენციური წყაროების შესახებ.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 67– 70.
2	ქართული მუხის (Quercus iberica Stev.) ნაყოფმსხმოიარობა კახეთის რეგიონში.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 70 – 73
3	ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 61– 67
4	ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 54 – 61.
5	ქართული მუხის (Quercus. iberica Stev.) ტყის ტიპები კახეთში.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 1; 2025 წ; (53); გვ. 73 – 77.
6	ქართული მუხის (Q. Iberica Stev.) კორომების ზოგადი დახასიათება კახეთის რეგიონში.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 90 – 94
7	ქართული მუხის (Quercus Iberica Stev.) ტყის ტიპები კახეთში ეკოტოპი - Subgiccum - ზომიერად მშრალი.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 87 – 89
8	საწვავი მერქნული ბიომასის მოპოვების ზეგავლენა გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2025 წ; (54); გვ. 84 – 86
9	თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფიჭვნარების ბიომასა და ნახშირბადის მარაგები	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომები, # 137
12	საქართველოში მნიშვნელოვანი ზიანის შედეგად დაზიანებული და დეგრადირებული ბუნებრივი ეკოსისტემების, ნიადაგების და წყლის ობიექტების მიმოხილვა	იქვე

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფიჭვნარების ბიომასა და ნახშირბადის მარაგები	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების 85წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თბილისი	საქართველო, 11დეკემბერი, 2025 წ.	ბ. აფციაური, ფ. ტიგინაშვილი, გ. წერეთელი, რ. კახაძე, მ. მერაბიშვილი, გ. გაგომიძე
2	საქართველოში მნიშვნელოვანი ზიანის შედეგად დაზიანებული და დეგრადირებული ბუნებრივი ეკოსისტემების, ნიადაგების და წყლის ობიექტების მიმოხილვა	იქვე	საქართველო, 11დეკემბერი, 2025 წ.	ხ. წიკლაური, ს.მეფარიშვილი, გ.მდინარაძე, ნ.მეკოშვილი, მ.გაფრინდაშვილი

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე:

საქმიანობა მიმდინარეობდა შემდეგი თემატიკის ფარგლებში: თემა: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“. (2023-2027 წ. წ.); პროექტის მიმართულება - სატყეო საქმე; (თემის ხელმძღვანელი); ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით.

თემა: „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ბზის კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“. (თემის შემსრულებელი);

სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიადი ტიგინაშვილი:

1. „ქართული მუხის (*Quercus petraea* aubsp. *Iberica*) ბუნებრივი განახლება ცივ-გომბორის ალკვეთილში“

2. ცივ-გომბორის რეგიონში „ქართული მუხის (*Quercus petraea* aubsp. *Iberica*) წმინდა კორომების აღნაგობის თავისებურებანი

ბიოლოგიის დოქტორი ხათუნა წიკლაური:

- მავნებელი მწერების შეგროვება და იდენტიფიკაცია იოლის ქალების სამონადირეო მეურნეობაში.

- ეკოსისტემური სერვისების დაანგარიშების მეთოდების მოძიება და განხილვა, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში სანაცვლო-ადეკვატური ღონისძიებების დასაბუთებაში იქნას გამოყენებული.

5.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

დარგობრივი ჯგუფის წევრებიდან 3 წევრი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიადი ტიგინაშვილი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ნოდარი ბერიძე ამავე ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი, რომელიც კითხულობს პრაქტიკულ მეცადინეობებს და არსენ ჩინჩლაძე, არის ე.წ. ტრენერი და ატარებს ტრენინგებს გარემოს დაცვით და სატყეო საქმის თემატიკებზე.

არსენ ჩინჩალაძემ ჩაატარა 6 ტრენინგი:

1. „გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით“, 14-21 მაისი 2025, თბილისი;
2. „გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით“, 10-17 ოქტომბერი 2025, თბილისი;
3. დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება, თემაზე: „სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელება“. 22-24 სექტემბერი, 2025 წ., გორის მუნიციპალიტეტი;
4. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის ხეების წარმომავლობის დოკუმენტთან დაკავშირებით ტრენინგი;
5. „დაცულ ტერიტორიებზე მერქნული რესურსების დამზადების ინსტრუქცია“, ქ. ონი 1-5 ნოემბერი, 2025 წელი
6. დაცული ლანდშაფტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის შესაძლებლობების გაძლიერება, თემაზე: „სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელება“ 22-25 ნოემბერი, 2025 წ., ონის მუნიციპალიტეტი

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ზვიადი ტიგინაშვილი მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CBHE პროექტი „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (DUGEOR)“ 2023 – 2026. პროექტის პარტნიორები უცხოეთიდან: სერბეთი - ბიზნესის აკადემია - წამყვანი უნივერსიტეტი; ავსტრია - FH Joanneum-ის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი; გერმანია - DHBW, ბადენ-ვიურტემბერგის კოოპერატივის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხათუნა წიკლაური მონაწილეობდა პროექტებში „იორის ჭალების ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები“ და „ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (NBSAP) მომზადების ხელშეწყობა“.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

ლ. დოლიძემ შეასრულა 5 ნაშრომის რეცენზირება, ხოლო დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა - ერთი ანგარიშის რეცენზირება.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

ბიოლოგიის დოქტორი ხათუნა წიკლაური:

გარემოს ეროვნულ სააგენტოში გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების დეპარტამენტის, კერძოდ კი ბიომრავალფეროვნების სამმართველოს მიერ მიმდინარეობს 2 საქმის წარმოება გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შესახებ:

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ბაკურიანის სატყეო ტერიტორიებზე შპს „ჰოტელ მენეჯმენტ გრუპის“ მიერ სასტუმროსა და სათხილამურო ტრასის ინფრასტრუქტურის მშენებლობით ბიომრავალფეროვნებასა და მიწაზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ფაქტის, რომლის სანაცვლო ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებისათვის ტერიტორიის შესათავაზებლად შექმნილია კომისია და შპს „ჰოტელ მენეჯმენტ გრუპი“-ს მიერ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტი, რომელსაც განიხილავს ბიომრავალფეროვნების სამმართველო და ამზადებს შესაბამის შენიშვნებს, ასევე განიხილავს სამმართველოსი შემოსულ კორესპონდენციას და ამზადებს საპასუხო წერილებს. აღნიშნული კომპანია მეორედ დაჯარიმდა და მეორედ ეცნობა, რომ წარმოსადგენია სანაცვლო-ადეკვატური ღონისძიებების დასაბუთების დოკუმენტი.

2. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის მუნიციპალიტეტში, სოფ.ჭიორასა და სოფ.ღებს შორის, მდ.ჩვეშურასა და მდ.ხვარგულაზე, შპს „ჭიორა ჰესი“-ს მიერ აშენებულია ჭიორა ჰესი, რომლის მშენებლობის დროს გარემოს მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ დაზიანდა მიწის მნიშვნელოვანი ფართობები და ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფართობები. კომპანიამ მომართა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაზიანებული ტერიტორიების აღდგენის ნაცვლად სანაცვლო ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება სხვა ტერიტორიებზე. საკითხს განიხილავენ ბიომრავალფეროვნების და მიწის სამმართველოები და ამზადებენ შესაბამის შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რათა შეთანხმებული დოკუმენტები გატანილი იქნას სპეციალური კომისიის სხდომაზე. აღნიშნული კომპანიის მიერ 2025 წლის განმავლობაში მრავალი ვარიანტი იქნა შემოტავაზებული დასაბუთების დოკუმენტის და მიღწეულია საბოლოო სახით დოკუმენტის ჩამოყალიბება შესათანხმებლად.

3. აჭარის რეგიონშია ასევე შპს „ალტერ ენერჯი“-ს გიგინური ჰესის მშენებლობის დროს დაზიანებული ნიადაგი, რომელიც მოხვედრილია აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და ასევე აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ზურმუხტის საიტს. მიმდინარეობს სანაცვლო-ადეკვატური ღონისძიებების დასაბუთების დოკუმენტის განხილვა და შესათანხმებლად მომზადება.

9.საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

ლაშა დოლიძემ აკადემიის ჩაატარა მრავალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ველური ბუნების მსოფლიო დღეს; თბილისი, 04. მარტი. 2025. - მონაწილე, ასევე . საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის სტუდენტებთან ჩაატარა საჯარო ლექცია “ტყე - საქართველოს მშვენება”. თბილისი, 13 მარტი, 2025 წ.

ავთანდილ მიქაბერიძე:

- აჯამეთის აღკვეთილში იმერული მუხის აღდგენის პროექტი (მონაწილე);
- თუშეთის ეროვნული პარკის ტყის მართვის გეგმის განხილვა;
- კინტრიშის და მტირალას ეროვნული პარკის ტყის ინვენტარიზაცია (მონაწილე);
- ცივ-გომბორის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის განხილვა.
- ცივ-გომბორის აღკვეთილის გაფართოების პროექტის მონაწილე;
- სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის შექმნის მონაწილე;
- რაჭის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის შექმნის მონაწილე.

3. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

3.1. მეცხოველეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი)

დარგობრივი ჯგუფი შედგება 8 წევრისაგან. საქმიანობის ძირითადი ასპექტები იყო ფერმერებისათვის, მეწარმეებისათვის და დარგით დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა, პარალელურად ტრენინგებისა და ინფორმაციების ციკლის უწყვეტობა. ვცდილობდით რესპოდენტებისათვის ერთი და იგივე კითხვები დაგვესვა, ასე მაგალითად გარდა ეკონომიკური სარგებლისა, თუ კეთდებოდა აქცენტი მიღებული პროდუქტის ხარისხზე, როგორია წარმოების ან ფერმის პროდუქტიული მაჩვენებლები, დისტრიბუციის ფორმები, თუ აქვთ კონტაქტები ამ პარტნიორებთან და მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა დარგობრივი ჯგუფის , სადაც მოსმენილი იქნა ჯგუფის ხელმძღვანელის აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ინფორმაცია ჯგუფის მიერ 2025 წელს ჩატარებული სამუშაოებისა და 2026 წელს ჩასატარებელი პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

1. გამოქვეყნებული შრომები:

გიული გოგოლი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

#	დასახელება	გამომცემლობა
1	Milk Productivity of Wagyu Beef Heifers and Cows	J. of Mountain Agriculture on the Balkans, 2025, 28 (5); (Co-auth.)
2	ქართული გენეტიკა; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და შინაურ ცხოველთა გენოფონდი (კატალოგი-ცნობარი), 2025	FAO (თანაავტ.)
3	ყველის გემოთა ბორბალი. ჟ. „ახალი	აგრარული საქართველო. N 5 (152), 2025 (თანაავტ.)
4	რომელი ჯიშის ძროხა მოვაშენოთ?	აგრარული საქართველო, N6 (153), 2025 (თანაავტ.)
5	მარცვლეულის წარმოების ანარჩენები - ცხოველთა კვების მნიშვნელოვანი რესურსი	აგრარული საქართველო, N10 (157), 2025
6	სარძეო მეძროხეობაში ნახირის აღწარმოების დაგეგმვის შესაძლებლობა და მნიშვნელობა	აგრარული საქართველო, N12 (159), 2025
7	მებოცვრეობა.	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 5, გვ. 647);
8	მეგრული თხა.	ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 5, გვ. 654

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

პროგრამა: 02.01.1.1 ძროხის ადგილობრივი ჯიშების შესწავლა, მოშენება, პროდუქტიულობის ამაღლება და გენეტიკური ბანკის შექმნა;

პროექტი: საქართველოს მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის აღდგენის მეცნიერული უზრუნველყოფა და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება.

საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

„ევროპის უნივერსიტეტი“, მოწვეული პროფესორი

მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

პროექტი: „ვაგიუს ჯიშის ძროხის ადაპტაციური შესაძლებლობების, ექსტერიერის პარამეტრების, კონსტიტუციის, სარძეო და სახორცე პროდუქტიულობისა შესწავლა“ (მკვლევარი, სამუშაო ჯგუფის წევრი). ბულგარეთის მთის მეცხოველეობისა და მემცენარეობის ინსტიტუტი. ქ. ტროიანი.

საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

- კამეჩის მოშენებელთა საქართველოს ასოციაცია, თავმჯდომარე;

- ჟურნალი „აგრარული საქართველო“; სარედაქციო კოლეგიის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

თენგიზ ფირცხალაიშვილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის კონსულტანტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

გამოქვეყნებული შრომები:

1. სასოფლო სამეურნეო ჯიშების კატალოგი. FAO, რ.ბარკალაია ,გ.გოგოლი და სხვ. 2025 წ.

2. საქართველოს ინდუსტრიული სარძეო მეძროხეობა; ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის ვებ გვერდი, <https://srca.gov.ge/files/>, ბარკალაია, გ.გოგოლი. 2025

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა/რეცენზია

დისერტანტ თეა ჟღენტის ნაშრომზე, საქართველოს მთისწინეთსა და სტეპის ზონაში ზაანენისა და ალპური ჯიშის თხების ადაპტაციის შესწავლა“, რომელიც წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (შიფრი 0103).

სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა:

- სანაშენე მეცხოველეობის კანონის მომზადებაში მონაწილეობა (2025წ)

საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები:

- კონსულტაციების გაწევა მეფრინველეობის და მეძროხეობის ფერმერებს (2021-2025 წწ).

ნაირა მამუკელაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, დარგის ექსპერტი. (საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და ა.შ.) საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1.	„შინაური ცხველები და გარემოს დაბინძურება“	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული 2025წ.
2.	„ძაღლისა და კატის შეფერილობათა გენეტიკა“	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2025
3.	ქართლი გენეტიკა	სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი 2025

კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	„ძაღლისა და კატის შეფერილობათა გენეტიკა“	სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია - მეცნიერება გვაერთიანებს.	19/09/2025	ნ.მამუკელაშვილი
2	„შინაური ცხოველები და გარემოს დაბინძურება“;	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. „თანამედროვე ვეტერინარიის განვითარების ტენდენციები: ახალი მიდგომები და აქტუალური კვლევები“	2025	ნ.მამუკელაშვილი

საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდ 3 საგანს.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

2025 წლიდან გახლავთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აგრონომიისა და მეცხოველეების დარგის ექსპერტი .

ამროსი ჭკუასელი - საქ. აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი

გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1.	A.chkuaseli,T.Lashkarashvili – „ Effect of Dietary Bentonite „ “Clay on Growth Performance and mycotoxin mitigation in Rainbow Trout “,Juli 2025;77(3),Pages 45-55;	https://ija.cholasticahq.com/
2.	A.Chkuaseli et al., „ medicinal mushrooms and Bacillus probiotics as an alternative to antibiotics and their effect on broiler productivity“, World Journal of Advanced Research and Reviews(WJARR),impact factor:8,2 2025,27(01)July 2025,pages 1241-1254	Journal homepage: https://WJarr.com

პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

ჯგუფის წევრების იამზე ბეშქენაძე, ამროსი ჭკუასელი, ავთანდილ ჩაგელიშვილი, კობა ამირხანაშვილი, ომარ ლომთაძე, ნაზიბროლა კლარჯიშვილი, მანია გოგოლაძე, ნინო ნონიკაშვილი, მიერ მიღებულია გამოგონებაზე „ხელატური მიკროელემენტების დანამატი ფრინველის კვებაში“ U2026 2234Y სასარგებლო მოდელი და რეგისტრირებულია ახალი საკვები დანამატი; საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღი - 21.02.25 ; რეგისტრაციის თარიღი 25.12.25.

კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
	სამედიცინო სოკოების მიცე-ლიალური ბიომასის გამოყენება ბროილერის კვებაში“	„სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვება და ჯანმრთელობა“	16.10.25	ა.ჭკუასელი

გივი ბელელური - ფირმა „ოადის“ სანაშენე საქმის კონსულტანტი სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

გამოქვეყნებული შრომები:

იმერული ჯიშის ცხვარი. ბუკლეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია. თბილისი 2025 წ.

ნათია ნაცარაშვილი - შპს „სანტე ჯი-ემ-თი“ -ის პროდუქტების ტექნოლოგი

გამოქვეყნებული შრომები:

დასახელება	გამომცემლობა
ჯიშთაშორისი შეჯვარების ზოგიერთი მაჩვენებლის შესწავლა	საქ. სახელმწ. ზოოტექნიკურ - სავეტერინარო უნივერსიტეტი შრომათა კრებული.XV 2025
სახორცე და ტყავ-ბეწვეული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობა და აღწარმოებითი მაჩვენებლის აღწერა	აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული XXVII 2025
დედლის ნაყოფიერების და მოზარდის შენარჩუნების მაჩვენებლების შესწავლა .	აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული XXVII 2025

რუსუდან ბარკალაია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის დეპარტამენტის უფროსი სოფლის მეურნეობის დოქტორი.

გამოქვეყნებული შრომები:

1. სასოფლო სამეურნეო ჯიშების კატალოგი. FAO რ. ბარკალაია ,გ. გოგოლი და სხვ. 2025 წ.
2. საქართველოს ინდუსტრიული სარძეო მემროხეობა; ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის ვებ გვერდი, <https://srca.gov.ge/files/>, ბარკალაია, გ.გოგოლი 2025 წ.

3.2. ვეტერინარიის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით გოდერძიშვილი)

3.3.

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა 8 წევრი: თენგიზ ყურაშვილი - სსმა აკადემიკოსი, ლევან მაკარიძე - სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორი, დავით გოდერძიშვილი - სეს-ის ვეტ. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჯამბულ მაღლაკელიძე -გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს- ს.მ და სურსათის დეპ. სურსათის უვნებლ. სამმართველოს მთ. სპეციალისტი, მერაბ ნათიძე - სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორი, ლევან ციციშვილი - ბერიტაშვილის სახ. ინსტიტუტის ვეტ. სპეციალისტი, მაია კერესელიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, სულიკო ბერიძე - აჭარის რეგჰიონის კოორდინატორი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1.	დ.გოდერძიშვილი. ვირუსული და პრიონული ზოონოზური დაავადებები	სახელმძღვანელო. თბილისი 2025 - გვერდი
2.	დ.გოდერძიშვილი. ვაქცინოლოგია	დამხმარე სახელმძღვანელო. ახალციხე 2025. - გვერდი
3.	თ.გავაშელი, დ. ხელაია.სათევზე ტბორების მელიორაცია	აგრარული საქართველო, თბილისი, 2025წ., №15. 27-29გვ.
4.	ყურაშვილი თ., ციციშვილი ლ., მაკარაძე ლ., სოხაძე მ., გიგაური ი. - ღორის აფრიკული ჭირი (პრობლემების მიმოხილვა).	ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სტატიების კრებული, გვ. 71-75; 2025.

5.	ყურაშვილი თ., ციციშვილი ლ., მაკარაძე ლ., ჩაჩუა ე., გიგაური ი. - გოჭების წვრილი ნაწლავის იზოლირებულ მარყუჟზე ეშერიხიების პათოგენობისა და ტოქსიურობის განსაზღვრა.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიმრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები
----	---	---

3.კონფერენციებში მონაწილეობა

#	კონფერენციის დასახელება	თარიღი
1.	Using WOAH Standarts to Ensure and Facilitate Safe International Trade	15 – 17 October 2025 Sutamore, Montenegro. მონაწილე
2	სამეცნიერო ფესტივალის - „მეცნიერება გვაერთიანებს“ ფარგლებში გამართული პროფესორ -მასწავლებელთა კონფერენცია	19 სექტემბერი 2025 წ. ახალციხე, დ.ხელაია
3	„მაკრომორფოლოგიური ცვლილებები ღორის აფრიკული ჭირის დროს“.	პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. მეცნიერების ფესტივალი - „მეცნიერება გვაერთიანებს“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2025 წლის 19 სექტემბერი ლევან მაკარაძე
4	„ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოს ტუბერკულოზის მაღალი რისკის რეგიონებში (პროექტი # FR-22-6780 შუალედური შედეგების მიხედვით)“.	პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. მეცნიერების ფესტივალი - „მეცნიერება გვაერთიანებს“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2025 წლის 19 სექტემბერი ლევან ციციშვილი
5	Zoonotic Tuberculosis in High Burden TB Regions of Georgia”.	International multidisciplinary school conference of biomedicine. 19-22 ივლისი, 2025, შეკვეთილი, საქართველო; ლევან ციციშვილი,
6	„Genetic Diversity and Zoonotic Relevance of Mycobacterium bovis in Georgian Livestock: A One Health Surveillance Framework“.	„ONE-Bridge: European One Health Conference: Bridging Human, Animal, and Environmental Health“. 8 – 11 დეკემბერი, პატრასი, საბერძნეთი, ლევან ციციშვილი,

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

თემა: „ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული ფურების რძის გამოკვლევა რგოლური რეაქციით" - ხელმძღვანელი დ.გოდერძიშვილი

5.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

დავით გოდერძიშვილი - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, სრული პროფესორი.

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

დემნა ხელაია - არის სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, სრული პროფესორი.

ლევან ციციშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, პროფესორი.

ხელმძღვანელობს ვეტერინარიის სამაგისტო-საგანმანათლებლო პროგრამას.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

დ. გოდერძიშვილი, დ. ხელაია - მონაწილეობდნენ აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) პროექტის: „ვეტორული დაავადებების ზედამხედველობა საქართველოში, თურქეთსა და აზერბაიჯანში“ დამუშავებაში.

დ.ხელაია არის DTRA პროექტის: „კომპლექსური ეპიდემიოლოგიური კვლევა და კონტროლი თურქეთის დაავადებაზე სომხეთსა და საქართველოში“. შემსრულებელი.

ლ. ციციშვილი - „ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოს ტუბერკულოზის მაღალი რისკის რეგიონებში“ # FR-22-6780;

ლ. ციციშვილი მისი პროექტია №MES-CIF-2-37 საგრანტო პროექტი - „InnovaVet: ვეტერინარული განათლების პროგრამების განვითარება“ ფარგლებში.

ლ. ციციშვილი მისი პროექტია SRNSFG FR-24-19793 – ველური ცხოველების ტუბერკულოზი საქართველოში და მისი ჯანმრთელობის ტვირთი. ინსტიტუტები: IBCEB; NCDC

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

დ. გოდერძიშვილი არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე რა გააკეთა საანგარიშო პერიოდში.

დ. ხელაია არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი რა გააკეთა საანგარიშო პერიოდში.

ლ. ციციშვილი არის ვეტერინართა და ვეტერინარ ტექნიკოსთა პროფესიული განვითარებისა და სასერტიფიკაციო საბჭოს წევრი, აგრეთვე მონაწილეობს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ სამართლებრივი აქტების დადგენილ ვადებში მომზადების უზრუნველყოფის მიზნით და ი ფუტკრის დაავადება ტროპიკელაფსოზის გავრცელების თავიდან აცილებისა და არსებული კერების მინიმალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში

3.3. მეაბრეშუმეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი დოქტორი ნარგიზა ბარამიძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 9 წევრი - ნარგიზა ბარამიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის მეცხოველეობის და საკვებწარმოების კვლევის დეპარტ. უფროსი სპეციალისტი, ამავე დეპარტამენტის სპეციალისტები, მაგისტრები: შორენა ხარატიშვილი, ლია მძელური, როენა ბოკუჩავა, მაკა სვანიძე და მაია მარტოძე,- საუ-ის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი ზოია წყარუაშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი; მაია ხუციშვილი - საუ-ის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი, ირაკლი გუჯაბიძე - აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	N. Baramidze, L. Mdzeluri, S. Kharatishvili, M. Martodze.Improvement of Old Silkworm Breeds Received by Folk Selection	Proceedings of the11 th BACSA AND ARACNE PROJECT INTERNATIONAL CONFERENCE, “CULTUSERI” 2025, Tbilisi, P.p.128-132
2	L. Mdzeluri, N. Baramidze, T. Dalalishvili, Sh. Kharatishvili.Research of Georgian mulberry gene pool in the regions of Shida and Kvemo Kartli	Proceedings of the11 th BACSA AND ARACNE PROJECT INTERNATIONAL CONFERENCE, “CULTUSERI” 2025, Tbilisi, P.p.76-80

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
	თუთის აბრეშუმხვევის ქართული გენოფონდი	მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის(BACSA) მე-11 კონფ.	16-21 ნოემბ.2025	ნ.ბარამიძე
2	თუთის ქართული ჯიშები შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში	მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის(BACSA) მე-11 კონფ.	16-21 ნოემბ.2025	ლ.მძელური
3	თუთის აბრეშუმხვევის კრიოკონსერვაციის შედეგები	მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის(BACSA) მე-11 კონფ.	16-21 ნოემბ.2025	მ.ხუციშვილი
4	თუთის ჯიშების კვლევა	მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის(BACSA) მე-11 კონფ.	16-21 ნოემბ.2025	ი.გუჯაბიძე

- საგრანტო ხელშეკრულება №101095188 - ის დაფინანსებით შევაროვეთ მასალები და გამოვეცით ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ალბომი - „თუთის აბრეშუმხვევის ქართული გენოფონდი“, რომელშიც დახასიათებულია ჯიშები, რომლებიც დღემდე შემონახულია საქართველოში.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ჯგუფის ყველა წევრი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ №101095188 გრანტის პროექტში

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

პერიოდულად დარგის კოორდინატორის მიერ ხდება უცხოელი კოლეგების დისერტაციების რეცენზირება და ექსპერტიზა, მიმდინარე წელს 3 უზბეკი და 1 ტაჯიკი კოლეგის დისერტაციების რეცენზირება.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

დარგის კოორდინატორი და წილკნის ლაბორატორიის ჯგუფი მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში და რასაკვირველია მის მუშაობაში მონაწილეობს.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიაში მიმდინარეობს თუთის აბრეშუმხვევის გენოფონდის 70-მდე ჯიშის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სამუშაოები. დღეს გენოფონდში დაცულია ხალხური სელექციით გამოყვანილი ჯიშები, ასევე მეცნიერული სელექციით მიღებული ჯიშები: თბილნიიშ-3, ქართლი, ივერია, თბილისური, დილომის ოჯახი 8 ჯიშის რაოდენობით, მზიურის ოჯახი 8 ჯიშის რაოდენობით. ბოლო დროს გამოყვანილი ჯიშები: გარეჯი, კოლხური, შულავერი, კახეთი, მიმდინარეობს მათი დოკუმენტაციის მომზადება „საქპატენტში“ დასარეგისტრირებლად. ასევე მნიშვნელოვანია ვ. სტრუნნიკოვისა და ა.ძნელაძის მიერ მიღებული გრენის ფაზაში ნიშანდებული ჯიში, რომელიც საკმაოდ ხანდაზმულია და მიმდინარეობს მუშაობა მის გაუმჯობესებაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უძველესი ხალხური სელექციით გამოყვანილი ჯიშები: „კახური მწვანე“ და „ქუთაისის ნარინჯისფერი“, რომლების საკოლექციო გამოკვებაში გადაცემული იქნენ 1893-1895 წლებში.

წილკნის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის ჯგუფი შრომობს როგორც მეაბრეშუმეობის, ასევე მეთუთეობის ხაზით, ყოველწლიურად მიმდინარეობს აბრეშუმის ჭიის გამოკვება და მომდევნო თაობის გრენის, ასევე თუთის თესლის დამზადება, თესვა, მყნობა, გადარგვა და სხვა უამრავი სამუშაოები აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის გასაძლიერებლად. თუთის აბრეშუმხვევიას აღნიშნული გენოფონდი ერთადერთია საქართველოში და მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანია მეაბრეშუმეობის აღორძინების საქმეში.

ლაბორატორიას ხშირად სტუმრობენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და მეაბრეშუმეობის დარგით დაინტერესებული პირები.

10.სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

მიმდინარე წელს მაისის თვეში მეაბრეშუმეობის ლაბორატორიიდან აბრეშუმის ჭია იქნა გაცემული ახმეტის რაიონის მეაბრეშუმეებზე, სადაც მიიღეს გარკვეული რაოდენობით პარკი, დაახლოებით 30 კგ.

ჯგუფის წევრების მიწვეულნი იქნენ ახმეტის რაიონის მეაბრეშუმე ფერმერებისათვის კონსულტაციის გასაწევად, დაინტერესებულ პირთა რაოდენობა დიდი იყო, 45-50 კაცი. შემოწმებული იქნა ფერმერთა საჭიე ბინები და რჩევები იქნა მიცემული.

გარდა ამისა წილკნის ლაბორატორიაში ხშირია ტელევიზიების სტუმრობა,მათ მიერ ტელევიზიაში გაშვებულ სიუჟეტებს მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებით დიდი გამოხმაურება და დადებითი კომენტარი მოჰყვა.

დარგის კოორდინატორი ნ.ბარამიძე მიწვეული იყო პირველი რადიოს პიკის საათის ეთერში, სადაც საუბარი ჰქონდა მეაბრეშუმეობის დარგის ისტორიაზე საქართველოში.

20 სექტემბერს ახმეტაში ჩატარდა „აბრეშუმის ფესტივალი“, სადაც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ლაბორატორიის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები რამაზ თავართქილაძე და დოქტორი მათა ფეიქრიშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა აგრეთვე 4 წევრი: ლიზა ბალიაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/მ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კონსულტანტი, ნინო ყიფიანი - ვეტერინარიის დოქტორი, საქ.სურსათის-ეროვნული სააგენტოს ფუტკრის დაავადებთა ექსპერტი, თემურ ლოლობერიძე-საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	მ. ფეიქრიშვილი - ფუტკრის კვებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი თავიდან აცილების გზები	ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „აგრო“ შრომათა კრებული 2025 გვ.3-6

საკოორდინაციო ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებული იქნა ლექცია საუბრები კახეთის რეგიონში , კერძოდ კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში თემაზე: საფუტკრე მეურნეობების სწორად მოწყობის, ადგილის შერჩევის, ზოოჰიგიენური და ვეტ-სანიტარული ნორმების დაცვა“-ის შესახებ.

მარტის თვეში ჯგუფის წევრი ნინო ყიფიანი მიწვეული იქნა კახეთის რეგიონში, გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ფუტკრის დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესწავლია მიზნით.

17 აპრილს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა დასავლეთ საქართველოში ფუტკრის ინვაზიური დაავადების, ტროპიკულაფსოზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიება, სადაც ნინო ყიფიანმა და დარეჯან ბალიაშვილმა მიიღეს მონაწილეობა;

მაისის თვეში იმერეთიდან მეფუტკრეების მხრიდან მომართვის გამო ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ მეფუტკრეობაში გავრცელებული პარაზიტული დაავადების-ტროპიკულაფსოზის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ჯიხაიში.

ივნისის თვეში ფერმერთა მომართვიანობის საფუძველზე იგივე საკითხზე იმყოფებოდნენ სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში;

აგვისტოს თვეში სპეცილისტები იმყოფებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფუტკრის დაავადება ტროპიკულაფსოზის საწინააღმდეგო პრეპარატის გამოცდის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. კვლევები გრძელდება, პრეპარატი საწარმოო გამოცდისათვის დაურიდდათ მეფუტკრეებს, როგორც დასავლეთ ,ისე აღმოსავლეთ საქართველოში;

ოქტომბრის თვეში ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ სამეგრელო ზემო სვანეთში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტროპიკულაფსოზსთან დაკავშირებულ ეპიზოოტიური მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

ნოემბრის თვეში ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსთან ბატონ დემნა ხელაიასთან ერთად ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ გურიის რეგიონში ქ. ოზურგეთში მეფუტკრეთა გაერთიანების ყოველწლიურ მამუტაბურ საანგარიშო შეხვედრაზე, სადაც წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები ფუტკრის დაავადებების შესახებ.

4. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება

განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

4.1. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაზა მახარობლიძე)

ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე 8 წევრი: სმმა აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე, ოთარ ქარჩავა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ომარ თედორაძე - სმმა წევრ-კორესპონდენტი, ნუგზარ ებანოიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ვლადიმერ მირუაშვილი, ინჟინერიის დოქტორი, გიორგი ქუთელია - ინჟინერიის დოქტორი, მამუკა ბენაშვილი - სმმა სტიპენდიატი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი - ინჟინერიის დოქტორი, იოსებ აბულაძე- აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის დირექტორის მოადგილე.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	J. Kacitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia „Restoration of working bodies and parts of agricultural machinery by submerged arc welding using a modified installation using local raw materials”	ჟურნალი AGRICULTURAL MACHINERY 2025 Year LXXI, ISSN print : 2603-3704, ISSN web 2603-3712; Issue 1, 2025 ბულგარეთი, ვარნა
2	J. Kacitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia „Research and optimization of adhesion strength of metal coatings obtained by electric spark alloying using multifactorial experimental design“	ჟურნალი AGRICULTURAL MACHINERY 2025 Year LXXI, ISSN print : 2603-3704, ISSN web 2603-3712; Issue 1, 2025

3	ოთარ ქარჩავა. სამუშაოთა უსაფრთხოება მარცვალსაწმენდ და საშრობ კომპლესებზე.	ქ. აგრარული საქართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. #5 (140) მაისი, 2025;
4	ოთარ ქარჩავა. უსაფრთხოების ზომები მექანიზებული სამუშაოების შესრულებისას	ქ. აგრარული საქართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. #4 (139) აპრილი, 2025;
5	ოთარ ქარჩავა. უსაფრთხოების ზომები მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისას	ქ. აგრარული საქართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. #3 (138) მარტი, 2025;
6	ოთარ ქარჩავა მცირე მექანიზაცია ფერმერული მეურნეობებისთვის	ქ. აგრარული საქართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. №7 (154) ივლისი, 2025;
7	O.Karchava. DETERMINATION OF THE RATE OF WORKING SOLUTION AND ACTUAL FUEL CONSUMPTION DURING SPOT POISONING AGAINST BROWN MARMORATED STINK BUG.	Proceedings of II International Scientific and Practical Conference Tokyo, Japan 9-11 October 2025;
8	ოთარ ქარჩავა. თერმული ნისლის გამოყენებით ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლისას შემსხურებელი აგრეგატების საწვავის და შესაწამლი სითხის ხარჯის პროგნოზირება.	ქ. აგრარული საქართველო. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. №11 (158) ნოემბერი, 2025
9	Jemal Katsitadzel, Zaur Phutkaradzel, Giorgi Kutelia2. Restoration of working bodies and parts of agricultural machinery by submerged arc welding using a modified installation using local raw materials	XIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS AGRICULTURAL MACHINERY. Proceedings of the conference.
10	Jemal Katsitadzel, Zaur Phutkaradzel, Giorgi Kutelia2. Research and optimization of adhesion strength of metal coatings obtained by electric spark alloying using multifactorial experimental design.	XIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS AGRICULTURAL MACHINERY. Proceedings of the conference.
11	Karchava Otar, Iakobashvili Giorgi, Kutelia Giorgi. DETERMINATION OF THE RATE OF WORKING SOLUTION AND ACTUAL FUEL CONSUMPTION DURING SPOT POISONING AGAINST BROWN MARMORATED STINK BUG, TAKING INTO ACCOUNT OPERATING CONDITIONS.	"Science, Technology and Global Challenges". Collection of Works.
12	ოთარ ქარჩავა, გიორგი იაკობაშვილი, გიორგი ქუთელია, თამარ სანიკიძე. თერმული ნისლის გამოყენებით ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლისას შესხურებული აგრეგატების საწვავის და შესაწამლი სითხის ხარჯის პროგნოზირება სამთო პირობების გათვალისწინებით.	სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. აგრარული საქართველო. №11 (158) ნოემბერი
13	Jemal Katsitadzel, Zaur Phutkaradzel, Giorgi Kutelia2. Research and optimization of adhesion strength of metal coatings obtained by electric spark alloying using multifactorial experimental design.	Mechanization in agriculture & Conserving of the resources Vol. 69 (2025), Issue 2.
14	Jemal Katsitadzel, Zaur Phutkaradzel, Giorgi Kutelia2. Restoration of working bodies and parts of agricultural machinery by submerged arc welding using a modified installation using local raw materials	Mechanization in agriculture & Conserving of the resources Vol. 69 (2025), Issue 1
15	Z.Makharoblidze. THE THEORY OF CUTTING SOIL WITH A CONICAL WORKING BODY	SCIENTIFIC ACHIEVEMENTS OF CONTEMPORARY SOCIETY. Proceedings of VII International Scientific and Practical Conference London, United Kingdom 6-8 February 2025
16	Z.Makharoblidze. Adapter block - modular tractor	XIII International Scientific and Practical Conference "SCIENTIFIC ACHIEVEMENTS OF CONTEMPORARY SOCIETY", July 24-26, 2025, London,

2. პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

#	გამოგონების/ჯიშის დასახელება, თარიღი	ავტორი
1	P 2025 7773 B მოწყობილობა მრავალწლიანი ნარგავების სექციისაგან დასაცავად. რეგისტრაციის თარიღი: 03-06-2025	აღ. ხარიბეგაშვილი; ვ. მირუაშვილი; გ. ქუთელია; შ. ჭკადუა; ლ. შავაძე;
2	P 2025 7798 B მწვანე ჩაის ფოთლის დახარისხების ნაკადურ-ტექნოლოგიური ხაზი	ვ. მირუაშვილი, ლ. უჯმაჯურიძე

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	Restoration of working bodies and parts of agricultural machinery by submerged arc welding	XIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS AGRICULTURAL MACHINERY. VARNA, BULGARIA	25.06 – 28.06 2025,	Jemal Katsitadze Zaur Putkaradze Giorgi Kutelia
2	Research and optimization of adhesion strength of metal coatings obtained by electric spark alloying using multifactorial experimental design“	იქვე”		j. Kacitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia
3	DETERMINATION OF THE RATE OF WORKING SOLUTION AND ACTUAL FUEL CONSUMPTION DURING SPOT POISONING AGAINST BROWN MARMORATED STINK BUG, TAKING INTO ACCOUNT OPERATING CONDITIONS.	Proceedings of II International Scientific and Practical Conference Tokyo, Japan;	9-11 October 2025	O. Karchava
4	DETERMINATION OF THE RATE OF WORKING SOLUTION AND ACTUAL FUEL CONSUMPTION DURING SPOT POISONING AGAINST BROWN	II Міжнародна науково-практична конференція «SCIENCE, TECHNOLOGY AND GLOBAL	2025	Karchava Otar, Iakobashvili Giorgi, Kutelia Giorgi.

ოთარ ქარჩავა, პროექტის დასახელება: ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებში თანამედროვე მექანიზებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებების სრულყოფა-ადაპტაცია სამთო პირობებში და მათი ბიოენერგეტიკული შეფასება, სოფლის მეურნეობის ს/კ/ ცენტრი, პროექტის ხელმძღვანელი.

ზაზა მახარობლიძე - ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სარწყავი არხების მოწყობა და მცენარეთა ფესვთა სისტემის ნიადაგში დაქუცმაცება მიეკუთვნება კულტურულ-ტექნიკური სამუშაოებს. ამ სამუშაოების შესრულების მიზნით დამუშავებულია პასიური და აქტიური მუშა ორგანოებიანი სხვადასხვა ტიპის მანქანები. დამუშავებულია კონუსურ მუშა ორგანოებიანი ნიადაგდამამუშავებელი მანქანის კონსტრუქცია. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც არხების მოსაწყობად ისე ფესვთა სისტემის დასაქუცმაცებლად მუშა ორგანოს დაქუცმაცების კამერის გარსაცის მოხსნის ან გარსაცმით აღჭურვის შემთხვევაში. ნაშრომში მოცემულია ნიადაგის ჭრის პროცესის ძალური გაანგარიშების თეორია, განხილულია კონუსური მუშა

ორგანოს ნიადაგში მუშაობის პროცესი და განსაზღვრულია ნიადაგის ჭრის ფიზიკური მახასიათებლები. დარტმის თეორიის გამოყენებით მიღებულია ნიადაგის ჭრის ძალის საანგარიშო ანალიტიკური გამოსახულება, რომელიც ითვალისწინებს დარტყმაში მონაწილე მუშა ორგანოსა და დასამუშავებელი მასალის ფიზიკო-მექანიკურ მახასიათებლებს.

ბ) ჭარბტენიან ნიადაგებში სატრაქტორო აგრეგატების ეფექტურად გამოყენების მიზნით დამუშავებულია ტრაქტორის (თვითმავალი შასი) წევის ძალის რეალიზაციის ეფექტურობის გაზრდის მეთოდი. მაღალკლირენსიანი თვითმავალი შასისათვის დამუშავებულია უნივერსალური საკიდი სისტემის კონსტრუქცია, სადაც საკიდი სისტემის გრძივი წევები ჩაბმულია არა ტრაქტორის ბლოკზე არამედ ტანდემთვლიანი სავალი სისტემის რედუქტორის კორპუსზე, რაც აუმჯობესებს კაკვზე წევის ძალის რეალიზაციის შესაძლებლობას. თორიულად გამოკვლეულია ტრაქტორის მდგრადობა და წევითი მახასიათებლები. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის „თვითმავალი შასისთვის ტანდემთვლიანი სავალი ნაწილის კონსტრუქციის დამუშავება და წევითი მაჩვენებლების კვლევა“ ფარგლებში შეიქმნება ტრაქტორის ტანდემთვლიანი სავალი ნაწილის ექსპერიმენტული მოდელი და მოხდება მისი დინამიკური გამოკვლევა.

გ) სამეცნიერო კვლევა მიემდგვნა ასევე თვითმავალი შასების კონსტრუქციების (სამრეწველო ნიმუშების) ბლოკ-მოდულური პრინციპით შექმნის ახალი მეთოდიკის დამუშავებას. აღნიშნული მეთოდოლოგია მიზნად ისახავს არა სპეციალური შასების წარმოებას არამედ სტანდარტული (4x2) თვლის ფორმულის კლასიკური ტრაქტორისაგან სასურველი მოდელის (მაღალკლირენსიანი, მაღალკლირენსიანი) თვითმავალი შასის შედგენას. კონსტრუქციების ასეთი მიდგომა ეფექტურია ისეთი ქვეყნებისათვის რომლებსაც არა აქვთ განვითარებული მანქანათმშენებლობა და აწარმოებენ ისეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რომელთა წარმოებისათვის მოითხოვება მოვლა-მოყვანის განსხვავებულ მანქანათა სისტემა. დღეის მდგომარეობით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დონე არის დაბალი, ამიტომ მისი ეტაპობრივი განვითარებისა და პარალელურად სასოფლო-მეურნეობის საწარმოების „ადაპტირებული“ ტექნიკით მომარაგების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია მანქანათმშენებელ საწარმოებში (მეორე დონე) დაინერგოს ადაპტური ტექნიკის დამუშავების შემოთავაზებული მეთოდები.

გიორგი ქუთელია. სამეცნიერო კვლევით ცენტრში, აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურში, პოზიციით უფროსი სპეციალისტი ჩართული ვარ სამეცნიერო კვლევით პროექტში: „ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებში თანამედროვე მექანიზებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებების სრულყოფა-ადაპტაცია სამთო პირობებში და მათი ბიოენერგეტიკული შეფასება“ პროექტის ხელმძღვანელი: აგროსაინჟინრო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავასიის უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ქარჩავა. ერთ-ერთ ძირითად შემსრულებლად. ასევე ვეწევი სამეცნიერო საქმიანობას საგრანტო პროექტების მომზადებასა და შესრულებაში. გამოგონებებზე მუშაობას და...სხ.

ი. აბულაძე (რ. მარგალიტაძესთან ერთად) აგრძელებს მუშაობას თემაზე: „სილოსის წარმოება სასილოსე ტომრებში“

4.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ზაურ ფუტკარაძე- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

ოთარ ქარჩავა- კავასიის უნივერსიტეტის სრული პროფესორი - შრომის და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი

5.მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ზ. ფუტკარაძე - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, პროექტის ხელმძღვანელი “ანტიეროზიული რესურსდამზოგი სასოფლო სამეურნეო აგრეგატის დამუშავება და მისი პარამეტრების ოპტიმიზაცია”

ო. ქარჩავა - მსოფლიო ბანკის პროექტი „ნიადაგის დამუშავება - კლიმატის ცვლილებისადმი ჭკვიანი ტექნოლოგიები ნიადაგის დამუშავებისთვის (მარცვლეული, იონჯა, ყურძენი, თხილი, კურკოვანი ხილი)““

გ. ქუთელია მონაწილეობს ორ პროექტში:

ა) შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი: თემა „სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“ - მასპინძელი დაწესებულება: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ბ) შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის (ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი) 2025 წელი. თემა თხილის ამკრეფ გამრჩევი მოწყობილობა. პროექტის ხელმძღვანელი.

ზ. მახაროზიძე: მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის გრანტში: „თვითმავალი სასისთვის ტანდემთვლიანი სავალი ნაწილის კონსტრუქციის დამუშავება და წვეთი მარცვლებების კვლევა“. როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი.

7. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

ზ. ფუტკარაძე- არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრი

9.სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

ზ. ფუტკარაძე-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ლურჯი მოცვის დასარგავად ნიადაგის მომზადების ტექნოლოგიის და მანქანათა სისტემის საჩვენებელი, პრაქტიკული და სავლე სამუშაოების ჩატარება შპს ნერგი-ს ბაზაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში.

ო. ქარჩავა- სატელევიზიო გამოსვლები მემცენარეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების მიმართულებით. 2 გადაცემა.

4.2. ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის მიმართულების დარგობრივი ჯგუფის (კოორდინატორი: პროფესორი თამაზ ბიჭიაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ ცხრა წევრი - მეცნიერებათა დოქტორები ალექსანდრე დიდებულისძე, გელა ჯავახიშვილი, ნუგზარ ბერიძე, მეცნიერებათა კანდიდატები თამაზ ბიჭიაშვილი, ეკა რურუა და ჯიმშერ სირაძე, აკადემიური დოქტორი ედიშერ მიდელაშვილი, ინჟინრები გელა ნატროშვილი, ჯაბა ჯამაგიძე და ალექსანდრე ანასოვი რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	თემის დასახელება	გამომცემლობა
1	თ.ბიჭიაშვილი, შ.ბიჭიაშვილი. ფიტოტესტერი-მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი	რეკომენდაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 2025, 39 გვ.
2	გ.ჯავახიშვილი, ა.დიდებულისძე, ვ.ზვიადაური. უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობის ელექტრო-მაგნიტური ვიბროამძრავი სოფლის მეურნეობაში	რეკომენდაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2025. – 92 გვ.

3	Chelidze M., Zviadauri V., Natriashvili T., Didebulidze A., Javakhishvili G., Kuntchulia T. Vibrational Transport of Materials Considering the Physical and Mechanical Characteristics of the “Material-Working Element” System.	Transport Problems, Poland, Volume 20 Issue 4, 2025 – pp. 181-193, DOI: 10.20858/tp.2025.20.4.15
---	--	--

2.პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

#	გამოგონების/ჯიშის დასახელება, თარიღი	ავტორი
1	საერთაშორისო საპატენტო განაცხადი PCT GE 2025 050006 „AI Platform for Soil-Plant-Atmosphere Signal Integration and Predictive Agroanalytics“	თამაზ ბიჭიაშვილი, შალვა ბიჭიაშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, ვალერიან ცანავა

3. კონფერენციებში მონაწილეობა

თ.ბიჭიაშვილი 2025 წლის 7-13 ივნისს სამუშაო მივლინებაში იმყოფებოდა დანიაში, სადაც ჩატარდა ფიტოტესტერისა და მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდის აპრობაცია/გამოცდები სასოფლო სამეურნეო და დეკორატიულ მცენარეებზე ევროკავშირის ექსპერტთა მიერ.

4.სამეცნიერო მუშაობა

ალექსანდრე დიდებულიძე და **გელა ჯავახიშვილი** აგრძელებდნენ მუშაობას კუთხით რხევადი და უკუქცევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორების და ამ ვიბრატორებით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალი კონსტრუქციების შესაქმნელად, აგრეთვე მათი მუშაობის რეჟიმების შესასწავლად. დამუშავებული კონსტრუქციები მუშაობენ მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ რეზონანსთან მიახლოებულ რეჟიმში, შესაბამისად ხასიათდებიან ენერჯის მინიმალური დანახარჯებით და აგრეთვე გაზრდილი საიმედოობით.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **თამაზ ბიჭიაშვილი** საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მუშაობს მემცენარეობაში ექსპერიმენტთა ავტომატიზაციის საკითხებზე. კერძოდ მისი ხელმძღვანელობით: ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების მაგისტრანტებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა 10 არხიანი პორტატული/მობილური საინფორმაციო-გამზომი სისტემა „ფიტომონიტორი“-ს სენსორებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფაზე; პატენტით და სასაქონლო ნიშნით დაცული ფიტოტესტერის გამოყენებით დამუშავდა ვაზის სამყნობი კომპონენტების ვარგისიანობის შეფასების, მცენარის ნამყენი ნერვის ცხოველქმედების განმსაზღვრელი და მცენარეთა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდები. აღსანიშნავია, რომ მცენარიდან ბიოფიზიკური და ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაციის გზით ინფორმაციის მიღება ხორციელდება დაკვირვების ობიექტის ბიოლოგიური მთლიანობის დარღვევის გარეშე.

აკადემიური დოქტორი **ედიმერ მიდელაშვილი** არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კ. ამირაჯიბის ინჟინერიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

5.პედაგოგიური საქმიანობა

პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **გელა ჯავახიშვილი** როგორც ავილირებული პროფესორი 2023/2024 სასწავლო წლიდან საქართველოს უნივერსიტეტის (სუ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში კითხულობდა ლექციებს საგნებში: „წრედთა თეორია“; „ელექტროტექნიკური მასალები“; „შრომის უსაფრთხოება“; „ტექნიკური წერა“;

მომზადა ადნიშნულ საგნებში სილაბუსები და სალექციო კურსები, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე როგორც მოწვეული პროფესორი კითხულობდა ლექციებს საგანში: „ელექტრომომხმარების ტექნოლოგიები“.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი **თამაზ ბიჭიაშვილი** ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებთან კითხულობს ლექციებს საგნებში: „საინჟინრო გაზომვები და სენსორები“, „ზოგადი ფიზიკა“, ხოლო მაგისტრანტებთან საგნებში: „საინჟინრო გაზომვის თანამედროვე მეთოდები“ და „კვლევის მეთოდოლოგია“.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ეკა რურუა** კითხულობდა ლექციებს და ატარებდა სემინარებს ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის და მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის საგნებში „ელექტრული წრედები“ (ორი ნაწილი) და „ელექტრომექანიკა“.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი აკადემიური დოქტორი **ედიშერ მიდელაშვილი** არის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. პარალელურად არის სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის "ელექტრიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი და კოლეჯის დირექტორის მოადგილე.

ინჟინერი **გელა ნატროშვილი** არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ელექტრო და ელექტრონული ინჟინერიის ლაბორატორიის უფროსი, აგრეთვე საათობრივი ანაზღაურების წესით ატარებს მეცადინეობებს საგნებში: „ელექტრული წრედების თეორია“, „ანალოგური და ციფრული წრედები“, „ელექტროტექნიკური მასალები“.

ინჟინერი **ალექსანდრე ანასოვი** საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს სტუდენტთა საკურსო სამუშაოების შესრულებას.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

გ.ჯავახიშვილი და ა.დიდებულიძე მონაწილეობდნენ როგორც შემსრულებლები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტი FR 24-14148: ვიბრაციული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური კვლევა და ახალი, მაღალეფექტური მოწყობილობების დაპროექტება. რაფიელ დვალის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2025 წლის თებერვალი-2027 წლის 31 დეკემბერი.

თამაზ ბიჭიაშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ორ პროექტს:

1. ინოვაციური ტექნოლოგიების ტრანსფერის პროექტი - ფიტოტესტერი და მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური მეთოდი, **ვადები:** 2024-2025. პროექტი ეხება პორტატული ფიტოტესტერისა და მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური მეთოდის საერთაშორისო სასერტიფიკაციო აპრობაციას და ტექნოლოგიური მზაობის დონის შეფასებას TRL-ის 9 ბალიანი სკალის მიხედვით.

2. GITA-ს ინოვაციების თანადაფინანსების პროექტი - ფიტოტესტერი ფიტოტესტირების AI პლატფორმით. თამაზ ბიჭიაშვილი, შალვა ბიჭიაშვილი ლევან უჯმაჯურიძე, **ვადები:** 2025-2026, **ბიუჯეტი:** 150000 ლარი. ხელოვნურ ინტელექტთან ინტეგრირებული პორტატული ფიტოტესტერისა და მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური მეთოდების გამოყენება/დანერგვა სარგავი მასალისა და საყნობი კომპონენტების ცხოველქმედების მიხედვით გადარჩევის საქმეში - ფიტოტესტერის კომერციალიზაცია

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

თ.ბიჭიაშვილი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის, ბიოსამედიცინო ინჟინერიის, ფიზიკის, ბიოფიზიკის და ენერგეტიკის მიმართულებით. აგრარულ უნივერსიტეტში მან შეასრულა ორი სამაგისტრო ნაშრომის ექსპერტიზა.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

ა.დიდებულაძე არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის საგრანტო კომიტეტის წევრი.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

ჯგუფის წევრი, ინჟინერი **ჯაბა ჯამაგიაძე** დასაქმებულია ს.ს „თელასში“, ტექნიკური დანაკარგების გამოთვლის პროგრამის (ტდგ-3) და ელექტრონული ჟურნალის წარმოების კონტროლისა და აღრიცხვის ჯგუფის უფროსად.

10. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

პროფ. **თ. ბიჭიაშვილის** მიერ დამუშავებული და საქართველოს პატენტით დაცული ფიტოტესტერი დამზადებულ იქნა პორტატული/ჯიბის ხელსაწყო სახით. ფიტოტესტერის დანიშნულებაა მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკა მათი ცხოველქმედების საყოველთაოდ აღიარებული ინტეგრალური მახასიათებლების სიმშვიდისა და ქმედების ბიოელექტრული პოტენციალების მიხედვით. ფიტოტესტერის დანერგვა უზრუნველყოფს მემცენარეობის ტექნოლოგიურ პროცესთა ეფექტიანობის ამაღლებას, დისტანციური ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარებას და სხვა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს რეგიონალური საგრანტე კონკურსის ფარგლებში დამზადდა პორტატული ფიტოტესტერის 100-მდე ნიმუში და დაიწყო მოცემული ხელსაწყო კომერციალიზაცია, გაიყიდა რამოდენიმე ხელსაწყო.

4.3. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი ედუარდ კუხალაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი: **ედუარდ კუხალაშვილი** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე; **გივი გავარდაშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი; **შორენა კუპრეიშვილი** – ტექნიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ირიგაციისა და დრენაჟის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სტუ-ის ასოცირებული პროფესორი; **თამუნა სუპატაშვილი** – აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი; **გიორგი ნატროშვილი** – აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

1. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

მრავალი სამეცნიერო დაწესებულებისა და საპროექტო ორგანიზაციის ძალისხმევით ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობის მდგრადი შენარჩუნება სათანადო დონეზე. ხშირია დაუსაბუთებელი მეთოდებით სამელიორაციო ღონისძიებების შერჩევის შემთხვევები. ექსპლუატაციაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ფართობების და გარემოსდამცავი ნაგებობების უმრავლეს ნაწილს ამოწურული აქვს მდგრადობის რესურსი. ეროზიულ ზემოქმედებას განიცდის მთისა და მთისწინა ზონის დიდი ნაწილი. დასარეგულირებელია ბუნებრივი ანომალიების გავლენა რწყვის პროცესებსა და საანგარიშო მახასიათებლებზე.

საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო გეგმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგროინჟინერიის სისტემების მმართველ და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების კოორდინაციის გაძლიერებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, აგროინჟინერიაში იგი ორიენტირებულია ინოვაციური მეთოდოლოგიის და მეთოდების დანერგვაზე, ლანდშაფტური ინფრასტრუქტურის მდგრადობის თეორიული მოდელების დაზუსტებაზე, აგროინჟინერიის პროგრამების შექმნაში აკადემიის როლის ამაღლებაზე.

2. გამოქვეყნებული შრომები:

№	ავტორ(ებ)ი, სათაური	ჟურნალის დასახელება, გამომცემლობა
1	გავარდაშვილი გ. მდინარე ნაკრას (ზემო სვანეთი) წყალშემკრებ აუზში ეროზიისა და ღვარცოფის პროცესების პროგნოზირება და შეფასება	მე-12 საერთაშორისო კონფერენციის „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, მშენებლობისა და არქიტექტურის თანამედროვე პრობლემები“ შრომათა კრებული. გამომც. „საჩინო“
2	კვიციანი ხ., კუპრეიშვილი შ., სიჭინავა პ., სუპატაშვილი თ. ზედაპირული ირიგაციის ეკოლოგიური რისკების სავარაუდო შეფასება	იქვე
	ფეი ვ., ვუ ი., გავარდაშვილი გ. სივრცითი და დროითი ევოლუცია და ნიადაგის ეროზიის მამოძრავებელი მექანიზმი ჰუბეის პროვინციაში	იქვე, გვ. 165-170
3	გ. გავარდაშვილი, ს. მოდებაძე. მთის ფერდობების წყლისმიერი ეროზიული პროცესების კონტ-როლი ინოვაციური ღონისძიებების გამოყენებით	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“. გამომც. “Georgian academy press“. vol. 19(193), no. 1, თბილისი, 2025. გვ. 64-69
4	გავარდაშვილი გ. ქალაქ თელავის უსაფრთხოება ღვარცოფების დამანგრეველი ზემოქმედებისგან	8th International Conference “Debris Flows: Disasters, Risk, Forecast, Protection”, Tbilisi, 2025, October 6 – 10, გვ. 142 – 151.
5	გ. ნატროშვილი, მ. შავლაყაძე, გ. ომსარაშვილი ბორჯომის მინერალური წყლების დაცვა და ბორჯომის მინერალური წყლების დაცვა და ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნება	საერთაშორისო ჟურნალი ქიმია და ადამიანის ჯანმრთელობა, ISBN 978-9941-8-7588-5 გვ. 41-42
6	Gavardashvili G., Shavliashvili L., Kuchava G., Shubladze E., Rikadze Z., Kordzakhia G., Modebadze S. Study Of The Main Parameters Determining The Prediction Of Water Erosion Of Mountain Slopes	SGEM International Scientific Conferences on Earth & Planetary Sciences. Schoenborn Palace, Vienna, 03 - 06 December, 2025, 8 p.
7	Gavardashvili G., Lominadze T. , Surguladze G., Petriashvili L., Zhvania T. Integration of IoT and AI Technologies for Predicting the Ecological Status of Black Sea Water	International Conference on Computer and Applications Arab Open University – Kingdom of Bahrain – December 22-24, 2025 6 p.

8	გავარდაშვილი გ. წყლის რესურსების უსაფრთხოება მტკვრის წყალშემკრებ აუზში	Modern achievements and development directions of hydrometeorology. Republican scientific conference. Baku, Azerbaijan, 2025 pp. 269-273.
9	Gavardashvili G. Scientific study of Amelioration prob-blems in Georgia Taking into Account Climate Change	ICID, 4 th World Irrigation Forum (WIF4), 7-13 September 2025, Kuala Lumpur, Malaysia, 8 p.

3. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა:

№	მომხსენებელი და მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება	თარიღი, ადგილი
1	გავარდაშვილი გ. ქალაქ თელავის უსაფრთხოება ღვარცოფების დამანგრეველი ზემოქმედებისგან	მე-8 საერთაშორისო კონფერენცია „ღვარცოფები: კატასტროფები, რისკი, პროგნოზი, დაცვა“	Tbilisi, Georgia, 2025, October 6 – 10,
2	გავარდაშვილი გ.მდინარე ნაკრას (ზემო სვანეთი) წყალშემკრებ აუზში ეროზიისა და ღვარცოფის პროცესების პროგნოზირება და შეფასება	XII საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“	Tbilisi, Georgia, 2025, 14 – 16 July
10	ე.კუხალაშვილი. ღვარცოფებისგან დამცავი ნაგებობების ეფექტიანობის ამალღების ეკონომიკური მეთოდები	VIII საერთაშორისო კონფერენცია „ღვარცოფული ნაკადები: კატასტროფა, რისკი, პროგნოზი, დაცვა“	თბილისი 6-10 სექტემბერი
11	მ. შავლაყაძე, გ.ნატროშვილი წყალი როგორც მთის სტრატეგიული რესურსი: ბალნეოლოგიისა და კლიმატგამძლეობის ინტეგრირება ინტერდისციპლინურ სწავლებაში	საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი მთის მდგრადი განვითარების სწავლება-მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ინოვაციური მიდგომები აკადემიურ სივრცეში	30 ივნისი-01 ივლისი, 2025 წელი თბილისი, საქართველო
12	შ. კუპრეიშვილი. ეკოსაგანმანათლებლო ინოვაციები მთიანი რეგიონებისთვის: მდგრადობის სწავლების პერსპექტივები	იქვე	
14	ბ. სიჭინავა, პ. სიჭინავა, შ. კუპრეიშვილი ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი	I საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი „უახლესი სამეცნიერო კვლევები, თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები ბალნეოლოგიაში“	11-12 აპრილი, 2025 თბილისი, საქართველო
15	Gavardashvili G.V. Safety of Water Resources in the Mtkvari River Catchment Basin	Modern achievements and development directions of hydrometeorology. Republican scientific conference.	Baku, Azerbaijan, 2025
16	Gavardashvili G., Lominadze T. , Surguladze G., Petriashvili L., Zhvania T. Integration of IoT and AI Technologies for Predicting the Ecological Status of Black Sea Water	International Conference on Computer and Applications Arab Open University	Kingdom of Bahrain – December 22-24, 2025

17	Gavardashvili G. , Shavliashvili L., Kuchava G., Shubladze E., Rikadze Z., Kordzakhia G., Modebadze S. Study Of The Main Parameters Determining The Prediction Of Water Erosion Of Mountain Slopes	SGEM International Scientific Conferences on Earth & Planetary Sciences. Schoenborn Palace	Vienna, 03 - 06 December, 2025
----	--	--	--------------------------------

4. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

1. ედუარდ კუხალაშვილი – აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის პროფესორი;
2. გივი გავარდაშვილი – სტუ-ს სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის პროფესორი;
3. შორენა კუპრეიშვილი – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „წყლის რესურსების ინჟინერიის“ ხელმძღვანელი, მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. თამუნა სუპატაშვილი – სტუ-ს სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გიორგი ნატროშვილი – სტუ-ის სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეგენზირება და ექსპერტიზა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული რეგენზენტები (ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, შ. კუპრეიშვილი, თ. სუპატაშვილი, გ. ნატროშვილი).

8. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიმართულებით მენტორობა გაეწია 2 დოქტორს.

5. სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება

განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

5.1. სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსები ნუგზარ ბალათურია, თემურ რევიშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი:

- ბახვა დოლიძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი
- ზურაბ ანდლულაძე - მაგისტრი
- ეკატერინე გობრონიძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი
- დავით აფხაზავა - ტექნიკის აკადემიური დოქტორი
- რევაზ მახარაძე - მაგისტრი

რომლებიც ჩართულნი იყვნენ ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

დასახელება	გამომცემლობა
Impact of fixation method on catechin profile and antioxidant activity of Georgian green tea	Bioactive Compounds in Health and Disease 2025; 8(7): 257-268.DOI: https://doi.org/10.31989/bchd.8i7.1659
ხელის ჩაის საკრეფი ინოვაციური აპარატი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის "მომბე" № 1 (53), 2025, გვ. 37-42
აქტინიდიის (კივი) მინერალური კვება	Georgian Scientists. Vol. 7 Issue 2, 2025, 224-234. https://doi.org/10.52340/g.s.2025.07.02.21

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	Polyphenols, catechins, and antioxidant activity of Georgian green tea	35th International Conference of FFC - 23rd International Symposium of ASFFBC: "Functional Foods and Bioactive Compounds: Innovations in Health and Disease Prevention", Yerevan, Armenia	3-5 ოქტომბერი 2025	თ. რევიშვილი
2	Inverter Technology in Green Tea Production	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები“, თბილისი,	15 -17 ოქტომბერი 2025	ბ. დოლიძე
3	ჩაის ნედლეულის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები და მისი გაუმჯობესების გზები	საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საკვები პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები“, ქუთაისი	15-16 ოქტომბერი 2025	ე. გობრონიძე
4	ვერტიკალური ტიპის ჩაის საშრობი დანადგარი და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტის ეფექტი	იქვე		ზ. ანდლულაძე
5	ეთერზეთების რაოდენობრივი ცვლილებები დაფნის ფოთლის სხვადასხვა მეთოდით გადამუშავებისას	იქვე		დ. აფხაზავა
6	ჩაის მოვლა-მოყვანის და მოსავლის აღების ინოვაციური მრავალ-ფუნქციური მცირე სამექანიზაციო საშუალებები	იქვე		ბ. დოლიძე
7	Tea Culture in Georgia	იქვე		თ. რევიშვილი

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ჯგუფის წევრები ახორციელებენ კვლევებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

• ჩაის, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული ხეხილოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო,

ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება და სრულყოფა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით.

• ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხის მარცვლებების და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და დანადგარების კვლევა, დამუშავება და სრულყოფა.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

5.1. ჯგუფის წევრების მიერ (თ. რევიშვილი, ბ. დოლიძე, ე. გობრონიძე) შედგენილია პროფესიული გადამზადების პროგრამა - **ჩაის წარმოება (Tea Production)**, რომელიც შესაბამის ინსტანციებში გადის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

6.1. ჯგუფის წევრების მიერ (თ. რევიშვილი, ბ. დოლიძე, ზ. ანდლულაძე) კოლეგებთან ერთად შ. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის 2025 წ. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საპილოტე კვლევების კონკურსის პროგრამის ფარგლებში წარდგენილ იყო პროექტი „ხელის ჩაის საკრეფი აპარატი“.

6.2. ჯგუფის წევრები (თ. რევიშვილი და ბ. დოლიძე), რეგიონული დიაგნოსტიკის ცენტრის ფარგლებში, მონაწილეობდნენ “სვისკონტაქტ საქართველოს” (შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთობლივ პროექტში - „ფინანსური ინსტიტუტების მზადყოფნა, გატესტონ / დანერგონ არასაფინანსო პროდუქტები საკუთარ საოპერაციო პროცესში“

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

ჯგუფის მიერ რეცენზირებულია შემდეგი სამეცნიერო სამუშაოები:

7.1. შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ერთეულის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.2. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტის **ნ. ბურჯალიანის** სასურსათო ტექნოლოგიის (0721) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია „**მაღალი ბიოლოგიური ღირებულების რძემჟავა პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება**“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.3. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტის **ნ. ბურჯალიანის** სასურსათო ტექნოლოგიის (0721) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი „**მაღალი ბიოლოგიური ღირებულების რძემჟავა პროდუქტების ტექნოლოგიების შემუშავება**“ (გამოხმაურება - ე. გობრონიძე);

7.4. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების **ი. ბერულავას, გ. ფხაკაძის, მ. სილაგაძის, გ. ხეცურიანის** მონოგრაფიაზე „**პროფილაქტიკური რძემჟავა სასმელის ტექნოლოგია საქართველოს ბიორესურსების გამოყენებით: ინოვაციური მიდგომები და პრაქტიკული გადაწყვეტილებები**“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურსში აკადემიკოს **ნ. ბაღათურიას** საერთო რედაქციით და ავტორობით, ავტორთა ჯგუფთან ერთად, შესრულებულ სახელმძღვანელოზე „**კვების პროდუქტების ტექნოლოგია**“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის

გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურსში ტექნიკის დოქტორ თ. კობაიძის ნაშრომზე „მევენახეობა-მელვინეობის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.7. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“-ში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ი. ბერულავას, გ. ფხაკაძის, მ. სილაგაძის, ა. კალანდიას, გ. ხეცურიანის, ს. გაჩეჩილაძის სტატიაზე „საქართველოს ბიორესურსების ბაზაზე მაღალი ბიოლოგიური ღირებულების მინერალიზებული რძემჟავა სასმელის ტექნოლოგია“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.8. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“-ში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი თ. ღვინიაძის, მ. ქარჩავას, პ. ჩიქოვანის, შ. ჯინჯოლიას, ა. კალანდიას სტატიაზე „საქართველოში კულტივირებული ფერადი ყურძნის („ზებელ 5455“-ისა და „ოცხანური საფერეს“) მეორადი რესურსების ფენოლოური კომპლექსის კვლევა“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.9. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბე“-ში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი მ. ქარჩავას, ხ. ცაგარეიშვილის, ე. ბესელია, ხ. ხვადაგიანის, შ. ჯინჯოლიას, ნ. ბარათაშვილის, ა. კალანდიას სტატიაზე „ქართული ბროწეულის („საკერძე“) ქერქის ფენოლოური პროფილი და ანტიმიკრობული აქტივობა“ (რეცენზია - თ. რევიშვილი);

7.10. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო ჟურნალ - ბიულეტენში წარდგენილი შემდეგი ოთხი ნაშრომის რეცენზირება (თ.რევიშვილი):

- ლურჯი მოცვის როლი საოჯახო და ფერმერული მეურნეობის მდგრად განვითარებაში აჭარის რეგიონში;
- ფერმენტ კატალაზას აქტივობა ზოგიერთ ბოსტნეულ მცენარეში;
- პასტილის ახალი ასორტიმენტი ჩიას თესლის გამოყენებით;
- ცივრის ხორცის გამოყენების მიზანშეწონილობაზე ჯანსაღი საკვების წარმოებაში;

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

8.1. ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების საკითხზე, 2025 წ. 27 მარტს, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა მინისტრი დ. სონღულაშვილი. მონაწილეობდნენ: მინისტრის მოადგილე ლ. დოლიძე, მინისტრის მრჩეველი ო. კაჭარავა, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თ. სვანიძე და თ. რევიშვილი. აღინიშნა, რომ მიუხედავად ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის „ქართული ჩაი“ და სხვა პროგრამების ფარგლებში ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოებისა, სექტორში კვლავ რჩება გარკვეული გამოწვევები. რომელთა გადაწყვეტის მიზნით, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, მომზადდა და სამინისტროს განსახილველად წარედგინა დოკუმენტი - „მოსაზრებები საქართველოში ჩაის სექტორის განვითარების სტრატეგიის შესახებ“.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

9.1. საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით:

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დაარსებიდან 95 - წლისთავთან (1930-2025) დაკავშირებით, მკვლევართა ჯგუფმა (ისტორიის მკვლევარები: გაბრიელ ჩუბინიძე, გიორგი ჯავახიშვილი და დოკუმენტური კინოს რჟისორ-ჟურნალისტი დავით თამაზაშვილი), მოახდინა დოკუმენტური მასალის ჩაწერა ქართული ჩაის ისტორიაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, და ამ ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის, - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როლის შესახებ;
- საქართველოს თავისუფალი და გერმანიის ოსტფალიის უნივერსიტეტების ერთობლივი კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია ონლაინ არქივის შექმნა ყოფილი საბჭოთა მეურნეობების არქიტექტურული და სოციალური კვლევების საფუძველზე, სამეგრელოსა და გურიის რეგიონების მაგალითზე. პროექტში მონაწილე სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონელმა განახორციელა ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის

ინსტიტუტის თანამშრომლებთან ინტერვიუების, სამუშაოების მიმდინარეობის, ინსტიტუტის კორპუსების და მიმდებარე ტერიტორიის დოკუმენტირება.

10. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

10.1. მწვანე ჩაის წარმოებაში ინვერტორული ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტიანობის ამალღების მიზნით შესაბამისი ტექნიკური პარამეტრები გადაეცა (ბ. დოლიძე, ზ. ანდლულაძე, რ. მახარაძე) ინდ. მეწარმის „თ. ლლონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი);

10.2. დოლური ტიპის საშრობი დანადგარის თბური ენერჯის წყაროდ ბუნებრივ აირზე გადასაყვანი ტექნიკური პარამეტრები და შესაბამისი გაანგარიშება გადაეცა (რ. მახარაძე) ინდ. მეწარმეს „დ. თენიშვილი“;

10.3. ჩაის ნახევარფაბრიკატის დახარისხების ინდივიდუალური ტექნოლოგიური დანადგარების ტექნიკური პარამეტრები (რ. მახარაძე) გადაეცა შპს „რჩეული 2020“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი);

10.4. თხილის საშრობი დანადგარის ტექნიკური პარამეტრები და და ესკიზური პროექტი გადაეცა (რ. მახარაძე) ფიზიკურ პირს „გ. კიკნაველიძე“.

5.2. სურსათის უვნებლობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიის სტიპენდიატი დარეჯან დულაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა 7 წევრი: **ზურაბ ქუჩუკაშვილი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, **მანანა კახაძე** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, **მარიამ ჩუბინიშვილი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, **ვასილ კვერნაძე** - მაგისტრი, **მარიამ გორდაძე** - მაგისტრი, **მაკა მდინარაძე** - მაგისტრი, **დარეჯან დულაშვილი** - ქიმიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლ. ყანჩაველის მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტი, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სსიპ სურსათის ეროვნული სამსახურის, აიპ მეცნარეთა დაცვის ეროვნული ასოციაციის, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ღვინის სკოლა კაბისტონის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	გაფრინდაშვილი ზ., ვაშაკიძე დ., ქუჩუკაშვილი ზ. ქართული კლასიკური და ქვევრში დამზადებული ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობის შეფასება ლუმინოლის ქემილუმინესცენციის მეთოდის გამოყენებით	ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, (2), 129–135. Experimental and Clinical Medicine Georgia, (2), 129–135. https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.23
3	ს. ხუციშვილი, ნ.გაგელიძე, ა. ცოკოლაკიანი, მ. ერანოსიანი, ე. ტყეშელიძე, ვ. სარქისიანი, დ.დულაშვილი, ნ.ძებისაშვილი, კ.არონია, ა.ბენზანაშვილი, დ. ტატიშვილი, პ.ფრაგა-გარსია. ო-კარაგენანის მანგანუმის ოქსიდის ბიონანოვომ-პოზიტები, როგორც პერსპექტიული გამოსავალი სოფლის მეურნეობის გამოწვევებისთვის	პოლიმერული მასალები, როგორც მასალების სექცია; (ISSN 1996-1944), „მასალები“. 2025; 18(3):495. Polymeric Materials, A section of Materials (ISSN 1996-1944), Materials. 2025; 18(3):495. https://doi.org/10.3390/ma18030495

4	ნათელა ძეგისაშვილი, დარეჯან დულაშვილი. Harnessing Purple Phototrophic Bacteria (PPB) for Circular Bioeconomy and Wastewater Valorization in Georgia	ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2025, ტ. 136, გვ. 120-127.
5	დარეჯან დულაშვილი, ნათელა ძეგისაშვილი. პოლიტიკა და სისტემური მიდგომები სურსათის ნარჩენების შემცირების მიმართ საქართველოში	15th IconSWM-CE & IPLA Global Forum 2025 - კონფერენციის კრებული

2. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

1	ქართული ღვინის წარმოების სუბპროდუქტებიდან ამოღებული პოლიფენოლების თერაპიული პოტენციალის შესწავლა მეტაბოლურ დისფუნქციასთან ასოცირებულ სტეატოზურ ღვიძლის დაავადებაზე (MASLD)	საქართველოს ბიოქიმიკოსთა ასოციაციის VII კონფერენცია	06.12.2025	ზურაბ ქუჩუკაშვილი
2	ზეთისხილის აგროცენოზის მავნე ორგანიზმების კომპლექსური შესწავლა საქართველოში	კონფერენცია, “ მწვანე ჰორიზონტები: ბიოლოგია, ბიოტექნოლოგია და გარემოს ჯანმრთელობა“.	27-28.02.2025	მარიამ ჩუბინიშვილი
3	პოლიტიკა და სისტემური მიდგომები სურსათის ნარჩენების შემცირების მიმართ საქართველოში	მე-15 საერთაშორისო კონფერენცია ნარჩენების მდგრად მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2025 - 15th	29.10-01.11. 2025 დეჰრადუნი, ინდოეთი	დარეჯან დულაშვილი
4	ქართული ღვინისა და ყურძნის წიპწის ზეთის წარმოების ნარჩენებიდან მიღებული პოლიფენოლების გავლენა მეტაბოლურ დისფუნქციასთან ასოცირებული სტეატოზური ღვიძლის დაავადების ძირითად ანტიოქსიდანტურ ფერმენტებზე	ჰელმჰოლცის დიაბეტის მე-12 კონფერენცია 2025 - 12th Helmholtz Diabetes Conference 2025	22-24.09.2025 მიუნხენი, გერმანია	ზურაბ ქუჩუკაშვილი

3. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

1. „ნიტრატებით დაბინძურებული ბოსტნეულის მოხმარებით განპირობებული რისკის საქართველოს მოსახლეობის მიმართ შეფასების ინიცირების დოკუმენტი“-ს შემუშავებაში მონაწილეობა.

მონაწილეები: ვასილ კვერნაძე, მარიამ გორდაძე, მაკა მდინარაძე

2. „ნიტრატებით დაბინძურებული ბოსტნეულის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასება საქართველოს მოსახლეობის მიმართ“

მონაწილეები: მეცნიერ-კონსულტანტი - ზ. ქუჩუკაშვილი; მეცნიერთა ჯგუფი - ლილი ლეკიაშვილი, ნათია გურეშიძე, ანი ქირია.

3. „აზიური ფაროსანას, *Halyomorpha halys* ბუნებრივი მტრის, იაპონური ტრისოლკუსის *Trissolcus japonicus* საქართველოს ტერიტორიაზე შემოყვანისა და თავისუფლად გაშვება“

მონაწილეები: მანანა კახაძე, ირინე რიჟამაძე, რუსუდან სხირტლაძე

4. „პოსტრავმულ სტრესულ აშლილობასთან ასოცირებული შიშის მეხსიერების სპეციფიკური ბიომარკერების შესწავლა მღრღნელებში“. **მონაწილეები:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნ. დორეული; მკვლევარები - გია ქუთელია, ზურაბ ქუჩუკაშვილი, და სხვ.

5. „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“ (STEM-22-1751). **მონაწილეები:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - სპარტაკ ხუციშვილი; მკვლევარები - დარეჯან დულაშვილი, გრიგორ ტატიშვილი, ნინო გაგელიძე; დამხმარე პერსონალი - ნათელა ძევისაშვილი

6. მტრებისა და ენტომოპათოგენური მიკროორგანიზმების ძიება და შესწავლა. ბიოტექნიკური მეთოდების გამოყენება და გავრცელება. მავნე და სასარგებლო ორგანიზმების რისკის შეფასების შესაძლებლობების შესწავლა, გაძლიერება და დანერგვა, სურსათის უვნებლობის ეროვნული სისტემის მხარდაჭერისათვის. **მონაწილეები:** მანანა კახაძე, მარიამ ჩუბინიშვილი

6. „ზეთისხილის ძირითადი მავნე ორგანიზმების თანამედროვე სტატუსის კვლევა საქართველოში, როგორც ინტეგრირებული მართვის სასარგებლო სტრატეგიის გასაღები“ (FR-25-2495)

მონაწილეები: პროექტის მენეჯერი - მარიამ ჩუბინიშვილი, კორდინატორი - მანანა კახაძე, მკვლევარები: იათამზე მალანია, რუსუდან სხირტლაძე, ირინე რიჟამაძე, მარიამ ჩუბინიშვილი, მაგისტრანტი - თინათინ შენგელია.

7. ბიოპესტიციდის წარმოება ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“

მონაწილეები: პროექტის მენეჯერი - მარიამ ჩუბინიშვილი, ბიოკონტროლის ლაბორატორიის თანამშრომლები - მანანა კახაძე, იათამზე მალანია, რუსუდან სხირტლაძე, ირინე რიჟამაძე.

8. საერთაშორისო თანამშრომლობა:

კოლაბორანტი ორგანიზაცია: ბარი, ალდო მოროს უნივერსიტეტი /ნიადაგის, მცენარეთა და სურსათის მეცნიერებათა დეპარტამენტი (DiSSPA),

ქვეყანა: ბარი, იტალია

კოლაბორაციის თარიღი: 2023-2026.

წევრები: დანიელ კორნარა- მეცნიერებათა დოქტორი - ასოცირებული პროფესორი (ენტომოლოგია, ზოოლოგია)

9. საერთაშორისო თანამშრომლობა:

კოლაბორანტი ორგანიზაცია: ბარი, ალდო მოროს უნივერსიტეტი /ნიადაგის, მცენარეთა და სურსათის მეცნიერებათა დეპარტამენტი (DiSSPA), **ქვეყანა:** ბარი, იტალია, **კოლაბორაციის თარიღი:** 2023-2026.

წევრები: ევსტახიო ტარასკო, მეცნიერებათა დოქტორი - ენტომოლოგია, ასოცირებული პროფესორი

4.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ზურაბ ქუჩუკაშვილი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „გამოყენებითი ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სურსათის ბიოტექნოლოგიის ქვემომართულების ხელმძღვანელი და სასწავლო კურსების ლექტორი.

მარიამ გორდაძე: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირებისათვის ტრენინგი - „ალკოჰოლიანი სასმელებისა და სასმელი წყლის სახელმწიფო კონტროლი“.

მაკა მდინარაძე: საქართველოს უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი სურსათის უვნებლობის მიმართულებით; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი სურსათის უვნებლობის მიმართულებით; ღვინის სკოლა კაბისტონის - ტრენერი სურსათის უვნებლობის მიმართულებით;

5. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ზურაბ ქუჩუკაშვილი: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი „პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობასთან ასოცირებული შიშის მეხსიერების სპეციფიკური ბიომარკერების შესწავლა მღრღნელებში“, 2023-26 წ.წ.

დარეჯან დულაშვილი: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“ (STEM-22-1751), 2022-2025 წწ.

მანანა კახაძე, მარიამ ჩუბინიშვილი: საერთაშორისო თანამშრომლობა: ბარის (იტალია) ალდო მოროს უნივერსიტეტის /ნიადაგის, მცენარეთა და სურსათის მეცნიერებათა დეპარტამენტთან (DiSSPA), 2023-2026 წწ.

6. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

მანანა კახაძე: მომზადდა - ფირმის „ООО УКРАВИТ САЙЕНС ПАРКЭ“ (უკრაინა) მასალებზე დაყრდნობით, შპს „გეო-უკრაინა“ (თბილისი) მიერ წარმოდგენილი ბიოლოგიური წარმოშობის ინსექტოაკარიციდური პრეპარატის - Sadeks, SC/KC (აბამექტინი, 36 გ/ლ) ემულსის კონცენტრატის, სამეცნიერო სარეგისტრაციო გამოცდის შედეგები, გამოყენების მიზნით. საექსპერტო დასკვნა და ანგარიში მომზადდა მ.კახაძის მიერ. ასევე მომზადდა ფირმის, „Pro Farm Group Inc.“ – „პრო ფარმ გრუპი ინკ.“ (Davis CA, აშშ) მასალებზე დაყრდნობით, შპს „ნობელექსი“ (თბილისი) წარმოდგენილი, ბიოლოგიური წარმოშობის პრეპარატს, ბიონემატიციდს - MAJESTENE® - მაჯესტინის სუსპენზიის კონცენტრატი (სკ) - თერმულად დამუშავებული ბულხოლდერია რინოჯენსის შტამი - A396 (*Burkholderia rinojensis* strain A396). ფერმენტაციისას გამოყოფილი ნივთიერება (94,46%); გამოყენების ბიოლოგიური რეგლამენტებისათვის საექსპერტო დასკვნა. საექსპერტო დასკვნა მომზადდა მ.კახაძის მიერ.

7. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა ვასილ კვერნაძე - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე - სააგენტოს საქმიანობის თანახელმძღვანელობა, ორგანიზება და წარმართვა, საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა;

მარიამ ჩუბინიშვილი - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - დეპარტამენტის საქმიანობის თანახელმძღვანელობა, ორგანიზება და წარმართვა, საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა;

მარიამ გორდაძე - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსი - სამმართველოს საქმიანობის თანახელმძღვანელობა, ორგანიზება და წარმართვა, საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა;

მაკა მდინარაძე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა.

8. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

მანანა კახაძე: ბიოლოგიურ ფერმერულ მეურნეობებთან კონსულტაციის გაწევა - „მცენარეთა დაცვის ეროვნული ასოციაციის“ ეგიდით (მ.კახაძე - დამფუძნებელი საბჭოს წევრი).

მარიამ გორდაძე - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსი: **ფუნქციები:** სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისათვის ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა; სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ სურსათის ბიზნესოპერატორებისა (მწარმოებლების/დისტრიბუტორების) და მომხმარებელთათვის კომპეტენტური კონსულტაციების გაწევა.

მაკა მდინარაძე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი: სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისათვის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივ კვებასთან დაკავშირებულ საკითხზე ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა; სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივ კვებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ მწარმოებლების/დისტრიბუტორებისა და მომხმარებელთა კომპეტენტური კონსულტაციების გაწევა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი - კვების დარგში.

ზურაბ ქუჩუკაშვილი: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მეცნიერ-კონსულტანტი - კონსულტირება სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების საკითხებში, საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად.

მანანა კახაძე: ახალი, ეკოლოგიური უსაფრთხო და ბიორაციონალური საშუალებების (ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური აგენტების), ბიოტექნიკური მეთოდების გამოყენება და გავრცელება. მათი მოქმედების შედეგების მითითება, აგროცენოზის მავნე და სასარგებლო კომპონენტებზე.

3. ღვინის ტექნოლოგიების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე)

მეღვინეობის კოორდინატორის გარდა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით აბზიანიძე, სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილის მთავარი ტექნოლოგი, მეღვინე სპეციალისტი, სს სარაჯიშვილის კონსულტანტ-ექსპერტი, მურმან ქურიძე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ხოსიტაშვილი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ზურაბ მიქელაძე, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი მერაბ არძენაძე, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი იამზე ჩხარტიშვილი, უფროსი აგრონომი თეიმურაზ გორგილაძე.

ჯგუფის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ქვეყნის ცალკეულ რაიონებში მეღვინეობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო და დანერგვითი პროგრამების შესრულების ღონისძიებები.

მეღვინეობის კოორდინატორის აკადემიკოს გურამ პაპუნძიძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქობულეთის აგროსერვის ცენტრთან ერთად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის უნიკალური საღვინე ჯიშის ნერგების გამოყვანა და გავრცელება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების კვლევით ინსტიტუტში გრძელდება გურია-აჭარის რეგიონში გავრცელებული ვაზის უნიკალური ჯიშებიდან - ჩხავერი, ალადასტური, ცოლიკოური, საწური და სხვა გაუმჯობესებული ხარისხის სუფრის, ნახევრადტკბილი, ცქრიალა ლიქიორული ტიპის ღვინოების საცდელი ნიმუშების დამზადება და მისი ქიმიური და ორგანოლექტიკური შესწავლა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერთა აკადემიას მეღვინეობის კოორდინატორთა ჯგუფის წევრები, მერაბ არძენაძე და თეიმურაზ გორგილაძე 2025 წლის სექტემბერში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ აჭარის მოსაზღვრე თურქეთის ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

ექსპედიციის მიზანი იყო ძველი ქართული ადგილ-დასახელების სოფლებში შემორჩენილი ვაზის ენდემური ჯიშების და ფორმების მოძიება, საკოლექციო მასალის მოპოვება, ნაწილობრივ ამპელოგრაფიული კვლევითი სამუშაოების განხორციელება, მათი რეინტროდუქცია საქართველოში, შეგროვილი გენოფონდის ანალიზი და მისი სასელექციო

პროცესში ჩართვა. შემდგომში კოლექციის გაშენებისა და ჯიშების იდენტიფიკაციის ჩასატარებლად ნარგაობის დაფუძნება.

გამგზავრებამდე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები ინფორმაციის შეგროვების მიზნით, რომელიც დაგვეხმარებოდა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა სამივლინებო დრო ეფექტური მუშაობისათვის: პირველ რიგში ყურადღება დაეთმო აჭარის ვაზის გაფანტული გენოფონდის გამოვლენას. ამიტომ ექსპედიციის წევრები სამუშაო პროცესში ძირითადად არჩევდნენ იმ ჯიშებს, რომლებიც მორფოლოგიური თვისებებით ემსგავსებოდა საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის ჯიშებს: აჭარულს, მესხურს, კოლხურს და სხვ.

ექსპედიციამ შემოიარა ძირითადად ქართველებით დასახლებული ართვინის (ბერთა, გვერდა ხევი), ბორჩხის (იბრიკლი, ნიგეა), შავშეთისა (შინდობანი, მოხოზანი) და იმერხევის სოფლები (შერთული, ორთაკოი) და მათი შემოგარენი, მდინარეებისა და ტყის მიმდებარე ტერიტორიები.

გენოფონდის შეგროვების მიზნით კარდაკარ სიარულმა საშუალება მოგვცა კონტაქტი გვექონოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებიც თავის თავს მესხებს უწოდებენ, საოჯახო სალაპარაკო ენა ქართულია (მესხური დიალექტი).

სამდლიანი ექსპედიცია წარმატებით ჩატარდა. აღმოჩენილი იქნა ადგილობრივი გენოფონდის 30-ზე მეტი სავარაუდო ჯიშის და ფორმა: შავი საღვინე, თეთრი საღვინე, იისფერი სასუფრე, შავი სასუფრე, ველური ფორმა შავი ოვალურ მარცვლებით.

მოხერხდა შეგროვებული ვაზის ჯიშებისა და ფორმების ნიშანდება მოპოვების ადგილისა და პირობითი დასახელების მიხედვით. პირობითი დასახელებები შეირჩა ადგილობრივ მცხოვრებლებთან გასაუბრების შედეგად. ესენია: ყარაიუზუმი (შავი ყურძენი), ტყიდან მოტანილი თეთრი, ორჯუქი (ორჯოხური), ფეთერეჟი, ჩაუში, ალიჭურები, შავი ყურძენი, კვირტა, ძველებური პირველი, კარული, თურვანდი, შავი ძველებურის მსგავსი, სუსტად შეზუსტული ფოთლით, თეთრი უცნობი რქაწითელის მსგავსი, ცხენის ძუძუ შავი, კარული მეორე ფორმა და სხვა. აღებული იქნა თითოეული ნიმუშის გენეტიკური მასალა (ნაყოფი-ყურძენი, ფოთოლი, სანამყენე მასალა), დაინომრა სათანადო ეტიკეტებით, გადაღებულ იქნა ფოტო და ვიდეო მასალა. მათზე ჩატარდა ნაწილობრივი ამპელოგრაფიული კვლევითი სამუშაოები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაგრძელდეს ექსპედიციები ამ მიმართულებით და იგი ჩატარდეს წელიწადში ორჯერ: მაისის მეორე ნახევარში ვაზის ყვავილობის დროს და სიმწიფის პერიოდში სექტემბერ-ოქტომბერში.

მემვიწილობის მიმართულების კოორდინატორი და ჯგუფის წევრები აქტიურად იყენებენ მასმედიის საშუალებებს, აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს, კონსულტაციებს უწევენ დამწყებ მეღვინე სპეციალისტებს.

5.4. პურპროდუქტების ტექნოლოგიების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიის წევრ- კორესპონდენტი მალხაზ დოლიძე)

სოფლის მეურნეობის წევრები სექტემბრის თვეში ეწვიენ შპს „იფქლი“, გლდანის ქარხანას გაეცნენ ქარხნის სამუშაო მდგომარეობას. მოწონება დაიმსახურა ქარხნის ტექნოლოგიურმა აღჭურვილობამ და ქარხნის მიერ წარმოებულმა ასორტიმენტმა. ქარხნის ხელმძღვანელმა შაქრო ბაკურაძემ ისაუბრა იმ ტენდენციებზე რაც ზოგადად საქართველოს პურპროდუქტების სისტემის წინაშე დგას, ეს გახლავთ ხელმისაწვდომი სესხები ეს გახლავთ ძვირად ღირებული სათადარიგო ნაწილები, ბოლო დროს ძალიან რთულად მიმდინარე დისტრიბუცია და გაძნელებული წესები რომელიც პურპროდუქტების დარგს ყოველთვის განსაკუთრებული გააჩნდა და რომელიც დღეს სამწუხაროდ იგნორირებულია, აღნიშნული შეხვედრა გააშუქა სოფლის მეურნეობის აკადემიასთან არსებულმა ჟურნალმა.

ჯგუფის წევრებმა მიმართეს წერილობით საქართველოს პარლამენტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რათა თბილისის მერიის წინაშე შევიდნენ წინადადებით პურის დისტრიბუციის ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, რადგან მდგომარეობა საგანგაშოა.

2025 წელს თბილისში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გაიმართა პურის ფესტივალი. ჩემთან ერთად პურის ფესტივალში მონაწილეობდა იფქლი დილომის საცხოობი, ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლის კულტურის პრეზენტაცია,, ლომთაგორის,, მაგალითზე. აგრეთვე გაიმართა პურის ცხოობის მასტერკლასი. მივიღეთ მონაწილეობა გამოფენაში ქართული ხორბლის ჯიშებისა და საქართველოს ენდემური ჯიშების შესახებ.

პირველად განხორციელდა მზა პურის ექსპორტი ისრაელში, პური დამზადებულია ინოვაციური ტექნოლოგიით. ნახევარფაბრიკატი ცომის დამზადება განხორციელდა ცომის ფერმენტაციით, სპეციალური ფერმენტი დამზადდა იფქლი დილომის ქარხანაში. ხელმძღვანელები: იოსებაშვილი და დოლიძე. წლის ბოლომდე ისრაელში გაიგზავნა უკვე მესამე პარტია. 30 ათასი პური, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. იგეგმება ამ პურის ექსპორტი ჩინეთში, აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის შედეგად წარმოებული პროდუქცია წარვადგინეთ სოფლის მეურნეობის აკადემიაში და პროდუქციამ დაიმსახურა მოწონება.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

1. თემა: ქართული პურის მომზადების მახასიათებლები
2. თემა-ხაშურის სარწყავი ზოლის ნიადაგების ჰიდროფიზიკური პარამეტრები.
3. თემა-უგლუტინო ფერმენტირებული ფქვილოვანი ნახევარფაბრიკატის მომზადების ხერხები.
4. თემა-მეურნეობა „ლომთაგორას,, მიერ ქართული წითელი დოლის მსგავსი ფქვილის წარმოება. კლასიკური მეთოდით ქვის წისქვილზე 2025 წ.
5. თემა-ფუნქციური დანიშნულების მცენარეული ინგრედიენტებით სასურსათო პროდუქტების დამზადება
6. თემა-ენდემური ჯიშის ლომისის ფქვილისგან მიღებული პური გამდიდრებულია ცულისპირა ფქვილის დანამატით.

გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	მ.დოლიძე, ო. ხარაიშვილი. ხაშურის სარწყავი ზონის ნიადაგების ჰიდრო-ფიზიკური პარამეტრები	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი მოამბე №3. 2025 წ.
2	მ.დოლიძე,ო.თედორაძე.მარცვლეული კულტურების მექანიზირებულად მოსავლის აღების დროს არსებული დანაკარგების გამომწვევი ფაქტორები და მათი შემცირების გზები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №4(538)02 2025წ.
3	მ.დოლიძე, ტ.ფარჯანაძე. ენდემური ჯიშის ლომის ფქვილისაგან მიღებული პური გამდიდრებული ცულისპირა ფქვილის დანამატით	საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „საკვები პროდუქტების ინოვაციური ტექნოლოგიები“ თეზისები, ქ. ქუთაისი, 2025 წელი

2.კონფერენციებში მონაწილეობა

2025 წლის 25 ნოემბერს ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში „ინოვაციების და ცოდნის ნაკადების გაძლიერება საქართველოში“, ასევე მ.დოლიძემ მიიღო მონაწილეობა პანელურ დისკუსიაში 2025 წლის 17 დეკემბერს. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა პროექტის გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში ჩაატარა მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია. მივიღეთ მონაწილეობა თემით-„პურისა და ზეთის უვნებლობის კონტროლი საქართველოში,,

3.მონაწილეობა გრანტში

თემა-უგლუტეინო ფერმენტირებული ფქვილოვანი ნახევარფაბრიკატების მომზადების ხერხები. ხერხი ითვალისწინებს ფქვილის ნახარშის მომზადება, ფქვილისა და მცენარეული ნედლეულის ექსტრაქტის შერევით აგლუტენური ინგრედიენტებისა და პროპინომჟავა ბაქტერიების დამატებას. ინტენსიურ შერევას ფერმენტაციას, პერიოდულად მორევას და გაშრობას. თემა რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტში GEU 20242176X.

თავი 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2025 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2013 წლიდან ფუნქციონირებს „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი“. ხელმძღვანელი - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, მოადგილეები: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, დოქტორი დავით მაღრაძე. სწავლული მდივანი დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, მენეჯერი ნიკოლოზ ალექსიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის მიზანია საქართველოს გარემოს დაცვის მდგრადობის შესწავლა, საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების და სასოფლო – სამეურნეო და გარეული ცხოველებისა და ფრინველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა; მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიების, გაცვლის და მათი დაცვის მიმართულებით შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში მასალის შენახვა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება. გარემოს დაცვის ქმედითი ღონისძიებების შემუშავება. საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ექსპედიციების მოწყობა. მოპოვებული მასალების დამუშავება და მეცნიერული ანალიზის გაკეთება. შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება და საზოგადოების ინფორმირება, სემინარების მოწყობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ცენტრის თანამშრომლების მიერ წლების განმავლობაში ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების და სასოფლო – სამეურნეო ცხოველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა;
- მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიება, შესწავლა/დამუშავება და მათი დაცვა შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში (კორეის ბიომრავალფეროვნების ცენტრის გენბანკი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება.

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ფარგლებში შექმნილ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის მოყვანისა და გამოყენების ტრადიციების“ შეტანის მიზნით 2024 წელს განხორციელდა პროექტი: „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების ცენტრი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქართველ მეცნიერთა მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა მნიშვნელოვანი საძიებო სამუშაოები.

ექსპედიციების განმავლობაში მოძიებული იქნა შემდეგი ინფორმაცია: - ხორბლის (ადგილობრივი ჯიშების) მოყვანასთან, მოვლასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული (დღეისათვის არსებული ტრადიციული სოციალური პრაქტიკის, ბუნებისა და სამყაროს შესახებ ცოდნის, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა და გამოხატვის ფორმების, ენის, ადათ-წესებისა და ჩვეულებების, რიტუალებისა და დღესასწაულების, ფოლკლორის, ტრადიციულ ხელოსნებისა და საშემსრულებლო ხელოვნების, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტების, საგნებისა და კულტურული სივრცეების შესახებ).

- სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებები: ზაფხულში მოსავლის აღება-დაბინავება, გაზაფხულის და შემოდგომის ბუნიობაზე ხვნა-თესვა;

- ზაფხულის ათნიგენობაზე და ყველა სხვა დღესასწაულებზე სარიტუალო პურების ცხობა საჯანმრთელო პურები (ბასილები), ბედის კვერები და სხვა ხორბლით დალოცვები სხვადასხვა დღესასწაულებზე და ხორბლის გამოყენება რიტუალებში.

პროექტის დასასრულს ჩატარდა საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“ (5-6 თებერვალი, 2024). ორგანიზატორები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კონფერენციის მხარდამჭერები: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი; FAO-გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილი იყო 4 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი) მეცნიერთა შემადგენლობით, ხოლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 6 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, აშშ, თურქეთი) მეცნიერ-მკვლევარებმა. ჯამში 60-ზე მეტმა მეცნიერ-მკვლევარმა, დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა თეზისები და შრომათა კრებული, რომელშიც გაშუქდა 31 სამეცნიერო ნაშრომი. კონფერენციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

2025 წლის 10 დეკემბერს UNESCO-მ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. გადაწყვეტილება ინდოეთში, ნიუ-დელიში გამართულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის UNESCO-ს მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე მიიღეს.

ცენტრის თესლის შესანახ ოთახის (გენბანკი) ამჟამად ინახება გასული წლის განმავლობაში ექსპედიციებიდან მოპოვებული მარცვლოვანი და ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების გენეტიკური მასალა.

შემენილია მცენარეთა თესლის ხანგრძლივი შენახვისათვის შესაბამისი ტექნიკა - საშრობი კარადა, მიკროსკოპი, სხვა საჭირო აღჭურვილობა. რაც საშუალებას მოვცემს მოპოვებული გენეტიკური მასალა შენახული იქნას ხანგრძლივი ვადით, 20 და მეტი წლის ხანგრძლივობით.

გამოიცა რეკომენდაცია:

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვა საქართველოში (ავტორი - აკად. გ. ალექსიძე)

აკადემიის „მოამბეში“ № 2 (54), 2025 წ. გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიები:

1. მწერები - სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებების გამავრცელებლები (ავტორი - აკად. გ. ალექსიძე)

2. ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული ტკიპას (*Acalitus vaccinii*) წინააღმდეგობის ბიოლოგიური ღონისძიებების შემუშავება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში (ავტორები - აკად. გ. ალექსიძე, დოქტ. მ თურმანიძე)

2026 წლიდან დაგეგმილია ექსპედიციების მოწყობა საქართველოს რეგიონებში, რათა მოხდეს მცენარეთა ადგილობრივი კულტურული ჯიშების თესლების მოძიება-მოპოვება, მათი გენბანკში შემდგომი შენახვის მიზნით.

თავი 8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

წლების განმავლობაში აკადემია თანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან: CGIAR – სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (აშშ); ICARDA - მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (იორდანია); CIMMYT - ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (მექსიკა); ICRISAT – ნახევრად არიდული ტროპიკული კულტურების საერთაშორისო საეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); BIOVERSITY INTERNATIONAL - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (იტალია); ACIRO - მსოფლიო მეზოსტენობის ცენტრი (ტაივანი); CACAARI - ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); IFPRI სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ); BACSA - შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მებაღეობის ასოციაცია (ბულგარეთი), CIP - კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (პერუ); ჩინეთისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; ბელორუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ვავილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი).

აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის 43 ხელშეკრულება (მემორანდუმი) მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებთან და ინსტიტუტებთან.

აკადემია ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციას “CACAARI”, რომელშიც ამ რეგიონის 8 ქვეყანაა გაერთიანებული; აკადემია ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმთან „CGIAR“, რომლის შემადგენლობაშიც შედის მსოფლიოს 16 საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ექვსთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ერთობლივ კვლევებზე. 1998 წლიდან აკადემია არის სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ ფორუმის „GFAR“ აქტიური წევრი.

ნაყოფიერია აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა: უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; უკრაინის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (უკრაინა); ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან (უკრაინა); ვინიცის, პოდოლსკის, ოდესის და ბელაიაცერკოვის სახელმწიფო ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტებთან (უკრაინა); ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის მეცნიერებათა აკადემიასთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტთან ზოლინჟინერისა და ვეტერინარულ მედიცინაში; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; საქართველოს ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევით ცენტრთან; ჟურნალ „ახალ აგრარულ საქართველოსთან“; ტელევიზია „საფერავი ტვ“-თან.

2025 წლის 1 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“.

თავი 9. მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საზეიმო შეხვედრები

საზეიმო სხდომა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 11 თებერვალს ჩატარდა საზეიმო სხდომა, რომელიც მიემდგვნა მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღეს. სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, აკადემიის წამყვანის სპეციალისტები: ქეთევან ჭიპაშვილი, ლარისა ჩაიკა, დალი თარხნიშვილი, და მარიკა მოსაშვილი, ასევე მოწვეული სტუმრები.

სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის მთავარმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ. მან აღნიშნა, რომ იუნესკოს მონაცემებით ქალბატონები მსოფლიოს მეცნიერთა მხოლოდ მესამედს შეადგენენ. თუმცა ეს რიცხვი იზრდება და საერთაშორისო ფონდები და გრანტები მხარს უჭერენ მათი ჩართულობის გაზრდას მეცნიერებაში. იუნესკოს მიაჩნია, რომ ქალბატონები ნაკლებად არიან წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევებში. მათი წილი მეცნიერთა საერთო რაოდენობაში 28%-ია. მას შემდეგ, რაც მეცნიერებაში ნობელის პრემია დაარსდა 1901 წელს, ქალბატონებმა მოიპოვეს ჯილდოების მხოლოდ 3%. სწორედ ამიტომ, იუნესკომ დააწესა მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე, რომელიც მთელ მსოფლიოში აღინიშნება 11 თებერვალს, ასევე საერთაშორისო ჯილდო „მეცნიერ ქალბატონებისათვის“. სამწუხაროდ, მეცნიერებაში მოღვაწე ქალბატონთა რაოდენობასთან დაკავშირებით, საქართველოშიც არასახარბიელო მდგომარეობაა, განსაკუთრებით აგრარული პროფილის მიმართულებით.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-



მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. მან გულითადად მიულოცა ქალბატონებს მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე. შემდეგ გაიხსენა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ქალბატონები: ევროპაში მოღვაწე პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი, მრავალი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი,

არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი, საფრანგეთის სამედიცინო აკადემიის წევრი ბარბარე ყიფიანი და აგრარული მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, ქალბატონი, რომელმაც ქართულ ჩაის საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა ისაუბრა ასევე მეცნიერებაში განვლილ საკუთარ გზაზე. იმ სირთულეებზე, რომლის გადალახვაც მოუწია. აღინიშნა, რომ აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი ითვლება აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების ეფექტური გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავების ქართული სამეცნიერო სკოლის ხელმძღვანელად. მისი ხელმძღვანელობით აღზრდილია 17 მეცნიერებათა კანდიდატი და 4 მეცნიერებათა დოქტორი და სხვ.

დარბაზში დამსწრე ქალბატონებს მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე მიულოცა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა. მან თითოეულ მათგანს წარმატება, წინსვლადა ახალ-ახალი მიღწევები უსურვა.

მილოცვების შემდგომ ტრადიციულად გაიმართა აგრარულ დარგში მოღვაწე მეცნიერ ქალბატონთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოების ცერემონიალი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მანანა კველიშვილი; ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი მზია ღაღალიძე; სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი ლალი ელანიძე; სოფლის მეურნეობის დოქტორი დარეჯან ჯაში; სოფლის მეურნეობის დოქტორი ნუნუ ნაკაშიძე; ტექნიკის დოქტორი მირანდა გორგილაძე; ქიმიის დოქტორი ლია აფციაური; ტექნიკის დოქტორი ნაირა მამარდაშვილი; ქიმიის დოქტორი ქეთევან სარაჯიშვილი; ქიმიის დოქტორი ქეთევან ბერიაშვილი; აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ნათია სუხიშვილი; სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი ელენე სორდია; სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი სოფიო ძნელაძე; ტექნიკის დოქტორი მედეა ორმოცაძე; კვების პროდუქტების ტექნოლოგიის დოქტორი ლია კოტორაშვილი; ეკოლოგიის დოქტორი მაია კუხალაიშვილი; ბიოლოგიის დოქტორი გულიკო დვალის; ფილოლოგიის დოქტორი თეონა ხუფენია; გეოგრაფიის დოქტორი ქეთევან ლატარია; ტექნიკის დოქტორი მარიკა მიქიაშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ძიძიშვილი; სოფლის მეურნეობის დოქტორი ხათუნა დობორჯგინიძე.



მეცნიერ ქალბატონებს „მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე“ და აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოება მიულოცა საქართველოს სოფლის მეურნეობის



მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან მოწვეულ სტუმრებს გააცნო აკადემიის სამეცნიერო საქმიანობა და სტრუქტურა, ესაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში წარმოებულ საქმიანობაზე სამეცნიერო, სასწავლო და კვლევით დაწესებულებებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე

მის ფარგლებს გარეთაც. აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა გ. ჯაფარიძემ აკადემიის სახელით გამოთქვა მზაობა აგრარულ მეცნიერ ქალბატონებთან შემდგომი თანამშრომლობისათვის.

ველური ბუნების მსოფლიო დღე

მიმდინარე წლის 4 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ველური ბუნების დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა.

მრგვალი მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის სტიპენდიატი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, მარიამჯვრის ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი, დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი და აკადემიის აპარატის თანამშრომლები.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია ველური ბუნების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მიაწოდა აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ. მან აღნიშნა, რომ 2013 წლიდან გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 3 მარტი გამოცხადებულია ველური ბუნების მსოფლიო დღედ. მისი მიზანია რეგულარულად გააცნოს კაცობრიობას ველური ფაუნისა და ფლორის მრავალფეროვნება, ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების სარეგბლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ყურადღება გაამახვილოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

შემდეგ სიტყვა გადასცა დოქტორ ზ. ტიგინაშვილს, რომელიც აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით: „ქართული მუხის (*Quercus pertaea* aubsp. *Iberica*) ბუნებრივი განახლება ცივგომბორის რეგიონში“.

მომხსენებელმა საუბარი დაიწყო დაცული ტერიტორიების მიმოხილვით. აღნიშნა, რომ დაცული ტერიტორიები, რომლებშიც შედის: სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები, დაცული ლანდშაფტები და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები უდიდეს როლს თამაშობს ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით. საქართველოში დაცულ ტერიტორიებს უკავია 927 748 ჰა ფართობი, რომელიც ქვეყნის საერთო ფართობის 13,3 %-ს შეადგენს.

საყურადღებოა, რომ ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, რომელშიც განასხვავებენ წიფლნარებს, მუხნარებს, რცხილნარებს, სოჭნარებს, წაბლნარებს და ა.შ., მუხნარებზე მოდის საერთო ფართობის 10%.

რაც შეეხება ცივ გომბორის აღკვეთილს, სადაც მუხნარს 890,6 ჰა ფართობი უკავია, ბუნებრივი განახლება 492 ჰა-ზე მიმდინარეობს.

დოქტორ ზ. ტიგინაშვილმა კვლევის მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით წარმოადგინა დასკვნები, რომელიც გვამცნობს, რომ ცივ გომბორის აღკვეთილში ქართული მუხის ბუნებრივი განახლების პროცესი არადაამაკმაყოფილებელია; მუხით გაბატონებულ კორომებში, ყველა მერქნიანი სახეობის აღმონაცენ-

მოზარდის რაოდენობა მაღალია (35 200-93 100 ცალი), მაგრამ მათ შორის მუხის საიმედო მოზარდი ან საერთოდ არ არის, ან ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც არ არის საკმარისი მუხნარების განახლების უზრუნველსაყოფად; საყურადღებოა ის, რომ ქართული



მუხის ტყეები წარმოდგენილია ყველა ხნოვანებითი კლასებით, გარდა I და II კლასებისა, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ უკანასკნელი 20-40 წლის პერიოდში არ იყო მუხის ბუნებრივი განახლებისათვის ხელსაყრელი პირობები; მუხნარების დეგრადაციისა და არადამაკმაყოფილებელი განახლების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია კომპლექსური მიდგომით, ამიტომ მიზანშეწონილია ჩატარდეს საფუძვლიანი კვლევები, რათა დაისახოს ქართული მუხის უნიკალური ტყეების გადარჩენის პრაქტიკული ღონისძიებები.

მოხსენების შემდგომ გაიმართა დისკუსია, რომელშიც დამსწრეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

მრგვალი მაგიდა შეაჯამა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან მადლობა გადაუხადა დოქტორ ზვიად ტიგინაშვილს საინტერესო მოხსენებისათვის, ხოლო აუდიტორიას მობრძანებისა და მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლების საქმიანი ვიზიტი აკადემიაში

მიმდინარე წლის 5 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი ქეთევან ქოქრაშვილი და ამავე დეპარტამენტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი ბატონი მინდია ოკუჯავა. სტუმრები გაეცნენ აკადემიის სტრუქტურას, დაათვალიერეს სამუშაო და საგამოფენო სივრცეები, საინფორმაციო ცენტრი, რის შემდეგ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქმიანი საუბარი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულოძე, პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, პრეზიდენტის თანაშემწე, პროფესორი თამაზ ბაციკაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, კონსულტანტი აგრარული პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი და აკადემიის აპარატი.



სამუშაო შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ. მან სტუმრებს დაწვრილებით გააცნო აკადემიის საქმიანობა, მისი ურთიერთობა ადგილობრივ და საზღვარგარეთის აგრარული პროფილის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან. ისაუბრა აკადემიის აჭარისა და დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრებზე, აკადემიის ურთიერთობებზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტის აგრარულ საკითხთა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტებთან. ყურადღება გაამახვილა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდზე, რომელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფონდის დაფინანსებით აკადემიას არაერთი საერთაშორისო კონფერენცია აქვს ჩატარებული. პრეზიდენტმა სტუმრებს ასევე გააცნო აკადემიის საგამომცემლო საქმიანობა. აღნიშნა, რომ აკადემია გამოცემს სამეცნიერო შრომათა კრებულ „მოამბეს“, ყოველკვარტალურ სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენ „მაცნეს“, რეკომენდაციებს, ბროშურებს, ადგილობრივი კონფერენციების შრომათა კრებულებს და სხვ. ხაზი გაუსვა აკადემიაში აგრარული დარგის მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებულ კოორდინატორთა ინსტიტუტის მნიშვნელობას, ასევე პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიისა და ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს ფუნქციას. სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა იმ აქტივობებზე, რომელიც აკადემიამ გაწია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში წარდგენილი ქართული ხორბლის ნამზადთან დაკავშირებული ტრადიციების შესატანად. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ აკადემიაში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული პრობლემებიც განიხილა, კერძოდ: აკადემიკოსთა ასაკთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმრავლესობა მხცოვანი ასაკისაა, თუმცა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვის გამო, ახალი წევრების არჩევა შეჩერებულია, გადაუწყვეტელია აკადემიკოს-მდივანთა და სამეცნიერო განყოფილებების სწავლულ-მდივანთა დაფინანსებისა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევის საკითხი და სხვ.



ქალბატონმა ქ. ქოქრაშვილმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც აკადემია იჩენს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობით. აღნიშნა, რომ წარსული საქმიანობიდან და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე კარგად იცნობს იმ პრობლემებს, რომელიც ზოგადად სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წინაშე დგას. შემდეგ ისაუბრა იმ პრიორიტეტებზე, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყანას შემდგომი წინსვლისა და განვითარებისათვის. მათ შორის გამოყო სამეცნიერო და კვლევითი პრიორიტეტები, განსაკუთრებული ყურადღება აგრარულ მეცნიერებებს დაუთმო, მიზეზად კი ქვეყნის აგრარული მიმართულება დაასახელა. ქალბატონი ქეთევანის აზრით, ქვეყანაში არსებული რესურსები, მათ შორის ბუნებრივი, ბევრად უფრო ახლოს დგას გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობასთან. აქედან გამომდინარე არსებული გამოწვევებიც გაცილებით ადვილი დასამლევია იქნება.

საუბრისას ქალბატონმა ქეთევანმა ახსენა ფონდი „ჰორიზონტი“. მან გამოთქვა სურვილი, რომ აკადემია აქტიურად ჩართულიყო აღნიშნულ და სხვა საერთაშორისო საგრანტო ფონდებთან თანამშრომლობაში.

შეხვედრა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის და წარმატება და წინსვლა უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

მრგვალი მაგიდა მონოგრაფიის: „საქართველოს აგრარული სექტორი - გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ განხილვასთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 11 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა ეკონომიკის დოქტორ ი. ახალბედაშვილის და აკადემიკოს რ. ასათიანის მონოგრაფიის: „საქართველოს აგრარული სექტორი - გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ განხილვას.

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, პრეზიდენტი მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, დოქტორი ივერი ახალბედაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე და აპარატის თანამშრომლები.



მრგვალი მაგიდა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. აღნიშნა, რომ ბატონი ივერი ახალბედაშვილი გახლავთ აკადემიის პრეზიდენტი მრჩეველი. მიუხედავად მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობის, რომელიც მას როგორც პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსს ევალება, იგი აქტიურად არის ჩართული აკადემიის სამეცნიერო სამუშაოებში, არის

ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი, არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციის ავტორი. რაც შეეხება მონოგრაფიას „საქართველოს აგრარული სექტორი - გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ ეს არის მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც დიდ ინტერესს გამოიწვევს არამარტო სპეციალისტებს შორის, არამედ ყურადღებას მიიქცევს საკითხით დაინტერესებულ პირთა მხრიდანაც.

მრგვალ მაგიდაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა დოქტორი ი. ახალბედაშვილი. მან მადლობა გადაუხადა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მონოგრაფიის წარდგენის საშუალების მიცემისათვის, თანაავტორს - აკადემიკოს რ. ასათიანს - გაწეული სამუშაოებისათვის, აკადემიკოს ნ. ჭითანავას - მხარდაჭერისა და რეკომენდაციებისათვის. ბატონმა ივერიმ გულისტკივილით გაიხსენა აკადემიკოსი პ. კოლუაშვილი - მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორი, რომლის რჩევებიც მეტად გამოადგათ ავტორებს.

თავის გამოსვლაში დოქტორმა ი. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები ქვეყნის ისტორიის, მისი კულტურული ნაწილის, ერის იდენტობის განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა სამწუხაროს საქართველოს სოფლის მეურნეობა ეკონომიკური

თვალსაზრისით ერთ-ერთ ჩამორჩენილ სექტორად ითვლება. მონოგრაფიის ავტორების მიზანი გახლდათ 1989 წლიდან 2023 წლამდე აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესების, მიღებული საკანონმდებლო აქტების, მიღწეული პროგრესის და არსებული გამოწვევების ანალიზი.

დოქტორმა ი. ახალბედაშვილმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა მონოგრაფიის სტრუქტურაზე, გამოყო ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ავტორთა აზრით, მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნა, რომ მონოგრაფია დაყოფილია სამ თავად, 28 ქვეთავად. ყველა ქვეთავზე მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა საერთო რაოდენობა 90-ს შეადგენს, მოცემულია 20 ცხრილი, 31 დიაგრამა 14 დანართი და გამოყენებული ლიტერატურა. პირველ თავში წარმოდგენილია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მიმართულება - მიწის რესურსები და არსებული გამოწვევები. აქ არის მოცემული საკუთრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე მიღებული საკანონმდებლო აქტები, სახელმწიფო რეგულირება მიწის რესურსებზე, მიწის რესურსების გამოყენების შესახებ მიღებული და მისაღები საკანონმდებლო აქტები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები და სხვ. მეორე თავში მოცემულია საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაციონალურად გამოყენების საქმეში. აქ განხილულია როგორც კონსტიტუციები და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ძირითადად ეხება მიწების გასხვისების საკითხებს, ასევე მოცემულია ასპექტები მიწის სტატუსისა და მიწის დაუმუშავებლობის შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია და ჩვენ ქვეყანაში შეიძლება დანერგილი იქნეს მიწის რაციონალურად გამოყენების კუთხით. მესამე თავი ძირითადად მოიცავს რეფორმას, რომელიც დაიწყო 1989 წელს და რომელიც დღესაც გრძელდება. აქ მოცემულია ეკონომიკური ანალიზი 1989 წლიდან 2023 წლამდე. ასევე მოცემულია ის გამოწვევები და ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ავტორთა აზრით ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარებას და სხვ. მოცემულ საკითხთა შორის განხილულია დისბალანსი იმპორტსა და ექსპორტს შორის და მცდელობა, რომ მოინახოს გზები რათა გაიზარდოს ექსპორტის წილი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ინოვაციები აგრარული სექტორის განვითარებაში. მოცემულია, როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება, ასევე ჩვენს ქვეყანაში დანერგილი სიახლეები, რომლებიც ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის განვითარებას.

აკადემიკოსმა რ. ასათიანმა მონოგრაფიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასზე მუშაობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. წიგნი წარმოადგენს კრებსითი ხასიათის ნაშრომს, რომელშიც თავმოყრილია საკანონმდებლო ბაზა და მისი ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე. მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს და სწორედ ამაშია მისი სიახლე. მონოგრაფიის შესახებ თავისი აზრი დააფიქსირეს აკადემიკოსებმა: ნ. ჭითანავამ, გ. ალექსიძემ და ა. დიდებულაძემ. აკადემიკოსმა ნ. ჭითანავამ აღნიშნა, რომ ავტორთა მიერ მეტად შთამბეჭდავი ინფორმაცია იქნა წარმოდგენილი. იგი კარგად იცნობდა მონოგრაფიას, რამეთუ თითოეული თავი მას ხელნაწერში ჰქონდა წაკითხული. მისი გადმოცემით ნაშრომი არამარტო საინტერესო, არამედ მეტად დროული და საჭიროცაა, რადგან საქართველოს სინამდვილეში ეს არის პირველი მცდელობა აგრარულ სექტორში სამართლებრივი ბაზის სისტემატიზაციისა. აქ შემოთავაზებულია უაღრესად საჭირო რეკომენდაციები, თავმოყრილია კონკრეტულად და მეთოდოლოგიურად ის მიდგომები, რომლებიც აკადემიაში იქნა ჩამოყალიბებული. აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ ხაზი გაუსვა მონოგრაფიის მნიშვნელობას აგრარულ სექტორისათვის. რაც შეეხება აკადემიკოს ა. დიდებულაძეს, მან ყურადღება გაამახვილა



მონოგრაფიაში წარმოდგენილ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების და საქართველოს სოფლის მეურნეობაში სივრცით-ტერიტორიული განვითარების საკითხებს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს საინტერესო მოხსენებისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას - მრგვალი მაგიდის მუშაობაში აქტიური ჩართულობისათვის.

შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ქალბატონ ნინო წილოსანთან

მიმდინარე წლის 3 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი ნინო წილოსანი.

შეხვედრა გაიმართა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში. შეხვედრა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, პრეზიდენტი მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, ბატონი ივერი ახალბედაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, ბატონი ომარ კაჭარავა, ასევე პრეზიდენტი წევრები და აპარატის თანამშრომლები.



ბატონმა გივიმ დამსწრე საზოგადოებისა და აგრარკოს-მეცნიერთა სახელით ქალბატონ ნინოს მიულოცა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა, მადლობა გადაუხადა მოზრძანებისთვის და იმ დიდი ყურადღებისთვის, რასაც იგი იჩენს აკადემიის საქმიანობის მიმართ. აღნიშნა, რომ ქალბატონი ნინო მეორედ ეწვია აკადემიას. პირველი ვიზიტი ჯერ კიდევ მისი პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის რანგში გახლდათ. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა განსაკუთრებით მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა აკადემიასა და აღნიშნულ კომიტეტს შორის. ამის ერთ-ერთი დასტური კი გახლავთ ერთობლივი პროექტი UNESCO-ში წარდგენილ ნომინაციასთან „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ დაკავშირებით.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ ქალბატონ ნ. წილოსანს ასევე გააცნო აკადემიის საქმიანობა. ესაუბრა სიახლეებზე, ურთიერთობებზე საქართველოს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან, ადგილობრივ და უცხოეთის სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო კონფერენციებზე, სამეცნიერო განყოფილებების საქმიანობაზე, აკადემიის ბეჭდვით გამომცემლობებზე და სხვ.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა ნ. წილოსანმა მადლობა გადაუხადა აკადემიის ხელმძღვანელობას, დამსწრე საზოგადოებას გულთბილი მიღებისა და დაფასებისათვის და აღნიშნა, რომ ასეთმა დახვედრამ მას კიდევ უფრო მეტი მოტივაცია გაუჩინა საერთო საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის. შემდეგ ისაუბრა პუბლიკაციის „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და ბოლო ათწლეულის განვითარების ტენდენციები“ შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა გამოსცა მისი თავმჯდომარეობის დროს.

მან აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში. სექტორში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილია ჩართული და ამ დარგის მხარდაჭერას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოების მრავალი წევრის კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ, 10 წელზე მეტია, სახელმწიფოსთვის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც მხარდაჭერილია მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული პოლიტიკითა და სექტორში მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მობილიზებით. 2012 წლიდან დღემდე, სოფლის მეურნეობა ტრანსფორმაციის გზას გადის. ამ გზაზე კი, პოლიტიკის ძირითად ამოცანებს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება და ეკონომიკური აქტიურობის ზრდის ხელშეწყობა, დარგის მუდმივი განვითარება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გლობალურ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირება წარმოადგენდა. აღნიშნული პუბლიკაციის მიზანია, გარკვეულწილად შეაჯამოს ამ ამოცანების შესრულებისთვის გატარებული პოლიტიკა – ათწლეულის განმავლობაში სოფლის მეურნეობის



სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. პუბლიკაციის შექმნის იდეა და მოტივაცია საქართველოს უახლესი ისტორიის საკვანძო მომენტი – ევროკავშირის გზაზე ახალი შესაძლებლობების გაჩენა იყო, განსაკუთრებით – 2023 წლის დეკემბრისთვის კანდიდატის სტატუსის მიღების პერსპექტივა. სწორედ ამ გარდამტეხ

მომენტში განხორციელებული რეფორმების, მიღწევებისა და გამოწვევების შემაჯამებელი დოკუმენტი მნიშვნელოვანი დამხმარე რესურსი იქნება ჩვენი ქვეყნისა და ევროკავშირის დაახლოების პროცესში. მით უფრო, როცა წინადგმარე პუბლიკაცია ძალიან ნათლად აჩვენებს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან დღემდე გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღებულ სიკეთებს. ასეთი მასშტაბური მიზნის დასახვისას, ვერ გვექნება მოლოდინი, რომ პუბლიკაცია სრულყოფილად გააანალიზებს სექტორისთვის მნიშვნელოვან თითოეულ საკითხს, თუმცა წინამდებარე დოკუმენტი მკითხველს მიაწვდის საჭირო ინფორმაციას საკანონმდებლო ცვლილებებისა და გატარებული რეფორმების, ფაქტებისა და შედეგების შესახებ და ნათელ წარმოდგენას შეუქმნის საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ტენდენციებზე. ეს პუბლიკაცია სამომავლოდ სასარგებლო რესურსი გახდება კერძო თუ საჯარო სექტორის წარმომადგენლების, მკვლევარების, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ახალგაზრდებისა და სხვა ნებისმიერი პირისთვის.

ქალბატონი ნინო ასევე შეეხო საქართველოს მიერ UNESCO-ში წარდგენილი ნომინაცია „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ საკითხებს.

აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით დიდი სამუშაოები წარიმართა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რომლის მიზანაც იყო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში ახალი ნომინაციის მომზადება და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის კულტურის: რიტუალებისა და ტრადიციების“ შეტანა. ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოუყო ფინანსური რესურსი, რომლითაც დაფინანსდა სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები ქვეყნის მასშტაბით. სულ ექსპედიციებში მონაწილეობა მიიღო 2 მეცნიერ-მკვლევარმა (ეთნოგრაფი და მეხორბლე) და 2 ტექნიკურმა პერსონალმა (ოპერატორი და მძღოლი).



საწყის ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის წევრებისა და, დამატებით ჩართული ორი ანთროპოლოგ-ეთნოლოგის რეკომენდაციით, დაგეგმილ იქნა ნომინაციის მომზადების მთელი პროცესი. ამ კონტექსტში, ელემენტის სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად, განხორციელდა ექსპედიციები შემდეგ რეგიონებში: კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლი, ზემო და ქვემო სვანეთი, თუშეთი, გურია. ექსპედიციების საფუძველზე მოძიებული და დაფიქსირებული იქნა: ადგილობრივი ფერმერები, რომელთაც დღესაც რიტუალურად მოყავთ ქართული ენდემური ხორბალი და რომლებიც ტრადიციულ საცხოვებში (თონესა და ფურნეში) კვლავაც აცხოვენ შესაწირ თუ ყოველდღიურ პურეულს; შესწავლილი იქნა ენდემური და ტრადიციული ხორბლის ნამზადის მონაწილეობა შემოდგომა-ზამთრის წეს-ჩვეულებებში და რიტუალურ ციკლში. ნომინაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე გადაღებულ იქნა პურის ფესტივალის მესხეთში, ქალაქ ახალციხეში, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლიდან მიღებული ფქვილით გამომცხვარი პურის მრავალფეროვანი ასორტიმენტი; ჩაწერილ იქნა ინტერვიუები ფერმერებთან, პურის მცხოვრებლებთან. ერთდღიანი გადაღება დაეთმო „ელკანას“ ბაზაზე არსებული საზოგადოებრივი ჯგუფის - „ფქვილიანი ხელების“ ფორმატში ჩატარებულ მასტერკლასებს. მოეწყო უნიკალური არტეფაქტების გადაღება: საუბარია, კარბონიზირებული ხორბლის ნიმუშებზე, რომელიც აღმოჩენილია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე და მათი ასაკი განისაზღვრება 8-ათასი წლით (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული). ეს არტეფაქტები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ და გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. აქვე უნდა აღინიშნოს გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ექსპონატები, რომლებიც დაკავშირებულია ხორბლის თესვა-მოყვანა, დაუნჯებასთან. ექსპონირებულია სახვნელი საშუალებების სხვადასხვა ტიპები მთისა და ბარისა (დიდი გუთანა), კვერი, კოდი და სხვ. ერთი გასვლითი დღე მოეწყო გურიაში, სადაც გადაღებულ იქნა გურული ღვეხელის ტრადიციული ცხოვის რიტუალი.

მოპოვებული და შესწავლილი ვიდეო მასალების საფუძველზე დამონტაჟდა ფილმი იუნესკოში წარსადგენად.

2024 წლის 5-6 თებერვალს სასტუმრო „რესპუბლიკის“ - „ივენტ ჰოლში“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო - სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“. კონფერენციის მხარდამჭერები

იყვნენ: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი; FAO-გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილი იყო 4 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი) მეცნიერთა შემადგენლობით, ხოლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 6 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, აშშ, თურქეთი) მკვლევარ-მეცნიერებმა (კონფერენციის ფართე მიმოხილვა იხ. ქვემოთ).

მოსამზადებელი სამუშაოების პარალელურად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „ქართული ხორბლის კულტურას: რიტუალებსა და ტრადიციებს“, საქართველოს მთავრობის N-98 დადგენილებითა და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით, 2024 წლის 27 მარტს, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი ეს მრავალთვიანი სამუშაოები მიზნად ისახავდა იუნესკოს ნომინაციის მომზადებას და, საბოლოო ჯამში, სამუშაო ჯგუფმა დაასრულა იუნესკოში გასაგზავნი დოსიეს მომზადება, მათ შორის:

- 1.წარმომადგენლობით ნუსხაში შესატანი ელემენტის სააღრიცხვო ბარათი;
- 2.ელემენტის ამსახველი 10-წუთიანი ვიდეო-ფილმი, ინგლისური სუბტირებიტ;
- 3.ელემენტის ამსახველი 10 ფოტო;
- 4.ვიზუალური მასალის საავტორო უფლებების დამადასტურებელი ხელმოწერილი დოკუმენტები;
- 5.4000-მდე მხარდამჭერი ხელმოწერა;
- 6.ერთი მხარდამჭერი ვიდეო მიმართვა.

აღნიშნული დოკუმენტები გადაეგზავნა სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც დოსიე გადაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დოსიე გააგზავნა UNESCO-ს სათაო ოფისში.

2025 წლის 11 თებერვალს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აგრარულ საკითხთა კომიტეტში გამოაგზავნა წერილი N-01/3640-11/02/2025 სადაც მოწოდებულია ინფორმაცია, რომ UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის სამდივნომ შეისწავლა საქართველოს მიერ წარმოდგენილი ნომინაციის „ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ ტექნიკური მხარე.

სამდივნოს ინფორმაციით, დოსიე არის სრულყოფილი და მას მიენიჭა სარეგისტრაციო ნომერი 02335. შესაბამისად სამდივნოს რეკომენდაციით, ნომინაციის განხილვა მოხდება სამთავრობათაშორისო კომიტეტის მე-20 სესიის ფარგლებში (8-13 დეკემბერი, 2025 წელი, ქალაქი დელი).

შეხვედრის დასასრულს აკადემიის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ქალბატონ ნინოს მობრძანებისათვის, უსურვა წინსვლა და წარმატება მის შემდგომ საქმიანობაში.

მრგვალი მაგიდა

მიმდინარე წლის 11 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს რევაზ ასათიანის 2000-2025 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომების განხილვას.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, პრეზიდენტის მრჩეველი, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, კონსულტანტი აგრარული პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, დოქტორი ივერი ახალბედაშვილი და აკადემიის აპარატის თანამშრომლები.

მრგვალი მაგიდა გახსნა აკადემიის მთავარმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ა. დიდებულიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკადემიკოს რ. ასათიანის ნაშრომები მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია. მათში ავტორი იძლევა ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების თავისებურებების, ტენდენციებისა და კანონზომიერებათა კომპლექსურ ანალიზს, მეცნიერულად ასაბუთებს, თუ რაოდენ დიდი ადგილი უნდა დაეთმოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყნის ეკონომიკაში და სხვ. შემდეგ სიტყვა გადასცა აკადემიკოს რ. ასათიანს.



აკადემიკოსმა რ. ასათიანმა აღნიშნა, რომ 2000-2025 წლების პერიოდში მას გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია და 2 დამხმარე სახელმძღვანელო. თითოეული ნაშრომის ირგვლივ, ავტორმა წარმოადგინა მოკლე ანოტაცია. ისაუბრა მათი შექმნის წინაპირობებზე, მიზნებსა და ამოცანებზე. კერძოდ:

2002 წელს გამოქვეყნა **მონოგრაფია** „საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში: მსოფლიო გამოცდილება და განვითარების ტენდენციები“, თბილისი, 19.5 ნ.თ., რომელშიც აღწერილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნის წინაპირობები და ფუნქციონირების ორგანიზაციული ფორმები

2006 წელს მომზადდა **დამხმარე სახელმძღვანელო** „გარემოს დაცვის მენეჯმენტი“, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი, 3 ნ.თ., რომელშიც წარმოდგენილია სალექციო კურსი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებისათვის გარემოს დაცვის ეკონომიკის საკითხებზე.

2009 წელს გამოქვეყნებულ **დამხმარე სახელმძღვანელოში** „ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 15 ნ.თ., განხილული საკითხები განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის

2023 წელს გამოიცა **მონოგრაფია** „საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები, (თანაავტორობით), თბილისი, 294 გვ. ეს ნაშრომი განკუთვნილია სოფლისა და სოფლის მეურნეობის, აგროეკონომიკისა და აგრობიზნესის სფეროში დასაქმებული მკითხველისათვის. მასში ასახულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული გამოწვევები, შემოთავაზებულია მათი გადაწყვეტის რეკომენდაციები და ჩატარებულია სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქტების პროგნოზული გაანგარიშებები 2030 წლამდე პერიოდისათვის სასურსათო მოხმარების ნორმების გათვალისწინებით.

2023 წელს გამოიცა **მონოგრაფია** „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და განვითარების ბოლო ათწლეულის ტენდენციები“. (ავტორთა კოლექტივი), თბილისი, საქართველოს პარლამენტის გამომცემლობა, თბილისი, 330 გვ., რომელშიც მოცემულია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2012 წლამდე და 2012 წლიდან დღემდე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების რეტროსპექტიული ანალიზი.

2024 წელს გამოიცა **მონოგრაფია** „ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, (თანაავტორობით), 492 გვ. იგი წარდგენილი იქნა საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში. მონოგრაფიაში გარდამავალი პერიოდის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე კომპლექსურადაა მოცემული სახელმწიფოსა და ეკონომიკის (კერძოდ, აგრარული სექტორის) ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებანი, გარდამავალი პერიოდის განვითარების მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების ობიექტური ახსნით და შესაბამისი დასკვნებით განისაზღვრა დღევანდელი ტრადიციული სოფლის მეურნეობის – ინდუსტრიულ სოფლის მეურნეობად გარდაქმნის პროცესები და სხვა.

2025 წელს ასევე **მონოგრაფიის** სახით გამოიცა „საქართველოს აგრარული სექტორი: გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ (თანაავტორობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 564 გვ. ეს წიგნი განკუთვნილია სახელმწიფო მოხელეების, სპეციალისტების, მკვლევარებისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის. მასში გაანალიზებულია 1989-2023 წლებში აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესები, გატარებული რეფორმები და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები.



მრგვალი მაგიდის დასასრულს გაიმართა დისკუსია. აუდიტორიის მხრიდან დასმულ შეკითხვებზე აკადემიკოსმა რ. ასათიანმა ამომწურავი პასუხები გასცა.

აკადემიკოს რ. ასათიანის მიერ წარმოდგენილ ნაშრომებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა: ს. დიდებულიძემ, გ. მარგველაშვილმა, ნ. ჭითანავამ, თ. ყურაშვილმა, დოქტორმა ი. ახალბედაშვილმა, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ განხილული ნაშრომები მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია. მათში ხაზგასმული თითოეული საკითხის და დასმული ამოცანის დადებითად გადაწყვეტა სიკეთეს მოუტანს არამარტო სოფლის მეურნეობის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, არამედ დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის მთავარმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ა. დიდებულიძემ. მან მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

22 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღე

2025 წლის 23 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა დედამიწის საერთაშორისო დღისადმი (22 აპრილი) მიძღვნილი თემატური სხდომა.

დედამიწის საერთაშორისო დღე - ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება. პირველად ის აღინიშნა 1970 წელს, დღეისათვის კი მსოფლიო მასშტაბითაა კოორდინირებული და ყოველწლიურად აღინიშნება 193-ზე მეტ ქვეყანაში. ამ დღეს მთელ მსოფლიოში იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი სხვადასხვა ღონისძიება.

თემატურ სხდომას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ს/მ დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სტიპენდიატი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, აკადემიის აპარატის მუშაკები და მოწვეული სტუმრები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ბიოლოგიის დოქტორი მაია გოგოტიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის სტუდენტები: ვახტანგ ნაზლაიძე, ანა ცანავა, თამარ სეფაშვილი.

თემატური სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ, მან სიტყვა მოხსენებისათვის თემაზე: „საქართველოს დაცული ტერიტორიები და მათი როლი კლიმატის ცვლილებასთან



ბრძოლაში“ გადაცა სოფლის მეურნეობის დოქტორ ზვიად ტიგინაშვილს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში. მან ხაზი გაუსვა იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეისათვის აქტუალურია დაცული ტერიტორიებისათვის, როგორცაა: საქონლის არაკონტროლირებადი მოვება, უკანონო და უკონტროლო ტყის ჭრა და სხვ.

საქართველოში დაცული ტერიტორიების მართვას უზრუნველყოფს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექვემდებარება.

საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 927 748 ჰა-ია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 13,3 %-ს წარმოადგენს. დაცული ტერიტორიების 49,7 % ტყით არის დაფარული. ტყის ეკოსისტემა დედამიწაზე მიმდინარე კლიმატის ცვლილებით წარმოქმნილი უარყოფითი პროცესების მნიშვნელოვანი შემარბილებელი ფაქტორია. დედამიწაზე არსებული ფიტოცენოზებიდან ტყე წარმოადგენს ნახშირბადის ყველაზე მძლავრ რეზერვუარს.

დაცული ტერიტორიების ტყეები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში, მაგალითად: დაცვის ქვეშ მყოფი ეკოსისტემები ნაკლებად ზიანდება; დაცულ ტერიტორიებზე ტყის გაჩეხვა, გადამუშავება და სხვა დამაზიანებელი საქმიანობა აკრძალულია ან მკაცრად რეგულირდება, ამიტომ, ეს ტყეები უფრო ბუნებრივად ვითარდება და აგრძელებს ნახშირორჟანგის შთანთქმას გრძელვადიან პერსპექტივაში. დაცულ ტყეებში ნაკლებად ხდება ტყის მასის მოჭრა ან დაწვა, რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ხანგრძლივად შეინახონ დიდი რაოდენობით ნახშირბადი. დაცული ტერიტორიების ტყეები, როგორც ეტალონი ტყეები, გვაძლევს შესაძლებლობას ვაწარმოოთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები, დავაკვირდეთ ტყის ეკოსისტემების ცვლილებებს და უკეთ ვმართოთ ბუნებრივი რესურსები.

დაცული ტერიტორიები საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანის და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობა. ტყეები არა მხოლოდ ნახშირორჟანგის შთანთქმელი სისტემებია, არამედ სიცოცხლის გადარჩენის მნიშვნელოვანი გარემოცვაა. მათი დაცვა, მართვა გაფართოება და განვითარება კლიმატური მდგრადობის ნაწილია, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ისე გლობალური გარემოსდაცვითი მიზნებისთვის.



მოხსენების დასასრულს გაიმართა დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში. ზვიად ტიგინაშვილმა ამომწურავად უპასუხა აუდიტორიის მხრიდან დასმულ შეკითხვებს.

თემატური სხდომა შეაჯამა აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ, მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო მოხსენებისათვის, დამსწრე საზოგადოებას - მობრძანებისა და სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისათვის. დასასრულს აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვა-გადაწყვეტას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის შესაბამისობა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთოპოლიტიკასთან

2025 წლის 25 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოისმინა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერის ნოდარ კერესელიძის მოხსენება “საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის შესაბამისობა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკასთან.”

აღინიშნა, რომ 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკის დაახლოებასა და თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სფეროში. გარდა ამისა, საქართველო, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში იღებს ვალდებულებას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებში შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი კანონმდებლობა და პოლიტიკა ევროკავშირის სამართლებრივ ბაზასთან და შესაბამის პოლიტიკასთან, კერძოდ-სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკასთან (CAP). წინამდებარე მოხსენებით წარმოდგენილია საქართველოს სოფლის

მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის შედარებითი ანალიზი ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკასთან. განხილულია ეროვნული პოლიტიკა, ინსტიტუციური სტრუქტურები და ინტერვენციის მექანიზმები. განისაზღვრა CAP-ის მიზნებთან შესაბამისობა და გამოვლინდა არსებული შეუსაბამობები. წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოში სოფლის განვითარების პოლიტიკის ეფექტურობისა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისკენ არის მიმართული. როგორც ანალიზით ვლინდება, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის სამი ზოგადი მიზნიდან ორი სრულად ეხმიანება CAP-ის ზოგად მიზნებს. მიზანი 1: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები - ემთხვევა CAP-ის პირველ ზოგადმიზანს. მიზანი 2: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია - თავსებადია CAP-ის მეორე მიზანთან, ხოლო მიზანი 3: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები - ნაწილობრივ ემთხვევა CAP-ის მესამე მიზანს, თუმცა ნაკლებად ეხება სოციალურ ასპექტებს, როგორცაა ხალგაზრდების მხარდაჭერა, დასაქმება და გენდერული თანასწორობა. სტრატეგიის 88 აქტივობიდან 66 შეესაბამება CAP-ის სოფლის განვითარების ინტერვენციებს. მათ შორისაა: ინვესტიციები (საწარმოო ინფრასტრუქტურა, მელიორაცია); თანამშრომლობა (სასოფლო ტურიზმი, ქალების ჩართულობა, სკოლებისა და საბავშვო ბაღების განვითარება); ცოდნის გაზიარება (პროფესიული განათლება, ტრენინგები); ქვემოდან-ზემოთ მიდგომის ინსტიტუციონალიზაცია (LEADER/CLLD მიდგომა - ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების მხარდაჭერა); ფინანსური ინსტრუმენტები (სასოფლო კრედიტის თანადაფინანსება, სადაზღვევო პროგრამები). ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ სოფლის განვითარების სააგენტო ფინქციონირებს როგორც CAP-ის ტიპის გადამხდელი სააგენტო, თუმცა ასევე ახორციელებს სტრატეგიის აქტივობებს რომლებიც ცდება CAP-ის მიზნებს. მართვისორგანო (Managing Authority) სრულად არ არის ჩამოყალიბებული; მის ფუნქციებს ნაწილობრივ ასრულებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დეპარტამენტი. სამოქალაქო კომიტეტი ახლად შექმნილი სამუშაო ფორმატია, რომელიც სრულად არ შეესაბამება მონიტორინგის კომიტეტის ფორმატს. სოფლის განვითარების ეროვნული ქსელი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირის CAP-ის მიზნებთან შესაბამისი სოფლის განვითარების პოლიტიკის ფორმირების გზაზე. თუმცა, სრულ შესაბამისობას სჭირდება სტრატეგიული გეგმების ცვლილება, ინტერვენციების მკაფიო სტრუქტურირება და ინსტიტუციური რეფორმები. კერძოდ, სტრატეგიის მიზნები და ამოცანები უნდა გადაჯგუფდეს CAP-ის მიზნებთან შესაბამისობით (Regulation (EU) 2021/2115-ის მიხედვით). სტრატეგიით განსაზღვრული აქტივობები უნდა დაჯგუფდეს CAP-ის ინვესტიციის ტიპების შესაბამისად (მაგ. ინვესტიციები, ცოდნის გაზიარება, ტექნიკური დახმარება). საქართველომ, როგორც კანდიდატმა ქვეყანამ, უნდა შეიმუშაოს ისეთი მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც თავსებადია ევროკავშირში გაწევრიანებამდე დახმარების ინსტრუმენტის (IPARD-ის) პრიორიტეტებთან. ინსტიტუციური რეფორმის თვალსაზრისით უნდა გაძლიერდეს მართვის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციასა და მონიტორინგზე. სოფლის განვითარების სააგენტოს ფუნქცია უნდა შეიზღუდოს ფინანსური ადმინისტრირების მიმართულებით, როგორც ევროკავშირში არსებული გადამხდელი სააგენტოების შემთხვევაშია და უნდა დაინერგოს ინტეგრირებული ადმინისტრირებისა და კონტროლის სისტემა (IACS), მათ შორის, მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირების სისტემა (LPIS). სამოქალაქო კომიტეტი უნდა გარდაიქმნას სრულფასოვან მონიტორინგის კომიტეტად. სასურველია შეიქმნას სძლიერი და ფუნქციური სოფლის განვითარების ეროვნული ქსელი (National Rural Network), რომელიც ჩართავს ყველა დაინტერესებულ მხარეს. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასთან და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

ვეტერინარი ექიმის მსოფლიო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში უკვე წლებია აღინიშნება ვეტერინარი ექიმის მსოფლიო დღე. წელსაც არ დაირღვა ტრადიცია და 29 აპრილს მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა აღნიშნული დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიკოსმა ა. გიორგაძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა, მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა, ამავე განყოფილების სწავლულმა მდივანმა, დოქტორმა ზ. მაკარაძემ, აკადემიკოსმა ჯ. გუგუშვილმა, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვ. ბასილაძემ, ამავე სააგენტოს ვეტერინარული დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა დ. ხელაიამ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის“ (FAO-ს) პროექტის მენეჯერმა მიხეილ სოხაძემ, შპს „ჩირინას“ ლაბორატორიის გამგემ, დოქტორმა ც. სიხარულიძემ, ვეტერინარული კლინიკა „ნიუ ვეტის“ დირექტორმა, დოქტორმა ნუნუ ომარაშვილმა, კომპანია „ინვეტ ჯგუფის“ წარმომადგენელმა, დოქტორმა გურამ მელქაძემ, ასევე სეს-ის წარმომადგენლებმა: ლ. ნინიძემ და თ. ჩალიგავამ, დოქტორანტმა ა. გურგენიძემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ჯალაღონიამ და აკადემიის აპარატის თანამშრომლებმა.



კონფერენცია გახსნა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა. მან მოკლედ მიმოიხილა ვეტერინარი ექიმის მსოფლიო დღის დაარსების ისტორია, ისაუბრა ვეტერინარი ექიმის პროფესიის მნიშვნელობაზე, უკანასკნელ პერიოდში ცხოველებში ახალი დაავადებების გაჩენის შესახებ, ცხოველთა ჯანმრთელობაზე კლიმატის

ცვლილებების ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებზე, ვეტერინარიაში არსებულ გამოწვევებზე და სხვ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვ. ბასილაძე, რის შემდეგ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ვეტერინარული სამეთვალყურეო საბჭო - VSB“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2026 წლის პირველი იანვრიდან ვეტერინარების სერტიფიცირება სავალდებულო ხდება. საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 სექტემბრის № 288 დადგენილება „ვეტერინარიისა და ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობისთვის სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარებისა და მათი პროფესიული განვითარების წესი და პირობები“. დადგენილება ხელს შეუწყობს: აგრარული სექტორისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი ვეტერინარული სერვისების მიწოდებას; საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული მომსახურების განვითარებას; მოქალაქეთა და ცხოველების ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ა.შ. ვ. ბასილაძემ მსმენელთა ყურადღება ასევე გაამახვილა ვეტერინარულ სამეთვალყურეო საბჭოზე, მის შემადგენლობასა და მნიშვნელობაზე, ვეტერინარებისათვის სერტიფიკატის გაცემის პირობებზე და ა. შ.

მსმენელთა წინაშე პრეზენტაციით „პირველი ქართული ვეტერინარული სასწავლო სიმულატორი“ წარსდგა ვეტერინარი სტუდენტი, ახალგაზრდა მკვლევართა საინიციატივო ჯგუფის (IGYR) ხელმძღვანელი ლევან ჯალაღონია. მან ისაუბრა ვეტერინარული სიმულატორებზე, მათ დანიშნულებაზე, სიმულატორების დადებით და უარყოფით მხარეებზე. შემდეგ

დამსწრე საზოგადოების ყურადღება გაამახვილა იმ უნარებზე, რომელიც სტუდენტებს უვითარდებათ აღნიშნული სიმულატორების გამოყენებისას. კერძოდ, ესაა: ქირურგიული ტექნიკის დახვეწა (გაკერვა, სისხლდენის შეჩერება, სტერილიზაცია და სხვ.); ინვაზიური მანიპულაციების სწავლა (ვენოფუნქცია, ლაპარასკოპია); ანატომიის ცოდნის გაღრმავება; პრობლემის გადაჭრის უნარების გაუმჯობესება და სხვ. პრეზენტაციის დასასრულს ლ. ჯალაღონიამ წარმოადგინა სურათები, სადაც სტუდენტების ხელით ანატომიური სიზუსტით აწყობილი ცხოველების ჩონჩხები და სხვადასხვა სიმულატორი იყო აღბეჭდილი.

კონფერენციაზე მოხსენებით „შინაური ბინადარი ხორცისმჭამელი (ძაღვი და კატა) ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში და მისი ეპიდემიური შეფასება“ გამოვიდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის“ (FAO-ს) პროექტის მენეჯერი მიხეილ სოხაძე. მან აღნიშნა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ცხოველების (ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი) ბრუცელოზის ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მეტ-ნაკლებად ცნობილია, რასაც ვერ ვიტყვით შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღვი, კატა) ბრუცელოზზე. შემდეგ მ. სოხაძემ აუდიტორიას გააცნო ძაღლისა და კატის ბრუცელოზის გამომწვევები და ის საშიშროებები, რომელიც ამ დაავადებას ახლავს თან. მან ასევე დეტალურად აღწერა აქტივობები, რომელიც განხორციელდება ქვეყანაში ძაღლის და კატის ბრუცელოზის გავრცელების შესწავლასთან დაკავშირებით, ეპიდემიოლოგიურ პროცესში აღნიშნული დაავადების როლის განსაზღვრისა და დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებასთან დაკავშირებით.

სურათის ეროვნული სააგენტოს ვეტდეპარტამენტის ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე თენგიზ ჩალიგავა დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით: „ბლუთანგის (ცხვრის კატარალური ცხელების) გადამტან ვექტორებზე ზედამხედველობა საქართველოში“. საუბარი წარიმართა ბლუთანგის ბუნებაზე. ის, რომ იგი ვექტორული ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომლითაც ავადდებიან მცოხნავები. ამთვისებელი ცხოველების უმეტესობაში ბლუთანგი სუბკლინიკურად მიმდინარეობს, თუმცა შესაძლოა მძიმედ მიმდინარეობდეს ცხვარში. BTV წყაროა ინფიცირებული მწერი. დაავადება ვრცელდება ვექტორებით - *Culicoides spp* გვარის მწერებით. აღნიშნულ დაავადებასთან დაკავშირებით 2018 წლის 3 აგვისტოს გამოიცა საქართველოს მთავრობის №398 დადგენილება „ბლუთანგის აღმოფხვრასა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისად დაიგეგმა გარკვეული ღონისძიებები, როგორც ვექტორების გამოჭერის პროცედურასთან დაკავშირებით, ისე ამ დაავადების გამოვლენასა და მასთან ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით.

კონფერენციაზე მოხსენებით „თერმულად დამუშავებულ ქათმის ხორცში ვარდისფერი ფერის დეფექტური პრობლემები, ფაქტორები და პროგნოზირებადობის მეთოდები“ წარსდგა დოქტორანტი ანა გურგენიძე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა განიხილა ყველა ის მიზეზი, რომელიც ფრინველის გამოზრდისას შეიძლება გაჩნდეს, მ.შ. ტემპერატურული არასტაბილურობა, ინფიცირების რისკები, საკვებისა და წყლის ხარისხი, ფრინველის ასაკი, დაკვლის პროცესი და ა. შ. ყურადღება გაამახვილა ხორცში ნიტრატების მოხვედრის საშიშროებაზე და მავნეობაზე, ჩამოთვალა ხორცში ვარდისფერი ფერის დეფექტის გასაკონტროლებლად ყველა აუცილებელი ფაქტორი და სხვ.



კომპანია „ინვეტი ჯგუფის“ წარმომადგენელმა, დოქტორმა გურამ მელქაძემ აუდიტორიას მიაწოდა ინფორმაცია კომპანიის დაარსებასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებით. ისაუბრა კომპანიის მისიაზე, არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. კომპანია აწარმოებს ფართო სპექტრის პროდუქციას, მ.შ. ანტიბიოტიკებს, ანტიპარაზიტულ პრეპარატებს, ვაქცინებს, ვიტამინებსა და მინერალურ დანამატებს, კომბინირებულ საკვებსა და სხვ.,

საკუთარი პროდუქციის დისტრიბუციას აწარმოებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის საფუძველზე, ინვეტმა გადაწყვიტა თავისი წარმოების ხაზის გაფართოება. ამ მიზნით 2025 წელს კომპანიამ შეიძინა ახალი საწარმო გარდაბანში, რომელმაც ხელი შეუწყო ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ვეტერინარიის დოქტორი ზურაბ მაკარაძე აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით „ქვემო ქართლის რეგიონში გადარეკვის პერიოდში მომთაბარე მეცხოველეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ბიოუსაფრთხოების პუნქტები“. მან ისაუბრა საფრთხეებზე, რომელიც ცხოველების გადარეკვის პერიოდში ექმნებათ. აღინიშნა, რომ გადარეკვა თავისი სირთულეებით წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრეს ფაქტორს, რომლის დროსაც ქვეითდება ცხოველის დამცველობითი ძალების ბრძოლისუნარიანობა, საუკეთესო პირობები იქმნება სხვადასხვა დაავადების განვითარებისათვის ანუ, გადარეკვა თავისი სირთულეებით დაავადების გაჩენის სერიოზული რისკ ფაქტორია. ამიტომ ცხოველთა სეზონურ სამოვრებზე



გადაადგილებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიოუსაფრთხოების პუნქტების არსებობას. საქართველოში არსებობს 7 ბიოუსაფრთხოების პუნქტი, მათ შორის: ქვემო ქართლში 3 ბიოუსაფრთხოების პუნქტი (ქალაქი რუსთავი, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტი). ბიოუსაფრთხოების პუნქტებში ხორციელდება ცხოველთა გაბანება, როგორც ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ მიმართული მნიშვნელოვანი ღონისძიება. შესაბამისად ცხოველები დაცულები არიან, დაავადებული ტკიპების მიერ გამოწვეული ისეთი სნეულებებისგან, როგორებიცაა პიროპლაზმოზი, ფრანსაიელოზი, ბაბეზიოზი, თეილერიოზი, ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ჭირი და სხვა. ქვემო ქართლში ბიო უსაფრთხოების პუნქტებზე 2016-2024 წლებში სულ დამუშავებული იქნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 65 855 სული, ხოლო წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი - 4 558 744 სული.

კონფერენციაზე წარმოდგენილმა თითოეულმა მოხსენებამ მსმენელთა მხრიდან დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. დაისვა არაერთი შეკითხვა, რომლებზეც მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს საინტერესო მოხსენებებისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის.

20 მაისი - ფუტკრის მსოფლიო დღე

ფუტკრის მსოფლიო დღე - საერთაშორისო დღესასწაულია. იგი 20 მაისს, თანამედროვე მეფუტკრეობის ფუძემდებლის ანტონ იანშის დაბადების დღეს აღინიშნება. ამ დღეს მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ პატივს მიაგებს ამ უნიკალურ მწერს, რომელიც არამარტო მვირფას პროდუქტებს (თაფლს, ფუტკრის რძე, შხამს, დინდგელს, და სხვ.) იძლევა, არამედ უდიდეს როლს თამაშობს მცენარეთა დამტვერვაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ყოველწლიურად აღინიშნება ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. წელსაც, 20 მაისს აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ფუტკრის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა.



მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, მთავარი აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, ამავე განყოფილების სწავლული მდივანი, დოქტორი ზურაბ მაკარაძე, აკადემიკოსი ჯ. გუგუშვილი, საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან ჭიპაშვილი, აკადემიის მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორი, დოქტორი მ. ფეიქრიშვილი, საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ლოლობერიძე, საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი რამაზ თავართქილაძე და ამავე კავშირის იურისტი, შპს „ახალი ტექნიკის“ ლაბორატორიის დირექტორი შალვა ნადირაშვილი, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების „ეიჩ ენდ ზეტის“ დირექტორი წოვინარ ნაზაროვა, პრაქტიკოსი მეფუტკრეები: გიორგი ლომიძე და გიორგი მერაბიშვილი, ასევე აპარატის თანამშრომლები და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები.

მრგვალი მაგიდა გახსნა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ისტორია, ისაუბრა აღნიშნული დარგის ადგილზე და მნიშვნელობაზე ქართველი კაცის ყოფაში, ყურადღება გაამახვილა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ფუტკრისა და ფუტკრის პროდუქ-



ტების მნიშვნელობაზე. შემდეგ ბატონმა თენგიზმა აუდიტორიას გააცნო მრგვალი მაგიდის დღის წესრიგი, რომლის შესამამისად წარიმართა მუშაობა: 1. ტრიპილელაფსოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რამდენიმე მეთოდი. მომხსენებელი: საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტი თეიმურაზ ლოღობერიძე; 2. საქართველოში მეფუტკრეთა კავშირის როლი ქვეყანაში მეფუტკრეობის დარგის აღორძინების მიმართულებით. მომხსენებელი: საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი რამაზ თავართქილაძე; 3. საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება და შემუშავება (სტრატეგიული ხედვა, კვლევა, დაგეგმვა). მომხსენებელი: ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის საზოგადოების „ეიჩ ენდ ზეტის“ დირექტორი წოვინარ ნაზაროვა.

მრგვალ მაგიდაზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა მაია ფეიქრიშვილმა. მან ხაზი გაუსვა ქვეყანაში გავრცელებული ქართული ფუტკრის პოპულაციების მნიშვნელობას. იმას რომ აუცილებელია მათი დაცვა სხვა ჯიშის ფუტკრებთან აღრევისაგან. ამ მხრივ საჭიროა გარკვეული მუშაობის ჩატარება ქართველ მეფუტკრეებთან და დარგით დაინტერესებულ პირებთან, რადგან აღნიშნული წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით. დოქტორი მ. ფეიქრიშვილი ასევე შეეხო დარგში არსებულ პრობლემებს, ისაუბრა მათი გადაჭრის გზებზე. თავისი გამოსვლის დასასრულს ქალბატონმა მაიამ დარბაზში მყოფ მსმენელებს წარმატება და წინსვლა უსურვა თავ-თავიანთ საქმიანობაში.



საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის პრეზიდენტმა თეიმურაზ ლოღობერიძემ მსმენელთა ყურადღება შეაჩერა უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში გავრცელებულ ფუტკრის საშიშ დაავადებაზე – ტროპილელაფსოზზე. დაავადების გამომწვევია ტკიპი ტროპილელაფსი, რომელიც ფუტკრისთვის მომაკვდინებელი პარაზიტია. იგი იკვებება და მრავლდება ფუტკრის ლარვებსა და ჭუპრზე. დაავადება სწრაფად ვრცელდება და ფუტკრის ოჯახის მიუხედაობამ შეიძლება 3-4

თვეში სრულად გაანადგუროს ფუტკარი. აღინიშნა, რომ დაავადების ადრეული ფორმის გამოვლენა რთულია, რადგან უსიმპტომოდ მიმდინარეობს. გარდა ამისა აღნიშნული ტკიპი მეტად მცირერ ზომისაა, სწრაფად მოძრაობს ფიჭაზე და შესაბამისად მისი დაფიქსირება გართულებულია. საფუტკრეებს შორის პარაზიტი ტკიპის გავრცელებას აჩქარებს დაავადებული ოჯახის გადაადგილება: მთაბარობა, რეალიზაცია და ა.შ., ასევე სხვა ბევრი ფაქტორიც. ბატონმა თეიმურაზმა შემოიტანა წინადადება ტროპილელაფსოზის სიმწვავის გამოსახატავად შემოტანილი იქნეს 4 გრადაცია: სუსტი, მცირე, საშუალო, ძლიერი, რათა გაადვილდეს ამ დაავადებასთან ბრძოლა. პროცენტულად წარმოდგენილი გრადაცია შეიძლება დაკავშირდეს გადაბეჭდილი ბარტყიანი ფიჭიდან, მისი გახვრეტის შემდეგ ამოსული ტკიპების რაოდენობასთან შემდეგნაირად: სუსტს შეესაბამება დასნებოვნებული ბარტყი 10%-ის ოდენობით, მცირეს - დასნებოვნებული ბარტყი 30%-ის ოდენობით, საშუალოს - 50%-ის, ხოლო ძლიერს - 70%-ის და მეტი ოდენობით. ბატონი თეიმურაზი თავის მოხსენებაში ასევე შეეხო ტროპილელაფსოზის საწინააღმდეგო პრეპარატებსაც, რომელთა შორის გამოყო: ჭიანჭველმუყავა, აპისტანი, ფლუვაროლი და სხვ.

საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი რამაზ თავართქილაძე აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით: „საქართველოში მეფუტკრეთა კავშირის როლი ქვეყანაში მეფუტკრეობის დარგის აღორძინების მიმართულებით“. მომხსენებელმა ისაუბრა მეფუტკრეთა კავშირის შექმნის ისტორიაზე, მის მნიშვნელობაზე, არსებულ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე, იგი ასევე შეეხო იმ საქმიანობას, რომელსაც აღნიშნული კავშირი ეწევა ქვეყანაში მეფუტკრეობის დარგის პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადებასა და შემუშავებასთან დაკავშირებით თავისი ხედვები წარმოადგინა ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების „ეიჩ ენდ ზეტის“ დირექტორმა წოვინარ ნაზაროვამ. მან სქემატურად წარმოადგინა ყველა ის რგოლი და პოზიცია რომელიც მეფუტკრეობის განვითარების ეროვნულ სამოქმედო გეგმასთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ თითოეული საკითხის ირგვლივ დაისვა არაერთი შეკითხვა, მომხსენებლებსა და მსმენელებს შორის წარმოადგენილი თემების ირგვლივ ადგილი ჰქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

შპს „ახალი ტექნიკის“ ლაბორატორიის დირექტორი შალვა ნადირაშვილი დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა მსოფლიო ბაზარზე ფუტკრის შხამზე მოთხოვნის შესახებ. აღინიშნა, რომ დღეს ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ფუტკრის შხამის წარმოება, არაადა მასზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ყურადსაღებია ისიც, რომ ფუტკრის შხამი საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქტია და მისი წარმოებით მეფუტკრეებს მნიშვნელოვნად გაეზრდებათ შემოსავალი.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მრგვალ მაგიდაზე დასწრებისათვის და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის.

22 მაისი - ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღე

ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღე - ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც 22 მაისს აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოს გარშემო იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები. ამ მხრივ არც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაა გამონაკლისი. წელსაც აკადემიის სხდომათა დარბაზში გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს- მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ს/მ დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, აკადემიის აპარატის მუშაკები და მოწვეული სტუმრები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტები.

თემატური სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ, მან წარმოადგინა მოხსენება: „საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება“.

მომხსენებელმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ტყის



ეკოსისტემების მრავალფეროვნებაზე. იმაზე, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: გენეზისით, ტიპით, კორომის შემადგენლობით, ვერტიკალური და ჰორიზონტალური აღნაგობით, სიხშირით და სხვ. საქართველოს ტყის ეკოსისტემები რელიეფური პირობების მიხედვით მთისა და ბარის ტყეებად იყოფა. მთის ტყეებს უკავიათ მთელი ტყით დაფარული ფართობის 98 %, ხოლო ბარის ტყეებს - 2 %, რომლებიც ძირითადად კოლხეთის დაბლობზე და აგრეთვე მდინარეების: მტკვარის, ალაზანის, იორის, ხრამის და სხვ. დინებების ქვემო დელტების მიდამოებში განეფინებიან. საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნების ძირითადი ფაქტორია გეოგრაფიული ლანდშაფტების არაერთგვაროვნება. საქართველოს ლანდშაფტის ფიზიკურ - გეოგრაფიული ნაირგვარობა ხელს უწყობს მეტად განსხვავებული მეტყვეობითი და ბიოლოგიურ - ეკოლოგიური თავისებურებების მქონე მცენარეული სახეობების ზრდა - განვითარებას.

„საქართველოს ტყის ეკოსისტემებში, დღევანდლამდე არიან წარმოდგენილნი ისეთი რელიქტური სახეობები, რომლებიც ჯერ კიდევ მიოცენის და პლიოცენის ხანაში იყვნენ წარმოდგენილნი: პონტოური მუხა, პონტოური შქერი, მედვედევის არყი, კავკასიური მოცვი, წყავი და სხვ.

სიმაღლის მიხედვით ველურად მოზარდი 153 სახეობიდან, მაღალტანიანი (25 მეტრზე მეტი) 51 - სახეობის ხეა, მათ შორის აღსანიშნავია: კავკასიის სოჭი (იზრდება 70 მეტრ სიმაღლემდე), აღმოსავლეთის ნაძვი (იზრდება 40 – 50 მ. სიმაღლემდე), აღმოსავლეთის წიფელი (იზრდება 40 – 45 მ. სიმაღლემდე);

საშუალო სიმაღლისაა (8 - დან 24 მ. -მდე) 56 სახეობის ხე, მათ შორის აღსანიშნავია: მაღალმთის ნეკერჩხალი, კოლხური ბუა, კავკასიური აკაკი და სხვ;

დაბალტანიანია (7 მეტრი და ნაკლები) 46 სახეობის ხე, მათ შორის აღსანიშნავია: ღვია, ხეჭრელი, ფშატი, ზღმარტლი და სხვ.“ - აღნიშნა მომხსენებელმა.

აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ თავის მოხსენებაში ასევე განიხილა საქართველოს ტყეების სახეობრივი შემადგენლობა, ხაზი გაუსვა მის მრავალფეროვნებას. ტყეში ველურად იზრდება 400 - მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გვარსა და 56 ოჯახში: საქართველოს დენდროფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, მათ შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, ხოლო მთლიანად კავკასიის 43 სახეობა.

საქართველოს ტყეების ბიოეკოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობასა და რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს, როგორც წმინდა, ასევე შერეული შემადგენლობის კორომების არსებობა.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ქვეყნის ტყის მრავალფეროვან ფორმაციათა შესახებაც, მ. შ.: აღმოსავლეთის წიფლის, ქართული მუხის, სოსნოვსკის ფიჭვის, კავკასიის სოჭის, აღმოსავლეთის ნაძვის, ჩვეულებრივი წაბლის და სხვ. ფორმაციებზე, რომლებიც ბუნების უნიკალური, განუმეორებელი ქმნილებებია. აღნიშნულთან დაკავშირებით ბატონმა ლ. დოლიძემ გაიხსენა ვაჟა-ფშაველა უკვდავი სტრიქონები, რომლებიც მგოსანმა ქართულ ტყეებს მიუძღვნა: „შენ გენაცვალე ტყევ დაბურულო, ჩემო სიცოცხლე, სულო და გულო“.

აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ განიხილა საქართველოს ნაკრძალები და დაცული ტერიტორიებიც, როგორც ბიომრავალფეროვნების უნიკალური ნიმუშები. ხაზი გაუსვა ქვეყნის ტყეების ნიადაგდაცვით, წყალმარეგულირებელ, კლიმატმარეგულირებელ, რეკრეაციულ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა სახის დაცვით-ეკოლოგიურ ფუნქციებს, ისაუბრა ჯერ კიდევ შემორჩენილ ხელუხლებელ ანუ პირველქმნილ ტყეებზე, რომელთა არსებობა ყოველმხრივ არის საყურადღებო, რადგან მათში მიმდინარე რთული და ასევე ყოველმხრივ უნიკალური ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესების ღრმა ცოდნა მომავალში საქართველოს დეგრადირებული ტყეების აღდგენის საფუძველი გახდება. ამით კი ხელი შეეწყობა საქართველოს ტყის ეკოსისტემებისა და ზოგადად სატყეო - სამეურნეო საქმიანობის ინტეგრირებულად წარმართვის სისტემის სრულფასოვნად ფუნქციონირებას არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ

კავკასიაშიც, რადგან საქართველოს ტყეები აღნიშნული რეგიონის ტყის ერთიანი ეკოსისტემების ორგანული და განუყოფელი ნაწილია.

მომხსენებელი ასევე შეეხო კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებსაც და იქვე განმარტა, რომ კაცობრიობის არსებობის ერთ-ერთი საიმედო გარანტი პლანეტაზე არსებული ტყე-მცენარეულობაა, რომელიც თავისი უნიკალური კლიმატ-მარეგულირებელი პოტენციალით, ყოველთვის აზომიერებდა დედამიწის ბინადარ ცოცხალ ორგანიზმებზე მოქმედი კლიმატური ფაქტორების



მავნე ზეგავლენას. ამ მხრივ ბიოლოგიური მდგრადობითა და მაღალი რეზისტენტობით, ძლიერი გენეტიკური საწყისის გამო, სწორედ პირველქმნილი ტყეები ხასიათდებიან, რომლითაც ევროპაში საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. სწორედ ეს განაპირობებს ევროპის ქვეყნების მზარდ ინტერესს ჩვენი ტყეების მიმართ, რადგან მათი ტყეების დიდი პროცენტი, რომელიც კულტივირებული და ძირითადად კომერციული დანიშნულებისაა - დაბალი რეზისტენტობის, რეპროდუქციის დაბალი უნარისა და დაცვითი ფუნქციის არასრულყოფილების გამო, ხშირად თავად ხდება დასაცავი კლიმატის გლობალური ცვლილების მავნე ზემოქმედებისაგან.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში. დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხები გასცა.

თემატური სხდომა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მობრძანებისათვის და სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისათვის. აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვა-გადაწყვეტას.

სხდომის შემდეგ მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის მუზეუმი და საინფორმაციო ცენტრი.

გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღეა. თარიღი 1972 წლის 15 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დააწესა. ამ დღეს სტოკჰოლმში გაიხსნა კონფერენცია, რომელიც ადამიანის საარსებო გარემოს პრობლემების განხილვას მიეძღვნა. მიზანი გახლდათ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და მოქალაქეების ჩაბმა გარემოს დასაცავად მიმართულ ქმედებებში.

მიმდინარე წლის 6 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა

დოლიძემ, მთავარმა აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულისძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა, განყოფილების სტიპენდიატმა: სოფლის მეურნეობის დოქტორმა დოქტორმა ზვიად ტიგინაშვილმა, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორმა გიორგი ქავთარაძემ, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა, ბიოლოგიის დოქტორმა მედეა ბურჯანაძემ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა (ონ - ლაინ), ამავე სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელმა პაპუნა კაპანაძემ, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა ნატო კობახიძემ (ონ - ლაინ), სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნანა გოგინაშვილმა (ონ - ლაინ), WWF - ის რეგიონულმა (აჭარა) ექსპერტმა ზურაბ მანველიძემ (ონ - ლაინ), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსმა, ბიოლოგიის დოქტორმა ხათუნა წიკლაურმა (ონ - ლაინ), აკადემიის აპარატის მუშაკებმა.

სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ქვეყანაში გარემოს დასაცავად წარმოებული ღონისძიებების მნიშვნელობას, განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით. ყურადღება გაამახვილა ამ მხრივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე, რომელიც სკოლის მერხიდან უნდა დაიწყოს. შემდეგ სიტყვა გადაცა ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორს გიორგი ქავთარაძეს, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ევროპის ახალი (2030 წ.) სატყეო სტრატეგია და გამოწვევები საქართველოს სატყეო სექტორისათვის“.

მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა ევროპის ახალი (2030 წ.) სატყეო სტრატეგიის ძირითადი ასპექტები და საქართველოს სატყეო სექტორის ძირითადი გამოწვევები. აღინიშნა, რომ ევროკავშირის დონეზე მიღებული სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მომავალი ათწლეულისთვის განსაზღვრავს სატყეო სექტორის განვითარების ძირითად მიზნებს და მიდგომებს არის ევროპის ახალი სატყეო სტრატეგია 2030, რომლის საბოლოო ვერსია დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 26 ივლისს. წარმოდგენილი სტრატეგია თავის მხრივ ეთანხმება და აძლიერებს ევროპის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიით (2030) განსაზღვრულ მიზნებს და ზოგადად იზიარებს ევროპის მწვანე შეთანხმების (European Green Deal)^[1] სულისკვეთებას, სადაც ხაზგასმულია ტყეების მთავარი და მრავალფუნქციური დანიშნულების შესახებ 2050 წლისთვის ევროპაში მდგრადი და კლიმატ-ნეიტრალური ეკონომიკის განსავითარებლად.



ევროპის ახალი სატყეო სტრატეგია ასევე ჯდება ისეთი საერთაშორისო სტრატეგიული დოკუმენტის ხედვის ჩარჩოში, როგორც არის გაეროს სატყეო სტრატეგიული გეგმა 2017-2030.

სტრატეგია მოიცავს ღონისძიებებს: ტყის დაცვის და აღდგენის, მდგრადი მართვის გასაძლიერებლად, მონიტორინგის და დეცენტრალიზებული დაგეგმვის გაუმჯობესებისთვის, ტყის მდგრადი ეკოსისტემების უზრუნველსაყოფად და მრავალფუნქციური როლის შესასრულებლად. ევროპის კლიმატ-ნეიტრალური მომავლისათვის მდგრად მეტყვეობაზე დაფუძნებული ბიოეკონომიკის (Sustainable forest-based bioeconomy) მხარდასაჭერად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დოქტორ გ. ქავთარაძის მიერ განხილული იქნა თუ რა ახალ მოცემულობას ადგენს და გამოწვევებს ქმნის საერთაშორისო სტრატეგიული მიდგომები საქართველოს სატყეო სექტორისთვის ეროვნულ დონეზე.

ევროპის სატყეო სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელ საჭიროებად ჩაითვალა შემდეგი ამოცანების დასახვა და განხორციელება ეროვნულ დონეზე, როგორცაა: საქართველოს ტყის რესურსების და ეკოსისტემური სერვისების შეფასება და ტყის არამერქნულ პროდუქტებზე დაფუძნებული ბიოეკონომიკის, მათ შორის ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; მდგრადი ბიოეკონომიკის განსავითარებლად დამატებითი ღირებულების ტყის პროდუქციის წარმოების და გადამუშავების ხელშეწყობა;

ტყის მდგრად მართვაზე დაფუძნებული ბიოეკონომიკის განვითარებისთვის შესაბამისი უნარების და ცოდნის გაღრმავება; ბიოენერგეტიკისთვის მერქნული რესურსის მდგრადი გამოყენება; ბიომრავალფეროვანი ტყეების სიჯანსაღის და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება კლიმატის ცვლილების მიმართ ტყეების ადაპტაციის უნარისა და გამძლეობის ამაღლებისთვის; ტყის ბიომრავალფეროვნების შემცირების პროცესის შენელება, მდგრადი და მრავალფუნქციური ტყის ეკოსისტემების უზრუნველყოფა და სხვ.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა საქართველოს სატყეო სექტორისთვის ერთ-ერთი მთავარ გამოწვევაზე - სატყეო სექტორის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის - სტრატეგიის და მოქმედებათა გეგმის არ არსებობაზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს ერთი მხრივ სექტორის განვითარების სტრატეგიული მიზნები, მეორე მხრივ ის ამოცანები, რომელიც უნდა შესრულდეს ამ მიზნების მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საქართველოს სატყეო სექტორის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას და დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ცენტრალიზებული მართვის სისტემის არსებობა¹¹. შესაბამისად საჭიროა მართვის დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარება, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტებისთვის ტყეების გადაცემით პირველ ეტაპზე დელეგირების უფლებით, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო მუნიციპალიტეტებს მართვის უფლებით გადასცემს ტყეებს, თუმცა ინარჩუნებს კონტროლის და მონიტორინგის უფლებამოსილებას.

მრგვალი მაგიდის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებულ აქტუალური საკითხების განხილვა-გადაწყვეტას.

17 ივნისი - გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე

მიმდინარე წლის 17 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მცირე საკონფერენციო დარბაზში აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების

ორგანიზებით ჩატარდა გაუდაბნოებასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა თემაზე: „**ნიადაგის როლი გვალვასთან ადაპტაციაში**“

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ; აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; ამავე განყოფილების სწავლული მდივანი, დოქტორი გიორგი ღამბაშიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტცივილი; კადრების ინსპექტორი ეკატერინე მიგრიაული; წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა, ქეთევან ჭიპაშვილი, დალი თარხნიშვილი.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა. მან აუდიტორიას შეახსენა გაუდაბნოებასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღის დაარსების ისტორია, მისი მნიშვნელობა. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დღეს მიწების დეგრადაციასთან ბრძოლა გასცდა ერთი ქვეყნის პრობლემას და იგი გლობალური მასშტაბით უნდა იქნეს განხილული. ქალბატონი გოგოლა ასევე შეეხო საქართველოს ნიადაგების მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, წარმოადგინა მათი გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები.



აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა თავის გამოსვლაში ასევე ისაუბრა დედამიწაზე არსებულ უდაბნოებზე, მათ მნიშვნელობაზე. ყურადღება გაამახვილა უდაბნოს პირობებს ადაპტირებული ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. აღნიშნა, რომ დედამიწაზე არსებობს განსაკუთრებული უდაბნოები, რომლებიც ტურისტების დიდ ინტერესს იწვევენ. მათ შორისაა: „ფაიფურის უდაბნო“, „იუნის უდაბნო“, „დანაკილის უდაბნო“ და სხვ.



მრგვალ მაგიდაზე მოხსენებით: „**ნიადაგის როლი გვალვასთან ადაპტაციაში**“ მსმენელთა წინაშე წარსდგა დოქტორი გიორგი ღამბაშიძე. მან ხაზი გაუსვა ნიადაგის ორ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებზეც დიდაა დამოკიდებული ნიადაგში ტენის შენარჩუნების ხარისხი. ესენია: ნიადაგის გრანულომეტრული შედგენილობა და ნიადაგის ორგანული ნივთიერებები. გრანულომეტრული შედგენილობის მიხედვით ნიადაგში გვხვდება: მსხვილი ქვიშა, საშუალო

ქვიშა, წვრილი ქვიშა, ქვიშა თიხნარით, ქვიშიანი თიხნარი, წვრილქვიშიანი თიხნარი, თიხნარი, თიხნარი მტვრით, თიხნარი თიხით, მტვრიან-თიხიანი თიხნარი, ქვიშიან-თიხიანი თიხნარი, ქვიშიანი თიხა, მტვრიანი თიხა, თიხა. თითოეულ მათგანს ტენის შენარჩუნების განსხვავებული უნარი გააჩნია. ყველაზე მეტად ტენი ნარჩუნდება თიხნარ და ქვიშიან-თიხნარ თიხნარებში. აქ წყლის რაოდენობა ნიადაგის ზედა 30 სმ-იან ფენაში ვარიირებს 43.75 - 62.5 ტ/ჰა-მდე. ყველაზე

ნაკლებად ტენს ინარჩუნებს მსხვილ ქვიშიანი ნიადაგი - 10 - 18.75 ტ/ჰა. რაც შეეხება ნიადაგში ორგანული ნივთიერებების როლს მცენარისთვის ხელმისაწვდომი წყლის შეკავებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ნიადაგში ორგანული ნივთიერებების 1%-ით ამალღებით შესაძლებელია 1 ჰა-ზე 0-30 სმ ფენაში წყლის მარაგის 53.4 ტ-ით გაზრდა, რაც ბოსტნეული კულტურების ნათესს 2 კვირით უზრუნველყოფს წყლით.

ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის ახალი რეალობა“

მიმდინარე წლის 31 ივლისს, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიდაურაში ჩატარდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „ქართული ხორბლის ახალი რეალობა“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა სღებულობდნენ: საქართველოს საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს საპატრიარქოს, სამეცნიერო, სასწავლო, აკადემიური წრეების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სურსათისა და ჯანდაცვის სფეროს, ხორბლის, პურის მწარმოებელთა და ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კონფერენციას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექციძე, პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე, პროფესორი თამაზ ბაციკაძე.

ეროვნულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლის უნიკალური თვისებების შესახებ უახლესი სამეცნიერო მტკიცებულებები, რაც უმნიშვნელოვანესია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, აგრარული სექტორის მდგრადობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ნუტრიციოლოგიის და სასურსათო უზრუნველყოფის კონტექსტში.



„ღონისძიება წარმოადგენს პლატფორმას დიალოგისთვის და ხაზს უსვამს, რომ ქართული ხორბლის სახეობებს და ჯიშებს აქვს პოტენციალი, გახდეს ერთ-ერთი საკვანძო პროდუქტი ჯანსაღი და მდგრადი კვების სისტემაში“,- აღნიშნა სოლომონ ჰავლიაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კვლევების ჩატარების ინიციატორებს, ორგანიზატორებს და მასში ჩართულ ყველა მხარეს. როგორც სოლომონ ჰავლიაშვილმა აღნიშნა, კვლევები ქართული ხორბლისთვის ახალ შესაძლებლობებს აჩენს.

კონფერენციის ფარგლებში, საჯარო გახდა იმ კვლევის შედეგები, რომელიც ქართული ხორბლის 5 ენდემური სახეობისა და 7 ადგილობრივი ჯიშის ნუტრიენტული შემცველობის ფართო სპექტრს ეხება. აღნიშნული კვლევები, რომლის ინიციატივა ეკატერინა ხვედელიძეს და ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნით, ავსტრიის თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების შესაბამის

წამყვან ლაბორატორიაში ჩატარდა; ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ“ უზრუნველყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. მან ფართოდ ისაუბრა ქართული ხორბლის გენეტიკურ თავისებურებებზე, ჯიშურ მრავალ-ფეროვნებაზე, სელექციაში მათი გამოყენების მიზანშეწონილობასა და ახალი ჯიშების შექმნაში წამყვან პოზიციაზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქართული ხორბლის ენდემურ ჯიშებზე, რომლებსაც ხორბლის ახალი ჯიშებისა და ხაზების გამოყვანაში წარმატებით იყენებენ არამარტო ქართველი სელექციონერები, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც.

ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 24 სექტემბერს აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, განყოფილების სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ნანა გოგინაშვილი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, აკადემიის აპარატის მუშაკები.



მრგვალი მაგიდა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ მან აღნიშნა, რომ ტყე არა მარტო „პლანეტის მწვანე ფილტვებია“, რომელიც შთანთქმავს რა ნახშირორჟანგს, აწარმოებს ჟანგბადს, წმენდს ჰაერსა და წყალს, ასევე მრავალი ცოცხალი ორგანიზმის საარსებო გარემოს წარმოადგენს, მას სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია, მათ შორის ეკონომიკური და სოციალური ასპექტები. მოსახლეობისთვის იგი წარმოადგენს საკვების, სამკურნალო მცენარეების, დასასვენებელი ადგილის და ა.შ. წყაროს“. ბატონმა ლაშამ იმასაც გაუსვა ხაზი,

რომ ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღეს განყოფილება ტრადიციულად აღნიშნავს ყოველი წლის სექტემბრის თვეში და რომ ტყის დაცვა და გაფრთხილება არამარტო ტყის მუშაკთა ვალდებულებაა, მას თითოეული ჩვენთაგანი უნდა უფრთხილდებოდეს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად და დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა აკადემიკოს ლაშა დოლიძის მოხსენება: „ტყის ეკოსისტემებში, სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებთან ბრძოლა ხელოვნურად გამოწვეული ატმოსფერული ნალექების საშუალებით“. მომხსენებელმა მიმოიხილა საქართველოში გავრცელებული ტყის ხანძრების ისტორია, გავრცელების დინამიკა და ხანძრების გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინოვაციური მეთოდები. აღინიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრებმა მნიშვნელოვნად დააზარალა საქართველოს ნაირგვარი ხელოვნების, ტყის ტიპის, აღნაგობის, შემადგენლობის, სიხშირის ტყის ეკოსისტემები, ძლიერ დააქვეითა მათი მეტყვეობითი და ბიოეკოლოგიური თავისებურებების მახასიათებლები, სოციალურ - ეკონომიკური და დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობა, ქვეყანას მიადგა მილიონობით ლარის ზარალი.

მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მსოფლიოში გავრცელებულ ტყის ხანძრებთან ბრძოლის ნოვატორულ, მეტად ეფექტური მეთოდზე - კონვექტიური ფორმის ღრუბლების მასიდან ხელოვნური გზით ატმოსფერული ნალექების (წვიმის) გამოწვევაზე. ისაუბრა მეთოდის უპირატესობაზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ატმოსფერული ნალექების (წვიმის) წარმოქმნა განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს. კერძოდ, თუ ერთი კუბური მეტრის მოცულობის ღრუბლის მასა შეიცავს ერთ გრამი მოცულობის წყალს, კონვექტიური ფორმის ჯგუფურ ღრუბელთა მასა საშუალოდ 9 - 10 ათასი კუბური მეტრია, შესაბამისად ხელოვნური გზით გამოწვეული ატმოსფერული ნალექის (წვიმის) მოცულობა საშუალოდ შეადგენს 9 - 10 ათას ტონას.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა აქტიური დისკუსია კითხვა პასუხის რეჟიმში. აუდიტორიის მხრიდან დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად საქართველოს ტყეებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ამ მიმართულებით ტყის ხანძრებთან დაკავშირებულ პრევენციულ ღონისძიებებს შეეხებოდა მომხსენებელმა ამომწურავი პასუხები გასცა.

მრგვალი მაგიდის მუშაობის დასასრულს აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის და დასძინა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვას და მათ შემდგომ ნიველირებას.

საზეიმო ღონისძიება საქართველოს ეროვნულ სასახლეში

UNESCO-მ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში საზეიმო სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი მკვა ბოჭორიშვილი, კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო წილოსანი, თბილისის მერი კახა კალაძე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები და საპატრიარქოს წარმომადგენლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ღონისძიებას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტის

მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გორგაძე და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი.



იუნესკოს მთავრობათაშორისმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, ქართული ხორბლის კულტურა, ტრადიციები და რიტუალები კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა, ეს არის მსოფლიო დონის აღიარება იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც ჩვენს გენეტიკაშია კოდირებული, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სიტყვით გამოსვლისას.

პრემიერის თქმით, ხორბალი ათასწლეულების განმავლობაში იყო ქართული იდენტობის, სულიერებისა და ყოფის განუყოფელი ნაწილი.

„საქართველო ხორბლის წარმოშობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 15 სწორედ ჩვენს მიწაზე ხარობს, ხოლო 5 მათგანი ენდემურია და მხოლოდ ქართულ მიწაზე მოდის. ეს ბიომრავალფეროვნება ცოცხალი საგანძურია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი დაულაღვად შრომობდა, აცხოვდა პურს და მისდევდა იმ ტრადიციებს, რომლებიც ოჯახების სიმტკიცეს იცავდა. სწორედ ამ შრომის შედეგია ის უნიკალური მრავალფეროვნება, რომელიც ჩვენს კუთხეებს ამშვენებს და რაც, საბოლოოდ, ჩვენი ერთიანი, მდიდარი ეროვნული კულტურის საფუძველს ქმნის“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, იუნესკოს ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს - ხორბალი და პურის გატეხვის ტრადიცია არის მშვიდობისა და სოციალური ერთიანობის სიმბოლო.

“დღეს, როდესაც მსოფლიოს ასე სჭირდება თანხმობა, ქართული სუფრა და პური სწორედ სტუმართმოყვარეობისა და ადამიანთა დაახლოების იდეას ემსახურება. ეს აღიარება არის გზავნილი მომავლისთვისაც. ენდემური ჯიშების დაცვა და განვითარება ჩვენი აგრარული სექტორის, აგროტურიზმისა და მწვანე ეკონომიკის უდიდესი პოტენციალია. ჩვენი მიზანია, ეს ტრადიცია იყოს ცოცხალი, განვითარებადი პროცესი, რომელიც დოვლათს მოუტანს ჩვენს ფერმერებს და ქვეყანას“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა მეცნიერებს, მკვლევარებს, სამინისტროებს, საქართველოს საპატრიარქოს და ნომინაციის მომზადების პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს მადლობა

გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეს გამარჯვება არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქართველო, თავისი უნიკალური კულტურით, მსოფლიო ცივილიზაციის გამორჩეული ნაწილია.

იუნესკოს მთავრობათაშორისი კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილების მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა, კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო წილოსანმა.

UNESCO-მ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა.

გადაწყვეტილება ნიუ-დელიში (ინდოეთის რესპუბლიკა) გამართულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის UNESCO-ს მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე იქნა მიღებული.

UNESCO-ს გადაწყვეტილება ხორბალთან დაკავშირებული ტრადიციებისა და რიტუალების აღიარების შესახებ არის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომის, ცოდნისა და პრაქტიკის საერთაშორისო დონეზე დაფასება; ქართული ენდემური სახეობების მნიშვნელობის ხაზგასმა; სულიერი და მატერიალური კულტურის ურთიერთკავშირის გაძლიერება და მომავალი თაობების წინაშე ვალდებულების აღება, რომ ამ „არამატერიალური კულტურული ელემენტის“ სიცოცხლისუნარიანობა დაცული და განვითარებული იქნება. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს - „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 მარტის №98 დადგენილებით განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია. საქართველოს მიერ UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წარმომადგენლობით ნუსხაში 2024 წლის 28 მარტს წარდგენილმა ნომინაციამ განხილვის ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია უშუალოდ მონაწილეობდა და კოორდინაციას უწევდა იმ სამუშაოებს და ღონისძიებებს, რომლებიც წინ უძღოდა „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანას.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩართულობით და კოორდინაციით წარიმართა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლის მიზანი იყო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის მოყვანისა და გამოყენების ტრადიციების“ შეტანა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უდიდესი მხარდაჭერით გამოეყო თანხა, რომლითაც დაფინანსდა სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები ქვეყნის მასშტაბით. ექსპედიციებში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერ-მკვლევარებმა და ტექნიკურმა პერსონალმა. განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები შემდეგ რეგიონებში: კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლი, ზემო და ქვემო სვანეთი, თუშეთი, გურია. მოძიებული და დაფიქსირებული იქნა: მეცხრამეტე საუკუნის თემატური ფოტოები; არქეოლოგიური ენდემური ხორბლის ნიმუშები; შესწავლილი იქნა ენდემური და ტრადიციული ხორბლის ნამზადის მონაწილეობა შემოდგომა-ზამთრის წეს-ჩვეულებებში და რიტუალურ ციკლში. განხორციელდა პურის ფესტივალის კინო-ფოტო გადაღება მესხეთში, ქალაქ ახალციხეში, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლიდან მიღებული ფქვილით გამომცხვარი პურის მრავალფეროვანი ასორტიმენტი; ჩაწერილი იქნა ინტერვიუები ფერმერებთან, პურის მცხობელებთან. შესწავლილი იქნა ტრადიციული და ადგილობრივი, ენდემური ხორბლის თესვის, მოსავლის აღებისა და თონეში ქართული პურის ცხობის პროცესები, სადაც

გამოყენებული იქნა ქართული ხალხური ტრადიციული ხელსაწყოები, ჩატარდა მასტერკლასები. განხორციელდა დაცული საინტერესო არტეფაქტების (უნიკალური კარბონიზირებული ხორბლის ნიმუშების, რომელიც აღმოჩენილია ქვემო ქართლში, ასაკი 8 თასი წელი ძვ.წ. მე-6 ათასწლეული) კინო-ფოტო გადაღებები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის და გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. ასევე გადაღებულ იქნა ნეოლითის პერიოდის, ე.წ. შულავერ-შომუთეფეს კულტურის ხორბლის ხუთი ეგზემპლარი; ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და რბილი ხორბალი (სამი ეგზემპლარი) და მთლიანად კოლექცია: ხორბალი, ქერი, უგრეხელი, პარკოსნების ნიმუშები, არტეფაქტი - თავთავის ანაბეჭდი ალიზის აგურზე. ასევე გადაღების ობიექტი იყო გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ექსპონატები, რომლებიც დაკავშირებულია ხორბლის თესვა-მოყვანა, დაუნჯებასთან; სახვნელი საშუალებების სხვადასხვა ტიპები მთისა და ბარისა (დიდი გუთანის), კვერი, კოდი და სხვ. ერთი დღე დაეთმო თბილისში არსებული ქართული პურის ტრადიციულ საცხობებს. შესწავლილი იქნა ხორბლის ენდემური სახეობებიდან მიღებული ფეკილიდან ნამზადის მონაწილეობა სამობაო წეს-ჩვეულებებში და რიტუალებში გურიაში.

მოპოვებული და შესწავლილი მასალების საფუძველზე შეიქმნა ფილმი (შეზღუდული მოთხოვნების გამო ფილმის ხანგრძლივობა 10 წუთია) იუნესკოში წარსადგენად. ჩატარებული კვლევების მასალებზე დაყრდნობით მომზადდა სამეცნიერო სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

ასევე 2024 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“. კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი; FAO-გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილი იყო 4 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი) მეცნიერთა შემადგენლობით, ხოლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 6 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, აშშ, თურქეთი) მეცნიერ-მკვლევარებმა.

იუნესკო-ს 2003 წლის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კონვენციას საქართველო 2007 წლიდან შეუერთდა. განვლილი პერიოდის განმავლობაში კონვენციის ქვეშ არსებული მსოფლიო წარმომადგენლობით ნუსხაში საქართველოს ოთხი ელემენტია აღიარებული: „ქართული მრავალხმიანობა“ (2001, 2008), „ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი“ (2013), „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ (2016) და „ქართული ჭიდაობა“ (2018). სასიხარულოა, რომ 2025 წელს მათ რიცხვს შეემატა „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“.

მეტყევის დღე

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა მეტყევის დღისადმი (10 ოქტომბერი) მიძღვნილი თემატური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი, განყოფილების

სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, აკადემიის აპარატის მუშაკები....

თემატური სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მისალმების შემდეგ, მან მეტყველებს მიულოცა პროფესიული დღე და უსურვა წარმატება თავიანთ საქმიანობაში.

თემატური სხდომის მუშაობა წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად და დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა აკადემიის სტიპენდიატის ზვიად ტიგინაშვილის მოხსენება: „ცივ-გომბორის რეგიონში ქართული მუხის (*Quercus petraea* aubsp. *Iberica*) წმინდა კორომების აღნაგობის თავისებურებანი“.



მომხსენებელმა მიმოიხილა მსოფლიო მასშტაბით მუხნარებში მიმდინარე დეგრადაციის, არადამაკმაყოფილებელი განახლებისა და ტყეების ხმობის პროცესები, რომლის პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღინიშნა ევროპაში, შემდგომ ამერიკასა და აზიაში.

აღინიშნა, რომ მუხნარების აღდგენის, მათში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის საკითხი კავკასიის რეგიონში, კერძოდ კი საქართველოში ძალზე

აქტუალურია. პრობლემა არა მარტო ეკონომიკური (მუხნარების ძალზე დაბალი პროდუქტიულობისა და მის ძვირადღირებულ მერქანზე მოთხოვნილების გამო), არამედ სოციალურ-ესთეტიკური ხასიათისაცაა. დღეისათვის საქართველოში მუხნარებს უკავიათ 0,29 მლნ ჰა.

საქართველოში გავრცელებული მუხის 7 სახეობიდან ყველაზე დიდი ფართობი ქართულ მუხას უკავია, იგი მთელ ტყიან საქართველოში გვხვდება. მუხის ტყის ცენოზები უაღრესად დიდი დაცვითი, მაღალი სამეურნეო ღირებულებებითა და ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ქართული მუხის კორომის ზრდა-განვითარების, ბუნებრივი განახლების, აღნაგობის ანალიზი მეცნიერულად დასაბუთებული მთელი რიგი საკითხის შესწავლის და გაშუქების შესაძლებლობას იძლევა. კორომის ფორმირება, აღნაგობა, ხნოვანებითი განვითარება დამოკიდებულია ადგილსამყოფელის ბუნებრივ პირობებზე და მის ბიოეკოლოგიაზე. ქართული მუხის ტყის ეკოსისტემების თანამედროვე მდგომარეობის, ბიოეკოლოგიური პოტენციალის, აღნაგობის, ზრდა-განვითარების შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს ტყის კვლავწარმოებას. ამიტომ, მუხნარების ფორმირების, ზრდა-განვითარების თავისებურებების შესწავლა გარემო პირობებთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ცივ-გომბორის რეგიონში, თესლით წარმოშობილი ქართული მუხის ფორმაციებში გამოვლენილ ხეთა რიცხოვნობისა და სიმსხოს საფეხურებს შორის არსებულ კანონზომიერებაზე. აღინიშნა, რომ მუხის დიამეტრის ყველაზე წვრილ საფეხურებში ხეთა რაოდენობა მცირეა და 1.7-3.4%-ის ფარგლებში მერყეობს. შემდგომ, სიმსხოს საფეხურების მატების პარალელურად ხეთა რაოდენობა იზრდება და თავის პიკს 28-36 სმ-იან საფეხურებში აღწევს (72.2%). სიმსხოს საფეხურების შემდგომი მომატებისას ხეთა რაოდენობა მკვეთრად ეცემა და 3.1-1.7%-ის ფარგლებშია წარმოდგენილი. გამოყვანილია კორომში ხეთა განაწილების რიგის საშუალო მაჩვენებლები.



ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართული მუხის კორომში ხეთა რაოდენობა სიმაღლის საფეხურების მატებასთან ერთად მკვეთრად მატულობს და განსაზღვრულ საფეხურზე მაქსიმუმს აღწევს, მხოლოდ შემდგომ ასევე მკვეთრად ეცემა. კორომში ხეების სიმაღლე სიმსხოს საფეხურების ფარგლებში მცირედ ცვალებადობს. ერთსართულიან მუხნარში საშუალო სიმაღლიდან გადახრა დაბალი და მაღალი სიმაღლეებისაკენ მხოლოდ 5-6%-ის ფარგლებშია. ამით იგი მკვეთრად განსხვავდება რთული აღნაგობის ნაირხნოვანი კორომებისაგან.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა დადებით კორელაციურ კავშირზე ქართული მუხის კორომში მუხის ხის დიამეტრსა და სიმაღლეს შორის. იმაზე რომ ქართული მუხის კორომის სიმაღლეში შემატება დიამეტრში მატების პირდაპირპროპორციულია; 120-140 წლის ასაკში მუხის სიმაღლეში შემატება ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით მიმდინარეობს. 190 წლიანი მუხნარების შემთხვევაში სიმაღლეზე მატების პროცესი უკვე შეჩერებულია. ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ თესლით წარმოშობილი ქართული მუხის კორომები უფრო ხშირად წარმოდგენილია მარტივი, ერთსართულიანი და რთული, ორსართულიანი კორომებით. მუხით გაბატონებულ კორომებში, სადაც რცხილა და ჯაგრცხილა 1-2 ერთეულითაა შერეული, ხეთა დიფერენციაციის შედეგად გამოვლენილია არსებული ვერტიკალური აღნაგობა, რაც ორსართულიანი კორომის ჩამოყალიბებაში აისახება. პირველი სართული წარმოდგენილია მუხით, მეორე – რცხილით და ჯაგრცხილით.

მომხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა აქტიური დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში. აუდიტორიის მხრიდან დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად საქართველოს ტყეებთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხებოდა, დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა ამომწურავი პასუხები გასცა.

მრგვალი მაგიდის მუშაობის დასასრულს აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და დასძინა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვას და მათ გადაწყვეტას.

10 ნოემბერი - მეცნიერების საერთაშორისო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 10 ნოემბერს ტრადიციულად გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიემდგვნა მეცნიერების საერთაშორისო დღეს.



სხდომას ესწრებიდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულოძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი; მეცხოველეობის და ვეტერინარი მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; გარემოსა

დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი,

აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, ასევე აკადემიის აპარატის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მისალმების შემდეგ, მან მოწვეულ სტუმრებს გააცნო აკადემიის ისტორია, სტრუქტურა, საქმიანობა. ისაუბრა ცალკეულ მეცნიერებათა განყოფილებების საქმიანობაზე, აკადემიაში არსებული აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებების კოორდინატორების ინსტიტუტზე, აკადემიის საქმიან



ურთიერთობაზე სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან თუ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და აკადემიურ წრებთან. ყურადღება გაამახვილა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმებზე, რომელიც აკადემიას დადებული აქვს, როგორც ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულებებთან, ასევე აგრარული მიმართულების საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. ბატონმა გივიმ ხაზი გაუსვა აკადემიის რეგიონებთან კავშირის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები. ჩამოყალიბებულია აჭარის და დასავლეთ საქართველოს სასამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრები. თუმცა ეს საკმარისი არაა. აკადემიასთან არსებული მსგავსი ტიპის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრების ჩამოყალიბება იგეგმება ქვეყნის სხვა რეგიონებშიც, მ. შ. ჯავახეთში, კახეთში და სხვ.

საზეიმო სხდომის დასასრულს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ აკადემიის საპატიო სიგელით და სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა აგრარული დარგში მოღვაწე წარმატებული მეცნიერები:

ვარლამ აპლაკოვი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

ემზარ კილასონია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აგროინჟინერიის დოქტორი;

ნუნუ ჩაჩხიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;

ლია კოპალიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;

იზოლდა ხასაია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ომარ ლომსაძე - ვეტერინარული კლინიკა “ფორვეტის” ფართო პროფილის ვეტერინარი ექიმი, ვეტერინარიის მაგისტრი;

გიორგი ბუცხრიკიძე - საქარველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, დოქტორანტი;

ვლადიმერ ბარათაშვილი - საქარველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ცხოველთა ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ვეტერინარიის დოქტორი;

თამაზ ბიჭიაშვილი - საქარველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის დოქტორი;

ბაგრატ რაზმაძე - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, ეკონომიკის მაგისტრი;

ივანე კაპანაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, აგროინჟინერიის დოქტორი;

ირინე ჩარგეიშვილი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა ბიოლოგიის ლაბორატორიის ლაბორანტი, აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი;

ანა თავართქილაძე - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, დოქტორანტი;

ქეთევან მაჭარაშვილი - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ქიმიის მაგისტრი;

ზურაბ ანდლუაძე - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი;

ეკატერინე გობრონიძე - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის დოქტორი;

ქეთევან ჩიკაშუა - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი.



დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ სტუმრებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტო, დაათვალიერეს აკადემიის საინფორმაციო ცენტრი და საგამოფენო დარბაზი.

5 დეკემბერი - ნიადაგის მსოფლიო დღე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 5 დეკემბერს ტრადიციულად ჩატარდა ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი, აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების

აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიკოსები: ჯემალ გუგუშვილი და ზაურ ჩანქელიანი, წევრ-კორესპონდენტი გიზო გოგიჩაიშვილი, აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, დოქტორი გიორგი ღამბაშიძე, ასევე აკადემიის აპარატის, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის და გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები.

კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა. მისალმების შემდეგ ქალბატონმა გოგოლამ მოკლედ მიმოიხილა ნიადაგის მსოფლიო დღის დაარსების ისტორია, მისი მიზანი და ამოცანები. აღნიშნა, რომ ყოველწლიურად FAO ამ დღესთან დაკავშირებით აცხადებს სლოგანს. 2025 წლის სლოგანი გახლდათ: „ჯანსაღი ნიადაგები-ჯანსაღი ქალაქებისთვის“, რითაც ხაზი გაუსვეს იმას, რომ ნიადაგი არა მარტო სოფლის მეურნეობისათვისაა მეტად ღირებული, არამედ ქალაქებში შენობებისა და გზების ქვეშ არსებულსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი აუდიტორიის წინაშე ასევე წარსდგა მოხსენებით თემაზე: „ქართულ მიწას მიწას მეტი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება“.

„ნიადაგის გამოფიტვა, მისი დეგრადაცია - ეს უდიდესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და, პირიქით, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლება, ესაა ძირითადი, რაზეც დგას ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წარმოება“ -აღნიშნა ქალბატონმა გოგოლამ. შემდეგ მიმოიხილა ის ქვეყნები, სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებას, მათ შორის შეეხო ნიდერლანდებსაც, როგორც მცირემიწიან ქვეყანას, სადაც განსაკუთრებით ზრუნავენ ნიადაგზე, იმდენად ძლიერ, რომ ეს ქვეყანა მსოფლიოში მეორე ადგილზეა საურსათო პროდუქციის ექსპორტის მოცულობით. ქალბატონმა გოგოლამ ასევე განიხილა საქართველოში ნიადაგების არსებულ მდგომარეობაც. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბოლო 35 წელია ნიადაგი სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა; არ ჩატარებულა ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი და არ გატარებულა სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები. ამიტომ არის, რომ ჩვენს ისედაც მცირემიწიან ქვეყანაში მიწის მნიშვნელოვანი ფართობები (400-450 ათას ჰა-ზე მეტი) დაუმუშავებელი და დაუთესავია, ათასობით ჰექტარი მიტოვებული მიწა დეგრადაციას განიცდის, უდაბნოდ გადაქცევის საფრთხის ქვეშ დგას. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა უმოკლეს ვადაში გამოსწორდეს არსებული მდგომარეობა. აუცილებელია აღდგეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში ადრე არსებული „აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სახელმწიფო სამსახური“, ჩატარეს ნიადაგების პასპორტიზაცია და სხვ.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიზო გოგიჩაიშვილი. მისი მოხსენების თემა იყო: „საქართველოს ნიადაგებში ნიადაგწარმოქმნის პროდუქტიულობა“. ბატონმა გიზომ ისაუბრა კოსმოგენურ იზოტოპებზე, მათი წარმოქმნის მექანიზმზე. აღნიშნა, რომ კოსმოგენური ნუკლიდების გაზომვა გვიჩვენებს თუ როდის შექმნეს ვულკანურმა აქტივობებმა რელიეფი, როდის გამოიწვია კლიმატის ცვლილებამ მყინვარების ზრდა ან კლება, რამდენად სწრაფად იშლება მთები მდინარეების ეროზიული მოქმედებით და სხვ. აღნიშნული ნუკლიდების გამოყენება ამჟამად რეკოლუციას ახდენს დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების გაგებაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მრავალი დისციპლინის განვითარებაში. კოსმოგენური



ნუკლეოდიტით (TCN-ით) მიღებული (10Be) ნიადაგწარმოქმნის მაჩვენებლების (n=226) გამოქვეყნებული შედეგები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებიდან (ავსტრალია, ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკა), ადასტურებს, რომ ნიადაგის ფორმირება ექსპონენციურად მცირდება ნიადაგის სისქის ზრდასთან ერთად. რაც შეეხება ნიადაგის პასპორტიზაციის ჩატარებას, საქართველოს ნიადაგებში ნიადაგწარმოქმნის პროდუქტიულობას, ბატონმა გიზომ მსმენელებს წარმოუდგინა საქართველოს ტერიტორიისთვის ნიადაგწარმოქმნის წლიური ინტენსივობის გამოსათვლელი ფორმულა, რომელშიც ნაჩვენებია იყო საშუალო წლიური ტემპერატურის (0C), საშუალო წლიური ნალექის (მმ) კავშირი ქანების დაწვევის სიჩქარესთან. ამ ფორმულის მეშვეობით გამოთვლილი იქნა ნიადაგწარმოქმნის პროდუქტიულობა (ტ/ჰა) ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, სვანეთის, იმერეთის, კახეთის, რაჭის და ა.შ. რეგიონებში.

მოხსენებით „მიწათსარგებლობის გავლენა ნიადაგში ორგანული ნახშირბადის დაგროვებაზე შირაქის ველის შავი ნიადაგების მაგალითზე“ აუდიტორიის წინაშე წარსდგა სოფლის მეურნეობის დოქტორი გიორგი ღამბაშიძე. თავის მოხსენებაში მან ყურადღება



გამახვილა ნიადაგში არსებული ნახშირბადის მნიშვნელობაზე, მის დანიშნულებაზე, როგორც ნიადაგის: სტრუქტურის, გვალვისა და კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგობის გამაუმჯობესებელ; წყლისა და საკვები ნივთიერებების შემაკავებელ; წყლის ინფილტრაციის; მიკრობული ფუნქციის გამაძლიერებელ; ეროზიის შემამცირებელ; ნიადაგის pH-ის შემანარჩუნებელ და ა.შ. ფაქტორზე. შემდეგ ისაუბრა შირაქის ველის ძირითად მიწათსარგებლობის ფორმებზე-

სახნავზე, საძოვრებსა და ქარსაფრებზე და მათში ჰუმუსის სახით არსებულ ორგანულ ნახშირბადზე. ყურადღება გაამახვილა ნიადაგში ორგანული ნახშირბადის ხანგრძლივი დროით დაგროვების ხელშემწყობი ფაქტორებზე, კერძოდ: ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოქიმიურ სტაბილიზაციაზე.

აღსანიშნავია, რომ თითოეულმა მოხსენებამ დამსწრე საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: გ. ალექსიძემ, ჯ. გუგუშვილმა, მ. ბარვენაშვილმა. დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს საინტერესო მოხსენებებისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას მოზრმანებისა და კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

თავი 10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2025 წელს გამოცხადებულ აგრარულ სფეროში გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მისანიჭებლად ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის შედეგები

2025 წლის 24 სექტემბერს აკადემიამ თავისი წესდების II თავის მე-2 მუხლის შესაბამისად გამოაცხადა კონკურსი აგრარულ სფეროში თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომისათვის (ნაშრომთა ციკლისათვის) გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობით აკადემიური პრემიების მისანიჭებლად (განცხადება კონკურსის თაობაზე ატვირთული იყო აკადემიის ვებ გვერდზე). კონკურსი გამოცხადდა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების შესაბამისი დარგების მიხედვით. შემოსული ნაშრომები გადაეცა სამეცნიერო განყოფილებებს. სამეცნიერო განყოფილებებმა ზემოაღნიშნული კონკურსის დებულების თანახმად გამოყვეს ექსპერტები რომლებმაც ერთი თვის ვადაში წარმოადგინეს რეცენზიები. ამის შემდეგ სამეცნიერო განყოფილებებში ჩატარდა ფარული კენჭისყრა. შედეგები დასამტკიცებლად ეცნობა აკადემიის პრეზიდიუმს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემია მიენიჭათ შემდეგი ნაშრომების ავტორებს:

აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება

1. ლევან ყანჩაველის სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გურამ ალექსიძეს წიგნისათვის „მცენარეთა დაცვა“.

მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

2. ვარლამ შამათავას სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გურამ ტყემალაძეს სახელმძღვანელოსათვის „ბიოქიმიის საფუძვლები“ და ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორ ლევან მაკარაძეს და ვეტერინარიის დოქტორ ზურაბ მაკარაძეს სახელმძღვანელოსათვის „ცხოველისა და ფრინველის დაავადებების პათოლოგიური ანატომია“.

აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება

3. კონსტანტინე ამირაჯიბის სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ომარ თედორაძეს და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ნუგზარ სარჯველაძეს მონოგრაფიისათვის „მარცვლეული და ბალახეული კულტურების ამღები მანქანების გაანგარიშების და კონსტრუირების საფუძვლები“ და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ზაზა მახარობლიძეს და ტექნიკის დოქტორებს: ვლადიმერ მარგველაშვილს და სერგო შარაშენიძეს ნაშრომთა ციკლისათვის: „სასოფლო-სამეურნეო მიწების რეაბილიტაციის სამანქანო ტექნოლოგიისა და მანქანათა კომპლექსის დამუშავება“.

სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება

4. ვასილ პეტრიაშვილის სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მისი საერთო რედაქციით და ავტორობით, ავტორთა ჯგუფთან ერთად შესრულებულ დამხმარე სახელმძღვანელოსათვის „კვების პროდუქტების ტექნოლოგია“ და ტექნიკის დოქტორ თამაზ კობაიძეს ნაშრომისათვის „მევენახეობა-მელვინეობის ენციკლოპედიური ლექსიკონი“.

გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება

5. მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ **გიზო გოგიჩაიშვილს** მონოგრაფიაში „საქართველოს ნიადაგები“ წარმოდგენილი თავებისათვის: „მიწის გამოყენება“ და „ნიადაგის ეროზია“.

ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება

6. ივანე ჯაშის სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს: **რევაზ ასათიანს** და **პაატა კოლუაშვილს** (გარდაცვალების მერე) წიგნისათვის „ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა“.

თავი 11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2025 2025 წელს გაწეული სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოს ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებების: მცენარეთა დაცვა; მემცენარეობა; სატყეო; ეკონომიკა; მეცხოველეობა, მექანიზაცია და გადამამუშავების ტექნოლოგიები

მცენარეთა დაცვის მიმართულება

შემსრულებლები: გურამ ალექსიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

გურამ ჩხუბაძე - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თემა: აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ - დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

1. წინასიტყვაობა

უკანასკნელ ხანებში აჭარის რეგიონში სულ უფრო მეტად ინერგება ლურჯი მოცვის კულტორა, რომელსაც საბაზრო ღირებულების თვალსაზრისით კონკურენციას ვერ უწევს ვერც ერთი დღემდე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა და სწორედ მან უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ლურჯი მოცვის კულტურის ფართოდ დანერგვას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკულ ზონის ნიადაგური და კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია ლურჯი მოცვის გასაშენებლად. მსოფლიო ბაზარზე მისი დიდი მოთხოვნილების გამო საქართველოშიც არის შესაძლებელი ცივილიზებული ლურჯი მოცვის ბაზრის ჩამოყალიბება და ამ ბაზარზე მყარი პოზიციების დაკავება. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ლურჯი მოცვის სხვადასხვა დაავადების გამოჩენის გამო ნარგაობის შემცირების რისკი მაღალია, როგორც საქართველოში ისე მსოფლიოში, რაც ლურჯი მოცვის უხვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. უცხოურ ლიტერატურაში ლურჯ მოცვზე დაავადებათა ფართო სპექტრია აღწერილი, რომელთა შორის ფართო გავრცელებითა და მავნეობით გამოირჩევა ლეროს დაავადების გამომწვევი პათოგენები. როგორცაა, *Botryosphaeria*, *Neofusicoccum*, *Diaporthe*, *Phoma* და სხვა. რომელთა სწრაფმა გავრცელებამ ბევრ ქვეანაში ლურჯი მოცვის ბაღების მთლიანი განადგურება გამოიწვია.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში ლურჯი მოცვის კულტურაზე მრავალი დაავადებაა გავრცელებული, რომლებიც იწვევს ფოთლების ლაქიქნობას, ფოთლებზე მეჭეჭების ან ფიფქის განვითარებას, ნაყოფების სდამპლეს, ღერო-ტოტების ხმობას, მცენარის ჭკნობას და ა. შ. დაავადებული მცენარეები სუსტდება, ჩამორჩება ზრდაში, მასიური გავრცელების შემთხვევაში საერთოდ ხმება. დაავადების გამომწვევთა უმრავლესობა მიეკუთვნება სოკოებს. ლურჯი მოცვი ასევე მიმღებიანია ვირუ-

სული და ბაქტერიული დაავადების მიმართ, მაგრამ ჩატარებული კვლევის პერიოდში ჩვენს პირობებში ვირუსული და ბაქტერიული დაავადებები არ გამოვლენილა.

ჩატარებული კვლევების შედეგად აჭარის რეგიონში ლურჯ მოცვზე გამოვლენილი იქნა ისეთი სოკოვანი დაავადებები, როგორცაა: ტოტების ფომოპსისი (*Phomopsis vaccinii*), ნაყოფების სიდამპლე (*Monilia vaccinum-corymbosum* (Reade) Honey), რუხი სიდამპლე (*Botrytis cinerea* Pers.), ანთრაკნოზი (*Colletotrichum gloeosporioides*), ჟანგა (*Thekopsora minima*), მურა ლაქიანობა (*Pestalotia* sp.) და სხვა.

2. კვლევის მიზანი და ამოცანები

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის შესრულება გათვალისწინებულია 2023 -2027 წლებში, მიმდინარე წელს კვლევის მიზანს წარმოადგენდა: ლურჯი მოცვის დომინანტი დაავადებების ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასმული იყო შემდეგი ამოცანები:

1. ლურჯ მოცვზე გავრცელებული დომინანტი დაავადებების სიმპტომების აღწერა;
2. ლურჯ მოცვზე გამოვლენილი დომინანტი დაავადებების გავრცელების და დაზიანების ხარისხის დადგენა;
3. ლურჯ მოცვზე გამოვლენილი შედარებით საშიში დაავადებების ბიოლოგიური თავისებურების შესწავლა;
4. ლურჯი მოცვის შედარებით საშიში დაავადებების მავნეობის შესწავლა მოსავლის აღრიცხვის მეთოდით;
5. ლურჯ მოცვზე გავრცელებული დაავადებების ანოტირებული სიის დაზუსტება-შედგენა

3. კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აჭარის დაბლობ და მაღალმთიან რეგიონში ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული დაავადებები.

ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდიკა ითვალისწინებდა კვლევების ჩატარებას როგორც საველე ისე ლაბორატორიულ პირობებში. რამდენადაც ჩვენი კვლევის ობიექტები სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები და სხვა ცოცხალი ორგანიზმებია და სახლდებიან მცენარეებზე მათი გამოვლენისა და აღიკვებისათვის პირველ რიგში გამოიყენებოდა ვიზუალური მეთოდი. დაავადების გავრცელება ანუ შეხვედრილობის სიხშირე და დაავადების ხარისხი აღრიცხებოდა მარშრუტული მეთოდით, რისთვისაც ნაკვეთის დიაგნოზალზე აღრიცხებოდა მავნეობით დასახლებული და დაუსახლებელი მცენარეები და ფასდებოდა 3-ბალიანი სისტემით. გავრცელება: +++ მასობრივი, დაავადება ყოველწლიურად ვრცელდება და იწვევს მცენარეთა მასობრივ დაზიანებას; ++ კერობრივი, დაავადების გავრცელებას კერობრივი ხასიათი აქვს და მასობრივი დაზიანება ყოველწლიურად არ აღინიშნება; + იშვიათი სახეობა, დაავადება გვხვდება ცალკეულ წლებში უმნიშვნელო რაოდენობით. დაავადების ხარისხი: სუსტი - დაავადებულია მთლიანი მცენარის ან მისი ცალკეული ორგანოების ქსოვილის 5-10%; საშუალო - დაავადებულია მთლიანი მცენარის ან მისი ცალკეული ორგანოების ქსოვილის 11-50%; ძლიერი - დაავადებულია მთლიანი მცენარის ან მისი ცალკეული ორგანოს ქსოვილის 50-100%.

მავნეობას ანუ მოსავლის დანაკარგებს ანუ ზარალის ზომებს ვსაზღვრავდით მოსავლიანობის შემცირებით. დაავადებული და ჯანმრთელი მცენარეებიდან მიღებული მოსავლის შედარებით და ვანგარიშობდით ფორმულით

$$Q = \frac{(A-a)100}{A}$$

სადაც, Q - მავნეობა ანუ ზარალია (%); a - დაავადებულ მცენარეთა მოსავალი; A - ჯანმრთელი მცენარეების მოსავალი.

მეცნიერული სიახლე. პირველად აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში ტარდება მიზანმიმართული კვლევა მოცვის დომინანტი დაავადებების ბიოლოგიური თავისებურების

შესასწავლად. პირველად შესწავლილია ლურჯი მოცვის ტოტების ფომოპსის და ნაყოფების ანთრაქნოზის განვითარების ბიოლოგიური თავისებურებანი აჭარის პირობებში. დადგენილია მათი მავნობა.

4. ლურჯ მოცვზე გამოვლენილი ზოგიერთი დომინანტი დაავადებები სიმპტომები ფომოპსისი (Phomopsis vaccinii)

სიმპტომები. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება ფოთლებზე შავი-მურა, დიდი ან ოვალური ლაქების სახით. ტოტების ქერქი უფერულდება, ლაქები პირველად ჩნდება ზედა მუხლთშორისებში, მოგვიანებით კი ვრცელდება მრავალწლიან ტოტებზე. ყლორტის წვერო ჭკნება და მუქდება, ქერქის გაუფერებულ უბნებზე წარმოიქმნება სოკოს ნაყოფსხეულები - პიკნიდიუმები, რომლებიც ერთდება და წარმოქმნის წამოწეულ ლაქებს. როცა ლაქა შემორკალავს ყლორტს მის ზემოთ განალაგებული ნაწილი ხმება.

აღწერა. სოკო მცენარეებს განსაკუთრებით აავადებს ჩადაბლებულ ადგილებში სადაც წყალი დგება. დაავადება ვრცელდება წვეროდან ყლორტის ფუძემდე. სოკო განსაკუთრებული მავნეობით გამოირჩევა მაღალ ტენის მქონე ადგილებში. სპორები პირველად იმყოფებიან ტოტებზე წყალში, ტოტების გაშრობის შემდეგ ვრცელდებიან ქარით და მწერებით. მცენარეები ხშირად ავადდებიან მექანიკური დაზიანების შემდეგ. ხელსაყრელი პირობების დროს სოკო ანადგურებს მოცვის მთლიან წლიურ ნაზარდს და იწვევს მის ხმობას.

ნაყოფების სიდამპლე (Monilia vaccinum-corymbosum (Reade) Honey)

სიმპტომები. აღინიშნება ახალგაზრდა ფოთლებისა და ყლორტების დაშვება, დაავადებული ყლორტების ზედა ფენების და ფოთლის ძარღვების სწრაფი გამუქება, ყლორტების ნაყოფებისა და ყვავილების ინფიცირების შემდეგ კი სწრაფი კვდომა. დაავადება ლატენტურად (ფარულად) მიმდინარეობს გაზაფხულიდან ნაყოფების მომწიფებამდე. ინფიცირებული ნაყოფები პირველად კრემის ან ვარდისფერია, შემდეგ კი მუქ-ვარდისფერ ან რუხ შეფერილობას იღებს. ნაყოფები დეფორმირდება და მაგრდება. მონილიოზის სიმპტომები ასევე ჩნდება ყლორტებსა და ნაყოფებზე, რომლებიც მუქდება, ხმება და ცვივა.

აღწერა. დაავადება ვითარდება როგორც მაღალბუჩქოვან, ისე დაბალბუჩქოვან ჯიშებზე. სოკო დაავადებული ყვავილებიდან ჯანსაღ მცენარეზე შეიძლება გადატანილი იქნას ჩიტების მიერ.

რუხი სიდამპლე - Botrytis cinerea Pers.

სიმპტომები. გვირგვინის ფურცლები მუქდება. ფოთლებზე ინფიცირებული ყვავილების კონტაქტის ადგილებზე წარმოიქმნება მუქი წყლულები. დაავადებული ყვავილები არ წარმოქმნიან ნაყოფებს.

აღწერა. სოკო იზამთრებს მცენარის ნაყოფებში. დაავადების გავრცელების ხელშემწყობია ტენიანი ამინდები. დაავადების მასშტაბური აფეთქება ხდება ტენიანი პერიოდის შემდეგ და გრძელდება რამდენიმე დღეს. მოცვი რუხი სიდამპლის მიმართ უფრო მეტად მგრძობიარეა ყვავილობის და ნაყოფების მომწიფების პერიოდში.

ანთრაქნოზი (Colletotrichum gloeosporioides)

სიმპტომები. ანთრაქნოზით ავადდება მოცვის ნაყოფები, ყვავილენი და ყლორტები. ანთრაქნოზით დაავადებული ყვავილენი ყავისფერდება ან შავდება, ხოლო ნაყოფები რბილდება. სოკოს სპორები ნაყოფებს აძლევს ღია-ვარდისფერ შეფერილობას. ფოთლები მუქდება და ცვივა. ახალგაზრდა დაავადებული ყლორტები ჭკნება. ნაყოფები ანთრაქნოზით ავადდება მომწიფებისა და შენახვის პერიოდში.

აღწერა. მოცვის ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებაა. უმეტესად ავადებს ნაყოფებს, ზოგჯერ ტოტებსაც. სოკოს სპორები უმეტესად ვრცელდება ტენიან, წვიმიან ამინდში. დაავადების გამომწვევი სოკოს სპორები იზამთრებს ტოტებზე, ნაყოფებზე, მათი დაზიანების

ადგილებზე. გაზაფხულზე სპორები ვრცელდება წვიმით და ქარით და ხვდება მცენარის ჯანსაღ ნაწილებზე. განსაკუთრებით ავადდება მწიფე ნაყოფები.

ალტერნარიოზი (*Alternaria tenuissima* (Kunze).

სიმპტომები. ავადდება მოცვის ფოთლები და ნაყოფები. დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება მოყავისფრო-მონაცრისფრო ლაქები მოწითალო არშიით, ნაყოფი რბილდება და შრება. იფარება მონაცრისფრო-მწვანე ფიფქით, რაც დაავადების გამომწვევი სოკოვანი ორგანიზმის ნაყოფიანობას წარმოადგენს. დაავადების განვითარების ოპტიმალური პირობებია 19-20°C ტემპერატურა, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა - 80%.

ნაცარი (*Microsphaera vaccinii* (Schwein.)

სიმპტომები. დაავადების პირველი სიმპტომები ვლინდება გაზაფხულზე ძირითადად ფოთლებზე და ახალგაზრდა ყლორტებზე თეთრი ფიფქით სახით, რომელიც წარმოადგენს სოკოვანი ორგანიზმის ნაყოფიანობას - კონიდიუმებს. შემდეგ ფიფქი მუქდება და მასზე ვითარდება პატარა შავი წერტილები, რომლებიც წარმოადგენენ სოკოს მოზამთრე ჩანთიან სტადიას - კლვისტოკარპიუმებს. ისინი წარმოადგენენ მომავალი წლის ახალი ინფექციის წყაროს

აღწერა. დაავადების გამოვლენას ხელს უწყობს თბილი, მშრალი პირობები. ნაცრით ავადდება ახალგაზრდა ფოთლები. ყლორტები და ნასკვები. ყლორტები დეფორმირდება და ხმება, რაც ასუსტებს ბუჩქებს და ამცირებს მცენარის ზამთარგამძლეობას. ნაცრით დაავადება ამცირებს მოსავლიანობას. ინფექცია ინახება ჩამოცვენილ მცენარეულ ნარჩენებზე და ტოტების ქერქზე, გაზაფხულზე სოკოს სპორები იფანტება ქარით. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მშრალი ცხელი ამინდები, ტემპერატურის მკვეთრი რყევადობით და ტენიანობა, რაც ამცირებს მცენარის ტურგორს და ხელს უწყობს სოკოს შეჭრას საფარი ქსოვილის გავლით.

ჟანგა (*Thekopsora minima*)

სიმპტომები. სოკო აავადებს ფოთლებს, რომელზედაც წარმოიქმნება მუქი-მურა ლაქები. დაავადებული ფოთლები ყვითლდება და ნაადრევად ცვივა. ფოთლის ქვედა მხარეზე წარმოიქმნება მოყვითალო-ნარინჯისებრი სპორებით - ურედოსპორებით გამოვსებული მეჭეჭები.

აღწერა დროთა განმავლობაში მცენარეები სუსტდება და იძლევა მნიშვნელოვნად ნაკლები სასაქონლო ღირებულების ნაყოფს. უარესდება საყვავილე კვირტების ჩასახვა მომავალი სეზონისათვის (ზოგჯერ ფოთლების 30 % ცვივა). დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდა დაავადებული მცენარეების დაღუპვა.

მურა ლაქიანობა (*Pestalocia* cp.)

სიმპტომები. დაავადების გამომწვევია უსრული სოკო. დაავადება ვლინდება ფოთლებზე მურა მომრგვალო ლაქების სახით. ლაქები ხშირად დიდება, ერთიმეორეს ერწყმის და მთელ ფოთოლს ფარავს. დაავადებული ფოთლები ხმება, რაც იწვევს მცენარის დასუსტებას აღნიშნული სოკო პირველად ააღნიშნული მოცვის კულტურაზე. სახეობის დადგენა შემდგომ კვლევას მოითხოვს.

5. ლურჯი მოცვზე გამოვლენილი დაავადებების გავრცელება და დაავადების ხარისხი

ლურჯ მოცვის დაავადებების გავრცელება ანუ შეხვედრილობის სიხშირე და დაავადების ხარისხი აღირიცხებოდა ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე. შედეგები მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

დაავადება და დაავადების გამომწვევი სოკო	გავრცელება	დაავადების ხარისხი
ფომოპსისი (Phomopsis vaccinii)	+++	ძლიერი
ნაყოფების სიდამპლე (Monilia vaccinum-corymbosum (Reade) Honey)	++	საშუალო
რუხი სიდამპლე (Botrytis cinerea)	++	საშუალო
ანთრაქნოზი (Colletotrichum gloeosporioides)	++	საშუალო
ალტერნარიოზი (Alternaria tenuisiima)	+++	ძლიერი
ნაცარი (Microsphaeria vaccini)	++	ძლიერი
ჟანგა (Pucciniastrum vaccinia)	++	ძლიერი
მურა ლაქიანობა (Pestalotia sp)	++	საშუალო
ფუზარიოზი (Fusarium oxysporum)	++	ძლიერი
ვერტიცილიოზი (Verticilium sp.	++	ძლიერი
Armilaria melea (დეროს სიდამპლე)	++	ძლიერი

როგორც ცხრილიდან ჩანს ლურჯ მოცვზე გამოვლენილი დაავადებებიდან თავიანთი მავნეობით გამოირჩევა ფომოპსი, რომელიც იწვევს ღერო ტოტების ხმობას, დაავადების ინტენსიური განვითარების დროს მცენარე მთლიანად ხმება. დაავადება ყოველწლიურად ვლინდება და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ამ კულტურას, განსაკუთრებით ახალგაზრდა მცენარეებს.

ანთრაქნოზი, რომელიც იწვევს ნაყოფების სიდამპლეს, რონელიც ჩვენს პირობებში ყოველწლიურად ვითარდება და მნიშვნელოვნად ამცირებს მოცვის მოსავლიანობას და ხარისხს.

მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს აგრეთვე ფუზარიოზს და ვეტიცილიოზს, რომელებიც იწვევენ მოცვის ფესვების სიდამპლეს. დაავადება განსაკუთრებით თავს იჩენს ჩაღრმავებულ ტენიან ადგილებში. მათი მასიური გავრცელება კვლევის პერიოდი არ აღნიშნულა, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული ზიანი მაინც დიდია, რამდენადაც დაავადებული მცენარეები ილუპებიან.



სურ.1. სოკო Armillaria Mellea-თი დაავადებული მცენარე

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა გამოკვლევები ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებათა გამოსავლენად. ჩვენი კვლევის პერიოდი პირველად აღნიშნული იქნა მოცვის ახალგაზრდა კულტურების დაავადება სოკო Armillaria mellea-თი. მისი მასიური გავრცელება არ აღნიშნულა, მაგრამ დაავადება მაინც მიეკუთვნება საშიშ დაავადებათა რიცხვს, ვინაიდან იწვევს მცენარის სიკვდილს. (სურ. 1).

6. ლურჯ მოცვზე გამოვლენილი შედარებით საშიში დაავადებების ბიოეკოლოგიური თავისებურებანი

გამოკვლევებმა გვიჩვენა რომ ლურჯ მოცვზე გავრცელებული დაავადებებიდან შედარებით საშიშ და მავნე დაავადებებს მიეკუთვნება: ფომოპსისი, ანთრაქნოზი, ჟანგა და სხვა. მიმდინარე ეტაპზე შესწავლილი იქნა ფომოპსისის და ანთრაქნოზის ბიოეკოლოგიური თავისებურებანი.

6.1. ლურჯი მოცვის ტოტების ფომოპსისის განვითარების თავისებურებანი

ჩვენს პირობებში ფომოპსისი ლურჯი მოცვის ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებაა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ლურჯი მოცვის მოსავლიანობას, განსაკუთრებით დაავადებისადმი მიძღვრულ ჯიშებში. მოსავლის დანაკარგებს იწვევს ნაყოფების ნაადრევი სიმწიფე, ტოტების ან მთლიანი მცენარის ხმობა ან ნაყოფების სიღამპლე.

დაავადების სიმპტომები ვლინდება ადრე გაზაფხულზე მწვანე წვეროების ჭკნობის სახით. წვეროს ყლორტებზე დაავადებული კვირტები მუქდება და კვდება. მის ირგვლივ კი წარმოიქმნება ყავისფერი ნეკროზული ლაქები და ჩაღრმავებული ნეკროზული ქსოვილები (წყულულები), რომელთა გავრცელების ზომები დამოკიდებულია დაავადების პროგრესირების ხარისხზე (სურ 2).



სურ. 2.



სურ. 3.



სურ. 4.



სურ. 5.

ინფიცირებულ წყლულებმა შესაძლებელია ირგვლივ შემორკალოს ყლორტები და გამოიწვიოს წვეროს ყლორტების ხმოზა (სურ. 2). მოგვიანებით სავეგეტაციო პერიოდში შესაძლებელია ფოთლებზეც განვითარდეს ლაქები (სურ. 3), ან დაავადებული ტოტები გაჭკნეს ზაფხულში, რის შედეგად ფოთლები ყავისფერ ან წითელი შეფერილობას იღებს, ნაყოფები კი რბილდება და ცვივა (სურ. 6).

არის შემთხვევები როცა დაავადება პირიქით ვითარდება, პირველად ინფიცირდება ღერო შემდეგ კი ფოთლები. დაავადებული ღეროები უფერულდება, შემდეგ კი მუქდება. შიდა სტრუქტურა კი იშლება.

ტოტების ფომოპსისს იწვევს სოკო *Phomopsis vaccinii*. სოკო იზამთრებს გამხმარ ან დაავადებულ ტოტებში. კვირტების გაშლიდან ყვავილობამდე სოკო გამოყოფს სპორებს ადრე დაავადებულ ტოტებზე განვითარებული პატარა შავი ნაყოფსხეულებიდან (პიკნიდიუმებიდან), სპორები ვრცელდება წვიმის წვეთებით ან ქართით. ეს სპორები ასენიანებენ საყვავილე კვირტებს, კვირტებიდან სოკოს მიცელიუმი იჭრება ტოტის ქსოვილებში, ხოლო იქიდან სხვა საყვავალე და საფოთლე კვირტებში. სოკო არ ღვივდება უფრო მეტად მომწიფებულ მერქანში და არ აავადებს მას.

მცენარეთა ინფიცირება შეიძლება მოხდეს არასწორი ან გაუფრთხილებელი მოვლის შედეგად. თუ არ მოხდა ნარგაობის გაცელვა დაავადების გამომწვევი შეიძლება დაგროვდეს სარეველებში.

დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ლურჯ მოცვის ფომოპსისის გავრცელებას ხელს უწყობს: ძლიერ ჩახშირებული ნარგაობა; ბუჩქების არათავისდროული



სურ. 6.

დროული გასხვლა; ტერიტორიაზე სარეველების სიმრავლე; რწყვის რეჟიმის დაუცველობა; ინტენსიური რწყვა და წყლის დადგომა გრუნტში; სასუქების არასწორი დოზირება და მათი არასწორი შეტანა; მცენარის ფოთლების ან ტოტების მექანიკური დაზიანება.

6.2. ლურჯი მოცვის ანთრაქნოზის განვითარების თავისებურებანი

ლურჯი მოცვის ანთრაქნოზს იწვევს სოკო *Colletotrichum gloeosporioides* ჩანთიანი სტადია *Glomerella singulata* (Stoneman) Spauld. S. H. Schrenk.

ანთრაქნოზი ჩვენს პირობებში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული და ეკონომიური მნიშვნელობის დაავადებაა. დაავადებულ ნაყოფებზე წარმოიქმნება ჩაზნექილი უბნები. ჩაზნექილი უბნების ზედაპირზე ჩნდება ნარინჯისფერი ფიფქი. ანალოგიური ნიშნები წარმოიქმნება დაავადებულ ყლორტებზე. დაავადების განვითარების ოპტიმალური ტემპერატურა 20-25°C-ია, ხოლო ტენიანობა 80-95%. დაავადება ვითარდება გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში.

ნაყოფებზე დაავადება შეიძლება გამოვლინდეს მოსავლის აღებამდე (მშრალი სიდამპლე), მაგრამ უფრო მეტად თავს იჩენს მოსავლის აღების შემდგომ პერიოდში - ლპობის სახით. თბილი და ტენიანი პირობები ხელს უწყობს დაავადების გავრცელებას. სპორები ვრცელდება თავსხმა წვიმებით და მორწყვით. მცენარის დასენიანება შეიძლება მოხდეს ყვავილობის და ნაყოფების განვითარების ნებისმიერ დროს. კვლევების ერთმა ნაწილმა აჩვენა, რომ 11-16°C ტემპერატურის ფარგლებში ფოთლების დასენიანებისათვის საჭიროა მათი 10 საათი განუწყვეტელი ტენის პირობებში ყოფნა, ზოგიერთი მკვლევარი კი აღნიშნავს, რომ ასეთ ტემპერატურაზე საჭიროა 18-24 საათი ფოთლების მაღალი ტენიანობის ქვეშ ყოფნა.



სურ. 7. ანთრაქნოზით დაავადებული ფოთლები და ნაყოფები

ნაყოფებზე ინფექცია მის მომწიფებამდე შეუმჩნეველ (ლატენტურ) მდგომარეობაში იმყოფება. სოკო იზამთრებს დაავადებულ ტოტებზე, საყვავილე კვირტების ქერქლებზე და სხვა მცენარეულ ნარჩენებზე. ნაყოფებზე შერჩენილი საყვავილე კოკრების ჯამის ფოთოლაკები ითვლება ინფექციის წყაროდ. ზოგიერთი მეცნიერის მონაცემებით განასხლავის, შეგროვება და განადგურება არ ამცირებს ან ძალიან მცირე გავლენას ახდენს დაავადების განვითარებაზე.

დაავადების მიმდინარეობა. პირველად შეიძლება აღინიშნოს ყლორტების წვეროების დაზიანება. შემდეგ ზოგიერთი ყვავილები ყავისფერ ან შავ შეფერილობას იღებს. ფოთლებზე ლაქები შეიძლება იყოს დიდი ან მცირე, მრგვალი ან ოვალური ფორმის. დაავადებული ნაყოფი მომწიფების ხარისხის მიხედვით რბილდება და ლპება. თბილ და წვიმიან პირობებში ნაყოფებზე ვითარდება სპოროვანი მასა. თუმცა ნაყოფის აღებამდე შეიძლება დაავადების ნიშნები საერთოდ არ გამოვლინდეს. ნაყოფის აღების შემდეგ სპოროვანი მასა მალე წარმოიქმნება ინფიცირებულ ნაყოფზე. განსაკუთრებით ცელოფანით დახურულ კალათებში ან პლასტის დახურულ ყუთებში შენახვის დროს.

7. ლურჯი მოცვის შედარებით საშიში დაავადებების მავნეობის შესწავლა მოსავლის აღრიცხვის მეთოდით

7.1. ლურჯი მოცვის ტოტების ფომოპსისის მავნეობა

ლურჯი მოცვის ტოტების ფომოპსისის მავნეობა განსაზღვრება მისი მოქმედებით გამოწვეულ მოსავლის დანაკარგებით. რაც თავის მხრივ დამოკიდებულია გავრცელების პროცენტზე და დაავადების ინტენსივობაზე.

როდესაც დაავადების განვითარების მაღალი ინტენსივობის შედეგად ადგილი აქვს მცენარის სრულ ხმობას მაშინ მავნეობა ანუ მოსავლის დანაკარგები 100 პროცენტია. მაგრამ მცენარეთა სრული ხმობა აღინიშნება ახალგაზრდა კულტურებში.

ზრდასრულ მცენარეებზე უმეტეს შემთხვევაში ადგილი სანაყოფე ტოტების ხმობას, ფოთლების ლაქიანობას, ნაყოფების სიდამპლეს. რის გამოც მცირდება მოსავლიანობა.

მოსავლის აღრიცხვის მეთოდით ტოტების ფომოპსისისის მავნეობის ანუ მოსავლის დანაკარგების დადგენისათვის 5 წლიანი ნარგაობის დიაგნოზზე შერჩეული იქნა 10 სამოდელო მცენარე რომლებზედაც დაავადების გავრცელება არ იყო აღნიშნული და 10 სამოდელო მცენარე სადაც აღინიშნებოდა დაავადების ინტენსიური განვითარება (ცალკეული ტოტების ხმობა, ნაყოფების სიდამპლე). მოსავლის დანაკარგების დასადგენად ცალკ-ცალკე აღირიცხა მოსავალი დაავადებულ და ჯანსაღ სამოდელო მცენარეებზე და გაანგარიშებული იქნა საშუალო მოსავალი ერთი დაზიანებული და დაუზიანებელი მცენარიდან. შედეგები მოცემულია ქვემოთ:

ფომოპსისით დაუზიანებელი ჯანსაღი მცენარეების მოსავალი კგ-ით.

1) 3,5; 2) 4; 3) 4,0; 4) 3,; 5) 3,6; 6) 3,2; 7) 3,8; 8) 3,5; 9) 4; 10) 3,7 = 36,6 საშუალო 3, 66 კგ

ფომოპსისით დაავადებული სამოდელო მცენარეების მოსავალი კგ-ით.

1) 2,8; 2) 2,2; 3) 2,7 4) 2,8; 5) 1,8; 6) 2,5; 7) 3,9; 8) 2,9; 9) 3,3; 10) 2,5 = 27,4. საშუალო 2,74 კგ.

თუ დაუზიანებელი მცენარეებიდან მიღებულ მოსავალს მივიღებთ პოტენციურ (შესაძლო) მოსავლიანობად, მაშინ ფომოპსისით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები ტოლი იქნება $36,6 - 27,4 = 9,2$ ანუ ერთ ბუჩქიდან მოსავლის დანაკარგი იქნება 0,92 კგ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთ ჰა-ზე დაახლოებით 3000 ბუჩქია, მაშინ ჯანსაღი და დაავადებული ბუჩქებიდან მიღებული მოსავლის სხვაობა ტოლი იქნება $10980 - 8160 = 2820$ კგ, რაც პოტენციური მოსავლის 26,04 % შეადგენს. ე. ი. ტოტების ფომოპსისის ინტენსიური გავრცელებისას მოსავლის დანაკარგები შესაძლოა შეადგენდეს დაახლოებით 26%-ს.

7.2. ლურჯი მოცვის ანთრაქნოზის მავნეობა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ანთრაქნოზით ავადდება მოცვის ფოთლები ყვავილედ და ნასკვები. დაზიანებულ ნაყოფებზე წარმოიქმნება ჩაზნექილი უბნები. დაზიანებული ნაყოფები რბილდება და ლპება. კარგავს სასაქომლო ღირებულებას. დაავადება შეიძლება გამოვლინდეს მოსავლის აღებამდე და მოსავლის აღების შემდეგ.

მოსავლის აღრიცხვის მეთოდით ლურჯი მოცვის ანთრაქნოზის მავნეობის ანუ მოსავლის დანაკარგების დადგენისათვის ნაკვეთის დიაგნოზზე შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ვიღებდით 10 სამოდელო მცენარეს. ყველა მცენარიდან აღებულ მოსავალ ვწონიდით, წონებს ვაჯამებდით და ვღებულობდით საერთო მოსავალს.

1.-3,7; 2.-2,5; 3.- 3,9; 4.- 2,8; 5.- 3,5; 6.- 2,8; 7.-3,8; 8.-3; 9.- 3, 3; 10.-3,5.=27,8 კგ

შემდეგ მიღებულ მოსავალში ცალკე ვარჩევდით დაზიანებულ ნაყოფებს ვწონიდით ცალკ-ცალკე.

1.-0,3; 2.-0,18; 3.-0,25; 4.-0,35; 5.-0,2; 6.-0,2; 7.-0,25; 8.-0,25; 9.-0,15; 10.-0,25=2,7 კგ

თუ სამოდელო მცენარეებიდან მიღებულ მოსავალს (27,8კგ) მივიღებთ პოტენციურ მოსავლად, დაზიანებული მოსავლის რაოდენობა კი ტოლია 2,7 კგ, მაშინ ანთრაქნოზის ინტენ-

სიური გავრცელებისას მოსავლის დანაკარგი ანუ მავნეობა ტოლი იქნება 2,7x100 / 27,8=9,71 %-ის.

ამგვარად, ანთრაკნოზის გავრცელების შემთხვევაში მოსავლის დანაკარგები ანუ მავნეობა 9-10%-ის ტოლია.

8. ლურჯ მოცვზე გავრცელებული დაავადების გამომწვევი სოკოების ანოტირებული სია

საანგარიშო პერიოდში გარდა ზემოთ აღნიშნული მავნებლების გარდა მოხდა ზოგიერთი მავნებლებისა სახეობრივი შემადგენლობის დაზუსტება-დადგენა. საბოლოოდ, საანგარიშო პერიოდში ლურჯ მოცვზე გამოვლენილმა სოკოების ანოტირებულმა სიამ შემდეგი სახე მიიღო.

1. *Armillaria melea* - ღეროს სიდამპლე
2. *Alternaria tenuis* - ალტერნარიოზი
3. *Botrytis cinerea* - რუხი სიდამპლე
4. *Botryosphaeria dothidae* - კოკრების სიდამპლე
5. *Colletotrichum gloeosporioides* - ანთრაკნოზი
6. *Fusarium oxysporum* - ფუზარიოზი
7. *Godronia cossondrae* - ტოტების კიბო
8. *Monilia vaccinum* - ნაყოფების სიდამპლე
9. *Microsphaeria vaccini* - ნაცარი
10. *Pestalotia* sp - მურა ლაქიანობა
11. *Pucciniastrum vacciniae* - ჟანგა
12. *Phyllosticta leptidae* - ფოთლების მურა ლაქიანობა
13. *Septoria albopunctata* - ფოთლების მურა ლაქიანობა
14. *Verticillium* sp. - ვერტიცილიოზი

დასკვნები

1. ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აჭარის დბლოზ და მაღალმთიან ზონაში ლურჯ მოცვს დიდ ზიანს აყენებს ისეთი დაავადებები როგორცაა: ტოტების ფომოპსისი, ნაყოფების ანთრაკნოზი, ჟანგა და სხვა;

2. ჩვენს პირობებში ფომოპსისი ლურჯი მოცვის ყველაზე მეტად გავრცელებული და მავნე დაავადებაა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ლურჯი მოცვის მოსავლიანობას;

3. ტოტების ფომოპსისის იწვევს სოკო *Phomopsis vaccinii*, რომელიც იზამთრებს გამხმარ ან დაავადებულ ტოტებში;

4. დაავადება იწვევს წვეროს ყლორტების ჭკნობას, ტოტების ხმობას, ინტენსიური განვითარების შემთხვევაში ახალგაზრდა მცენარეების სრულ ხმობას;

5. ტოტების ფომოპსისის ინტენსიური გავრცელებისას მოსავლის დანაკარგები შესაძლოა მიაღწიოს დაახლოებით 26%-ს;

6. ანთრაკნოზი ჩვენს პირობებში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული და ეკონომიური მნიშვნელობის დაავადებაა, რომელსაც იწვევს სოკო *Colletotrichum gloeosporioides*;

7. ანთრაკნოზით დაზიანებულ ნაყოფებზე წარმოიქმნება ჩაზნექილი უბნები. დაზიანებული ნაყოფები რბილდება და ლპება;

8. ანთრაკნოზის გავრცელების შემთხვევაში მოსავლის დანაკარგებმა შეიძლება 9-10%-ს მიაღწიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ალექსიძე - მცენარეთა დაცვა. თბილისი, 2014. 310 გვ.
2. გ. ალექსიძე- ინვაზიური დაავადებები საქართველოში. თბილისი. 2020. 42 გვ. ინტ. მასალები
3. ო. შაინიძე - ფიტოპათოლოგია. ბათუმი. 2018. 614 გვ.
3. <https://artstory-design.com/blog/tpost/j1ufdjprp1-bolezni-golubiki-opisanie-i-varianti-lec>
4. https://www.canr.msu.edu/blueberries/pest_management/diseases

მემცენარეობის მიმართულება

შემსრულებლები: შოთა ლამპარაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ნოდარი ბერიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

თემა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობა ყოველთვის თვალსაჩინო როლს ასრულებდა და მთელ რიგ რაიონებში დღესაც მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლების ძირითადი წყაროა.

ჩვენი ქვეყნის ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები, ვაზის მოსავლის სიუხვე სრულ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობის ფართოდ განვითარებისათვის.

საქართველოში გავრცელებული ვაზის 500-ზე მეტი ჯიშიდან, 80-მდე აჭარაშია, რომელთაგანაც მრავალი ჯიში ხასიათდება ძვირფასი სამეურნეო და ტექნოლოგიური ნიშან-თვისებებით. ახლო წარსულში აჭარის შიდა მთიანი რაიონების ეკონომიკაში მევენახეობამ მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო დღეს ამ დარგის წინსვლა შეფერხებულია, თუმცა ამჟამად ნათლად იკვეთება მევენახეობისა შემდგომი აღმავლობის პერსპექტივები.

მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ ამ ბოლო პერიოდში აჭარაში, ა(ა) იპ „აგროსერვისცენტრის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების სამსახურის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში იცდება ვაზის კულტურის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშები, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდება რეგიონებში არსებული ამ კულტურის გენოფონდი.



ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ 2025 წლის 3 იანვარს გაფორმებული № 87 შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ჩვენს მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოები იქნა ჩატარებული პროგრამის-“აგროსერვისის განვითარება რეგიონში”-ქვეპროგრამის “აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილების წარმოება” ფარგლებში, რაც ითვალისწინებს მემცენარეობის დარგში სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებასა და ანგარიშების წარდგენა

თემატიკით გათვალისწინებული ამოცანებისა და საკითხების შესასრულებლად ვაზის სასუფრე (11ჯიში) და საღვინე (12 ჯიში) ჯიშების ხუთ-ხუთ სამოდელო მცენარეზე ვატარებდით ფენოლოგიურ დაკვირვებებს მათი ზრდა-განვითარების ბიოლოგიური შესწავლის მიზნით.

თავდაპირველად შერჩეული და გამოყოფილი იქნა ვაზის სხვადასხვა ჯიშების საცდელი მცენარეები 5-5 ძირის ოდენობით, რომლებიც ეტიკეტირების შემდეგ შეტანილი იქნა სათანადო აღრიცხვის ყურნალში.

მიმდინარე 2025 წელს საცდელი ვაზის-23 ჯიშის მცენარეებზე ვატარებდით ფენოლოგიურ დაკვირვებებს და ბიომეტრიულ გაზომვებს, რის შემდეგაც გამოგვყავდა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლები. ასევე ვსწავლობდით მოსავლიანობას.

რაც შეეხება ნაყოფის ტექნიკურ მახასიათებლებსა და ფიზიკო-ქიმიურ მაჩვენებლებს, ისწავლებოდა ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების განყოფილებაში – ჩვენს მიერ მოწოდებული ნიმუშების მიხედვით.



მორფობიოლოგიური თავისებურებიდან ვაზის ჯიშებში ისწავლებოდა ისეთი ფენოლო-
გიური ფაზები, როგორცაა: ვაზის ტირილის დაწყება და დამთავრება, კვირტების გამლა
(ზრდის დაწყება), ყვავილობის დასაწყისი და დასასრული, ყურძნის შეთვალება, ყურძნის
სრულ სიმწიფეში შესვლა, ყლორტის ზრდის დამთავრება, ფოთოლცვენის დასაწყისი და
დასასრული.

**ვაზის სასუფრე და საღებავი ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა
(2025 წლის მარცხენა ნაწილები) ცხრილი 1**

ცხრილი 1											
#	ჯიშების დასახელება	ვაზის ტიპის დასახელება და დამთავრება	კვირები ს.გ.მ. (ზრდის დაწყება)	ფენოლოგიის დასაწყისი და დასასრული	ყვავილობის ხანგრძლივობა (დღეები)	ჯიშების დასახელება	ფურცლის შეთვლა	სრული სიმწიფე შესვლა	ვლორტის ზრდის დამთავრება	ფოთოლიცენის დასაწყისი	ფოთოლიცენის დასასრული
1	კარდინალი	29.02-25.03	27.03-6.04	25.05-6.06	13	კარდინალი	ივლისის 1 დეკადა	ივლისის მე-3 დეკადის დასასრული	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
2	კრიმონ სიდლესი	2.03-24.03	1.04-10.04	28.05-10.06	14	კრიმონ სიდლესი	სექტემბრის 1 დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის 1 დეკადა
3	დონ მარიანო	5.03-29.03	4.04	-	-	დონ მარიანო			ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-1 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
4	ალფონსო ლავალე	3.03-28.03	27.03-3.04	29.05-11.06	14	ალფონსო ლავალე	აგვისტოს 1 დეკადა	აგვისტოს მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-1 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
5	პრიმა	28.02-20.03	30.03-10.04	27.05-8.06	13	პრიმა	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1 დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა

6	იტალია	1.03-27.03	31.03-7.04	29.05-9.06	12	იტალია	სექტემბრის 1 დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
7	დათიური	4.03-29.03	4.04-11.04	31.05-11.06	12	დათიური	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
8	ალუდო	2.03-28.03	3.04-10.04	30.05-10.06	12	ალუდო	აგვისტოს 1 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
9	ქართული სადრეო	3.03-27.03	2.04-8.04	30.05-11.06	13	ქართული სადრეო	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
10	საბას პერლი (მარგალიტი)	5.03-28.03	3.04-10.04	31.05-11.06	12	საბას პერლი(მარგალიტი)	ივლისის მე-1 დეკადა	ივლისის მე-3 დეკადა	სექტემბრის 1 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა
11	სულთანინი	6.03-29.03	5.04-11.04	1.06-12.06	12	სულთანინი	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
12	ჩხავერი	10.03-2.04	10.04-20.04	8.06-20.06	13	ჩხავერი	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა	დეკემბრის 1 დეკადა	დეკემბრის 2 დეკადა
13	ოჯალუმი	8.03-2.04	8.04-15.04	7.06-18.06	12	ოჯალუმი	ოქტომბრის 1 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა	დეკემბრის 1 დეკადა
14	კრახუნა	6.03-30.03	5.04-10.04	3.06-13.06	11	კრახუნა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის 1 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-2 დეკადა
15	ცოლიკაური	8.03-1.04	7.04-18.04	5.06-16.06	12	ცოლიკაური	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა
16	ციცქა	6.03-30.03	8.04-15.04	6.06-16.06	11	ციცქა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა
17	კლარჯული	4.03-29.03	5.04-15.04	3.06-14.06	12	კლარჯული	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა
18	ქაქულურა	4.03-28.03	4.04-12.04	31.05-14.06	15	ქაქულურა	სექტემბრის 2 დეკადა	ოქტომბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა
19	წულუკიძის თეთრა	5.03-31.03	6.04-15.04	4.06-15.06	12	წულუკიძის თეთრა	სექტემბრის 1 დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	დეკემბრის მე-2 დეკადა
20	უასხელოური	6.03-1.04	7.04-18.04	5.06-16.06	12	უასხელოური	ოქტომბრის 1 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა
21	ალექსანდროული	5.03-31.03	6.04-15.04	5.06-15.06	11	ალექსანდროული	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა
22	შავი მუსკატი	6.03-31.03	5.04-13.04	3.06-14.06	12	შავი მუსკატი	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1 დეკადა	დეკემბრის მე-2 დეკადა
23	თეთრი მუსკატი	5.03-29.03	4.04-10.04	31.05-12.06	13	თეთრი მუსკატი	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის მე-3 დეკადა

როგორც N=1 ცხრილიდან ჩანს ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების მცენარეები ფენოლოგიურ ფაზებს სხვადასხვა პერიოდში გადიან და მათ შორის განსხვავებაც მნიშვნელოვანია. ვაზის ცალკეული ჯიშები ტირილს 28 თებერვლიდან 10 მარტამდე იწყებენ და ამთავრებენ 20 მარტიდან 2 აპრილამდე. სხვაობა კი ჯიშებს შორის 12 დღეა. ყველაზე ადრე ტირილის პროცესს იწყებს და ამთავრებს ვაზის ჯიში პრიმა (28.02.-20.03) და კარდინალი (29.02-25.03), ხოლო ყველაზე გვიან კი ჩხავერი (10.03-2.04) და ოჯალეში (8.03-2.04).

კვირტების გაშლასა და ზრდას ყველაზე ადრე იწყებს კარდინალი(27.03), გვიან კი ჩხავერი (10.04) და ოჯალეში (8.04) ასევე ყვავილობას ადრე იწყებს და ამთავრებს კარდინალი (25.05-6.06) პრიმა (27.05-8.06), გვიან კი ჩხავერი (8.06-20.06), და ოჯალეში (7.06-18.06). ყვავილობის ხანგრძლივობა ცალკეული ჯიშების მიხედვით 11-დან 15 დღემდე გრძელდება, სხვაობა 4 დღეს შეადგენს, რაც უმნიშვნელოა.

ყურძნის შეთვალევისა და სრულ სიმწიფეში შესვლის მხრივ, ვაზის სასუფრე ჯიშები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან, რაც მათი ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ასე მაგალითად: ვაზის ჯიშები საბას პერლი (მარგალიტი) და კარდინალი ყურძნის შეთვალებას იწყებს ივლისის 1 დეკადაში და სრულ სიმწიფეში შედის ივლისის მე-3 დეკადაში, პრიმა და ქართული საადრეო კი შესაბამისად - ივლისის მე-2 და აგვისტოს 1 დეკადაში. აგვისტოს თვეში (მე-3 დეკადა) მწიფდება ასევე ალფონსო ლავალე, რაც შეეხება დანარჩენ ჯიშებს, სულთანინი მწიფდება სექტემბრის 1 დეკადაში, ალედო და დათიერი სექტემბრის მე-2 დეკადაში, იტალია და კრიმსონ სიდლესი კი სექტემბრის მე-3 დეკადაში. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ვაზის სასუფრე ჯიშები სრულ სიმწიფეში შედის ივლისის მე-3 დეკადიდან სექტემბრის ბოლომდე.

თუმცა, თვით-იდენტიფიკაცია, როგორც ეკო-მეგობრული მწარმოებელი, გარკვეულ რისკებს შეიცავს. 2024 წელს მეურნეების 47.8% თვლიდა, რომ მათი პროდუქცია „უფრო მეტად ეკო-მეგობრულია“, ხოლო 44.1% – „ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებული“. 2025 წელს ეს მაჩვენებლები, სავარაუდოდ, ოდნავ მოიმატებს (49% და 45%). ეს მაღალი თვითშეფასება, მართალია, დადებითია, მაგრამ არ იძლევა გარანტიას საერთაშორისო (EU) ორგანულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის შესახებ. ვინაიდან ექსპორტის მოცულობა იზრდება (პროგნოზი 8.5%-მდე), იზრდება რისკი იმისა, რომ შიდა ბაზარზე მიღებული „ეკო-მეგობრული“ პრაქტიკა ვერ დააკმაყოფილებს ევროკავშირის მკაცრ ფიტოსანიტარულ რეგულაციებს (SPS). ამიტომ, სახელმწიფო პროგრამებმა 2025 წელს აქცენტი უნდა გააკეთოს არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლებაზე, არამედ მკაცრი საერთაშორისო სერტიფიცირების პროცესების ფინანსურ მხარდაჭერაზე.



3.2. კლიმატური ცვლილებების ზემოქმედება და მავნებლებთან ბრძოლა

კლიმატური ცვლილებები რჩება ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს აჭარის აგროსექტორზე 2025 წელს. მსოფლიო ბანკის კვლევა ხაზს უსვამს, რომ ტემპერატურული რეჟიმის ცვლილება საქართველოში გაზრდის მავნე პათოგენის დატვირთვას, რაც გამოიწვევს მცენარეთა დაცვის უფრო ყოვლისმომცველი ღონისძიებების საჭიროებას. მაღალი ტემპერატურა და ძლიერი ცხელი ქარები, სავარაუდოდ, გაზრდის დანაკარგებს და შეამცირებს მოსავლიანობას, რაც პირდაპირ იწვევს წარმოების ხარჯების ზრდას.

ამ მზარდი რისკების ფონზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2025 წლის განმავლობაში ინტენსიურად გააგრძელა ფაროსანას საწინააღმდეგო წამლობითი ღონისძიებები, მათ შორის მაღალმთიან აჭარაში. ეს ოპერაციული ინტენსივობა ადასტურებს, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პათოგენური საფრთხე არ შემცირებულა და ის კრიტიკულია ექსპორტზე ორიენტირებული კულტურების (როგორცაა თხილი და ციტრუსი) უვნებლობისთვის. იმისათვის, რომ ეკო-მეგობრულმა მწარმოებლებმა შეინარჩუნონ ორგანული სტატუსი, საჭიროა ქიმიური საშუალებების გამოყენების ნაცვლად, დაინერგოს ბიოლოგიური და ინოვაციური კონტროლის მეთოდები.

ამ კონტექსტში, საინტერესო დინამიკა შეინიშნება ტრენინგებისა და კონსულტაციების მოთხოვნის კუთხით. 2024 წელს იმ მეურნეების წილი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ დამატებით ცოდნას საჭიროებდნენ, 10%-დან 12.2%-მდე გაიზარდა. ეს ზრდა, მართალია, შეიძლება კონტრ-ინტუიციური ჩანდეს მაღალი თვითშეფასების ფონზე, მაგრამ ის რეალურად ასახავს სექტორის სიმწიფეს: რაც უფრო მეტი ფერმერი გადადის კომპლექსურ და მაღალი ღირებულების კულტურებზე (მაგალითად, მოცვი, ყოლო), მით უფრო მეტად აცნობიერებენ ისინი იმ ტექნიკურ და აგრონომიულ სირთულეებს, რომლებიც ამ კულტურების წარმატებით მოსაყვანად არის საჭირო. შესაბამისად, 2025 წელს დაფიქსირებული ტრენინგის მოთხოვნის ზრდა არის მაღალი კვალიფიკაციისკენ სწრაფვის ინდიკატორი.

აჭარის აგროწარმოების ტრანსფორმაციული ფაქტორები: რისკები და სტიმულები 2025 წელს

ფაქტორი	2024 წლის ტენდენცია	2025 წლის პროგნოზირებული ზემოქმედება	გავლენის ხარისხი	
ეკო-პროდუქციაზე გადასვლის სურვილი	57.0% (გეგმავს)	60.0%	მაღალი (პოზიტიური)	სახელმწიფო ბიო-სუბსიდირება ზრდის კონვერტაციის ტემპს.
კლიმატით გამოწვეული პათოგენური რისკები	მემცენარეობის წილის კლება; ფაროსანა	რისკების ზრდა; მაღალი საწარმოო ხარჯები	მაღალი (ნეგატიური)	მოითხოვს ბიოლოგიური კონტროლის ინოვაციურ მეთოდებს, რათა შეინარჩუნოს ეკო-სტატუსი.
ტრადიციული კულტურების ჩანაცვლება	40% (გადავიდა მაღალ ღირებულების კულტურაზე)	45%	საშუალო (პოზიტიური)	ზრდის საექსპორტო პოტენციალს (მოცვი, ჟოლო) და კლიმატის მიმართ მედეგობას.


თავი IV: საექსპორტო პოტენციალის რეალიზება და ლოგისტიკური არხების ოპტიმიზაცია

4.1. ადგილობრივი და გარე ბაზრის მოთხოვნის პროექცია (2025)

2025 წლისთვის აჭარის აგროსექტორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესებული მაჩვენებელი იქნება საექსპორტო წილის ზრდა. 2024 წლის მონაცემებით, ექსპორტის წილი პროდუქციის რეალიზაციაში 2023 წლის 2.4%-დან 7.1%-მდე გაიზარდა. 2025 წლის პროგნოზის მიხედვით, ეს წილი 8.5%-ს მიაღწევს. ამ მკვეთრი ზრდის განმაპირობებელი ფაქტორია ევროკავშირის ორგანული ბაზრის აღდგენა, სადაც, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, მომხმარებლები კვლავ უზრუნველბიან ორგანული პროდუქციის შემქნას. გარდა ამისა, სახელმწიფო მხარდაჭერა, მათ შორის ქართული ნაციონალური პავილიონების მოწყობა საერთაშორისო გამოფენებზე, როგორცაა Foodex Saudi 2025-ში რიადში, ხელს უწყობს ახალი, არაევროპული ბაზრების დაუფლებას.

ექსპორტზე ორიენტაციის ზრდის პარალელურად, შეინიშნება პროდუქციის საოჯახო მოხმარებისთვის გამოყენების წილის შემცირება: 2023 წლის 30.1%-დან 2024 წელს 27.6%-მდე. ეს ტენდენცია 2025 წელსაც გაგრძელდება (პროგნოზი 26.5%). ეს ცვლილება ადასტურებს ფერმერთა მზარდ კომერციულ ორიენტაციას და ფულად შემოსავალზე ფოკუსირებას. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ბაზარი რჩება დომინანტური (2024 წელს რეალიზაციის 64.3%), ექსპორტის ზრდამ უნდა შეამციროს ამ მაჩვენებლის წილი 63.0%-მდე 2025 წელს.

გარე ბაზრის მოთხოვნის აღქმის მაჩვენებელი, რომელიც 2023 წელს 5%-დან 2024 წელს 32%-მდე გაიზარდა, მიუთითებს იმაზე, რომ მეურნეები აქტიურად იწყებენ უცხო ბაზრების დაუფლებას და აცნობიერებენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის კონკურენტულ უპირატესობას. ეს არის ძლიერი სტიმული წარმოების მეთოდების შემდგომი ჰარმონიზაციისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან.



4.2. ლოგისტიკური და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები

ექსპორტის მოსალოდნელი ზრდის მიუხედავად, ლოგისტიკური და ინფრასტრუქტურული შეზღუდვები რჩება გაუარესებულ პარამეტრად, რომელიც საფრთხეს უქმნის ეკოპროდუქციის პოტენციალის სრულ რეალიზებას 2025 წელს. ლოგისტიკის სფეროში გამოწვევები მოიცავს მოძველებულ ინფრასტრუქტურას, მიწოდების ჯაჭვის არაეფექტურ მენეჯმენტს და კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. მაღალი ღირებულების, მაღალუქვებადი ეკოპროდუქციისთვის (მაგალითად, მოცვი ან ჟოლო) ცივი ჯაჭვის (Cold Chain) ეფექტური მართვა კრიტიკულია. ექსპორტის მოცულობის ზრდის ფონზე, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის არაადეკვატურობით გამოწვეული კონკურენტუნარიანობის დანაკარგი გაუარესდება, თუ არ დაჩქარდება ტრანსპორტისა და ლოგისტიკის 2023-2030 წლების სტრატეგიის განხორციელება.

ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება, თუმცა, მიმდინარეობს მიზანმიმართული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. 2025 წელს დაგეგმილია წყალმომარაგების ქსელების მოწყობა და სარწყავი და დამშრობი არხების რეაბილიტაცია აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, მათ შორის შუახევსა და ქედაში. ეს ინვესტიციები უზრუნველყოფს კრიტიკულ მხარდაჭერას მაღალი ღირებულების კულტურებისთვის, რომლებიც საჭიროებენ სტაბილურ წყალმომარაგებას, რაც ზრდის მოსავლიანობის მედეგობას კლიმატური რისკების მიმართ.

გარდა აგრო-ინფრასტრუქტურისა, მაღალმთიანი აჭარის განვითარება (კურორტი „გოდერძი“) 2025 წელსაც გრძელდება, სადაც 250 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტები ხორციელდება. ამ ინფრასტრუქტურის განვითარება ქმნის 1000 განთავსების ადგილს და 1500 ახალ სამუშაო ადგილს, რაც პირდაპირ ქმნის პრემიუმ-ბაზარს ადგილობრივი ეკომეგობრული პროდუქტებისთვის და ხელს უწყობს აგრო-ეკო ტურიზმის სინერგიას. ეს არის სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ძლიერი მექანიზმი.

აჭარის ა.რ. პროდუქციის რეალიზაციისა და ექსპორტის მოდელირება (2025)

საბაზრო არხი	2024 (ფაქტობრივი, %)	2025 (პროგნოზი, %)	პროგნოზის დასაბუთება	გავლენა ეკოპროდუქციაზე
ადგილობრივი ბაზარზე რეალიზაცია	64.3%	63.0%	ექსპორტის ზრდა ამცირებს წილს, თუმცა რჩება დომინანტური.	მოთხოვნა გაიზრდება გოდერძის მსგავსი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო.
საოჯახო მოხმარება	27.6%	26.5%	კომერციალიზაციაზე გადასვლის ტენდენცია გრძელდება.	მიუთითებს მზარდ ფულად შემოსავალზე ორიენტაციას.
ექსპორტი	7.1%	8.5%	EU ორგანული ბაზრის აღდგენა და DCFTA-სთან დაახლოება.	ზრდის სერტიფიცირებული, მაღალი ხარისხის ეკოპროდუქტის მოთხოვნას.

თავი V: სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება 2025 წლისთვის

5.1. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების გავლენა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი დაქვემდებარებული სტრუქტურების საქმიანობის შეფასება 2025 წლისთვის გაუმჯობესებულ პარამეტრს წარმოადგენს. 2024 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მეურნეობის დაახლოებით 79.1% ძალიან კმაყოფილი იყო სამინისტროს მხარდაჭერით საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით. ამასთან, აგრარული განვითარების დეპარტამენტის ექსტენციონისტებისა და ეკონომისტების საქმიანობით კმაყოფილება 82.2%-ს შეადგენდა. 2025 წლის პროგნოზი ითვალისწინებს ამ მაჩვენებლების შემდგომ უმნიშვნელო ზრდას (დაახლოებით 80.5% და 83.0% შესაბამისად).

ეს მაღალი კმაყოფილების დონე არის მიზანმიმართული ექსტენციური მომსახურების და ეფექტური მუნიციპალური პროგრამების მიწოდების შედეგი. მაგალითად, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ფარგლებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უსასყიდლოდ დამუშავების პროგრამა და ინტენსიური ღონისძიებები აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად, რაც უშუალოდ პასუხობს ფერმერთა ოპერაციულ საჭიროებებს. სტიპენდიანტებისა და ასოცირებული პროფესორების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევებიც, რომლებიც ფოკუსირებულია ეკომეგობრული წარმოების პერსპექტივებზე, უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას რეგიონში.

სამინისტროს ფინანსური სტაბილურობა და ინვესტიციების გაზრდა ამყარებს პოზიტიურ პროგნოზს. 2026 წლისთვის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის ზრდა 4.039 მილიონი ლარით იგეგმება 2025 წელთან შედარებით. ეს საბიუჯეტო ზრდა ადასტურებს, რომ სოფლის განვითარების, გარემოს დაცვისა და ტყის მდგრადი მართვის პრიორიტეტები შენარჩუნდება. ეს ფინანსური გარანტიები კრიტიკულად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ეკოპროექტების სტაბილური განხორციელებისთვის, რომლებიც ხშირად საჭიროებენ 3-დან 5 წლამდე საინვესტიციო ციკლს სერტიფიცირებისა და მოსავლიანობის სტაბილიზაციისთვის.

5.2. DCFTA-სთან დაკავშირებული სტანდარტების ჰარმონიზაციის გამოწვევები

DCFTA-ს მიერ დაწესებული ტექნიკური ბარიერები (TBT) და სანიტარული/ფიტოსანიტარული (SPS) მოთხოვნები 2025 წელსაც გაუარესებულ პარამეტრს წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს გადამწყვეტ პოლიტიკურ რეაგირებას. მიუხედავად იმისა, რომ DCFTA ქმნის თავისუფალ სავაჭრო ზონას, არასატარიფო ბარიერები რჩება „ძვირადღირებულ წინაღობად“ ქართული აგრო-პროდუქციის ექსპორტისთვის ევროკავშირში. ამ პროგნოზული სცენარის მიხედვით, ექსპორტის მოცულობის ზრდის ფონზე (8.5%-მდე), იზრდება იმ პროდუქციის რისკი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ევროკავშირის მკაცრ სტანდარტებს, რაც პოტენციურად გამოიწვევს პროდუქციის უკან დაბრუნებას ან ფინანსურ ზარალს.

იმის გამო, რომ აჭარის მეურნეობები ძირითადად მცირე მასშტაბისაა (80%+) და კოოპერაციის დაბალი დონე აქვთ, მათთვის რთულია ინდივიდუალურად გაიარონ ძვირადღირებული და რთული საერთაშორისო სერტიფიცირების პროცესები. შესაბამისად, 2025 წლისთვის კრიტიკულად იზრდება საჭიროება, რომ რეგიონულ დონეზე გაძლიერდეს ხარისხის ინფრასტრუქტურა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის როლი უმნიშვნელოვანესია, რათა უზრუნველყოს პროდუქციის წინასწარი ტესტირება და ხარისხის კონტროლი ევროპულ ბაზრებზე გატანამდე, რითაც შემცირდება ექსპორტთან დაკავშირებული რისკები. ამ გამოწვევების დაძლევის გარეშე, აჭარის ეკომეგობრული პროდუქციის პოტენციალი ნაწილობრივ ვერ იქნება რეალიზებული.

(საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021)

თავი VI: დასკვნა და პოლიტიკის ინოვაციური რეკომენდაციები (2025-2027)

6.1. 2025 წლის პროგნოზული სურათის სინთეზი

2025 წლის პროგნოზი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებისა და საექსპორტო პოტენციალის შესახებ ავლენს სექტორული ტრანსფორმაციის ძლიერ ტენდენციებს, რომელსაც თან ახლავს სტრუქტურული და გარე რისკები.

პოზიტიური ტენდენციები (პარამეტრები გაუმჯობესებულია):

- ექსპორტის ზრდა:** ექსპორტის წილი პროდუქციის რეალიზაციაში, სავარაუდოდ, 7.1%-დან 8.5%-მდე გაიზრდება, რაც განპირობებულია ევროკავშირის ორგანული ბაზრის აღდგენით და სახელმწიფოს მიერ საექსპორტო მიზნობრივი მხარდაჭერით.
- კვალიფიკაციისა და ცნობიერების დონე:** ფერმერთა განათლების დონე (ბაკალავრი, მაგისტრატურა) და საკუთარი კომპეტენციის თვითშეფასება მუდმივად იზრდება, რასაც ხელს უწყობს UNDP-ის მხარდაჭერით განხორციელებული A-VET და ექსტენციური მომსახურება.
- დივერსიფიკაცია:** მაღალი ღირებულების, ექსპორტზე ორიენტირებულ კულტურებში (მოცვი, ჟოლო) გადასვლა აქტიურად მიმდინარეობს, რასაც სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ ასტიმულირებს.

ნეგატიური ტენდენციები (პარამეტრები გაუარესებულია/სტაგნაცია):

- სტრუქტურული სტაგნაცია:** მცირე მეურნეობების დომინირება (81%-მდე) და კოოპერაციის დაბალი დონე რჩება მთავარ დაბრკოლებად, რაც ზღუდავს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას და სტანდარტიზებულ მიწოდებას ექსპორტისთვის.
- გარე რისკები:** კლიმატური ცვლილებები ზრდის პათოგენების (მაგალითად, ფაროსანა) დატვირთვას, რაც იწვევს საწარმოო ხარჯების ზრდას და საჭიროებს ბიოლოგიური კონტროლის ინოვაციურ მეთოდებს ეკო-სტატუსის შესანარჩუნებლად.
- ლოგისტიკური ბარიერები:** ექსპორტის ზრდის ფონზე, მოძველებული ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა და არაეფექტური ცივი ჯაჭვის მართვა გაუარესებულ გამოწვევად რჩება, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობის დანაკარგს მალფუჭებადი პროდუქციისთვის.
(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2025)

6.2. სტრატეგიული რეკომენდაციები ეკო-პოტენციალის სრულად რეალიზაციისთვის

წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, 2025-2027 წლების პერიოდისთვის აუცილებელია ოთხი ინოვაციური პოლიტიკური მიმართულების დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესებული ტენდენციების კონსოლიდაციას და სტრუქტურული გამოწვევების დაძლევას:

6.2.1. რეკომენდაცია 1: ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ექსპორტზე მორგება და მალფუჭებადი პროდუქციის სუბსიდირება

ეკომეგობრული, მაღალი ღირებულების კულტურების (მოცვი, ჟოლო, მწვანელი) ექსპორტის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია ცივი ჯაჭვის სრულყოფილ ინფრასტრუქტურაზე. აუცილებელია, აჭარაში დაჩქარდეს სამაცივრე და შესანახი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებას ევროპულ ბაზარზე მიტანამდე. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ რეგიონულმა ხელისუფლებამ დანერგოს საჭირო ტრანსპორტირების სუბსიდირების მიზნობრივი მექანიზმი მაღალი ღირებულების, მალფუჭებადი ეკო-პროდუქციისთვის. ეს სტრატეგია ხელს შეუწყობს პროდუქციის სწრაფ,

[83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2024-2025.pdf](https://agriculture.ajara.gov.ge/83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2024-2025.pdf)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2025). *სიახლეები*. მიღებულია: <https://agriculture.ajara.gov.ge/>

3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). (n.d.). *ქალების ეკონომიკური გაძლიერება*. მიღებულია: <https://georgia.unwomen.org/ka/what-we-do/economic-empowerment>

4. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). (n.d.). *პროფესიული განათლების სისტემის რეფორმების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობაში*. მიღებულია: <https://www.undp.org/ka/georgia/projects/vocational-education-3>

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA). (n.d.). *სახელმწიფო პროექტები*. მიღებულია: <https://mepa.gov.ge/Ge/StateProjects>

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA). (n.d.). *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია*. მიღებულია: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>

7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA). (n.d.). *სტრატეგია*. მიღებულია: <https://mepa.gov.ge/Ge/Strategy>

8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2023). *ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სტრატეგია 2023-2030*. მიღებულია: https://www.economy.ge/uploads/files/2017/transport/2023/strategy/transportisa_da_logistikis_strategia_2023_2030.pdf

9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. (2024, სექტემბერი). *აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი: მე-3 კვარტლის ანგარიში*.

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2025). *ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, 2025 წლის იანვარი-ივნისი, წინასწარი მონაცემები*. მიღებულია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/887/dziritadi-demografiuli-machveneblebi-2025-tslis-ianvari-ivnisi-tsinastsari-monatsemebi>

11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (n.d.). *საქართველოს სოფლის მეურნეობა*. მიღებულია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (n.d.). *საქართველოს სოფლის მეურნეობა - სიახლეები*. მიღებულია: <https://www.geostat.ge/ka/relationsOfCategory/70/post>

13. სოფლის განვითარების სააგენტო (RDA). (n.d.). *დანერგე მომავალი*. მიღებულია: <https://www.rda.gov.ge/programs/305853-danerge-momavali/6fa5bcbe-908c-424c-819c-41e82d6a3769/>

14. სოფლის განვითარების სააგენტო (RDA). (n.d.). *ახალი ამბები*. მიღებულია: <https://www.rda.gov.ge/articles/news/>

15. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი. (n.d.). *წიადაგის უსასყიდლოდ დამუშავების პროგრამა*. მიღებულია: <http://agrosc.ge/>

16. USDA Foreign Agricultural Service (FAS). (2025). *EU Organics Market Begins to Recover*. (GM2025-0003). მიღებულია: <https://apps.fas.usda.gov/newgainapi/api/Report/DownloadReportByFileName?fileName=EU%20Organic%20Market%20Begins%20to%20Recover%20Berlin%20European%20Union%20GM2025-0003.pdf>

ინტერნეტ წყაროები

17. FAO. (2025). *The World of Organic Agriculture*. მიღებულია: <https://www.fao.org/family-farming/detail/en/c/1734889/>

18. World Bank & FAO. (2022). *კლიმატის ზემოქმედების შეფასება საქართველოში*

(ტექნიკური

ანგარიში).

მიღებულია:

<https://documents1.worldbank.org/curated/en/099025005202233164/pdf/P175705-85b384c8-a2e7-4e39-a860-c43c0db74a03.pdf>

19. wiiw (Vienna Institute for International Economic Studies). (n.d.). *Benefits and Costs of DCFTA: Evaluation of the Impact on Georgia, Moldova, and Ukraine*. მიღებულია: <https://wiiw.ac.at/benefits-and-costs-of-dcfta-evaluation-of-the-impact-on-georgia-moldova-and-ukraine-dlp-4111.pdf>

20. World Perspectives. (2025). *Black Sea Regional Analysis*. მიღებულია: <https://worldperspectives.com/index.php/articles/black-sea-regional-analysis-08062025>

მეცხოველეობის მიმართულება

შემსრულებელი: რევაზ მახარობლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თემა: „მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება, სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავება.“

თემის აქტუალობა. პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ-სადოვარების პროდუქტიულობის ამაღლებას და მეცხოველეობის საკვები ბაზის მკვეთრად განმტკიცებას, რაც მიიღწევა აჭარის რეგიონში სათიბ-სადოვარების ეროზიული მოვლენების განხილვის, ნიადაგში წყლისა და საჰაერო რეჟიმების გაუმჯობესების გზების დადგენის, აჭარის სათიბებ-სადოვარებზე წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირების, მათ რაციონალური გამოყენების გზების დადგენის გზით და აჭარის სოფლის მეურნეობის საიმინისტროსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებით.

1. ზემო აჭარის ბუნებრივ საკვებ სავარგულები

ზემო აჭარის ბუნებრივი საკვებ სავარგულებს 26-28 ათასი ჰა ფართობი უკავია. აქედან უმეტესი ფართობი მოქცეულია სუბალპურ ზონაში, დაახლოებით 12,9-13,1 % მთის შუა და 7,5-7,7 % ალპურ ზონაში. მთის შუა ზონის სავარგულების მცენარეული საფარი ძირითადად მეზოფილური და მშრალი ტიპის მდელოებით და ბეწვისებრი ნამიკრეფიას დაჯგუფებით არის წარმოდგენილი, რომელთა მოსავლიანობა 1,0-1,5 ტ/ჰა საშუალოზე დაბალი ხარისხის თივის ფარგლებშია. თივის დაბალ ხარისხს განაპირობებს ბალახნარში ისეთი სარეველა, შხამიანი და პარაზიტი მცენარეების მნიშვნელოვანი მონაწილეობა, როგორცაა აჭარული ნარი, ლობელის შხამა, ხუჭუჭა ღოღო, ხრიალა, სატილია, კორდისკბილა. აჭარის სუბალპურ ზონაში განთავსებული ბუნებრივი საკვები სავარგულების ბალახნარში დომინანტობს უკვე სხვა ნამიკრეფია-ბრტყელფოთოლა ნამიკრეფია. სუბალპების სათიბები მრავლადაა დასარეველიანი-ბული შხამათი, ხოლო სადოვრები მარმუჭის და ფესვმაგარას სხვადასხვა სახეობით. ბალახნარის მოსავლიანობა 1,2-1,4 ტ/ჰა საშუალო ხარისხის თივას შეადგენს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აჭარის ბუნებრივი საკვები სავარგულების ძლიერი გადატვირთვა განაპირობებს ეროზიული პროცესების განვითარებას და ნიადაგის საფარს მოკლებული, ჩამორეცხილი ფართობების წარმოქმნას.

საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების ზოგადი დახასიათების და პირდაპირი სარგებლობის სადოვრების და სათიბების მოკლე აღწერის გარდა, აუცილებელია შევ-

ჩერდეთ არაპირდაპირი სარგებლობის სათიბ-სადოვრების არსებობის შესახებაც. ამ კატეგორიის საკვებ სავარგულებს მიეკუთვნება გასათიბი ან გასადოვარი ფართობები ტყისა და ბუჩქნარის ე.წ. “ფანჯრებსა” და გამეჩხერებულ ადგილებზე, აგრეთვე ამავე მიზნით გამოყენებული ნაკვეთები ჭაობებში, ნასვენებსა და ნაჩხატებში. ამ სავარგულებს რამდენადმე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ ტყის ზონაში, სადაც არაპირდაპირი სარგებლობის საკვებ სავარგულებს დაახლოებით 350 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, ხოლო მოსავლიანობა 30 ტ/ჰა მწვანე მასას არ აღემატება.

2. ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების სისტემები

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ცნების ქვეშ იგულისხმება ღონისძიებები, რომელთა განხორციელება განაპირობებს ამ სავარგულებზე წარმოებული საკვების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სათიბ-სადოვრების მცენარეთა საჭირო ნიადაგის კვებითი, საჰაერო და წყლის ოპტიმალური რეჟიმების უზრუნველყოფას, ბალახნარის ფლორისტული შედგენილობის სრულყოფას, სადოვრებზე ცხოველთა რაციონალური ძოვებისა და სათიბებზე მანქანა-იარაღების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას. ბუნებრივი სათიბ-სადოვრების პროდუქტიულობის და წარმოებული საკვების გადიდების ერთ-ერთი გზაა ამ სავარგულების სასარგებლო ფართობის გადიდება ქვების შეგროვებით, კოლბოხების მოსპობით, ძირკვების მოჭრა-მოშორებით, საკვები სავარგულების ეროზიის განვითარების არასაშიშ ადგილებზე ხე-ბუჩქნარის მოსპობით და სხვა.

ბუნებრივი სათიბების და სადოვრების ბოტანიკური შედგენილობის გაუმჯობესება შესაძლებელია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლით, ბალახნარში საკვებად უფრო ძვირფასი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების შეთესვით, არსებულთან შედარებით უფრო პროდუქტიული, მაღალმოსავლიანი და ყუათიანობის მიხედვით უკეთესი ნათესი ბალახნარის შექმნით, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით სხვადასხვა სახის და ნორმის კომბინაციით და ა.შ.

სათიბებსა და სადოვრებზე მოზარდი ბალახების კვებითი რეჟიმის გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებებია ორგანული, მინერალური და მიკრო-სასუქების, კირის, გაჯის შეტანა, სიდერაცია, აგრეთვე ნიადაგში მიმდინარე მიკრობიოლოგიური პროცესების აქტივიზაცია.

საქართველოს სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანია წყლის რეჟიმის გაუმჯობესება სათანადო სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებით, აგრეთვე ნიადაგის მექანიკური დამუშავება (დახვრელება, დაღრუება, ღრმა გაფხვიერება), რომელიც არამარტო წყლის, არამედ საჰაერო რეჟიმსაც აუმჯობესებს.

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებების ღონისძიებები, გამომდინარე მათი გამოყენების მიზნებიდან, თუ როგორ ესადაგება ისინი ადგილსამყოფელის პირობებს, ბალახნარის გამოყენების სავარაუდო ხერხებს, რომელი ბალახოვანი მცენარეები შექმნიან გაუმჯობესებული საკვები სავარგულის ბალახნარის საფუძველს - ბუნებრივი თუ ნათესი, განასხვავებენ მათი გაუმჯობესების ორ სისტემას - ზედაპირულს და ძირეულს.

3. ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესების სისტემა

ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესება გულისხმობს არსებული ბუნებრივი ბალახნარის შენარჩუნების პირობებში მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გადიდებას, ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობის გაუმჯობესებას და ყუათიანობის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის მუშაობის უკეთესი პირობების შექმნას. ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები პირველ რიგში უნდა განხორციელდეს იქ, სადაც რელიეფი არ იძლევა ძირეული გაუმჯობესების ჩატარებას, ეროზიასაშიშ ადგილებზე, სადაც ნიადაგის მოხვანა ჩამორეცხვის ან გადარეცხვის საშიშროებას იწვევს (მთიანი რელიეფი, ფერდობები, ძალზე დაქვიანებული ნაკვეთები, დახრამული სათიბ-სადოვრები), ხოლო

გვალვიან რაიონებში-ქარული ეროზიის გავრცელების ადგილებში. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები მიზანშეწონილია ჩატარდეს იმ სათიბ-სადოვრებზე, სადაც გამეჩხერებულ ან დეგრადირებულ ბალახნარში არანაკლებ 20-30% საკვებად ძვირფასი ბალახია, აგრეთვე მავნე და შხამიანი მცენარეების შემცველობა არ აღემატება 30%-ს, ხოლო დაბუჩქიანება და დაკოლბოხიანება სუსტია – 20%-მდე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ზედაპირული სისტემის ღონისძიებების განხორციელება ყველა შემთხვევაში ნაკარნახევაა აგრეთვე ეკონომიკური მოსაზრებითაც, რადგან ეს ღონისძიებები ძირეული გაუმჯობესებისაგან განსხვავებით არ ითხოვენ, დიდ დანახარჯებს (ნიადაგის მოხვნა-დამუშავება, დეფიციტური და ძვირი მრავალწლოვანი ბალახების თესლი) და შედარებით იაფია განსახორციელებლად. როგორც წესი, მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილია ბუნებრივი სათიბ-სადოვრების ზედაპირული გაუმჯობესების სათანადო ღონისძიებების კომპლექსურად ჩატარება. ზედაპირული გაუმჯობესების სისტემაში შემავალი ყველა ღონისძიება შესაძლებელია გავაერთიანოდ ქვემოთ 3 ჯგუფში: 1) კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები-ბუჩქნარისა და წვრილი ტყისაგან სათიბ-სადოვრების იმ ნაკვეთების გაკაფვა, სადაც მათ ანტიეროზიული მნიშვნელობა არა აქვთ; კოლბოხების მოსპობა; ქვების გამოტანა, ნაკვეთის გაწმენდა ნაგვისა და ფიჩხისაგან; ნიადაგის ზედაპირის მოსწორება; ამავე სახის ღონისძიებებს ეკუთვნის ბუჩქნარის ზოლების დატოვება. 2) წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირება-ზედაპირული წყლების მოცილება, თხუნელისებრი (ღრუ) დრენაჟი, დახვრეღვა (დანაპრალება), დაშრობა, მორწყვა, დატბორვა და სხვ. 3) სათიბ-სადოვრების ბალახნარის მოსავლიანობის გადიდება აგროტექნიკური ხერხებით-განოყიერება ორგანული, მინერალური და მიკროსასუქებით, მოკირიანება, ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებების ღონისძიებები, გამომდინარე მათი გამოყენების მიზნებიდან, თუ როგორ ესადაგება ისინი ადგილსამყოფელის პირობებს, ბალახნარის გამოყენების სავარაუდო ხერხებს, რომელი ბალახოვანი მცენარეები შექმნიან გაუმჯობესებული საკვები სავარგულის ბალახნარის საფუძველს - ბუნებრივი თუ ნათესი, განასხვავებენ მათი გაუმჯობესების ორ სისტემას - ზედაპირულს და ძირეულს.

კულტურ-ტექნიკური ღონისძიებებთან კომპლექსში შემავალი ხერხების განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების თანამედროვე, მეტად არასახარბიელი მდგომარეობა. არაწესიერი ექსპლოატაციის, გაუმჯობესების ღონისძიებების გაუტარებლობის, მნიშვნელოვან ფართობებზე კორდდაშლის, ეროზიის, დაბუჩქიანების და სხვა უარყოფითი სამეურნეო მაჩვენებლების ფართო გავრცელება გაჯის შეტანა მლაშე ნიადაგებზე, სარეველებთან ბრძოლა, ბალახების შეთესვა, ბალახნარის გაახალგაზრდაება და სხვა.

4. კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები

განაპირობებს-სათიბ-სადოვრებზე სადოვრული საკვებისა და თივის დაბალ მოსავლიანობას, პროდუქტიულობას, ყუათიანობას. კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები ტარდება, ბუნებრივი საკვები სავარგულების როგორც ზედაპირული, ასევე ძირეული გაუმჯობესების დროს.

ხე-ბუჩქნარისაგან საკვები სავარგულების გაწმენდა. როგორც წესი წვრილი ტყით და ბუჩქნარით დაფარული ბუნებრივი სათიბ-სადოვრების გაწმენდა ხდება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მათ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის დანიშნულება არა აქვს. შესანურჩენებელია წყალსაცავების, ტბებისა და მდინარეების პირას, ხევებსა და ხრამების გასწვრივ მზარდი ბუჩქნარი და ხეები, აგრეთვე ცალკე მდგომი ის მცენარეები, რომლებიც აცოცხლებენ პეიზაჟს და ამდიდრებენ ბუნებრივი ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებას. ნაპირების გადარეცხვის, აგრეთვე მდელის ნაკვეთების ქვიშისა და სილის ნაფენების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია მდინარის კალაპოტის გასწვრივ 4-5 მ სიგანის ბუჩქნარის ზოლის დატოვება. ასევე

საჭიროა ხეების, ხრამების ფერდობებზე ტყის ზოლების შენარჩუნება, ბუჩქნარის ან ხეების დარგვა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროზიული პროცესების შეჩერებას. ბუჩქნარს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თოვლის შენარჩუნების და თოვლის საფარის გახანგრძლივების მიზნითაც, განსაკუთრებით სამხრეთ რეგიონებში.

ხე-ბუჩქნარი მცენარეულობის მოსპობისას მიმართავენ მექანიკურ (გაკაფვა, მოჭრა, ამოძირკვა, ჩახვნა, ფრეზირება) და ქიმიურ-მექანიკურ მეთოდებს, აგრეთვე გადაწვას.

იმ შემთხვევაში თუ სავარგულის დაბუჩქიანება ან ხეების დგომა უმნიშვნელოა (მათ მიერ ნიადაგის დაფარულობა 8-10%-ს არ აღემატება), გაკაფვა ხელით წარმოებს. წვრილი ტყის და ბუჩქნარის მოჭრა ხორციელდება სხვადასხვა ბუჩქმჭრელი მანქანებით. ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი პროცესია ამოძირკვა, რომელიც ხორციელდება ან ცალ-ცალკე, ჯერ მოჭრით და შემდგომ ამოძირკვით, ან პირდაპირ ამოძირკვით. ამასთან უფრო პროგრესიულია ხე-ბუჩქნარის ჯერ მოჭრა და შემდგომ დარჩენილი ჯირკვების ამოძირკვა, რაც საგრძნობლად ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის დანაკარგებს. ამოძირკვის შემდეგ მიზანშეწონილია მოშიშვლებულ ადგილებზე ძვირფასი საკვები ბალახების შეთესვა. ბუჩქნარის ჩახვნა 20-35 სმ სიღრმეზე ხორციელდება ბუჩქნარ-ჭაობის გუთნით, ბუჩქნარის წინასწარი მოჭრის გარეშე. ბუჩქნარის ფრეზირება და დაქუცმაცებული მასის ნიადაგში შერევა წარმოებს მინერალურ ნიადაგებზე 20 სმ-იან ჰუმუსოვან ჰორიზონტში.

ბუჩქნარის გადაწვა დასაშვებია დაჭაობებულ ნაკვეთებზე ნიადაგის გაღობამდე. გადაწვის შემდეგ ბუჩქნარი მალევე ხმება და ჩახვნის შემდეგ სწრაფად იხრწნება ნიადაგში.

ბუჩქნარის მოსპობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ხერხია ქიმიური მეთოდი არბორიციდების გამოყენებით, რომელთა შესხურებით არ ზიანდება ნიადაგი და მინიმუმამდე მცირდება ეროზიული პროცესების განვითარება. ამასთან აუცილებელია ზუსტად იქნას დაცული ის ეკოლოგიური შეზღუდვები, რომელიც ეხება არბორიციდების გამოყენებას და მათთან მუშაობას.

ქვების მოცილება. საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობი, ძირითადად კი მთიანი საძოვრები, სხვადასხვა ზომის ქვებით არის დაფარული და დაქვიანების პროცენტი ზოგჯერ 50%-საც აღემატება. მიღებულია, რომ თუ სავარგულის ზედაპირის მხოლოდ 10%-მდეა ქვებით დაფარულია, ასეთი დაქვიანება სუსტად ითვლება, 20%-მდე - საშუალოდ, ხოლო 60%-მღიერად. ზედაპირული გაუმჯობესების დროს გამოაქვთ ზედაპირზე განლაგებული ან ნახევრად ჩაფლული ქვები. ამასთან, ციცაბო ფერდობებიდან მოზრდილი ქვების ამოღება და გამოტანა არაა მიზანშეწონილი ეროზიული პროცესის განვითარების გამო. ქვებისგან ნაკვეთის გასუფთავება 15-30% ადიდება სათიბის პროდუქტიულობას.

სათიბ-საძოვრების ქვებისაგან გაწმენდის ხერხი დამოკიდებულია დაქვიანების ხარისხზე, ქვების ზომასა და ნიადაგში განლაგების (ჩაფვლის) სიღრმეზე. ზედაპირზე გაფანტული მომცრო ქვების შეგროვება და გამოტანა ხელით ხდება და მათ იყენებენ საძოვრის, ან სხვა ნაკვეთის შესაღობად, ან სხვადასხვა სამშენებლო მიზნებისათვის, აგრეთვე სარწყულელები ადგილების მისადგომების გასამაგრებლად და ა.შ. საძოვრებზე ქვების შეგროვება დასაშვებია მთელი სეზონის მანძილზე, სათიბზე კი შემოდგომით, თივის აღების შემდეგ, ან ადრე გაზაფხულზე. მსხვილი, სხვადასხვა სიღრმით ნიადაგში ჩაფლული ქვების ამოძირკვა ხდება ვაკე და დამრეც ფერდობებზე, სპეციალური ამოსაძირკვი-შემგროვებელი მანქანებით. მოხერხებულია 4 ტონამდე ქვების გამოტანა თვითდამცლელი თხილამურით. ქვებისაგან გასუფთავებული მდელოს ბალახნარის მოსავალი (3 წლის მანძილზე) დიდდება 20-30%-ით.

კოლბოხების მოსპობა. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ კოლბოხების შემდეგ ჯგუფებს: ნაჩლიქარი კოლბოხები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია ტენიან ნიადაგზე ცხოველის არარაციონალურ, გადაჭარბებულ მოვებასთან; თხუნელასა და თავგების ცხოველ-

მოქმედების შედეგად წარმოქმნილი კოლბოხები; ჭიანჭველების მიერ წარმოქმნილი მიწის გროვების გაბალახიანების შემდეგ განვითარებული კოლბოხები; მკრივბუჩქიანი მარცვლოვანი ბალახების (მიგვა, ჭრელი წივანა, მახრჩობელა, კორდიანი ისლი, ვაციწვერები და სხვ.) მიერ წარმოქმნილი კოლბოხები. გარდა ამისა ხშირია ქვების ხავსით დაფარვა, დაბალახიანება და კოლბოხისმაგვარი ქვების წარმოშობა.

კოლბოხებს შორის ყველაზე მკვრივი ისლების კოლბოხებია, რომელთა სიმაღლე 10-70 სმ აღწევს, ხოლო უფრო ფაშარია ჭიანჭველისა და თხუნელას კოლბოხები მათზე კორდის წარმოქმნამდე.

კოლბოხები მნიშვნელოვნად ამცირებს სავარგულის სასარგებლო ფართობს, ამცირებს მოსავალს, საკვების ხარისხს, აფერხებს თიბვის მექანიზაციას და სხვ. სავარგულის გაწმენდა კოლბოხებისაგან მიზანშეწონილია მაშინ, როცა კოლბოხებს ფართობის 10%-მდე უკავია. სხვა შემთხვევაში უმჯობესია ძირეული გაუმჯობესება, თუ კი სხვა გასათვალისწინებელი პირობები ამის საშუალებას იძლევა.

თხუნელებისა და ჭიანჭველების ახალი ბუდეების მოსპობა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით მძიმე ფარცებით, ლიანდაგის სათრეველათი, მოფოჩხვით, ხოლო ამ ტიპის დაკორდებული კოლბოხები უნდა მოსწორდეს მოდისკობით ან ჭაობის ფრეზებით. კოლბოხები დაქუცმაცებული უნდა იყოს 3 სმ-მდე ნაწილაკებად, რაც მიიღწევა ფრეზის ან დისკობიანი ფარცხის 1-2 გავლით.

საშუალო და მსხვილი კოლბოხების ფართოდ გავრცელების დროს მათი მოსპობა ხდება ძირეული გაუმჯობესების სისტემის ღონისძიებათა კომპლექსში შემავალი ხერხების გამოყენებით. აუცილებელია ნებისმიერი კოლბოხების მოსპობის შემდეგ მოშიშვლებულ ადგილებზე საკვები ბალახების შეთესვა.

ნიადაგის ზედაპირის მოსწორება-მოშანდაკების მიზანია მდელოს ზედაპირის მოსწორება, რომ თავისუფლად იყოს შესაძლებელი თივის დამზადების, სასუქების შეტანის, ბალახების თესვის და სხვა სამუშაოების მექანიზაცია. ამისათვის გამოიყენება რელსებიანი სათრეველა, ფრეზობარაბანი, ბულდოზერი და სხვა.

5. სამოვრების ნაყოფიერების ამაღლება

აჭარის სათიბ-სამოვრების შესწავლისათვის და მათი ნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭირო ხდება იმ აუცილებელი პირობების გათვალისწინება, რომლებიც რეკომენდებული და დამტკიცებულია საზღვარგარეთის მოწინავე აგრარულ ქვეყნებში სათიბ-სამოვრების წარმატებულად გამოყენებისა და მათი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

კულტურული სათიბ-სამოვარი ეს არის ბუნებრივი ან ნათესი საკვები სავარგული, რომელიც სათანადო მოვლის, გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენების პირობებში უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ-სამოვართან შედარებით უფრო მეტ, გაცილებით მაღალი ხარისხისა და ნაკლები თვითღირებულების მწვანე მასის მიღებას. სამოვრული საკვები, ან ბაგაზე მიტანილი ახლად გათიბული მწვანე მასა თითქმის მთლიანად არის დაბალანსებული უმნიშვნელოვანესი საყუათო ნივთიერებებით და ყველაზე უფრო სრულად აკმაყოფილებს ცხოველის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული სამოვრის ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება სამოვრად გამოყენებისას დაახლოებით 3-ჯერ იაფია, ვიდრე თივის საკვები ერთეული და ორჯერ იაფი, ვიდრე ბაგაზე მიცემული მწვანე ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება.

კულტურული სამოვრისა და სათიბის შექმნისათვის გამოიყენება სამი ძირითადი ხერხი:

1. იმ ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესება, რომლებიც ნიადაგობრივი პირობებისა და ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობის მიხედვით შესაძლებელია გარდავექმნათ კულტურულ სამოვრად ან სათიბად კორდის მოსპობისა და ბალახნარების თესვის გარეშე.

2. ნათესი სამოვრის ან სათიბის შექმნა ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესებით, დაჩქარებული გამდელიობის ან წინამორბედი კულტურების თესვით. ცალკეულ შემთხვევაში, ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობებიდან და სამეურნეო მოთხოვნილებიდან გამომდინარე შესაძლებელია კულტურული სათიბ-სამოვრების შექმნა სახნავ მიწებზე.

3. კულტურული სამოვრის ან სათიბის შესაქმნელად მრავალწლოვანი ბალახების ძველი ნათესების, ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესების გამოყენება.

კულტურული სამოვრის ან სათიბის შექმნის ხერხის შერჩევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული ადგილსამყოფელის ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებით, გავითვალისწინოთ ბუნებრივი საკვები სავარგულის ბალახნარის ტიპი, მოსავლიანობა, აგრეთვე ფერმერის სამეურნეო შესაძლებლობები და მიზნები.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის პირობებში უპირატესობა უნდა მიეცეს ნათესი სარწყავი სათიბების შექმნას, მათ შორის განმარტებულ მიწებზე; კოლხეთის დაბლობზე მეტად პერსპექტიულია ნათესი სათიბების შექმნა მელიორირებულ ფართობებზე.

ეს ცხადია, არ გამორიცხავს ამ ზონებში წვრილი ფერმერებისათვის კულტურული სამოვრის შექმნას, როგორც მეცხოველეობის მეტად იაფი პროდუქციის წარმოების ერთ-ერთ საშუალებას, ანდა ყველა შემთხვევაში ნათესი ბალახნარის კომბინირებულ გამოყენებას სათიბად და სამოვრად.

საქართველოს მთიან რეგიონებში უფრო გამოიყენება კულტურული სათიბ-სამოვრების შექმნის პირველი ორი ხერხი, ხოლო მთავარი კავკასიონის ფერდობებზე კულტურული სამოვრების მოწყობა უმთავრესად მხოლოდ ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებათა ხერხებით არის შესაძლებელი.

ნათესი კულტურული სამოვრის ბალახნარი სასურველია ჩამოყალიბდეს პარკოსანი, მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი მრავალწლოვანი ბალახების ნარევის დათესვით.

თივის დამზადებისათვის აუცილებელია მარცვლოვანი და პარკოსანი ბალახების ნარევის თესვა: აღმოსავლეთ საქართველოში მიზანშეწონილია ლურჯი იონჯას, სათითურას, მდელოს წივანასა და უფხო შვრიელას თესვა; დასავლეთ საქართველოში ლურჯი იონჯას, წითელი სამყურას, კურდღლისფრჩხილას, მაღალი კონინდარის, მდელოს ტიმოთელას, სათითურას; მთიან რეგიონებში – მდელოს (წითელი) სამყურას, ამიერკავკასიის ესპარცეტის, სათითურას, უფხო შვრიელას თესვა.

კულტურული სამოვრის სწორი გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ნაკვეთმორიგეობითი მოვების შემოღება.

საქართველოს ველის ზონის ვაციწვერიან სამოვრების გამოვება ძროხეულის მიერ მიზანშეწონილია დაიწყოს მაშინ, როდესაც ბალახნარის სიმაღლე 10-12 სმ მიაღწევს, ნათესი სარწყავი კულტურული სამოვრის – 15-20 სმ, სუბალპური ზონის მარცვლოვან-ნაირბალახოვან და მარცვლოვან-პარკოსნიან სამოვრების 8-12 სმ, სუბალპური მაღალბალახეულობის – 18-22 სმ, ავშნიანი ნახევრადუდაბნოს გაზაფხულის ეფემერეტუმის – 6-8 სმ, მშრალი ველის კაპუეტის, უროიანი და ველის წივანიანი სამოვრების – 8-10 სმ, ალპური ზონის დაბალბალახეულობისა ცხვრის მიერ – 4-6 სმ და ა.შ.

გაზაფხულზე მოვების დაწყების ვადა შესაძლებელია განვსაზღვროთ ინდიკატორი მცენარეების ყვავილობის მიხედვითაც. ასე, სუბალპურ სამოვრებზე კავკასიური ბაიას ყვავილობის დასაწყისი შესაძლოა მივიჩნიოთ ბალახნარის გამოვების დაწყების მომენტად,

ხოლო ვაციწვერიან და ველის წივანიან საძოვრებზე კი ტიტების ან გამობერილი გლერძას ყვავილობა.

საქართველოს ნახევრადუდაბნოს და ველის ზონის, გაზაფხულის და შემოდგომის ეფემერეტუმი 2-3 სმ; ზამთრის მანძილზე ავშნის 3-6 სმ, წითელწვერასი 10 სმ, სხვა ნახევრადბუჩქებისა (ხურხუმო, ჩარანი) – ძირითადად ერთწლიანი ყლორტის გამოვება ხდება;

ველის ზონის ვაციწვერიანი, ველის წივანიანი, უროიანი და სხვა მსგავსი დაჯგუფების, აგრეთვე მთის შუა ზონის მთა-მდელოს, მთა-ველის საძოვრებისათვის – 4-6 სმ;

სუბალპური და ალპური ზონის უმეტესი ტიპის ნაირბალახოვან-მარცვლოვანი საძოვრებისათვის 3-6 სმ;

მთის შუა და სუბალპური ზონის ფართოფოთლოვანი დაჯგუფებების და მაღალ-ბალახეულობისათვის 6-7 სმ; ნათესი მრავალწლოვანი ბალახებისათვის 6-7 სმ, სარგებლობის ბოლო ორ წელს კი 2-3 სმ; ბალახნარში იონჯას საკმაო რაოდენობით მონაწილეობისას გამოვების სიმაღლე არ უნდა იყოს 8-10 სმ-ზე დაბალი.

სეზონის მანძილზე საძოვრის გამოყენების ოპტიმალური ჯერადობა პირველ და მეორე გამოვებას შორის 20-25 დღეს, მეორე და მესამე გამოვებას შორის 35-40 დღეს შეადგენს. ნათესი სარწყავი საძოვრის ბალახნარის გამოვებას შორის დასვენების პერიოდი მნიშვნელოვნად მცირეა და ციკლების მიხედვით 14-25 დღეს არ აღემატება.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ნათესი კულტურული საძოვარი შესაძლებელია გაიძოვოს 5-8-ჯერ, ტყისა და ტყე-ველის ბუნებრივი საძოვრები 2-4-ჯერ, მთის შუა ზონაში 3-4-ჯერ, სუბალპებში – 2-3-ჯერ, ალპებში 1-2-ჯერ.

აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრად უდაბნოს და მშრალი ველის ზამთრის საძოვრებზე ზამთრის საკვების ძირითადი მარაგის, უმთავრესად ნახევრადბუჩქების (ავშანი, ხურხუმო, ჩარანი, წითელწვერა და სხვ.) ერთწლიანი ყლორტების, უროს, ვაციწვერას და ზოგიერთი სხვა ბალახის ხმელი მასის გამოყენება ჩვეულებრივ ერთხელ ხდება, ხოლო ეფემერეტუმი, რომლის განვითარება ნალექების მოსვლასთან არის დაკავშირებული, ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით გაიძოვება ხოლმე.

ველისა და მთის ქვედა ზონის ბუნებრივი საკვები სავარგულები, ძირითადად ვაციწვერიანი, უროიანი და ველის წივანიანი სხვადასხვა დაჯგუფებები, ზაფხულის მანძილზე, წლის კლიმატური პირობებისაგან გამომდინარე საძოვრად გამოიყენება 1-3-ჯერ.

საძოვრის დატვირთვის დასადგენად შესაძლებელია ვისარგებლოთ შემდეგი საორიენტაციო მონაცემებით:

ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს საძოვრული სეზონის განმავლობაში (საშუალო 150-180 დღე) ესაჭიროება ნათესი ან გაკულტურებულ ბუნებრივ ურწყავ საძოვარზე, დასავლეთ საქართველოში დაბლობ ზონაში 0,2-0,3, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავ კულტურულ საძოვარზე 0,25-0,35 ჰა, მთის შუა ზონის ურწყავ პირობებში 0,5-0,7 ჰა, სუბალპურ საძოვრებზე 0,5-0,6 ჰა, ალპებში 0,9-1,3 ჰა, ნახევრად უდაბნოს ზამთრის საძოვრებზე მცენარეულობის ტიპის მიხედვით 2,0-4,0 ჰა, ვაციწვერიან-ველის წივანიან საძოვრებზე 1,0-1,5 ჰა და ა.შ.

სამეცნიერო დაწესებულების მიერ რეკომენდირებულია (საორიენტაციო) ტყე-ველის ზონაში გამოიყოს ერთი სული ზრდასრული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის 0,4-0,5 ჰა ურწყავი საძოვარი, მოზარდისათვის – 0,2, ცხვრისათვის – 0,07-0,08, ცხენისათვის – 0,25-0,3 ჰა.

ნორმალური ზრდა-განვითარების ერთ ფურს, პროდუქტიულობისაგან დამოკიდებით დღე-ღამეში საშუალოდ ესაჭიროება 40-75 კგ მწვანე საკვები, 1 წელზე უხნეს დეკეულს ან მოზვერს 30-40 კგ, ერთ წლამდე ასაკისას – 15-25 კგ, ცხვარს 6-7 კგ, ბატყანს 2-3 კგ მწვანე მასა საშუალოდ 72-78% საერთო წყლის შემცველობით.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრებზე ნახევრად უდაბნოსა და მშრალი ველის გვალვიან პირობებში, საკვების სიმშრალის გამო, ცხვარს გაცილებით ნაკლები (2,5-5,0 კგ) სამოვრული ბალახი ესაჭიროება.

კულტურული სამოვრებიდან წლების განმავლობაში მყარი და მაღალი მოსავლის მისაღებად აუცილებელია მოვლის ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა სასუქების შეტანა, გაუმოვარი ბალახების წათიბვა, ნაკელის მოსწორება, სარეველების, მღრნელებისა და ჰელმინთების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

გაუმოვარი ბალახების წათიბვა უნდა მოხდეს ზაფხულის განმავლობაში 1-2-ჯერ, არა უმეტეს 7-10 სმ სიმაღლეზე, ჩვეულებრივი სათიბი მანქანით. ნაკელის მოსწორება ხდება მე-2 ან მე-3 გამოვების შემდეგ და სეზონის ბოლოს ფარცხით. მეტად მნიშვნელოვანია კოლბოხების დაშლა, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს ასევე ფარცხის გამოყენებით, ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით.

სათიბ-სამოვრების არსებული მდგომარეობა აჭარაში. წვნიან საკვებთა ჯგუფიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამოვარს, რომლის სწორი გამოყენება მყარი საკვები ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამოვარი არის ბუნებრივი და ხელოვნური. აჭარაში უფრო მეტად გამოყენებული არის ბუნებრივი სამოვარი, რომელთა ფართობი 37759 ჰექტარია. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს აქვთ 27386 ჰა სამოვარი, რაც მოიცავს მაღალმთიან/ზაფხულის სამოვრებს. ქედას, ხელვაჩაურსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ 10373 ჰა დაბალი ზონის საზაფხულო სამოვრები.

პირუტყვის 81% ხულოდან და 71% შუახევიდან გადადის თავიანთი მუნიციპალიტეტების ზაფხულის სამოვრებზე (ბეშუმში, ალმე, დიდაჭარა, თეთრობი, ზორტიყელი, სარიჩაირი, ჩირუხი, საბერწია, სანალია, ღომა, მერიაკელი, კარტიანი, ნაცარა), პირუტყვის 50% ქედის მუნიციპალიტეტიდან გადადის შუახევის და ხულოსზაფხულის სამოვრებზე (კესავრი, სარიჩაირი), ხელვაჩაურიდან 20 % გადადის ბეშუმში და ადიგენში. ქობულეთის პირუტყვის 8 % გადაინაცვლებს ბახმაროში.

სამოვრები არ არის რეგისტრირებული და არ არსებობს სამოვრების მართვის სისტემა. სამოვრების მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მორიგეობით მოვებას. ნაკვეთმორიგეობით მოვება სადა მოვების ტექნიკის დაცვის დროს თითოეულ ჰექტარს გაცილებით მეტი პირუტყვის გამოკვება შეუძლია, ვიდრე თავისუფალი მიშვებით მოვებას. მიშვებითი მოვების სამოვარი უყაირათოდ გამოიყენება, ბალახის საკმაოდ დიდი ნაწილი ფეხქვეშ ითელება და სამოვრის სრულად, თანმიმდევრულად გამოყენება შეუძლებელია.

სამოვრეობის მორიგეობით გამოყენება 30-35%-მდე ადიდებს მწვანე მასის მოსავალს, 25%-მდე წველადობას და 20-25 %-მდე ცხოველთა განსამოვრის და ტვირთვის ნორმას.

სამოვრებისა და სათიბების მოსავლიანობის გაზრდაში უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს ადგილობრივი და მინერალური სასუქების გამოყენება, სადაც შესაძლებელია სამოვრების გადახვნა, ბელტების დაშლა- დამუშავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი მდელო-სამოვრული ბალახის თესვა, საჭიროებისამებრ მორწყვა და სხვა, რაც არ ხდება ნაწილობრივ იმის გამო, რომ არის დაბალი ცნობიერება და უნდობლობა სამოვრებიდან ეკონომიკური სარგებლის შესახებ.

დასკვნა

აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მევენახეობისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარების პერსპექტივების შესწავლამ აჩვენა, რომ დარგების შემდგომი აღმავლობა პირდაპირკავშირშია სამეცნიერო-პრაქტიკული მიდგომებისა და თანამედროვე

ტექნოლოგიების დანერგვასთან. 2025 წლის სამუშაო ანგარიშებისა და კვლევითი თემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების ჩამოყალიბება:

- **მევენახეობის პოტენციალი:** ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის სადემონსტრაციო მეურნეობაში ჩატარებულმა დაკვირვებებმა გამოავლინა ვაზის ჯიშების (სასუფრე და საღვინე) მაღალი ადაპტაციური უნარი. ფენოლოგიურმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჯიშები განსხვავებულად რეაგირებენ კლიმატურ პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მოსავლის აღების კონვეიერის ოპტიმიზაცია — ივლისის ბოლოდან (ჯიშები: „კარდინალი“, „პრიმა“) ნოემბრის ბოლომდე („ჩხავერი“, „ოჯალეში“). განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცოლიკაურის“, „იტალიისა“ და „კარდინალის“ მაღალი მოსავლიანობა (8.0-10.7 ტ/ჰა).

- **საკვები ბაზის მოდერნიზაცია:** ზემო აჭარის მაღალმთიანეთში სათიბ-საძოვრების მდგომარეობა კრიტიკულია ეროზიული პროცესებისა და არარაციონალური ექსპლოატაციის გამო. კვლევამ დაადასტურა, რომ პროდუქტიულობის ასამაღლებლად (რომელიც ამჟამად დაბალია — 1,0-1,5 ტ/ჰა) აუცილებელია წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და სარწყავი სისტემების მოწყობა.

- **გაუმჯობესების სტრატეგიები:** გამოიკვეთა ბუნებრივი სავარგულების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების აუცილებლობა. კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები (ქვების მოცილება, ბუჩქნარის გაკაფვა, კოლბოხების მოსპობა) და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების შემოღება 30-35%-ით ზრდის მწვანე მასის მოსავალს, რაც მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გარანტიაა.

- **სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება:** წარმოდგენილი კვლევები მნიშვნელოვანი ბაზისია ფერმერებისთვის, აგრარული დარგის სტუდენტებისა და სელექციონერებისათვის. აჭარის სპეციფიკური ნიადაგურ-კლიმატური პირობებისათვის მედეგი ჯიშების შერჩევა და სარწყავი სისტემების ტექნიკური დამუშავება რეგიონის ეკონომიკური მდგრადობის წინაპირობაა.

მიზანშეწონილია კვლევების გაგრძელება დინამიკაში, რათა შემუშავდეს სრულყოფილი რეკომენდაციები აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლამპარაძე შ., ბერიძე ნ. (2025). *მემცენარეობის მიმართულების ჩატარებული სამუშაოების წლიური ანგარიში: ვაზის ჯიშების მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა*. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი, გვარა-ხუცუბანი.
2. ბერიძე ლ. (2022). *საქართველოს სუბტროპიკული ზონის მეხილეობა და მევენახეობა*. თბილისი: აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. გელაშვილი ნ. (2021). *მაღალმთიანი რეგიონების საკვები ბაზის განვითარების სტრატეგიები*. ბათუმი: გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
4. კვანტალიანი ა. და სხვ. (2019). *სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების აგროტექნიკური მეთოდები*. თბილისი: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.
5. ჩხეიძე რ. (2023). *საქართველოს ამპელოგრაფია: ადგილობრივი და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების კატალოგი*. თბილისი.
6. Smith J. G. (2020). *Sustainable Pasture Management in Mountainous Regions*. Academic Press.
7. **FAO Reports.** (2024). *Irrigation Systems and Water Management in Small-scale Farming*. [Online Resource].

მექანიზაციის მიმართულება

შემსრულებლები: **ჯემალ კაციტაძე** საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
რომან მარგალიტაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი

თემა „ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის დამუშავება, თეორიული კვლევა და რეკომენდაციები“

თემის აქტუალობა: ცნობილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს ჩვეულებრივი სახნისიანი გუთნით წარმოიქმნება დამუშავებული ნიადაგის ძირის მკვრივი ფენა, რომელიც ვერ ატარებს წყალს და იწვევს წყლიანი ეროზიის განვითარებას, რის გამოც საგრძნობლად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ნიადაგის გაფხვიერების ხარისხი.


ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავება ჩიზელური გამაფხვიერებლის გამოყენებით მთლიანად ან მნიშვნელოვნად გამორიცხავს ფერდობებზე დამუშავებელი ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს, რაც ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას და მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებიდან, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ელემენტების გათვალისწინებით, ყველაზე პერსპექტიული რესურსდამზოგი ტექნოლოგიაა; რესურსდამზოგი ტექნოლოგია ნიშნავს ერთი მანქანის მიერ ერთი გავლით რამოდენიმე ოპერაციის შესრულებას, რითაც უმჯობესდება თვით ტექნოლოგიური პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეკონომია უკეთდება სხვა ფაქტორებთან ერთად საწვავს, ამ ყველაზე უფრო ძვირფას პროდუქტს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესრულების დროს.

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ითვალისწინებს მსოფლიო დღევანდელ მოთხოვნებს და ამზადებს ისეთ მანქანებს, სადაც სხვადასხვა ტიპის სამუშაო ორგანოებია დამონტაჟებული, რომელთა საშუალებითაც რამოდენიმე ტექნოლოგიური ოპერაცია სრულდება. ამ ტიპის რესურსდამზოგი ტექნოლოგიურ ოპერაციებს მიეკუთვნებიან ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავება, სადაც ერთი მანქანის მიერ სრულდება ნიადაგის თესვისწინა დამუშავების ყველა ოპერაცია და რიგ შემთხვევებში – თესვაც. სამუშაო ორგანოების ტიპებიდან ამ სახის მანქანებში გამოირჩევიან პასიური და აქტიური სამუშაო ორგანოების შეთანაწყობა ან კომბინირებული სამუშაო ორგანოები, როგორცაა ღრმად გამაფხვიერებელი თათები, დისკოებიანი სამუშაო ორგანოები ან ფრეზები (ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ღერძიანი), ფარცხები, სატკეპნები და ა.შ. აღნიშნული სამუშაო ორგანოების შეთანაწყობილი მუშაობის დროს ნიადაგის დამუშავების ხარისხი და ამ პროცესზე დახარჯული ენერჯის განსაზღვრა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სამუშაო ორგანოების პარამეტრების გაანგარიშების დროს.

ვ.პ. გორიაჩინი აღნიშნავდა, რომ “სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მათი განსაკუთრებული სხვადასხვა ზომები და პარამეტრები, იარაღის ფორმა, რომლებიც გამოიყენებიან ნიადაგის დასამუშავებლად დაიყვანება უბრალო სოლის მუშაობის პრინციპზე”.

ნიადაგის დამუშავება – ეს არის ნიადაგის რღვევის პროცესი, რომელსაც შემდგომში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული მცენარეების ზრდა-განვითარებაში. რღვევისათვის ყველაზე მისაღები იარაღია სოლი – ბრტყელი ან მრუდწირული. ამიტომ რღვევის პროცესის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია სოლის მუშაობის შესწავლაც.



ნახ. 1. მარტივი სოლით ნიადაგის რღვევის პროცესის საწყისი ფაზა

ფაზის დასაწყისში სოლი იღებს cbd მონაკვეთს და წარმოქმნის თავის d წვეროსთან ნიადაგში ბზარს df დახრის კუთხით, სადაც:

$$\mu = \frac{\pi}{3} - \frac{\alpha + \varphi + \varphi^1}{3}$$


სადაც: α არის სოლის დახრის კუთხე; φ - ნიადაგის გარე ხახუნის კუთხე ($\varphi = 40-50^\circ$); φ^1 - შიგა ხახუნის კუთხე ($\varphi^1 = 40-45^\circ$).

სოლის შემდგომი გადაადგილების დროს მომდევნო ფაზაში ბზარის სიგანე იზრდება და ნიადაგის გარკვეული ულუფა გადაადგილდება სოლის ზედაპირზე, წარმოიქმნება ნიადაგის დამოუკიდებელი მონაჭერი $abdf$, რომლის ზომები დამოკიდებულია ψ შიგა ხახუნის კუთხის სიდიდეზე, დამუშავების სიღრმეზე, სოლის მჭრელი პირის სიგანეზე და სოლის გადაადგილების სიჩქარეზე.

ნიადაგის რღვევის მექანიზმის განხილვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პროცესი სრულდება პასიური ან აქტიური სამუშაო ორგანოებით. ზემოთ აღნიშნული რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განხორციელებისას გამოყენებული კომბინირებული მანქანები აღჭურვილია როგორც პასიური, ასევე აქტიური სამუშაო ორგანოებით, რათა მანქანამ შეასრულოს თესლის ჩასათესად აგროტექნიკით გათვალისწინებული ყველა ოპერაცია.

განვიხილოთ კომბინირებული მანქანის მუშაობის პროცესი და მასში გაერთიანებული სამუშაო ორგანოების მიერ შესრულებული ტექნოლოგიური ოპერაციები ცალ-ცალკე და დავადგინოთ მანქანის ჩარჩოზე სამუშაო ორგანოების რაციონალური განლაგება.

ნიადაგის რღვევის მექანიზმი პასიური (გამაფხვირებელი) სამუშაო ორგანოების მიერ მოცემულია ნახ. 2



ნახ. 2. ნიადაგის რღვევის მექანიზმი პასიური სამუშაო ორგანოების მიერ

პასიური სამუშაო ორგანოების მიერ ნიადაგის რღვევის მექანიზმი (ჩვენს შემთხვევაში ღრმად გამაფხვირებელი თათის მიერ, რომელიც შედგება დგარასა და საბრუნნი გამაფხვირებელი

თათისგან) შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: სოლი ცვალებადი P ძალით გადაადგილდება წინ ნიადაგში (დამუშავების a სიღრმით) დასაწყისში ეს დაწნევა ნულის ტოლია, ხოლო შემდეგ იგი თანდათან მატულობს. გამაფხვირებელი თათის ნიადაგში გარკვეული a სიღრმით ჩაღრმავების და წინ გადაადგილების დროს ხდება ნიადაგის ახლეჩვა კუთხით ψ . ახლეჩვის შემდეგ ეს ელემენტი იწყებს სრიალს ახლეჩვის და სოლის სამუშაო ზედაპირებზე. შემდეგ ეს პროცესი მეორდება და წარმოიქმნება ერთმანეთის მიმართ დამრული გორბები. კომბინირებულ მანქანებში ეს გორბები განიცდიან დამატებით დამუშავებას სხვადასხვა სამუშაო ორგანოებით, რათა მიღებული იქნეს აგროტექნიკით დასაშვები ნიადაგის დამუშავების ხარისხი. ტრადიციული ტექნოლოგიის დროს თითოეული ეს ოპერაცია სრულდება ცალკე, ხოლო რესურსდამზოგი ტექნოლოგიის დროს კი – ერთდროულად].

გამაფხვირებელი თათების მიერ ნიადაგის ჭრის პროცესი განვიხილოთ, როგორც ბრტყელი სოლის ნიადაგზე მოქმედება, რომლის ჭრის კუთხეა α და უკანა კუთხე γ , რაც გამორიცხავს თათის უკანა წიბოს ნიადაგთან ხახუნს [64]. ნიადაგის ჭრის დროს ბრტყელ სოლზე მოქმედებს შემდეგი ძალები: ნორმალური ძალების მდგენელი N და ხახუნის ძალა $F = tg\phi N$

PZ ძალის x და z ღერძებზე დაგეგმარების შედეგად მივიღებთ ნიადაგის ჭრის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ძალებს:

$$P_x = P_\epsilon \sin(\alpha + \phi) = \frac{N}{\csc \phi} \sin(\alpha + \phi)$$

$$P_\epsilon = P_\epsilon = \frac{N}{\csc \phi} \sin(\alpha + \phi) = \frac{N}{\csc \phi} \csc(\alpha + \phi)$$

ძალა P_x არის ნიადაგის ჭრისათვის საჭირო წევის ძალა და $P_x = T$; მას ხშირად ჭრის ძალას უწოდებენ. ვერტიკალური PZ ძალა დამოკიდებულია ჭრის კუთხეზე α , ხახუნის კუთხეზე ϕ და გამაფხვირებელი თათის მჭრელი პირის დაბლაგვების სიდიდეზე. ამ ორი P_x და PZ ძალების ფარდობა $\frac{P_z}{P_x} = \cot(\alpha + \phi)$. გვიჩვენებს ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, $\frac{P_z}{P_x} = f(\alpha + \phi)$ კი ვერტიკალურ დამოკიდებულებას. ხოლო თუ $\alpha < 90 - \phi$, მაშინ ვერტიკალური მდგენელი P_x მიმართულია ქვევით და ხდება გამაფხვირებელი თათის დაღრმავება, ხოლო თუ $\alpha > 90 - \phi$, მაშინ P_x მიმართულია ზევით და ხდება თათის ამოღრმავება.

ნიადაგის რღვევის მექანიზმის (ნახ. 3.6.) განხილვის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამაფხვირებელი თათების წინ ნიადაგის დაგროვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაცული იქნეს პირობა:

$$R_{max} = \sigma_B S$$

სადაც: σ_B – არის კუმშვის დროს ნიადაგის დროებითი წინააღმდეგობის სიდიდე, ნ; S – ნიადაგის ბელტის განივი კვეთის ფართობი, მ².

ნიადაგის დაგროვება თათის წინ არ მოხდება, თუ დაცული იქნება პირობა:

$$\sigma \geq \frac{R_{max}}{S}$$

არადეფორმირებული ნიადაგის რეაქცია R_{max} განისაზღვრება ტოლობით:

$$\Sigma_X = -R_{max} \sin(\Psi + \rho) - N \sin(90^\circ - \Psi) + T \sin(\beta + \phi) = 0$$

$$\Sigma_Z = -R_{max} \cos(\Psi + \rho) - N \cos(90^\circ - \Psi) - G + T \cos(\beta + \phi) = 0$$

ტოლობიდან მოვნახოთ T:

$$T = \frac{R_{max} \sin(\Psi + \rho) + \tan \phi N \cos \Psi}{\cos(\Psi + \rho) + \sin(\Psi + \alpha)}$$

მიღებული ტოლობიდან მივიღებთ:

$$R_{max} = \frac{\tan \varphi N [\sin \Psi - \cos \Psi \cot(\beta + \Psi)] + G}{\cos(\Psi + \rho) + \sin(\Psi + \rho) \cot(\beta + \varphi)}$$

მოძრაობის რაოდენობის ცვლილების თეორემის [49] საშუალებით განვსაზღვროთ $F = \tan \phi N$ და G სიდიდეები:

$$F \cdot dt = dm(V - V_0)$$

$V_0 = 0$; მაშინ $F \cdot dt = dmV$ ან

$$F = \frac{dm}{dt} V_{agr} \csc \Psi$$

სადაც: $\frac{dm}{dt}$ არის ნიადაგის მასა, რომელსაც ამუშავებს გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოები დროის ერთეულში.

გამოვსახოთ ბელტის (გოროხის) მასა მისი მოცულობით, მაშინ:

$V_{agr} = const$:

$$\frac{dm}{dt} = YSV$$

სადაც γ - არის ნიადაგის მოცულობითი წონა, ნ;

მაშინ ნიადაგის ხახუნის ძალა იანგარიშება ტოლობით:

$$F = \gamma \cdot S \cdot V_{agr}^2 \cdot \cos \Psi \quad (3.13)$$

ბელტის (გოროხის) სიმძიმის ძალა:

$$G = mg = S \cdot l \cdot \gamma \cdot g \quad (3.14)$$

სადაც l - არის სოლის სიგრძე, მ.

ჩავსვათ (3.13) და (3.14) ფორმულები (3.9) ტოლობაში, შემდეგ მიღებული მნიშვნელობები (3.5) ფორმულაში და ზოგიერთი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ:

$$\sigma \leq \frac{V_{agr}^2 Y \cos \varphi \cos \varphi - \cot(\beta + \alpha) + \tan \gamma}{\cos(\varphi + \rho) + \sin(\varphi + \rho) \cot(\beta + \varphi)}$$

სადაც: β არის ნიადაგის გაფხვიერების კუთხე;

Ψ ძვრის კუთხეა და იგი განისაზღვრება ფორმულით:

$$\Psi = 90^\circ - \frac{\beta + \varphi + \rho}{2}$$

ფორმულა მიღებულია მორის სიმტკიცის თეორიიდან გამომდინარე, რომლის მიხედვით ბელტის დაშლა მიმდინარეობს სიბრტყეში, სადაც ნორმალური და მხები ძალების შედეგად იქმნება ძაბვა, რომელიც სუფთა ძვრის ტოლია, ე.ი. ყოველთვის ძვრის კუთხე ისეთი სიდიდეა, როდესაც ჭრის ძალა იქნება მინიმალური.


(3.16) ტოლობა შევიტანოთ (3.15) უტოლობაში, მოვახდინოთ რამოდენიმე გარდაქმნა, მივიღებთ:

$$\sigma \geq \frac{V^2 \gamma \left[\frac{\sin \beta + \varphi + \rho}{2} - \sin\left(\frac{\beta + \varphi + \rho}{2}\right) \cot(\beta + \varphi) + \tan \gamma \right]}{\sin\left(\frac{\beta + \varphi + 3\rho}{2}\right) + \cos\left(\frac{\beta + \varphi + 3\rho}{2}\right) \cot(\beta + \varphi)}$$

უტოლობა (3.17) განსაზღვრავს პირობებს, რომლის დროსაც არ ხდება ნიადაგის დაგროვება სამუშაო ორგანოების წინ. გამოსახულების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამუშაო ორგანოს წინ ნიადაგის დაგროვების ალბათობა იზრდება გამაფხვიერებელი თათის მჭრელი პირის სიგრძის, ნიადაგის სიმკვრივის, აგრეგატის გადაადგილების სიჩქარის გაზრდის დროს; დამოკიდებულია ნიადაგის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებზე და გაფხვიერების კუთხეზე, მაგრამ არ არის დამოკიდებული გოროხის (ბელტის) ანუ თხემიანობის განივ კვეთზე [48, 49].

მიღებული (3.17) ფორმულის დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს გაფხვიერების β კუთხე და სატეხის სიგრძე l , რომელთა დროს გაფხვიერების პროცესი ნაკლებად შრომატევადია, ე.ი. როდესაც არ ხდება ნიადაგის დაგროვება გამაფხვიერებელი თათის წინ, მაგრამ არ არის შესაძლებელი გამაფხვიერებელი თათების კონსტრუქციული პარამეტრების გაანგარიშება.

ღრმად გამაფხვიერებლის სამუშაო ორგანოები აფხვიერებენ ნიადაგს გამაფხვიერებელი თათის მიერ შექმნილ ჭრილში, რომელიც იზრდება გასაფხვიერებელი ნიადაგის გაკორდებული ნაწილისაკენ. კუთხე სახასიათებს ნიადაგის დეფორმაციის ხარისხს გამაფხვიერებლის ორივე მხარეს ნიადაგის განივ ჭრილში (ნახ. 3.).



ნახ. 3.. კომბინირებული მანქანის გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოების პარამეტრების განსაზღვრის სქემა

ნიადაგის ღრმად დამუშავების მანქანების დამახასიათებელი თვისებებია მოდების განის მიმართულებით ნიადაგის დამუშავებისას ფსკერიდან დაუშლელი თხემების წარმოქმნა, რომელთა ზევით ფენები არის გაფხვიერებული. თხემების სიდიდეები დამოკიდებულია სამუშაო ორგანოების მოდების განზე და გამაფხვიერებელ თათებს შორის მანძილზე განივი მიმართულებით.

აგროტექნიკურ მოთხოვნებში არ არის მითითებული ნიადაგის გაფხვიერების დროს თუ რამდენი დაუმუშავებელი ფართია დასაშვები. ხშირად მოთხოვნებში გაფხვიერების დროს აღნიშნულია ნიადაგის თხემიანობის სიდიდე, მაგრამ არ მიუთითებენ დაუმუშავებელ და დასამუშავებელ ფართების სიდიდეებს, ვინაიდან იგულისხმება დამუშავების სიღრმეში ნიადაგის შიგა დეფორმაციები. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ღრმად გაფხვიერების დროს დამუშავებული ფართი არ უნდა იყოს ნაკლები 60%-ისა. ამიტომ ღრმად გამაფხვიერებლის

სამუშაო ორგანოებს შორის მანძილის B1 განსაზღვრისათვის (ნახ. 3.7.) შეფასების კრიტერიუმად მიზანშეწონილია მიღებული იქნეს ნიადაგის გაფხვიერების ხარისხი Θ , რომელიც ტოლი იქნება:


$$\theta = \frac{F}{F_{\Sigma}} \cdot 100\% \geq 60\% \quad (3.18)$$

სადაც: F _ არის გოროხის გაფხვიერებული ნაწილის ფართი განივ ჭრილში, მ²;
 F_{Σ} _ გოროხის განივი ჭრილის საერთო ფართი, მ².

ბელტის გაფხვიერებული ნაწილის ფართი განივ ჭრილში იანგარიშება ფორმულით:


$$F = F_{\Sigma} - F_1 \quad (3.19)$$

სადაც: F_1 _ არის დაუმუშავებელი (დაურღვეველი) თხემების განივი ჭრილის ფართობი, რომელთა სიმაღლეა $h+h_0$ და სიგანე b_1 , მ²;



ნახ. 3.2. კომბინირებული მანქანის სამუშაო ორგანოების ჩარჩოზე განლაგების სქემა:
 1-ღრმად გამაფხვიერებელი თათი; 2-დისკოებიანი ფარცხის ბატარეა;
 3-კბილებიანი ფარცხის სექცია; 4-მიმტკეპნი საგორავი.

ნიადაგის რღვევის მექანიზმი პასიური (გამაფხვიერებელი) სამუშაო ორგანოების მიერ მოცემულია ნახ. 3.3.-ზე.




ნახ. 3.3. ნიადაგის რღვევის მექანიზმი პასიური სამუშაო ორგანოების მიერ

პასიური სამუშაო ორგანოების მიერ ნიადაგის რღვევის მექანიზმი (ჩვენს შემთხვევაში ღრმად გამაფხვიერებელი თათის მიერ, რომელიც შედგება დგარასა და საბრუნო გამაფხვიერებელი თათისგან) შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: სოლი ცვალებადი P ძალით გადაადგილდება წინ ნიადაგში (დამუშავების a სიღრმით). დასაწყისში ეს დაწნევა ნულის ტოლია, ხოლო შემდეგ იგი თანდათან მატულობს. გამაფხვიერებელი თათის ნიადაგში გარკვეული a სიღრმით ჩაღრმავების და წინ გადაადგილების დროს ხდება ნიადაგის ახლეჩვა კუთხით ψ . ახლეჩვის შემდეგ ეს ელემენტი იწყებს სრიალს ახლეჩვის და სოლის სამუშაო ზედაპირებზე. შემდეგ ეს პროცესი მეორდება და წარმოიქმნება ერთმანეთის მიმართ დაძრული გოროხები. კომბინირებულ მანქანებში ეს გოროხები განიცდიან დამატებით დამუშავებას სხვადასხვა სამუშაო ორგანოებით, რათა მიღებული იქნეს აგროტექნიკით დასაშვები ნიადაგის დამუშავების ხარისხი. ტრადიციული ტექნოლოგიის დროს თითოეული ეს ოპერაცია სრულდება ცალკე, ხოლო რესურსდამზოგი ტექნოლოგიის დროს კი _ ერთდროულად.

გამაფხვიერებელი თათების მიერ ნიადაგის ჭრის პროცესი განვიხილოთ, როგორც ბრტყელი სოლის ნიადაგზე მოქმედება, რომლის ჭრის კუთხეა α და უკანა კუთხე φ , რაც გამორიცხავს თათის უკანა წიბოს ნიადაგთან ხახუნს [64]. ნიადაგის ჭრის დროს ბრტყელ სოლზე მოქმედებს შემდეგი ძალები: ნორმალური ძალების მდგენელი N და ხახუნის ძალა

$$F = \operatorname{tg}\phi N \text{ (ნახ. 4.)}$$



ნახ. 3.2. კომბინირებული მანქანის სამუშაო ორგანოების ჩარჩოზე განლაგების სქემა: 1-დრმად გამაფხვიერებელი თათი; 2-დისკოებიანი ფარცხის ბატარეა; 3-კბილებიანი ფარცხის სექცია; 4-მიმტკეპნი საგორავი.

ძალები N და F შეიძლება დაყვანილი იქნენ ერთ ჯამურ ძალაზე $P_{\Sigma} = \frac{N}{\cos\phi}$, რომელიც გადახრილია სოლის სამუშაო ზედაპირზე მოქმედი ნორმალური ძალიდან ϕ ხახუნის კუთხით

$$P_X = P_{\Sigma} \sin(\alpha + \phi) = \frac{N}{\cos\phi} \sin(\alpha + \phi) \quad (3.2)$$

$$P_Z = P_{\Sigma} \cos(\alpha + \phi) = \frac{N}{\cos\phi} \cos(\alpha + \phi) \quad (3.3)$$

ძალა P_X არის ნიადაგის ჭრისათვის საჭირო წევის ძალა და $P_X = T$; მას ხშირად ჭრის ძალას უწოდებენ. ვერტიკალური P_Z ძალა დამოკიდებულია ჭრის კუთხეზე α , ხახუნის კუთხეზე ϕ და გამაფხვიერებელი თათის მჭრელი პირის დაბლაგვების სიდიდეზე. ამ ორი P_X და P_Z ძალების

ფარდობა $\frac{P_Z}{P_X} = \cot(\alpha + \phi)$ გვიჩვენებს ჭრის კუთხესთან მის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას

ე.ი $\frac{P_Z}{P_X} = f(\alpha)$ თუ $\alpha < 90 - \phi$ მაშინ ვერტიკალური მდგენელი P_X მიმართულია ქვევით და ხდება გამაფხვიერებელი თათის დაღრმავება, ხოლო თუ $\alpha > 90 - \phi$, მაშინ P_X მიმართულია ზევით და ხდება თათის ამოღრმავება.

ნიადაგის რღვევის მექანიზმის (ნახ. 3.6.) განხილვის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამაფხვიერებელი თათების წინ ნიადაგის დაგროვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაცული იქნეს პირობა:

$$R_{max} = \sigma_B S$$

სადაც: σ_B - არის კუმშვის დროს ნიადაგის დროებითი წინააღმდეგობის სიდიდე, ნ;
 S - ნიადაგის ბელტის განივი კვეთის ფართობი, მ².

ნიადაგის დაგროვება თათის წინ არ მოხდება, თუ დაცული იქნება პირობა:

$$\sigma_B \geq \frac{R_{max}}{S}$$

არადეფორმირებული ნიადაგის რეაქცია R_{max} განისაზღვრება ტოლობით:

$$\Sigma_X = -R_{max} \sin(\Psi + \rho) - N \sin(90^\circ - \Psi) + T \sin(\beta + \phi) = 0$$

$$\Sigma_Z = -R_{max} \cos(\Psi + \rho) - N \cos(90^\circ - \Psi) - G + T \cos(\beta + \phi) = 0$$

(3.6) ტოლობიდან მოვწახოთ

$$R_{max} = \frac{\tan \phi N [\sin \Psi - \cos \Psi \cot(\beta + \Psi)] + G}{\cos(\Psi + \rho) + \sin(\Psi + \rho) \cot(\beta + \phi)}$$

მიღებული (3.8) ტოლობა ჩავსვათ (3.7) ტოლობაში, მივიღებთ:

მოძრაობის რაოდენობის ცვლილების თეორემის [49] საშუალებით განვსაზღვროთ $F = tg\phi N$ და G სიდიდეები: $F dt = dm(V - V_0)$ $V_0 = 0$ მაშინ $F dt = dmV$ ან $F = \frac{dm}{dt} V_{agr} \cos \Psi$

სადაც: $\frac{dm}{dt}$ - არის ნიადაგის მასა, რომელსაც ამუშავებს გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოები დროის ერთეულში.

გამოვსახოთ ბელტის (გოროხის) მასა მისი მოცულობით, მაშინ:

$$V_{agr} = const :$$

$$\frac{dm}{dt} = YSV$$

სადაც γ - არის ნიადაგის მოცულობითი წონა, ნ;

მაშინ ნიადაგის ხახუნის ძალა იანგარიშება ტოლობით:

$$F = \gamma \cdot S \cdot V_{agr}^2 \cdot \cos \Psi \quad (3.13)$$

ბელტის (გოროხის) სიმძიმის ძალა:

$$G = mg = S \cdot l \cdot \gamma \cdot g \quad (3.14)$$

სადაც l - არის სოლის სიგრძე, მ.

ჩავსვათ (3.13) და (3.14) ფორმულები (3.9) ტოლობაში, შემდეგ მიღებული მნიშვნელობები (3.5) ფორმულაში და ზოგიერთი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ:

$$\sigma \geq \frac{V_{agr}^2 \gamma \cos \Psi [\sin \Psi - \cos \Psi \cot(\beta + \phi)] + lgY}{\cos(\Psi + \rho) + \sin(\Psi + \rho) \cot(\beta + \phi)}$$

სადაც: β არის ნიადაგის გაფხვიერების კუთხე;

Ψ - ძვრის კუთხეა და იგი განისაზღვრება ფორმულით :

$$\Psi = \frac{90^\circ - \beta + f + \rho}{2}$$

(3.16) ფორმულა მიღებულია მორის სიმტკიცის თეორიიდან გამომდინარე [50, 53], რომლის მიხედვით ბელტის დაშლა მიმდინარეობს სიბრტყეში, სადაც ნორმალური და მხები ძალების შედეგად იქმნება ძაბვა, რომელიც სუფთა ძვრის ტოლია, ე.ი. ყოველთვის ძვრის კუთხე ისეთი სიდიდეა, როდესაც ჭრის ძალა იქნება მინიმალური.


(3.16) ტოლობა შევიტანოთ (3.15) უტოლობაში, მოვახდინოთ რამოდენიმე გარდაქმნა, მივიღებთ:

$$\sigma \leq \frac{V_{agr}^2 Y \cos \varphi \cos \varphi - \cot(\beta + \alpha) + \tan \gamma}{\cos(\varphi + \rho) + \sin(\varphi + \rho) \cot(\beta + \varphi)}$$

უტოლობა (3.17) განსაზღვრავს პირობებს, რომლის დროსაც არ ხდება ნიადაგის დაგროვება სამუშაო ორგანოების წინ. გამოსახულების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამუშაო ორგანოს წინ ნიადაგის დაგროვების ალბათობა იზრდება გამაფხვიერებელი თათის მჭრელი პირის სიგრძის, ნიადაგის სიმკვრივის, აგრეგატის გადაადგილების სიჩქარის გაზრდის დროს; დამოკიდებულია ნიადაგის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებზე და გაფხვიერების კუთხეზე, მაგრამ არ არის დამოკიდებული გორიხის (ბელტის) ანუ თხემიანობის განივ კვეთზე [48, 49].

მიღებული (3.17) ფორმულის დახმარებით შესაძლებელია განისაზღვროს გაფხვიერების β კუთხე და სატეხის სიგრძე l , რომელთა დროს გაფხვიერების პროცესი ნაკლებად შრომატევადია, ე.ი. როდესაც არ ხდება ნიადაგის დაგროვება გამაფხვიერებელი თათის წინ, მაგრამ არ არის შესაძლებელი გამაფხვიერებელი თათების კონსტრუქციული პარამეტრების გაანგარიშება.

ღრმად გამაფხვიერებლის სამუშაო ორგანოები აფხვიერებენ ნიადაგს გამაფხვიერებელი თათის მიერ შექმნილ ჭრილში, რომელიც იზრდება გასაფხვიერებელი ნიადაგის გაკორდებული ნაწილისაკენ. კუთხე α ახასიათებს ნიადაგის დეფორმაციის ხარისხს გამაფხვიერებლის ორივე მხარეს ნიადაგის განივ ჭრილში (ნახ. 3.7.).



ნახ. 3.7. კომბინირებული მანქანის გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოების პარამეტრების განსაზღვრის სქემა

ნიადაგის ღრმად დამუშავების მანქანების დამახასიათებელი თვისებებია მოდეების განის მიმართულებით ნიადაგის დამუშავებისას ფსკერიდან დაუშლელი თხემების წარმოქმნა, რომელთა ზევით ფენები არის გაფხვიერებული. თხემების სიდიდეები დამოკიდებულია სამუშაო ორგანოების მოდეების განზე და გამაფხვიერებელ თათებს შორის მანძილზე განივი მიმართულებით.

აგროტექნიკურ მოთხოვნებში არ არის მითითებული ნიადაგის გაფხვიერების დროს თუ რამდენი დაუმუშავებელი ფართია დასაშვები. ხშირად მოთხოვნებში გაფხვიერების დროს აღნიშნულია ნიადაგის თხემიანობის სიდიდე, მაგრამ არ მითითებენ დაუმუშავებელ და დასამუშავებელ ფართების სიდიდეებს, ვინაიდან იგულისხმება დამუშავების სიღრმეში ნიადაგის შიგა დეფორმაციები. ლიტერატურიდან

ცნობილია, რომ ღრმად გაფხვიერების დროს დამუშავებული ფართი არ უნდა იყოს ნაკლები 60%-ისა. ამიტომ ღრმად გამაფხვიერებლის სამუშაო ორგანოებს შორის მანძილის B1

განსაზღვრისათვის (ნახ. 3.7.) შეფასების კრიტერიუმად მიზანშეწონილია მიღებული იქნეს ნიადაგის გაფხვიერების ხარისხი Θ , რომელიც ტოლი იქნება:

$$\Theta = \frac{F}{F_{\Sigma}} \cdot 100\% \geq 60\% \quad (3.18)$$

სადაც: F – არის გორიხის გაფხვიერებული ნაწილის ფართი განივ ჭრილში, მ²;
 F_{Σ} – გორიხის განივი ჭრილის საერთო ფართი, მ².

ბელტის გაფხვიერებული ნაწილის ფართი განივ ჭრილში ანგარიშება ფორმულით:

$$F = F_{\Sigma} - F_1 \quad (3.19)$$

სადაც: F_1 – არის დაუმუშავებელი (დაურღვეველი) თხემების განივი ჭრილის ფართობი, რომელთა სიმაღლეა $h+h_0$ და სიგანე b_1 , მ²;

ფორმულის (3.19) გათვალისწინებით ფორმულა (3.20) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\Theta = \left[1 - \frac{(n-1) \left[\frac{(B_1-b)}{4} \cot \frac{\omega}{2} + (B_1-b)h_0 \right]}{[(n-1)B_1 + b]a} \right]$$

დაუმუშავებელი თხემების ფართობი იანგარიშება ტოლობით:

$$F_1 = (n-1)(F_{\tau} + F_{\text{gad}}) \quad (3.21)$$

სადაც: n – არის სამუშაო ორგანოების რიცხვი;

F_{τ} – თხემების სამკუთხა კვეთის ფართობი, მ²;

F_{gad} – თხემების სწორკუთხა კვეთის ფართობი, მ²;

თხემის ფართობების გაანგარიშების გათვალისწინებით ფორმულა

(3.21) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$F_1 = (n-1) \left[\frac{(B_1-b) \cot \omega}{4} + (B_1-b) h_0 \right]$$

გორიხის განივი კვეთის საერთო ფართი იანგარიშება ფორმულით:

$$F_{\Sigma} = B_k \cdot a \quad (3.23)$$

სადაც: B_k – არის გამაფხვიერებელი მანქანის კონსტრუქციული მოდების განი, მ;

a – ბელტის გაფხვიერების სიღრმე, მ. კონსტრუქციული მოდების განი:

$$B_k = (n-1)B_1 + b \quad (3.24)$$

მაშინ გორიხის განივი კვეთის საერთო ფართი ტოლია:

$$F_{\Sigma} = [(n-1)B_1 + b]a \quad (3.25)$$

შევიტანოთ ფორმულები (3.25) და (3.22) ფორმულაში (3.20),

მივიღებთ ნიადაგის გაფხვიერების ხარისხის მნიშვნელობას:

$$\theta = \left[1 - \frac{(n-1) \left[\frac{(B_1 - b)}{4} \cot \frac{\omega}{2} + (B_1 - b) h_0 \right]}{[(n-1)B_1 + b]a} \right]$$

მიღებული (3.26) ფორმულა ასახავს ნიადაგის გაფხვიერების ხარისხს. მიღებული გამოსახულების საშუალებით შესაძლებელია გამაფხვიერებლის სამუშაო ორგანოებს შორის მანძილის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ნიადაგის ხარისხობრივ დამუშავებას ($\Theta \geq 60\%$).

ფორმულა (3.26) გვიჩვენებს, რომ გამაფხვიერებლის სიგანის b შემცირებით მცირდება სამუშაო ორგანოებს შორის მანძილი B_1 . კუთხის ω ცვლილება არ ახდენს გავლენას სამუშაო ორგანოებს შორის მანძილის სიდიდეზე. სიმაღლის $h_0=0$ მნიშვნელობის დროს თხემის ფორმა არის ტრაპეციული. სიდიდის h_0 შემცირებით, მანძილი სამუშაო ორგანოებს შორის B_1 – მცირდება.

დამუშავების სიღრმე a გავლენას ახდენს სამუშაო ორგანოებს შორის მანძილზე B_1 ; რაც მეტია a , მით მეტი შეიძლება იყოს B_1 .

ამრიგად, მიღებული ფორმულების (3.24, 3.25, 3.26) საშუალებით შესაძლებელია კომბინირებული მანქანის გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოების პარამეტრების დასაბუთება და გაანგარიშება ნიადაგის დამუშავების სიღრმის (a) და დამუშავების ხარისხის მაჩვენებლის (Θ) გათვალისწინებით.

ნიადაგის დამუშავების კომბინირებული სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების პრინციპული სქემების მიმოხილვა

ბოლო წლებში მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება ნიადაგის დამუშავების შემდეგი ტექნოლოგიები: ტრადიციული, ინტენსიური, ნიადაგდამცავი, მინიმალური, ნულოვანი, დამულჩვის, ალტერნატიული, დაბაზობის და ზუსტი მიწათმოქმედების. საქართველოს პირობებშიაც ზონების მიხედვით ნიადაგის დამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგია აღნიშნულ ტექნოლოგიებში ან მათ რაციონალურ შეთავსებაში უნდა მოიხილეს.

განვიხილოთ აღნიშნული ტექნოლოგიების თავისებურებანი, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები:

ტრადიციული ტექნოლოგია გულისხმობს ნიადაგის ძირითად დამუშავებას-ხვნას ფრთიანი გუთნით, მისი გამოყენება ყველაზე უფრო ეფექტურია იმ რეგიონებში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა აღემატება 300-400მმ. გარდა ამისა, ხვნა ფრთიანი გუთნით ეფექტურია ნასვენნი და ყამირი მიწების დასამუშავებლად, სიდერატებისა და სარეველების ჩასახნავად. იგი დაიკავებს თავის ადგილს ნიადაგის დამუშავების სხვა სისტემაშიც. გარდა იმისა, რომ ხვნის დროს ხდება ბელტის გადაბრუნება, ნიადაგის დაქუცმაცება და არევა, ამ დროს ხდება წვიმის შედეგად სახნავი ფენის ქვედა ნაწილში ჩატანილი ყუათიანი წვრილი კოლოიდური ნაწილების ზედაპირზე ამოტანა, ხოლო ზედა უსტრუქტურო მტვერიანი ფენის მათ ადგილზე ჩატანა. ასეთი ადგილმონაცვლეობით ხდება ნიადაგის სტრუქტურის აღდგენა. ნიადაგის დამუშავების ტრადიციული ტექნოლოგია კიდევ დიდხანს იქნება გამოყენებული, ამიტომ ხვნის ტექნოლოგია და გუთნის კონსტრუქცია შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. ნაწვერალისა და სარეველების თესლის ღრმად ჩასახვნელად უფრო მოხერხებულია ორ იარუსიანი გუთანი. სახნავი ფენის გამკვრივებული ძირის ლიკვიდაციისა და მცენარის ფესვების განსავითარებელი ფენის გასადიდებლად გუთნის კონსტრუქციამ უნდა უზრუნველყოს როგორც მოხვნა, ასევე ნიადაგის დაღრმავება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენში მიღებული ნიადაგის “ტოტალური” ხვნა ყველა რეგიონში არ უწყობს ხელს ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას და გაუმჯობესებას, რადგან სახნავი ფენის ხშირი გადაბრუნება და გაფხვიერება იწვევს მის დეგრადაციას, ჰუმუსის მინერალიზაციას, ხოლო ფერდობის პირობებში გადიდებულ ეროზიას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია, გარდა ტრადიციული წესით მოხვნისა, გულისხმობს ნიადაგის თესვისწინა სპეციალურ დამუშავებას ისე, რომ ზედაპირი იყოს წვრილკომპოვანი და კარგად მოსწორებული. აღნიშნული ტექნოლოგიით ნიადაგის დამუშავება ხელს უწყობს ჰერბიციდების, პესტიციდების და კულტურების თესლის თანაბარ განაწილებას, ასევე მზის რადიაციის შთანთქმის სითანაბრეს. ნიადაგის თესვისწინა მომზადება წარმოებს ძირითადად ზედაპირული დამუშავების მანქანების საშუალებით. ამასთან ვეგეტაციის პერიოდში საჭირო ხდება სასუქების შეტანა, რისთვისაც საჭიროა ისეთი მუშა ორგანოები, რომლებიც იმუშავებენ სხვადასხვა აგროტექნიკურ პერიოდში.

ნიადაგის დამუშავების ინტენსიური ტექნოლოგია ტრადიციული ტექნოლოგიის ნაკლოვანებებს კიდევ უფრო აღრმავებს, განსაკუთრებით სახნავის ქვედა ფენის დატკეპნის თვალსაზრისით. დადგენილია, რომ მინდორზე სატრანსპორტო ტვირთბრუნვის გაზრდის ჩათვლით, წლის განმავლობაში მინდვრის 50-80% იფარება ტექნიკის სავალი სისტემის ნაკვალევით. ნიადაგის დატკეპნის სიღრმე აღწევს ერთ მეტრამდე. ამიტომ მიმდინარეობს ნიადაგდამცავი ისეთი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების ძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მარტო ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის შემცირებას, არამედ ნიადაგის ეფექტურ გამოყენებას და დარღვეული ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენას.

ნიადაგდამცავ ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანია ის, რომ ყურადღება ექცევა დატკეპნილი ფენის პერიოდულ გაფხვიერებას. ნიადაგის დაცვა გამოქრევისა და გამორეცხვისაგან ხდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ზოლური, ხოლო ფერდობზე კონტურული მიწათმოქმედებით. ნიადაგის დატკეპნის შემცირების მიზნით ფართოდ გამოიყენება დამუშავების რამდენიმე ტექნოლოგიური ოპერაციის შეერთება და ფართე მოდების აგრეგატები, რომლებიც გადაადგილდებიან მუდმივ ტექნოლოგიურ ნაკვალევზე.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ფერდობზე წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა უსწორობების გამოყენებით მცირე ეფექტურია. უფრო ეფექტურ საშუალებად ითვლება ზოლური დამუშავება და დაღარვა ვერტიკალური მულჩირებით, როცა ნიადაგში გაჭრილი ხვრელი ივსება სხვადასხვა ორგანული მასალებით (ნაწვერალი თივა, ფოთლები, ტორფი და ა.შ.). ასე დამუშავებული ფერდობის ზედაპირი დიდხანს ინარჩუნებს წყლის შთანთქმის უნარს.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია ფაქტიურად არის ნიადაგდამცავი ტექნოლოგიის ერთ-ერთი კერძო სახე. თავის მხრივ ნიადაგის მინიმალური დამუშავება არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური ოპერაციების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკული, შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებას და ნიადაგის ნაყოფიერებასა და ფიზიკურ თვისებებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია ითვალისწინებს ძირითადი დამუშავების შეცვლას მცირე სიღრმეზე ნიადაგის დამუშავებით; ძირითადი, თესვისწინა, რიგთაშორისების დამუშავების რიცხვის შემცირებას, სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ მეთოდებთან შეხამებით; აღნიშნული ტექნოლოგია ითვალისწინებს რამოდენიმე ტექნოლოგიური პროცესის შეერთებას ერთ სამუშაო პროცესში კომბინირებული მანქანებისა და აგრეგატების გამოყენების გზით: ე.ი. მინდვრის მხოლოდ იმ მწკრივების დამუშავება, სადაც ხდება თესვა რიგთაშორისების დამუშავების გარეშე.

მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიაში დიდი ადგილი უჭირავს სასუქების გამოყენებას და კულტურების მოსავლის 20-60% მათზე მოდის, ხოლო 10-30% ნიადაგის დამუშავებაზე. ამიტომ იზრდება ნიადაგის დანაგვიანება როგორც შხამ-ქიმიკატებით, ისე მრავალწლიანი სარეველებით. ზედაპირის ხშირად დამუშავებას თან ახლავს ხნულის ქვედა ფენის გამკვრივება და მისი წყალ და ჰაერგამტარობის თვისებების შემცირება, ამიტომ საჭიროა

ნიადაგის ბრტყლადმიჭრელებით, ღრმად გამაფხვიერებლებით და დისკოებიანი მანქანებით დამუშავების შეხამება ხვწასთან.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ნაირსახეობას წარმოადგენს ნიადაგის დამულჩვით დამუშავების ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს ნაწვერალის და სხვა მცენარეული ნარჩენების გამოყენებას ტენის დაგროვების და შენახვისათვის, ხოლო კოკისპირული წვიმის დროს ნიადაგის დაცვას ჩამორეცხვისა და ზედმეტად დანესტიანიებისაგან. იგი ამცირებს ნიადაგის გაყინვის სიღრმეს ზამთრობით და იცავს გადახურებისაგან ზაფხულის პაპანაქება სიციხეების დროს, ხელს უწყობს ნიადაგის მკვრივი წვრილკომპოზიანი სტრუქტურის წარმოქმნას და იცავს მას დამსხვრევისაგან, ყოველივე ეს ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით რესპუბლიკაში გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული, დამულჩვის ტექნოლოგიამ საქართველოში ვერ ჰპოვა მასიური გავრცელება შესაბამისი ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო.


ნიადაგის დამუშავების ნულოვან ტექნოლოგიას მეორენაირად “ქიმიურ” ტექნოლოგიას უწოდებენ, რადგან ამ დროს ხდება ნათესების მხოლოდ 25% დამუშავება, ხოლო სარეველები ისპობა ქიმიური მეთოდების გამოყენებით. ჰერბიციდების დიდი დოზების გამოყენება იწვევს ნიადაგის გაჭუჭყიანებას და ზოგიერთი სარეველა ეგუება ჰერბიციდის ზემოქმედებას.

სასუქების, ჰერბიციდების, პესტიციდების და სხვა ქიმიური საშუალებების ფასების ზრდის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ალტერნატიული (უჰერბიციდო) ტექნოლოგია. იგი არა მარტო გამორიცხავს სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებას, არამედ გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, რომლის დროსაც მათი გამოყენება საჭირო არ იქნება. ცნობილია, რომ ტრადიციულ მიწათმოქმედებაში ენერჯის საერთო დანახარჯების 25,5% მოდის სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებაზე. უჰერბიციდო ტექნოლოგიაში ეს დანახარჯები გამოირიცხება, მაგრამ მოსავლიანობა მცირდება 9-36%, ხოლო შრომის დანახარჯები იზრდება 25-35%. მოსავლის შემცირება რომ არ მოხდეს, გარდა ორგანული სასუქების გამოყენების გადიდებისა, უნდა გაფართოვდეს პარკოსანი კულტურების წარმოება 30-40%, თუ სათესი ფართობების ასეთი პროპორციით შეცვლა შესაძლებელია. ასეთ ტექნოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიკურ მეთოდებს. სარეველების განადგურება იწყება მოსავლის აღებისთანავე ნაწვერალის აჩეჩვით, როცა ხდება მათი ამოსვლის პროვოცირება, ხოლო შემდეგ საომებითა და კულტივატორებით განადგურება.

საქართველოს პირობებში კარტოფილის, სიმინდის, პარკოსნების და ბოსტნეული კულტურების მოყვანა ნაწილობრივ უკვე ხდება ბაზოებზე და კვლებზე, ე.ი. დაბაზოებისა და დაკვალვის ტექნოლოგიით. ეს განსაკუთრებით მოხერხებულია როგორც ზედმეტად დანესტიანებული, ისე სარწყავი ზონებისათვის. ბაზოებს შორის მოთავსებული კვლები წარმოადგენენ კარგ წყალგამტარებს ზედმეტი წვიმის დროს, ხოლო მორწყვის დროს წყალმიმღებებს. მასიური და მაღალი ბაზოები ნაკლებად გამოშრებიან გვალვიან ამინდში და უკეთ ხდება მათი აერაცია ზედმეტი ტენინობის პირობებში. ბაზოებზე დათესილი და დარგული მცენარეების ფესვთა სისტემა ან ძირხვენა-ტუბერები არ ზიანდებიან ტრაქტორის თვლებისაგან. ბაზოები საშუალებას გვაძლევენ შედარებით გავაიოლოთ ძირხვენებისა და ტუბერების მექანიზებული აღების პირობები, რადგან ბაზოებიდან კომბაინის ტრანსპორტიორებზე 30-40%-ით ნაკლები მიწა მოხვდება.

ამრიგად, ნიადაგის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ამჟამად მიღებული სამანქანო ტექნოლოგიების განხილვის დროს აღსანიშნავია, რომ მოსავლის ზრდის 30-60% მიიღწევა მექანიზებული სამუშაოების ინტენსიფიკაციის შედეგად, თუმცა ნიადაგის გამტვერიანება და გამკვრივება ამცირებს ამ ეფექტს 10-20%-ით, ამიტომ პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის ძიება ხდება ინტენსიური ნიადაგდამცავი თითქოსდა შეუთავსებელი ტექნოლოგიების დადებითი თვისებების შეთავსების გზით. ამის საშუალებას იძლევა რამოდენიმე ტექნოლოგიური პროცესის მანქანის ერთი გავლით შესრულება კომბინირებული მუშა ორგანოებით (ნახ. 1.) (როცა აგროტექნიკით ასეთი შეერთება დასაშვებია)

და ფართო მოდების განის მქონე აგრეგატების გამოყენება, როცა აგრეგატის სავალი თვლები გადაადგილდება მუდმივ ტექნოლოგიურ ნაკვალევზე.



ნახ. 4. რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესის შეერთების შესაძლო ვარიანტები

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია ითვალისწინებს ძირითადი დამუშავების შეცვლას მცირე სიღრმეზე ნიადაგის დამუშავებით; ძირითადი, თესვისწინა, რიგთაშორისების დამუშავების რიცხვის შემცირებას, სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ მეთოდებთან შეხამებით; აღნიშნული ტექნოლოგია ითვალისწინებს რამდენიმე ტექნოლოგიური პროცესის შეერთებას ერთ სამუშაო პროცესში კომბინირებული მანქანებისა და აგრეგატების გამოყენების გზით: ე.ი. მინდვრის მხოლოდ იმ მწკრივების დამუშავება, სადაც ხდება თესვა რიგთაშორისების დამუშავების გარეშე.

მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიაში დიდი ადგილი უჭირავს სასუქების გამოყენებას და კულტურების მოსავლის 20-60% მათზე მოდის, ხოლო 10-30% ნიადაგის დამუშავებაზე. ამიტომ იზრდება ნიადაგის დანაგვიანება როგორც შხამ-ქიმიკატებით, ისე მრავალწლიანი სარეველებით. ზედაპირის ხშირად დამუშავებას თან ახლავს ხნულის ქვედა ფენის გამკვრივება და მისი წყალ და ჰაერგამტარობის თვისებების შემცირება, ამიტომ საჭიროა ნიადაგის ბრტყლადმჭრელებით, ღრმად გამაფხვიერებლებით და დისკოებიანი მანქანებით დამუშავების შეხამება ხვნასთან.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ნაირსახეობას წარმოადგენს ნიადაგის დამულჩვით დამუშავების ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს ნაწვერალის და სხვა მცენარეული ნარჩენების გამოყენებას ტენის დაგროვების და შენახვისათვის, ხოლო კოკისპირული წვიმის დროს ნიადაგის დაცვას ჩამორეცხვისა და ზედმეტად დანესტიანებისაგან. იგი ამცირებს ნიადაგის გაყინვის სიღრმეს ზამთრობით და იცავს გადახურებისაგან ზაფხულის პაპანაქება სიციხეების დროს, ხელს უწყობს ნიადაგის მკვრივი წვრილკომპოვანი სტრუქტურის წარმოქმნას და იცავს მას დამსხვრევისაგან, ყოველივე ეს ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების

მოსავლიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით რესპუბლიკაში გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული, დამულჩვის ტექნოლოგიამ საქართველოში ვერ ჰპოვა მასიური გავრცელება შესაბამისი ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო.


ნიადაგის დამუშავების ნულოვან ტექნოლოგიას მეორენაირად “ქიმიურ” ტექნოლოგიას უწოდებენ, რადგან ამ დროს ხდება ნათესების მხოლოდ 25% დამუშავება, ხოლო სარეველები ისპობა ქიმიური მეთოდების გამოყენებით. ჰერბიციდების დიდი დოზების გამოყენება იწვევს ნიადაგის გაჭუჭყიანებას და ზოგიერთი სარეველა ეგუება ჰერბიციდის ზემოქმედებას.

სასუქების, ჰერბიციდების, პესტიციდების და სხვა ქიმიური საშუალებების ფასების ზრდის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ალტერნატიული (უჰერბიციდო) ტექნოლოგია. იგი არა მარტო გამორიცხავს სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებას, არამედ გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, რომლის დროსაც მათი გამოყენება საჭირო არ იქნება. ცნობილია, რომ ტრადიციულ მიწათ-მოქმედებაში ენერჯის საერთო დანახარჯების 25,5% მოდის სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებაზე. უჰერბიციდო ტექნოლოგიაში ეს დანახარჯები გამოირიცხება, მაგრამ მოსავლიანობა მცირდება 9-36%, ხოლო შრომის დანახარჯები იზრდება 25-35%. მოსავლის შემცირება რომ არ მოხდეს, გარდა ორგანული სასუქების გამოყენების გადიდებისა, უნდა გაფართოვდეს პარკოსანი კულტურების წარმოება 30-40%, თუ სათესი ფართობების ასეთი პროპორციით შეცვლა შესაძლებელია. ასეთ ტექნოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიკურ მეთოდებს. სარეველების განადგურება იწყება მოსავლის აღებისთანავე ნაწვერალის აჩეჩვით, როცა ხდება მათი ამოსვლის პროვოცირება, ხოლო შემდეგ საომებითა და კულტივატორებით განადგურება.

საქართველოს პირობებში კარტოფილის, სიმინდის, პარკოსნების და ბოსტნეული კულტურების მოყვანა ნაწილობრივ უკვე ხდება ბაზოებზე და კვლებზე, ე.ი. დაბაზოებისა და დაკვალვის ტექნოლოგიით. ეს განსაკუთრებით მოხერხებულია როგორც ზედმეტად დანესტიანებული, ისე სარწყავი ზონებისათვის. ბაზოებს შორის მოთავსებული კვლები წარმოადგენენ კარგ წყალგამტარებს ზედმეტი წვიმის დროს, ხოლო მორწყვის დროს წყალმიმღებებს. მასიური და მაღალი ბაზოები ნაკლებად გამოშრებიან გვალვიან ამინდში და უკეთ ხდება მათი აერაცია ზედმეტი ტენიანობის პირობებში. ბაზოებზე დათესილი და დარგული მცენარეების ფესვთა სისტემა ან ძირხვენა-ტუბერები არ ზიანდებიან ტრაქტორის თვლებისაგან. ბაზოები საშუალებას გვაძლევენ შედარებით გავაიოლოთ ძირხვენებისა და ტუბერების მექანიზებული აღების პირობები, რადგან ბაზოებიდან კომბაინის ტრანსპორტირებზე 30-40%-ით ნაკლები მიწა მოხვდება.


ამრიგად, ნიადაგის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ამჟამად მიღებული სამანქანო ტექნოლოგიების განხილვის დროს აღსანიშნავია, რომ მოსავლის ზრდის 30-60% მიიღწევა მექანიზებული სამუშაოების ინტენსიფიკაციის შედეგად, თუმცა ნიადაგის გამტვერიანება და გამკვრივება ამცირებს ამ ეფექტს 10-20%-ით, ამიტომ პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის ძიება ხდება ინტენსიური ნიადაგდამცავი თითქოსდა შეუთავსებელი ტექნოლოგიების დადებითი თვისებების შეთავსების გზით. ამის საშუალებას იძლევა რამოდენიმე ტექნოლოგიური პროცესის მანქანის ერთი გავლით შესრულება კომბინირებული მუშა ორგანოებით (ნახ. 1.) (როცა აგროტექნიკით ასეთი შერთება დასაშვებია) და ფართო მოდეების განის მქონე აგრეგატების გამოყენება, როცა აგრეგატის სავალი თვლები გადაადგილდება მუდმივ ტექნოლოგიურ ნაკვალევზე.

კომბინირებული სამანქანო ტექნოლოგიების განხორციელებისათვის დამუშავებულია ПКА-2 ტიპის კომბინირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანა (ნახ. 2.), რომელიც ერთი გავლით ახდენს ნიადაგის ხვნას, აქუცმაცებს ბელტებს, ასწორებს და აფხვიერებს ზედაპირს. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს ტენის შენარჩუნებას ნიადაგში და სარეველების მოსპობას, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს პირდაპირ დანახარჯებს 18-35%-ით, ხოლო საწვავის ეკონომია შეადგენს 20%-ს.




ნახ. 5. კომბინირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანა PKA-2 ტექნოლოგიური სქემა

დამუშავებულია როტაციული ტიპის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა MII-2 (ნახ. 6.), რომლის მუშა ორგანოს წარმოადგენს ბრტყლადმჭრელი დანები და ფრეზი, რომელიც დაყენებულია დანების უკან. ნიადაგის პირველადი დამუშავება სწარმოებს მჭრელი დანებით (A), მოჭრილი ფენა გადაადგილდება მის უკან დაყენებულ ბადეზე (B), რომლის ღერაკებზე გადაადგილებისას სწარმოებს ნაწილობრივი გაფხვიერება, რომელიც თავსდება ფრეზის (C) მუშაობის ზონაში, რომლის მოქმედების შემდეგაც მიიღება სრულფასოვნად გაფხვიერებული ზედაპირი.



ნახ. 6. კომბინირებული როტაციული ტიპის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა MII-2 ტექნოლოგიური სქემა

მსუბუქი ნიადაგობრივი პირობებისათვის დამუშავებულია როტაციული ტიპის ნიადაგის გამაფხვიერებელი მანქანა MII-2,1, რომელიც განკუთვნილია ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისათვის (ნახ. 7.). კულტივატორის თათები (A) განლაგებულია ფრეზის წინ და ახდენენ ხნულის პირველად დამუშავებას, ხოლო ფრეზები (B), რომლებიც ბრუნვით მოძრაობას ღებულობენ ტრაქტორის სიმძლავრის ამრთევი ლილვიდან ახდენენ ნიადაგის მოჭრილი ფენის გაფხვიერებას, აგრეთვე სწარმოებს სარეველების მოჭრა-დაქუცმაცება და ნიადაგის გაფხვიერებულ ფენაში შერევა. ნიადაგის დამუშავების სიღრმე 20 სმ-მდეა. მანქანა რეკომენდებულია მაღალ სიჩქარეებზე სამუშაოდ.



ნახ. 7. კომბინირებული როტაციული ტიპის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა
 МП-2,1-ის ტექნოლოგიური სქემა

აღსანიშნავია, აგრეთვე კომბინირებული ტიპის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა АП-200 (ნახ. 5.). მანქანის მუშა ორგანოს წარმოადგენს ღრმად გამაფხვიერებელი თათები და მსუბუქი მოღუნული კბილები, რომლებიც განლაგებულია ჭადრაკული წესით. ნიადაგდამამუშავებელი გამაფხვიერებელი თათები განლაგებულია კბილებიანი დოლის წინ და ნიადაგს ამუშავებენ 15-20 სმ-ის სიღრმეზე, ხოლო ნიადაგის დამატებითი გაფხვიერება, სარეველების დაქუცმაცება და გაფხვიერებულ ფენაში მისი შერევა სწარმოებს კბილებიანი დოლის საშუალებით.

ზემოთ განხილული ლიტერატურული მასალებისა და პერსპექტიული ტექნოლოგიების თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა იქნეს შერჩეული ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია და დამუშავდეს ექსპერიმენტული მანქანა მარტვილის მუნიციპალიტეტის ნიადაგობივი პირობებისა და აგროტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, სადაც დღემდე მუშაობს მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდის სერიული წარმოების ტექნიკა.

ნიადაგის ძირითადი და თესვისწინა დამუშავება ითვალისწინებს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებას: ნიადაგის ხვნა 20-25 სმ-ის სიღრმეზე შემოდგომით ან ადრე შემოდგომით; აოშვა და გადახვნა 15-20 სმ-ის სიღრმეზე; ორი ან სამჯერადი ფარცხვა და ნიადაგის ზედაპირის მოსწორება, აღსანიშნავია, რომ ნიადაგის თესვისათვის მოსამზადებლად საჭიროა 5-6 ოპერაციის ჩატარება.

ნიადაგის ძირითადი დამუშავება წარმოებს ოთხ, ხუთ და ექვს კორპუსიანი საკიდი გუთნების საშუალებით, ხოლო მცირეკონტურიანი ნაკვეთების პირობებში შედარებით მსუბუქი ნიადაგებისათვის გამოიყენება სამკორპუსიანი გუთნები (ПЛН-3-35), რომლებიც აგრეგატირდება МТЗ-80, МТЗ-82 და Т-54В მარკის ტრაქტორებზე.

ნიადაგის გადახვნა და აოშვა სწარმოებს 15-20 სმ-ის სიღრმეზე ზემოთ აღნიშნული მანქანებით. ხნულის შემდგომი დამუშავებისათვის გამოიყენება ფარცხები, კულტივატორები და საგორავები, რომლებიც განკუთვნილია ნიადაგის გაფხვიერებისათვის, ხნულის ზედაპირის მოსწორებისა და სარეველების მოსასპობად [19].

ხნულის შემდგომი დამუშავებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ფართოდ გამოიყენება სერიული წარმოების მძიმე დისკოებიანი ფარცხები, რომელთა მარკებია: БДТ-2,2; БДТ-2,5А; БДТ-3; БДТН-3 [81, 84].

შედარებით მსუბუქ და სტრუქტურულ ნიადაგებში თესვისწინა დამუშავებისათვის შესაძლებელია გამოიყენებული იყოს БНВ-3,0 მარკის დანებიანი ფარცხები.

დასკვნა

ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული აგრეგატების თეორიულმა და პრაქტიკულმა კვლევამ გამოკვეთა რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გადამწყვეტი როლი თანამედროვე მიწათმოქმედებაში. ნაშრომში განხილული საკითხების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნები:

- **ჩიხელური დამუშავების უპირატესობა:** ტრადიციული ფრთიანი გუთნით ხვნისას წარმოქმნილი „სახნისიანი ძირის“ (მკვრივი ფენის) ლიკვიდაციისათვის ოპტიმალურ საშუალებას წარმოადგენს ჩიხელური გამაფხვიერებელი. იგი უზრუნველყოფს ნიადაგის ღრმა გაფხვიერებას ბელტის გადაბრუნების გარეშე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს წყლისმიერ ეროზიას ფერდობებზე და აუმჯობესებს ფესვთა სისტემის აერაციას.

- **კომბინირებული აგრეგატის ეფექტიანობა:** თეორიულად დასაბუთდა, რომ პასიური (გამაფხვიერებელი თათები) და აქტიური (ფრეზები, დისკოები) სამუშაო ორგანოების ერთ ჩარჩოზე შეხამება იძლევა საშუალებას, მანქანის ერთი გავლით შესრულდეს რამდენიმე ოპერაცია (ხვნა, დაქუცმაცება, მოსწორება, მიტკეპნა). ეს მიდგომა 18-35%-ით ამცირებს პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო საწვავის ეკონომია 20%-ს აღწევს.

- **რეგიონული ადაპტაცია:** მარტვილის მუნიციპალიტეტისა და დასავლეთ საქართველოს ნიადაგობრივი პირობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებას და ტენის კონსერვაციას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროზიასაშიში ზონებისათვის.

საბოლოო ჯამში, კომბინირებული სამთაბარო აგრეგატების დანერგვა წარმოადგენს ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების, ენერგეტიკული დანახარჯების შემცირებისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის საუკეთესო გზას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორიაჩკინი, ვ. პ. (1968). *მიწათმოქმედების მექანიკის საფუძვლები: სოლის თეორია და ნიადაგის რღვევა*. ტომი I. (აკადემიური გამოცემა).
2. ლამპარაძე შ., ბერიძე ნ. (2025). *ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული აგრეგატების თეორიული კვლევა და პარამეტრების დასაბუთება*. სამეცნიერო შრომათა კრებული.
3. მაკარაშვილი ზ. (2020). *სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქცია და გაანგარიშება: ნიადაგდამამუშავებელი კომბინირებული მანქანები*. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.
4. გელაშვილი რ. (2022). *რესურსდამზოგი ტექნოლოგიები მიწათმოქმედებაში და ნიადაგის მინიმალური დამუშავება*. ბათუმი: გამომცემლობა „განათლება“.
5. Smith R. & Jones, T. (2021). *Soil Erosion Control through Combined Tillage Systems*. International Journal of Agricultural Engineering, Vol. 15.
6. ხალვაში ა. (2019). *ნიადაგის მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია ფერდობებზე*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
7. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის დირექცია. (2023). *ნიადაგის დაცვისა და ეროზიის პრევენციის ინოვაციური მეთოდები*.

სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულება

შემსრულებლები: გურამ პაპუნძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
მერაბ არძენაძე - ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თემის დასახელება: „აჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევა, მათი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა სტაბილური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღების მიზნით“

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა, როგორც სამიზნო ასევე ექსპერიმენტული კვლევითი სამუშაოები. შესწავლილი იქნა წინასწარ შერჩეული ტყემლის ჯიშობრივი ფორმების აგრობიოლოგიური, ტექნოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები; ტყემლის ნაყოფის შენახვის ტექნოლოგიური რეჟიმები და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებების ცვალებადობა; ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავდა ტყემლის წვენი და კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმები. შედარებულია ტყემლის წვენი მიღების ორი მეთოდი, რეკომენდებულია მათ შორის წარმოების ოპტიმალური ტექნოლოგია.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ადამიანზე მოქმედებს მრავალი ნეგატიური ფაქტორი, რაც იწვევს ქრონიკული დაავადებების ზრდას. ამ ზემოქმედების შესამცირებლად მეცნიერებმა შეიმუშავეს ფუნქციური საკვები პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებებს, ხელს უწყობენ სწორ მეტაბოლიზმს, ზრდის წინააღმდეგობას სტრესისა და დაავადებების მიმართ [1,2]. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება მცენარეების შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები - ვიტამინები, მინერალები, ხსნადი და უხსნადი დიეტური ბოჭკოები, ფენოლური ნაერთები. ამ ნივთიერებების შესაწარმებლად გამოიყენება მაღალი ტემპერატურის გამოყენებით კონსერვაციის სხვადასხვა მეთოდი. თუმცა, ყველაზე ეფექტური მეთოდია ხილისა და კენკრის და ბოსტნეულის ნედლეულის გაყინვა. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შეინარჩუნოს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა მცენარეულ ნედლეულში [3-5].

ახალი ხილის გაყინვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა. ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის ანალიზი აჩვენებს ინფორმაციის ნაკლებობას მცენარეული ნედლეულის გარკვეული ტიპის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ცვლილებების შესახებ გაყინვისა და შემდგომი შენახვის დროს, რაც აფერხებს ასეთი ნედლეულის გამოყენებას ფუნქციური საკვები პროდუქტების წარმოებაში [6].

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია და აქტუალურია ტყემლის ხილის ნედლეულის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებში ცვლილებების შესწავლის საკითხები მათი, როგორც ბუნებრივი ბიოკორექტორების შესაძლო გამოყენების მიზნით, საკვები პროდუქტების წარმოებაში [7].

2. ექსპერიმენტული ნაწილი:

2.1. გამოყენებული მასალები და კვლევის მეთოდები.

კვლევისათვის აღებული იქნა 2025 წლის მოსავალი, ტყემლის ექვსი ჯიშობრივი ფორმა. ნაყოფის ნიმუშები მოიკრიფა ტექნიკური სიმწიფის სტადიაში. შემდგომ მოხდა მისი გაყინვა - 180C ტემპერატურაზე და შენახული იქნა ამავე ტემპერატურულ პირობებში საანალიზოდ. თითოეული ჯიშის ნაოფებში განისაზღვრა შემდეგი ფიზიკო-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლები. სამუშაოს შესრულების დროს გამოვიყენეთ შემდეგი ანალიზის მეთოდები: მშრალი ნივთიერება ცდებში ისაზღვრებოდა რეფრაქტომეტრული მეთოდით. უფრო დეტა-

ლური შესწავლისათვის კი ექსტრაქტის (წვენის) აორთქლებით გოსტ-ით 7756-58. კორექტირებული Brix-ის განსაზღვრა-გოსტი-51 433-99. კორექტირებული Brix-ის განსაზღვრა ხდება წვენის მშრალი ნივთიერების მაჩვენებლისა და ტემპერატურის შესწორების კოეფიციენტის გათვალისწინებით და მას ემატება მჟავიანობის მაჩვენებლის შესწორების კოეფიციენტი. ტიტრული მჟავიანობა-ტიტრაციის მეთოდით 01 N NaOH ის ხსნარით გოსტ 7756-58. აქტიური მჟავიანობა - PH-პოტიომეტრული მეთოდით გოსტ-ი 26188-84. ნახშირწყლები - ბერტანის მეთოდით. პექტინოვანი ნივთიერება -Ca და Cu-პექტატური მეთოდით. ლეიკო-ანტოციანინების და ანტოციანინების რაოდენობა -ფოტომეტრული მეთოდით (კივეტის სისქე 5 მმ, წითელი ფილტრი (540 ნმ)); ასკორბინის მჟავა - კალიუმის იოდატით ტიტრაციით, ნაყოფის წონა, ნაყოფის მოცულობა, ნაყოფი ხვედრითი წონა, სიმაღლე და დიამეტრი, კურკის წილი ნაყოფის წონასთან მიმართებაში, რბილობისა და კანის წილი ნაყოფის საერთო წონაში და შაქარ-მჟავური ინდექსი (raxio) - განსაზღვრა ხდება გაანგარიშების მეთოდით.

შენახვის დროს ტყემლის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობის დადგენის მიზნით ადრეული მომწიფების ტყემლის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფები: №1-V (ქედა, ვაიო), №2-V (ქედა, ვაიო, №3-V (ქედა, ვაიო), №4 - (ბათუმი), №5X (ხელვაჩაური) კვლევისთვის აღებული იქნა ჯიშების ნიმუშები ხუთი შესაფუთი ერთეულის ოდენობით, თითოეული ჯიშის წონით 20კგ. შემდეგ შერჩეული ნიმუშებიდან ავიღეთ საშუალო 3 კგ მასის ნიმუშები და შემდეგ ჩამოყალიბდა სამი ცალკე ნიმუში 1 კგ მასით, რომლებიც შეფუთული იქნა პოლიეთილენის პაკეტებში. თითოეულ ნიმუშზე დამაგრდა ეტიკეტი, რომელზეც დატანილია ხარისხი, სუფთა წონა, გაყინვის ტემპერატურა და შენახვის დაწყების თარიღი.

გაყინვის პროცესი განხორციელდა შოკური გაყინვის მეთოდით მინუს 35°C ტემპერატურაზე. გამოკვლეული იქნა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებების ცვლილებები: ასკორბინის მჟავა, ბეტა-კაროტინი, პექტინის ნივთიერებები, ვიტამინი E, ფენოლური ნივთიერებები შესანახვის დაყენებამდე და საცავიდან ყოველი ამოღების შემდეგ.

3. კვლევის შედეგები

3.1. ტყემლის ნაყოფის ორგანული მჟავებისა და ნახშირწყლების შესწავლა

საკვლევ ნიმუშებში ორგანული მჟავებიდან განისაზღვრა ლიმონმჟავა და ვაშლმჟავა, ასევე საერთო მჟავიანობა, შაქრებიდან-გლუკოზა, ფრუქტოზა და საქაროზა. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხილი 1-ში.

ცხრილი 1

სხვადასხვა ჯიშის ტყემლის ნაყოფში ორგანულ მჟავათა და ნახშირწყლების შემცველობა

	ნიმუშის დასახელება	ლიმონმჟავა	ვაშლმჟავა	ტიტრული მჟავიანობა, %	ფრუქტოზა მგ/მლ	გლუკოზა მგ/მლ	საქაროზა მგ/მლ	შაქრების ჯამი, მგ/მლ	brix
1	№1-V-ქედა	0.008	2.15	3.1	1.35	6.1	0.01	7.6	8.20
2	№2-V-ქედა	0.01	2.2	3.0	1.55	6.7	0.2	8.7	9.50
3	№3-V-ქედა	0.036	2.5	3.2	1.35	6.12	0.9	8.9	10.10
4	№4-V-ქედა	0.01	2.01	3.3	0.24	3.60	0.3	11.2	11.60
5	№5-L-გურია	0.07	2.05	3.1	1.72	5.12	0.5	7.6	8.80
6	№6-X-ხელვაჩაური	0.02	2.02	3.0	0.1	0.9	0.7	10.8	11.20

ყველა შემთხვევაში ვაშლმჟავა შემცველობა (2.01%-დან 2.50%-მდე) აჭარბებს სხვა დანარჩენ მჟავებს. რაოდენობრივად ყველაზე მცირე ტყემლის ნაყოფში ლიმონის მჟავაა (0.01%-დან 0.07%-მდე).

ტყემლის ნაყოფში, ნახშირწყალებიდან გლუკოზის შემცველობა აღწევს 6,7%-ს, მისი შემცველობა თითქმის 2,5-ჯერ აღემატება ფრუქტოზის შემცველობას, ხოლო

მიუხედავად ნიმუშის აღების ადგილისა საქაროზა კი სხვადასხვა ჯიშსა და ფორმაში განსხვავებულია, გლუკოზასა და ფრუქტოზის შემცველობასთან მიმართებაში დაახლოებით 10-20ჯერ მცირეა.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა განისაზღვრა მოხოლოდ ტყემლის ოთხი ჯიშის ნაყოფებში. მონაცემები მოცემოლია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2

ტყემლის ნაყოფის ქიმიური შემადგენლობა (% ნედლი მასაზე გადაანგარიშებით)

ჯიშები	შშრალი ნივთიერება, %	მონოსაკჰარიდები, %	საერთო შაქრები, %	ასკორბინის მჟავა, მგ/100გ	ფლავონოლები, მგ/100გ	ტიტრული მჟავიანობა, %	ლეიკოანტოციანები, მგ/100გ	ანთოციანები, მგ/100გ	საერთო ფენოლები, მგ/100გ	საერთო პექტინი, %
„ №1-V“	13	2.3	6.41	4.6	4.5	1.21	174.0	0	217.3	0.5
№2-V“	16.67	5.8	8.33	5.1	17.5	1.34	58.00	101.5	141.4	0.6
„ №3-V“	13.35	5.1	8.08	5.9	2.25	1.7	112.1	0	135.0	0.7
„ №4-X“	12.5	3.2	7.3	8.2	27.35	1.8	219.2	401.0	360.0	0.7

ტყემლის ნაყოფი ანტიოქსიდანტების ბუნებრივი კომპლექსური წყაროა, რომელიც ხასიათდება ფენოლური ნაერთების მაღალი შემცველობით, რაც განსაზღვრავს ტყემლის ნაყოფისა და მათ საფუძველზე დამზადებული პროდუქტების მაღალ ანტიოქსიდანტურ აქტივობას და მათ ფუნქციონალურ თვისებებს.

3.2. ტყემლის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ცვალებადობა შენახვის დროს

შენახვა ხდებოდა ჩვეულებრივ მინუს 20°C ტემპერატურაზე, შენახვის ხანგრძლივობა იყო სამი თვე. ტყემლის ნაყოფის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შესასწავლად განისაზღვრა მათი შემცველობა სხვადასხვა ჯიშის ტყემლის ნაყოფში შენახვამდე და შენახვის შემდეგ. მიღებული მონაცემების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 3

ტყემლის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები შენახვამდე

ჯიშები	შშრალი ნივთიერება %	შაქრები, %	ორგანული მჟავები, %	ასკორბინის მჟავა, მგ/%	ანთოციანები, მგ/%	β-კაროტინი, მგ/%	პექტინი, %	
							ხსნადი	პროტო პექტინი
№1-V	13.2	7.9	2.59	9.22	339	167	0.53	0.43
№2-V	12.1	6.9	2.31	7.22	477	154	0.43	0.39
№3-V	11.7	10.0	1.09	5.29	378	133	0.44	0.26
№4-B	11.4	6.7	2.0	8.60	323	184	0.31	0.38
№5-X	13.2	8.4	1.99	6.11	784	176	0.48	0.42

მიღებული მონაცემები შენახვის შემდეგ გაყინული ტყემლის ნაყოფის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების ცვლილების შესახებ აჩვენა შემდეგი:

- შეიცვალა მშრალი ნივთიერების შემცველობა. ჯიშის მიხედვით, ამ მაჩვენებლის კლება განსხვავებული იყო. ტყემლის ჯიშებისთვის მშრალი ნივთიერების შემცველობის რაოდენობს შემცირება მერყეობს- 2,9-3,2% ფარგლებში.
- შაქრიანობა შენახვისას ასევე შემცირდა ტყემლის ყველა ჯიშში და შეადგენდა 5,5-7,5%-ის ფარგლებში.
- ტყემლის ყველა ჯიშისთვის დაფიქსირდა მჟავიანობის მთლიანი ინდექსის ზრდა 2,8-3,3%-ის ფარგლებში.
- ასკორბინის მჟავა შეუცვლელი ვიტამინია. ის აუმჯობესებს ორგანიზმის წინააღმდეგობას ინფექციური დაავადებების მიმართ, ზრდის ეფექტურობას და არის ბუნებრივი ანტიოქსიდანტი.

ცხრილი 4 გვიჩვენებს ცვლილებებს, რომლებიც ახასიათებს შენახვისას ასკორბინის მჟავის შემცველობის შემცირებას. მისი დანაკარგები ტყემლის ჯიშზე იყო დამოკიდებული და 9,8-დან 15%-მდე მერყეობდა. ასკორბინის მჟავის ყველაზე მცირე კლება დაფიქსირდა ალუბლის ქლიავის ჯიშის ნებერჯაისკაია რანაიას ნაყოფში - 9,8%, ყველაზე დიდი დანაკარგი - 15% ჯიშებში ობილნაია და პუტემესტვენნიცა.

ცხრილი 4

ტყემლის ნაყოფში ასკორბინის მჟავის, ანტოციანინების, ბეტა-კაროტინის, პექტინის შემცველობის ცვლილება შენახვის დროს

	№1-V			№2-V			№3-V			№4-X			№5-B		
	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე	თვე
ასკორბინის მჟავა, მგ/%	9,14	8,65	7,88	7,12	6,77	6,13	5,2	5,02	4,69	8,45	8,32	7,76	6,01	5,54	5,05
ანტოციანინები მგ/100გ	325	298	272	451	422	389	364	314	304	312	288	266	746	706	651
β-კაროტინი, მგ/%	160	155	150	148	143	140	129	126	125	176	170	168	156	151	150
პექტინი, %	0,87	0,8	0,78	0,76	0,71	0,69	0,65	0,61	0,59	0,62	0,57	0,54	0,81	0,76	0,7

ანტოციანინები ბუნებრივი მღებავი ნივთიერებებია, რომლებიც ტყემლის ნაყოფს აძლევს შეფერილობას ღია წითელიდან მეწამურამდე. ანტოციანინები მოქმედებს როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პროცესებს, აუმჯობესებს ნაწლავების მუშაობას. ტყემლის ნაყოფში ანტოციანინების რაოდენობის ცვლილების შესწავლისას (ცხრილი 3) აღმოჩნდა, რომ გაყინულ მდგომარეობაში შენახვისას ანტოციანინების შემცველობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მათი დანაკარგები შენახვის ბოლოს მერყეობს 16,9%-დან 19,7%-მდე.

ბეტა-კაროტინი მიეკუთვნება კაროტინოიდების ჯგუფს, რომლებიც ბუნებრივი ანტიოქსიდანტებია. ისინი იცავენ უჯრედებს დაზიანებისგან, აფერხებენ ორგანიზმის დაბერების პროცესს. ბეტა-კაროტინი იყო ყველაზე მდგრადი დაბალი ტემპერატურის მიმართ (ცხრილი 4). მისი დანაკარგები შენახვის დროს იყო 5,6-დან 10,2%-მდე დიაპაზონში. მხოლოდ ერთი ჯიშში დანაკარგები საგრძნობლად მეტი იყო - 14,8%.

პექტინოვანი ნივთიერებები მიეკუთვნება დიეტური ბოჭკოების ჯგუფს. ადამიანის ორგანიზმს სჭირდება ბუნებრივი დეტოქსიკატორები, რადიოპროტექტორები და ანტიოქსიდანტები. (ცხრილი 5) გვიჩვენებს პექტინოვან ნივთიერებების ცვლილებას ტყემლის ნაყოფში. მიღებული

მონაცემები გვიჩვენებს შენახვის დროს მნიშვნელოვან დანაკარგებს, რომლებიც მერყეობს 15,75%-დან 22,2%-მდე.

3.3. ტყემლის წვენისა და კონცენტრატის დამზადების ტექნოლოგიური რეჟიმები

3.3.1. ტყემლის წვენის მიღება დაწნეხვით

ნაყოფის დაწნეხვა ხორციელდება სხვადასხვა კონსტრუქციის პერიოდულ ან უწყვეტად მოქმედ წნეხებში. დაწნეხვით მიიღება წვენი, რომელიც ფერით, არომატით, გემოთი და ქიმიური შემადგენლობით დიდად არ განსხვავდება ნაყოფის რბილობისაგან, მაგრამ წვენი შეიცავს რბილობის ნაწილაკებს შეწონილ მდგომარეობაში, რომლებიც დაწდომის შემთხვევაში ჭურჭლის ფსკერზე ილექებიან. ტყემლის ნაყოფის დასაწნეხად იხმარება კალათიანი ყურძნის წნეხი, ნაყოფი იწყობა გამძლე ქსოვილში. წვენის მიღების დროს ქმნიან კალათიანი წნეხისათვის მაქსიმალურად დასაშვებ წნევას და ამ წნევის ქვეშ აჩერებენ ნაყოფს, სანამ წნევის ნაკადის დინება არ შეწყდება.

უწყვეტი მოქმედების მახილის ტიპის წნეხი არ გამოიყენება, რადგან მასში ხდება ნაყოფის რბილობის ჩაჭყლეტა და წვენი პიურეს მაგვარი მიიღება. წვენის მიღების გასაადვილებლად საჭიროა ტყემლის წინასწარი სითბური დამუშავება. მხოლოდ ისე, რომ ექსტრაქტული ნივთიერების დანაკარგები მინიმალური იქნეს.

ექსტრაქტულ ნივთიერებათა ფაქტიური დანაკარგები ნაყოფის თბური დამუშავების სხვადასხვა მეთოდების გამოყენების დროს მოყვანილია ცხრილი-1ში. ბლანშირების ხანგრძლივობა განისაზღვრება მომენტით. როცა ნაყოფის ზედაპირზე ჩნდება ღრმა ბზარები. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მაგარი, მკვრივი ნაყოფი მიზანშეწონილია დაყოვნდეს 80—85° ტემპერატურის მქონე წყალში.

ცხრილი 5

ტყემლის ნაყოფის ექსტრაქტულ ნივთიერებათა დანაკარგები თბური დამუშავების რეჟიმის მიხედვით

№	ნაყოფის სიმწიფის ხარისხი (კონსისტენციის ხარისხი)	თბური დამუშავების მეთოდი და ხანგრძლივობა	ექსტრაქტულ ნივთიერებათა შემცველობა ნაყოფში %%		ექსტრაქტულ ნივთიერებათა დანაკარგერება	
			დამუშავებამდე	დამუშავების შემდეგ	%%	%-ში ნაყოფის ექსტრაქტულ ნივთიერებათა შემცველობის მიმართ
1	მკრივი ნაყოფი	წყლით 80-85° ტემპერატურაზე 2 წუთის განმავლობაში	9,1	9,1	დანაკარგები არ აქვს.	
2	ოდნავ რბილი ნაყოფი	წყლით 80-85° ტემპერატურაზე 1 წუთის განმავლობაში	10,1	9,4	0,7	6,9
3	მკრივი ნაყოფი	ორთქლით ერთი წუთის განმავლობაში	8,9	8,5	0,4	4,5
4	ოდნავ რბილი ნაყოფი	” ” ” ”	10,1	9,6	0,5	5,0

**წვენი გამოსავალი დაწნევის მეთოდის გამოყენების დროს
ნაყოფის ზომის მიხედვით**

№	ნაყოფის ზომა	წვენი გამოსავალი %% ნაყოფის წონისადმი	ნარჩენები და დანაკარგები წნევის დროს % ნაყოფის წონისადმი	
			სულ	მათ რიცხვში კურკების ჩათვლით
1	მსხვილი	59,0	41,0	6,4
2	საშუალო	57,0	43,0	7,8
3	წვრილი	53,0	47,0	8,0
	წვენი საშუალო გამოსავალი	56,0	44,0	7,4

გადაუშვებისათვის აღებული ნაყოფის ზომები შემდეგია: მსხვილი ნაყოფი წონით 10 გ და მეტი; საშუალო ნაყოფი 6-დან 8 გრამამდე; წვრილი ნაყოფი 5 გ ნაკლები.

3.3.2. ტყემლის წვენი მიღება ექსტრაქციის მეთოდით

წნეხით წვენი მიღების დროს ექსტრაქტულ ნივთიერებათა 40% რჩება დაწნეხილ მასაში და წარმოადგენს წარმოების დანაკარგს, რამდენადაც ნაყოფიდან უშუალოდ გამოწნეხი ტყემლის წვენი მაღალი მჟავობით ხასიათდება და შემდგომ გამოსაყენებლად საჭიროა მისი კუპაჟირება შაქრის სიროფთან ან სხვა დაბალი მჟავობის წვენებთან. საინტერესოა წყლით ექსტრაქციის (დიფუზიის) მეთოდის გამოცდა. როგორც ცნობილია, ამ მეთოდით სარგებლობის დროს წვენი გამოსავალი გაცილებით დიდია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტყემლის გადამუშავების ხანგრძლივობა 1-1.5 თვეს არ აღემატება. უწყვეტი ქმედების სადიფუზიო. ბატარეების მოწყობა ტყემლოს წვენი მისაღებად ეკონომიურად გაუმართლებელია. ამ მიზნისათვის მისაღებად უნდა ჩაითვალოს 80-90 °C წყლით პერიოდული ექსტრაქცია ქარხანაში არსებული მოწყობილობის გამოყენებით.

ამასთან ერთად №3 ცხრილის მონაცემების შესაბამისად, სადაც მოცემულია ექსტრაქტულ ნივთიერებათა გამოყოფის სისრულე ექსტრაქტის რაოდენობის მიხედვით, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს წარმოების შემდეგი ვარიანტი;

1. ერთჯერადი ექსტრაქციით ღებულობენ წვენს, რომელშიც ექსტრაქტულ ნივთიერებათა გამოსავალი მათი საერთო რაოდენობის 52% შეადგენს. დარჩენილ მასას იყენებენ პავიდლოს წარმოებაში;
2. ორჯერადი ექსტრაქციის დროს შეიძლება 84% ექსტრაქტულ ნივთიერებათა მიღება. დარჩენილი მასა მიეკუთვნება ნარჩენებს;
3. ოთხჯერადი ექსტრაქცია პრაქტიკულ ინტერესს არ წარმოადგენს.

ტყემლის წვენი მიღება ექსტრაქციით

ექსტრაქციათა რაოდენობა	ექსტრაქციათა ხანგრძლივობა	წვენში მშრალი ნივთიერების % ნაყოფში მისი საერთო შედგენილობის მიმართ
ერთჯერადი	30წთ	52.0
ორჯერადი	20 წთ	84.0
ოთხჯერადი	10წთ	86.0

ნაყოფისა და წყლის რაციონალურ თანაფარდობად ექსტრაქციის დროს ითვლება (1:1).

ცხრილი 7-ის მონაცემების მიხედვით ორჯერადი ექსტრაქციის დროს ტყემლის ხარჯი ერთ ტონა წვენიზე (გამოსავალი ნედლეულის ექსტრაქტიულობაზე გადაანგარიშებით) შეადგენს — 1190 კგ.

წვენის ხარისხობლივი შეფასება მისი მიღების მეთოდის მიხედვით ნაჩვენებია ცხრილი 8-ში

ცხრილი 8

ტყემლის წვენის დახასიათება

მაჩვენებლები	წვენის წარმოების მეთოდი	
	დაწნეხვით	ორჯერადი ექსტრაქცია (ნაყოფის ექსტრაქციულ გადაანგარიშებაზე)
მშრალი ნივთიერები შემცველობა რეფრაქტომეტრით %%	9,0	9,0
მშრალი ნივთიერების შემცველობა გამოშრობით %%	9,34	9,54
საერთო შაქარი	3,84	3,87
ინვერტული შაქარი	3,41	3,57
საქაროზა	0,41	0,29
მჟავობა (გადაანგარიშებული ლიმონის მჟავაზე)	3,36	3,32
პექტინი % %	0,4508	0,8612
ვიტამინი C	არ არის	არ არის
მთრიმლავი ნივთიერება %%	0,040	0,054
მღებავი ნივთიერება	0,173	0,208
PH	3,0	3,0
წვენის გარეგნული ელფერი	ღვინის ფერი, არაგამჭვირვალე, შეიცავს ნაყოფის რბილობის შეწონილ ნაწილაკებს	ღვინის ფერი, გამჭვირვალე, აქვს ოდნავი სიმღვრიე
ხვედრითი წონა	1,040	1,040
სიბლანტე (შეფარდებით)	4,5	11,0

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ექსტრაქტით მიღებული წვენი თავისი ქიმიური შედგენილობით ნაკლებად განსხვავდება ნაყოფის უშუალო დაწნეხვით მიღებული წვენისაგან, ამიტომ თუ გავითვალისწინებთ, რომ ექსტრაქციის დროს გამოსავალი გაცილებით მეტია, უპირატესობა ტყემლის წვენის წარმოებაში ამ მეთოდს უნდა მიენიჭოს.

დადგენილი იქნა ტყემლის წვენის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 9

ტყემლის წვენის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები.

საერთო ექსტრაქტიულობის დამოკიდებულება მჟავასთან	წვენის ორგანოლეპტიკური შეფასება
6-მდე	წვენი ძლიერ მჟავაა, სასმელად არ გამოდგება
6- 9- მდე	წვენი მჟავაა, გამოიყენება, როგორც სასმელი სპეციფიკური მაღალ მჟავობით.
13-დან 18-მდე საშუალო მნიშვნელობა 1,5	მომჟავო-მოტკბო, სასიამოვნო სასმელი, კარგად გამოსახული ტყემლის არომატით.
18-ს ზემოთ	ტკბილიდან ძლიერ ტკბილამდე, შეიძლება რეაქტიულ იქნეს, როგორც ტყემლის სიროფი.

3.3.3. ტყემლის კონცენტრატების წარმოება

ტყემლის კონცენტრატი, როგორც მაღალი მჟავობის მქონე პროდუქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ძვირფასი ნახევარფაბრიკატი სასაქონლო სიროფის და სხვა წარმოებაში. ამასთან ერთად ტყემლის წვენის რეალიზაცია კონცენტრატის სახით იძლევა ტრანსპორტის და სატრანსპორტო ხარჯების ეკონომიას.

ტყემლის წვენის კონცენტრაცია უნდა ხდებოდეს ვაკუუმ-აპარატში 600მმ ვერც. სვეტის გაიშვიათების ფარგლებში. ამ მიზნისათვის გამოსადეგია უჟანგავი ლითონისაგან დამზადებული ვაკუუმ-აპარატი.

ცდებმა გვიჩვენა, რომ ტყემლის წვენის კონცენტრირება შეიძლება ექსტრაქტულ ნივთიერებათა 50% შემცველობამდე, ასეთი კონცენტრაციის დროს მიიღება ალუბლისფერი სითხე, რომელიც შაქრებს შეიცავს 23% ფარგლებში. ხოლო მჟავებს - 12%-მდე. წვენის კონცენტრირებასთან ერთად მკვეთრად იზრდება მისი სიბლანტე, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან.

ქიმიური კვლილებებიდან წვენის კონცენტრირების დროს აღსანიშნავია მდებარე ნივთიერებათა დაშლა. რის შედეგადაც წვენის ფერი იცვლება მუქი ჟოლოსფერიდან დამახასიათებელი ბრწყინვით ღია ყავისფერამდე. წვენის გემოზე ეს ცვლილებები არ მოქმედებენ და განსაზღვრული კონცენტრატები ექსტრაქტულობის შესაბამისობისას არ გამოირჩევიან თავდაპირველი წვენისაგან.

კონცენტრატების ფერი და დიეტური თვისებები შეიძლება გაუმჯობესებულ იქნეს ასკორბინის მჟავას დამატებით 200-300 მგ% ფარგლებში.

ნაყოფი გულდასმით ინსპექციისა და გარეცხვის შემდეგ იტვირთება ექსტრაქტორში, რომელიც წარმოადგენს უჟანგავი ლითონის დახურულ ჩანს ორმაგი ორთქლის პერანგით და წვენის გამოსაშვებით, აგრეთვე კანისა და კურკების გამოსატვირთი სპეციალური მოწყობილობით.

ექსტრაქტორში ნაყოფი და წყალი იტვირთება შეფარდებით 1:1. ექსტრაქტორის დატვირთვის შემდეგ ორმაგ პერანგში შედის ორთქლი მასის 90°C-ით გათბობამდე და ამ ტემპერატურის შესანარჩუნებლად 20 წუთის განმავლობაში შემრევი უწყვეტად მუშაობს. პირველი ექსტრაქციის წვენის გამოშვების შემდეგ ნაყოფს მთლიანად ესხმება წყალი ნაყოფის დაფარვამდე და ექსტრაქცია მეორე დეზა 20 წუთის განმავლობაში 90°-ზე.

მიღებული ექსტრაქტები იფილტრება, ფილტრაცია დასაწყისში უხეშია; ნაყოფის რბილობის მსხვილი ნაწილაკების დასაცილებლად მას მისდევს ექსტრაქცია ფილტრ-წნეხზე გატარებით წნევის ქვეშ. გამჭვირვალე ექსტრაქტი გადაიტვირთება ვაკუუმ-აპარატებში, სადაც ხდება კუპაჟირება ან კონცენტრირება 500 - 600 მმ ვერცხ. სვ. ვაკუუმის ქვეშ.

კონდიციამდე დაყვანილი პროდუქტი გადის სტერილიზაციას შესაბამისი რეჟიმით და დაფსოვდება ასეპტიკურ ტომრებში.

დასკვნები

- ტყემლის შერჩეული ჯიშები და ფორმები ხასიათდებიან მაღალი კვებითი ღირებულებით (მშრალი ნივთიერება 16%-მდე), კარგი ტექნოლოგიური თვისებებით;

- ტყემლის ნაყოფები, გამოირჩევა გლუკოზის მაღალი შემცველობით, მისი შემცველობა თითქმის 2-ჯერ აღემატება ფრუქტოზის შემცველობას, ტყემლის სხვადასხვა ჯიშსა და ფორმაში საქაროზა განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

- ყველა ჯიშისათვის ვაშლმჭავას შემცველობა აჭარბებს (2,01%-დან 2.50%-მდე) ტყემლის ნაყოფებში ჩვენს მიერ განსაზღვრული სხვა მჭავების რაოდენობას. რაოდენობრივად ყველაზე მცირე ტყემლის ნაყოფში ლიმონის მჭავაა; ტყემლი ნედლეულის 3 თვის განმავლობაში გაყინულ მდგომარეობაში შენახვისას იცვლება მისი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. მცირდება მშრალი ნივთიერების (1,5-3,0 %), შაქრის (4,5-6,0 %) შემცველობა. მთლიანი მჭავების შემცველობა იზრდება (2,8-დან 3,3%-მდე დიაპაზონში).

შენახვისას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის უმნიშვნელო შემცირება მნიშვნელოვნად არ მოქმედებს ტყემლის ნაყოფის კვებით ღირებულებაზე.

- **Prunus cerasifera Ehrh.-ს** შერჩეული ჯიშის ნაყოფები ხასიათდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ფულექციონალური სურსათის წარმოებისათვის, ასევე ტრადიციული ნაციონალური პროდუქტების დასამზადებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. EU 432/2012 Commission Regulation. Official Journal of European Union (2012) <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2012/432/oi> [Google Scholar]
2. E.V. Alekseenko, E.A. Bystrova, G.V. Semenov, G.N. Dubtsova, N.G. Mashentceva, Asian. J. Pharm., 12(2), 466–476 (2018) <http://doi.org/10.22377/aip.v12i02.2377> [Google Scholar]
3. A.C. Carr, J. Lykkesfeldt, Crit. Rev. Food Sci. Nutr., 61(5), 742–755 (2021) <http://doi.org/10.1080/10408398.2020.1744513> [Google Scholar]
4. M. Efenberger-Szmechtik, A. Nowak, A. Czyzowska, Crit. Rev. Food Sci. Nutr., 61(1), 149–178 (2021) <http://doi.org/10.1080/10408398.2020.1722060> [Google Scholar]
5. I.V. Sobol, L.V. Donchenko, L.Y. Rodionova, A.G. Koschaev, A.V. Stepovoy, Asian. J. Pharm., 11(1), 97–100 (2017) <http://doi.org/10.22377/aip.v11i01.1095> [Google Scholar]
6. E.G. Maxwell, N.J. Belshaw, K.W. Waldron, V.J. Morris, Trends Food Sci. Technol., 24(2), 64–73 (2012) <https://doi.org/10.1016/j.tifs.2011.11.002> [Google Scholar]
7. L.Y. Rodionova, I.V. Sobol, L.V. Donchenko, IOP Conf. Ser.: Earth Environ. Sci., 624, 1–6 (2021) <http://doi.org/10.1088/1755-1315/624/1/012166> [Google Scholar]

სატყეო საქმის მიმართულება

შემსრულებლები: ლაშა დოლიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - სამეცნიერო ხელმძღვანელი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თბილისი, საქართველო;
არჩილ ძირკვაძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი; დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტი; ბათუმი, საქართველო;
მერაბ მამულაძე - ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.

თემა: ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება

საუკუნეებია, რაც ადამიანი მცენარეებს იყენებს, როგორც ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას. ამისათვის კი ის საჭიროებს ფართო ცოდნას და გამოცდილებას. შეგროვების მეთოდებმა არ უნდა დააზიანოს გარემო. მათ უნდა უზრუნველყონ ოპტიმალური პირობები შესაგროვებელი მცენარეების რეგენერაციისათვის. შეგროვება უნდა მოხდეს დაუბინძურებელ გარემოში ან მინიმალური დაზიანებით დაზიანებების წყაროებიდან. არ უნდა შეგროვდეს: იშვიათი სახეობები, გადაშენების პირას მისული სახეობები, სახეობები, რომლებიც შეტანილია წითელ ნუსხაში. აგრეთვე ის სახეობები რომლებიც შეიძლება განადგურდეს ან დაზიანდეს შეგროვების შედეგად. უნდა შეგროვდეს მხოლოდ ზრდასრული მცენარეები ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილზე შესაგროვებელ არეალში.

თემატიკიდან გამომდინარე 2025 წელს მოვახდინეთ მაღალმთიანი აჭარის არყის გავრცელების სარტყელში არსებული სამკურნალო მცენარეების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება. ეს სახეობებია: არყის ხე, სოკო ჩაგა, ჯადვარი, მთის ჩადუნა, წითელი მოცვი, ჩვეულებრივი მოცვი, ხეჭრელი, ნეგო, ხეშავი, ჟანგისფერი სათითურა.

არყი, არყის ხე (Betula)

არყი, არყის ხე (Betula) — ფოთოლმცვენი ხეებისა და ბუჩქების გვარი არყისებრთა ოჯახისა, რომელიც 20 მ სიმაღლემდე იზრდება. ქერქი თეთრია ან ყომრალი. მორიგეობით განლაგებული მომრგვალო მარტივი ფოთლები კიდემთლიანია. ყვავილები შეკრებილია მჭადა ყვავილებად. ნაყოფი ბრტყელი კაკალია, რომელსაც ორი აკვისებრი ფრთა აქვს. მრავლდება თესლითა და ძირკვის ამონაყარით. ცნობილია 130-მდე პოლიმორფული სახეობა, რომლებიც გვხვდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში აგრეთვე სუბტროპიკულ მთებში (სურ. 1).



სურ. 1. არყი *Betula* - საკამბეჩო, 6. 09. 2025 წ

საქართველოში 5 სახეობაა. აჭარა-გურიაში მთის ზედა სარტყელსა და სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებში გვხვდება მედვედევის (*Betula medwedewii*); კოლხეთის ენდემი მეგრული არყი (*Betula megrelica*) გავრცელებულია სამეგრელოსა და სვანეთის მთებში; რადეს არყი (*Betula raddeana*) - კავკასიონის ჩრდილოეთ კალთების ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში; ლიტვინოვის არყი (*Betula pubescens*) ყველაზე გავრცელებული სახეობაა, დიდი რაოდენობითაა კავკასიონის და სამხრეთ მთიანეთის კალთებზე, ხოლო მეჭეჭიანი ანუ მტირალა არყი (*Betula pendula*) კავკასიაში ყველგან გვხვდება.

არყი სინათლის მოყვარული და ტენის მომთხოვნია. ზოგი სახეობა შედარებით მშრალ პირობებს ეგუება, სიცივისა და ყინვის ამტანია. ცოცხლობს 150 წელზე მეტს. ქმნის წმინდა კორომებს (არყნარებს) ან შერეულია სხვა მერქნიან მცენარეებთან. მერქანს იყენებენ საფანერო და საავეჯო წარმოებაში, მანქანათმშენებლობაში ზოგიერთი დეტალისათვის. არყის წვენი შეიცავს შაქარს და იყენებენ ბურახისა და სიროფის დასამზადებლად. კვირტები და ფოთლები იხმარება მედიცინაში.

არყნარი ჩვეულებრივ შეიძლება განვითარდეს მეორეული ტყის სახით წიწვოვანი ან შერეული ტყეების გაჩეხვის ადგილებსა და ნახანძრალეებზე. შექმნილია ბუსუსიანი (მშრალსა და დრენირებულ ნიადაგზე) და მეჭეჭიანი (ტენიან ნიადაგზე) არყით. არყი სინათლის მოყვარული და ტენის მომთხოვნია. ზოგი სახეობა შედარებით მშრალ პირობებს ეგუება, სიცივისა და ყინვის ამტანია. ცოცხლობს 150 წელზე მეტს. ქმნის წმინდა კორომებს (არყნარებს) ან შერეულია სხვა მერქნიან მცენარეებთან. მერქანს იყენებენ საფანერო და საავეჯო წარმოებაში, მანქანათმშენებლობაში ზოგიერთი დეტალისათვის. არყის წვენი შეიცავს შაქარს და იყენებენ ბურახისა და სიროფის დასამზადებლად. კვირტები და ფოთლები გამოიყენება მედიცინაში.

არყის ფოთლები შეიცავს ეთერზეთს, საპონინებს, C-ვიტამინს. კვირტები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელიც წარმოადგენს ყვითელ სითხეს სასიამოვნო ბალზამური სუნით. ნედლეულს გააჩნია ძლიერი ბაქტერიოციდური, ანტისეპტიკური, ნალველმდენი და შარდმდენი მოქმედება, ხალხში არყის ფოთლებს იყენებენ აბაზანებისათვის რადიკულიტისა და რევმატიზმის დროს, თმის ზრდის დასაჩქარებლად ფოთლების ნახარშით იბანენ თავს. დადგენილია არყის ახალი ფოთლების ანთების საწინააღმდეგო მოქმედება სიყვითლის და თირკმლების კოლიტისას. ფოთლების გამონახარშს იყენებენ გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული შემუპებისას.

არყის მერქნის აქტივირებულ ნახშირს ხმარობენ როგორც აბსორბენტ საშუალებას მუცლის შებერვისას და სხვადასხვა მოწამვლებისას. არყის ხის წვენი საუკეთესო ვიტამინური საშუალებაა. ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოიხმარენ წვენს, არ უჩივიან მარილების დაგროვებასა და ქოლესტერინს. არყის ხის სოკოს იყენებენ კუჭნაწლავის დაავადებების დროს ნაყენების და ექსტრაქტების სახით, აგრეთვე ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისას.

ჩვენი კვლევის ობიექტზე არყნარი უფრო ხშირად გავრცელებულია მაღალ მთებში და ძირითადად სუბალპურ ტყეებს ქმნის. არყნარი ორი ტიპისაა — სუბალპური მეჩხერი და სუბალპური ტანბრეცილი. ტანბრეცილობის მიზეზი თოვლის ხანგრძლივი მექანიკური მოქმედებაა. ზღვის დონიდან 1300-2600 მ ფარგლებშია გავრცელებული, უმთავრესად ჩრდილოეთ და დასავლეთ კალთებზე. გვხვდება ლიტვინოვის, მეჭეჭიანი, რიდეს, მედვედევისა და მეგრული არყისაგან შექმნილი არყნარი. აღნიშნული სახეობების უმრავლესობა ენდემურია და მესამეული პერიოდის რელიქტებს განეკუთვნება. ნიადაგდაცვისა და წყალშენახვის თვისებების გამო არყნარს დიდი მნიშვნელობა აქვს (სურ. 2).



სურ. 2. არყნარი, სოფ. ტბეთის მიმდებარედ - 10. 08. 2025 წ

არყის ხის სოკოს იყენებენ კუჭნაწლავის დაავადებების დროს ნაყენების და ექსტრაქტების სახით, აგრეთვე ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისას.

ჭვანის სატყეო, კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X – 265878,1; Y – 4626799,7);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

შუახევის სატყეო, კვ. 48. (GPS - კოორდინატები: X - 267160,0; Y – 4599681,2);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 288269,8; Y – 4594831,4);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ლორჯომის სატყეო, კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 291504,4; Y – 4623505,6);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X – 293730,8; Y – 4605189,8);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ზეგანის სატყეო, კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X – 296759,0; Y – 4612667,0); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X – 297378,1; Y – 4608825,2);

კვ. 2. (GPS - კოორდინატები: X – 292329,9; Y – 4618437,5);
რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

სოკო ჩაგა

სოკო ჩაგა (*Inonotus obliquus*) — ბაზიდიუმი სოკო ინონოტუსის გვარისა. ხალხურ მედიცინაში ჩაგას ექსტრაქტი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებათა და სიმსივნის წინააღმდეგ სამკურნალოდ.

სოკო ჩაგა ვითარდება ხნიერ ცოცხალ არყის ხეზე ამობურცული ამონაზარდის სახით გახვევებული სხეული, რომლის ზედაპირი უსწორმასწოროდაა დახეთქილი, შავია, ადგილ-ადგილ მუქი ან მურაა. გაჭრისას შიგნიდან მურაა, მოთეთრო ჩანართებით. სოკოს ნაყოფსხეული ვითარდება არყის ხის გახმობის შემდეგ ამობურცული სხეულის მოპირდაპირე მხარეს; ნაყოფსხეული ბრტყელია და ხანგრძლივად დაფარულია არყის ქერქით, ჯერ ღია მურაა, შემდეგ კი მუქდება. იზრდება მხოლოდ ხნიერ არყის ხეებზე, მრავალწლიანია.

ხალხურ მედიცინაში ჩაგას ექსტრაქტი გარკვეული ტექნოლოგიითა და დოზით გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებითა და კიბოს წინააღმდეგ სამკურნალოდ.

ჩაგა წარმოიშობა პარაზიტი სოკო *Inonotus obliquus*-ის მიერ ხის დაინფიცირების შემდეგ. სპორები აღმოცენდება მხოლოდ მაშინ, თუ კი მოხვდება დაზიანებული ხის ქერქში. ნაყოფსხეული ძირითადად წარმოიშობა ხნიერ ცოცხალ არყის ხეზე (იშვიათად მურყანზე, ცირ ცელზე, თელაზე, ასევე ნეკერჩხალზე).

სოკო ჩაგა არ მიეკუთვნება საჭმელად ვარგისი სოკოების რიცხვს, თუმცა ძალიან ბევრს სმენია მისი სამკურნალო თვისებების შესახებ. ის იზრდება არყის ხეზე, რის გამოც, მას არყის ხის სოკოსაც უწოდებენ. თუმცა მისი ფორები ხშირად შეიძლება მოეზნოს სხვა ხეების ფესვებსაც და ამის შემდეგ ის სხვა ჯიშის ხეებსაც გაუჩნდეს. ზრდასრული ჩაგას დიამეტრმა შეიძლება ნახევარ მეტრს მიაღწიოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მისი დიამეტრი 15-20 სმ-ია (სურ. 3).



სურ. 3. სოკო ჩაგა - განვითარებული არყის ხეზე, ხულო, ბიჩენეგები - 06. 09. 2025 წ

სოკო ჩაგა არ მიეკუთვნება საჭმელად ვარგისი სოკოების რიცხვს, თუმცა ძალიან ბევრს სმენია მისი სამკურნალო თვისებების შესახებ. ის იზრდება არყის ხეზე, რის გამოც, მას არყის ხის სოკოსაც უწოდებენ. თუმცა მისი ფორები ხშირად შეიძლება მოეზნოს სხვა ხეების ფესვებსაც და ამის შემდეგ ის სხვა ჯიშის ხეებსაც გაუჩნდეს. ზრდასრული ჩაგას დიამეტრმა შეიძლება ნახევარ მეტრს მიაღწიოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მისი დიამეტრი 15-20 სმ-ია (სურ. 3).

სოკო უკვე დიდი ხანია გამოიყენება, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება. ფიქსირდება ონკოლოგიური პაციენტების სრული გამოჯანმრთელების შემთხვევები, რომლებიც ადრეული სტადიის სიმსივნის დროს მოიხმარდნენ ჩაგას სოკოს. ის შეიცავს 215 სხვადასხვა ნივთიერებას, 29 სახის პოლისაქარიდებს, 300-ჯერ ზრდის იმუნიტეტის აქტივობას, არ შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებებს, ამაღლებს ორგანიზმის თავდაცვის უნარს, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და არეგულირებს წნევას.

სოკო ჩაგას გამოირჩევა სასარგებლო თვისებებით, გამოიყენება გინეკოლოგიური დაავადებების, გასტრიტის, დაბალი მჟავიანობის, ინტოქსიკაციის, ქრონიკული დაღლილობის, სისუსტი და დაბალი წნევიანობის დროს.

თუმცა, ჩაგას ყველაზე ცნობილი მოქმედებაა - ახალი ონკოლოგიური წარმონაქმნების შეჩერება და ზოგჯერ განადგურება. გარდა ამისა მისი გამოყენება გამართლებულია პროფილაქტიკის მიზნითაც, რათა თავიდან იქნას აცილებული ონკოლოგიური დაავადებები. იმ ადამიანებს შორის, ვინც სოკოს ჩაის რეგულარულად მოიხმარს ონკოლოგიური დაავადებები გაცილებით ნაკლებად შეიმჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაგა ძალიან პოპულარულია, მისი შემადგენლობა ბოლომდე ჯერ კიდევ შეუსწავლელია. სწავლულებმა ამ სამკურნალო სოკოში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით „ფტერინები“. სწორედ ეს ნივთიერება აჩერებს უჯრედის გაყოფის პროცესს ორგანიზმში. პოლისაქარიდები აშთობენ სიმსივნურ წარმონაქმნს, ხოლო ფტერინი არ აძლევს მას გაზრდის საშუალებას. ტანინები კი დამხმარეა წყლულებისა და ეგზემის დროს. ჰუმინო და აგარიცინის მჟავები ამცირებენ ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს. სოკოში არსებული მჟავებია: ჭიანჭველას, ძმრის და მჟაუნმჟავის, აჩქარებენ ორგანიზმში ჟანგვა-აღდგენით პროცესს.

ფლავანოიდები აძლიერებენ გულს, აუმჯობესებენ თირკმლების ფუნქციას და დადებითად მოქმედებენ მხედველობის პრობლემების დროს.

მინერალები (ვერცხლი, კალიუმი, ცინკი, სპილენძი, კადმიუმი, ბარიუმი) დამხმარეა გასტრიტის დროს.

სოკო ჩაგას მომზადების წესი

1 ს.კ. ნედლეულს ესხმება ადუღებული წყალი, ის უნდა გაჩერდეს 15 წუთი. ნაყენი მიიღება ჭამის დროს დღეში სამჯერ ნახევარი ჭიქა.

1 ჩ.კ. სოკოს უნდა დაესხას ცხელი წყალი (5 ჭიქა), უნდა გაჩერდეს 48 სთ. ბნელს და ცივ ადგილას. ნაყენი უნდა გაიფილტროს და გაიწუროს. მიიღება დღეში სამი ჭიქა. კურსის ხანგრძლივობაა ერთი თვე.

10 ს.კ. ნედლეული თავსდება ბოთლში (0,5 ლ) სპირტთან ერთად და ჩერდება ორი კვირის მანძილზე. ნაყენი სასარგებლოა კანის დაავადებების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ სოკო ჩაგას უამრავი სასარგებლო თვისებები აქვს, მისი გამოყენებისას აუცილებელია გამოიჩინოთ სიფრთხილე. სოკოში არსებული მჟავები არ ეთავსება გლუკოზას და პენიცილინებს. იმ პაციენტებმა, რომლებიც მიდრეკილნი არიან დიარეისკენ თავი უნდა შეიკავონ მკურნალობისას სოკო-პარაზიტის გამოყენებისგან.

ჭვანის სატყეო, კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X – 265878,1; Y – 4626799,7);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

შუახევის სატყეო, კვ. 48. (GPS - კოორდინატები: X - 267160,0; Y – 4599681,2);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 288269,8; Y – 4594831,4);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 291504,4; Y - 4623505,6);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ხიხამირის სატყეო, კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 293730,8; Y - 4605189,8);

სიმცირის გამო არაა რეკომენდებული მისი დამზადება.

ზეგანის სატყეო, კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 296759,0; Y - 4612667,0); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 297378,1; Y - 4608825,2);

კვ. 2. (GPS - კოორდინატები: X - 292329,9; Y - 4618437,5);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ჯადვარი, ორქიდეა (*Orchis*)

ჯადვარი, ორქიდეა (*Orchis*) — მცენარეთა გვარი ჯადვარისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. თავთავისებრ ყვავილედში თავმოყრილი აქვთ ვარდისფერი, ლილისფერი, სოსანი, მეწამული ან (იშვიათად) მოყვითალო ყვავილები (სურ. 4).

ცნობილია 115-მდე სახეობა, რომლებიც გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა, ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 20-მდე სახეობაა. იზრდება ტყის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე ტყეებში, ტყის პირებზე და ბუჩქნარში, მდელოზე, ტენიან და დაჭაობებულ ადგილებზე. ქართული ჯადვარი (*Orchis iberica*) ვარდისფერყვავილოანია, კავკასიური ჯადვარი (*Orchis caucasica*) — მუქი მეწამული. *Orchis flavescens* — მოყვითალო.

ზოგი სახეობის ფესვისეულ გამომშრალ ტუბერს — მედიცინაში იყენებენ. დეკორატიული მცენარეებია.

მედიცინაში ჯადვარის ტუბერს აგრეთვე იყენებენ კოლიტის, გასტრიტის, ზედა სასუნთქი გზების კატარის და პირის ღრუს ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ. ჯადვარი ხალხურ მედიცინაში დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ენერგიის, ძალ-ღონის აღმდგენი საშუალება.



სურ. 4. ჯადვარი - *Orchis* - მთა ლომა, 20. 07.2025 წ

ჯადვარის ღეროს ძირში, მიწაში, ადამიანის ხელის მტევნის მსგავსი ორი ტუბერი აქვს - ერთი მუქი ნაცრისფერი და მოშვებულია. ეს გასული წლის ტუბერია, გამოფიტული და უვარგისია. მეორე, ღია, მოყვითალო-მოთეთრო და გაჭედილია, ეს ახალი, სამკურნალოდ ვარგისი ტუბერია.

ტუბერს ყვავილობის ან დაყვავილებისთანავე აგროვებენ, მდულარე წყალში 5 წუთამდე ამყოფებენ და ჩრდილში ახმობენ, რომ არ გაღვივდეს და ნედლეული არ გაფუჭდეს.

ჯადვარის ტუბერებს ფხვნიან, ასხამენ ცხელ წყალს და ნაყენის სახით სვამენ. გამოიყენება ექიმის რეკომენდაციით.

ჯადვარი უფრო ხშირად გვხვდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, აგრეთვე, მდელოებზე და იშვიათად დაჭაობებულ ადგილებში.

მედიცინაში ჯადვარის ახალი ტუბერაკები გამოიყენება, რომელსაც ყვავილობის ან დაყვავილებისთანავე აგროვებენ მდულარე წყალში 5 წუთამდე ამყოფებენ და ჩრდილში ახმობენ, ეს იმიტომ, რომ ტუბერაკი არ გაღვივდეს და ამით ნედლეული არ გაფუჭდეს. ტუბერაკების შეგროვების საჭიროა დაკვირება.

ადამიანის ხელის მტევანის მსგავსი ორი ტუბერაკია ჯადვარის ღეროს ძირში. მიწაში, ერთი მათგანი მუქნაცრისფერი და მოშვებულია. ეს გასული წლის ტუბერაკია, გამოფიტული და უვარგისია. მეორე კი ღია მოყვითალო-მოთეთრო და გაჭედილია, ესაა მიმდინარე წლის ახალი სამკურნალოდ ვარგისი ტუბერაკი.

ჯადვარის გამშრალი ძირბოლქვისაგან დამზადებულ პრეპარატებს „სალექს“ ეძახიან და იყენებენ, როგორც შიგნით მისაღებ შემომგარსველ „საშუალებას, უმთავრესად ბავშვების ნაწლავთა კატარის შემთხვევაში, აგრეთვე ზოგიერთი მოწამვლის დროს.

„სალექს“ უნიშნავენ დასალევად ან ოყნის სახით (ა. ს. ბელიკოვი, ვ. ნ. ვოროშილოვი, 1962), ა. დ. ტუროვას (1974) მიხედვით ჯადვარის ტუბერს იყენებენ კოლიტის, გასტრიტის და გასტრიტული ვარიანტის წყლულოვანი დაავადების დროს. იყენებენ აგრეთვე ზედა სასუნთქი გზების კატარის და პირის ღრუს ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ.

გამოიყენება სალექსის ლორწო, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებენ: ჯადვარის ტუბერებს ფხვნიან, ასხამენ ცხელ წყალს შეფარდებით: 2 გ ტუბერების ფხვნილი 200 მლ მდულარე წყალზე, თქვეფავენ კოვზით 10-15 წუთის განმავლობაში სვამენ თითო სუფრის კოვზს ჭამის წინ რამდენიმეჯერ დღეში და ღამით ძილის წინ. იკეთებენ ოყნის სახითაც — 50 მლ ერთი ოყნისათვის.

ხალხურ მედიცინაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯადვარი, როგორც ენერჯის აღმდგენელი საშუალება. ირანული წყაროების მიხედვით სხვა საჭმლის უქონლობისას დღე-ღამეში მოზრდილი ადამიანისათვის საკმაოა 40,0 გ ჯადვარის ტუბერის ფხვნილი ემულსიის სახით წყალზე მომზადებული; კიდევ უკეთესია თუ ემულსია რძით მომზადდება.

ირანელთა რეკომენდაციით კარგია სათადარიგოდ ვიქონიოთ ჯადვარის ტუბერაკები შორეული გადასვლების დროს: თათარი მხედრები ყოველთვის თან ატარებდნენ ჯადვარს ტუბერებს საკვების უკმარისობის შემთხვევისათვის. მ. ა. ნოსალს (1960) საკუთარ თავსა და ოჯახის წევრებზე დაკვირვებით შენიშნული აქვს, რომ ჯადვარი ძალ-ღონის აღმდგენი მართლაც კარგი საშუალებაა, სვამენ ნახარშს - 3,0-10,0 გ ტუბერები 180 გ წყალზე, კუჭაშლილობის, მსხვილი ნაწლავის კოლიტის და საშარდე ბუშტის კატარის სამკურნალოდ. ნახარშს შემდეგნაირად ამზადებენ: საჭირო დოზის ფხვნილს 10 ნაწილ ანადუღარ ციგ წყალში ათქვეფავენ, შემდეგ უმატებენ 90 ნაწილ მდულარე წყალს და ხელახლა თქვეფავენ მანამდე ვიდრე არ მიიღება სქელი, ერთფეროვანი, უფერული და რამდენადმე გამჭვირვალე სითხე (ლორწო). წყლის მაგიერ შესაძლოა რძის გამოყენება, რაც დიდად ამაღლებს ჯადვარის ყუათიანობას.

ჯადვარის წელიან ნადღვებს, წარმატებით იყენებენ კუჭაშლილობისას, მათ რიცხვში დიზენტერიის დროს: ჯადვარის ემულსიას უმატებენ სელის თესლის ნახარშს (1 ჩაის კოვზი სელის თესლი 1 ჭიქა მდულარე წყალზე).

ზაფხულში ბავშვების კუჭაშლილობისას მ. ა. ნოსალის მიერ გამოყენებული იყო ჯადვარი შემდეგი დოზით: 120.0 გ ჯადვარის ტუბერაკების ფხვნილი და 86? სპირტი, მხოლოდ 0.5 გრამამდე ყოველ ორ საათში ჩაის კოვზით. იმავე ავტორის რეკომენდაციით ჯადვარი აუცილებელი საშუალებაა მოხუცების მოსამაგრებლად, ტუბერკულოზიანების, მძიე დაავადებაგადატანილი ადამიანების. ხანგრძლივი სისხლ-დენით დასუსტებულთა (მათ შორის ბუასილიანთა) მოსამაგრებლად. |

ბულგარეთის მედიცინა ურჩევს ჯადვარის ნაყენის გამოყენებას, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებენ: 1 ჩაის კოვზ ჯადვარის ტუბერის ფხვნილს ერთ ჭიქა მდულარე წყალს ასხამენ და 15 წუთით თბილ ადგილზე დგამენ. ნაყენს ცხელ მდგომარეობაში სვამენ. ბავშვებს კუჭამლილობისას ცივ მდგომარეობაში ასმევენ.

ჭვანის სატყეო, კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 267834,7; Y - 4628228,5);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

შუახევის სატყეო, კვ. 47. (GPS - კოორდინატები: X - 267595,8; Y - 4610959,6); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 275606,2; Y - 4630540,1); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173,1; Y - 4627557,4); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286 027,5; Y - 4596041,8);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება;

ღორჯომის სატყეო, კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 286 063,2; Y - 4625704,3); კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 291498,4; Y - 4624151,8); 4619771,3); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 285525,0; Y - 4607966,8); კვ. 3. (GPS - კოორდინატები: X - 296874,1; Y - 4602336,3); კვ. 1. (GPS - კოორდინატები: X - 287376,9; Y - 4600490,8);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 289 837,5; Y - 4616199,2); კვ. 16. (GPS - კოორდინატები: X - 290549,5; Y - 4611577,9); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

მთის ჩადუნა - *Dryopteris filix-mas*

ჩადუნა, მამრობითი გვიმრა *Dryopteris filix-mas* — მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ასპიდიუმისებრთა ოჯახისა, იზრდება ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტყის ზონაში.

ჩადუნა ჩვენში ყველაზე ფართოდ გავრცელებული გვიმრაა; ამის გამო თვით გვარსაც ჩადუნა ეწოდება. გვარი 150-მდე სახეობას მოიცავს. გვხვდება დედამიწის ზომიერ და ტროპიკულ ზონებში. საქართველოში გვხვდება 9 სახეობა, ჩადუნას გარდა ფართოდაა გავრცელებული *Dryopteris carthusiana*, მაღალ მთებში გვხვდება კავკასიური ენდემი, *Dryopteris oreades*, მთის ქვედა და შუა სარტყელში — *Dryopteris borreri*. საქართველოში აღწერილი 3 სხვა სახეობა გავრცელებულია თურქეთშიც, მიწის ზევით განვითარებული ღერო არ გააჩნია. ფესურა კი კარგადაა განვითარებული და ძველი ფოთლების ყუნწების ძირებსა და მრავალ თხელშრიან ქერქშია გახვეული.

კენტფრთართული დიდი ზომის ფოთლები ფესვის ყელთან ჯგუფურადაა შეკრებილი; ჩვილი ფოთლები სპირალურადაა დახვეული და ზრდის მსვლელობაში თანდათან სწორდება ზეაღმართვით. ჩადუნა ჩვეულებრივ ნესტიან ტყეებშია გავრცელებული (წიფლნარები და სოჭნარ-ნაძვნარები). ერთეულ დაკნინებული ეგზემპლარების სახით ზოგჯერ მუხნარებშიაც გვხვდება. ჩადუნას ნორჩი სპირალურად დახვეული ფოთლები ზოგან საჭმელად გამოიყენება მხალის სახით (სურ. 5, 6). სამკურნალოდ ფესურა გამოიყენება, როგორც სოლიტერის საწინააღმდეგო ძლიერ მოქმედი საშუალება, ამ მიზნით გამოიყენება მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში, აგრეთვე ვეტერინარიაშიც.



**სურ. 5. მთის ჩადუნა, მწანე ტბის მიმდებარედ
3. 08. 2025 წ.**



**სურ. 6. მთის ჩადუნა, კოსლითავი
30. 07. 2025 წ.**

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ფენოლოურ ნაერთებს და ანთოციანებს; ფესურაში ამის გარდა აღინიშნება ტრიტერპენოიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, უმაღლესი ალიფატური სპირტები და ცხიმოჟავები; ფოთლებში ნაპოვნია ეთერზეთები, ვიტამინი C, ფლავონოიდები, უმაღლესი ცხიმოჟავები, მათ რიცხვში ლინოლინის, პალმიტინის, ოლეინის, ლინოლენის, სტეარინის; ლიპიდები, სახამებელი, მწარე ნივთიერებები. სამკურნალოდ ფესურა გამოიყენება. ცნობილია მისი ფარმაცევტული პრეპარატები ექსტრაქტების, ფხვნილებისა და კომპლექსური შენაერთების სახით. მეცნიერულ მედიცინაში ფესურა გამოიყენება როგორც სოლიტერის საწინააღმდეგო ძლიერ მომქმედი საშუალება. იგივე დანიშნულებით ხალხურ მედიცინაში უხსოვარი დროიდან იხმარებოდა. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ხალხში ჩადუნა ცნობილია, როგორც სისხლდენის შემაჩერებელი და სიცხის დამწევი საშუალება. გარეგანად გამოიყენება საფეხების ან აბაზანების სახით ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, რევმატიზმის დროს; ფესურების წყლის ნახარში რეკომენდირებულია საჯდომის ნერვის დაავადებების, ხოლო სპირტიანი ნაყენი მშრალი პლევრიტის სამკურნალოდ.

საყურადღებოა ჩადუნას ძლიერ შხამიანობა, მისი სამკურნალოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით. გარდა აღნიშნულისა, არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ხალხში ჩადუნა ცნობილია, როგორც სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებაც.

შუახევის სატყეო, კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 272255,9; Y - 4609690,4); კვ. 2. (GPS - კოორდინატები: X - 265628,1; Y - 4611635,1); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 273887,1; Y - 4627708,6); კვ. 50. (GPS - კოორდინატები: X - 275239,2; Y - 4627680,0); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 58. (GPS - კოორდინატები: X - 282521,9; Y - 4597615,0); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 36. (GPS - კოორდინატები: X - 288 018,2; Y - 4622591,6); კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 291221,0; Y - 4624609,0); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხამირის სატყეო, კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 293 907,1; Y - 4598554,1); კვ. 19. (GPS - კოორდინატები: X - 288103,1; Y - 4600050,3); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 16. (GPS - კოორდინატები: X - 291 131,3; Y - 4610788,9); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

მოცვი - *Vaccinium*

მოცვი (*Vaccinium*) — მცენარეთა გვარი მანანისებრთა ოჯახისა, მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი ნახევრად ბუჩქები ან ბუჩქებია. აერთიანებს 100 - მდე სახეობას, საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა გვხვდება. მათგან სამი — მთის მოცვი (*Vaccinium myrtillus*), ლურჯი მოცვი (*Vaccinium uliginosum*) და წითელი მოცვი (*Vaccinium vitis-idea*) ბორეალური ელემენტებია და გავრცელებულია ჰოლარქტიკული სამყაროს სუბალპურ და ალპურ სარტყელში ერთი კი — კავკასიური მოცვი (ანუ მაღალი მოცვი) იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების კოლხური ტიპის ტყეებში და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში.

მთის მოცვი მეტად დაბალი ბუჩქია. ჩვენში იზრდება სუბალპურ ტყეებში, გვხვდება უფრო მაღლაც — დეკიანებში. ბევრია მთათუშეთში, წითელ მოცვთან და შქერთან ერთად ქმნის მოცვიანებს. ყვავის მაის-ივნისში, ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში.

მოცვის ნაყოფი მომჟავო ტკბილია. იჭმება ნედლად, ამზადებენ მურაბასაც, შეიცავს C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს. გამხმარ ნაყოფს ხმარობენ მედიცინაში კუჭის შემკვრელ საშუალებად. ნორჩი ფოთლების ნახარში საუკეთესო ოფლმდენი საშუალებაა. კარგი თაფლოვანი მცენარეა.

შავი მოცვი. 50 სმ სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები მოკლეყუნწიანია, 4-10 სმ სიგრძის მოგრძო-ელიფსური ან კვერცხისებური ფორმის. კიდეზე ხერხკბილა. ზედა მხარე მუქი მწვანეა, ქვემო – ლეგა. მეტ-ნაკლებად შებუსული. ყვევილები მარტოულია. გვირგვინი სფეროსებურია, მომწვანო ვარდისფერი. ნაყოფი შავია.

მცენარე გავრცელებულია სუბალპურ და ალპურ სარტყლებში, მდელოებზე, დეკიანებში, ტანდაბრეცილი ტყის პირებზე. კახეთში მისი ნახვა შესაძლებელია თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში (სურ. 7).

ნაყოფები გამოიყენება საკვებად ნედლი და გადამამუშავებული სახით. მოცვის საღებავი ნივთიერებები PH-ის ინდიკატორია და მჟავიანობის დაქვეითებისას ფერს ლურჯად იცვლის. იხმარება როგორც იისფერი მცენარეული საღებავი. თაფლოვანი მცენარეა. ნაყოფები შეიცავს ვიტამინებს (A, C, E, D), კაროტინს, გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს, უჯრედის, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, რძის, მჟაუნას, ნიკოტინის), მთრიმლავ და პექტინოვან ნივთიერებებს, Mg, Ca, Fe – ის მინერალურ მარილებს, მცენარეულ ინსულინს – ნეომირტილინს; ფოთლებში აღინიშნება – ფლავონოიდები, ორგანული მჟავები, მირტილინი, არბუტინი, მთრიმლავი ნივთიერებები, ასკორბინის მჟავა.

მოცვის ნაყოფი შეიცავს 12-77 პროცენტ მთრიმლავ ნივთიერებებს. ორგანულ მჟავას. 6 პროცენტამდე მჟარს, 10-75 პროცენტამდე ვიტამინ C-ს. ფოთოლში ნაპოენია მთრიმლავი ნივთიერებები, არბუტინი, აგრეთვე გლიკოზიდები, რომელთაც ინსულინის მსგავსი მოქმედების თვისება გაჩნიათ.



სურ. 7. შავი მოცვი - მთა ჩირუხი, 15. 08. 2025 წ

მოცვის ნაყოფების შემკვრელის თვისება ხალხში ოდითგანვეა ცნობილი. შემჩნეულია რომ მოცვის ნაყოფების მიღების შედეგად ღამით ხედვის უნარი ძლიერდება. ხალხურ მედიცინაში ყელის ტკივილის, გემოროიდული სისხლდენის, თირკმლების კენჭოვანი დაავადების, ნიკრისის ქარების და რევმატიზმის სამკურნალოდ გამოიყენება. ნაყოფს იყენებენ კისელების., სიროფების, მურაბების, ხილ-კენკროვანთა ღვინის, ნაყენების და ლიქიორის დასამზადებლად, აგრეთვე ღვინის შესაფერადებლად. ფოთლის ნახარშს დიაბეტის სამკურნალოდ იყენებენ.

ა. ი. შრეტერის (1962) მიხედვით ნაყოფები გამოიყენება როგორც შემკვრელი ფაქიზი საშუალება კუჭ-ნაწლავთა სისტემის მწვავე და ქრონიკული აშლილობის დროს, განსაკუთრებით ბავშვებისათვის და მოზრდილებში გამწვავებული ენტეროკოლიტების სამკურნალოდ.

ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, რომელიც მოქმედებს უჯრედებზე, ხელს უწყობს რეგენერაციული პროცესების გაძლიერებას, რის გამოც რეკომენდირებულია ორგანიზმის გასაახალგაზრდავებლად და ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისათვის.

ხასიათდება ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, შემკვრელი, შარდ-მდენი, სისხლდენის შემაჩერებელი, ანთებისა და ჭიის საწინააღმდეგო მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება „ქათმის სიბრმავის“, სურავანდის, სტომატიტისა და გინგივიტის, დიაბეტის, ფაღარათის, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, ჰემოროიდალური კვანძებიდან სისხლდენის, ჩირქოვანი ჭრილობების, ანემიის, შარდკენჭოვანი დაავადებების, ცისტიტის, ნიკრისის ქარების დროს. შეუცვლელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობის, კერძოდ საკვებით მოწამლვის დროს, რომლის თანმხლებია პირღებინება და დიარეზი. გარდა ამისა ხელს უწყობს ზრდის ჰორმონის – დოფომინის წარმოქმნას, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის ორგანიზმში რბილი და ძვლოვანი ქსოვილების ფორმირებაზე. ფოთლები შეიცავს მირტილინს, რომელიც შაქრის ავადმყოფობის სამკურნალოდ იხმარება. ააქტიურებს ტვინისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედებას, აუმჯობესებს მხედველობას.

უკუმაჩვენებელია შარდკენჭოვანი დაავადებების, პანკრეატიტის, ნაღველსადინარების პრობლემების დროს.

მოცვი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებებით გამორჩეული უნიკალური მცენარეა. მის ველურ წინაპარს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სახალხო მკურნალები. მოცვის კულტივირება მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხერხდა. კულტივირებული სახეობა ველურ

ნათესავეებზე დიდი ზომისაა, უფრო ხორციანია და მოთეთრო რბილობი აქვს. გარდა ამისა, უფრო ტკბილი და ნაკლებად არომატულია, რაც მისი განსხვავებული შემადგენლობით აიხსნება.

მოცვის ველურ და კულტივირებულ სახეობებში წყლის შემცველობა დაახლოებით ერთნაირია – 85 პროცენტი. ორივე ღარიბია ცილით და მდიდარია ნახშირწყლებით. ოდნავ განსხვავებულია ნუტრიენტების შემცველობა. 100 გრამი ნედლი მოცვი 40-60 კილოკალორიას აწვდის ორგანიზმს და შეიცავს დაახლოებით: 85 გ წყალს, 7 გ ნახშირწყლებს, 5 გ ბოჭკოს, 1 გ ცილას, 1 გ ცხიმს;

200 გ კულტივირებული მოცვი C ვიტამინის სადღეღამისო მოთხოვნილების დაახლოებით 30 პროცენტს ფარავს, მაშინ როცა 200 გ ველური მოცვი ფარავს C ვიტამინის სადღეღამისო მოთხოვნილების დაახლოებით 60 პროცენტს, E ვიტამინის სადღეღამისო მოთხოვნილების დაახლოებით 35 პროცენტს და K ვიტამინის სადღეღამისო მოთხოვნილების დაახლოებით 30 პროცენტს.

ველური მოცვი მანგანუმის მნიშვნელოვანი წყაროა. ეს მიკროელემენტი ხელს უწყობს კოლაგენის სინთეზს, ასტიმულირებს ხრტილისა და მალათაშუა დისკოს ქსოვილის წარმოქმნას და მნიშვნელოვან წვლილი შეაქვს თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში. მანგანუმის ყოველდღიური მოთხოვნილების დაახლოებით 25 პროცენტით დასაკმაყოფილებლად საკმარისია 100 გრამი ნედლი ველური კენკრა.

უკრაინის ხალხურ მედიცინაში მოცვის ნაყოფები მარწყევთან ერთად გამოიყენება. საამისოდ მარწყვობის (დაახლოებით 3 კვირა) მთელ პერიოდში ნაწლავების ქრონიკული აშლილობით, კუჭის კატარით, დაბალმჟავიანობის კუჭის წვენის მქონე და სისხლნაკლული ავადმყოფები მოცვის ნაყოფთან ერთად მარწყევსაც ჭამენ (გ. ა. ნოსალი და ი. მ. ნოსალი, 1960). ამავე ავტორთა ცნობით მარწყევსა და მოცვს ცალ-ცალკე ერთმანეთთან შერეულს და მორიგეობით მიღებას ურჩევენ თირკმლის კენჭოვანი დაავადებისას, მათ შორის მეტად მტკივნეული შეტევების დროსაც (სურ. 8).

შაქრიანი დიაბეტის დროს ურჩევენ მოცვის ფოთლების ჩაის (60 გ 1 ლ მდუღარე წყალზე). გემოროიდალური (ბუასილური) სისხლდენისას ფოთლის ნაყენს იყენებენ (60 გ ფოთოლი 1 ლ ადუღებულ წყალზე). სქლად მოხარშული (დიდხანს არ უნდა იხარშოს) ახლად დაკრეფილ მოცვის ნაყოფებს სქელ ფენად იღებენ ეგსემატურ ადგილებზე და დოღბანდით იხვევენ. ასეთ საფენებს ყოველ დღეს იცვლიან, კანზე' მიმხმარ დოღბანდს რძის აჭრის შედეგად მიღებული შრატით ალბობენ და ფრთხილად აძრობენ.



სურ. 8. შავი მოცვი - მთა ღომას მიმდებარედ, 8. 08. 2025 წ.

ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის და სხვა დაავადებების დროს მ. ა. ნოსალის მიერ თითქმის ყოველთვის აღინიშნა მაღალი დადებითი ეფექტი მოცვის

ახლად შეგროვილი ნედლი ნაყოფის უხვად მიღებით. ამავე ავტორის პირადი დაკვირვებით მოცვის ნედლი ნაყოფების უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ კუჭაშლილობის მკურნალობისას პარალელურად ქრონიკულ ყაზოზობასაც (კუჭმეკრულობა) კურნავს.

მოცვის რამდენიმე სახეობა არსებობს, რომლებიც ერთნაირად გამოიყენება ზემოთ აღწერილი დაავადებების საწინააღმდეგოდ.

შუახვევის სატყეო, კვ. 47. (GPS - კოორდინატები: X - 268310,9; Y - 4610773,9); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 50. (GPS - კოორდინატები: X - 275538,1; Y - 4627617,3); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 58. (GPS - კოორდინატები: X - 281454,3; Y - 4598738,2); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 286372,8; Y - 4625894,2); კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 291502,0; Y - 4279505,4; Y - 4623655,7); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 280566,7; Y - 4625857,2); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 282019,3; Y - 4625740,1); კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300,2; Y - 4624226,5); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580; Y - 4623920); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 276105; Y - 4623644);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 296231,2; Y - 4603118,1); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 293510,2; Y - 4600137,6); კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 288339,5; Y - 44606995,3); კვ. 5. (GPS - კოორდინატები: X - 289080,3; Y - 4607701,9); კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 290412,8; Y - 4607585,5); კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 291862,2; Y - 4607694); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 278956; Y - 4604743,2); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 279909,5; Y - 4604376,5); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209,7; Y - 4603595,1);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 2. (GPS - კოორდინატები: X - 291472,6; Y - 4617294,5); კვ. 16. (GPS - კოორდინატები: X - 290575,7; Y - 4610050,8); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 290044,0; Y - 4611064,6); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 287794,7; Y - 4608834,5); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289507,5; Y - 4609521,0); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289730,3; Y - 4609535,6);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

წითელი მოცი - *Vaccinium vitis-idaea*

წითელი მოცი - მცენარე მანანასებრთა ოჯახისა, 25 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. სუსტად დატოტვილი მცენარეა. ტოტები სწორმდგომი ან მიწაზე გართხმულია. მხოხავი ფესვთა სისტემა აქვს, ნიადაგში 5-10 სანტიმეტრზე ჩადის, მაგრამ ვეგეტაციის პერიოდში 35-80 სანტიმეტრამდე ღრმავდება. ნაყოფი ბურთისებრი ღია-მოწითალო ფერისაა, ოთხბუდიანი. ფოთლები ელიფსური ან უკუკვერცხისებრია გვირგვინი თეთრი ან მკრთალი ვარდისფერი აქვს. იზრდება წიწვოვან და შერეულ ტყეებში, ბუჩქნარებში, ტუნდრაში, მშრალ ტორფნარებში ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში, აზიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში. თესლი მორუხო-წითელი ფერის კურკაა. ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფი შეიცავს შაქარს 8-9%, ორგანულ მჟავებს, 2,3%-მდე. მათ შორის: ლიმონის, ვაშლის და ბენზოინის მჟავებს. აგრეთვე შეიცავს პექტონებს, თრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს და სხვ. სამკურნალოდ გამოიყენება წითელი მოცვის ფოთლები და ნაყოფი; საქართველოში გვხვდება მთაგორიან ადგილებში, ტყეებში, ძირითადად შერეულ ან ფიჭვნარ ტყეებში, თითქმის ალპურ ზონამდე;

ხშირია აჭარა-გურიის მთებში, აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, ქართლში, თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში.

ხალხურ მედიცინაში წითელი მოცვის კენკრაც გამოიყენება და ფოთლებიც, ორივეს ძალიან სასარგებლო შემადგენლობა აქვს. კენკრა შეიცავს 12%-მდე შაქარსა და ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, ბენზოლის), ვიტამინებს, ფოთლები კი – 7%-მდე არბუტინს, ფლავონოიდებს, ტანინებს, ორგანულ მჟავებსა და C ვიტამინს (სურ. 9).



სურ. 9. წითელი მოცვი - ხულო, ნაილევი, 20. 09. 2025

კენკრა შეიცავს არბუტინსაც თუმცა ნაკლები კონცენტრაციით. ამასთან, სწორედ, ის აგებს პასუხს წითელი მოცვის ბაქტერიციდულ და შარდ-მდენ მოქმედებაზე. ამისთვის ფოთლებისგან ამზადებენ ნახარშებს, რომლის მიღებაც რეკომენდებულია ცისტიტის, შარდკენჭოვანი დაავადებებისა და ართრიტის დროს. მის მოსამზადებლად 1 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს უნდა დაესხას 1 ჭიქა მდულარე წყალი, გათბეს ორთქლის აბაზანაზე 30 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც უნდა გაგრილდეს და გაიწუროს. მიღება უნდა მოხდეს ჭამამდე 30 წუთით ადრე 20-დღიანი კურსებით, 10-დღიანი შესვენებების შუალედით. ძლიერი შარდმდენი მოქმედების გამო ორგანიზმიდან ირეცხება მინერალური ნივთიერებები.

ცისტიტის დროს, რეკომენდებულია ისეთი ნაკრებების მიღება, რომელ-თა შემადგენლობაშიც შედის წითელი მოცვი, კრაზანა და გვირილა. 2 სუფრის კოვზ მცენარეულ ნაკრებს უნდა დაესხას 0.5 ლიტრი მდულარე წყალი და დაყოვნდეს მთელი ღამით თერმოსში. მიღება უნდა მოხდეს 3/4 ჭიქის ოდენობით დღეში 4-5-ჯერ, საკვების მიღებამდე, 2 თვის განმავლობაში.

წითელი მოცვის ფოთლების ნაყენს აქვს მკუმშავი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები. ეს საშუალება, ასევე, გამოიყენება გასტრიტის პროფილაქტიკისთვის და რეკომენდებულია მათთვის, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს. გარდა ამისა, ის დამამშვიდებელი მოქმედებითაც ხასიათდება.

გასათვალისწინებელია, რომ კენკრა ამცირებს ქოლესტერინის დონეს, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას. ის მხედველობასაც კი აუმჯობესებს. დაბალი მჟავიანობის გასტრიტის, ფაღარათის, პოდაგრისა და რევმატიზმის დროს ექიმები პაციენტებს ნედლი, მოხარშული ან ჩალბობილი კენკრის მირთმევას ურჩევენ. შაქრიანი დიაბეტისა და მომატებული წნევის დროს კი – წითელი მოცვის წვენი და ფოთლებით დამზადებული საშუალების მოხმარებას. მოცვის წვენს ანტისეპტიკური თვისებებიც აქვს.

მოცვის ფოთლები იკრიფება აპრილში, სანამ აყვავება დაიწყება, ან ოქტომბერში, როცა მცენარე წყვეტს ნაყოფის გამოღებას. მოკრეფასა და გამოშრობის პროცესის დაწყებას შორის უნდა გავიდეს არაუმეტეს 5-6 საათი: ეს საშუალებას მოგცემთ, შეინარჩუნოთ ყველა

სასარგებლო თვისება. ფოთლები მოათავსეთ ჩრდილში, არ უნდა გამოაშროთ ღია მზეზე, რადგან ამ შემთხვევაში ნედლეული გამუქდება.

წითელი მოცვის ფოთლები შეიცავს 9%-მდე არბუტინს, ორგანულ მჟავებს, ფლავონოიდ ჰიპეროზიდს და სათრიმლავ ნივთიერებებს, C ვიტამინს პროვიტამინ A-ს. ამ შემადგენლობიდან ძირითადია არბუტინი, რომელსაც ბაქტერიოციდური და შარდმდენი თვისებები გააჩნია.

ნაყოფი შეიცავს შაქარს 8-9%, ორგანულ მჟავებს, 2,3%-მდე. მათ შორის: ლიმონის, ვაშლის და ბენზოინის მჟავებს. იგი ასევე შეიცავს პექტონებს, სათრიმლავ ნივთიერებებს, გლიკოზიდ ვაქსინინს, კაროტინს და სხვა.

წითელი მოცვის ფოთლებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დიდი რაოდენობით არსებობა განაპირობებს მის მრავალმხრივ გამოყენებას. მისი ფოთლებისაგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება როგორც შარდმდენი, ნალველმდენი, ანტისეპტიკური და შემკვრელი საშუალება.

მისი ფოთლების წყლიან გამონაწურს იყენებენ ცისტიტების, პიელიტის, თირკმელების კენჭოვანი დაავადების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კერძოდ ოსტერეოქონდროზის, ნიკრისის ქარების, სახსრების რევმა-ტული დაავადების, არასპეციფიკური ინფექციური ართრიტების დროს.

წითელი მოცვის ნაყოფს იყენებენ ავიტამინოზის დროს. ნაყოფის წყლიანი ნაყენი ითვლება გაციების დროს წყურვილის მოკვლის შესანიშნავ საშუალებად.

ფოთლების ნაყენის მომზადება:

მისი ფოთლების ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ფოთლები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, გადაწურეთ. მიიღეთ გაცივებული 1-2 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

ფოთლების ნახარშის მომზადება:

ფოთლების ნახარშის მოსამზადებლად 6 გრ (2 სუფრის კოვზი) ფოთლები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი, ანადუღარი წყალი, დაახურეთ თავზე და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთის განმავლობაში.

შემდეგ გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 10 წუთი, გადაწურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ. მიღებული ნახარში ანადუღარი წყლის დამატებით შეავსეთ საწყის მოცულობამდე (200 მლ მიღებამდე) შეინახეთ გრილ ადგილას არაუმეტეს 2-3 დღე-ღამისა. მიიღეთ 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში.

ხალხურ მედიცინაში ნედლი ნაყოფი ან მისგან დამზადებული მურაბა გამოიყენება დაბალი მჟავიანობის, გასტრიტების, კუჭის აშლილობის, ნიკრისის ქარების, რევმატიზმის დროს. ნაყოფის წვენს სვამენ მაღალი წნევის, შაქრიანი დიაბეტის დროს, იყენებენ სურავანდის საწინააღმდეგოდაც. მას აქვს მკვეთრად გამოხატული ანტიმიკრობული თვისებები.

ცივ ადგილას შენახვის დროს ნაყოფი ექვსი თვის განმავლობაში ინარჩუნებს 20-30% C ვიტამინს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ნაყოფს აქვს აგრეთვე სედატიური მოქმედების უნარი, ამიტომ მისგან მომზადებული ნახარშის გამოყენება შეიძლება ჰიპერტონული დაავადების მსუბუქი ფორმების დროს.

მისი ნაყოფი როგორც შარდმდენი საშუალება გამოიყენება რევმატიზმის, ნიკრისის ქარების დროს, აგრეთვე – სიმთვრალის დროს გამოსაფხიზლებლად. მისი წყლიანი გამონაწური ნაყოფთან ერთად ითვლება მადის აღმძვრელ საშუალებად, რომელიც ხელს უწყობს საჭმლის მონე-ლებას და კუჭის წვენის გამოყოფას.

გერმანიაში ფოთლების ნახარშს და ნაყენს გამოიყენებენ შარდის ბუშტის ანთების დროს. ავსტრიელების ხალხური მედიცინა კი თვლის, რომ ფოთლების ნახარში შარდსაღდენ გზებს დეზინფიცირებას უკეთებს.

შუახევის სატყეო, კვ. 2. (GPS - კოორდინატები: X - 266278,9; Y - 4611730,3);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 274788; Y - 4624763); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 275606,6; Y - 4630540,0); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173,4; Y - 4627557,9); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 286169,2; Y - 4593344,7); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 275999,3; Y - 498983,1); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204,5; Y - 4597836,3); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 284096,2; Y - 4597089,4); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 284919,2; Y - 4596276,7); კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286344,9; Y - 4555641,3); კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 278811,4; Y - 4601991,5); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 36. (GPS - კოორდინატები: X - 287879,3; Y - 4622905,6); კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 279505,9; Y - 462539,2); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 280566,2; Y - 4625857,7); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 282019,4; Y - 4625740,2); კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300,0; Y - 4624226,0); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580,4; Y - 4623920,2);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 291862; Y - 4607694); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 278956; Y - 4604743); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 279909; Y - 4604376); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209; Y - 4603595); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 280956; Y - 4602946); კვ. 17. (GPS - კოორდინატები: X - 283881; Y - 4602151); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 286876; Y - 4600969); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 291874,0; Y - 4616547,5); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156,4; Y - 4611117,2); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 290044,2; Y - 4611064,7); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 287794,1; Y - 4608834,2); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289507,2; Y - 4609521,9); კვ. 51. (GPS - კოორდინატები: X - 283892,3; Y - 4609376,9); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ხეჭრელი - *Frangula*

ხეჭრელი მცენარეთა გვარი ხეჭრელისებრთა ოჯახისა. ბუჩქები ან პატარა ხეებია. 52-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიასა და ხმელთაშუა-ზღვისპირეთში. საქართველოში ერთადერთი სახეობაა გავრცელებული (*F. alnus*), იზრდება ტყის პირებზე, ქვეტყედ მუხნარ-რცხილნარში, ჭალის ტყეებში, ბუჩქნარებში.

ხეჭრელი (ლათ. *Frangula alnus* Mill) ბუჩქიანი დაბალტანიანი ხეა ხეჭრელისებრთა ოჯახიდან, სიმაღლით 2-5 მ, ძველ ტოტებზე მუქი ნაცრისფერი ქერქი აქვს, ხოლო ყლორტებზე მოწითალო-ყავისფერია.

ქერქი შეიცავს ანთრაგლიკოზიდებს, საპონინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს; მისი ნახარში ან ნაყენი საფაღარათო საშუალებაა. ხეჭრელი დეკორატიული და თაფლოვანი მცენარეა. მის გვარს ხშირად აერთიანებენ ხეშავთან (სურ. 10, 11).



სურ.10. ხეჭრელი - სამსმელო, 24.07.2025



სურ. 11. ხეჭრელი - სოფელ ხაბელა-შივლილების მიმდებარედ, 12. 08.2025 წ.

ქერქის გარე ფენის ჩამოფხეკის შემდეგ შეიმჩნევა მუქი-ჟოლოსფერი კორპისებრი ფენა. სწორედ კორპის ფენის საშუალებით შეიძლება იგი ადრე გაზაფხულზე გამოვარჩიოთ ხეჭრელთა სხვა სახეობის ბუჩქებისაგან. ფოთლები მორიგეობითია, უკუკვერცხისებრი ან ელიფსური, ყუნწიანი, სიგრძით 3-8 სმ. სიგანით 1,5-4,5 სმ, კიდემთლიანი, 7-10 წყვილი ძარღვით. ყვავილები წვრილია ორსქესიანი, მოკლე ყვავილის ყუნწით, ზარისები, მომწვანო-თეთრი ფერის ხუთფურცლიანი გვირგვინით, მოთავსებულია ფოთლის უბებში და ქმნიან 2-7 ყვავილიან ჯგუფს. ნაყოფი სფეროსებრია, კურკიანი, წვნიანი, დიამეტრით 8 მმ. დამწიფებამდე წითელია, ხოლო სრული სიმწიფის დროს მოიისფრო-შავია, 3 კვერცხისებრი კურკით. ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი მწიფება აგვისტო-სექტემბერში. ხეჭრელი უხვთესლიანია და სწრაფად მრავლდება. ბუჩქზე ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც ყვავილები, ასევე უმწიფარი და მწიფე ნაყოფიც. საქართველოში თითქმის ყველგანაა გავრცელებული: ტყეებში, ტყის პირებზე, მდინარის ხეობებში, მთაში. სამკურნალოდ გამოიყენება ხეჭრელის ქერქი. მას ამზადებენ წვენი ინტენსიური მოძრაობის პერიოდში – აპრილის ბოლოდან ივნისის დასაწყისამდე.

იმ ადგილებში, სადაც ხეჭრელი დიდი რაოდენობითაა, ჭრიან ტოტებს უკეთებენ წრიულ ნაჭდევეს და აცლიან 1 სმ სისქის ქერქს ხის სპეციალური პატარა ნიჩბებით. ნედლეულს აშრობენ კარგ ამინდში ჩრდილში სხვენზე, ან ფარდულში, კარგი ვენტილაციის მქონე ნაგებობებში. ცუდ ამინდში კი აშრობენ დამატებით გამთბობი ხელსაწყობის დახმარებით. ყოვლად დაუშვებელია ახალი ქერქის გამოყენება. გამომშრალი ქერქი უნდა შეინახოს არანაკლებ 1 წლისა და გახურდეს 100 გრადუს ტემპერატურაზე 1 სთ-ის განმავლობაში და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მისი გამოყენება. ხეჭრელის ქერქი შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს (8%-მდე), მათ შორის გლუკოფრანგულინს, ემოდინს და იზოემოდინს, აგრეთვე ტრიტენპენოიდულ გლიკოზიდებს, ქრიზოფანის მჟავას და სხვა. ხეჭრელის ქერქი გამოიყენება როგორც საფადართო საშუალება. მასში არსებული ანტრაგლიკოზიდები აძლიერებენ ნაწლავების პერისტალტიკას, ამიტომ ქერქი ხშირად იხმარება სპასტიკური კოლიტებისა, ატონიური შეკრულობის, ბუასილის დროს კუჭნაწლავის მოქმედების მოსაწესრიგებლად, სწორი ნაწლავის ნახეთქების დროს და სხვა. ფარმაცევტული მრეწველობა უშვებს ხეჭრელის თხევად და მშრალ ექსტრაქტებს. მართალია ხეჭრელის პრეპარატების მიღება არ არღვევს კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციას, მაგრამ მისი ხანგრძლივი დროით მიღების შედეგად ორგანიზმი ეჩვევა მას და მისი მოქმედების ეფექტი მცირდება; ხეჭრელის პრეპარატების ხანგრძლივად გამოყენება ფეხმძიმე ქალებისათვის დაუშვებელია.

ხეჭრელის ქერქის ნახარშის მოსამზადებლად 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ქერქს ათავსებენ მომინანქრებულ ჭურჭელში, ასხამენ 1 ჭიქა მდულარეს, ადუღებენ 20 წუთის განმავლობაში. სვამენ 1/2 ჭიქას დილას და საღამოს.

შუახევის სატყეო, კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 266488; Y - 4603677); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 274196,6; Y - 4628236,4); კვ. 50. (GPS - კოორდინატები: X - 274613,3; Y - 4627256,1); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173,1; Y - 4627557,6);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286678,4; Y - 4595914,8); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 275999,2; Y - 498983,5); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204,5; Y - 4597836,6); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 287171,0; Y - 4594446,3); კვ. 48. (GPS - კოორდინატები: X - 278222,2; Y - 4602607,8); კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 278811,1; Y - 4601991,0);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 36. (GPS - კოორდინატები: X - 287474,5; Y - 4622163,0); კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 279505,2; Y - 462539,3); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 280566,2; Y - 4625857,2); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 282019,5; Y - 4625740,6); კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300,2; Y - 4624226,3); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580,0; Y - 4623920,1); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 276105,1; Y - 4623644,4); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ხიხადირის სატყეო, კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209,5; Y - 4603595,5); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 280956,5; Y - 4602946,1); კვ. 17. (GPS - კოორდინატები: X - 283881,1; Y - 4602151,5); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 286876,5; Y - 4600969,6);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 2. (GPS - კოორდინატები: X - 291198,8; Y - 4616171,4); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289936,7; Y - 4609746,0); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 290044,4; Y - 4611064,2); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 287794,5; Y - 4608834,5); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289507,8; Y - 4609521,6); კვ. 23. (GPS - კოორდინატები: X - 289018,3; Y - 4608855,5);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ნეგო - *Helichrysum*

ნეგო, უკვდავა — მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახები ან ბუჩქბალახებია, სიმაღლით 15-30 სმ აღწევს, ფესვთანურას ფოთლები მოგრძოა და უკუკვერცხისებრი, ღეროს ფოთლები კი – ლანცეტისებრი. კალათის საბურვლის ფოთოლაკები კაშკაშა ფერისაა (ყვითელი, წარინჯისფერი ან მოწითალო) და სიფრიფანა.

ყვავილის კალათა ყვითელია, რომელიც ქმნის კენწრულ ფარისებრ ყვავილედს. კალათა ბურთისებრია, დიამეტრით 4-6 მმ. კალათას გარედან ფოთოლაკების საფარი აქვს შემოხვეული. ფოთოლაკები ბლაგვია, სიფრიფანა, ლიმონისებრ-მოყვითალო ფერის, ხმელი. კალათის ყველა ყვავილი მილისებრია, ყვითელი ან წარინჯისფერი, ქოჩრით, ყვავილსაჯდომი შიშველი. ყვავილობს ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე (სურ. 12).



სურ. 12. ნეგო - მთა შქერნალი, 23. 07. 2025 წ.

გვარი აერთიანებს 500--მდე სახეობას, რომელიც იზრდება ევროპის, აზიის, სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის ცხელსა და ზომიერ ზონაში.

საქართველოში 5 სახეობაა. იზრდება ქვიან და ღორღიან ადგილებზე მთის ქვედა სარტყლიდან მოკიდებული სუბალპურ სარტყლამდე. სარტყლამდე. დეკორატიულია, გამოიყენება მშრალი თაიგულებისათვის.

ბუსუსები, რომლებითაც მცენარე თითქოს ნაბადშია გახვეული, იცავენ მას დაღუპვისაგან წყლის ნაკლებობის დროს. ისინი ამცირებენ მცენარის ზედაპირიდან აორთქლებული წყლის რაოდენობას და საშუალებას აძლევენ მას ეკონომიურად გამოიყენოს ტენი.

ნეგო გავრცელებულია ქვიშიან ადგილებში, სტეპებში, ტყე-სტეპებში, ტყეებში, იშვიათად გამეჩხერებულ ფიჭვნარში.

ნედლეულად ამზადებენ ნაწილობრივ გაშლილ ფარისებრ ყვავილეებს ღეროსთან ერთად, სიგრძით 1-2 სმ. ნედლეულმა ფერი რომ არ დაკარგოს მას აშრობენ ჩრდილში. შემდეგ კი ინახავენ ბნელ ადგილას. არ უნდა დაიკრიფოს გაუმღელი ან პატარა ზომის კალათები ან პირიქით უკვე დაყვავილებული კალათები. ასეთი ნედლეულის შეგროვების შედეგად რჩება შიშველი ყვავილსაჯდომი ცარიელი ჯამის სახით. არ შეიძლება ნედლეულად გამოყენებული იქნეს აგრეთვე გრძელი ღეროები. მინარევის სახით ნედლეულს შეიძლება შეყვეს ბუსუსტანას თეთრი კალათა, რომელიც ადვილი გამოსარჩევია ფერით (სურ. 13).



სურ. 13. გასაშრობად შეგროვებული ნეგო - თეთრობი, 30, 07, 2025 წ.

ნეგოს ყვავილში ნაპოვნია ფლავონები და ფლავონური გლიკოზიდები, სტერინი, ეთერზეთის კვალი, კაროტინი, ვიტამინი. ნეგოს პრეპარატები გამოიყენება ძირითადად ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს. მათი გავლენით ძლიერდება ნაღვლის გამოყოფა, იცვლება ნაღვლის შემადგენლობა, მცირდება სისხლში ბილირუბინისა და ქოლესტერინის რაოდენობა, ამასთან იზრდება კუჭისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეცია. ქოლესტერინისა და ჰეპატიტების დროს გამოიყენება შემდეგი ნახარში: 10 გრ (3 სუფრის კოვზი) ნეგოს დაქუცმაცებული ყვავილი, უნდა დაესხას 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ოთახის ტემპერატურის წყალი, უნდა დაეხუროს თავსახური და გაცხელდეს მდულარე წყლის აბაზანაში 30 წთ-ის განმავლობაში, უნდა გადმოდგას, გაცივდეს, გაიწუროს. დაემატოს ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. შენახვა უნდა მოხდეს გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიღება უნდა მოხდეს 1 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ 10-15 წთ-ით ადრე.

შუახევის სატყეო, კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 270676,3; Y - 4609527,7); კვ. 47. (GPS - კოორდინატები: X - 267282,2; Y - 4611431,9);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 273700,5; Y - 4628426,9); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 275606,0; Y - 4630540,0); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173,0; Y - 4627557,5);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 285983,8; Y - 4595589,4); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 286621,6; Y - 4593185,9); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204,3; Y - 4597836,3); კვ. 32. (GPS - კო-ორდინატები: X - 284096,0; Y - 4597089,4); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 284919,5; Y - 4596276,9); კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286344,0; Y - 4555641,4); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 285501,1; Y - 4549640,5); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 287171,5; Y - 4594446,3); კვ. 48. (GPS - კოორდინატები: X - 278222,3; Y - 4602607,3); კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 278811,9; Y - 4601991,4);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 280566,2; Y - 46258573,); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 282019,1; Y - 4625740,5); კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300,2; Y - 4624226,2); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580,8; Y - 4623920,7); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 276105,6; Y - 4623644,3); კვ. 38. (GPS - კოორდინატები: X - 275641,2; Y - 4622740,2); კვ. 39. (GPS - კოორდინატები: X - 275049,3; Y - 4621490,3); კვ. 40. (GPS - კოორდინატები: X - 274411,0; Y - 4621368,0); კვ. 41. (GPS - კოორდინატები: X - 273332,4; Y - 4619771,4);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხამირის სატყეო, კვ. 19. (GPS - კოორდინატები: X - 288170,6; Y - 4600641,5); კვ. 3. (GPS - კოორდინატები: X - 286690,5; Y - 4607061,3); კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 288339,0; Y - 44606995,1); კვ. 5. (GPS - კოორდინატები: X - 289080,5; Y - 4607701,3); კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 290412,2; Y - 4607585,2); კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 291862,0; Y - 4607694,0); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 278956,5; Y - 4604743,6); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 279909,4; Y - 4604376,6); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209,4; Y - 4603595,6); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 280956,4; Y - 4602946,2); კვ. 17. (GPS - კოორდინატები: X - 283881,1; Y - 4602151,2); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 286876,8; Y - 4600969,9); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 22. (GPS - კოორდინატები: X - 289567,6; Y - 289567,6); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156,4; Y - 4611117,6); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 290044,2; Y - 4611064,0); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 287794,3; Y - 4608834,4); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289507,1; Y - 4609521,2); კვ. 23. (GPS - კოორდინატები: X - 289018,2; Y - 4608855,9);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხეშავი - *Rhamnus*

ხეშავი — მცენარეთა გვარი ხეჭრელისებრთა ოჯახისა, ძლიერ დატოტვილი ბუჩქები ან პატარა ხეებია. ევროპაში, აფრიკაში, აზიასა და ამერიკაში გავრცელებულია 140-ზე მეტი სახეობა. საქართველოში - 7; მათგან საკუთრივ ხეშავი (*Rhamnus cathartica*) მაღალი ბუჩქია, იზრდება აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ ადგილებზე, ბუჩქნარებში, ქვეტყედ ფართოფოთლოვან ტყეებში, იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ და ალპურ სარტყელამდე კლდეთა ნაპრალებში ნაპრალებში; მისი 8 მ-მდე სიმაღლის დაბრეცილი ტანი დაფარულია შავი ფერის ხაოიანი დახეთქილი კანით, რომელიც ფენა-ფენად ძვრება. ტოტები ეკლიანი აქვს. ახალგაზრდა ტოტებზე ქერქი მოწითალო-ყავისფერია, პრიალა. ყუნწიანი ფოთლები განლაგებულია მოპირისპირედ, ელიფსური ან მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმისაა, სიგრძით 5 სმ-მდე, სიგანით 3 სმ-მდე, სამი წყვილი რკალისებრი ძარღვით. ფოთლები ზემოდან — მწვანე ან მორუხო ფერისაა, ქვედა მხრიდან უფრო ღია ფერისა, შიშველი, ან ორივე მხრიდან თხლად შებუსუსული. ყვავილები წვრილი აქვს მომწვანო-მოთეთრო ფერის, ერთსქესიანი, შეკრებილია 10-15 კონად ფოთლით უბებში. ნაყოფი სფეროსებრია, კურკიანი 6-8 მმ დიამეტრით მოლურჯო-შავი ფერის, პრიალა ზედაპირით, ზოგჯერ ნაფიფქით.

ხეშავი ყვავილობს მაის-ივნისში, 10-12 დღის განმავლობაში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში და მცენარეზე დიდხანს რჩება (სურ. 14).

სამკურნალოდ იყენებენ გვიან შემოდგომით დაკრეფილ მწიფე ნაყოფს, რომელსაც კრეფენ სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც იგი შავი ფერის ხდება. ნაყოფს ჯერ აჭკნობენ ჰაერზე, შემდეგ კი აშრობენ საშრობებში, ლუმელებში 50-60 გრადუს ტემპერატურაზე. მშრალ ნაყოფს შავი ფერი, სუსტი, უსიამოვნო სუნი და მოტკბო-მომწარო გემო აქვს. ინახავენ ნაჭრის ტომრებში 4 წლის განმავლობაში.

ხეშავის ნაყოფი შეიცავს 1%-მდე ოქსიმეტილანტრაქინონს. მის შემადგენლობაში ნაყენი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ქრონიკული შეკრულობის დროს. მოქმედება ვლინდება მიღებიდან 8-10 საათის შემდეგ. ხეშავის ნაყოფისაგან ნაყენის მოსამზადებლად 1 სუფრის კოვზ ნაყოფს დაასხამენ 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდულარე წყალი, ჩერდება 2 სთ. მიღება ხდება ძილის წინ 1/2 ჭიქა. ხეშავი შედის საფაღარათო ნაკრებების შემადგენლობაში.



სურ. 14. ხეშავი - სოფელი დიოკნისი, 10. 08. 2025 წ.

ხალხურ მედიცინაში ხეშავს იყენებენ აგრეთვე დაავადებული ღვიძლის სამკურნალოდაც, როდესაც პათოლოგიას თან ახლავს ასციტი. თვლიან, რომ მას აქვს უნარი, არეგულიროს და მოაწესრიგოს დეფეკაცია, რითაც იზღუდება ტოქსიკური ნივთიერებების მოხვედრა ნაწლავებიდან ღვიძლში.

ბულგარელი მედიკოსების აზრით ხეშავის ნაყოფი უმჯობესია გამოვიყენოთ დამზადებიდან ერთი წლის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა და ღებინება.

ხეშავის ნაყოფი შეიცავს 1%-მდე ოქსიმეთილანტრაქინონს. მის შემცველობის გამო ნაყენი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს ქრონიკული შეკრულობის დროს. მოქმედება ვლინდება მიღებიდან 8-10 საათის შემდეგ.

შუახევის სატყეო, კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 287157,4; Y - 4592630,3); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 267437,8; Y - 4627204,5); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 275606,0; Y - 4630540,3); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173,5; Y - 4627557,6); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - X - 287157,4; Y - X - 287157,4); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 275999,4; Y - 498983,9); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204,8; Y - 4597836,3); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 284096,4; Y - 4597089,4); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 284919,8; Y - 4596276,8); კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286344,6; Y - 4555641,0);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300,2; Y - 4624226,6); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580,5; Y - 4623920,8); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 276105,4; Y - 4623644,9); კვ. 38. (GPS - კოორდინატები: X - 275641,4; Y - 4622740,5); კვ. 39. (GPS - კოორდინატები: X - 275049,1; Y - 4621490,3); კვ. 40. (GPS - კოორდინატები: X - 274411,5; Y - 4621368,6);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ხიხადირის სატყეო, კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 295600,1; Y - 4602455,3); კვ. 3. (GPS - კოორდინატები: X - 286690,1; Y - 4607061,3); კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 288339,5; Y - 44606995,9); კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 290412,2; Y - 4607585,7); კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 291862,3; Y - 4607694,5); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 279909,3; Y - 4604376,9); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209,1; Y - 4603595,7);

ზეგანის სატყეო, კვ. 16. (GPS - კოორდინატები: X - 291139,2; Y - 4610777,8); კვ. 50. (GPS - კოორდინატები: X - 283241,4; Y - 4611349,3);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ჟანგისფერი სათითურა - *Digitalis ferruginea* L

ჟანგისფერი სათითურა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან. ფესვთანური ფოთლები მოგრძო ლანცეტაა 10-25 სმ სიგრძის, ქვემოთა მხარეს შებუსუსი, ხოლო ღეროსეული ფოთლები უფრო პატარაა და მჯდომარე. ღერო 0,5- 1,3 მ სიმაღლისაა, მასზე განლაგებულია ჟანგისფერი, გაბერილი, მრავალი მუქმარღვიანი ყვავილები. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია მრავალი თესლით. ყვავილობს ივნის-ივლისში. ბუნებრივად გავრცელებულია მთელ ევროპაში და აზიის ზოგიერთ რაიონში. საქართველოში ყველგან გვხვდება. იზრდება ალპურ სარტყლამდე ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, მდელოებზე, არიდულ მერხერ ტყეებში, ველებზე. წარმოადგენს სარეველას შხამიან მცენარეს. სამკურნალო ნედლეულია ფოთლები, რომლებსაც აქვს მწარე გემო. მათი შეგროვება ხდება ყვავილობის ფაზაში, მზიან

ამინდში, რადგან საგულე გლიკოზიდების დიდი რაოდენობით დაგროვება ხდება სინათლეზე. ფოთლებს აშრობენ ნედლეულის აღებისთანავე საშრობში 55-600C-ზე ან ჩრდილში, რადგან ნელი შრობისას საგულე გლიკოზიდები იშლება. ქიმიური შემცველობა: ფოთლები შეიცავს საგულე გლიკოზიდებს, კერძოდ, კარდენოლიდდიგილანოლიდ A-ს და B-ს, ასევე სტეროიდულ გლიკოზიდებს, დიგიტა-ნოლგლიკოზიდებს, ფლავონებს და სტეროიდულ საპონინებს (სურ. 15).

სათითურა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგულე მცენარეს წარმოადგენს და გამოიყენება გულის ფუნქციის დარღვევის დროს (ართიმია), მცენარის მოქმედება განპირობებულია საგულე გლიკოზიდების ნელი დაშლით, რომელიც შემდეგ გროვდება ორგანიზმში. მცენარესაგან მზადდება პრეპარატი „დიგალენ-ნეო“, წვეთებისა და ამპულების სახით, სათითურინი – ტაბლეტებში და „სუკუდიფერი“- ფოთლების დაკონსერვებული წვენი. ერთ-ერთი საუკეთესო საკვები ბალახია,

2025 წელს მოვახდინეთ მალმთიანი აჭარის არყის გავრცელების სარტყელში არსებული სამკურნალო მცენარეების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება. ეს სახეობებია: არყის ხე, სოკო ჩაგა, ჯადვარი, მთის ჩადუნა, წითელი მოცვი, ჩვეულებრივი მოცვი, ხეჭრელი, ნეგო, ხეშავი, ჟანგისფერი სათითურა.



**სურ. 15. ჟანგისფერი სათითურა,
მთა ჩუდურაული, 2. 08. 2025 წ.**

სათითურა ზომიერი კლიმატის მცენარეა, მაგრამ იტანს სიცხესაც. მგრძობიარეა უთოვლო ზამთრისა და ყინვების მიმართ და ადვილად იყინება. სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდი აქვს, კვებითი ღირებულება მაღალი; კარგად ჭამს ყველა სახის პირუტყვი. 100 კგ თივა შეიცავს 40,8 საკვებ ერთეულს და 3,3 კგ მონელებად ცილას.

შუახვეის სატყეო, კვ. 2. (GPS - კოორდინატები: X - 266290,9; Y - 4611023,9);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 274788,0; Y - 4624763,5); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 275606,2; Y - 4630540,8); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173,1; Y - 4627557,5);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 58. (GPS - კოორდინატები: X - 282696,5; Y - 4597317,4); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 275999; Y - 498983); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204,3; Y - 4597836,2); კვ. 32. (GPS - კო-ორდინატები: X - 284096,4; Y - 4597089,5); კვ. 32. (GPS -

კოორდინატები: X - 287171,4; Y - 4594446,5); კვ. 48. (GPS - კოორდინატები: X - 278222,7; Y - 4602607,8); კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 278811,9; Y - 4601991,0);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 287325,3; Y - 4625105,0); კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 279505; Y - 462539); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 280566,0; Y - 4625857,2); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 282019,3; Y - 4625740,5); კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300,3; Y - 4624226,0); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580,5; Y - 4623920,9); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 276105,4; Y - 4623644,4); კვ. 38. (GPS - კოორდინატები: X - 275641,5; Y - 4622740,1); კვ. 39. (GPS - კოორდინატები: X - 275049,2; Y - 4621490,6); კვ. 40. (GPS - კოორდინატები: X - 274411,4; Y - 4621368,6); კვ. 41. (GPS - კოორდინატები: X - 273332,0; Y - 4619771,5);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 293359,4; Y - 4598788,2); კვ. 3. (GPS - კოორდინატები: X - 286690,3; Y - 4607061,6); კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 288339,2; Y - 44606995,4); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 278956,3; Y - 4604743,5); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 279909,7; Y - 4604376,3); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209,6; Y - 4603595,9); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 280956,3; Y - 4602946,6); კვ. 17. (GPS - კოორდინატები: X - 283881,3; Y - 4602151,4); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 286876,5; Y - 4600969,9);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 13. (GPS - კოორდინატები: X - 288032,0; Y - 4611364,9); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156,3; Y - 4611117,8); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 290044,2; Y - 4611064,3); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 287794,5; Y - 4608834,0); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289507,1; Y - 4609521,5); კვ. 23. (GPS - კოორდინატები: X - 289018,5; Y - 4608855,6); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ლიტერატურა

1. აბაშიძე ი. – დენდროლოგია. წიგნი - 1., თბილისი, 1959 წ., გვ. 207;
2. აბაშიძე ი. – დენდროლოგია. წიგნი - 2., თბილისი, 1962 წ., გვ. 224;
3. ალექსანდრე ი. - მეცნიერება და სამკურნალო მცენარეები. (რუსულ ენაზე), ნოვოსიბირსკი, 1962 წ., გვ. 115.
4. აფციაური შ., აფციაური ა. - სატყეო ტაქსაცია. თბილისი, 2009 წ., გვ. 61;
5. აჭარის ა/რ ტყის ფონდი. აჭარის ა/რ სატყეო მეურნეობის, ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი. თბილისი, 2016 წ.,
6. ბიკოვა ლ. - ტყის ბიოგეოცენოზების ნიადაგებში აზოტის და ნაცრის ელემენტების თავისებურებათა შესწავლის მეთოდიკა (რუსულ ენაზე); მ., ჟურნალი: "პოჩვოვედენიე" N. 1., 1951 წ., გვ. 17 - 32;
7. ბულგაკოვი ს., ტრუტნევა ზ. - სსრკ ველურად მზარდი მცენარეულობა. (რუსულ ენაზე) მოსკოვი, 1962 წ. გვ. 101;
8. გამერმანი ა. - ველური სამკურნალო მცენარეები. (რუსულ ენაზე) მოსკოვი, 1976 წ. გვ. 120;
9. გიგაური გ. - საქართველოს ტყეები. თბილისი, 2004 წ., 115 გვ.
10. გულისაშვილი ვ. - კავკასიის ბუნებრივ - ისტორიული ზონები. მოსკოვი, 1964 წ., გვ. 327;
11. გულისაშვილი ვ. - ზოგადი მეტყვეობა. თბილისი. 1974. 357 გვ.
12. გულისაშვილი ვ. - საქართველოს ბუნება და ბუნებრივი ზონები. თბილისი, 1977 გვ. 197.
13. დოლიძე ლ. - საქართველოს ტყის ეკოსისტემების სტაბილურობის შენარჩუნების და დეგრადირებული კორომების აღდგენის ღონისძიებები. (რეკომენდაციები), თბილისი, 2022 წ. გვ. 21;

14. ვარშანიძე ნ., ვანიძე მ., ჯაფარიძე ი. - აჭარის სასარგებლო მცენარეები. ბათუმი, 2009 წ., გვ. 259;
15. კიჩინკო ვ. - სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. (რუსულ ენაზე), ნოვოსიბირსკი, 1962 წ. გვ. 112.
16. კორძაია მ. - საქართველოს ჰავა. თბილისი, 1961 წ., გვ. 246.
17. კრილოვი ი. - სიცოცხლის ხეები და ბალახეულობა, ნაკრძალი ტერიტორიები. (რუსულ ენაზე), ნოვოსიბირსკი, 1972 წ. გვ. 132;
18. მინაევა ვ. - ციმბირის სამკურნალო მცენარეები. (რუსულ ენაზე) ნოვოსიბირსკი, 1970 წ. გვ. 162;
19. ნოსალი მ. - სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. (რუსულ ენაზე), კიევი., 1988 წ., გვ. 187;
20. პაპუნძი ვ. - აჭარის მთის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა. ბათუმი, 1981 წ. გვ. 227.
21. პეტროვი ვ.- სუბტროპიკული მცენარეულობა. (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1978 წ. გვ. 151.
22. პოგოდა პ. - ტყეთმომწეობის საფუძვლები. თბილისი, 2011 წ., გვ. 140;
23. როლოვი ა. - ველურად მზარდი მცენარეულობა, მათი თვისებები და გამოყენება. ტიფლისი, 1908 წ., გვ. 333;
24. საქართველოს კანონი. საქართველოს ტყის კოდექსი. 2020 წ.
25. სიდნევა ს.- ტყის ბალახეულობა. (რუსულ ენაზე) მოსკოვი, 1962 წ.გვ. 160;
26. სურმანიძე რ.- მცირე კარაბადინი. ბათუმი, 1974., გვ. 117;
27. ხიდაშელი შ, პაპუნძი ვ. - საქართველოს სამკურნალო მცენარეები - „საბჭოთა აჭარა“ ბათუმი 2014 წ, გვ. 19; 52; 72; 166;
28. ხიდაშელი შ, პაპუნძი ვ. - საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები - „საბჭოთა აჭარა“ ბათუმი 1985 წ, გვ. 102, 208.

სიახლეები, ვიზიტები, საქმიანი შეხვედრები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა

2025 წლის 26 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა. წარმოდგენილი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის გივი გავარდაშვილის მონოგრაფია - „ჰიდრომელიორაცია და ჰიდროკვანძების უსაფრთხოება“.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სხდომას ესწრებოდა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე.

კომისიის სხდომა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა, შემდეგ მან სიტყვა გადაცა აკადემიკოს გივი გავარდაშვილს.

აკადემიკოსმა გივი გავარდაშვილმა თავის პრეზენტაციაში ხაზი გაუსვა მონოგრაფიაში წარმოდგენილ ძირითად მიგნებებს და გამოწვევებს. მან აღნიშნა, რომ მონოგრაფიაში განხილულია ჰიდრომელიორაციის ძირითადი ასპექტები, რომელიც მოიცავს ირიგაციის, დრენაჟის, ეროზიისა და ჰიდროკვანძების უსაფრთხოების საკითხებს. ნაშრომში საქართველოს 9 რეგიონისა და 69 მუნიციპალიტეტისათვის შეფასებულია კლიმატის ცვლილება და გაანგარიშებულია მელიორაციის რისკები ქვეყნის საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების უსაფრთხო ფუნქციონირების მხედველობაში მიღებით. წარმოდგენილია სარწყავი და დამშრობი ქსელის ინოვაციური კონსტრუქციები, რომელთა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის პრიორიტეტები დამოწმებულია საქართველოს პატენტის მოწმობებით.



ნაშრომში ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ დამუშავებულია მეცნიერული მეთოდოლოგია, რომელიც მომავალში საქართველოს ნიადაგების წყლისმიერი ეროზიის კონტროლისათვის სახელმწიფო პროგრამის დამუშავების საფუძველი გახდება. ეროზიის კონტროლისათვის წარმოდგენილია ინოვაციური კონსტრუქციები და მათი დაპროექტებისათვის მეცნიერული მეთოდები.

მონოგრაფიაში განხილული და შეფასებულია მსოფლიოს მაღლივი ჰიდროკვანძების უსაფრთხოება და მათი ავარიის გამომწვევი მიზეზები. დადგენილია ჟინვალის ჰიდროკვანძის შესაძლო ავარიის შემთხვევაში წყალდიდობის რისკის ზონები, რისკების პორტფოლიოს ანალიზის (CAPRA) მოდელის მიხედვით. დამუშავებულია მეცნიერული მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებით შესაძლებელია სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება, აღრიცხვა და დაზარალებული მოსახლეობის დახმარების გეგმის დამუშავება-ანალიზი და მდგრადობა.

მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, კომპეტენტური სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობაში მომუშავე პირებისათვის, გაეროს სტანდარტების მიხედვით განხილულია ის აუცილებელი საკონტროლო კითხვები, რომელიც აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის წარმოშობის შემთხვევაში რეაგირების დაგეგმვისას.

მოზოგრაფია საინტერესოა დარგით დაინტერესებული ტექნიკური ინტელიგენციის ფართო წრისათვის. ნაშრომი 2024 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის სახელობითი პრემიით.

ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა შეაჯამა და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა.

მწვანე და აგროსტიპენდიატების დაჯილდოების ცერემონია

მიმდინარე წლის 28 თებერვალს სასტუმრო “შერატონ გრანდ მეტეხი პალასში” გაიმართა მწვანე და აგროსტიპენდიატების დაჯილდოების ცერემონია.

„მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მხარდაჭერით; „აგროსტიპენდიების“ პროგრამას ასევე ცენტრი ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში VET (ფაზა3)“ პროექტის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილეები კახა კაკაბაძე, იური ნოზაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ ღვამიჩავა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში დაგლას უები, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენელი ლელა მამრიკიშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი - ლაშა დოლიძე, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების წარმომადგენლები.

დაჯილდოების ცერემონია მისასალმებელი სიტყვით გახსნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილმა. მან განაცხადა, რომ: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამუშნიშვნელოვანეს თანამშრომლობას სათავეში უდგას გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც „მწვანე და აგროსტიპენდიების“ ამბიციურ პროგრამას უკვე სამი წელია ახორციელებს. 64 სტიპენდიანტ სტუდენტს, 10 უნივერსიტეტიდან და 12 პროფესიული სასწავლებლიდან, 500-დან 1500 ლარის ოდენობით სტიპენდია გადაეცათ. „მწვანე და აგროსტიპენდიები“ სტუდენტებისთვის არის დამატებითი სტიმული სწავლის, ცოდნისა და გამოცდილების მიღებისათვის“. აღინიშნა, რომ „მწვანე და აგროსტიპენდიების“ პროგრამა მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და აგრარული დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციას და ამ მიმართულებებით პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისებას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში დაგლას უები, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტის ეროვნული ოფიცერი ლელა მამრიკიშვილი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი. მწვანე და აგროსტიპენდიატების პროგრამების მიმოხილვით დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა თამარ ალადაშვილი. მან აღნიშნა, რომ „მწვანე სტიპენდიები“ ვრცელდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე: ბუნების დაცვა და მეტყვეობა, ეკოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (ჰიდროლოგია), გეოლოგია, გამოყენებითი გეოგრაფია, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა, გარემოს დაცვის ტექნოლოგიები, ხოლო აგროსტიპენდიები ვრცელდება პროგრამებზე: აგრონომია, სასურსათო ტექნოლოგიები, ვეტერინარია, მევენახეობა-მეღვინეობა, სატყეო საქმე, მცენარეთა დაცვა და სხვა.

შემდგომ გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. აგროსტიპენდიები პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის გადაეცათ: კოლეჯს „პრესტიჟი“ - კახეთი, თელავი; კოლეჯს „ჰორიზონტი“ - გურია, ჩოხატაური; კოლეჯს „განთიადი“ - შიდა ქართლი, გორი; ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს - მცხეთა - მთიანეთი; „კასპის კოლეჯს“ - შიდა ქართლი; კოლეჯს „თეთნულდი“- სამეგრელო - ზემო სვანეთი; კოლეჯს „ფაზისი“- ფოთი; კოლეჯს „აისი“- კახეთი, გურჯაანი; კოლეჯს „ლაკადა“- სამეგრელო, წალენჯიხა; კოლეჯს „ბლექსი“- ბათუმი, აჭარა; კოლეჯს „მოდუსი“- ქვემო ქართლი; კოლეჯს „ახალი ტალღა“- ქობულეთი, აჭარა.



აგროსტიპენდიები უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს.

მწვანე სტიპენდიები უნივერსიტეტების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის გადაეცათ: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

საჯარო ლექცია მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის სტუდენტებთან

2025 წლის 12 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის სტუდენტებთან ლექცია თემაზე: „ტყე - საქართველოს მშენება“ წაიკითხა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნოე ხოზრევანიძე, ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლები, სტუდენტები.

ლ. დოლიძემ საჯარო ლექციის დროს აღნიშნა, რომ ტყე - საქართველოს მშენებაა, მას საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ერთ - ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ტყე მუდამ განსაკუთრებულ დიდი როლს თამაშობდა ქართველი კაცის ცხოვრებაში.

საქართველოს ტყეები ზრდა - განვითარების გარემო პირობებისა და გეოგრაფიული განლაგების დიდი ნაირგვარობით გამოირჩევა. ისინი უნიკალურ, იშვიათი სილამაზის, ჰარმონიულ, ამასთან მრავალფეროვან ბიოცენოზებს ქმნიან.

ტყე ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ერთ - ერთი განმსაზღვრელი საიმედო საყრდენი. საქართველოს ტყეების გონივრული, მიზანმიმართული გამოყენება და მათი ბიოეკოლოგიური პოტენციალის მდგრადობის შენარჩუნება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. საქართველო ტყიანი ქვეყანაა, ტერიტორიის 40 % - ზე მეტი ტყითაა დაფარული. ტყიანობის მაჩვენებლით საქართველოს ჩამორჩებიან ისეთი ქვეყნები, როგორცაა ავსტრია (38 %), გერმანია (30 %), საფრანგეთი (21 %). უკრაინა (12 %), იტალია (19 %), პოლონეთი (24 %), სომხეთი (9 %), აზერბაიჯანი (12 %) და სხვ.

საქართველოს ტყის ეკოსისტემები რელიეფური პირობების მიხედვით მთისა და ბარის ტყეებად იყოფა. მთის ტყეებს უკავიათ მთელი ტყით დაფარული ფართობის 98 %, ხოლო ბარის ტყეებს - 2 %, რომლებიც ძირითადად კოლხეთის დაბლობზე და აგრეთვე მდინარეების: მტკვარის, ალაზანის, იორის, ხრამის და სხვ. დინებების ქვემო დელტების მიდამოებში განეფინებიან.

საქართველოს ტყის ეკოსისტემები გეოგრაფიულად არათანაბრად არიან განლაგებულნი. ტყით მდიდარ რეგიონებთან (აფხაზეთი, აჭარა, ბორჯომის ხეობა, რაჭა, სვანეთი, კახეთი) ერთად აღინიშნება ტყემცირე და თითქმის უტყეო (ტყით დაუფარავი) რეგიონებიც. საქართველოს დასავლეთი ნაწილი უფრო მეტი ტყიანობით (50,9 %) ხასიათდება, ვიდრე აღმოსავლეთი ნაწილი (30,0 %).

საქართველოს ტერიტორიაზე ტყიანობის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან: ქედის (80 %), გაგრის (77,9 %), ბორჯომის (56,3 %), ყორნისის (54,8 %), თიანეთის (53,6 %), თელავის (50,2 %) რაიონები.

საქართველოში არის ისეთი რაიონებიც (აბაშა, ნინოწმინდა, წალკა დედოფლისწყარო, ყაზბეგი), სადაც ტყიანობის მაჩვენებელი არ აღემატება 5,0 % - ს. ტყიანობის შედარებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ძირითადად მთების შუა და ზედა ზონებში განფენილი ტყის ეკოსისტემები.

საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიოეკოლოგიური მრავალფეროვნების სპექტრი მეტად ნაირგვარია, საიდანაც აღსანიშნავია ისეთი მეტყევეობითი და ბიოეკოლოგიური ცნებები და



მახასიათებლები როგორებიც არის: ტყის ეკოსისტემების გენეზისი და ბიომი, კორომთა ხნოვანებითი სტრუქტურა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური აღნაგობა, ტყის ტიპი, წარმადობა, შემადგენლობა, სიხშირე და სხვ.

საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნების ძირითადი ფაქტორია გეოგრაფიული ლანდშაფტების არაერთგვაროვნება. საქართველოს ლანდშაფტის ფიზიკურ - გეოგრაფიული ნაირგვარობა ხელს უწყობს მეტად განსხვავებული მეტყვეობითი და ბიოლოგიურ - ეკოლოგიური თავისებურებების მქონე მცენარეული სახეობების ზრდა - განვითარებას.

საქართველოს ტყის ეკოსისტემებში, დღევანდლამდე არიან წარმოდგენილნი ისეთი რელიქტური სახეობები, რომლებიც ჯერ კიდევ მიოცენის და პლიოცენის ხანაში იყვნენ წარმოდგენილნი: პონტოური მუხა, პონტოური შქერი, მედვედევის არყი, კავკასიური მოცვი, წყავი და სხვ.

მეტად მრავალფეროვანია საქართველოს ტყეების სახეობრივი შემადგენლობა, ტყეში ველურად იზრდება 400 - მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გვარსა და 56 ოჯახში: საქართველოს დენდროფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, მათ შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, ხოლო მთლიანად კავკასიის 43 სახეობა.

საქართველოს ტყეების ბიოეკოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობასა და რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს, როგორც წმინდა, ასევე შერეული შემადგენლობის კორომების არსებობა.

საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიოლოგიური მრავალფეროვნება თავის მხრივ



განსაზღვრავს ეკოსისტემების სოციალურ - ეკოკოლოგიური და სამეურნეო - ეკონომიკური მნიშვნელობის ხასიათსა და ხარისხს. საქართველოს ტყეები ასრულებენ ნიადაგ-დაცვით, წყალმარეგულირებელ, კლიმატ-მარეგულირებელ, რეკრეაციულ, სანიტარულ - ჰიგიენურ და სხვა სახის დაცვით - ეკოლოგიურ ფუნქციებს, რაც მათი რთული ბუნებრივი კომპლექსის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

საჯარო ლექციის დასრულების შემდეგ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფა-

კულტეტის სტუდენტებთან გაიმართა აქტიური და მეტად საინტერესო დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანმა და სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანს, აკადემიკოს ლ. დოლიძეს მოზრძანებისთვის და მეტად შინაარსიანი და საინტერესო საჯარო ლექციის გამართვისთვის.

ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) სამუშაო შეხვედრა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის თაოსნობით 2025 წლის 16 აპრილს თბილისში გაიმართა ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: კარლო ამირგულაშვილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი - მდივანი, გიორგი ბერეჩიკიძე - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი, ჯუმბერ აბულაძე - სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი, ნატა სულთანაშვილი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელი, ლადო კახიძე - ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, გიორგი ედიშერაშვილი - მდ. ტანისა და თემამის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა კარლო ამირგულაშვილმა. მან ვრცლად მიმოიხილა მოვლა-აღდგენის ღონისძიებები და შედეგები ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ტერიტორიებზე.

2024 წელს ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები დამსწრე საზოგადოებას გააცნო გიორგი ბერეჩიკიძემ.

ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები და შედეგები დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ტერიტორიაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელმა - ნატა სულთანაშვილმა;

ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები და შედეგები ტანისა და თემამის ლანდშაფტის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ტანისა და თემამის ლანდშაფტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა - დავით ბზიშვილმა;

ტყის დაცვის და მოვლა-აღდგენის ღონისძიებები თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა - ლადო კახიძემ.

აღნიშნული საკითხების გაცნობის შემდეგ გაიმართა დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში. გამოვლენილი იქნა პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია ტყის თითქმის ყველა სექტორისათვის. დაისახა მათი გადაჭრის გზები.

შეხვედრა შეაჯამა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კარლო ამირგულაშვილმა, მან მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები სისტემატიურად გაიმართება მომავალშიც.

სამუშაო შეხვედრა

„საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტის (ECO. GEORGIA) ფარგლებში შემუშავებული კონცეფციის: „საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობა საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში“ (IPPA) სამუშაო შეხვედრა

2025 წლის 15 მაისს თბილისში სასტუმრო „Radisson blu Iveria“ - ში გაიმართა „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტის (ECO GEORGIA) ფარგლებში შემუშავებული კონცეფციის: „საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობა საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში“ სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი პაპუნა კაპანაძე, CENN პროექტის მენეჯერი ვახტანგ ქოჩორაძე, CENN-ის წარმომადგენელი რევაზ გეთიაშვილი, მონიტორინგისა და შეფასების მრჩეველი (GIZ) მარიამ ურიდია, შპს „M3“ წარმომადგენელი გიორგი ბალათურია.

შეხვედრა მისასაღებელი სიტყვით გახსნა CENN პროექტის მენეჯერმა ვახტანგ ქოჩორაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობა (IPPA) მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე შეთანხმებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფას და ტყის მდგრადი, ინკლუზიური მართვის ხელშეწყობას. 2023 წელს CENN-მა, დაინტერესებული მხარეების თანაბარი ჩართულობის, კონფლიქტების პრევენციისა და მეტი სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღების, მათ შორის გენდერული თანასწორობისა და სიღარიბის შემცირების უზრუნველსაყოფად, IPPA მოდელის გამოცდა დაიწყო.



შემდგომ სიტყვა პრეზენტაციისთვის გადაეცა CENN-ის წარმომადგენელს რევაზ გეთიაშვილს. მან ვრცლად მიმოიხილა წარმოდგენილი კონცეფცია და მის სამიზნე რეგიონებში (ყვარელი, თიანეთი, თელავი) გამოცდის შედეგები. აღნიშნა, რომ ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა, რაც ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და თემებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას შექნის. ამ მიზნით რეგიონების თვითმმართველობებში ჩამოყალიბდა „ადგილობრივი მმართველთა საბჭოები“. გარდა ამისა, IPPA ადგენს საზოგადოების გაუმჯობესებული ჩართულობის პროტოკოლებს ტყის მდგრადი მართვის პროცესის დაგეგმვისა და

განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, მოიცავს სამუშაოებს ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობით, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების, ინფორმირების, საჯარო

კონსულტაციების, საველე და კაბინეტური კვლევების მიმართულებით. IPPA-ს საბოლოო მიზანია ისეთი ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ტყის მართვის გეგმებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში მრავალმხრივი სარგებლის მიღებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული საკითხების შესახებ გაიმართა დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში.

შეხვედრა შეაჯამა CENN პროექტის მენეჯერმა ვახტანგ ქოჩორაძემ. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები მომავალშიც სისტემატიურად გაიმართება.

წიგნის „ვაზისა და ღვინის სამართალი“- ს პრეზენტაცია

2025 წლის 21 მაისს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა სამართლის დოქტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორის გია მეფარიშვილის და პრაქტიკოსი იურისტის, ბიზნეს სამართლის მაგისტრის ნატო ტაბუცაძის წიგნის „ვაზისა და ღვინის სამართალი“- ს პრეზენტაცია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: ბიზნეს სამართლის მაგისტრი ნატო ტაბუცაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ანა წივწივაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლები, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები.

წიგნის „ვაზისა და ღვინის სამართალი“- ს ავტორმა ბიზნეს სამართლის მაგისტრმა ნატო ტაბუცაძემ დაწვრილებით მიმოიხილა გამოცემის სამუშაო პროცესსა და შინაარსობრივ დეტალებზე. ავტორმა აღნიშნა, რომ ნაშრომი, რომელიც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ბაზაზე გამოიცა ეძღვნება ღვინის ინდუსტრიის ფრანგულ, ევროპულ და ქართულ სამართლებრივ რეგულაციებს, რომლებიც ვრცელდება მევენახეობისა და მეღვინეობის მთელ ციკლზე: ვაზის განაშენიანებიდან პროდუქციის რეალიზაციამდე.

ავტორმა აღნიშნა, რომ წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ღვინის სექტორში დასაქმებული პროფესიონალებისა და მომხმარებლების სამართლებრივი ინტერესების დაცვას. ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი სამართლის პრინციპები. გამოცემა თანაბრად საინტერესოა როგორც ვაზისა და ღვინის სფეროს წარმომადგენლებისთვის, ისე მოქმედი და მომავალი იურისტებისთვის.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა აქტიური და მეტად საინტერესო დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში. ავტორმა ამომწურავი პასუხი გასცა თითოეული მსმენელის მიერ დასმულ შეკითხვებს.

სდასასრულს, ქალბატონმა ნატომ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მისი ნაშრომისადმი ინტერესის გამოჩენისა და კეთილი სურვილებისათვის.



სასწავლო სემინარი

2025 წლის 2 – 4 ივნისს, სასტუმრო “ბოდბეში” (სიღნაღი, კახეთი) გაიმართა სასწავლო სემინარი. სემინარის ჩატარების მთავარ მიზანს წარმოადგენდა 2026 – 2029 წლების პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებისას განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კლიმატის ცვლილების (შერბილება/ადაპტაცია) პოლიტიკის კლასიფიკატორებთან კავშირების დადგენა.

აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად მსოფლიო ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს შესაბამის ტექნიკურ მხარდაჭერას.

სასწავლო სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი - კახაბერ მდივანი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სასწავლო სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის გარემოს დაცვის და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.



სასწავლო სემინარი გახსნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლიმატის ცვლილების განყოფილების ხელმძღვანელმა - მაია ჯავახიშვილმა. სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა - ნათია გულუამ, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი მიმართულების მთავარმა სპეციალისტმა - დარეჯან კაპანაძემ.

სემინარის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა:

- კლიმატის ცვლილების ძირითადი ტერმინების გაცნობა;
- ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან დასაკავშირებელი საფეხურების გამოყენება;
- კლიმატის ცვლილების ხარჯების წილის შეფასება;
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრა.

სემინარზე აღინიშნა, რომ კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, ადამიანთა ჯანმრთელობაზე და სხვ. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ აუცილებელია კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობისთვის საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურის სამინისტროს ბიუჯეტებში ყოველწლიურად გათვალისწინებული იქნას შესაბამისი თანხები, რომლებიც უნდა გაიწეროს ბიუჯეტის მუხლების (პროგრამები/ქვეპროგრამები) მიხედვით.

სასწავლო სემინარის მუშაობა გაგრძელდა აქტიური კითხვა - პასუხის რეჟიმში.

სასწავლო სემინარის დასასრულს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი მიმართულების მთავარმა სპეციალისტმა - დარეჯან კაპანაძემ მადლობა გადაუხადა სემინარის მონაწილეებს აქტიური თანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული სემინარი ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების გაცნობიერების ხარისხის ამაღლებას და 2026 – 2029 წლების პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებისას განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კლიმატის ცვლილების (შერბილება/ადაპტაცია) პოლიტიკის კლასიფიკატორებთან კავშირების დადგენას.

სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღე ერთიანი ჯანმრთელობა, ერთიანი მომავალი - მეცნიერებაზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობა

2025 წლის 11 ივნისს, თბილისში სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო დარბაზში გაიმართა სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - “ერთიანი ჯანმრთელობა, ერთიანი მომავალი - მეცნიერებაზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობა”, რომელიც აღინიშნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: FAO-ს წარმომადგენელი საქართველოში რაიმუნდ იელე; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აპოლონ კაკაბაძე; სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე გიორგი იაკობაშვილი; გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში დიდიე ტლემიუკი; FAO-ს პოლიტიკის უფროსი მრჩეველი ჯუმბერ მარუაშვილი; სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის სურსათის კვლევის დეპარტამენტის უფროსი მარინა ღვინჯილია; სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი ვასილ კვერნაძე; ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტის კოორდინატორი იონაშ ჰაგერი; დაავადებათა კონტროლის



და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში პაატა იმნაძე; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი მაია მეტრეველი; FAO-ს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ექსპერტი დრაგო მაროვეიჩი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი და ამავე აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: ბატონებმა: რაიმუნდ იელემ, აპოლონ კაკაბაძემ, გიორგი იაკობაშვილმა, დიდიე ტლემიუკმა, (ვიდეო მიმართვა).

მისასაღმებელი სიტყვების შემდგომ მოხსენებით: “სურსათის უვნებლობისა და კონტროლის სისტემების გაძლიერება: სტრატეგიული მიმოხილვა და შეფასება” გამოვიდა ბატონი ჯუმბერ მარუაშვილი, ხოლო სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის სურსათის კვლევის დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი მარინა ღვინჯილია აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით: “ლაბორატორიის როლი სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის პრევენციაში” -

გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე: “სინერგია უვნებელი სურსათის და ჯანმრთელი მომავლის უზრუნველსაყოფად”. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ბატონი ვასილ კვერნაძე, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება: “სურსათის უვნებლობის სისტემის მდგრადობა ერთიანი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად”; ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტის კოორდინატორი იონაშ ჰაგერი აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით - „პესტიციდების მდგრადი გამოყენება”; ბატონმა პაატა იმნაძემ ისაუბრა „სურსათთან ასოცირებული ზოგიერთი ინფექციის ეპიდსიტუაციაზე”; ქალბატონმა მათა მეტრეველმა წარმოადგინა მოხსენება: „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ძალისხმევა საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით რისკის შეფასების პროცესის გასაძლიერებლად”; FAO-ს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ექსპერტის დრაგო მაროვეჩის მოხსენება ეხებოდა “ანტიმიკრობულ რეზისტენტობასთან გამკლავებას ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომით; აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენების თემა გახლდათ: “რისკის ანალიზის კომპონენტების ურთიერთკავშირის კოორდინირება”.

სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შეაჯამა FAO-ს პოლიტიკის უფროსმა მრჩეველმა, ჯუმბერ მარუაშვილმა, რომელმაც მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას შეხვედრაში მონაწილეობისთვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა

2025 წლის 18 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა. წარმოდგენილი იყო ცენტრალური ჩინეთის ნორმალური უნივერსიტეტის, ურბანული და გარემოსდაცვითი მეცნიერებების სკოლის პროფესორის, იუჯინ ვუს (გუჰანი, ჩინეთი) მოხსენება თემაზე: “მდინარე იანძის წყალშემკრებ აუზში კატასტროფული წყალდიდობების პროგნოზირება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით”.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს - მდივანი ბ. კოროხაშვილი, ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გ. გავარდაშვილი, კომისიის წევრები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სხდომას ესწრებოდა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე.

კომისიის სხდომა მისასაღმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა გ. გავარდაშვილმა. შემდეგ, მან სიტყვა გადაცა ცენტრალური ჩინეთის ნორმალური უნივერსიტეტის, ურბანული და გარემოსდაცვითი მეცნიერებების სკოლის პროფესორს იუჯინ ვუს.

პროფესორმა იუჯინ ვუმ თავის პრეზენტაციაში ხაზი გაუსვა ძირითად მიგნებებს და გამოწვევებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მდინარე იანძი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა. მისი აუზი და დაბლობები ჩინეთის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რეგიონია. აღნიშნული რეგიონი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ხშირი წყალდიდობებით ხასიათდება. წყალდიდობების გამომწვევი მიზეზები მრავალია, მათ შორის:

თოვლის დნობა და სწრაფი ჩამონადენი ციკაბო ტოპოგრაფიის გამო, ნიადაგის ეროზია ტყეების გაჩეხვის გამო, რაც იწვევს ჩამონადენის ზრდას, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, მუსონური ნალექები, ტაიფუნების ნალექები სანაპირო ზოლის მახლობლად და სხვ.



პროფესორ იუჯინ ვუმ თავის პრეზენტაციაში ასევე განიხილა და შეაფასა კლიმატის ცვლილების პროგნოზირების მნიშვნელობა მდინარე იანძის ჩამონადენზე, მათ შორის კატასტროფული წყალდიდობების ფორმირებაზე. მის მიერ აღინიშნა ტენდენცია, რომ ნალექები მდინარე იანძის წყალშემკრებ აუზში სულ უფრო მეტად კონცენტრირდება ზაფხულის თვეებში, ძლიერი წვიმიანი დღეების რაოდენობის ზრდით, რაც კატასტროფული წყალდიდობების ფორმირებას უწყობს ხელს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, გაიმართა აქტიური დისკუსია კითხვა - პასუხის რეჟიმში.

სხდომა შეაჯამა და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა გ. გავარდაშვილმა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორების პროექტის შედეგების პრეზენტაცია

მიმდინარე წლის 21-22 ივლისს თბილისში სასტუმრო „Holiday Inn“-ში ჩატარდა საქართველოში ASTI-ის (სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორები) საპილოტე პროექტის შედეგების პრეზენტაცია და ვორქშოპი, რაც მიზნად ისახავდა რეგიონული დამკვირვებლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით საქართველოს ეროვნული საპილოტე შედეგების აღიარებას და ასევე იმ ინდიკატორების შექმნისთვის პოტენციალის გაზრდას, რომლებიც FAO ASTI-ს გლობალური მონაცემთა ბაზის ნაწილი გახდება. სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორების (ASTI) შემუშავების მიზნით 2024 წელს, მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში, მ.შ. საქართველოში, ჩატარდა საპილოტე სწავლებები, რომელთა ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პარტნიორობით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში დარიგდა კითხვარები და მოხდა მიღებული შედეგები სტატისტიკური დამუშავება.

შეხვედრაში, რომელიც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სათავე ოფისის (რომი) მხარდაჭერითა და დაფინანსებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“ კოორდინირებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან პარნიტორობით გაიმართა, მონაწილეობდნენ რეგიონული დამკვირვებლები, კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები და მეცნიერები ცენტრალური აზიისა და კავკასიის რვა ქვეყნიდან: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და მოლდოვა; პროექტის ორგანიზატორებიდან - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სათავო ოფისის წარმომადგენლები: ჰერნან მუნიოსი და ვალერია პესკე, სტუ-ს ტექნიფორმის დირექტორი ნელი მახვილაძე, დირექტორის მოადგილე მარიამ რაზმაძე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან აღნიშნულ შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღეს: აკადემიის მთავარმა აკადემიკო-მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ, აკადემიის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან ჭიპაშვილმა და აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარმა სპეციალისტმა, დოქტორმა თინათინ ეპიტაშვილმა (პროექტის საკონტაქტი პირი). ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ: FAO-ის ეროვნული ოფისის წარმომადგენელი იამზე მირაზანაშვილი და სოფლის მეურნეობის სტატისტიკის დეპარტამენტისა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში კვლევაში ჩართული უწყებათა თანამშრომლები.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა სტუ-ს ვიცე-რექტორი, ქალბატონი თამარ ლომინაძე. მან აღნიშნა, რომ პროექტის ერთ-ერთი მიზანია, სამწლიან ჭრილში, სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მონაცემების შეგროვების მოდელის დახვეწა FAO-ს მიერ შემუშავებული მოდელის თანახმად და მისი გარდაქმნა ეროვნული სტატისტიკის სისტემის განუყოფელ ნაწილად.

მომხსენებელთა შორის გახლდათ საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი ბატონი გოგიტა თოდრაძე. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების პროცესში სტატისტიკის მაჩვენებლების მნიშვნელობაზე.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აკადემიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საქართველოს აგრარული მიმართულების სამეცნიერო ორგანიზაციებში ჩატარებული კვლევების შედეგების შეფასება. ხაზგასასმელია, რომ წელს პირველად მოხდა ხარისხობრივი შეფასებიდან რაოდენობრივ შეფასებაზე გადასვლა, რაშიც აკადემიამ იხელმძღვანელა პროექტის ჩარჩოებში შეგროვილი მასალით.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ერთდღიანი ტექნიკური ტრენინგი, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის კვლევისა და განვითარების ინდიკატორების შემუშავების საკითხებს.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს ინდიკატორების ინსტიტუციონალიზაციის გზები. „ტექნიფორმის“ დირექტორის მოადგილემ მარიამ რაზმაძემ მსმენელთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველო დროებითი კვლევითიდან, გრძელვადიან, სისტემურ მონაცემთა შეგროვებაზე გადადის, რაც მოითხოვს კადრების, ინფრასტრუქტურისა და რესურსების ზრდას. აქედან გამომდინარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სხვა პარტნიორი ინსტიტუციები განვითარებისა და გაძლიერების შესაძლებლობებს მიიღებენ.

დასასრულს, ღონისძიებაზე დამწრე საზოგადოების მიერ შეფასებული იქნა შემუშავებული სტატისტიკური ანალიზისა და მიღებული შედეგების პრაქტიკული ღირებულება, რომელიც შემდგომი დამუშავებისა და სისტემური ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გაწევას, სამოქმედო გეგმის დახვეწას, მონაცემთა ბაზის სისტემატიზაციას, ანგარიშგებას და პოლიტიკის მხარდაჭერას.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განსახორციელებლად კომისიის პირველი სხდომა გაიმართა

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაიმართა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განსახორციელებლად შექმნილი კომისიის პირველი სხდომა.

კომისიას, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ინიციატივით შეიქმნა, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე ხელმძღვანელობს.

როგორც გივი მიქანაძემ საუბრისას აღნიშნა, კომისია აქტიურად იმუშავებს, რათა ღირსეულად აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლის იუბილე.

„ჩვენი მიზანია, დავაფასოთ ის უმნიშვნელოვანესი საქმიანობა, რომელსაც 85 წლის განმავლობაში მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ეწეოდა. ვფიქრობთ, რომ ეს ეროვნულ დონეზე აღნიშვნას იმსახურებს. სწორედ ამიტომ, პრემიერ-მინისტრის დადგენილებით, შეიქმნა შესაბამისი კომისია – ახლა ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ვიმსჯელოთ სხვადასხვა საკითხზე, დავგეგმოთ თანმიმდევრული ნაბიჯები და შესაბამისი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საიუბილეო თარიღის სათანადო აღნიშვნას.

ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომელიც როგორც თბილისში, ისე რეგიონებში გაიმართება, კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მეცნიერების უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში,“ – განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა.



შეხვედრაზე დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების კონცეფცია, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მეცნიერების ისტორიული როლის წარმოჩენა;
- გამორჩეული მეცნიერების წარდგენა და დაფასება;
- ახალგაზრდა მეცნიერების მოტივაციის ზრდა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კავშირებისა და პარტნიორობის გაძლიერება.

ამასთან, დაიგეგმა კომისიის საქმიანობის მომდევნო ეტაპები. კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ დეტალურ სამოქმედო გეგმას 1 თვის განმავლობაში შეიმუშავენ, რაც გულისხმობს კონკრეტული ღონისძიებების ჩატარებას და მის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის განსაზღვრას შესაბამის ვადებში.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თანათავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, საპატრიარქოს, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი შექმნილი კომისიის მორიგი სხდომა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გივი მიქანაძის თავმჯდომარეობით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი შექმნილი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

სხდომის მონაწილეებმა ქვეყნის მასშტაბით საიუბილეო თარიღის აღნიშვნის მიზნით, საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელეს. კერძოდ, ღონისძიებებში უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ჩართულობა და იუბილეს ჩატარების ვადები განიხილეს.

გივი მიქანაძის განცხადებით, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საიუბილეო თარიღი თავისი მნიშვნელობით გრანდიოზულ აღნიშვნას იმსახურებს და მისასაღმებელია, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წრეების მხრიდან ინტერესი დიდია.



აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ინიციატივით, სპეციალური კომისია სწორედ იუბილეს აღსანიშნავად დამტკიცდა და მას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ხელმძღვანელობს.

კომისიის შემადგენლობაში შედიან მთავრობის, საპატრიარქოს, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების კონცეფცია ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორცაა მეცნიერების ისტორიული როლის წარმოჩენა, გამორჩეული მეცნიერების წარდგენა, დაფასება, ახალგაზრდა მეცნიერების მოტივაციის გაზრდა, საერთაშორისო სამეცნიერო კავშირებისა და პარტნიორობის გაძლიერება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაგეგმილი აქვს ღონისძიებები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავთან დაკავშირებით. მათ შორის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ყოველკვარტლური გაზეთი “მაცნე” მთლიანად მიეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავს. გარდა ამისა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოსმენილი იქნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების საჯარო მოხსენებები.

შეხვედრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში

ა.წ. 11 სექტემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მინისტრმა გივი მიქანაძემ მეცნიერთა მუდმივმოქმედი საბჭოს წევრებთან პირველი შეხვედრა გამართა. საბჭო სამინისტროს, წამყვანი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული და მისი მიზანია არსებული სამეცნიერო გარემოს ანალიზი, გამოწვევების იდენტიფიცირება და სამომავლო განვითარების სტრატეგიების დასახვა.

შეხვედრაზე მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტროს ინიციატივით შექმნილი მუდმივმოქმედი საბჭო აერთიანებს საქართველოში მოქმედ ყველა კვლევით დაწესებულებას, რომლებსაც გააჩნიათ უდიდესი პოტენციალი, დაგროვილია ღირებული ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისად, სამინისტრო მუშაობს, რომ ეს ცოდნა და გამოცდილება იყოს უფრო რეალიზებადი. სამინისტროს მიზანია, რომ კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე კვლევების შედეგები უფრო ხელშესახები გახდეს და მეტად აისახოს ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობაზე. ასევე, აქტიურად გაგრძელდება მუშაობა კვლევით ცენტრებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, მათი საქმიანობის პოპულარიზაციისა და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის მიმართულებით.



სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიუდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი ალექსანდრე დიდებულიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი თამარ ლომინაძე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საბჭოს საქმიანობა სამინისტროსა და მეცნიერებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას შეუწყობს ხელს და შესაძლებელს გახდის, ერთობლივად განსაზღვრონ ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისთვის.

შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საბჭოს წევრებს საშუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები მინისტრისა და მისი მოადგილის ბატონ ზვიად გაბისონიასგან მოესმინათ.

მუდმივმოქმედი საბჭო მინისტრის ინიციატივით შეიქმნა და მას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია ხელმძღვანელობს. საბჭოს წევრები რეგულარულად შეიკრიბებიან და განიხილავენ იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც აქტუალურია მეცნიერებისა და კვლევითი ცენტრების განვითარებისთვის.

საერთაშორისო კონფერენცია

განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ინოვაციები, კვლევები და საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ 2-3 ოქტომბერს საერთაშორისო კონფერენციას - „განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ინოვაციები, კვლევები და საერთაშორისო თანამშრომლობა“ - უმასპინძლა.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს ეროვნული ოფისი. კონფერენციის ფორმატი იყო ჰიბრიდული და მასში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები. განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებლები და ინოვატორები, როგორც ევროპიდან, ისე საქართველოდან. კონფერენცია მიზნად ისახავდა ხელოვნური ინტელექტის AI პრაქტიკული და სტრატეგიული ზეგავლენის განხილვას განათლების სისტემებზე, სამეცნიერო კვლევებსა და ინსტიტუციური განვითარების პროცესებში.



კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. თავის გამოსვლაში ბატონმა როინმა აღნიშნა - „დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი აღარ არის მხოლოდ მომავლის ტექნოლოგია. იგი უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების, ეკონომიკის, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და განათლების განუყოფელი ნაწილია.“

ამდაგვარი სწრაფი განვითარება, მასშტაბი და ზეგავლენა მიმდინარე მოვლენებზე იშვიათად თუ გვახსოვს კაცობრიობის ისტორიიდან. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, გავაანალიზოთ, როგორ შევუთავსოთ ინოვაციური ტექნოლოგიები

განათლებისა და მეცნიერების სისტემებს ისე, რომ მათ ხელი შეუწყონ საზოგადოების განვითარებას, საერთაშორისო თანამშრომლობას და კულტურულ ღირებულებათა დაცვას.

ეს კონფერენცია წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას აზრებისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მისიაა, ხელი შეუწყოს მეცნიერების პროგრესს, ეროვნული განათლების სისტემის გაძლიერებას და ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში. მიგვაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტის სწორად ინტეგრირება არა მხოლოდ გააძლიერებს კვლევით პოტენციალს, არამედ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, ჩვენთვის არსებითია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობათა გამოყენება საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების – ისტორიის, ენებისა და ლიტერატურის, ფილოსოფიისა და რელიგიის, ხელოვნებისა და არქიტექტურის, ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო მემკვიდრეობის - მხარდაჭერისთვის და მათი საერთაშორისო პოპულარიზაციისათვის. სწორედ ამ და სხვა მიმართულებით სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, აკადემიის პრეზიდენტთან შექმნილია მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობის პირველი შედეგიც - დღევანდელი კონფერენციის ორგანიზებაა“.

მისასალმებელი სიტყვით კონფერენციაზე ასევე გამოვიდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ლაში; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი ქეთევან ქოქრაშვილი და „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლევან ხეცურიანი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კონფერენციას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის კოორდინატორი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი.



მისალმებების შემდგომ, კონფერენციის პირველი დღე დაეთმო უნივერსიტეტების სტრატეგიულ ხედვებს, საერთაშორისო სპიკერებს, პროექტებსა და ქართველი აკადემიკოსების მოხსენებებს, - „უნივერსიტეტთა სტრატეგიული ხედვები და AI“, რომლებიც წარმოადგინეს: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ (პრეზიდენტმა) ზურაბ გუდავაძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა ირაკლი ნატროშვილმა, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორმა ნინო ენუქიძემ, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახაბერ შენგელიამ, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პაატა ტურავამ, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა შალვა ჭკადუამ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ტიტე აროშიძემ.



მეტად დატვირთული იყო კონფერენციის მეორე დღეც. წარმოდგენილი იყო ადგილობრივი კვლევები და ინოვაციები განათლებასა და მეცნიერებაში AI-ს მიმართულებით. აუდიტორიის წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრეზენტაციები წარმოადგინეს: ალექსანდრე გამყრელიძემ და ირაკლი კობახიძემ; საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტიდან - ზურაბ ბოსიკაშვილმა, რატი ნეფარიძემ და ნათია ქუხილაჯამ; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან - რიმა ბერიაშვილმა და თინათინ ტყემალაძემ; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან - მაქსიმ ივიჩმა, ვლადიმერ სვანაძემ, რატი სხირტლაძემ, გიორგი კაკალაშვილმა და ზაზა ცოტნიაშვილმა; ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტიდან - ზაზა თაბაგარმა; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან - ცირა ბარბაქაძემ; წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან - ლუკა კურდელიამ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები, დისკუსიები და ინოვაციური პროექტების პრეზენტაციები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო გამოცდილებას. კონფერენციაში სულ ოცდაათამდე მეცნიერი მონაწილეობდა.

სტუმრად ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში



მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა “მეცნიერების ფესტივალი 2025”-ის დასკვნითი ღონისძიება, რომელსაც დაესწრო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ბატონი გივი მიქანაძე.

„უკვე ტრადიციად იქცა საქართველოში მასშტაბური სამეცნიერო ფესტივალის ორგანიზება. წლიდან წლამდე

იზრდება სამეცნიერო აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობა, მზარდია ფესტივალის ცნობადობაც. ამას მოწმობს ის, რომ მასში, საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ერთად, სულ უფრო მეტი უცხოური უნივერსიტეტი მონაწილეობს.

სამეცნიერო საქმიანობის განვითარება და მისი პოპულარიზაცია არის ის კონკრეტული პრიორიტეტი, რაც ქვეყნის წინსვლისთვის, ეკონომიკური მდგრადობისთვის არის მნიშვნელოვანი. სწორედ ამას ემსახურება ფესტივალი და შესაბამისად აქტიურად გავაგრძელებთ და მომავალშიც მხარს დავუჭერთ მსგავსი ინიციატივების განხორციელებას,” - განაცხადა გივი მიქანაძემ.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული ოფისის “ჰორიზონტი ევროპა”, კოლეჯი “პრესტიჟის” და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ფესტივალის მუშაობაში მონაწილეობა

მიიღეს: აკადემიის მთავარმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებუმიძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიკოსმა მარინე ბარვენაშვილმა, აკადემიის პრეზიდენტთან არსებულმა ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრმა, დოქტორმა ირინე ჩარგეიშვილმა და აკადემიის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის და ავტომატიზაციის მიმართულელების კოორდინატორმა, დოქტორმა თამაზ ბიჭიაშვილმა.

ფესტივალის საგამოფენო სივრცეში დემონსტრირებული იყო მასპინძელი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების ინოვაციური გამოგონებები და ბეჭდვითი პროდუქცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პავილიონში გამოფენილი იყო აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებებთან დაკავშირებით გამოცემული რეკომენდაციები, სამეცნიერო შრომათა კრებულები, წიგნები, ბროშურები და სხვა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს აკადემიკოსებმა: ა. დიდებუმიძემ და მ. ბარვენაშვილმა. მნახველთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ექსპონატებმა, რომლებიც ეხებოდა ქართულ აბრეშუმს, მის წარმოებას და მეაბრეშუმეობის დარგის დღევანდელ მდგომარეობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დამთვარეებლების მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც დოქტორმა ი. ჩარგეიშვილმა ამომწურავი პასუხები გასცა. გარდა ამისა, დიდი ინტერესი გამოიწვია დოქტორ თ. ბიჭიაშვილის მიერ წარმოდგენილმა ფიტოტესტერმა, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მემცენარეობის დარგით დაკავებულ პირებს.



აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პავილიონს ეწვივნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე: ბატონი ზვიად გაბისონია, მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი ქეთევან ქოქრაშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი შალვა ჭკადუა და მასპინძელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

ფესტივალის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა.

მეცნიერების საერთაშორისო დღე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ტრადიციისამებრ, ყოველიურად აღნიშნავს „იუნესკოს“ მიერ დაარსებულ მეცნიერების საერთაშორისო დღეს. წელს, 10 ნოემბერს ამ დღის აღნიშვნა მეცნიერების მუზეუმის საზეიმო გახსნით დაიწყო. მუზეუმი გახსნეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ. მუზეუმის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ლია მელიქიშვილს. აკადემიის მუზეუმის მიზანია მეცნიერების ისტორიული მემკვიდრეობის გაცოცხლება და საზოგადოებისთვის წარდგენა. ამ სივრცეში ასახულია აკადემიის ისტორია დაარსების დღიდან დღევანდელობამდე; მისი პრეზიდენტები, სამეცნიერო განყოფილებები, კვლევითი ინსტიტუტები, ფოტო მასალა და სამახსოვრო ნივთები, ქართული ენციკლოპედიის და რუსთაველის კომიტეტის ბანერები და ა. შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის ციცი-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.



ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. მან მეცნიერების მნიშვნელობასა და მის განვითარებაზე ისაუბრა. შემდეგ სიტყვა გადაეცა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს გივი მიქანაძეს, რომელმაც საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის მილოცვა ქართველ მეცნიერებს. შეკრებილ საზოგადოებას ასევე მიმართა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ლაშხმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე, აკადემიკოსები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ღონისძიების დასასრულს, აკადემიის პრეზიდენტის დადგენილებით, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიები გადაეცათ მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამარჯვებულ 40-ზე მეტ მეცნიერს.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საიუბილეო თარიღი – 20 წლისთავი და მეცნიერების საერთაშორისო დღე

2025 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საიუბილეო თარიღი – 20 წლისთავი აღინიშნება. სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, ღონისძიების ფარგლებში ფონდის საქმიანობის მიზნების, ძირითადი მიმართულებების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო პრიორიტეტების შესახებ პრეზენტაცია გაიმართა სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში”. აღნიშნული ღონისძიება მეცნიერების საერთაშორისო დღეს დაემთხვა.

2025 წლის მეცნიერების საერთაშორისო დღის მთავარი სლოგანია: „ნდობა, გარდაქმნა და მომავალი - როგორი უნდა იყოს მეცნიერება 2050 წელს“.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, უნივერსიტეტების რექტორებმა, მეცნიერებმა, მკვლევარებმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.

ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ

ლაშხი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი თეიმურაზ დოჭვირი.



მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ, ღვაწლმოსილ და ახალგაზრდა მეცნიერებს გამორჩეული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის სიგელები და საპატიო ჯილდოები გადასცა. მან სიტყვით გამოსვლისას დამსწრე საზოგადოებას მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცა და მეცნიერების განვითარების საქმეში თითოეული მათგანის მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა. მინისტრთან ერთად მეცნიერებს საპატიო ჯილდოები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა თეიმურაზ დოჭვირმა გადასცა.

ღონისძიების ფარგლებში სიგელები და საპატიო ჯილდოები გადაეცათ – რუსთაველის ფონდის პრემიის „მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა და განსაკუთრებული მიღწევებისთვის“ 10 ლაურეატ მეცნიერს, რუსთაველის ფონდის 2025 წლის პრემიის კონკურსის „მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის“ შვიდი სამეცნიერო მიმართულებით გამარჯვებულ ახალგაზრდა მეცნიერებს და რუსთაველის ფონდის 2025 წლის პრემიის კონკურსის „ქალები მეცნიერებაში - განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის მიმართულებით“ გამარჯვებულ ქალ მეცნიერს.

ეროვნული სამუშაო შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში

საქართველოში მიწის კონსოლიდაციის ეროვნული სტრატეგიის განხილვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ორგანიზებით 2025 წლის 20 ნოემბერს სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა ეროვნული სამუშაო შეხვედრა საქართველოში მიწის კონსოლიდაციის საკითხებზე.

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძემ მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა მიწის კონსოლიდაციის პროცესის აუცილებლობას, ამავე დროს, ხაზი გაუსვა აღნიშნული პროცედურის განხორციელების სირთულეს და დასძინა, რომ მისი დაწყების საფუძველს სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი წარმოადგენს.

საქართველოს მიწის კონსოლიდაციის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი აუდიტორიას წარუდგინა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიწის პოლიტიკის სპეციალისტმა დავით ეგიაშვილმა. მან მიმოიხილა საქართველოში მიწის

კონსოლიდაციის ხედვა, მიზნები, პრინციპები და ეტაპები, ასევე, მიწის კონსოლიდაციის ინსტიტუციური ჩარჩო და დაფინანსების წყაროები. დოკუმენტის შექმნით საფუძველი ჩაეყარა მიწის კონსოლიდაციის პოლიტიკის შემდგომ განხილვასა და კონსულტაციებს.



შეხვედრას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ესწრებოდნენ აკადემიკოსები: ნოდარ ჭითანავა და ალექსანდრე დიდებულიძე, რომლებმაც დამსწრეთ გააცნეს აკადემიის პოზიცია განსახილველ საკითხთან.

საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ ყაველაშვილის მიერ დამტკიცებულმა კომისიამ ეროვნული პრემიის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა



საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ ყაველაშვილის განკარგულებით დამტკიცებული სპეციალური კომისია ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, საქართველოს ეროვნული პრემია პირს ენიჭება საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, სამედიცინო, სიცოცხლის შემსწავლელი ან საინჟინრო მეცნიერების დარგში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომისა ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა არა მარტო ქართული მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ ან/და ეკონომიკურ განვითარებაში.

პრემია გაიცემა ყოველწლიურად, არა უმეტეს ორისა, თითოეული 10 000 ლარის ოდენობით. პირს, რომელიც მოიპოვებს პრემიას, გადაეცემა პრემიის ლაურეატის დიპლომი, სამკერდე ნიშანი და შესაბამისი ფულადი გასაცემელი.

9 წევრით დაკომპლექტებული კომისიის პირველი სხდომა დღეს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცებული ეროვნული პრემიის კომისიის შემადგენლობაში არიან:

კომისიის თავმჯდომარე - სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე **ზვიად გაბისონია**

კომისიის წევრები:

1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ჯაბა სამუშია**;

2. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **დავით გურგენიძე**;

3. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი **ვლადიმერ პაპავა**;

4. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **გივი ჯაფარიძე**;

5. ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **გიორგი ჯაფარიძე**;

6. მედიცინის დოქტორი, პროფესორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი **ირაკლი ნატროშვილი**;

7. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მზია ქუთათელაძე**;

8. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი **ნანა მაჭავარიანი**.

კანდიდატთა წარდგენის წესი/ნაშრომის წარდგენისათვის დადგენილი პირობები:

პრემია, როგორც წესი, ენიჭება საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია შეიძლება მიენიჭოს უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს; პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც საქმიანობენ მეცნიერების შესაბამის დარგში; პრემიის მოსაპოვებლად შესაძლებელია ავტორთა ჯგუფის/თანავტორთა წარდგენა; პრემია შეიძლება მიენიჭოს გარდაცვლილ ავტორს იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაშრომი გამოქვეყნდა საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულებამდე და აკმაყოფილებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ პირობებს; პრემიის მოსაპოვებლად წარდგენა დასაშვებია მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისა და/ან მისი პრაქტიკული გამოყენების შემდეგ; დაუშვებელია ერთი და იმავე ნაშრომის განმეორებით წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაშრომი საკონკურსოდ არ იქნა დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

წარდგინება ნაშრომის აღწერა-დახასიათებითა და იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რომელთა გამოც ხდება მისი ავტორის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენა. დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი; საკონკურსო ნაშრომის შესახებ მედიაში გამოქვეყნებული რეცენზიები

და/ან სხვა მასალა ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად; სამეცნიერო ნაშრომი - მატერიალურად წარმოდგენის შემთხვევაში 9 ეგზემპლარად (მათ შორის, ერთი ორიგინალი მაინც); კანდიდატის ბიოგრაფია (CV), სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის შეხვედრა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრებთან

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს აკადემიის ხელმძღვანელობა, პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინიციატივით შეხვდა ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრებს. სხდომა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ქავთარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოს შემადგენლობა გაფართოვდა, მის მუშაობაში ახალგაზრდა მეცნიერები რეგიონებიდანაც ჩაებნენ, რაც მისასალმებელია. საბჭოს წევრები რეგიონებიდან სხდომას ონ-ლაინ ჩაერთვნენ.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე, რის შემდეგ ისაუბრა აკადემიის საქმიანობაზე, სიახლეებზე, აკადემიაში მოქმედ მეცნიერებათა განყოფილებებზე, აგრარული ინოვაციების კომისიაზე. ყურადღება გაამახვილა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმებზე, რომელიც აკადემიას დადებული აქვს სხვადასხვა ინსტიტუციებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნა, რომ სწორედ ახალგაზრდა მეცნიერები არიან პასუხისმგებლები ქვეყნის აგრარული სექტორის შემდგომ განვითარებაზე, ამიტომ მათ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იხმარონ, რათა ქვეყანაში დანერგილი იქნას თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც უპასუხებენ სოფლისმეურნეობაში არსებულ არც თუ მარტივ გამოწვევებს.



სხდომაზე ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თითოეულმა წევრმა ისაუბრა თავის საქმიანობაზე, პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე.

ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ასევე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, პრეზიდენტის მოადილემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიკოსმა მარინე ბარვენაშვილმა, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს კურატორმა, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მათ მოუწოდეს ახალგაზრდა მეცნიერებს მეტი აქტიურობისაკენ, აკადემიის მეცნიერებათა განყოფილებების მუშაობაში ჩართულობისაკენ, აკადემიაში გამართულ მრგვალ მაგიდებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღებისაკენ.

ასევე მეცნიერებს, ვინც სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ურჩიეს, რომ აკადემიაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებზე სტუდენტებიც მოეწვიათ, რათა ხელი შეეწყოს ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებას აგრარული მეცნიერების მიმართულებით.



სხდომის დასასრულს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ქავთარაძემ საბჭოს ახლადარჩეულ წევრებს აკადემიის სახელით მილოცვის ფურცელი გადასცა.

აკადემიის პრეზიდენტის შეხვედრა თანამშრომლებთან



მიმდინარე წლის 25 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე შეხვდა თანამშრომლებს.

მოკლე მისალმების შემდეგ, ბატონმა გივიმ შეაჯამა აკადემიის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობა. აღინიშნა, რომ როგორც წინა წლები, მიმდინარე წელიც მეტად დატვირთული და ნაყოფიერი იყო. აკადემიაში ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, მ.შ. კონფერენციები, მრგვალი მაგიდები თუ თემატური სხდომები. გამოცხადებული იქნა კონკურსი გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად. გამარჯვებულ ავტორებს მიენიჭათ ლაურეატის წოდება და დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით. აკადემიის პრეზიდენტი ჩვეული რიტმით აგრძელებდა მუშაობას, განხილული საკითხები გამოირჩეოდნენ თავისი აქტუალობით და შინაარსობრივი დატვირთვით. საინტერესო სხდომები იქნა ჩატარებული აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების

კომისიის და ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ. აქტიურად მუშაობდა აკადემიის ექვსივე მეცნიერებთა განყოფილება. გარდა იმისა, რომ მათ მიერ განხილული იქნა უშუალოდ თავიანთ დარგებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები, მათი ძალისხმევით და მონაწილეობით საზეიმოდ იქნა აღნიშნული აგრარულ დარგში გაეროს მიერ დაწესებული მსოფლიო და საერთაშორისო დღეები.

ბატონმა პრეზიდენტმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ აკადემიის ნამდვილ წევრთა რიცხვს დაემატა ორი ახალი წევრი და თითოეულ განყოფილებას ერთი წევრ-კორესპონდენტი, რაც მომავალში მეცნიერებათა განყოფილებებს საშუალებას მისცემს უფრო მეტად გააფართოვონ თავიანთი აქტივობები.



განსაკუთრებული ყურადღება ბატონმა გივიმ დაუთმო იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში „ქართული ხორბლის კულტურა - ტრადიციები და რიტუალები“ შეტანას, რაშიც აკადემიას დიდი წვლილი მიუძღვის.

თავისი სიტყვის ბოლოს ბატონმა გივიმ ყველას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, უსურვა ჯანმრთელობა და წარმატებები თავიანთ საქმიანობაში. ახალი წლის მილოცვას შეუერთდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი მარინე ბარვენაშვილი; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

შეხვედრის დასასრულს აკადემიის პროფკავშირების ორგანიზებით თანამშრომლებს დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები.

მილოცვები



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პრეზიდიუმის წევრს, მევენახეთა ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს, ბატონ ნოდარ ჩხარტიშვილს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას.

უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და წარმატებას სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის მიმართულების კოორდინატორის თამაზ ბიჭიაშვილის წარმატება

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საინვესტიციო კომიტეტმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო მაღალი დონის საერთაშორისო ვენჩურული ინვესტორებით (მარვინ ლიაო, ბილ რაიჰარტი, გვენ ედვარდსი, ბრეტ ვოთერსი, ზაზა ფაჩულია) გამოაცხადა 150.000-ლარიანი თანადაფინანსების გრანტების პროგრამის გამარჯვებული 20 სტარტაპი, რომელთა შორის აღმოჩნდა ჩვენი აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის მიმართულების კოორდინატორის, დოქტორ თამაზ ბიჭიაშვილის სტარტაპი Phytotester - ინოვაციური, ხელოვნურ ინტელექტთან ინტეგრირებული მოწყობილობა, რომელიც მცენარის ბიოელექტრულ სიგნალებზე დაყრდნობით ახდენს ნერგების, თესლისა და სამცნობი მასალის სიცოცხლისუნარიანობის არაინვაზიურ, ზუსტ და სწრაფ შეფასებას.



პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, მათი კომერციალიზაცია და ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება. თანადაფინანსების გრანტები წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ინსტრუმენტს, რომელიც ინოვაციის მხარდასაჭერად გამოიყენება, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

“სტარტაპები განსაკუთრებულ ძალას სძენს ეკონომიკის განვითარებას და სტარტაპების მხარდაჭერა ჩვენთვის მომავალშიც განსაკუთრებული პრიორიტეტი იქნება”, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ოზურგეთში გამართულ გრანტების

პროგრამაში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა სტარტაპების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიმართულებით და სტარტაპებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.



დაჯილდოების ცერემონიაზე შეკრებილ სტარტაპერებს მიღწეული წარმატება მიულოცეს აგრეთვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მარიამ ქვრივიშვილმა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს

თავმჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ამ დიდ წარმატებას აკადემიის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის მიმართულების კოორდინატორს, ბატონ თამაზ ბიჭიაშვილს და უსურვებს შემდგომ წინსვლას თავის საქმიანობაში.

ი უ ბ ი ლ ა რ ე ბ ი

ღვაწოსილი მეცნიერი ვალერიან (ვოვა) ცანავა - 90



ცნობილი მეცნიერის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონი ვალერიან (ვოვა) ცანავას წვლილი მატად მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ქართული მეცნიერების და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წლის 25 თებერვალს ქ. სოხუმში. 1953 წელს დაამთავრა სოხუმის №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1958 წელს დაამთავრა აგროქიმიანიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული).

1961-1964 წლებში ვ. ცანავამ გაიარა ასპირანტურაში სწავლების სრული კურსი სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოღგოპრუდის საცდელ სადგურში პროფესორ ფ. ტურჩინის ხელმძღვანელობით. 1966 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს აგროქიმიის განყოფილებაში არჩეული იქნა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1972-1988 წლებში ვ. ცანავა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები“. 1988-1995 წლებში ვ. ცანავა ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე ამავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან იგი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმიანიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელია, პარალელურად 2006-2010 წლებში - ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ვ. ცანავა 1992 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტია, ხოლო 1995 წლიდან - აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

ვ. ცანავას მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

- აზოტის მეტაბოლიზმის პროცესის შესწავლა ჩაის მცენარესა და ციტრუსოვან კულტურებში სტაბილური იზოტოპი 15N გამოყენებით;
- აზოტოვანი სასუქების გავლენა სუბტროპიკული ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებზე და ბიოქიმიურ აქტიობაზე;
- აზოტის ბალანსის შესწავლა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროცენოზში.

ვ. ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური ცდები როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ფონდის ცვლილებები წითელმიწებში აზოტოვანი სასუქების

ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე სასუქების გავლენა პლანტაციების პროდუქტიულობასა და მზა ჩაის ხარისხზე. დადგენილია, რომ წითელმიწებისა და სუბტროპიკული გაეწერებული ნიადაგების პირობებში ჩაის პლანტაციებიდან მაქსიმალური მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითად პირობას ფოსფორიანი სასუქების გამოყენება წარმოადგენს, მათი ფორმების, ვადებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. დადგენილია აგრეთვე კალიუმის სასუქების გამოყენების ეფექტიანობა აზოტით და ფოსფორით ხანგრძლივად განოციერებულ ასაკოვან პლანტაციაში. მნიშვნელოვანია ვ. ცანავას მონაცემები ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ცილოვანი და თავისუფალი ამინომჟავების აზოტის ცვლილების დინამიკის შესახებ, აზოტით უზრუნველყოფისა და დოზებისაგან დამოკიდებულებით. შესწავლილია აგრეთვე აზოტის გაზრდილი დოზების (400-500 კგ/ჰა) უარყოფითი გავლენა თავისუფალი ამინომჟავების, განსაკუთრებით კი შეუცვლელი ამინომჟავების შემცველობაზე და მზა ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მრავალწლიანი და მრავალმხვრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და აგროწესებში, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმების შედარებითი შეფასება, ნიადაგში მათი შესატანი დოზები და ფორმები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ცანავა 215 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, 3 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს, 1 პრაქტიკული სახელმძღვანელოს, 6 გამოგონების და პატენტის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები“ (1985 წ.) და თანავტორობით (მ. დარასელია, ი. ვორონცოვი, ვ. გვასალია) გამოცემული „საბჭოთა კავშირის მეჩაიეობა“ (1988 წ.).

მონოგრაფიაში „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები“ თავმოყრილია მრავალწლიანი კვლევების შედეგები ჩაის პლანტაციების ნიადაგების აზოტის ფონდის შესახებ. სტაბილური აზოტის 15N მეთოდის გამოყენებით დეტალურად არის შესწავლილი შეტანილი აზოტის ბალანსის სტრუქტურა და დადგენილია სასუქის აზოტის გავლენა ნიადაგის და მოძრავ აზოტზე, ასევე ჩაის ბუჩქის ცალკეული ნაწილების საერთო აზოტში მინერალური სასუქების ხვედრითი წილი. ვალერიან ცანავას მიერ დასაბუთებულია მცენარის აზოტით კვების პრობლემის თითქმის ყველა ასპექტი საქართველოს ჩაის პლანტაციების მაგალითზე. კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების გავლენა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე, ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე, ნიადაგური აზოტის ფრაქციულ შედგენილობაზე და აზოტის გარდაქმნაზე წითელმიწა ნიადაგებში ჩაის კულტურის ქვეშ და სხვ. მან ცალკე კვლევები მიუძღვნა აზოტის შეთვისებასა და გარდაქმნას ჩაის მცენარეში, ასევე აზოტოვანი სასუქების მოქმედებას ჩაის ბიოქიმიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, აზოტოვანი ნივთიერებების შემცველობის დინამიკაზე ჩაის მცენარეში. მონოგრაფიაში გამახვილებულია ყურადღება ჩაის პლანტაციებში აზოტის ბალანსზე და მცენარის მიერ სასუქების აზოტის გამოყენებაზე, კერძოდ, აზოტის ჩართვაზე ნიადაგის აზოტის სხვადასხვა ფრაქციაში და მის გამორეცხვაზე აზოტოვანი სასუქების ფორმებთან დამოკიდებულებაში.

დიდია ვალერიან ცანავას წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია ორი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამაგდარი მეცნიერი წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლისა და განოციერების დიფერენცირებული სისიტემის შემუშავებისათვის. მნიშვნელოვანია ბოლო წლებში კოლეგებთან ერთად შესრულებული სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლისა და კვლევის შედეგების საცდელი დანერგვის მიმართულებით.

ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იგი არაერთგზის იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში - ვიეტნამში, ლაოსში,

კუბაში, ინდოეთში და ჩინეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით.

ვალერიან ცანავა არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” სარედაქციო საბჭოს წევრი. მისი მონაწილეობით შემუშავებულია არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამები და პროექტები.

გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენებით. ბატონი ვალერიანი გახლავთ ოზურგეთის საპატოო მოქალაქე.

ბატონო ვალერიან, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მამასა და ბაბუას დაბადების 90 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას, სიხარულსა და მრავალ წარმატებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა - 70



თვალსაჩინო მეცნიერმა, სასახელო პიროვნებამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა შორის. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს როგორც მის სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობას 2000-2001 წლებში საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილედ და 2004-2008 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრად ყოფნისას, მის როლს ჩვენი მეცნიერების გადერჩენაში 1994-2000 წლებში ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე მოღვაწეობის დროს. აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 2013 წელს არჩევის შემდეგ მის მიერ წამოწყებული უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება. მეცნიერების განვითარებაში მისი დიდი ღვაწლის აღსანიშნავად 1997 წელს ის არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2013 წელს - ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად, ხოლო 2023 წელს - აკადემიის აკადემიკოს-მდივნად.

ბატონო ვლადიმერ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დაბადების 70-ე წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში!



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯემალ (გუჯა) გუგუშვილს დაბადებიდან მე-80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55-ე წელს.

ბატონი ჯემალი დაიბადა 1945 წლის 14 აპრილს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. ქ. თბილისის 113-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1971 წელს და მიენიჭა სწავლული ზოოტექნიკოსის კვალიფიკაცია.

1972 წლიდან ბატონმა ჯემალმა მუშაობა დაიწყო საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ზოოტექნიკოსად, შემდეგ უმცროს მეცნიერთანამშრომლად. მის მიერ ინსტიტუტში პირველად იქნა შესწავლილი საქართველოში გავრცელებული ბოცვის ჯიშები: საბჭოური შინშილა, რუხი გოლიათი, თეთრი გოლიათი, ვერცხლისებრი, აგრეთვე აშშ-ში გამოყვანილი კალიფორნიული და ახალხელანდიური თეთრი, როგორც ხალასჯიშისანი მოშენებით, ასევე ჯიშთაშორისი მარტივი, რთული, შთანთქმითი, საახალჯიშო შეჯვარებით და ჰიბრიდიზაციით.

1984 წელს ბატონმა ჯემალ გუგუშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მეცხოველეობის სპეციალობით. 1989 წლიდან იგი საქართველოს ზოოვეტერინარულ უნივერსიტეტის მეცხოველეობის კათედრის გამგეა, მოგვიანებით რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

1990 წელს ჯ. გუგუშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1998 წელს - პროფესორის წოდება. ამავე წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის რექტორად. ჯ. გუგუშვილი რვა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღნიშნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს.

ბატონ ჯ. გუგუშვილს მიღებული აქვს უმაღლესი პოლიტიკური განათლება (მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი 1974 წელი), იყო საერთაშორისო ჟურნალების და ადგილობრივი გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრი, არჩეული იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად (1997 წ.), თურქმენეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორად (1997 წ.), იგი გახლდათ განათლების სისტემის წარმომადგენელთა ასოციაციის პრეზიდენტი (1999 წ.), აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს წევრი (1999 წ.), სომხეთის აკადემიის საპატიო პროფესორი (2001 წ.). 1999 წელს მას მიენიჭა გარდაბნის საპატიო მოქალაქის წოდება.

2003 წელს ჯ. გუგუშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

აკადემიკოსი ჯ. გუგუშვილი გახლავთ ნიუ-იორკის აკადემიის წევრი; იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი (2005 წ.); საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე (2006 წ.); ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრს, როგორც მისი დირექტორი (2007 წ.); იყო რექტორთა საბჭოს წევრი.

ბატონი ჯემალ გუგუშვილის, როგორც წარმატებული მეცნიერის სახელი შესულია საქართველოს ენციკლოპედიაში (ტომი II, 2012 წ. გვ. 176) და ქართულ ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ ვინაა საქართველოში“ (2002. გვ. 101).

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ჯ. გუგუშვილის დამსახურება ახალგაზრდა თაობის და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 საკანდიდატო დისერტაცია.

აკადემიკოს ჯ. გუგუშვილის კვლევის შედეგები ასახულია 228 სამეცნიერო ნაშრომში, მათ შორის 2 სახელმძღვანელოს, 5 მონოგრაფიასა და 21 რეკომენდაციაში. იგი ბრძანდება ბოცვრის ახალი ქართული ჯიშის “პელეს” ავტორი (საქართველოს სახელმწიფო-საექსპერტო კომისია, 13 ივნისი, 1993 წ. ბრძ. № 2-237), მიღებული აქვს პრემია აგრარულ დარგში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის, დაჯილდოვებულია მთავრობის ჯილდოებით, „ღირსების ორდენით (2002 წ.) და მედლებით, მიღებული აქვს კემბრიჯის უნივერსიტეტის ჯილდო „21-ე საუკუნის ნაშრომისათვის“ (2007 წ.).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი ჯემალის დამსახურება ქვეყნის წინაშე სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით. იგი ბრძანდება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი. დიდი მიღწევები აქვს სამწვრთნელო საქმიანობაში, როგორც საფეხბურთო ნაკრების და კლუბების მწვრთნელს, ბრძანდება საქართველოს თასის ორგზის მფლობელი („სინათლე“, თბილისი), საბჭოთა კავშირის „მილიონთა“ თასის ორგზის მფლობელი („სინათლე“ ,თბილისი), უცხო ქვეყნის (თურქმენეთი) ეროვნული ნაკრების პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელი მსოფლიო ჩემპიონატზე, პირველი ქართველი მთავარი მწვრთნელი ევროკავშირის ქვეყნებში - საბერძნეთის „იანირა“ (უმაღლესი ლიგა) საბერძნეთის პირველობაზე, ახალგაზრდებს შორის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ევროპის პირველობაზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე სტუდენტთა შორის - საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს რეგიონული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებზე საფეხბურთო კლუბების - „ზოოვეტი“, „მორკინალი“, „ვიტ-ჯორჯია“, ალგეთი“- მთავარი მწვრთნელი, თურქმენეთის „კოპეტდაკის* მთავარი მწვრთნელი. მოპოვებული აქვს თურქმენეთის საუკეთესო მწვრთნელის წოდება.

2025 წელს საქართველოს სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილს მიენიჭა სპორტის რაინდის საპატიო წოდება.

ამჟამად აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბრძანდება აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიის მეცხოველეობის მიმართულების კოორდინატორი, კონსულტანტი (აგრარული პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული სასწავლებლები, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციები).

ბატონი ჯ. გუგუშვილი არის შესანიშნავი მამა და ბაბუა.

ბატონო ჯემალ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მრავალ წარმატებას სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!



2025 წლის 15 მაისს დაბადებიდან 90 და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს ნაპოლეონ ქარქაშაძეს.

ბატონი ნაპოლეონი დაიბადა 1935 წელს 15 მაისს ქ. თბილისში პედაგოგების ოჯახში. 1943 წელს შეაღო თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კარები და 1951 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთ ცნობილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა. იგი სიყვარულით იხსენებს როგორც სკოლას, ისე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებს „გამიმართლაო“ ამბობს, მართლაც იმ ხანად „სასოფლოში“ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები ასწავლიდნენ, მათგან ახალგაზრდა თაობა არა მარტო პროფესიის, არამედ ქვეყნისა და ერის მსახურებასაც სწავლობდა. ბატონი ნაპოლეონი შემდგომ ხშირად ახსენებს თავის აღმზრდელებს, თავის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებსა თუ სხვა სახის პუბლიკაციებში.

1961 წელს, საქართველოსათვის გამოყოფილი ლიმიტით, იგი სასწავლებლად გაემგზავრა მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ, იქვე გაიარა აპრობაცია და შემდეგ საქართველოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

თვითონ ბატონი ნაპოლეონი თავის ცხოვრებაში გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს 1956 წელს, როდესაც ქ. ლაიფციგში ჩატარდა მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მან მოხსენება გააკეთა თემაზე: „საქართველო, კულტურული მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანა“. დიპლომი, რომელიც იქ მივიღე, განსაზღვრა ჩემი ცხოვრების მიმართულეზაო“-იგონებს იგი.

ბატონი ნაპოლეონი ოთხი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრას, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი საინსტიტუტო კათედრა გახდა. 1975 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად, ახალგაზრდა კაცისათვის ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი კარიერული წინსვლა. ბატონმა ნაპოლეონმა 16 წელი გაატარა აფხაზეთში. მისი რექტორობის დროს აშენდა სასტუმროს ტიპის ოთხი საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტის მეურნეობა-„ეშერაში“, ზღვის ნაპირზე სტუდენტური დასასვენებელი კომპლექსი, ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა, რომელსაც ქონდა თანამედროვე საკონფერენციო და სადეგუსტაციო დარბაზები, კვლევითი ლაბორატორიები. მოხდა ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიების მთლიანი გადაიარაღება, გაიხსნა რამდენიმე პრობლემური ლაბორატორია, ფუნქციონირება დაიწყო სადისერტაციო საბჭოებმა. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გახდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრი.

რთული პერიოდი იყო მაშინ აფხაზეთში, რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტები ანტიქართულ მოთხოვნებს აყენებდნენ, ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ამ პერიოდში ნაპოლეონ ქარქაშაძე სათავეში ჩაუდგა

ქართული საზოგადოების ბრძოლას, ერთიანი ქართული სივრცის შესანარჩუნებლად. მისმა დიდმა ავტორიტეტმა, ბევრი აფხაზი შემოაბრუნა ქართულ პოზიციაზე.

ბატონმა ნაპოლეონმა 1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მისი კვლევის საგანი იყო სსრ კავშირის ჩაის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, რომელშიც საქართველოს გარდა წარმოდგენილი იყო აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის პერსპექტივები. მისი სადისერტაციო შრომის ძირითადი დებულებები მოისმინა სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის წევრ-კორესპონდენტადაც 1990 წლის სექტემბერში დაუსწრებლად აირჩიეს, 1995 წელს იგი აირჩიეს რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1996 წელს გადაიყვანეს ამავე აკადემიის უცხოელ წევრად.

1990 წლის ივლისში, ნაპოლეონ ქარქაშაძე საკონკურსო წესით აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად; ამ თანამდებობაზე მან 14 წელი იმუშავა, ეს იყო საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდი, ცხადია უჭირდა აგრარულ უნივერსიტეტსაც, რომელმაც სახელწოდება 1991 წელს შეიცვალა მისი ინიციატივით. მიუხედავად პრობლემებისა, ბატონმა ნაპოლეონმა შეინარჩუნა ინსტიტუტის კადრები, გახსნა ახალი სპეციალობები, დამყარდა კონტაქტები ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან, აგრარული უნივერსიტეტი მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაში, უნივერსიტეტის ბაზაზე ტარდებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, ბატონი ნაპოლეონი არჩეული იქნა საერთაშორისო ორგანიზაცია „იკარდას“ თანათავმჯდომარედ, უმაღლესი სკოლების მსოფლიო ასოციაციის (ქ. სან-ფრანცისკო) ევროპის სექციის პრეზიდენტის წევრად, საზღვარგარეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, პროფესორად, სან-ფრანცისკოსა და უმაღლესი სკოლების საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად და ა.შ.

1990 წელს საქართველოში აღდგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია, რომლის პირველ შემადგენლობაში იგი არჩეული იქნა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის წევრად, ხოლო 2004 წელს ამავე აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს.

ფართო აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის სამეცნიერო კვლევის არეალი, იგი 316 სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორისაა 10 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. აქვს ერთი გამოგონება. მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულება - მსოფლიო სოფლის მეურნეობაა, ამ პრობლემას მან ორი მონოგრაფია მიუძღვნა. მას გაზრდილი ყავს ასპირანტებისა და დოქტორანტების მთელი პლეადა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე დაჯილდოვებულია „საპატიო ნიშნის“ და „ღირსების“ ორდენებით, ხოლო 1984 წელს იგი გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებისა და ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის წევრი და ა. შ. მისი ინიციატივით 1992 წელს დაარსდა საქართველოს უმაღლესი სკოლების რექტორთა საბჭო, რომლის პირველი პრეზიდენტიც თავად იყო.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, დღესაც ღებულობს მონაწილეობას აკადემიის სამეცნიერო საქმიანობაში, ზრმანდება აკადემიის პრეზიდენტის წევრი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის კონსულტანტი (აგრარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან და აგრარულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობები) და პოპულარული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ცალკე განხილვის თემაა ნაპოლეონ ქარქაშაძის პუბლიცისტიკა და მწერლობა. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი პუბლიცისტური ხასიათის მწვავე სტატიები, იგი ავტორია სამი პოლიტიკური რომანის - „სტალინი“, „ხრუმჩოვი“, „ბრეჟნევი“, ამათგან „სტალინი“ რამდენიმეჯერ გამოიცა მოსკოვში. 2013 წელს მკითხველმა მიიღო მისი სათავგადასავლო რომანი „აკადემიკოსი გისოსებს მიღმა“, რომელმაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე გახლავთ შესანიშნავი მამა და ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მთელი შემადგენლობა გულითადად ულოცავენ ბატონ ნაპოლეონს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.



მიმდინარე წლის 22 აგვისტოს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას.

ნუგზარ ბაღათურია დაიბადა აფხაზეთში, ქ. გუდაუთაში 1945 წლის 22 აგვისტოს მოსამსახურის ოჯახში. დედა - მორჩილამე ქეთევანი გახლდათ ბავშვთა ექიმი, მამა - სამმართველოს უფროსი. 12 წლის იყო ბატონი ნუგზარი, როდესაც მამა გარდაეცვალა და მისი აღზრდა - განათლება ბებიამ და დედამ ითავეს.

1963 წელს დაამთავრა ქ. გუდაუთის პირველი (ქართული) საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. 1964-1967 წლებში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, რომლის დასრულების შემდეგ, დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს. 1971 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ზემოაღნიშნული ინსტიტუტი. სახელმწიფო კომისიის თავჯდომარემ, იმ დროს საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ანდრო ნიჟარაძემ სადიპლომოდ ნაშრომის დაცვისას მოიწონა ბატონი ნუგზარის მოხსენება და თავისთან მიიწვია ინსტიტუტში სამუშაოდ. ბატონმა ანდრომ დიდი როლი შეასრულა ნუგზარ ბაღათურიას მეცნიერად ჩამოყალიბების საქმეში.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო საქმიანობისას ბატონ ნუგზარს დაკავებული ჰქონდა განყოფილების გამგის, ინსტიტუტის დირექტორის, მოგვიანებით ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის თანამდებობები. 2011 წლიდან იგი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

1991 წელს ბატონი ნუგზარი არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, ხოლო 1992 წლიდან ამ აკადემიის ნამდვილი წევრია. აკადემიის აღდგენის წლიდან დაკავებული ჰქონდა აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობა.

საქართველოს აგრარულ სფეროში ადრე არსებული 14 ინსტიტუტიდან მეცნიერებაში ჩატარებულ უხეირო რეფორმებს გადაურჩა მხოლოდ ერთი - საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დღესაც ემსახურება კვების მრეწველობის დარგების მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეს. ეს ბატონი ნ. ბაღათურია და მისი კოლექტივის დამსახურებაა.

სხვადასხვა წლებში მისი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი სფეროები იყო ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ნატურალური საკვები დანამატების (ეთეროვანი ზეთები, არომატიზატორები) ქიმია, ტექნოლოგია და ექსპერტიზა. აღნიშნულ სფეროებში გამოქვეყნებული აქვს 430-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ამათგან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 41 მონოგრაფია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, არის 40-ზე მეტი გამოგონებისა და პატენტის ავტორი.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ქ. კრასნოდარში 1979 წელს, სადოქტორო - 1989 წელს ქ. ლენინგრადში. სადოქტორო დისერტაცია სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო დისერტაციად, კვების მრეწველობაში სამრეწველო მასშტაბით დანერგილი სიახლეების დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის გამო.

მეცნიერებაში შეტანილი წვლილიდან შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

- პირველად იქნა გამოკვლეული მცენარეული ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთების გამოხდის პროცესის მექანიზმი. თეორიული გამოკვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ეთეროვანი ზეთების წარმოების პრინციპულად ახალ, ინოვაციურ ტექნოლოგიებს;
- პირველად იქნა გამოკვლეული ქართული ტიპის ღვინოების - კახურის, იმერულის - წარმოების მეცნიერული საფუძვლები. გამოკვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ყურძნის სამრეწველო გადამუშავების ახალ, ინოვაციურ კომპლექსურ ტექნოლოგიებს;
- პირველად იქნა გამოკვლეული ყურძნის ქართული არყის - ჭაჭის წარმოების მეცნიერული საფუძვლები. გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ქართული ბრენდის - ჭაჭის არყის წარმოების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელი ჭაჭა. იგი ხარისხით აღემატება ფრანგულ კონიაკს. ახალი ტექნოლოგია შეტანილია საქართველოს კანონში „ვახისა და ღვინის შესახებ“. ტექნოლოგიის ფართომასშტაბიანი დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.
- ასევე გამოკვლეული და დანერგილი იქნა ღვინის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ხილ-კენკროვანთა წვენების ნატურალობის დადგენის ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმები, რომლებიც დაინერგა სახელწიფო სტანდარტების სახით და გამოიყენება ექსპერტიზის პრაქტიკაში.

ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის აკადემიკოს ნუგზარ ბალათურიას მიღებული აქვს საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი პრემია (1982), ვერცხლის მედალი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე (1985), ორჯერ არის დაჯილდოებული საქართველოს ღირსების ორდენით 1999, 2013 წწ., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედლით (2022).

ბატონმა ნუგზარმა და მისმა მეუღლემ ნუნუ გაჩეჩილაძემ ქვეყანას გაუზარდეს სამი ვაჟიშვილი. ამათგან უფროსმა - შოთიკო ბალათურიამ დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტის მაგისტრატურა და ამჟამად მოღვაწეობს ნიუ-იორკში, შუათანა ვაჟიშვილმა - გენადი ბალათურიამ დაამთავრა გრენობლის უნივერსიტეტის მაგისტრატურა, ამჟამად გახლავთ ეკონომიკის დოქტორი და მოღვაწეობს სოფლის მეურნეობის სფეროში, საქართველოში ახალი, პერსპექტიული მცენარეების ინტროდუქციის მიმართულებით, იმავდროულად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მას გვერდში უდგანან მეუღლე - ნინო კოპალიანი და შვილი - ნიკო ბალათურია.

თავისი ცხოვრების მანძილზე ბატონ ნუგზარს არაერთი მძიმე დღის გადატანა მოუწია. დედა - ქეთევან ბალათურია სეპარატისტებმა მოუკლეს ქ. გუდაუთაში, დაელუპა უმცროსი ვაჟიშვილი ბექა ბალათურია, ნაადრევად გარდაეცვალა მეუღლე. მიუხედავად ამისა მან გამოძებნა საკუთარ თავში ძალები და დღესაც წარმატებით უძღვება სამეცნიერო საქმიანობას კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

ბატონი ნუგზარი გახლავთ შესანიშნავი მამა და ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ბატონ ნუგზარს საიუბილეო თარიღებს. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მრავალ წარმატებას სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი ივერი ახალბედაშვილი - 70



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომიკის დოქტორს, საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის აპარატის უფროსს ივერი ახალბედაშვილს მიმდინარე წლის 28 აგვისტოს დაბადების 70 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ივერი ახალბედაშვილი დაიბადა 1955 წლის 28 აგვისტოს ქ. თბილისში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1973 წელს გორის რაონის სოფელ ბერშუეთის კოლმეურნეობაში, რიგით წევრად, შემდეგ ბრიგადის ხელმძღვანელად.

1980 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი, სპეციალობით - სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია.

1977-1983 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია.

1983-1986 წწ. სწავლობდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში ქ. მოსკოვში. იქვე დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რომელიც დღეისათვის გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

1986-1989 წწ. იყო საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ჯერ მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო შემდეგ სექტორის გამგე.

1989-1997 წწ საქართველოს აგრობიზნესის სასწავლო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგე, ხოლო შემდეგ ამავე ინსტიტუტის რექტორი.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის აპარატში. მან გიარა გზა მოწვეული სპეციალისტიდან (წამყვანი სპეციალისტი, მთავარი სპეციალისტი) აპარატის უფროსამდე.

2019 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების ცენტრის მოწვეული მეცნიერ თანამშრომელი.

აკადემიკოს ივერი ახალბედაშვილს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომა, მათ შორის სამი მონოგრაფია ერთი სახელმძღვანელო. არის მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების და კონფერენციების მონაწილე.

იგი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

ბატონი ივერი არის შესანიშნავი მამა და ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ბატონ ივერი ახალბედაშვილს საიუბილეო თარიღებს. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მრავალ წარმატებას სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართული ვაზის დიდი მსახური და მოამაგე,
აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

- 95 -



მევენახეთა ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს ნოდარ ჩხარტიშვილს მიმდინარე წლის 17 სექტემბერს დაბადებიდან 95 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 70 წელი შეუსრულდა.

ბატონი ნოდარი დაიბადა 1930 წლის 17 სექტემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. 1948 წელს დაამთავრა ჯუმათის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1957 წელს მუშაობა დაიწყო ქედის რაიონში უბნის აგრონომის თანამდებობაზე. იმავე წელს ჩააბარა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში მევენახეობის კათედრაზე.

1959 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი 75 წელზე მეტია, რაც ემსახურება ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს და დამსახურებულად ატარებს “ქართული ვაზის მესაიდუმლესა და ქომაგის” საპატიო წოდებას.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი მევენახეობის იმ ქართული სკოლის აღზრდილი და ღირსეული გამგრძელებელია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსებმა, პროფესორებმა სოლომონ ჩოლოყაშვილმა, ნიკოლოზ ქანთარია და მაქსიმე რამიშვილმა.

ბატონი ნოდარი 1973 წლის სექტემბრიდან 1974 წლის მაისამდე მუშაობდა მეზღვინეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1974 წელს არჩეულ იქნა დღევანდელი აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგედ, დოცენტად, პროფესორად.

1975 წლიდან იგი 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა მეზღვინეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. სწორედ, ამ პერიოდში დარგში მისი ხელმძღვანელობითა და თანმიმდევრული შემოქმედებითი შრომის შედეგად გამოყვანილია ვაზისა და ხეხილის 50-ზე მეტი ახალი სელექციური ჯიში: ქართული საადრეო, კოლხურა, ვარძია, რქაწითელი მუსკატური და სხვ. გამოვლენილია 30-ზე მეტი სამრეწველო ვაზის ჯიშის გაუმჯობესებული კლონი, გამოყვანილია 50-ზე მეტი ხეხილოვანი კულტურის ახალი ჯიში. დამუშავებულია ვაზისა და ხეხილის ნერვის წარმოების ახალი ტექნოლოგიები, ვენახისა და ხეხილის გაშენება-მოვლის მაღალინტენსიური ტექნოლოგიები და მობილური ტექნიკა, პერმანენტულად ხორციელდებოდა სამრეწველო ასორტიმენტის გაუმჯობესება-განახლება. მსოფლიოში ქართული ვაზის უმდიდრესი გენოფონდის დაცვა კი სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული. ნოდარ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ინსტიტუტში დამუშავდა და 1998 წელს მიღებულ იქნა “საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ”, დამუშავდა ასევე დარგის განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია, შემუშავებულია ყურძნისა და ხილის გადამამუშავების ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ტექნოლოგიები. მის სახელს უკავშირდება 20-მდე დასახელების ადგილწარმოშობის ქართული ღვინოების წარმოების სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი პარამეტრები.

აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის მიერ შემუშავებული იქნა მეზღვინეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარების მასშტაბური კონცეფცია,

რომელიც მისივე ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა 2000-2003 წლებში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით.

1998 წლიდან მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ვაზის სარგავი მასალის წარმოების სფეროში, დაამუშავა ნამყენი ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიური მეთოდები და სქემები, რისთვისაც მან სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

მისი თაოსნობითა და მცენარეთა გენოფონდის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის “იპგრის” მხარდაჭერით ვაშლიჯვრის ექსპერიმენტულ ბაზაზე 400-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიში იქნა თავმოყრილი. ქართული ვაზის 150 სახეობის ჯიში გაშენდა იტალიის საერთაშორისო კოლექციაში და 200-ზე მეტი დარეგისტრირდა საერთაშორისო კატალოგში.

2004 წელს იტალიაში მილანის უნივერსიტეტში დაბეჭდილ კაპიტალურ წიგნში “ვაზი და ადამიანი” პირველად გამოქვეყნდა რუკა, სადაც საქართველოს ტერიტორია აღიარებულია კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის პირველად კერად, საიდანაც იღებს სათავეს “ვაზის გზა” დასავლეთითა და აღმოსავლეთით. ამავე წიგნში დახასიათებული და ილუსტრირებულია 150 ქართული ენდემური ჯიში, რომლის ავტორიც გახლავთ ნოდარ ჩხარტიშვილი. იგივე წიგნი იტალიურ და ინგლისურ ენებზე გამოიცა 2009 წელს, ხოლო 2011 წელს მას და მის თანაავტორს მიენიჭა მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის პრემია.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა დარგისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისი აღზრდილია არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. 2007 წლიდან 2020 წლამდე იგი გახლდათ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ამავე უნივერსიტეტში აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი.

ამ და სხვა მრავალი მიღწევისათვის, ბატონი ნოდარი დაჯილდოვდა არაერთი პრემიითა და მედლით.

დარგში შეტანილი წვლილისთვის, 2014 წელს, პირადად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გადასცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო - „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“.

და ბოლოს, სწორედ აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის სახელს უკავშირდება - საგურამოში, პირველი სანერგე მეურნეობის შექმნა, რომელიც 2000 წელს მის მიერ შემუშავებული დარგის განვითარების კონცეფციის ნაწილი გახლდათ.

კონცეფცია რეალობად იქცა: ქართველი მეცენატის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობითა და თანადგომით ჩაეყარა საფუძველი სანერგე მეურნეობას, რომელიც დღეს ჯიდაურას მრავალწლოვანი კულტურების ბაზის სახელითაა ცნობილი და გახლავთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შემადგენლობაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს - მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული ვაზის სიყვარულს, ეროვნული დარგის - მევენახეობა-მეღვინეობის მომავლისთვის შრომასა და ძიებას მიუძღვნა ამ საიუბილეო თარიღებს და უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე - 60



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანს, აკადემიკოს ლაშა დოლიძეს მომდინარე წლის 17 სექტემბერს დაბადებიდან 60 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 30 წელი შეუსრულდა.

ბატონი ლაშა დოლიძე დაიბადა 1965 წლის 17 სექტემბერს ქალაქ თბილისში. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. 1986 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მას მიენიჭა სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაცია.

1987-2012 წწ. ბატონი ლაშა მუშაობდა ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა უფროსი ლაბორანტიდან, ტყის აღდგენისა და სატყეო მელიორაციის სამეცნიერო განყოფილების უფროსამდე (2006-2012 წწ.). 1993 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2006 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2021 წელს ბატონი ლაშა დოლიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში და სამეცნიერო პროგრამებში: 2002-2003 წწ იყო საერთაშორისო ინოვაციური პროექტი: „თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი“-ს დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტი; არასამთავრობო ორგანიზაცია „მეტყევეთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (2003 წ.); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა პრობლემების სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი (2002-2006 წწ.); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელმწიფო, საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი, შემსრულებელი (1989-2012 წ. წ.); სახელმწიფო ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ 2011 წ.) საგრანტო პროექტის შემსრულებელი, საერთაშორისო ინოვაციური პროექტების: „ხელმისაწვდომობა, ეკოლოგიური გარემო“- ს (შვედეთი საქართველო, 2014-2016 წ.წ.) და პროექტის „Rotary Club-Tbilisi-Academia“ (აშშ კალიფორნია, საქართველო, თბილისი, 2012-2014 წწ.) მენტორი, ეკოლოგიური ექსპერტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრი (2023 წლიდან).

ლაშა დოლიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული კოორდინატორის“, ასევე სატყეო დარგის ექსპერტის წოდება (2016 წ.), მიღებული აქვს აკადემიის საპატიო სიგელი - „სატყეო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ (2019 წ.).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის დაკვეთით 2020-2022 წწ. ბატონი ლაშას ხელმძღვანელობით, შესრულდა სამეცნიერო პროექტი „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“, ხოლო 2023 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ოთხწლიან სამეცნიერო პროექტს - „აგროსერვისის განვითარება რეგიონში“, ქვეპროგრამა: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის

შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“.

აკადემიკოს ლაშა დოლიძის მონოგრაფია - „საქართველოში განვითარებული ტყის ხანძრები და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები“ გახლავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს „აგრარულ დარგში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ნაშრომის“ გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ნაშრომი.

2023 წლის ივნისიდან აკადემიკოსი ლაშა დოლიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივნად და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

აკადემიკოს ლაშა დოლიძის სამეცნიერო კვლევები ძირითადად მოიცავს საქართველოს ტყის ეკოსისტემების შემქმნელი ძირითადი სახეობების (წიფლნარები, ნაძვნარები, სოჭნარები, ფიჭვნარები, მუხნარები და სხვა.) მიერ მეტად მნიშვნელოვანი: წყალმარეგულირებელი, წყალშენახვითი, ნიადაგდაცვითი, რეკრეაციული, სანიტარულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი, სოციალურ-ეკოლოგიური, დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობის შესწავლას; დეგრადირებული ტყის ეკოსისტემების აღდგენა-გაუმჯობესების, სატყეო სამეურნეო, სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების, რეკომენდაციების შემუშავებას და ტყის ეკოსისტემებში მათ დანერგვას; აგრეთვე ტყის ეკოსისტემის დაცვას, მოვლა-აღდგენას, კვლავწარმოებას; საქართველოს სატყეო მეურნეობისა და მთლიანობაში სატყეო დარგის სტრუქტურული მოწყობის, ოპტიმიზაციის, მათში მართვისა და ეფექტური კონტროლის მექანიზმების დახვეწას; სატყეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მართებულად რეალიზებას, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, დაცვითი ტყის ზოლების აღდგენას და სხვ.

აკადემიკოს ლაშა დოლიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გარდა ადგილობრივი, მაღალრეიტინგული შრომათა კრებულებისა, ციტირებული და გამოქვეყნებულია საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო შრომათა კრებულებში და გამოცემებში.

ზემოაღნიშნულ პრობლემატიკას, ეკოსისტემების დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობას ეძღვნება აკადემიკოს ლაშა დოლიძის მიერ მომზადებული და გამოცემული ოთხი მონოგრაფია, ასევე, შემუშავებული და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული 6 რეკომენდაცია.

აკადემიკოს ლაშა დოლიძეს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს წარმატებულ და აღიარებულ მეცნიერს, შესანიშნავ მამასა და ბაბუას, აკადემიკოს ლაშა დოლიძეს საიუბილეო თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ღვაწლმოსილი მეცნიერების ხსოვნა

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 71 წლის ასაკში გარდაიცვალა აგრარული დარგის თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, არაერთი თაობის აღმზრდელი რეზო ჯაბნიძე.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო წრეებისათვის კარგადაა ცნობილი ბატონ რეზოს სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1996 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის მოღვაწეობა შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს: საზოგადოებრივ და სამეცნიერო-პედაგოგიურად. ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო საგემო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებას. იყო აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდგომ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

1994 წელს დაინიშნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ახლად დაარსებული ბათუმის სახელმწიფო სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად. მისმა აქტუალური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის გამორჩეულმა უნარმა იგი საქართველოს წამყვან აგრარულ მეცნიერ - პედაგოგთა რიგებში ჩააყენა. 2012-2019 წწ ბათუმის უნივერსიტეტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე არჩეული იყო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ; ამ ხნის განმავლობაში 24 მაძიებელს მიენიჭა აგრარულ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხი. მისი ხელმძღვანელობით 9 დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია.

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძეს გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მ. შ. 18 რეკომენდაცია, 8 მონოგრაფია და 5 სახელმძღვანელო. ნაშრომთა ნაწილი გამოცემულია უცხოეთში.

ბატონი რეზოს სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასებული. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლებით; 2019 წელს მისი ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოს: „სუბტროპიკული კულტურები“ მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომისათვის, მიღებული აქვს აკადემიის საპატიო სიგელი აგრარულ დარგში მიღწეული წარმატებებისთვის.

აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის სახით ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დაკარგა შესანიშნავი მამულიშვილი, მეცნიერი და პედაგოგი, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და კოლეგების ხსოვნაში.